ქართული ემიგრანტული ლიტერატურა

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

მრავალტომეული

2

გურამ შარაძის საერთო რედაქციით

თბილისი 1991

ექვთიმე თაყაიშვილი

ემიგრანტული ნაშრომები

გამომცემლობა ” მეცნიერება”
თბილისი 1991

წინასიტყვაობა

ზაფხულში, 1910 წელს ჩვენ მოვაწყვეთ არქეოლოგიური ექპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში. საშუალება მოგვცა აწ განსვენებულმა ჩვენმა მეგობარმა პავლე იოსების ძე თუმანიშვილმა, რომელიც დღიდან დაარსებისა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ გახდა გულწრფელი მოჭირნახულე და მეცენატი ამ საზოგადოებისა. მთელი ხარჯი ექსპედიციისა მან მიიღო თავის თავზედ. ექსპედიციაში მოვიწვიეთ: მთელს კავკასიაში კარგად ცნობილი აწ განსვენებული ფოტოგრაფი დიმიტრი ივანეს ძე ერმაკოვი, აგრეთვე აწ განსვენებული ხუროთ მოძღვარი სიმონ გიორგის ძე კლდიაშვილი და ტფილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებელი ივანე თეოდორეს ძე ნიჟარაძე, ყოფილი ჩემი მოწაფე, შთამომავლობით სვანი, მზრუნველი და მოამაგე სვანებისა და ყველა სვანთაგან დიდათ მიჩნეული და პატივცემული.

პავლე თუმანიშვილი ფიქრობდა მასაც მიეღო მონაწილეობა ექსპედიციაში და გვთხოვა მისთვის დაგვეცადა ცაგერში, რომ სვანეთში ერთად გამგზავრებულიყავით, მაგრამ ეს განზრახვა მან ვეღარ განახორციელა: ის მაშინ ასრულებდა ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობას და ვერ მოიცალა.

ექსპედიციის მიზანი იყო: გვენახა ზოგიერთი ეკლესიები ლეჩხუმისა, მანამ პ. თუმანიშვილი შემოგვიერთდებოდა, შემდეგ შეძლებისდაგვარად დაგვევლო ყველა სვანეთის ეკლესიები; ცნობაში მოგვეყვანა და ფოტოგრაფიულად გადმოგვეღო მათში დაცული სიძველენი, შეგვეკრიბა არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული ნივთები და მასალები „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმებისათვის“.

დასახელებული მიზანი საერთოდ საკმაოდ შესრულებულ იქმნა: ჩვენ დავიარეთ უმეტესი ნაწილი ლეჩხუმის ეკლესიებისა; ვნახეთ თითქმის ყველა ეკლესია როგორც ცხენისწყლის, ისე ენგურის სვანეთისა. არ ვყოფილვართ მხოლოდ ლახამულაში (იქ მაშინ ხოლერა გაჩნდა), ჩუბის-ხევში და ადიშში (იმ დროს იქ თოვლი მოვიდა), მაგრამ ცნობილი ადიშის სახარება იქიდან მოვატანინეთ და მესტიაში გადავიღეთ ფოტოგრაფიულად; საკმაოდ ბევრი და ძვირფასი სამუზეუმო ნივთები შევაგროვეთ; ზოგი მათგანი შემოწირულობის სახით მივიღეთ, ზოგი ფასით შევიძინეთ. ჩვენი მუზეუმი გამდიდრდა საყურადღებო ტყავის ხელნაწერებით და საარქეოლოგიო-საეთნოგრაფიო ნივთებით; ხოლო სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, ს. კლდიაშვილს დაეკარგა დღიურ-რვეული მის მიერ გაზომილი სვანეთის ეკლესიებისა და ციხე-კოშკებისა, ამიტომ ამ ეკლესიათა გეგმების დამუშავება შეუძლებელი შეიქმნა. დარჩა მხოლოდ გეგმები ლეჩხუმის ეკლესიებისა და ხუთიოდე თავისუფალი სვანეთისა.

ცნობილია, როგორც ლეჩხუმში, ისე სვანეთში მხოლოდ სიონური ანუ ბაზილიკური ეკლესიებია, უგუმბათო. გამონაკლისს შეადგენს ერთი, მცხეთის გუმბათიანი ეკლესია ლეჩხუმში, მაგრამ მაინდამაინც ძველი არც ის არის. ყველა საყურადღებო სიძველენი ჩვენ მიერ ნახულ ეკლესიებისა გადმოღებულია ფოტოგრაფიულად. გამონაკლისს შეადგენს მცირე ნაწილი, რომელიც არ გამოვიდა

ჯეროვნად. სულ გადაღებული იყო ათას ხუთასზე მეტი სურათი; ამათში შედის, რასაკვირველია, პეიზაჟებიც საუკეთესო ადგილებისა, სოფლებისა და ციხე-კოშკებისა. ფრესკების გადმოღება არ მოხერხდა. განსვენებული ერმაკოვი გაფრთხილებული იყო, რომ სვანეთში პატარა ეკლესიებია და მათში სამუშაოდ განსაკუთრებული აპარატია საჭირო და პტყელ-კუთხედი ობიექტივი. – ვიცი, ვიცი, – იძახოდა ტფილისში, მაგრამ მას ასეთი აპარატი აღარ აღმოაჩნდა სვანეთში. ამას გარდა ჩვენ გაგვაკვირვა კიდევ მეორე გარემოებამ, – უმეტესი ნაწილი „პლასტინკებისა“, რომელიც მას წამოეღო, წამოღებულ ჩარჩოებში არ ეტეოდა. უფრო დიდრონი იყო, და ის იძულებული გახდა ჩამოეჭრა ნაწილი თითოეული „პლასტინკისა“ და ისე მოეთავსებინა ჩარჩოში. ეს სიძნელე მან დიდის შრომით და დაუღალავი მუშაობით გადალახა. ფრესკების გადასაღებად სვანეთში არა ერთი, არამედ რამოდენიმე მხატვართა ექსპედიცია არის საჭირო. საჭიროა არა მარტო ფოტოგრაფიის საშუალებით გადმოღებული ფრესკებისა, არამედ მათი გადმოხატვა ფერადებით ტილოზედ. ზოგი მათგანი განსაკუთრებით საყურადღებოა არა მარტო სიძველით, რიგით, სტილით, არამედ შინაარსითაც. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ერთს ეკლესიაში წარმოდგენილია დიმიტრი მეფის კურთხევა, ზოგიერთებში კიდევ ზღაპრული ამირანი და მასზე თქმულებანი და სხვა. ბევრ ეკლესიაში ყოფილა აგრეთვე მაშენებელთა ანუ კტიტორთა სურათებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ფრესკები და სურათები მოშლილია; რაც გადარჩენილა გასვრილია მტვრით და უფრო ხშირად ჭვარტლით. ყველა ეს უნდა გაიწმინდოს, გაირეცხოს ფრთხილად და შემდეგ საკმაოდ გამოჩნდება სურათებიც და წარწერებიც და მათი გარჩევა შესაძლებელი იქნება. ჩვენ ამისათვის დრო არ გვქონდა. აღვნიშნეთ მხოლოდ, რაც ასე თუ ისე საკმაოდ მოჩანდა; მაგრამ ამითაც ბევრი უცნობი მასალა მოგვემატა. მთელი შეგროვილი მასალა ექსპედიციისა ჩვენ დამზადებული გვქონდა გამოსაცემად უკვე 1911 წელს და გვპირდებოდენ მის გამოცემას, სურათებით, პეტერბურგში და მოსკოვშიც, მაგრამ ომიანობის გამო ეს განზრახვა ჩაიფუშა. მხოლოდ მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ მოასწრო ერთად ერთის ადიშის საყურადღებო სახარების გამოცემა ფოტოტიპიის საშვალებით და ჩემის წინასიტყვაობით (იხ. „მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა“, წიგნი 14) აქაც, საზღვარ გარეთ ზოგიერთები გვპირდებოდენ მთელი სვანეთის მასალის გამოცემას სურათების ალბომებითურთ, მაგრამ ეს დაპირებაც მარტო დაპირებად დარჩა. ეხლანდელი კრიზისი ჩვენ იმედს აღარ გვაძლევს არც ამ ექსპედიციის ალბომების გამოცემისა, არც სხვა ჩვენი ექსპედიციების მასალებისა, როგორიც არის მაგალითად, ექსპედიცია ოლთისის მხარეში 1907 წელს, ექსპედიცია თორთუმ-ისპირში 1917 წელს, რაჭა-იმერეთში 1918-1920 წლებისა და სხვა. გამოუცემელი რჩება აგრეთვე სამეგრელოს ეკლესიათა სიძველეთა ალბომები, დამზადებული უკვე 1913 წელს. გამოვეცით მხოლოდ მათი მოკლე აღწერილობა და წარწერები (იხ. ჩვენი „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, წიგნი მეორე, ტფილისი, 1914 წ.), სურათებით მათი გამოცემა დავიწყეთ პეტერბურგში „ხრისტიანსკი ვოსტოკ“-ში, სადაც ოთხიოდე ეკლესიათა სიძველეთა მოთავსება მოესწრო; შემდეგ „ხრისტიანსკი ვოსტოკი“ დაიხურა.

ჩვენ ამ გამოცემაში ვათავსებთ მოკლე აღწერილობას ჩვენ მიერ ლეჩხუმ-სვანეთში ნახულ სიძველეთა და წარწერათა.

ვინც მოისურვებს ალბომების გამოცემას ან თავისთვის შედგენას ალბომისა ჩვენი ექსპედიციის მიერ გადაღებული სურათებით, მისთვის ამ გამოცემის შემდეგ

ადვილი იქნება ამის შესრულება, ვინაიდან ჩვენ ვუჩვენებთ ტექსტში ნომერს ყველა სურათის ერმაკოვის კოლექციიდან, რომლის ნეგატივები და ალბომები მოიპოვება ჩვენს უნივერსიტეტში და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ფოტოგრაფიის რუსული წარწერები ყველა სწორი როდია, ერმაკოვს არეული აქვს ზოგჯერ სოფელთა და ეკლესიათა სახელები, რომელთაც ესა თუ ის ნივთი ეკუთვნის.

აქ უნდა შევნიშნოთ: ერმაკოვის სურათები ორგვარის ნომრების სათვალავით არის აღნიშნული. ერთი მარცხნივ უფრო რთულით, მეორე მარჯვნივ უფრო მარტივით; ჩვენ ვუჩვენებთ საზოგადოთ მხოლოდ რთულს, რომელიც მარცხნით არის აღნიშნული, მაგრამ როდესაც ეს ნომერი არა სჩანს ან ჩვენს ცალზე არ არის აღნიშნული, მაშინ ვუჩვენებთ მარტივ სათვალავს და წინ ვუსვამთ ასეთ ნიშანს: №-. სამწუხაროდ ზოგიერთი სურათი აღუნიშნავი რჩება. ამის მიზეზია შემდეგი: როდესაც ჩვენ სურათები მივიღეთ ერმაკოვისაგან, ზოგიერთ სურათზე ჯერ კიდევ არ იყო ნომერი აღნიშნული; ამას გარდა ზოგიერთი ფოტოგრაფია, რომელზედაც რამოდენიმე ხატიჯვარი თუ სხვა ნივთი იყო გადმოღებული, ჩვენ დავსჭერით და ცალ-ცალკე სურათად ვაქციეთ, ხოლო ნომრები აღარ აღგვინიშნავს იმ თავით და ეხლა მოკლებული ვართ საშვალებას ეს აღვნიშნოთ. მაგრამ საბედნიეროდ ასეთი სურათები, რომელთა ნომრები არა მაქვს ნაჩვენები, ცოტაა და მათი მიგნება ერმაკოვის კოლექციაში ადვილია ჩვენი აღწერილობის საშვალებით და თემების და ეკლესიების ჩვენებით თვით სურათებზე.

ამრიგად ეს გამოცემა მრავალ მხრივ ნაკლოვანია. ნაკლულოვანია თავდაპირველად მით, რომ უსურათებოდ გამოდის. სურათი აუცილებლად საჭიროა არქეოლოგიური საგნის და ხელოვნების ძეგლის შესასწავლად; კარგი სურათის ერთი თვალის გადავლება უფრო მეტს წარმოდგენას გვაძელევს საგანზე, ვიდრე მისი დეტალური აღწერა. ნაკლულოვანია ეს გამოცემა მითაც, რომ ჩვენ არა გვაქვს ხუცური შრიფტი, რომლითაც უნდა აწყობილიყო წარწერათა ტექსტები; არა გვაქვს აგრეთვე სხვა და სხვა ზომის მხედრული შრიფტიც. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც სასარგებლოდ მიგვაჩნია ეს შეკვეცილი გამოცემა: ნათქვამია – სულ არარაობას ცალი უღელი ხარი სჯობსო.

სვანეთში მოგზაურობის სიძნელეზე, უგზოობის გამო, მეტია ლაპარაკი; ეს იმას შეუძლია წარმოიდგინოს, ვისაც ეს გზები ანუ, უკეთ ვთქვათ, უგზოობა გამოუცდია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მაინც უკეთეს პირობებში მოვხვდით: იმავე ზაფხულს კავკასიის „ნამესტნიკის“ თანამშემწე ვატაცი მიემგზავრებოდა სვანეთში, რომ ეს მხარე დაეთვალიერებინა და მკვიდრთა საჭიროებას ადგილობრივ გაცნობოდა. ეს არა-ჩვეულებრივი მოვლენა იყო: რუსეთის მმართველობის დამყარებიდან არც ერთს დიდ ადმინისტრატორს ფეხი არ დაუდგამს სვანეთში. ეს მხარე ერთ „პრისტავის“ ამარად იყო მიგდებული; იშვიათად თუ მაზრის უფროსი გამოჩნდებოდა იქ ლეჩხუმიდან (სვანეთი ლეჩხუმის მაზრაზე იყო მიწერილი). დაიწყეს სიჩქარით გზის შეკეთება ვატაცისათვის ლათფარის ზეკარით (უღელტეხილით), და ჩვენ ამ შეკეთებული გზით ვისარგებლეთ, ვინაიდან გავემგზავრეთ ორი კვირით წინ ვატაცისა.

სვანეთში ორი გზა მიდის: ერთი ლეჩხუმიდან, ქალაქ ცაგერიდან, ჯერ ქვემო სვანეთში, ცხენის წყლის ანუ სადადიანო სვანეთში, შემდეგ ლათფარის ზეკარით ანუ უღელტეხილით ზემო სვანეთში ანუ ენგურის სვანეთში. ამ გზით სარგებლობა

შეიძლება მხოლოდ ზაფხულში; სხვა დროს გზა შეკრულია დიდი თოვლის გამო. მეორე გზა მიდის სამეგრელოდან, სოფელ ჯვარიდან, მდინარე ენგურის ნაპირით, სადადეშკელიანო სვანეთში, და შემდეგ თავისუფალ სვანეთში. ეს გზა საუკეთესოდ ითვლება და დიდის გაჭირვებით მისვლა-მოსვლა აქედან ზამთარშიც წარმოებს. სწორედ აქედან იყო არა ერთხელ ცდა გზის გაყვანისა, მაგრამ რუსის ხელისუფლებამ ეს ვერ შესძლო ასი წლის განმავლობაში. მათი გაკეთებული გზა პირველ წყალდიდობამდის სძლებდა, მერმე ისპობოდა ნიაღვარისაგან. ასე მოხდა 1910 წელსაც. ვატაცი დარწმუნებული იყო, რომ იმავე წლის სექტემბრისათვის საფოსტო გზა მზად იქნებოდა სოფელ ჯვარიდან სვანეთში. ეს მე მან თავმომწონედ გამიცხდა წასვლის წინ სოფ. ოქრო-ყანაში, სადაც ის სააგარაკოდ იყო. როდესაც მე ეჭვი გამოვთქვი, ცოტა არ იყოს, იწყინა. ხოლო შემდეგ, როდესაც თავის თვალით ნახა, რომ იქ არავითარი ახალი გზა არ იყო, არამედ ძველი ზერელედ შეკეთებული, მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა; ინჟინრის სამართალში მიცემამ საქმეს ვერ უშველა. აუარებელი ფული დახარჯული იყო და სვანეთი კვლავინდებურად უგზოდ დარჩა.

ჩვენ ქუთაისში მოვიმარაგეთ ყველაფერი, რაც საჭირო იყო მგზავრობისათვის, და ჩვეულებრივად ალპანამდის „ლინეიკით“ გავემგზავრეთ. ქუთაისში ჩვენ შემოგვიერთდა ჩვენი მეგობარი გიგო დიასამიძე, რომელიც თავის ქალით მიდიოდა ლეჩხუმში სააგარაკოდ. ბატონმა გიგომ ერთი კარგი სამსახური გაგვიწია; მან გვასწავლა გზა ლაბეჭინაში მისავალი: მას ის წინა წელში ენახა. ლაბეჭინა ფრიად საინტერესო აღმოჩნდა თავის სიძველეებით.

ეხლანდელი ალპანა (ვახუშტის გეოგრაფიით, არპანი) ლაბეჭინის სახარების მინაწერში არპანა-დ არის ცნობილი; იმავე წერილიდან ვტყობილობთ, რომ აქ ძველად გაბრიელ ლაბეჭინელს აუგია ქვის ეკლესია, შიგან მოუხატავს და მოუკაზმავს, შეუმკვია ხატებით და წიგნებით, აუშენებია ქვითკირის სახლები, ბეღელნი, მარანი და სხვა. მაგრამ ამ შენობებიდან ეხლა აღარაფერი არ შენახულა. ძველი ეკლესიის საფუძველზე ეხლა პატარა, ახალი, ქვის ეკლესია არის აშენებული, ხის გუმბათით, წმიდა გიორგის სახელობაზე; ეკლესიაში მოიპოვება ხატი წ¯ა გიორგისა, წამლით დახატული, ვერცხლის აშიით შეჭედილი და ასომთავრულის წარწერით: წ ¯ა გ ¯ი. წმიდა გიორგი წარმოდგენილია ცხენით, ვეშაპს გმირავს შუბით. ხელობა ახალია, მე-19 საუკუნისა; ახალია აგრეთვე მეორე ღვთის მშობლის ხატი, წელს-ზევითი, წამლით დახატული. უფრო საყურადღებოა დაფარნა ოქრომკერდით ნაკერი, რომელზედაც წარმოდგენილია ქრისტე, ბერძნულის წარწერით სახელისა.

ალპანაში ღამე გავათიეთ ცნობილ ალპანის დუქანში, რომელიც გაშენებულია რიონის ნაპირზე იქ, სადაც მდ. ლაჯანურა (მეორე სახელით აჭარის წყალი) შეერთვის რიონს. აქ ყოველთვის იშოვება განთქმული ყიფიანის ღვინო და ხშირად ცოცხალი თევზიც. მეორე დღეს გავემგზავრეთ ლაბეჭინაში; გზად გავიარეთ საირმეში და აქედან დაიწყო ჩვენი მუშაობა.

ვინემ ამ მუშაობაზე დავიწყებდეთ საუბარს, ვალად ვთვლით ჩვენს თავს გულითადის მადლობით მოვიხსენიოთ ყველა ის პირნი, რომელთაც ჩვენ პატივი დაგვდვეს, ხელი შეგვიწყვეს და დაგვეხმარენ ჩვენი მუშაობისა და მოგზაურობის დროს.

ლეჩხუმში დიდი სამსახური გაგვიწია ლეჩხუმის „ბლაღოჩინმა“ მარგიანმა. მან მიგვიღო თავის სახლში, ცაგერში და იქიდან თავისი თანხლებით მოგვარონია

უმეტესი ნაწილი ლეჩხუმის ეკლესიებისა. თავისუფალ სვანეთში ჩასვლისას შემოგვეგება აწ განსვენებული სვანეთის „ბლაღოჩინი“ ბესარიონ ნიჟარაძე, რომელიც კარგად ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში თავისი საყურადღებო ეთნოგრაფიული წერილებით. ის სწერდა ფსევდონიმით: „თავისუფალი სვანი“. ბესარიონი მოვიდა ჩვენთან სოფელ კალაში და გვირჩია მასთან წავსულიყავით პირველად სოფ. მესტიაში, რომელიც შუა ადგილია ენგურის სვანეთისა, იქ დავბინავებულიყავით და იქიდან დაგვეწყო ექსკურსიები სხვა და სხვა სოფლებში. ჩვენც აგრე მოვიქეცით. ცოტა ხნით, როდესაც ვატაცი მოვიდა სვანეთში, ის მას ეახლა და როდესაც გაისტუმრა, მერმე თავის მკვირცხლის და სიმპატიურის შვილით, კუკურით, (მაშინ გიმნაზიის მოსწავლე იყო) ჩვენ არ მოგვცილებია, ყოველგან დაგვყვებოდა, ცდილობდა ყველაფერი ეჩვენებინა. არაფერი არ დაგვრჩენოდა უნახავი. მისი დახმარებით და შუამდგომლობით შევიძინეთ ჩვენ ბევრი ხელნაწერი და ნივთი. დიდი პატივი გვცა აგრეთვე, როდესაც სოფელ ეწერში მივედით, ოთარ დადეშკელიანმა და მისმა მეუღლემ, აწ განსვენებულმა; ოთარი დიდათ დაინტერესებული იყო ჩვენის მუშაობით, გადმოგვცა რამოდენიმე ხელნაწერი, გვაახლო თავის კაცები და საშვალება მოგვცა კარგად მოგვეარა ეწერის არე-მარე. მისი ძმა თათარხანი, ცნობილი პატრიოტი, რომელიც ჩვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში იღებდა მხურვალე მონაწილეობას, მაშინ უკვე ცოცხალი აღარ იყო. მისი ისტორიული წერილები და მასალები ოთარმა გადმოსცა ჩვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. აგრეთვე დიდი პატივი გვცეს და ხელი შეგვიწყეს განსვენებულმა ლევან დადეშკელიანმა და მისმა ძმამ ჯანსუყიმ. ლევანი, როგორც მოგეხსენებათ, წინამძღოლი და მოთავე იყო რევოლუციის მოძრაობისა სვანეთში 1905 წელს, ხოლო მეორე რევოლუციას, 1917 წ. ის მსხვერპლად შეეწირა. ნეტარ იყოს ხსენება განსვენებულთა, რომელთაც ჩვენს ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს ანუ ხელი შეგვიწყვეს და დახმარება გაგვიწიეს; დღეგრძელობა და მადლობა მათ, რომელნიც დღეს კეთილად ცხოვრობენ. განსაკუთრებით ჩვენთვის სამწუხარო და სავალალოა დიდებული ქართველის, გულწრფელი პატრიოტის და დიდათ სათნოიანი ადამიანის პავლე იოსების ძის თუმანიშვილის უდროოდ გარდაცვალება. ის გარდაიცვალა ემიგრაციაში, პოლონეთში, შევიწროებული ნივთიერად. საუკუნოდ დარჩება ხსნება ამ წარჩინებული მოღვაწისა და ადამიანისა ჩვენში[1].

---

[1] მისი საზოგადო მოღვაწეობა და განსაკუთრებით მისი ამაგი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი“ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“, იანვარი, 1936 წელი, № 109, გვ. 12-13) და აქ აღარ ვიმეორებთ.

ნ ა წ ი ლ ი I

ლ ე ჩ ხ უ მ ი

სოფელი ლაბეჭინა.

ალპანიდან ჩვენ გავემგზავრეთ ლაბეჭინაში, რომელიც რვა კილომეტრით შორავს ალპანას. გზად გავიარეთ საირმეს სოფელში და გავშინჯეთ მისი ახალი ეკლესია. გზა ალპანიდან საირმემდე სულ აღმართ-აღმართ მიდის; საირმედან ლაბეჭინამდის აღმართი ისე ძლიერი აღარ არის.

ეკლესია ლაბეჭინისა, ცაგერის შემდეგ, საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს მთელს ლეჩხუმში. აქ წინად მონასტერი ყოფილა, ეხლა სამრევლო ეკლესია არის, მაგრამ სოფელი ახლოს არ ახლავს. ტაძარი აშენებულია მთის მაღალ სერზე, რომელიც მიჰყვება რიონის მარჯვენა ნაპირს. აქედან თქვენს თვალს წინ იშლება საუცხოვო პანარამა მწვანით შემოსილი რიონის ხეობისა. (ფოტ. №17385).

ეხლა ამ ეკლესიის სახელია ლაბიჭინა, მაგრამ ვინაიდან ძველ წყაროებში ლაბეჭინა სწერია, ჩვენც ამ სახელწოდებას ვხმარობთ.

ლაბეჭინა მოხსენებულია ორს ხელნაწერში, მაწიეთის ეკლესიის მარხვანში 1566 წლისა და საეკლესიო მუზემის ტყავის ხელნაწერში მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნისა, №388, რომელიც შეიცავს თეოდორე აღმსარებელის სიტყვებს. პირველ ხელნაწერს აქვს შემდეგი მინაწერი მერმინდელის ხელით:

„ჩვენ ყ¯ დ სამღვდელო ცაგერელ მიტროპოლიტმან იოანე შემოგწირეთ ს ¯ლთა განმანათლებელი მარხვანი ესე ლაბეჭინის მთავარ-ანგელოზის ეკლესიას სულისა ჩვენისა საოხად“.

ეს მინაწერი ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს. იმ დროს ცხოვრობდა ცაგერელი იოანე, დადიანი კაცია მეორის ძე, რომელიც პირველად ცაგერელი იყო და შემდეგ 1792 ჭყონდიდელი. მოჰყავს რა ეს ცნობა დ. ბაქრაძეს, ის შენიშნავს: „ლაბეჭინის ეკლესია მთავარ-ანგელოზთა ჩემთვის უცნობია, მაგრამ ის უნდა მდებარეობდეს სადმე სამეგრელოს სამფლობელოში“ (იხ. დ. ბაქრაძის „მოგზაურობა გურია-აჭარაში“, გვ. 215). მეორე ხელნაწერის მინაწერიდან მეჩვიდმეტე საუკუნისა ვტყობილობთ, რომ ხელნაწერი ეკუთვნოდა ლეჩხუმის მონასტერს ლაბეჭინას და წაეღო რუსეთში ბერს ევდემონს, კირილეს მონასტერში, სადაც ის დატყვევებული ყოფილა და ეს წიგნი დარჩენილა მასთან და მორჩილ ლაზარესთან 1667 წლიდან 1671 წლამდის (იხ. თ. ჟორდანიას „აღწერა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა“, წიგნი პირველი, გვ. 381). ამ ცნობების გარდა ლაბეჭინის შესახებ სხვა არაფერი არ ვიცოდით, არც მისი მდებარეობა, არც მისი სიძველენი.

ლაბეჭინა საკმაოდ დიდი ეკლესია არის, მოგრძო, ოთხკუთხედი, სიონურის რიგისა, უგუმბათო, ერთ-ნაოსიანი; ნაშენია თლილის ქვით და ეტყობა მრავალჯერ შეკეთებულია. უკანასკნელი შეკეთება განუცდია ოცი წლის წინეთ, ვიდრე ჩვენ ვნახავდით, და მაშინ მოუშლიათ ძველი ქვის კანკელი, რომლის სვეტები და ქვები

ეხლა ჰყრია ეკლესიის ეზოში, და მის მაგიერ გაუკეთებიათ ახალი ხის კანკელი. ეკლესია დახურულია ეხლა ყავრით, მაგრამ წინეთ, ეტყობა, ქვის ლორფინით ყოფილა დახურული. თავი მასსა ეხლანდელი ეკლესიისა უნდა ეკუთვნოდეს მე-13-14 საუკუნეს, როდესაც გაბრიელ ლაბეჭინელს ხელმეორედ აუგია აქ ეკლესია ძველი ეკლესიის სრულიად განადგურების შემდეგ უსასტიკესი მიწისძვრის გამო. წინეთ ეკელსიას ჰქონია ეკვტერები სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, მაგრამ ეხლა ყველა ესენი განადგურებულია და თითქმის აღმოფხვრილი; დარჩენილია მხოლოდ მეოთხე ეკვტერი სამხრეთ-დასავლეთის მხრით, ყველაზე გვიანი; ხოლო დღეს ისიც დიდათ დაზარალებულია: სახურავი და თაღი ჩამონგრეულია და ნანგრევებს დაუფარავს საფლავი ეკვტერის მაშენებლისა. ჩვენს დროს ეკვტერი არ იყო ჯერ კიდევ ნანგრევისაგან გაწმენდილი.

აღმოსავლეთის ფასადი ეკლესიისა გამშვენებულია ორის მაღალის უბით, მომრგვალებული თავებით, ხოლო შუაში ფანჯარაა აგრეთვე მომრგვალებული თავით. როგორც უბეები, ისე ფანჯარა შემკობილია ორმაგი მოჩუქურთმებული ნახევარ სვეტებით; ყველა სვეტებს ჩუქურთმიანი სვეტის თავები აქვთ და ქვემოდან ოთხკუთხედი კვარცხლბეკები სხვა და სხვა რიგად და ლამაზად მოჩუქურთმებულნი. ფანჯრის შუა ნაწილიდან ქვემოდ ეშვება სამმაგი ჩუქურთმიანი ზოლი ნახევარი სვეტებისაგან შემდგარი, რომელიც თავდება ოთხკუთხედი კვარცხლბეკით. კვარცხლბეკზე ჩუქურთმიანი ლამაზი ჯვარია გამოსახული. ფანჯარა შეკეთების დროს გაუფართოებიათ, მაგრამ ფანჯრის თავის ლამაზი ჩუქურთმა დაცულია. თვით კონცხში აღმოსავლეთისა ყოფილა ჩუქურთმიანი ჯვარი, რომელიც ეხლა გაფუჭებულია; დაზიანებულია აგრეთვე ასეთივე ჯვარი, რომელიც, ეტყობა მარცხენა უბეში. მარცხენა მხრით აღმოსავლეთის ფასადისა, კუთხეში ემჩნევა ნიშნები ასომთავრული წარწერისა: ნ ი / ვ ნ/ ვ.

აღმოსავლეთის ფასადი იხ. ფოტო №17382.

დასავლეთის ფასადი შემკობილია ჩუქურთმებით ირგვლივ დასავლეთის კარისა და მომრგვალებული ფანჯრისა ორმაგი ნახევარ-სვეტებით (ფოტ. №17384), ხოლო კონცხში დაცულია ჩუქურთმიანი ჯვარი.

სამხრეთის ფასადის ოთხკუთხედი კარი მორთულია ირგვლივ ჩუქურთმებით და ნახევარ-სვეტებით (ფოტ. 17380): ზემოდ მოჩანს ქანდაკება მამაკაცისა და დედაკაცისა, რომელნიც ხელებს უშვერენ ერთმანეთს; ქანდაკება ვერ არის ლაზათიანი; ქვემოდ გამოქანდაკებულია სტილიზაციით მხეცი, მოგრძო ფრჩხილებით ფეხებზე და წამოტარახინებული კუდით (ფოტოგ. №16764). ამის ქვემოდ კიდევ გამოქანდაკებულია ქვაზე მარაო.

შიგნით, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები დაყოფილნი არიან სამ-სამ თაღად; საკურთხეველში ორი უბე მოჩანს. ტრაპეზი შუაშია აგებული; კედლები ტაძრისა მოხატული ყოფილა ფრესკებით, მაგრამ ეხლა თითქმის აღარაფერი დარჩენილა.

სამხრეთ-დასავლეთის ეკვტერს შესავალი დასავლეთიდან აქვს და აქედან მეორე კარს მიჰყავხართ დასავლეთის ეკვტერში. ამ კარს ზემოდ ქვაზე გამოქანდაკებული ჯვარი ამშვენებს და სანახევროდ გადასული ასომთავრული წარწერა (ფ. №17381). სიტყვები და ასოები, რომელნიც აღარ მოსჩანან და ჩვენი აზრით ვუმატებთ, ჩასმულნი არიან ფრჩხილებში.

წ. (1) : ნებითა : ღმრისათა

აღვაგეთ :. ეკუდრი ესე
ჩუენ:. ინასარიძემან:. [გიორგიმ]
და თანა :. მეცხედრემან ჩემმან ჩხეტიძ
ის :. ქალმა :. ანა[მ]
მ-ჴსნელად ცოდვილისა [სულისა]
ჩვუნისათუის აწ [ვინცა და რომანცა]

ძემან : კაცისამან ან [დიდმან]
ანუ :. მცირაე :. მან :. ჩუ ...

---

1) დედანში ასო „წილ-ქანი“ უზის, მგრამ ვინაიდან ასეთი ასო არა გვაქვს, ამიტომ ჩვენ აქაც და სხვა ასეთ შემთხვევებში მარტო წ-ს ვტოვებთ.

დანარჩენი ნაწილი წაბღალულია და თუმცა ზოგიერთი სიტყვები და ასოები განირჩევიან, მაგრამ ვინაიდან სრულის აზრის აღდგენა ძნელია, ამიტომ აღარ მოგვყავს, მით უმეტეს, რომ ტექსტი ჩვეულებრივი წყევლის დასასრულია.

ეკვტერი სასაფლაო ყოფილა გიორგი ინასარიძისა, მაგრამ საფლავი დაფარული იყო ჩამოწოლილი თაღის ნანგრევებით და ადგილობრივმა მღვდელმა ბოჭორიშვილმა საფლავის წარწერა, ხელით გამოღებული, მომაწოდა უკვე ტფილისში დაბრუნების შემდეგ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუცხადებთ. მოწოდებული წარწერა გადაბმული ასომთავრულით არის შესრულები და იკითხება ასე:

ღო. შეიწლე ფდ: ცდვლი: ინსრიძე: ესე არს: გნსს-ნბლი:
ჩი: უკი: უკ-ე: ამს დვემკუდრო:
რ: მთნვს: ესე ნტრრს: გზა: ესე რსა: წრსმრთებ-ლ
ხ-რ: შნ: გბი: გი: უ: დბდ: შ-ნდა,
უქარაგმოდ:

ღმერთო, შემიწყალე ფრიად ცოდვილი ინასარიძე, ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე. ნეტარ არს გზა ესე, რომელსა წარმართებულ ხარ. შენ გევედრები გიორგი, უფალო, დიდებაჲ შენდა.

ჩრდილოეთის კედელზე მოჩანს აქა-იქ ასომთავრული წარწერები. სულ ქვემოდ:

ქ-ე შ-ე კ-ე ჩოპე	ქრისტე, შეიწყალე კონსტანტინე (ანუ
რი და ნთლ	კვირიკე) ჩოპერი და ნათელ
დეფ-ლი	დედოფალი (ანუ დეოფალი).

ნათელ დედოფალი ჩვენ ერთი ვიცით, მეფის დიმიტრი მესამის მეუღლე (1289), გიორგი ბრწყინვალის დედა; მაგრამ არა ვგონებთ, აქ იმაზე იყოს საუბარი. უფრო საგულისხმოა „დეოფალის“ წაკითხვა. ამ ხარისხს ერისთავის ცოლები ატარებდენ. აქ ჩოპერის ცოლი უნდა იგულისხმებოდეს.

ამის ზემოდ:
ქ-ე შსყ-ლენ ივნე და
გბრლ გალოტზ
ნი

ამის ზემოდ:

ქრისტე, შეიწყალენ ივანე და

გაბრიელ გალატოზ-ნი

ქ-ე შ-ე ად. . .

სამხრეთის კედელზე, რამოდენიმე ადგილას, მოჩანს ნაშთები წარწერებისა, გადასული თუ კირით შეთხუპნული. ზოგი მათგანი დამალული ყოფილა წინეთაც შემდეგ დროის მიშენებულის ეკვტერებისაგან. ამათში ერთი მოიპოება მარჯვნით.

სამხრეთ-დასავლეთის ეკვტერისა: . . . ჲრდა ქ-ი / . . .ერს მთავ/ . . . მა დვ-ილიე/.:: ბლდ ნა ამ-სი.

მეორე წარწერა ამის ქვემოდ არის:

ამის [ეკლ]ესისა შენე. . . /გითხ[ვთ] მ-ქლ ფ-ლთა/გლტ-ზთა . . . ან.

წარწერების ნარჩენები ეტყობა დასავლეთ კედელზეც. ერთი წარწერიანი ქვა თავუკუღმაა ჩატანებული კედელში:

ქ-ე შ-ეჲ ლ/მგ.

მეორე ადგილას ოთხი სტრიქონის უკანასკნელი ნაწყვეტი მოსჩანს:

. . .ომთა/. . არანე/ ბერა/ აფქსძე (აფაქისძე)

ფანჯრის ქვემოდ:

. . . შეიწყალე/ . . . რეანუშ (?).

ჩვენ დრო არა გვქონდა წარწერები გაგვერეცხა, კირი მოგვეცილებინა, თორემ მეტის ამოკითხვა შეიძლებოდა. ეს შემდეგ მკვლევართათვის მიგვინდვია. ფოტოგრაფიები: აღმოსავლეთის ფასადის №17382, სამხრეთის კედელი და კარი – 17380, ეკვტრის კარი, წარწერით – 18381, დასავლეთის კედელი და ფანჯარა – 17384. ეკლესიის გეგმაც გვაქვს ხელში.

ნივთები ლაბეჭინის ტაძრისა.

1. **სახარება ოთხთავი.** ეხლა ლაბეჭინაში მარტო ერთი ხელნაწერი ტყავის სახარებაა დარჩენილი; წინეთ ბევრი ხელნაწერი ყოფილა, ზოგი დამპალა, ზოგი ფურცლებ-დაშლილი ყოფილა. 25 წლის წინეთ, ჩემს იქ მისვლამდის, მნათეს ეს ხელნაწერები რომელიღაც კუნჭულში დაუმარხავს მიწაში, თვით ეკლესიაში. მნათე გადაცვლილა და აღარავინ იცის, თუ რა ადგილას არის დამარხული ხელნაწერები.

ლაბეჭინის სახარება, in quarto, 24X18,5 სანტ., დაწერილია ეტრატზე ნუსხა ხუცურის ხელით, ჩვენის აზრით, მეცამეტე საუკუნისა, ორ სვეტად. სვეტზე 22 სტრიქონია. სათაურები და მეთაური ასოები ნაწერია წითლურით, სხვა შავის მელნით. ყდა ხისა აქვს, მიხაკისფერ ტყავ-გადაკრული, რომელზედაც ჩაჭრით გამოხატულია სახარების სცენები. წინა პირი შემკობილია კიდევ ვერცხლის ლურსმის თავების სახით ჯვარედინად. ხელნაწერი შემკობილია ოთხ მახარობელთა ფერადიანი სურათებით, რომელნიც ცოტა დაზიანებულნი არიან (იხ. ფოტ. №№ 16800, 16802, 16997). იოანეს სახარების ბოლოს ტექსტში მოყვანილია გიორგი მთაწმინდელის ანდერძი, რომელიც იწყება ასე:

„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაჲ ოთხთავი ჩვენ ახლად გვითარგმნია“. . .

ამის შემდეგ ტექსტისავე ხელით არის ბოლოსიტყვაობა (№ 16806):

დბ- ჲ და მდ-ლი ღ-ა ყ-თა
კთ- ლთა მიზეზსა : -
სრ-ლ იქმნა წ-ჲ ესე
ოთხთ-ვი. თრგმნილ
ნი. გ-ი მთაწ-დლის-ნი : -
მე ს-ლთა სწყლბლ
მ -ნ. . . . . (1) :.
უჴისძემ- ნ : მო
ვიგენ წ -ნი ესე ოთ
ხთ- ვნი. სალცვე
ლად სლისა ჩ -ისა
და მშბ- ლთა ჩ- მთა
და [ძ]მ- თა ჩ-მთა . . . . . (1)
. . . . . (1)
მშობელსა შეუნდვნეს
ღ -ნ ა-ნ : -
დაიწერნეს ჴ- ლითა

1) ეს ნაწილი ამოფხეკილია

დვალ გ- ისითა შეუნ
დვნეს ღ-ნ. მწირსა
და ც- დვილსა :.
ამ- თ ოთხთ- ვთა ეტრა
ტისა შემქ- ნელსა, სუფსა
შ- უნდვნეს :. - ღ- ნ.

მთელი ეს ბოლოსიტყვაობა და გიორგი მთაწმინდელის ანდერძის დასასრული გადმოღებულია (იხ. ფოტ. 16806).

შემდეგ არის მშვენიერად შედგენილი საძიებელი დღიურ-საკითხავებისა შემდეგი სათაურით:

გ- ნგებ- ჲ: სხრბ- თა : სძიებ- ლისა : წელიწდისა : დღსს-
წ- ლთა : ვითა ძ- ვლს : სჯნაქს-რი : წესსა ზ- ა : ბერძულსა :
სრ- ლებით :

პირველ გვერდზე ხელნაწერისა არა ტექსტის ხელით კვინკლოსია მოყვანილი, შემდეგ ერთი ფურცელი აკლია და მერმე ტექსტის ხელით მათეს სახარების თავების ნუსხაა და ამის ბოლოს სწერია:

ქ- ე : ღ- თისა : ძ- ლო : შემეწიე : უძლორსა : გიორგის : მწირსა :

შემდეგ სხვა ხელით მოყვანილია: „კალანდაჲ თქმული ეზრაისი?“, რომელიც იწყება ასე:

ოჯკ- თუ დადგეს იანვარი დღესა კჯირიაკესა : ზამთარი იყოს ნოტია ზაფხული და არე ქარით და ჴმელ იყოს ნყ-ფი კეთილ სთუჭლი მცირედ თაფლი ფ- დ ცხოვრთა შუჭბა : –

მათეს სახარების ბოლოს სხვა ხელით მოყვანილია „ზედნადებნი ქრონიკონისნი“. აქ არის წინასწარმეტყველება ზედნადების რიცხვის მიხედვით. დასაწყისი:

უკ- თუ იყოს ზ ̄ანდები ია: მ- ს წელიწადსა იყოს ზამთარი
თოვლიანი ყინელი მავნე : ფბრვლისა კიდეგ-ნ კარგი იყოს:
და მოჴმელე გაზაფხული წჴმიან : ზაფხული ჴმელი :
სთუᲬᲚი ნოტია : თ- ვა ძჴრად : მთანი : სჯობდენ
ბარნი ზოგად ჩრდილოჲ კ- თლ : ზამთრის ყინელმ- ნ ვე-
ნაჴსა ავნოს : თაფლი და ნაშრომი მცირედ : ფბრვ- ლსა :
ბ : დაბნელდეს მზე : და ივნისსა კზ :

ეს სტატია გაგრძელებულია კიდევ მარკოზის სახარების ბოლოს. შემდეგ მოყვანილია წინასწარმეტყველება ძვრისა და ქუხილის გამო. დასაწყისი:

იანვარსა თუ იქუხნეს იფქლისა და ღჴნისა სავსებაჲ იყოს
თუ იძრას ერთობით ყ- ლსა ქ- ყნსა სიკ- დილი იყოს :.

იოანეს სახარების თავების ნუსხის შემდეგ მოყვანილია წესი მონაზონთა კურთხევისა.

სულ ბოლოს სახარებისა არის ფრიად საყურადღებო ვრცელი წერილი გაბრიელ ლაბეჭინელისა, თუ როგორ აუშენებია მას ლაბეჭინის ეკლესია სასტიკი მიწის ძვრისაგან განადგურების შემდეგ. ეს რასაკვირველია სხვა ხელით არის დაწერილი ერთ სვეტად ნუსხა ხუცურით, არა უგვიანეს მე-13-14 საუკუნისა. ამ წერილს თავში აქვს შესავალი წითლითურთ დაწერილი, რომლისაგან ცხადდება, რომ ყოფილა დაწერილი ისტორია ლაბეჭინელთა წინამძღვრების მოქმედებისა, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია. სამწუხაროდ, უკანასკნელი ფურცლები წერილისა დაკარგულა და ამას გარდა ბოლოში 12 სტრიქონი სულ გაფუჭებულია და აქა-იქ ცალკე სიტყვების მეტი აღარაფერი იკითხება. მოგვყავს ეს შესანიშნავი წერილი, რომელიც, სხვათა შორის, საყურადღებოა სააღმშენებლო და სამხატვრო ტერმინოლოგიისათვისაც:

ესე რ- ჲცა მ- თ ს- ლკხ- ლთა : ლ- ბეჭინელთა მოძღრთგ -ნ.
მოჭირვებული და შენებ- ლი :. ყოფილა : მ- თ ყ- ლთგ -ნ
თითოეულ- დ აქა დაწერილა. ამას ადგილსა ზ- ა:.

ეს არის შესავალი წითლითურთ ნაწერი. შემდეგი ტექსტი მოგვყავს ქარაგმების გახსნით და ჩვეულებრივის ნიშნებით. დასაწყისი და შემდეგი ნიმუში ტექსტისა იხ. ფოტო №№16807, 16808.

მათად შემდგომად მე გაბრიელ ლაბეჭინელი დავრჩი.
ვიდრემდის ჩემი გამზდელი ცოცხალი იყო, რაჲცა შემეძლო,
ეკლესიისა სამსახურსა და პატრონთა სამსახურსა
და სხუასა ყუელასა მეცა ვიქმოდე, რაჲ ცოდვათა ჩემთაგან
იგი მიიცვალა, მაშინცა მევე მიბრძანეს ამის ადგილისა
პატრონთა ყუელათა წ- თა მთავარ ანგელოზთა
სამსახური და თჳთ მათ(ი) სამსახური ; რაჲცა ჩემსა ძალსა და
ღონესა დაეტეოდა, ყოვლითა მოწყობილობითა მოვაწყე,
ჰასრე რომელ არათა თანაჲ არაჲ არ აკლდა. ამას

შინა მრავალნი ჟამნი და წელიწადნი გარდაჴდეს და
ცოდვათა ჩუენთა ღმერთმან მოაგო და მოიწია დიდი და
საშინელი ძრვაჲ. მათ პირველთა ლაბეჭინელთა[1] მო-
ჭირვებული და შენებული და თჳთ ჩემი ყუელაჲ ერთ-
სა დღესა საფუძველითურთ დაირღუა. შიგან ეკლესია-
სა, რაჲცა ხატნი იყვნეს და მოწყობილებაჲ, დაილეწნეს
და იავარ იქნეს. გარეთ ნაშენებიცა ყუელაჲ. ამას
ყუელასა ზედა შეგუწქნა შეჭირვებაჲ და წუხილი, რაჲმ-ცა
ვქმენით, არაჲ ვიცოდეთ, და არავინ ეჭუდა რგებასა ამის ადგილისასა, და არცა
ვის ეგონა, თუ ლაბეჭინის ქვაი
ქვასა ზედა გაღაედებისო. და არცა თჳთ მე
დადგომაჲ გამეგო. მერმე მოვეგე გონებასა, მეშინოდა
და მრცხუწნოდა ღვთისაგან და წ- თა მთავარ ანგელოზ-
თაგან და ყოველთა კაცთაგან. ვევედრე და შევეხუეწე
ღმერთსა და ამათ წ- თა მთავარ ანგელოზთა: „უკეთუ ჯერ
გიჩნდეს ჩემგან შენებაჲ თანადგომითა და შეწევნითა
თქუენითა, მიბოძეთ გამარჯუწბაჲ, რათა წ- თა მთავარ
ანგელოზთა საყდარი აღვაშენო“. ყვეს წყალობაჲ და
თანადგომაჲ ჩემზედა, ჴელვყავ შენებად და მოვასხენ
გალატოზნი თორმეტნი ერთსა ზაფხულსა და ვშრომე,
რაჲცა ძალმედვა და გავეც ფასად, რაჲცა ღმერთსა ებოძა
ჩემთჳს მაშინ. მეორესა ზაფხულსა მოვასხენ ცემეტნი
გალატოზნი და ეკლესიაჲ ზედა შევკარ მას ზაფხულსა.
შეუნდვნეს ღ- ნ დედოფალთ დედოფალსა, ვახტანგის

1) თავიდან აქამდე ტექსტი გადაღებულია (იხ. ფოტო. №16807).

(ვნის[1]) დედასა რუსუდანს: მის ჟამისა შენებისათჳს
გალატოზთა ზედა ფასი მან გასცა, ცოთაჲ მეცა
შევეწიე მაშინ. მოვასხენ კულავცა გალატოზნი მესამესა
ზაფხულსა, და მოვარეთ საცურე. გავეც მე ფასი, რაჲცაღა
მქონდა. და სრულ იქმნა ეკლესიაჲ და მოვგლისე
შიგან, და დავდგენ კანკელნი ქვისანი, და გავეც ფასი
მისთჳს. მოვიყვანე მხატვარი. და რაჲცა ხატი დალეწილ
იყვნეს, ყუელაჲ ახლად დავაწერინე. მოვიყვანე ოქრო-
მჭედელი, რაჲცა ხატნი[2] დალეწილ იყვნეს, ყუელაჲ
ახლად მოვაჭედინე, რაჲცა შეიკაზმოდა, შევაკაზმვინე.
ორნი მთავარანგელოზთა ხატნი დიდნი, ერთი ყოვლად
წ- ისაჲ ვედრებისაჲ, ერთი ზე-კანკელითა ყოვლად წ-სა
ვედრებისაჲ, და პეტრე-პავლეთ ხატნი. ესენი ახლად
მოიჭედნეს, სახენი შეეჰკაზმენ, ჯუმლათ თერთმეტნი ხატ-
ნი ახლად მო(ვ)აჭედინე, კანკელთა კარითურთ ოცი ხა-
ტი წამლითა დავაწერინე. ამისსა შემდგომად მოვიყვანე
მხატვარი და მოვახატვიე სრულად ეკლესიაჲ, და გავეც,

რაჲცა მართებდა ფასი ჩემი. ჯუარსა ცხოვრებისასა აკ-
ლია ჯერ(ე)თ შეკაზმვაჲ, და თუ ცოცხალ ვიყო, მისსაცა
შეკაზმვასა ვლამი. მოვახსენ მწერალნი და დავაწერიე
ერთი დიდი ნეტაფრასი, და ერთი სჯნქსარი, მოთხრობია-
ნი ე, ერთი მარხვანი, ერთი საწინასწარმეტყუწლოჲ,
ერთი პირველი ჴმაჲ პარაკლიტონი, ცხრაჲ თუწ, ერთი
სტოდიელი, ერთი ნიკოლოზის ცხოვრებაჲ, და დიმიტ-
რის წამებაჲ და შესხმაჲ, და კონდაკი – სამსგეფსოჲ :.
ამის ყოვლისა ფასი ჩემი გამიცემია. ესე ყოველი წიგნი
შემოსილ არიან, მათთჯსცა ფასი მე გამიცემია. კანკელ-
თა ზედაჲთ რომელ ჯუარცმისა ხატი არს, მისი ფასი რუ-
სუდანვე გასცა. ეკლესისა კარის ბჭენი და [კიდევ] ამას
ქედსა ზედა თუ სახლნი არიან, ანუ ზღუდენი არიან, და
თუ ჭურმანი არს, რაჲცა ჭურჭელი [ჴელსადგი] და
რაჲცა ბეღელნი არიან, რაჲცა შეშის ვოდა, შევკაზმი, და
სხუაჲ ახლად აღვაგე. მრავალნი ქუაბ-საქვაბენი და სხუა-
ნი მრავალნი წურილმალნი ჭურჭელნი, რომელი თითო-
ეულად არ დაიწერებოდა. სამჭედლოჲ ჭურჭელი უკლე-
ბი, ველ-ვენაჯნი და ყანაჲ ურიცხჯ, რომელი მიშენებია,
მომიგია და მიყიდია, აქა ზემოსა აგარასა და კჯრიკე წმი-
დასა რაჲცა მიშენებია და მიმატებია, ორგანვე თჯთ ჩანს,
ქუწმოსა აგარასა საპირუტყუწ სახლნი დავდგენ. უწყის
ღ¯ნ, ვიდრე შემეძლო, ამას ქედსა ზედა შენებაჲ არაჲს
თანაჲ მიკლია, ძალი და ღონე არსაჲთ რაჲ მომწევდა,

1 ამ სიტყვას ქვემოთ აშიაზე შენიშვნა აქვს არა ტექსტის ხელით: „მგ-ნივ : ვახტანგის : დედასა : იტყვის“ (იხ. ფოტ. №16808).

2) სიტყვებიდან: „ყვეს წყალობაჲ და თანადგომაჲ ჩემზედა“, აქამდის ტექსტი გადაღებულია (იხ. ფოტო. №16808)

რასაცათჯს არ ვიჭირვოდე ჩემობასა. ექუსნი გლეხნი მო-
მიგიან ზოგიშს, ოთხნი ტეგიანისეულნი, ერთი ნიკოლო-
ზის ინასარიძისეული ბენმუქის ძე, ერთი საგლეხოჲ
კიდევ ჰამარის ძემან შემოსწირა და მე ზედა კაცი და-
ვასახლე: ჟოშხას ჟოშქოფაჲს ძე და გოგელაური პარ-
ტახტი. ესე ორნი ივანე ქობულისძემან მოაჴსენა ეკლე-
სიასა. საირმეს თურქანაჲსძესა არავინ ემართლების ეკ-
ლესიასა წაღებასა: ამით რომელ გაბისულაჲს ძისა სახ-
ლისა მკუდართა, აქა დამარხულთა, ანდერძი არს, ნა-
სისხლად აღებულია კერძოთაგან, მას საუკუნესა ბრა-
ლია, თუ ვინ წაუღებს. არპანას რომელ მიშენებია და მო-
მიგია, ესე არს: ეკლესია ავაგე. შიგან მოვხატე, და მოვ-
კაზმე, და ხატნი დავასუწნენ. და სხუაჲ წიგნი და რაჲ-
ცა უნდოდა, დავსხენ, ბეღელნი ახლად გამოვცვალენ,
სამნი ახალნია და ორი ძუწლი; ჩემითა ფასითა მიყიდია;

ჭურმარანი შევჰკაზმენ, ოთხი კარგნი საწნეხელნი დავ-
დგენ, [კარგ]ნი რეკუნი. და ზედა აქუს ქჯთკირისა სახლი
საკაცე და საპირუტყუწ. სხუაჲ ჭურჭელი, ქუაბ საქუაბე და
სამჭედური და სხუაჲ, რაიცა ჭურჭელი სახლსა შიგან
ჴამს, ყუწლაჲ უკლებად დამიდგამს, გარეშემო რაჲ-
ცა ზღუდენი არიან და ზღუდეთა შიგნით რომელ ვენაჴ-
ნი და ნაშენებნი არიან, იგიცა მე მიშენებია და მიქნია.
მანდა ზეგანთა ციხისა კერძოთა კაცთაგან ვენაჴნი იყვნ-
ნეს, იგი აქა მკუდართათჳს ეკლესიასა მოაჴსენეს და არს
იგი. სხუაჲ ზოგი მიშენებია და ზოგთათჳს ფასი გამიცე-
მია, უნებლით არავისთჳს ეკელსიასა მოაჴსენეს და არს
იგი. სხუაჲ ზოგი მიშენებია და ზოგთათჳს ფასი გამიცე-
მია, უნებლით არავისჳს წამიღია, ღმერთია მოწამე. ბა-
ღუმელაძის სახლი და მამული ნახევარი შუშანასა სა-
ლოცველად და სააღაპოდ შემოწირულია, ნახევარისათჳს
ე[ქუსასი ბოტინატი ფა]სი პატრონთათჳს მოგჴსენებია
და აწ ეკლესიასა აქუს.

შემდეგ 12 სტრიქონი მოთხუპნულია და ცალკე სიტყვები და ასოები განირჩევა:

. . . ის ძისა მ. . . ად . . . ა . . . ვინცა . . . და . . . აქს ეკლესიასა . .
. . . ხლასად. . . ბოტინატი . . ანუ ფა. . . ესე . . . ნებისათჳს და
საყდრისათჳის გამიცემია. . . გარეთ მოსაღებათა მისნია. . .
კულა რაჲმე . . . მეტი არაჲ შემერთო. . .

გაბრიელის წერილი იხსენიებს დედოფალთ დედოფალს რუსუდანს. ვინ არის ეს დედოფალი რუსუდანი, სინამვდილით თქმა ძნელია. თუ მართლა ის ვახტანგის დედაა, როგორც აშიაზე შენიშვნა უჩვენებს (ფ. №16808 და 16807), მაშინ შესაძლებელია რუსუდანი იყოს მეუღლე მეფის დავით მეოთხე ნარინისა, რომელიც იყო ქალი მიხეილ პალეოლოგისა. მისი სახელი ისტორიას არ შეუნახავს. ვიცით მხოლოდ, რომ ამ ქალიდან დიმიტრის ჰყავდა შვილი ვახტანგ, რომელიც გარდაიცვალა 1292 წელს.

2. **ხატი წმიდა გიორგისა** (ფოტ. №16768), ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, ნაჭედი, 62X48 სანტ. წმ. გიორგი წარმოდგენილია სრულის ტანით, ფეხზე მდგომარე, რომაული სამხედრო ტანისამოსით; მარჯვენა ხელში ლახვარი უჭერია; მარცხენა დადებული აქვს ფარზე, რომელიც ლამაზად შემკობილია. ეზო ხატისა გამშვენიერებულია ვენახის შტოს მსგავსი ხლართულებით. აშია ლურსმული მერმინდელია. ეტყობა ეს ხატი დიდათ დაზიანებულა მიწის ძვრის დროს, ძლიერ დაჭყლეტილა და შემდეგ შეუკეთებიათ, აშია გამოუცვლიათ, მაგრამ ამის შემდეგაც კიდევ დაზიანებულა. დაზიანებულია ნამეტნავად ქვემო ნაწილი; ქვემო აშია აკლია. ორივე მხარეს თავისა უწერია ლამაზი და დიდი ასომთავრულით: „წ-ჲ გ-ჲ“. მეორე დიდი წარწერა ასომთავრულით ჩამოგძელებულია ზევიდან ქვემოდ, მარცხნივ სურათისა, 24 სტრიქონად, მაგრამ წარწერა დაზიანებულია. ქვემო მარჯვენა მხარეს ადგილები ამოგლეჯილია, ასოები აკლია; ამას გარდა სიტყვები შემოკლებით არის წარმოდგენილი. აზრით მიმატებულს ასოებს ჩვენ ფრჩხილებში ვათავსებთ:

1.	ქ : მე : იე	მე იოანე
	: ვნს : ძენ	ვარდენის-ძემან,
	: სთ : ენ : მჭთ	სუანთ(ა) ერისთავმან, მეჭურჭლეთ(ა)
	: ჯნ : და : პრო : სტონ:	უხუცესმან და პროტოსტრატორმან,
	მჯვჭედე : ხტი :	მოვჭედე ხატი
	ესე : წისა გის :	ესე წმიდისა გიორგის(ა)
	მთვრ : მწამის	მთავარ მოწამის-
	ა : და : დავსნე	ა, და დავასუენე
	სყდრსა : შს ოჩმ	საყდარსა შენს(ა) ოჩამი
10.	სსა: სჯსნბლ	სასა (?) საჯსენებელა-
	დ : სლისა : ჩმსა	და სულისა ჩემისა,
	მშბლთა : ჩმთა	მშობელთა ჩემთა
	და : შვილთა.	და შვილთა
	ჩმთთს [რა]	ჩემთათჯს, [რაჲთა]
15.	: ამით : ხტ [ითა]	ამით ხატ[ით]ა
	: მიგჯნდ [ო მს დღ]	მიგჯნდ[ო მას დღ] –
	ეს : მე : [და]	ეს(ა) მე [და]
	: შვლნ[ი ჩ]	შვილნი ჩე-
	მნი : და [მ]	მნი და [მ]-
20.	ოგჯც[ე] თვს : მდ	ოგუც[ე] თავსმდ-
	ებად . . . ლითა :	ებად . . . ლითა
	გლი . . . რბისა	გლი . . . რბისა (?)
	და ჩნ ისთს : შნ	და ჩუენისათჯს შენ
24.	ქჯლნ : და : მჯნემნ	ქუელმან და მჯნემან.

ეს ფრიად საყურადღებო წარწერა მრავალ მხრივ არის მნიშვნელოვანი. სიტყვები აქ ერთობ შემოკლებულია და იგიც უმეტეს შემთხვევაში უქარაგმოდ არის წარმოდგენილი. ასო უ-ნის მაგიერი იხმარება ჯ (სტრ. 4,24). ეს აიხსნება შემოკლებით, ვინაიდან ასომთავრულში უ გამოიხატება ოჯ, ამიტომ აქ ო გამოტოვებულად უნდა ვიგულისხმოთ. მეორე შემთხვევაში ჯ ნახმარია ო-ნის მაგიერ (სტრ. 5), მაგრამ აქაც გამოტოვებულად ო-ნი უნდა ვიგულისხმოთ (ოჯ) და სიტყვა „სვანურის“ გავლენით უნდა წავიკითხოთ „მუვჭედე“, მოვჭედეს მაგიერ. ძნელია თქმა, რომელი გეოგრაფიული სახელი იგულისხმება შემოკლებით გადმოცემულ ჯგუფში „ოჩმსსა“ (სტრ. 11-12). შეიძლება აქ იგულისხმებოდეს „ოჩამჩირისასა“, მარამ ამაში დარწმუნებული არა ვართ და ამიტომ ჯერჯერობით ვტოვებთ „ოჩამისასა“, თუმცა ასეთი ადგილის სახელი ჩვენთვის უცნობია.

სვანთა ერისთავი იოანე აქ ორი თანამდებობის ანუ ხელისუფლების ტერმინით არის მოხსენებული. ერთი ქართული ტერმინი – მეჭურჭლეთ – უხუცესი – ცნობილია, ხოლო მეორე ტერმინი, რომელიც ჩვენს ტექსტში გამოხატულია სიტყვებით „პრო : სტონ“, სრულიად უცნობია. ეს პირველად გვხვდება ქართულ წარწერაში და საზოგადოდ ქართულს ლიტერატურაში. ეჭვს გარეშეა, ეს ტერმინი ბიზანტიურია, აქ შემოკლებით გადმოცემულია და ეტყობა, ცოტა შეცვლილი, თუ არ დამახინჯებული, მაგრამ რომელ ბიზანტიურ ტერმინს უნდა უდრიდეს ის? ერთად

ერთი შესაძლებლობაა, ის უდრიდეს ბიზანტიურს **პროტოსტრატორ-ს,** რომელზეც ნიჭიერად მიგვითითა პატივცემულმა ცნობილმა მეცნიერმა პოლ პეტერსმა.

წარწერაში მოხსენებულია სვანთა ერისთავი იოანე ვარდანისძე. ცნობილია, ძველ დროს სვანთა ერისთავები ვარდანიძის გვარისა იყვნენ, ხოლო წარწერებში დღემდის ეს უფრო დადასტურებული იყო გურიის წარწერებით (იხ. დ. ბაქრაძის „მოგზაურობა გურია-აჭარაში“, გვ. 109, 111-112, 261, 268, 269); სვანეთის და მის ახლობელ ადგილების წარწერებიდან ეს ნაკლებად იყო ცნობილი. საბედნიეროდ, გარდა ამ წარწერებისა, ჩვენ თვით სვანეთშიაც ვიპოვეთ სწორედ ამავე ივანე ვარდანის ძის წარწერა. ეს აღმოჩნდა ერთ-ერთ მესტიის ეკლესიის უცნობ ხატზე და საჭიროდ ვხდით ამ ხატზე აქ ვიქონიოთ საუბარი.

2 ბის. **მესტიის ხატი იოანე ვარდანისძის წარწერით.** ეს ყოფილა ხატი აგრეთვე წმიდის გიორგისა, ოქროსი, ნაჭედი 70X40 ს. მშვენიერი ხელობისა, მაგრამ სანახევროდაც არ არის შენახული; ტანი წმიდანისა სრულებით აღარ არის; დარჩენილია მხოლოდ მშვენიერი დიდი ასომთავრული წარწერა სახელისა „წ-ჲ გ-ი“. ეზო ხატისა ისეთივე ლამაზად არის შემკობილი ვაზის ყლორტების მსგავსი ორნამენტებით, როგორც ლაბეჭინას ხატი; აშია აქაც რომბ-ლურსმულია და დაცულია ნაწილობრვ მარჯვნით და მარცხნით: ორივე მხარეს რკინის რგოლებია დარჩენილი, ჯაჭვის გასაყრელი, რომლითაც ხატის მტვირთველი ხატს ატარებდა ჯარის წინ, თუ სხვა შემთხვევაში. სვანეთში კიდევ ჯაჭვებით ხატებს მიაბამდენ კედელზე, ძლიერია, არ გაიქცეს, ჩვენი ეკლესია არ მიატოვოსო. წარწერა, ქვემო ნაწილზე, მარცხნივ, თერთმეტ სტრიქონად, დაზიანებულია, მაგრამ საერთოდ უფრო კარგად შენახული, ვიდრე წინა ხატზე, აზრით მიმატებული ასოები ფრჩხილებშია:

	: ქ : მე : ინე :	ქ : მე იოანე
	ვარდა[ნის]	ვარდა[ნის]
	ძემნ : ს[ნთ]	ძემან, ს[უანთა]
	ერსთმ [ნ და]	ერთისთავმა [ნ და]
	მეჭუჭლ	მეჭურჭლე-
	ეთა : უხცსნ	თა უხუცესმან,
	მოვჭედე : ხტი : ესე	მოვჭედე ხატი ესე
	: გისი : და დავასუნე [ეკსა...]	გიორგისი და დავასუენე [ეკლესიასა. . .]
	და : მივანდვე : თე[ს რ-ა]	და მივანდვე თე[ოდორეს, რ აჲთა]
10.	ამით : ხატითა : ღ[სა ევდრს]	ამით ხატიღა ღ[მერთსა ევედროს]
	დიდისა : სუანეთი [სა თ-ს]	დიდისა სუანეთისათჳს.

პალეოგრაფიული ხასიათი ამ წარწერისა იგივეა, რაც ხატისა, მხოლოდ აქ სიტყვები არ არის ისე შემკობილი, როგორც პირველზე; აქ ეპიტეტი „პრო-სტონ“ არ არის, მაგრამ სიტყვები „რაჲთა ამით ხატითა“ აქაც გამეორებულია და აგრეთვე ხარისხი მეჭურჭლეთ უხუცესობისა. ორივე ხატი ერთი და იმავე ოქრომჭედლის ნახელავი უნდა იყოს.

რაც შეეხება ივანე ვარდანის ძეს, ეს ის ივანე ვარდანიძე უნდა იყოს, რომელიც ცხოვრობდა გიორგი მესამის დროს (1154 -1184) და მიიღო მონაწილეობა დემნას ანუ დიმიტრის გამოსვლაში გიორგის წინააღმდეგ 1177 წელს (მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 388); მაგრამ აქ პირველად ვტყობილობთ, რომ ეს მეჭურჭლეთ

უხუცესიც იყო. თამარის დროიდან კი ეს ხელობა მემკვიდრეობით გადადიოდა ამ გვარში. თამარმა ხომ ეს თანამდებობა უბოძა კახაბერ ვარდანისძეს. ამავე დროს სვანეთის ერისთავობა მისცა ვარამ ვარდანისძეს. უნდა ვიფიქროთ, გიორგი მესამემ ივანე ვარდანის ძე, დემნას გამოსვლის შემდეგ, სვანეთში აღარ დააყენა და გაგში გადაიყვანა.

ჩვენ ვიცით, თამარ მეფის დროს, ივანე ვარდანისძე, პატრონი გაგისა, მიემხრო გიორგი რუსს, თამარის წინააღმდეგ (მარიამის ვარ. 438). როცა გიორგი რუსი დამარცხდა, თამარმა გაგი ზაქარია ვარდანისძეს უბოცა. ამის შემდეგ ივანე ვარდანისძე აღარ სჩანს (მარ. ვარ. 442). ის ალბათ ან მოკლულ იქმნა ომში, ან დამარცხების შემდეგ გიორგი რუსთან ერთად გადაიხვეწა ბიზანტიაში.

განხილული ხატები უნდა იყოს გაკეთებული 1177 წლამდის. დემნას მოძრაობამდის. ამგვარად, ეს ორი საყურადღებო წარწერა ჩვენ გვაძლევს ცნობას ერთს უძველეს ვარდანისძეზე, სვანეთის ერისთავზე. ვარდან, სვანთა ერისთავი, პირველად იხსენიება გიორგი მეორის დროს (1072-1089). აქედან უნდა მომდინარეობდენ ვარდანისძენი.

იმერეთის მეფის ბაგრატ მეხუთეს დროს (1360-1395). სვანეთის ერისთავი ვარდანისძე მეფის წინააღმდეგ გამოსვლის გამო გადაყვანილ იყო გურიის ერთისთავად. გურიის ხატების წარწერებში პირველ ხანად გურიელები იცავენ თავის გვარსაც და სვანთა ერისთავის წოდებასაც (იხ. დ. ბაქრაძის „მოგზ“. გ. 109, 111, 261, 269), მაგრამ ჩვენთვის ესეც ცხადია, რომ ზოგიერთი ხატი სვანთა ერისთავის ვარდანიძის წარწერით სვანეთიდან არის გადმოტანილი გურიაში და არა იქ გაკეთებული. ზოგიერთი მათგანი ხელობის თვალსაზრისით, მე-12-13 საუკუნოებს ეკუთვნიან, როცა ვარდანის ძენი გურიაში არ ყოფილან.

რაც შეეხება ბიზანტიურ ტიტულს „პროტოსტრატორ“-ს თუ მართლა ეს ჩვენს შემოკლებულს და შეცვლილ ტერმინს „პროტონ“-ს უდრის, უნდა ვიფიქროთ, ეს ტიტული ივანე ვარდანის ძეს ძველის ტრადიციით მიუთვისებია. ეს იმ დროდან, როდესაც სვანეთი მჭიდროდ იყო ბიზანტიის გავლენის ქვეშ, როდესაც ის შედიოდა ჯერ ლაზების სამფლობელოში ავტონომიურად და შემდეგ აფხაზთა სამეფოში. ეტყობა, სვანეთის ერისთავები, ანუ ხელქვეითნი მეფენი, იღებდნენ ბიზანტიიდან საიმპერიო კარის-კაცთა პატივს და ტიტულებს, ისე როგორც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები და აბხაზთა მეფენი (მაგალითად, აფხაზეთის მეფეს გურგენს ანუ გიორგი მეორეს (912-957) მაგისტროსის ხარისხი ჰქონდა მინიჭებული კონსტანტინე მეშვიდის პორფიროგენის თანა-მეფის რომან პირველის ლეკაპენისაგან). მაგრამ როდესაც საქართველო გაერთიანდა და საქართველოს მეფე თვითმპყრობელი გახდა დავით აღმაშენებლიდან დაწყებული, მას შემდე დამოკიდებულება ბიზანტიასთან, წინათაც მარტო ზნეობრივი და ნომინალური, სულ მოისპო. ამ დროს საქართველოს ერისთავი პატივს მიიღებდა მხოლოდ საქართველოს მეფის კარიდან და არა ბიზანტიიდან. მეტადრე ეს შეუძლებელი იყო გიორგი მესამის და მისი ასულის თამარ მეფის დროს.

„პროტოსტრატორ“-ის ხარისხი ქართულმა „კარის გარიგებამ“ არ იცის. ის უდრის პირველ ყოვლისა ქართულს „მეჯინიბეთ-უხუცესს“, თუმცა ბიზანტიაში მას სხვა ფუნქციებიც ჰქონდა, სამხედრო და საერო და ის ყოველთვის წარჩინებულ კარისკაცთა პირველ რიგში იყო (იხ. Du Cange, Glossarium. . . II, pp. 1463 -4).

ტრადიციით ტიტულის და ხარისხის მითვისება ხშირია ჩვენს ისტორიაში. საქართველოს რამოდენიმე სახელმწიფოდ და სამთავროდ გაყოფის შემდეგ ქართლის, კახეთის და იმერეთის მეფენი ძველებურად ატარებენ „მეფეთა მეფის“ ტიტულს. მთავრებიც მისდევენ ხშირად ამ ტრადიციას. მაგალითად, შამან-დავლე პირველი დადიანი ერთს ლაფსხალის ეკლესიის ხატის წარწერაში, რომელიც თავის ადგილზე იქნება მოყვანილი, თავის თავს აცხადებს დადიან-გურიელად, სვანთა ერისთავთა ერისთავად და მანდატურთ-უხუცესადაც, მაგრამ შამან-დავლე პირველი მარტო დადიანი იყო (1470-1474) და სხვა საპატრონო და სხვა ხარისხი მას არავითარი არა ჰქონია.

აგრეთვე, ჩვენის აზრით, „პროტოჲ-უპერტიმოსი“-ს ტიტული, რომლითაც, სხვა ტიტულთა შორის, მოხსენებულია ჭყონდიდელი მეცამეტე საუკუნის დასაწყისის ნათარგმნ „სააქიმო წიგნ“-ში (იხ. ჩვენი აღწერა წერაკითხვის საზოგადოების ხელნაწერთა, ტ. 1. გვ. 641), ტრადიციით მომდინარეობს იმ დროდან, როდესაც ჭყონდიდი შედიოდა აფხაზთა სამეფოში და პირველ ხანად კონსტანტინეპოლის საპატრიარხოს ექვემდებარებოდა.

რომ „პროტოსტრატორ“-ის ტიტულს ზემო გარჩეულს პირველ წარწერაში ნამდვილი, იმ დროისათვის რეალური მნიშვნელობა არა ჰქონდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მეორე მესტიის ხატის წარწერაში ეს ტიტული განმეორებული არ არის.

შენიშვნა: ამ ორი ხატის აღწერილობა გამოცემულია ჩვენს მიერ Byzantion-ში, t. XII, fascicule I, pp 197-204. სურათები, ჩვენ მიერ წარდგენილნი, რედაქციამ დაჰკარგა.

3. ხატი ღვთის მშობლისა, ჩჩვილედი, (№16766), მოოქრული ვერცხლისა, ნაჭედი 68X53 ს. ღვთის მშობელი გამობერვით გამოქანდაკებულია, ტახტზე მჯდომარე, თავის წრე შემკობილია ძვირფასი ქვებით; წარწერა სახელისა ლამაზი, მსხვილი ასომთავრულით: დ-დჲ ღ-ჲ. აშია შემკობილი ყოფილა ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით, მაგრამ დარჩენილია მარცხენა კუთხე თავში და მარჯვენა კუთხე ბოლოში; მარცხენა კუთხეში, ზემოდ, იოანე ნათლის მცემელია, წელზევითი; მარჯვნივ აშიაზე, შუაში, შემოსილი დიაკონსავით, მთავარ ანგელოზია, ხოლო თავი აღარ შერჩენია; ქვემო აშიაზე წარმოდგენილნი არიან წელს-ზევითნი, ოთხ-კუთხედ მედალიონებში: წ-ჲ თ¯ე (მარცხნივ კუთხეში) წ-ჲ გ-ი (შუაში) და წ-ჲ დ-ი (მარჯვნივ კუთხეში). მარცხნივ და მარჯვნივ წმ. გიორგისა, შუაში, ასომთავრული წარწერა არის, ორ სტრიქონად გამოქანდაკებული, მაგრამ მარცხენა ნაწილი ნაკლულია, თუმცა ადგილი ცარიელი არ არის, აშიის ჩუქურთმიანი ნაწილით არის შემდეგ ამოვსებული; მარჯვენა ნაწილი სრულად არის წარმოდგენილი, მაგრამ არაჩვეულებრივი მოვლენა ემჩნევა; წარწერაში ყველა ასოები ხუცური ასომთავრულისა მარტივად და მშვენიერად არიან წარმოდგენილნი: ხოლო ორივე სტრიქონის ბოლოში თავდება მხედრული ე-ნით და ეს ე-ნი ისე არის გამოხატული, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში გვხვდება ჩამოყალიბებული. თუ თავში ნაკლულ ასოებს მიუმატებთ, წარწერას შემდეგი სახე ექნება:

[ღ]ბ-ლო შ-ე ე- ჯნ-ჯხე
[ღბ]ე-ლო შ-ე ე- ვნდნე
უქარაგმოდ გამოვა:
ღმრთის მშობელო, შეიწყალე ერისთავი ჯინჯიხე.

ღმრთის მშობელო, შეიწყალე ერისთავი ვანდანე.

სახელი ჯინჯიხ ჩვენ შეგვხვდა ერთს მესტიის ეკლესიის წარწერაში. ასე ე-ნის მაგიერ რომ იქ ი ყოფილიყო, კიდევ გასაგები იქნებოდა. საუცხოო კიდევ ის არის, რომ ასომთავრულლი ე-ნი ნაწერში ხუთს ადგილას მშვენიერად თავის სახით არის წარმოდგენილი, ამიტომ შეუძლებელია, ეს ბოლო მხედრული ე-ნის მსგავს ასო რომ ანგარიშში მივიღოთ, დარჩება ჯინჯიხ და ვანდან; უკანასკნელი, შესაძლოა, ვარდანის მაგიერ იყოს დაწერილი, თუმცა ასო **ნ** აქ ეჭვს არ იწვევს. ჩვენის აზრით, ეს ხატი მეთოთხმეტე საუკუნეს ეკუთვნის. (ფოტ. N16766).

4. **ხატი კარედი ღვთის მშობლისა,** მოოქრული ვერცხლისა, 55X39 ს. დაკეცილი პირი ხატისა კამარიანია, შეძერწილი ვერცხლის განცალკევებული ფირფიტებით, როგორც კარებზე, ისე კამარის ზემოდანაც (№16770). ამ ფირფიტებზე წარმოდგენილნი არიან სხვა და სხვა წმიდანები, თუ სახარების სცენები. ჩვენ აქ ვხედავთ გარდამოხსნას, მაცხოვარს ტახტზე მჯდომარეს, ვედრებას, წმიდა გიორგის, წმიდა დიმიტრის, ღმერთს საბაოთს, ეკლესიის მამებს და სხვა. თექვსმეტ ოთხკუთხედ ფირფიტაზე გამოსახულია ღვთის მშობელი ჩჩვილედი, წელს ზევით. გახსნილ კარედში შუაში არის წამლით დახატული ღვთის მშობელი ჩჩვილედი და კარებზე წამლითვე ნახატავნი მთავარ ანგელოზები (ფ.№16769). ხელობა მდარეა და მასთან ცუდათ შენახულია. წრეები ღვთის მშობლისა და მთავარ ანგელოზთა შემკობილი ყოფილა ექვსი ძვირფასი ქვით, ეხლა დარჩენილია სამი. ქვემოდ უშნო ასომთავრულით სწერია:

წ : ყოლა წმიდაო : ღმრთის : მშობელო : შეიწყალე : სუ-
ლი : აბს- ლ ამისა : ინსრძისა :. და :. მეუღლისა :. მის :.
ანასი : ამინ:.

ხატი უნდა ეკუთვნოდეს მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეს.

შენიშვნა: ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ ვედრება. ვედრება, ანუ ფრანგულად déisis – „დეიზის“, რუსულად „დეისუს“, არის სიმბოლო უკანასკნელი განსჯისა. ეს არის კომპოზიცია, სადაც ქრისტე, უზენაესი მსაჯული, წარმოდგენილია ღვთის მშობლის და იოანე ნათლის მცემლის შუა. ორთავენი, ღვთის მშობელი და იოანე, ევედრებიან მაცხოვარს ცოდვილთა შეწყნარებისათვის.

5. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, მოოქრული, 16,5X14,3 ს. მაცხოვარი წარმოდგენილია ტახტზე მჯდომარედ, მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს, წარწერა სახელისა ასომთავრულით წარყვნილია. აშია შემკობილია ვაზოვანი ორნამენტით; ქვემოდ ასომთავრული წარწერა აქვს:

ოფლუ :. იესუ ქრისტე ღმეთუ შეიწყალე სოლ
ი ინასარიძის გიურგს და თანა მეცხედრის
ა მათისა ჩხეტიძ- ს ქალისა ანასი ამინ.

საკვირველია, რომ წარწერაში გამოხატულობით ო და უ კარგად განირჩევა, მაგრამ უ ნახმარია ო-ნის მაგიერ პირველ, მეორე და მეოთხე სიტყვის ბოლოს პირველი

სტრიქონისა და მეორე სიტყვაში მეორე სტრიქონისა, ხოლო ო ნახმარია უ-ნის მაგიერ პირველი სიტყვის დასაწყისში და უკანასკნელ სიტყვაში პირველი სტრიქონისა (ფ.№ 16771). ხატი მეჩვიდმეტე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ინასარიძე გიორგი და მისი მეუღლე ანა, ჩხეტიძის ქალი, როგორც ზემოდ დავინახეთ, აღმაშენებელნი არიან სამხრეთ-დასავლეთის ეკვტერისა ლაბეჭინის ტაძრისა.

6. **ხატი წმიდის გიორგისა,** ვერცხლისა, მოოქრული, ნაჭედი, 33X28 სანტ. წმ. გიორგი წარმოდგენილია ცხენით, შუბით გმირავს მეფე დიოკლეტიანეს, თავის წრის ორივე მხარეს ბერძნულად აწერია: „ჰო აგიოს გეორგოს“, ხოლო ზემო კუთხეებში ასომთავრულით სწერია: წ̅ ჲ̅ გ̅ ჲ̅; აშია არ შენახულა; ხატი კარგი ნახელავია და უნდა ეკუთვნოდეს მეთოთხმეტე საუკუნეს (ფ.№16767).

7. **ხატი მიქელ მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 63X46,5 სანტ. (ფ.№ 16765). მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია ფეხზე მდგომარედ, სრულის ტანით და გამობერვით; მარჯვენა ხელში აქვს ლაბარუმი, მარცხენაში უჭირავს ბურთი; აშია ვაზოვანი ორნამენტისა არის, მაგრამ უმეტესი ნაწილი მოძარცულია. უზის ერთი ძვირფასი ქვა, მეორე დაკარგულია; ხელობა მდარეა, მე-17-18 საუკუნისა.

8. **ხატი პატარა მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისა,** წამლით დახატული; ზემო მედალიონში მაცხოვარია: წარწერები ასომთავრულით: ი̅ ჯ ქ̅ ე, გაბრიელ, მიქელ. აშია ვერცხლისა აქვს; ხატი შემკობილია 52 ძვირფასი ქვით; ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს (ფ.№16764).

9. **ხატი პატარა ღვთის მშობლისა,** წამლით ნახატი, 14,3X11,2 სანტ. ეკუთვნის მეცხრამეტე საუკ. შემკობილია ქვებით. (№16764).

10. **ჯვარი დიდი,** საკურთხევლის წინ დასადგმელი, ერთს საჟენზე მეტი სიმაღლით; შეძერწილია ვერცხლის თხელი ფირფიტებით, რომლებზედაც წარმოდგენილნი არიან, გამობერვით, წმიდანები; ქუდი ჯვარისა პირამიდალური სახისა არის; მასზე მოჩანს ზემოდ წმიდა გიორგი ფეხზე მდგომარე; ქვემოდ ღვთის მშობელი ჩჩვილედი. სხვა ფირფიტებზე განმეორებულია სხვა და სხვა ფიგურები; სიგრძეზე ჯვარისა სამ-სამი ღვთისმშობელია ნიშოვანი. ექვსზე კიდევ წმ. გიორგი ცხენოსანი, რომელთა შორის უკანასკნელი, ქვევით, უფრო დიდია და უფრო ლამაზი ნახელავი, ასომთავრული წარწერით წ̅ ჲ̅ გ̅ ი. ხოლო ორ ფირფიტაზე მთავარ ანგელოზებია. ჯვარის სიგანეზე, შუაში, „უმბო“ მთავარ ანგელოზებით მარჯვნივ და მარცხნივ; შემდეგ ორივე მხარეს წყვილი სურათი ღვთის მშობელისა, ნიშანი, მთავარ ანგელოზებითურთ აქეთ-იქით; ეს ის ჯვარი უნდა იყოს, რომელზედაც გაბრიელ ლაბეჭინელი ამბობს: მოუჭედელი დამრჩაო. ეხლანდელი მოცულობით ჯვარი არ შეიძლება იყოს უადროესი მეთექვსემეტე-მეჩვიდმეტე საუკუნისა (ფ.№16764).

შენიშვნა: უამბო (umbo) ნიშნავს ჯვარის შუა ნაწილს, სადაც ჯვარცმულის მაგიერ ორნამენტებია წარმოდგენილი, ზოგჯერ გამობერვით.

11. **თასი** ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:
ქ. ერისთავის ასული თ- ედორა.

12. **საცეცხლური,** ძველი ვერცხლისა, ხლართულებით შემკობილი.

13. ვერცხლის **ბალთები** სარტყლისა, ოქროთი დაფერილი.

14. **ფილონი** ძველი ფარჩისა, მდიდრულად ნაკერი, ხელაპყრობილი ქრისტეს სურათით.

სოფელი საირმე

სოფელ საირმესთან წინეთ საირმის მონასტერი იყო. მონასტრის აშენება იქ დაიწყო ოტია დადიანმა და მისმა მეუღლემ გულქანმა და დაამთავრა მისმა შვილმა კაცია მეორემ 1766 წელს (იხ. დასავლეთ საქართ. საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძისა, 1. გვ. 30-33). მონასტერი ღვთის მშობლის მიძინების სახელზე იყო აგებული და არსებობდა ჩვენს დრომდის, მაგრამ ბოლოს დროს მონასტრის მახლობლად, მიწის ძვრის გამო, მიწა გასკდა, ნაპრალი გამოჩნდა, საიდანაც ზოგჯერ ამოდის ორთქლი და გაზი. ამიტომ მონასტერი გააუქმეს და ნივთები გადაიტანეს ჭყონდიდის მონასტერში. რომელზედაც საირმეს მონასტერი მიწერილი იყო. ძველი მონასტრის შენობა ჩვენ არ დაგვითვალიერებია. თვით სოფელ საირმეში ეხლა ახალი ეკლესია არის ქვისა, სიონური რიგისა, წმიდის გიორგის სახელზე. ეკლესიაში არის რამოდენიმე ხატი და ჯვარი ქართული ადგილობრივი ხელობისა, მაგრამ მე-19 საუკუნისა.

1. თავ ხატად ეკლესიისა მიჩნეულია დიდი ვერცხლის **ჯვარი** 33 სანტ. სიმაღლით, რომელშიაც ხალხის გადმოცემით თითქო ინახებოდეს კბილი წმიდა გიორგისა. ჯვარი დამყარებულია დიდ ვერცხლის ბურთზე და შემკობილია 17 ძვირფასი ქვით; ამათში 4 ლალია და 4 ზურმუხტი: ოთხივე ფრთაზე ჯვარისა წარმოდგენილია წმიდა გიორგი ფეხზე მდგომარე, მარცხენა ხელის აპყრობით და ჯვარიანის და გრძელ ტარიანის ლახვარით მარჯვენა ხელში. ქვემო სურათის ორივე მხარეს გვირგვინია გამოსახული და თარიღი ჩყლც - 1838 წ. ქვემოდ გამკეთებლის მონოგრამა „სმა“. ესევე გვირგვინები, იარაღი და მონოგრამა განმეორებულია მეორე გვერდზე ჯვარისა. ჯვარი ამართულია დიდ ხის კიდობანზე, წმიდის გიორგის გამოქანდაკებული სახეებით, მდარე ხელობისა. ჯვარი გადმოღებული გვაქვს ფოტოგრაფიულად (№16763).

2. **ჯვარი** ათონური რიგისა 14X6 სანტ. ჯვარცმულის სახით შუაში და მახარობლებით ფრთებზე. მეორე გვერდზე, შუაში, წარმოდგენილია ნათლის ღება, ხოლო ფრთებზე მახარობლები და ანგელოზები.

3. **ხატი ღვთის მშობლისა,** 16,5X16,1 სანტ. ტლანქი ხელობისა მე-19 საუკ. შესდგება ოქროთ დაფერილი ვერცხლის ფირფიტებისაგან, რომელნიც მიჭედილნი არიან

დაფაზე. ამ ფირფიტებზე ჩჩვილედი ღვთის მშობლის გარდა, წარწერით „დ¯ა ღ¯ სა“ წარმოდგენილნი არიან კიდევ მაცხოვარი, ანგელოზები და ჯვარცმა.

4. **ხატი მაცხოვრისა,** წამლით დახატული, მე-19 საუკ. წარწერით: ქ¯ ე.

5. დიდი **ხატი მაცხოვრისა,** წამლით დახატული, წარწერით: ი¯ ჯ ქ¯ ე. მე-19 საუკ.

6. **ხატი წმიდა გიორგისა,** წამლით დახატული, ბერძნული წარწერებით. წმ. გიორგი წარმოდგენილია თეთრი ცხენით და შუბით გმირავს ვეშაპს; მე-19 საუკ.

7. **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, წამლით დახატული, 68X47 სანტ. წარწერით „დედა ღ¯ სა ი¯ ჯ ქ¯ ე“, მე-19 საუკუნისა; ჩასვენებულია კიდობანში, რომელსაც აწერია: „1895 წ. აპრ. 28. პეტრე ნიკოლოზის . ძემ . ალავიძემ შესწირა „კიოტი“. ეს ალავიძე მოხუცებული მნათე არის ამ ეკლესიისა. აშია და თავის წრე (ნიმბი) ღვთის მშობლისა შემკობილია 12 ძვირფასი ქვით, ლალებით, ფირუზებით, ქარვებით და ამეთვისტოებით.

8. კანკელი ახალია, მე-19 საუკ. წმიდანები ტილოზეა დახატული, ხუცურის წარწერებით; ქვემოდ ზოგიერთებს მხედრულად უწერია: „შეიწყალე შემომწირველი როსტომ ალავიძე“.

სოფელი ლაჯანა.

საირმედან ჩვენ დავბრუნდით ალპანაში და მეორე დღეს გავემგზავრეთ ორბელში. გზა ლაჯანურას მარცხენა ნაპირით მიდის. ალპანის მახლობლად ლაჯანურაზე ქვის ხიდია და აქედან იწყება ძლიერ ვიწრო, მაგრამ თვალწარმტაცი თავის სილამაზით და სინაზით ხევი ლაჯანურისა, რომელიც გრძელდება შვიდი კილომეტრის მანძილზე. ხოლო შემდეგ ორბელის ხიდამდის ხეობა ერთობ ფართოდ იშლება და ესეც ფრიად ლამაზია. ამ ფართო ხეობის ორივე ნაპირს, ფერდოებზე და სერებზე, გაშენებულია უმთავრესი სოფლები. აღნიშნული ვიწრო ხეობა ლაჯანურასი მოგვაგონებს თავის საზოგადო სახით დარიალის ხეობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, მინიატურულად. დარიალის ხეობა თავის მაღალი კლდოვანი მთებით სასტიკია, ეს თავის მწვანე მცენარეობის შემოსილობით ნაზია და კეკლუცი. ამ ხეობის სახეების და პეიზაჟების გადმოღებას დ. ერმაკოვმა მთელი დღე მოანდომა. მრავალი სურათია გადმოღებული, მაგრამ ნომრებს ვერ ვუჩვენებთ, ვინაიდან სურათები ეხლა ხელთ არა გვაქვს.

ჩვენ დავბინავდით ორბელიანის დუქანში, ხიდთან, და აქედან ვხედავდით ექსკურსიებს ლაჯანურის ხეობის სოფლებში. პირველი სოფელი, რომლის ეკლესია ვინახულეთ, ლაჯანა იყო. ამას მიუცია სახელი მდინარისათვის, ლაჯანურა.

სოფელი ლაჯანა გაშენებულია მაღლობზე, ლაჯანურას მარცხენა მხარეზე, მახლობლად ორბელისა. მთავარ ანგელოზის ეკლესია ამ სოფლისა მთაზე მდებარეობს; ჩვეულებრივი სახის არის, ოთხკუთხედი, მაგრამ საკურთხეველი გარედ მომრგვალებული აქვს, ნაშენია უბრალო ქვით, შიგნით შელესილია, მაგრამ ფრესკებით არ არის შემკობილი; შესავალი აქვს დასავლეთით, სამხრეთით და

ჩრდილოეთით და თითო პატარა ფანჯარა ყოველ კედრით. ეკლესიაში ჩვენ ვიპოვეთ ორი ხატი, ერთი მთავარ ანგელოზთა და მეორე ღვთის მშობლისა; ორივე ადგილობრივი, უფრო სვანური ხელობისა, მაგრამ ყოვლად ტლანქი, რაც ცხადი მაჩვენებელია იმისი, თუ როგორ დაცემული ყოფილა კულტურა ამ მხარეში მეთვრამეტე საუკუნის დამლევს და მეცხრამეტეს დასაწყისში.

1. **ხატი მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისა,** ვერცხლით ნაჭედი, 40X29 სანტ. (ფ.№17619). მთავარანგელოზნი წარმოდგენილნი არიან მთელის ტანით და ჯვრებით ხელთა, ზემოდ მათ შუა ქერუბიმებია; მარცხნივ და მარჯვნივ აშია შემკობილია წერტილებიდან შემდგარი ხაზებით და ნახევარ რგოლებით; ზემოდ და ქვემოდ წარწერებია ასომთავრულით, მაგრამ ისეთი ვულგარულით, როგორც თვით მთავარანგელოზთა სახეებია; ამიტომ წარწერა ადვილი გასარჩევი არაა. სახელების წარწერები: წ¯ ჲ მიქე, წ ¯ჲ გ¯ლ. გაბრიელის თავზე სულ ცუდათ გამოყვანილი ასოებით და შემდგომ ზემო აშიაზე ასეთი ხელით:

ამისი :. ოქრომ	ამისი ოქრომ-
ჭდლი :. იოსებ[ქა]	ჭედელი იოსებ[ქა]-
ჟძე :. შეუნდს	ჟელაძე შეუნდვეს
ღმეთნ	ღმერთმან
წ :. დაგვიც : თემს : თქნის	დაგვიც თემს თქვენის
ს¯ ლისა :. თ¯ ს :. სლის :. წ¯ ის :. შბა	სულისათვის სულის წმიდის შაბა-
თს :. ერთი :. ცხვრი :. ან :. ხბო :. ა	თს ერთი ცხვარი, ან ხბო.
რა :. ოდეს :. ეს :. არ :. მოგიშლოთ :.	არა¯ ოდეს ეს არ მოგიშალოთ.

ქვემოდ აშიაზე:

1. მო(ვ)ჭედე :. ხ¯ ტი :. ესე :. მთვრანგლზი :. ბაკულდშის :. მე :. მარინემ :.
2. დადიშქელიანის :. ქ¯ ლმან :. სახსრად :. ს¯ ლისა : ჩ¯ მისა: ქმრის :ფიცი
3. ას :. და შვილის :. ისლამის :. შესნდობელად :. და საოხად :. სლის
4. ა :. ჩ¯ ისა :. ვნცა : ესე :. მოგიშლოს :. მთვრ : ანგელოზმა
5. კრული (?) :. ამყოფს :. მსი: ს¯ ლი :. და ნათესავი :.

2. **ხატი ღვთის მშობლისა, ვედრებისა,** ვერცხლისა, იმავე ზომისა და ხელობისა, როგორც პირველი (ფ. №16772). ღვთის მშობელი წარმოდგენილია მთელი ტანით, ხელებ აპყრობილი სამლოცველოდ; აქეთ იქით აშიებზე მთავარ ანგელოზებია; ზემოდ ქრისტე, წელს ზევითი, წარწერით: ი¯ ჯ ქ¯ ე. აქეთ იქით ორი ფიგურა კაცისა, ხელებ გაშვერილნი, თითქო ჯვარზე გაცმულნი, მაგრამ ჯვარი არ ჩანს. მთელი შემოსილობა ხატისა განცალკევებული ფირფიტებისაგან შემდგარია და მიჭედილი ხეზე, მაგრამ ხელობა ერთი დროის და ერთი ოქრომჭედლის არის. ზემოთ მარცხნივ ერთობ უშნო ვულგარული ხუცურით სწერია:

წ : ამისი :. ოქრო :. მჭედელი :.
იოსელ :. ქაჟელაძე :. შეუ
ნდოს :. ღ¯ ნ :.

ქვემოდ აშიაზე ასეთისავე ხუცურით:
წ- ო :. ვედრებისა :. ღ- თის :. მშბ- ლო :. მ- ხ :. და მფარველ : ექმ ენ :. ამის :. მომჭედს :. გელოანსა ;. სულას :. და თ- ა :. მეცხედრ ესა :. მისსა :. დეუდარიანის :. ქ- ლს :. ყაზმის :. შვილთა :. მათთა :. მოწყალე :. და შემწე :. ექმენ :. დღსა :. მას:. განკითხვისასა :.

ამის ქვემოდ კიდევ ვულგარული მხედრულით:
ღმერთო :. და :. ვედრების :. ღმრთის :. მშობელო :. აც
ხოვნე :. ზეცას : მომგები ფაცია და მისი მეუღლე მარინე.

ჩუკულის წარწერიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ სულა, გიორგი და ფაცი გელოვანები ძმები ყოფილან; სულას მეუღლე იყო დევდარიანის ასული ყაზმანი ანუ ყაზმის.

სოფელი ორბელი

ორბელი თავი სოფელია ლაჯანურის ხეობაში (ფ. №17510), სადაც სახლობენ თავადნი გელოვანები; აქვე მაღალ კლდეზე აშენებულია დიდი, ლამაზი ციხე ორბელის (ფ. №17402). ამ ციხემდის ლაჯანურის კალაპოტი ერთობ ვიწროა, ხოლო ციხის ძირიდან იწყება დიდი ფართო ხეობა; აქ არის ხიდი ლაჯანურზე. ციხეს სამი კოშკი აქვს; მათში ჩრდილოეთის კოშკი ყველაზე მაღალია; შიგ ხის ოთახია გადახურული; შუა კოშკი შესავლის კარის თავზეა ამართული, აღმოსავლეთით; მესამე კოშკი სამხრეთით არის. ციხეში არის ჭა და პატარა ქვის ეკლესია, აწ უკვე დანგრეული. ეკლესია თლილის ქვით არის შეძერწილი შიგნით და გარედ; სიგრძე აქვს 9 არშინი და 4 ვერშოკი, განი 7 არშინი და 4 ვერშოკი; შესავალი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; ფანჯრები აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით; საკურთხეველში ორი პატარა უბეა. თაღი ჩამონგრეულია. დასავლეთის მხრით ეკლესიას მიშენებული აქვს დიდი ეკვტერი, სიგრძით 9 არშინი და 4 ვერშოკი; ეკლესია მოხატული ყოფილა, ხოლო ეხლა მხატვრობა მოშლილია; კარგად შენახულია მხოლოდ მთავარ ანგელოზი დასავლეთის კარის ზემოდ; თვით კარი რკინით შეჭედილია; საკურთხეველის თაღში ორი პატარა ჭურია, ჩაშენებული ხმისათვის (ფ.№17398).

ახალი ეკლესია ორბელისა ხისა არის პატარა დავაკებაზე, მახლობლად ძველი ეკლესიისა. ეკლესია მომრგვალებით გამოდის აღმოსავლეთით; ირგვლივ უვლის ფანჯატური სვეტებზე; დახურულია ყავრით; ფანჯრები ხისა აქვს, ცხრილოვანი და ლამაზი (ფ.№17400). კანკელი ახალი და გაკეთებულია 1867 წ. 19 აგვისტოს, რაც ჩანს შემდეგის მხედრული წარწერიდან:

აღემართა კანკელი ესე ამა მთავარანგელოზის ეკლესიასა
შ- ა: ამას შინა შემავალთა მრევლთა მიერ. მათდამი
საკუთრებათა ზ- ა ჩყიჲზ-სა წ. აგვისტოს : ით- ს

ეკლესიის მახლობლად ხის პატარა ლამაზი სამრეკლოა ორსართულიანი, სვეტებზე, შაქრის თავის მსგავსი სახურავით (ფ. №17399).

ეკლესია ორბელისა, ეტყობა, ბევრჯერ ყოფილა გაძარცული; აქ სულ ნაძარცვი, ხატები და ჯვრებია დარჩენილი და მათ შესახებ მცირე ნაშთებისაგან უნდა ვიქონით წარმოდგენა. აქ ვნახეთ:

1. **ჯვარი რკინისა,** 43 X21 სანტ., რომელიც შეჭედილია ოქროთი, ზედ ნაჭედი ჯვარცმულის სახით და ასომთავრული წარწერით: ꙋ ო ქ ე : შემკობილი ბალახოვანი ხლართული ორნამენტებით; ძვირფასი თვლები ოთხი მოძარცულია, მაგრამ მათი ბუდეების ნაშთები მოჩანს; ქვემო ნაწილი ჯვარცმისა მოწყვეტილია (ფ. №16781). მეორე გვერდი ჯვარისა ისეთივე ლამაზი ხლართული ორნამენტით არის შემკობილი, როგორც პირველი (ფ. №16782), მაგრამ ქვემო ნაწილი, სადაც ასომთავრული წარწერა ყოფილა, მოძარცულია, დარჩენილია მხოლოდ ორი სიტყვა:

ქ : ძელო :.

ჯვარი უნდა ეკუთვნოდეს მე-15 საუკუნეს.

2. **ხატი მთავარანგელოზისა მიქელისა,** წამლით დახატული ძელზე, 93X56 სანტ. მთავარანგელოზი წარმოდგენილია ლაბარემით ხელში, მაგრამ ფერადები სურათისა სულ გახუნებულია; ვერცხლის შემკობილება ბალახის მსგავსი ხლართულებით შერჩენილია მხოლოდ ნაწილობრივ აშიებზე, თავის წრეზე და ზემოდ თავის წრესთან, სადაც ასომთავრულით უწერია: მთავარ ანგელოზი მიქელ (ფ.№16783). ქვემოდ, ასომთავრული წარწერიდან დარჩენილია შემდეგი:

: ქ : წ ო : მთავარანგელოზო :. მიქაელ :. გაუმარ
ჯუე : მმსავთა შენთა . . . ინაის ძეთა
ჯოღ(ე)დიანსა ვა. . . . . ვახტანგს : . . .
და მფრველ ექმენ პაპასა . . . . . .

ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-14-15 საუკუნეს.

3. **ხატი მთავარ ანგელოზისა მიქაელისა,** წარწერით: მიქაელ მთნგზი, 89X59 სანტ., წამლით დახატული, მაგარმ გაფუჭებული; აშიები ოქროსი ისეთი ბალახოვანი ხლართული ორნამენტებით ყოფილა შემკობილი, როგორც ზემო აღნიშნული ჯვარი, მაგრამ ორიოდე პატარა ნაწყვეტია დაცული (№16785).

4. **ხატი მთავარანგელოზისა გაბრიელისა,** 58X42 სანტ., ასეთივე ხელობისა, როგორც წინეთ მოხსენებული ხატი, მაგრამ უფრო ცუდათ დაცული, წარწერით: მთანგზი გლ (ფოტ.№16781).

5. **ხატი მაცხოვრისა,** წელს ზევითი; წამლით დახატული, 69X51 სანტ. სახე აქ ცოტა უკეთ შენახულია, მაგრამ ოქროთ დაფერილი ვერცხლის სამოსელიდან ცოტა არის გადარჩენილი, მარჯვნივ და მარცხნივ და ორ ადგილას აშიებზე; მაცხოვარი მარჯვენა ხელით აკურთხებს (ფ. № 16781). უნდა ეკუთვნოდეს მეჩვიდმეტე საუკუნეს.

6. ასეთივე **ხატი მაცხოვრისა,** მაგრამ უფრო დიდი, 104X72,5 სანტ. (№ 16785). ფერადები გაფუჭებულია; მარჯვნივ მხედრული, არა-ძველი, წარწერა აქვს:

მე გიორგი მეიფარიანი დავდევი ეს მაცხოვრის ხატი ჩემი შესანდობელი.

7. **ხატი მთავარ ანგელოზთა მიქელისა და გაბრიელისა,** ვერცხლის, ოქროთ დაფერილი; ორთავე წარმოდგენილნი არიან სრულის ტანით, ყვავილებით ხელში; მიქელ ამას გარდა რომაული მხედრის ტანისამოში და მარჯვენა ხელში სიმრგვალე უჭირავს ღერძით, გაბრიელის გძელი, თითქო ქალის ტანისამოსი აცვია და მარჯვენა ხელი გაშვერილი აქვს სიმრავლისკენ. აშია მოჩუქურთმებულია. ხატი კარგად არის შენახული და წარმოგვიდგენს ტიპიურ მეგრულ ხელობას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრისა, რაც დადასტურებულია მხედრულის წარწერით ზემოდ და ქევმოდ (ფ.№ 16780).

1. ჩყლზ-ს წელსა შინა : გამოისახა და შეიმკო მთავარანგელოზის ხატი ესე ორბელის ეკლესიისა.
2. მისივე სახელსა ზედა აღშენებულისა თვით შეწირულებითა მისითა დროსა მთავარსა ს¯დ სამენ
3. გრელოისა ლეონ გრიგოლის ძის დადიანისა და მეუღლისა
4. მისისა მთავრინა მართა ზურაბის ასულის წე
5. რეთლისა და მემკვიდრისა მათისა დ¯თ ლეონის ძისა რომელიცა იკურ(თხა)
6. ს¯დ სამენგრელოის მწყემს მთა
7. ვრის და ჭყონდიდის ეპისკოპოსის და
8. მთავრის დადიანის მოძღვრის გიორგი კუხა
9. ლოვისაგან და მე მბრანებითა მათითა აღვსწერე ხატსა ამას ზ¯ა ლე-
10. ჩხუმის სასულიეროს განმგემ
11. ბლაღოჩინმა და მთავარ ლეონ დადი
12. ანის კარის მღვდელმა აზნაურმა პავლე გიორგის
13. ძემ დაშნიანმა.

8. **სახარება ეტრატზე,** 21X16 სანტ., დაწერილია ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, 25 სტრიქონი სვეტში. სათაურები ნაწერია სინგურით. თავი და ბოლო აკლია. ადგილ-ადგილ ტექსტი აღდგენილია, ნაკლულოვანი ადგილები შემდეგ შევსებულია ქაღალდზე; თარიღი არა აქვს; მაგრამ ხელის მიხედვით, სახარება უნდა ეკუთვნოდეს მეთორმეტე საუკუნეს. ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციის არის; ბოლოში აქვს ვრცელი სარჩევი და შემდეგ არა-ტექსტის ხელის წერილი ნუსხა ხუცურით, რომელიც მოგვითხრობს სახარების განახლების ამბავს 1600 წელს, როდესაც ქართლის მეფე სვიმონ პირველი თათრებს ტყვედ ჩაუვარდათ. ქარაგმებს ვხსნით და ნიშნებს ახლებს ვუსვამთ:

დიდებაჲ ღმერთსა ოთხთავნო სახარებანო, მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე, შეი-წყალე სული მუხიერ ყიფიანისა და თანამეცხედრისა მისისა ელენესა ყიფიანის ქალისა, იჴსენ მათთა ცოდვათაგან, აგრევე შვილთა მათთა პაპუს, ხოსროს და ბესის ცოცხალი ადღეგრძელო(ს) ღ¯ ნ, მიცვალებულისა მათისა ცოდვანი და ბრალი მათნი შეუნდოს ღმერთმან. ესე ოთხთავნი ფურცლად დაშლილი იყო და დაოხრებული. მერმე მოვიყვანე მწერალი ყასელაძე მანაველ და შევამკვე ახლად წიგნი ესე მას ჟამსა, როდეს ქართველთა მეფე სვიმონ თათართა დაიჭირეს და წაიყვანეს. ქართლი ააოხრეს

საყდარითურთ. აწ ვინცა ჩვენის ცოდვილისა სულისათჳს შენდობა(სა) ბრძანებდეთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან თქვენი ცოდვანი. რაცა ამა ჯვარხატსა ჴელი უნდა, მასამც მოვაჭედინებთ, ოქრომჭედელიცა ის არის.

განმაახლებელი მანაველ ყასელაძე თავის თვს იხსენიებს კიდევ მინაწერებში, მათეს სახარების ბოლოს:

დბ˙ ჲ ღ˙ სა მიზეზსა კეთილისასა სრულ იქმნა წ˙ ჲ ესე და
ს˙ ლთა გ˙ ნსანათლებელი ოთხთავნი ჴელითა ფ˙ დ ცოდვილისა
მანაველ ქასელაძისა. დედა მამათა მისთა ძმასა მისსა შეუნდოს ღ˙ ნ.

შემდეგ კიდევ იოანეს სახარების ბოლოს უწერია:

ყ˙ დ წმიდაო ღ˙ ის მშობელო შეიწყალე და აცოვნე ს˙ ლი
დარიდონ ქარსელაძის ქალისა. ვინცა შენდობა ბრძანოთ
ს˙ ლ კურთხეულისა დარიდონისა თჳთ თ˙ ქნცა შეგინდოს
ღმერთმან ამინ კ˙ სნ. სულსა მანაველ ქარსელაძესა შეუნდოს.
სულსა ივანე ქარსელაძესა შეუნდოს, მეუღლესა მისსა (შ)ვენიერსა
მიდელანის ქალსა შეუნდოს ღ˙ ნ.
ამინ კ˙ სნ.

აღსანიშნავია, რომ მინაწერებში ერთი და იგივე გვარი სამი ფორმით არის მოხსენებული: ყასელაძე, ქასელაძე, ქარსელაძე.

ლუკას სახარების ბოლოს მერმინდელის ხელით:

წ: მთ˙ ვრ ანგელოზო ორბელისო შ˙ ნის მოწყლ˙ ბის მადლსა შ˙ ე ნ˙ კზ. კუჭაისძე. ან ო˙. ნ˙ კზ (ხვეულად).

შემდეგ სხვა ხელით:

წ˙ ო მთავარ ანგელოზო ორბელისო შეიწყალე ამ წიგნის ახლა შემამკობი ადამ სლგძე (sic).

შემდეგ მხედრულის ხელით:

ღმერთო და ამ სახარების მადლო: შეიწყალე ადამ სალაგაძე ა˙ ნ.

ეს სახარება ჩვენ ვნახეთ ორბელის მღვდლის დავით ლეშქაშელის სახლში. შემდეგ, როგორც შევიტყვეთ, სახარება გადაუციათ ქუთაისის მუზეუმისათვის.

გელოვანთა ეკლესია.

ლაჯანურის ნაპირზე, იასონ გელოვანის სახლის ქვემოდ, აგებულია მოზრდილი ეკლესია გელოვანთა, მათი სამარხავი, შემერწილია თლილის ქვით და ეკვტერი ახლავს დასავლეთით; მაგრამ ეს ეკვტერი უფრო ძველია თვით ეკლესიაზე; მისი იატაკი უფრო დაბლა არის, ვიდრე ეკლესიისა; ეტყობა, ძველი ეკლესიის აღმოსავლეთის ნაწილი მოუშლიათ და ახალი ეკლესია მიუშენებიათ ზედ და ამით წინანდელი ეკლესია ახალის ეკვტერად გადაუქცევიათ. თაღი ეკლესიისა მომრგვალებულია; შესავალი მოიპოვება სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. საკურთხეველში სამი ფანჯარაა; სხვა მხარეებში თითო; ჩარჩოები ფანჯრებისა მოჩუქურთმებულია. საკურთხეველი გარეთ მომრგვალებით გამოდის. დახურულია ყავრით, ორ ფრთად, და შიგნით შეთეთრებულია კირით. კანკელი ხისაა, ერთობ მაღალი; გაყოფილია ხუთ სართულად. აღსავლის კარი საკურთხევლისა და დანარჩენიც ორი ჩუქურთმით შემკობილნი არიან. სურათები წმიდანებისა კანკელში წამლითაა დახატული 37 განცალკევებულს დაფაზე.

შინაარსით წარმოგვიდგენენ სახარების სცენებს. ამას გარდა არის კიდევ სურათები ღვთის მშობლისა და იოანე ნათლის მცემლისა. მხატვრობა გვარიანია. ორ სტრიქონიანი მხედრული წარწერა კანკელისა გვიჩვენებს, რომ ახალი, აღმოსავლეთის ნაწილი ეკლესიისა აუშენებიათ 1798 წელს:

ქ : შენ ცათა უვრცელეს უმაღლესო დედოფალო მარიამ
მე ფ˜ დ ცოდვილმან მონამან მინდობილმან საფარველთა შენ-
თამან: მსასოებელმან. სარდალ მოურავმან. გელოანმან. ქაიხოსრო და მეუღლემან ჩემმან დგებუაძის ასულმან როდამ
აღვაშენეთ ეკლესია ესე შენ მიერითა წყალობითა სახელსა
ზედა შობისა შენისა და შევამკვეთ ყ˜ ითა სამღვდელოთა
და წიგნებითა : და დავახატვინეთ : კანკელი ესე მრჩობლთა
ცხოვრებათა ჩვენთა წარსამართებლად : და სულთა ჩვენთა
საუკუნოდ მოსახსენებლად
რათა მეოხ იყო ჩვენთვის წინაშე ძისა შენისა დღესა მას
განკითხვისასა ღირს გვყვენ ჩვენ მარჯვენით დგომად წი-
ნაშე ძისა შენისა. და ძეთა და ასულთა ჩვენთა. მოანიჭე
კეთილწარმატება და სიმრთელე კეთილ ცხოვრება : მონე-
ბასა შინა შენსა ამინ : სრულ იქმნა დეკემბერს. ᲩᲘ . ქრისტეს
აქეთ : ჩ. ღ. ჟ. ᲩᲘ.
უფალო იესო ქრისტე ღ˜ ო შეიწყალე გლახაკი და ფ˜ დ ცოდვილი
მონა შენი. დავით ბეჟიაშვილი : ქართველი : ამინ.

ქაიხოსრო გელოვანი ამშენებელი ეკლესიისა მოკლულ იქმნა 1799 წელს (იხ. ჩემი სტატია: ისტორიული მინაწერები კვინკლოსისა და სხვა ქრონოლოგიური ცნობები, რუსულ ენაზე, მზრუნველის კრებული, წიგნი მე-21, გვ. 59). ეკლესიაში დამარხულნი არიან გელოვანთა ოჯახის წევრები. ზოგიერთ მათ სასაფლაოს ქვებზე მხედრული წარწერები არის:

1. მაიორი ლეონ ქაიხოსროს ძე გელოვანი. მოკლული აფხაზეთის ომში 1824 წელს :
წელთა უფლისა ჩყკდ, ივლისის ი. ᲩᲘᲡᲐᲔᲑᲠ უფლისა მიწა
მიწადვე მივიქეც მონა ღ˜ ისა მაიორ-კავალეროსნი თავადი
ლეონ ქაიხოსროს ძე გელოვანი ოდესცა წარვიდენ საბრძოლვე-
ლად უდიდებულესი მხედრობა როსიის და მათთანა სრულიად
სამენგრელოჲსა და სხვათა მთავარი ღენერალ ლეიტენანტი
ლეონ გრიგოლისძე დადიანი უსჯულოსა ზედა აფხაზეთს.
მუნ წარვსდეგ რა ბრძოლასა შინა მოვიწყალ მახვილებითა
და აღვესრულე წლისა : ლᲖ : გევედრები ყოველთა
აღმომკითხველთა სიყვარულისათვის ღ˜ ისა შენდობასა
მყოფდეთ ჩემ ცოდვილთათვის და რათა არავინ შეძრათ ლოდი
ესე და საფლავი გვამისა ჩემისა :

2. პოლკოვნიკი ბერი ქაიხოსროს ძე გელოვანი, გარდაცვლილი 1851 წ. 24 აგვისტოს, მე-95 წელზე ცხოვრებისა:
კდ აგვისტოს ჩყნა წელსა ახალჭალას მიცვალებული
პოლკოვნიკი და კავალერი თავადი ბერი ქაიხოსრო ძე გე-
ლოვანი, რომელმან მსახურა ღირსად მამულსა.

(ამ წარწერაში შემთხვევით გამოგვრჩა ის ნაწილი ტექსტისა, სადაც ნათქვამია, რომ ბერი გელოვანი გადაიცვალა მე-95 წელს ცხოვრებისა).

3. მარიკა მიქელაძის ასული, კნეინა გელოვანისა, გადაცვლილი 1849 წელს. ვგონებ, უნდა ყოფილიყო მეუღლე ბერი გელოვანისა.

4. მდივანბეგი სამეგრელოსი გიორგი ქაიხოსროსძე გელოვანი, გადაცვლილი 1824 წ. 12 ოკტომბერს:

საფლავსა ამას შინა ვმდებარებ თავადის სარდალ-მოურავის
ქაიხოსრო გელოვანის ძე სამენგრელოს სამთავროს მდივანბეგი
გიორგი გელოვანი, რომელიც აღვესრულე წელსა, ჩყკდ-სა,
ოკდომბრის იბ-სა, წლისა. ნგ. ხოლო თქუჱნ მხილველნო და
აღმომკითხველნო ჩემზე მდებარისა ამის ლოდისა მომიგონებდეთ. . .

5. კნეინა სალომე გელოვანისა:

გიორგი ერისთავის ასული სალომე კნეინა გელოვანისა ჩყმბ წელსა,
კგ წლისა, მეუღლე მისი ნიკო და ძე ნესტორ.

6. ჩყმე წელსა მხლებელი მთავრის დავითისა ნიკო მაიორის ძე გვარათ გელოანი ოცდა შვიდი წლისა.

სოფელი ლაცორია.

სოფელი ლაცორია გაშენებულია მაღლობზე, ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე. ეკლესია სოფლისა პატარაა, ხისა. საკურთხეველი მომრგვალებით გამოდის გარედ. ირგვლივ ფანჯატური უვლის, ხის სვეტებზე დამყარებული; დახურულია ყავრით, ორ ფრთად. კანკელი ხისა აქვს, 1888 წელს, 26 ივნისს დამთავრებული, წმიდანების სურათებით დაბალი ხელობისა და მხედრულის წარწერებით. ამ ეკლესიაზე მოწერილნი არიან კიდევ სოფლები სპატაგორი და ლეშქენა. ეკლესია წმ. კვირიკე და ივლიტეს სახელობაზეა აშენებული. ეკლესიაში იპოვება:

1. თავი ხატი ეკლესიისა **კვირიკე და ივლიტასი,** ვერცხლისა, ისეთივე უშნო და ერთობ ტლანქი ხელობისა, როგორც ლაჯანას ხატი იყო, იმავე ოქრომჭედლის გაკეთებული (ფ. №16786). წმიდანები მთელის ტანით არიან წარმოდგენილნი, კვირიკეს მარცხენა ხელში ჯვარი უკავია, მარჯვენით ჩასჭიდებია ივლიტას ხელს, რომლის თავის მორთულობაზე ჯვარი უსვია. ზემო აშიაზე კარიკატურული ფიგურებია ქრისტესი მთავარანგელოზებითურთ, დაბლა კუთხეებში ასეთივე კარიკატურული ფიგურებია წმ. გიორგის და წმ. დიმიტრესი, წარწერები ხუცური კიდევ უფრო ვულგარული და დამახინჯებულია, ვიდრე ლაჯანის ხატზე. ზედა აშიაზე სწერია:

ამის მომჭედ ვისსა ძესა
სა მოძღუ ისოებს
არს ქასი შეუნდს
ლაძესა ლი ღ-ნ.

ქვემო აშიაზე:	უქარაგმოდ:
წ҃ ო კ҃ კე წ҃ ო ი҃ ლტე [მონა	წმიდაო კვირიკე, წმი- დაო ივლიტე [მონა
შენი] გელოანი სულა დგი	შენი] გელოანი სულა დგი
მთის ცოდვისაგან	მათის ცოდვისაგან.

ფრჩხილებში ჩასმულს სიტყვებს აზრით ვუმატებთ. ხატზე ვერ ვარჩევთ. დამახინჯებულს მხედრულ წარწერაში მარჯვენა აშიაზე ჩვენ გავარჩიეთ მხოლოდ:

ქ წმიდაო . . . ისეობ მჭედელი .

ლაჯანის წარწერაში ოქრომჭედელი წოდებულია იოსებ ქაჟელაძეთ, აქ კი იოსებ ქასილაძეთ.ხელობა კი ერთი და იმავე ოქრომჭედლის არის.

2. **ხატი ღვთის მშობლისა,** წამლით დახატული, ლამაზი ნახელავი, მაგრამ არის ძველი, 27X21 სანტ., ბერძნული წარწერით სახელისა.

3. მეორე **ხატი ღვთის მშობლისა,** წამლით დახატული ჩჩვილედი, ასეთივე ხელობისა, როგორც წინანდელი; სრულის ტანით, გვირგვინით. ეს ორივე ხატი ბერძნული ხელობისა არის.

4. **ხატი მთავარანგელოზთა,** წამლით დახატული, 54X40 სანტ. სახელების წარწერით დიდრონი ასომთავრულით: „მიქელ მთავარანგელოზი და გაბრიელ“. მიქელ მახვილით არის წარმოდგენილი, გაბრიელ ბზის შტოთი; ამას გარდა ორივეს ბურთები აქვთ ხელში; ხელობა ლამაზია, მაგრამ ახალი.

5. **ხატი წმ. ბარბარესი,** წამლით დახატული ძელზე, ერთობ უშნოდ გამოყავნილი. წარწერით: წ҃ ꙋ ვარვალა (sic).

6. **ბარძიმი კალისა.** მხედრული წარწერით:

ქ. გევედრები სამღთოთა მღვდელთა მუშაკი წმიდისა ამის
ბარძიმისა დედოფალი გულქან, რათა რაჟამს შესწირავდეთ
მსხვერპლსა წმიდასა ლოცვასა და მოხსენებასა ყოფდეთ
ჩემთვის და მიცვალებულისა ჩემისა დადიანის ოტიასათვის.

დედოფალი გულქანი იყო რაჭის ერისთავის შოშიტა მესამის ასული, მეუღლე ოტია დადიანისა (1728-1744), ბეჟან პირველის დადიანის შვილისა.

სოფელი მცხეთა.

დიდი მცხეთის სახელი აღმოსავლეთ საქართველოში არა იშვიათია საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, მაგალითად, სოფელი მცხეთა არსებობს დღემდისაც ოლთისის რაიონში; აქ, ლეჩხუმში, ლაჯანურას ხეობაში და სხვა. მცხეთის ეკლესია ლეჩხუმისა, წმ. გიორგის სახელზე აშენებული, განირჩევა ლეჩხუმის სხვა ეკლესიებისაგან. ეს ერთად ერთი ეკლესია არის ლეჩხუმში გუმბათიანი (ფ. №17395). ეკლესია პატარაა; შიგნით ჯვარის სახისაა, სამნაოსიანია; აქვს სამკვეთლო და სადიაკვნე, რომელნიც კარებით უერთდებიან საკურთხეველს და თვით ეკლესიას. სვეტი ორი აქვს, მრგვალი, ოთხკუთხედი კვარცხლბეკებით. ამ სვეტებიდან თაღები გადიან საკურთხევლის ნახევარ სვეტებზე, პილიასტრებზე, და ამ თაღებზეა დამყარებული გუმბათის ყელი., რომელსაც ექვსი ფანჯარა აქვს; გუმბათი შაქრის თავის მსგავსია. ეკლესია განუახლებიათ 1904 წელს და მაშინ დაუკარგავს თავის ფრესკები, კედლები ხელახლა მოუგლესიათ. კონცხებში აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადისა ცხვრის თავებია ქვისაგან გამოქანდაკებულნი. მოგძო ფანჯარა დასავლ. მომრგვალებული, გრეხილიან ოთხკუთხედშია მოქცეული. ამ ოთხკუთხედის ზემოდ ჩუქურთმიანი ჯვარია. შიგ ოთხკუთხედში შვიდი ფიგურაა გამოქანდაკებული. მარცხნივ კაცისა, გვირგვინით თავზე და ქართულის ტანისამოსით; ამას ქვემოდ ფარშავანგი, შველი და ვეფხი; მარჯვნივ – წმ. გიორგი ცხენით, კაცს გმირავს შუბით; ამას ქვემოდ – ფრინველი (კაჭკაჭი ?) და ვეფხი (ფ.№17397). აღმოსავლეთის ფანჯარა შემკობილია ჩუქურთმებით, სიმრგვალეებით, ჯვარითურთ შუაში და ნაძვის ჯალღუზების მსგავსი ორნამენტით. ფანჯრის თავზე ჯვარია; ქვემოდ, ფანჯრის მარჯვნივ, დაუმთავრებელ ორნამენტის ქვეშ, გამოხატულია კაცის ხელი, რომლის ზემოდ აწერია მხედრულად (ფ. №17396):

ქ : ხელი ნასყი

დას : კალატოზის

ქართლელის

კანკელი ეკლესიისა, წამლით ნახატავი წმიდანების სურათებით, ახალია, 1864 წ. შესრულებული, რაც მტკიცდება მხედრულის წარწერით:

ჩყ ად-სა წელსა აგვისტოს შვიდსა აღემართა კანკელი ესე

ამავ ეკლესიის საკუთრებისაგან.

შესავალი აქვს ეკლესიას სამხრეთით და დასავლეთით; კარის ჩუქურთმიანი შემკობილობა მხოლოდ სამხრეთის მარჯვნივ არის შენახული; ფანჯარა სულ ოთხი აქვს, თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით, თითო საკურთხეველში და სადიაკვნოში; საკურთხევლის ფანჯრის ქვემოდ, ეკლესიაში, ღრმა უბეა, გარდა ორი პატარა ნიშისა, მარცხნივ და მარჯვნივ ფანჯარისა. ტრაპეზი ქვისაა, ხუთ ქვისავე პატარა სვეტებზე დამყარებული. მახლობლად ეკლესიისა მოიპოვება პაწია ხის სამრეკლო, ოთხს სვეტზე დამყარებული (ფ. № 17395).

როდესაც აკადემიკოსმა ბროსემ ინახულა ეს ეკლესია 1848 წ., მას ადგილობრივ ცნობას მისცეს, რომ ეკლესია აშენებულია ოტია დადიანის მეუღლის გულქანის მიერ; ხოლო შემდეგ აიკლო იმერეთის მეფემ (Rapp. IX, 33-34). ეს ცნობა მართალი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ეკლესია მეთვრამეტე საუკუნის უნდა იყოს; ოტია

დადიანიც (1728-1744), ბეჟან პირველ დადიანის შვილი იყო, ხოლო მისი მეუღლე რაჭის ერისთავის შოშიტა მესამის ქალი, ცოცხალი იყო ჯერ კიდევ 1761 წ. (იხ. ჩემი „არხ. მოგზ.“, 2, გვ. 116).

სიძველენი მცხეთის ეკლესიისა.

1. **თავი ხატი წმიდა გიორგისა,** დიდი, 90,5X55 სანტ. (ფ. №16779), ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, ქართულის ხელობისა. ერთობ დაზიანებულია; წმ. გიორგი ფეხზე მდგომარე, გმირავს შუბით გვირგვინოსან მეფეს (დეოკლეტიანეს); თავის წრე შემკობილია 12 ძვირფასი ქვით, ლალებით და ქარვებით; წარწერა ხუცურია; მთვრ მწმ : მცხთ[ისა]. ისტორიული წარწერიდან, რომელიც ალბათ ქვემოდ იყო, ეხლა მხოლოდ ნატეხია შუაში მიკრული:

(ე)ქმნ წ-ე ძესა :
: დღესა : მას დ
(დსა) ც-დვგნკით . . .

აშიები შემკობილი ყოფილა რომბ-ლურსმული ორნამენტით, შიგ დატანებული მედალიონებით და ფირფიტებით წმიდანებისა, ქვემო და ზემო ფირფიტები მერმინდელია; მარჯვენა აშიაზე, სხვათა შორის, მთავარ ანგელოზია წარმოდგენილი, სრული ტანით. ზემო აშიაზე, მარჯვნივ, ყოფილა პატარა სიმრგვალე (როზეტკა), ქვებით შემკობილი; ქვები დაკარგულა.

ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-15-16 საუკუნეს.

2. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, ქართული ხელობისა, 86X28 სანტ. მაცხოვარი მაკურთხეველის ხელით ტახტზე მჯდომარეა, მაგრამ ტანი, წელს ზევით, უმეტეს ნაწილად მოშლილია, აგრეთვე თავის წრეც; წარწერა სახელისა ბერძნულის ასოებით არის. აშია, რომბ-ლურსმული, უშნო ორნამენტით არის დამზადებული და მოყვითლულია. ხელობა მდარეა, მე-17-18 საუკუნისა, (იხ. 16774).

3. **ჯვარცმის ხატი,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 30,5 X22 სანტ. წინამდგომებით, მარიამით და იოანე მახარობელით, რომელთ წარწერებიდან მოსჩანს მხოლოდ: „და ღთ – მ3რბლ“. ჯვარცმის ზემოდ ბერძნული ასოებით ქრისტეს სახელი; მარჯვნივ და მარცხნივ მედალიონებში მთავარ ანგელოზნი, წელსზევითნი; ზემოდ წარწერა : ჯვარცმ : ქრსთსი . აშია რომბ-ლურსმულია. საზოგადოთ ხელობა ისეთია, როგორც წინა ხატისა და ერთი და იმავე ოქრომჭედელის ნახელავი უნდა იყოს. ჯვარის ქვემოდ ადამის თავია. ხატი მე-17-18 საუკ. უნდა იყოს. (№ 16775).

4. **ხატი წმ. ბასილისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 28X13,5 სანტ. მშვენიერი ხელობისა; ბასილი წარმოდგენილია სრულის ტანით, სამღვდელ-მთავრო ტანისამოსით; მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს; წარწერა ლამაზი ბერძნული ასომთავრულით; „ჰო აგიოს ბასილიოს“. აშიები შემკობილია ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტებით და მედალიონებით წმიდანებისა, ბერძნულის წარწერებით სახელებისა: ზემოდ: ვედრება; ქვემოდ: წ-ა გიორგი წ-ა დიმიტრი და წ-ა თეოდორე; მარჯვნივ; წ-ა ნიკოლოზ და წ-ა იოანე ოქროპირი;

მარცხნივ: გრიგოლ დიდი და იოანე ღვთის მეტყველი (№16776). ხატი არის ბერძნულის ხელობისა, მე-12-13 საუკ.

5. ვეებერთელა **ხატი მთავარ ანგელოზ მიქელისა,** წამლით ნახატი ხეზე, 135X92 სანტ. ფართო თავის წრე ოქროთი დაფერილის ვერცხლისა, შემკობილი ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტებით (№16773). მთავარ ანგელოზს მარჯვენა ხელში უჭირავს მახვილი; მარცხენაში - სიმრგვალე, ასომთავრული წარწერით : წ-ა არს, წ-ა არს, წ-ა არს ო-ფლი. ზემოდ ხლართული ანუ შეწვნილი ასომთავრულით: მთავარანგელოზი მიქელ. აშიები ვერცხლისაა, რომბ-ლურსმული ორნამენტით შემკობილი. ხატი მე-16 საუკუნის უნდა იყოს.

6. **ჯვარი საწინამძღვრო,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ხეტარზე, რომელიც ვერცხლით არის შეჭედილი და მოჩუქურთმებული. თვით ჯვარის წინა პირზე გამოსახულია მოტლანქოდ ჯვარცმა; ზემოდ და ქვემოდ მედალიონებში – მთავარ ანგელოზები: მ-ქ . გ-ლ:. მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარცმისა: დ-და ღ-თს: წ-ჲ ი-ვნე მხრბლ. ჯვარცმულის ზემოდ ჯვარისავე წრეში სწერია: ქ მეოფე ორიათა. ამას ზემოდ არის გამოსახული მზე და მთვარე. წარწერები ყველა ასომთავრულია. ქრისტეს სახე დაზიანებულია. დიდი ვერცხლის ბურთი, რომელზედაც ჯვარია დაპყრობილი, შემკობილია წმიდანების სურათებით (ფ. № 16778). ჯვარის ზურგზე ასომთავრული წარწერა ლიტერატურაში უცნობია (ფ. №16777). წარწერა საზოგადოდ კარგად არის შენახული, მაგრამ ზოგიერთი სიტყვები ერთობ შემოკლებულია და მათი გახსნა არც ისე ადვილია, მაგრამ ცდა მაინც საჭიროა:

ქ ჶოი : შენ : ყლ
თა : არსთა :
: შმ-ქდ : ქ-ტე :
: ძ- : ღ-საო : რნ :
თავს იდ
ევ : სიკდლ
თა : სიკ-ლი : ددრ
გებიე : ჩენებრთა : ც-დვილთათვნ
რმ-ნი : შ-ნითა : ოხითა : შევედრნენ : ჩ
10. ვენ : ცა : უღისნი : დიდითა : სასებითა :
მხ-ბის : შ-ნისა :
შეხოეწილნ :
მ-მკბნი : შ-ნი
ს ხტსნი დნი
15. კლაოზსც მე
ხდ მმაგებელ
წ-ე შნს : კხი : და
რიშ : და : ასლი : ჩ-ნი
დ-ფი : მმცმთხვთ
20. მოწყბ[თა] შნთ : აქა : დ
მ-ს : დიდს : დ-ღს : წ-ე : შ-ნს : გ-კვ
სასსა :.

უქარაგმოდ ტექსტს ჩვენ ასე ვკითხულობთ:

ქ ჱოი შენ, ყოველთა არსთა შემოქმედ(ო) ქრისტე, ძ(ეო) ღმრთისაო, რომელმან თავს იდვა სიკუდილითა სიკუდილი(ს) დადრგუნებაიე(?) ჩუენებრთა ცოდვილთათვინ. რომელნი შენითა ოხითა შეივედრნენ, ჩვენცა უღირსნი, დიდითა სასოებითა მეოხების(ა) შენისა შეხუეწილნ(ი), მამკობნი შენის(ა) ხატისანი და ნიკოლოზისაც(ა), მეოხად მომაგებელ(ნი) წინაშე შენს(ა), კახი დარიშ და ასული ჩუენი დაფი, მიმცაამთხვიეთ მოწყალებითა შენთ(ა) აქა და მას დიდს(ა) დღეს(ა) წინაშე შენს(ა) განკითხვისასა.

ჩვენგან გადმოღებულ სურათზე ამ წარწერისა (ფ. № 16777) თავში პირველი ორი ასო „ქ ჱ“ არ სჩანს, მაგრამ ნამდვილში მოიპოვება. ამას გარდა, პირველი სიტყვა ზედმეტი ასოებით არის გადმოცემული. საკმარისი იყო მარტო ჱ, რომ წაგვეკითხა ჱოი, შემოკლების ნიშნები, პატივი წესიერად არ არის ნახმარი; ზოგი შემოკლება უპატივოდ არის დატოვებული. ბოლო ასოები ზოგიერთი სიტყვისა ხშირად გამოშვებულია; ასო ჯ მაგიერ ვ-ნია ნახმარი სიტყვაში „ცოდვილთათვინ“ (სტრიქონი 8), რომელიც თავის თავად ვულგარიზმს წარმოადგენს; უნდა ყოფილიყო „ცოდვილთათჯს“. ასო ო-ნი ნახმარია უ-ს მაგიერ სიტყვაში „შეხუეწილნი“ (სტრ. 12). ჯგუფი: დადრგებიე (სტრ. 7-8) ძნელი ასახსნელია; ჩვენი წაკითხვა სავარაუდოა. სხვა საცილობელ სიტყვებზე აქ აღარ შევჩერდებით; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ კახი, დარიშ და დაფი, შეიძლება არიშიანთა გვარს ეკუთვნოდენ, რომელნიც „ქართლის ცხოვრება“-შიც იხსენიებიან (არიშიანი ბარამ და ქავთარ, (H.G.I.pp.356). ჯვარი მე-16 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ აკად. ბროსე არც ამ ჯვარს და არც ერთს ჩვენ მიერ განხილულ ხატებს, გარდა პირველისა, არ იხსენიებს (Rapp. IX, 33-34).

ლეჩხუმის მცხეთის ეკლესიის შესახებ ჩვენ ხელთ არის: გარდა ნაჩვენები ფოტოგრაფიებისა, გეგმა ეკლესიისა, განის განაკვეთი და დასავლეთის ფასადი.

ცაგერი (1)

ცაგერის საკათედრო ტაძარი, საჯდომი ცაგერელი ეპისკოპოზისა, განუახლებიათ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და ამით მას დაუკარგავს თავისი ძველი სახე. ეკლესია ყოფილა სიონური ანუ ბაზილიკური რიგისა, სამ ნაოსად დაყოფილი, ოთხი ოთხკუთხედი ქვის სვეტებით და მათი მრგვალი კვარცხლბეკებით. საკურთხეველი ეხლა შიგნით ერთია, მომრგვალებული, მაგრამ გარედ გამოდის სამი მომრგვალებული სახით. წინეთ ალბათ სადიაკვნე და სამკვეთლო შიგნით გამოყოფილი იყო. შესავალი აქვს ეხლა დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ერთად ერთი საუკეთესო სიძველის ნაშთი შერჩენია სამხრეთის კარს, რომლის ჩუქურთმიანი ჩარჩო ერთობ საუცხოვო ნახელავია (ფ. №17383, წარწერა ერმაკოვის ფოტოგრაფიაზე ამ კარს შეცდომით ლაბეჭინის კარად ხადის). აღმოსავლეთით და დასავლეთით ეკლესიას აქვს სამ-სამი ფანჯარა, ჩრდილოეთით

---

1 ლიტერატურა ცაგერის შესახებ: M. Brosset, Voyage arch. Rapp. IX, pp 35-88. დ. ბაქრაძე: კავკაზ ვ დრევნიხ პამიატნიკას ხრისტიანსტვა. გრ. უვაროვა: მატერიალი პო არხ. კავკაზა, X, გვ. 49, 90, 112, 182. ა. ხახანოვ, იქვე: პრილოჟენიე, გვ. 32-33, თ. ჟორდანია: ქრონიკები, II, გვ. 465, 475

და დასავლეთით ორ-ორი. ამას გარდა კიდევ კარების თავში პატარა ფანჯრებია. დასავლეთის შუა ფანჯარაზე სამი შეერთებული ქვის ჯვარია გამოსახული. ტაძარი მოქცეულია მაღალს ქვის გალავანში, რომელიც შემდეგ დროში შეუკეთებიათ. გალავანს გარეთ მოიპოვება ნანგრევი ორ-სართულიანი ქვის საეპისკოპოსო სახლისა. როდესაც დ. ბაქრაძემ 1867 წ. ინახულა ტაძარი, შიგნით კიდევ მოჩანდა დაზიანებული ფრესკები და მათ შორის სახე თამარ დედოფლისა და მისი შვილის გიორგისა. წარწერები: „თამარ“, „გიორგი“, მაშინ ჯერ კიდევ იკითხებოდა. ეხლა ფრესკების ნაშთი სულ აღარ სჩანს. ეკლესიის განახლება იმ თავითვე დაწყებულა და დამთავრებულა 1871 წ. ამის შესახებ მოიპოვება მხედრული ვრცელი წარწერა ჩრდილოეთის კედელზე, საკურთხევლის მახლობლად:

ტაძარი ესე ცაგ. მონასტრისა, რომელიც 1823 წ. იყო
სამიტროპოლიტო და ამა წ-გნ ეკლ. არის საარხიმანდრიტო
მონასტერი განახლებულ არს სიძველისაგან 1866 წლ-დ.
1871 წ-მდე დიდ ძალის შემწეობითა უგანათლებულესისა
მენგრელიის კნიაზის ნიკოლოზ დავითის ძისა და დედისა
მისისა უგანათლებულესისა მთავრინა ეკატერინა ალექსანდრეს
ასულისა წარსამართებელად მათდა, მეუღლისა მისისა და ძეთა
და ასულთა მათდა, ეგრეთვე სხვათაგანცა ლეჩხუმის ვეზდის სამღდილოთა
თავად-აზნაურთა უმეტესად თ¯დთა ჩიქოანებთაგან. და გლეხთა და მრევლთა
ცაგერ-გვეროს სოფლისათა, მზრუნველობითა მყოფის იღუმნად აწ მყოფისა
არხიმანდრიტისა ამა მონასტრისა ბესარიონ გრიგოლის ძისა
ახვლედიანისა და დეკანოზის ლავრენტი პავლეს ძის ნემსაძისათა და
თანამშრომელობითა მღვდელ-მონაზვნებთა იოანე, ანტონ და ლუკასითა და ა¯ზის
ბესარიონ ნემსაძისათა. წარვაწერე არხიმანდრიტმა ბესარიონმა 1880 წ.

კანკელის ეკლესიისა 1786 წ. აგებული, შემდეგ დროში განუახლებიათ, მაგრამ

მხედრული წარწერა, რომელიც უნახავს ბროსეს და არ გამოუცია (Rapp. IX, 37), დაცულია და ჩვენ აქ მოგვყავს:

ეჰა შენ ცათა უმაღლესო სერაბიმთა და ქერაბინთა უაღმატებულესო.
უწმინდესო დედოფალო ცაგერის ღ-ის მშობელო მეცვა-ფარვათა შენთა
მონდობილმან სასოებისა ჩემისა შენ ზ-ა დამდებმან ფ-დ ცოდვილმან
ყ-დ სამღუდელომ ცაგ. მიტ. სოფრომ გიძღვნე მცირე ესე მწვლილი
შესაწირავი გაგიკეთებინე კანკელი ცოდვილისა სულისა ჩემისა საოხად
და ხელმწიფისა ჩ-ნისა დადიანის კაცისა დედოფლის ანნას სადღეგრძელოდ
ძეთა და ასულთა მისთა აღსაზრდელად ვინ ნახოთ ღ-ის სიყარულისათჳს
შენდობას ბრძანებდეთ ჩ-ნთჳს. ქრისტეს აქეთ ჩღპვ-სა წელსა – 786.

შემდეგ მიმატებულია:

განახლებულ არს კანკელი ესე საშუალობითა კეთილმნებელობითის შესაწი-
რავისათა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთაგან წინამძღვრის ამა მონასტრის
იღუმნის ბესარიონისიგან 1875 წელსა შ-ა.

ბროსეს დროს სამხრეთის საუცხოო ნახელავ ურთხმელის კარზე ყოფილა ხუცური წარწერა, რომელიც განგებ ამოუფხეკიათ და დარჩენილა მხოლოდ შემდეგი:

. . . ვინცა შენდობასა ბრძანებდეთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან.

ალბათ ამ წარწერას უჩვენებს დ. ბაქრაძე, როდესაც ამბობს, რომ ცაგერის ეკლესიის შესავალთან, ურთხმელის კოჭზე, დაცულია ბოლო წარწერისა, რომლის დასაწყისი განგებ წაშლილია, ამბობენ დავით დადიანის ბრძანებით, ისე როგორც მარტვილის მონასტერში, ვინაიდან წარწერა უჩვენებდა მის შთამომავლობას ღარიბი გორდელი აზნაურის ჩიქოვანისაგან. მარტო ამის გახსენება, როგორც ირწმუნებიან, მას სიწითლეს გვრიდაო.

სიძველენი ცაგერის ტაძრისა.

1. თავ განძს ცაგერის ეკლესიისა შეადგენდა **დიდი საწინამძღვრო ჯვარი იშხანის ტაძრისა**, 973 წელს გაჭედილი. ჯვარის წარწერები ცნობილია ბროსეს დროდან და მას თარიღი ჯვარისა ჯეროვნად აქვს ნაჩვენები (Rapp .IX,p. 35-36). წარწერებს იმეორებენ თ. ჟორდანია (ქრონიკები, 1, გვ. 91-92) და ა. ხახანაშვილი (მატერ. X, დამატება, გვ. 32-33). უკანასკნელი წარწერის თარიღს „რჟგ“ შეცდომით უფარდებს 1033 წელს და არა 973 წელს, როგორც ნამდვილშია. გრაფინია უვაროვისა იმავე გამოცემაში (გვ. 90) იმავე ქორონიკონს მე-14 მოქცევისად ხადის და ჯვარის გაჭედას 1505 წელს მიაწერს. ჩვენ ჯვარის ორივე მხარე გადმოვიღეთ ფოტოგრაფიულად, დიდის ფორმატით, (№ 16787-16788). ეს ახლა განსაკუთრებით ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ჯვარი პირვანდელი სახით ამჟამად აღარ არსებობს; ის განადგურებულია. აი რას სწერს პროფესორი გ. ჩუბინაშვილი ამის შესახებ თავის სტატიაში: „973 წლის ჯვარი იშხანიდან“: „1930 წ. 10 ივლისს, ღამით გასტეხეს და გაძარცვეს ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, დაარსებული ამ რამოდენიმე წლის წინათ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მეცნიერების კაბინეტთან. ჩვენი ძველი ხელოვნების დაზარალებულ სხვა ძეგლთა შორის, როგორც ჩანს, სამუდამოდ დაიღუპა ამ წერილის სათაურში დასახელებული, 973 წლით დათარიღებული, განსაცვივრებელი ძეგლი ოქრომჭედლური ხელოვნებისა. ვამბობ: „როგორც ჩანს სამუდამოდ დაიღუპა“, რადგან გაძარცვის შემდეგ – მიუხედავად ენერგიული გამოძიებისა – აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ძეგლის საცოდავი ნამტვრევები, რომელთა სურათები ქვემოთ იქნება მოყვანილი“ (იხ. „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, VI, გვ. 297). გ. ჩუბინაშვილის საყურადღებო სტატიაში ჯეროვნად და ამოწურვით გაშუქებულია დიდი მნიშვნელობა და მხატვრული და ტექნიკური მხარე ამ ჯვარისა; აგრეთვე სრულიად მოყვანილია წარწერებიც. ამიტომ ჩვენ ჩვენი სტატიის სისრულისათვის, მცირედ შევეხებით აღწერას და უჩვენებთ წარწერებს.

ჯვარი შესდგება ორი ნაწილისაგან, თვით ჯვარისაგან და ხეტარისაგან, რომელზედაც თავის სახელურით ჯვარი გამაგრებულია. ხეტარი შევერცხლილია და შემკობილი სამი ბურთით და ცილინდრული რგოლით. ბურთები მოჩუქურთმებულია. ხეტარი გაუკეთებია ცაგერელ მიტროპოლიტს სოფრომს, რაც მტკიცდება მხედრულის წარწერით:

ქ. ამ ჯვარის მადლო შე-წიე სოფრ-მს

ცაგერელ მიტროპოლიტს.

ეს ის მიტროპოლიტია, რომელსაც გაუკეთებია 1786 წელს ცაგერის ტაძრის კანკელი, როგორც ეს ჩანს ჩვენ მიერ ზემოდ მოყვანილ კანკელის წარწერისაგან.

თვით ჯვარი ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, 51X36,5 სანტ., ნაჭედი, ერთობ მდიდრულად შემკობილია პალმეტებით, როზეტებით ანუ მედალიონებით,

ძვირფასი ქვებითურთ შიგნით, და გამშვენებულია ოქროთი დაფერვით, სევადით, გრავიურით და ჭედვით და სხვა და სხვა სახეებით. წინა პირზე, შუაში, განსაკუთრებულ უბრალო ჯვარზე ჯვარცმულია გამოსახული სულ სადათ, საზოგადო კონტურით, უმოძრაოდ; თავზე ჯვარცმულისა ჯვარის მსგავსი ფიცარია ასომთავრული წარწერით:

ესე / იჯ/ მ-ფწ/ ჰრ-თჲ.

ჯვარის ჰორიზონტალური მკლავის ქემოდ აგრეთვე ასომთავრულით:

იშხნ-სთ-ს ი-ლნ შ-ქმნა ვინ გმ- ჯს შ-მცაჩ-ნბ-ლ არს –

იშხნისთჯს ილარიონ შექმნა. ვინ გამოაჯუას, შემცაჩვენებულ არს.

ბოლოში გაფართოებული ჯვარის მკლავები თავდება წვეტებით და წვეტებზე ლამაზ ნახელავი პალმეტებია. პალმეტები ცალკეა დამზადებული და შემდეგ შეერთებული წვეტებთან. ოთხი მათგანი მოცილებულია ჯვარს და შეკვეთების დროს ტლანქად მიუკრავთ, რაც აშკარად სჩანს სურათზედაც. ჯვარის ქვემო მკლავს პალმეტები არ ჰქონია; ყველა მკლავები ჯვარისა შემკობილი ყოფილა საუცხოვო ნახელავი როზეტებით სხვა და სხვა ფორმისა. როზეტები შემკობილია ძვირფასი ქვებით და მარგალიტის მძივებით შიგნით და გარედ, ზოგჯერ ორმაგით. სულ ეხლა 13 როზეტი მოსჩანს: ხუთი ზემო მკლავზე და ოთხ-ოთხი მარჯვენა და მარცხენა მკლავებზე; ძვირფას ქვებთა შორის ერთი დიდი ჯვარცმულის წარწერის ზემოდ ამეთვისტოა; სხვები საფირონებია და ზურმუხტები, ბუდეებში ჩასმულნი. ჯვარცმულის ფიცრის ქვემოდ როზეტი არ შენახულა და აქ შემდეგ, ალბად შეკეთების დროს, უშნოდ ჩაუსვამთ სამი ქვა, ორი ზურმუხტი და ერთი ლალი. ამ ადგილას ჯვარი გატეხილი ყოფილა და შეკეთების დროს გაუმაგრებიათ ორი ვეერტიკალური ლითონის ზოლით და ამას ქვემოდ მოთავსებულია ასომთავრული წარწერა შემკეთებლისა (ნიშნებად ვტოვებთ მარტო ორ-ორ წერტილს):

ჩ-ნ : მე	ჩუენ მე-
ფეთ მეფ	ფეთ მეფე-
ემნ : პატრონმ-ნ :	ემან, პატრონმან
გ-ი : მეორედ : გვკ	გიორგი, მეორედ გავაკ-
ეთედ : ჯ-რი : ესე : წ-რ	ეთედ ჯუარი ესე წარ-
ს-მრთებელდ: მეფო	სამართებლად მეფო-
ბისა : ჩენისათვის : დ	ბისა ჩუენისათვის და
ც-დვთა : ჩნთ	ცოდვათა ჩუენთ-
ა : შესნდო	ა შესანდო-
ბელად :	ბელად.
ა-ნ.	ამინ.

ამ წარწერაში მოხსენებული მეფე გიორგი უნდა იყოს იმერეთის მეფე გიორგი მესამე (1605-1633).

ზურგს ჯვარისა ამშვენებს ჩამოსხმული ლითონის ჯვარი, რომელიც ერთ და იმავე დროს ამაგრებს მთელს ჯვარს და მასთან მის დამაშვენებელ სამკაულსაც შეადგენს თავის სილამაზით და წვეტებიანის ბოლოებით. თავისუფალი არეს მორთულობა აქაც იმ სახის და ფორმის არის, როგორც წინა პირზე. ჰორიზონტალურ ნაწილზე ჯვარისა მოიპოვება ასომთავრული წარწერა.

ზემოდ:

ქ. ძელო ცხ-რბსო წ-ნმძღ-რ და მფარვ-ლ ექმ-ნ ილ-ნ ებკპ-სა

ქვემოდ:

ქ-ე ად-ნ მფ-ნ ჩ-ნი და ერი მ-თი დაიფ-რე :.
კიდეებში ამავე ნაწილისა ვერტიკალურად სწერია:

მარცხნივ:

ქ-რ /ონ /იკ /ო /ნი :.

მარჯვნივ:

ი /ყო /რ-: /ჟ- : / გ-:

უქარაგმოდ:

ქ. ძელო ცხორებისაო, წინამძღუარ და მფარველ ექმენ
ილარიონ ეპისკოპოსსა.
ქრისტე, ადიდენ მეფენი ჩუენნი და ერი მათი დაიფარე.
ქორონიკონი იყო რჟბ (=973).

თ. ჟორდანია აქცევს ყურადღებას, რომ მეორე წარწერაში არც ერთი მეფის სახელი არ არის მოხსენებული, არამედ საზოგადოთ ნათქვამია „ქრისტე ადიდენ მეფენი ჩვენი და ერი მათი დაიფარე“. ამის მიზეზად თ. ჟორდანია იმას ხდის, რომ იმ დროს (973წ.) არეულობა იყო (აბხაზეთის სამეფოში) ტახტის მაძიებელთა შორის დემეტრე და თეოდოსისა და არც ერთი მათგანი ყველასაგან მეფედ აღიარებული არ ყოფილა („ქრონიკები“, 1, გვ. 91). ეს მსჯელობა მცდარია. ჩვენი ჯვარი იშხანის ეკლესიისათვის არის გაკეთებული ტაო-კლარჯეთში და წარწერა იხსენიებს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს და არა აფხაზეთის მეფეებს. აფხაზეთი მაშინ ცალკე სახელწიფოს შეადგენდა. ტაო-კლარჯეთი საერთო მფლობელობას წარმოადგენდა ბაგრატიონებისა და სხვა წარწერებშიაც საერთოდ იხსენიებიან „მეფენი ჩვენნი“, როგორც მაგალითად ოშკის წარწერებში.

შუა ნაწილი მთელი ჯვარის მკლავისა დაფარული იყო ჩემს დროს, როგორც ეს ფოტო-სურათზე სჩანს, ფირფიტით, გატეხილი ჯვარის გასამაგრებლად და ამ ფირფიტას დაფარული ჰქონდა სხვა ასომთავრული წარწერები, რომელთა მხოლოდ კიდური ასოები მოჩანდა. ეხლა ჯვარის განადგურების შემდეგ, ნატეხებიდან ფირფიტა აუძვრიათ და გამოჩენილა ორი მერმინდელი წარწერა (მოგვყას ქარაგმების გახსნით):

პირველი: „სერაპიონ ცაგერელსა, აბაშიძესა, შეუნდოს ღმერთმან, ამინ“.

მეორე: „ნიკოლოზ ცაგერელსა, კუჭიძესა, შეუნდოს ღმერთმან, ამინ“.

როგორც ირკვევა, ეს პირნი მე-17 საუკ. მოღვაწენი არიან (იხ. იგივე გ. ჩუბინაშვილის სტატია, გვ. 290; ს. კაკაბაძე, საცაგერელოს გამოსავალის დავთარი, თბილისი, 1914, გვ. 9-10; მისივე, დასავლეთ საქართველოს საბუთები, №1, გვ. 73).

ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ ჯვარი უნდა გამოიცეს იმ სახით, როგორც ჩვენ გვაქვს გადმოღებული. შემოკლებული სურათები ჩვენი ფოტოგრაფიებიდან, გ. ჩუბინაშვილის სტატიაში, არ არის დამაკმაყოფილებელი.

2. **თავი დიდი ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი. მშვენიერი, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 105X85,5 სანტ., ქართულის ხელობისა, ასომთავრული წარწერით ზემოდ: დ-დ ღ-ს (ფ. №16789). ღვთის მშობლის სურათი ქართველი ქალის სახეს მოგვაგონებს. ის ტახტზე მჯდომარეა მუთაქით; ტახტი მდიდრულად შემკობილია, მაგრამ სახელურები არა აქვს. სკამიც, რომელზედაც ფეხები უდევს, შემკობილია. თავის წრე, როგორც ღვთის მშობლისა, ისე ქრისტესი გამშვენიერებულია ძვირფასი ქვებით. ქრისტე ყრმა მარჯვენა ხელით ჯვარს სწერს, მარცხენაში გრაგნილი უჭირავს. ნაოჭები ტანისამოსისა მოსხოა; აშიები მდიდრულად შემკობილია ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით, წმიდათა მედალიონებით და ძვირფასი ქვებით. ზემო აშიაზე ვედრებაა (დეიზის) წარწერებით: ი-ჯ ქ-ე, დ-ჲ ღს-ჲ წ- ი ი-ე ნ-თლი, კუთხეებში მთავარ ანგელოზებია: მ-ქლ, გ-ლ, ქვემო არშიაზე: წ-ჲ კ-ზ (კოზმან); წ-ჲ დანიელ, წ-ჲ ფ-ლპე; მარჯვენა აშიაზე : წ-ჲ პ-ლ (პავლე ?), წ-ჲ მ-თე, წ- - მ-რ, წ-ჲ ბ-რთ; მარცხენა აშიაზე : წ-ჲ პ-ე, წ-ჲ ი-ნე, წ-ჲ ლ-კა, წ-ჲ ანდრია. კიდევ უფრო ძველი და ლამაზი ფირფიტები წმიდანებისა ყოფილა ზემო კუთხეში ხატისა, მარჯვნივ და მარცხნივ; ესენი ეხლა ერთობ დაზიანებულია და მოსჩანან ზოგიერთ ლამაზ სახეებთან შარავანდედები და წარწერები: მიქაელ, გაბრიელ, პავლე, მატთეოზ, (სი)მონ (მარჯვნივ); მარცხნივ: მათე, მარკოზ. წმინდა სიმეონის ფირფიტა და ერთი სხვა წმიდანისა უადგილო ადგილს მიმატებულია, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა აშიებზე, შუაში. ქვემოდ, მარჯვენა კუთხეში არიან წარმოდგენილნი: დამიანე და [კო]ზმან. მიუხედავად მცირედი დაზიანებისა ხატი საზოგადოთ კარგად არის დაცული. ჩვენი აზრით, უძველესი საერთო ნაწილი ხატისა უნდა ეკუთვნოდეს მე-13 საუკუნეს, მაგრამ შემდეგ შეკეთებულია მე-15 საუკუნეში.

3. **ხატი დიდი მაცხოვრისა,** (№ 16794), წელსზევითი, თავი წამლით არის დახატული, შემოსილია ოქროთი დაფერილი ვერცხლით, ნაჭედი, ქართული ხელობისა, მე-11 საუკუნისა. ქრისტე მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს, ლამაზი ყდით. ტანისამოსის ნაოჭები მოსხოა; ეზო ხატისა და აშიები შემკობილია ყვავილოვანი ორნამენტებით, რგვალ წრეებში, ორ-რიგად; ზემო აშიაზე სამი პატარა მედალიონი მოსჩანს მთავარ-ანგელოზთა, უწარწეროდ; მარჯვნივ და მარცხნივ ფენგებზე თითო. შიგნით, ხატის ეზოს და აშიას შუა დატანებულ ვერცხლის ზოლზე, ვერტიკალურად, ჩამოგრძელებულია ასომთავრული წარწერა (ფოტოზე არა სჩანს):

ქ. მცხრო ყლთა დბლთო ადდე შნ მიერითა დბთა ღვთივ
გჯრგჯნოსანი ძლიერი და უძლეველი ბგრტ აფხზთა მეფე
და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი და ა-ნ ეყავნ.

შეუმოკლებულად:

ქ. მაცხოვარო ყოველთა დაბადებულთაო, ადიდე შენ მიერითა
დიდებითა ღვთივ გჯრგჯნოსანი, ძლიერი და უძლეველი
ბაგრატ აფხაზთა მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა კუ-
რაპალატი და ამინ ეყავნ.

აქ მოხსენებული ბაგრატ არის ბაგრატ მეოთხე (1027-1072) და არა ბაგრატ მესამე, როგორც ფიქრობს ა. ხახანაშვილი, (გვ. 32). აქ კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ პირის სახე მაცხოვრისა შემდეგ დროშია გაცხოველებული.

4. **ხატი მაცხოვრისა,** 53X39,5 სანტ. სახე წამლით არის დახატული, მაგრამ შემოსილია ოქროთ დაფერილი ვერცხლით, ნაჭედი (№ 16790). ეს ხატი გაჭედილი უნდა იყოს წინა ხატის მიხედვით; იგივე მორთულობა აქვს ნაჭედს, როგორც პირველს, ხოლო მე-14 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ორი აშია აქვს; ერთი უფრო ძველი, მეორე სულ ახალი, რომელიც გაკეთებულია ლავრენტი ნემსაძის მიერ 1875 წ. რასაც მოგვითხრობს მისი წარწერა, მხედრულად, ქვემო აშიაზე:

მაცხოვრის ხატი ესე განვაახლე ირგვლივ აშიეებით და
თვლების ჩამატებით აზნაურთაგანმა ცაგერის სობოროს
დეკანოზმა და ბლაღოჩინმა ლავრენტი პავლე დეკანოზის
ძემ ნემსაძემ ჩყოე-სა წელსა.

5. **ხატი იაკობისი,** მაცხოვრის ძმისა, ოქროთი დაფერილის ვერცხლისა, ნაჭედი (№ 16796); წმიდანი წარმოდგენილი ყოფილა სრულის ტანით, მაგრამ ქვემო ნაწილი აღარ შენახულა; მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში ჯვარი უჭირავს; წარწერა ზემოდ მედალიონებში, ჯვარის სახედ, ასომთავრულით: წ̇ᲂ ი̇კბ ძმ-ოფ, ე.ი. წმინდაᲂ-იაკობ, ძმა უფლისა. ეზო და აშიები შემკობილია მშვენიერის წნულის ხლართულებით, არაბულის რიგისა. ეს შემკობილება სრულიად ისეთია, რომელსაც ვპოულობთ შემოქმედის მონასტრის მიძინების ხატის კიდობანზე (იხ. კონდაკოვის და ბაქრაძის „ოპისანიე“, გვ. 125, სურ. 62). ჩვენ სხვა ადგილას გამოვარკვიეთ, რომ ეს კიდობანი გაკეთებულია, ოქრომჭედლის მამნეს მიერ მე-15 საუკუნეში. ამიტომ ეს ხატიც მე-15 საუკუნის უნდა იყოს. კონდაკოვის აზრით, შემოქმედის კიდობანი მე-12-13 საუკუნის არის (იქვე, გვ. 123).

6. **ღვთის მშობლის ხატი,** ჩჩვილედი, 47X35,5 სანტ., ვერცხლისა, ნაჭედი (№ 15791), ასომთავრული წარწერით: დ̇ᲂ ღ̇ᲂ. ღვთის მშობელი ტახტზე მჯდომარეა; ტახტი შემკობილია, მაგრამ ზურგი არა აქვს; ეზო ხატისა სადაა. ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-15-16 საუკუნეს. აშია ახალია, 1865 წ. გაკეთებული მღვდელ მონაზონ ლუკას მიერ; გამოხატულია მხედრულ წარწერაში, ზემო აშიაზე; წარწერა სურათზე არ გამოსულა:

[მე] ფ̇დ ცოდვილმან და ღვთივ მონამან ცაგერის მონასტრის
იკონომოსმა მღვდელ-მონაზონმა ლუკამ განვაახლე ხატი ესე
ღვთის მშობლისა რომელსაც არა აქვნდა გარშემო აშია და
ჩემი საკუთრების ფულითა გავაკეთებინე სულისა ჩემისა საოხად
ჩყᲂე-სა წელსა აგვისტოს კდ დღესა.

7. **ხატი** წარმლით დახატული მთავარ დიაკონის სტეფანესი. ქართული ხელობისა. მე-18 საუკუნისა.

8. **ხატი დიდი ღვთის მშობლის მიძინებისა,** 106X78 სანტ., ვერცხლისა, ნაჭედი; შემოწირულია 1849 წ. დავით დადიანის და მისი მეუღლის ეკატერინეს მიერ, როგორც მოგვითხრობს მხედრული წარწერა:

მე მთავარმა დავით დადიანმა და მეუღლემან ჩემმან
ეკატერინა ალექსანდრეს ასულმან შევამკეთ ხატი ესე
და დავასვენეთ ჩვენს მონასტერში ცაგერს 1849-სა წელსა:

9. **ჯვარი ათონურის რიგისა,** ხისა, ვერცხლით შემოსილი 22X8,2 სანტ. ტარი მინანქრიანია და ზედ ბერძნულად აწერია: მაკარიუ იერო მონახუ კაი აგიუ ტაფი ტუ... (იხ. ფოტო. №16792 -16793).

10. **ასეთივე ჯვარი,** უფრო პატარა; ქვემოდ ტარზე უწერია ბერძნულად: გრიგორიუ იერეო... მეორე გვერდზე ეტყობა წარწერა, რომელიც ვერ გავარჩიეთ (იქვე, ფ. № 16792-16793).

11. **ჯვარი ათონური რიგისა,** ქართულის ხელობისა; შეძერწილია ფილიგრანული (წნული) ვერცხლის შემკობილობით; წარწერა არა აქვს (სამივე წინა პირი №16792, მეორე პირი - № 16793).

12. **სამწერლობელნი** წყვილი, ვერცხლისა; ერთზე მხედრულად აწერია:
სერაფიმ ბარძიმი ჩყიდ ცაგერის ეკლესიის.
მეორეზე:
ხერუვიმი ფეშხუმის ცაგერის ეკლესიისა (იხ. ფ № 16795).

13. **საცეცხლური** ვერცხლისა, ლამაზი ქართული ხელობისა.

14. ორი დიდი **სანთელი** (შანდალი), სპილენძისა; ერთზე აწერია:
ბატონიშვილი ნინოსია.

15. **საიაზმე** ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:
საიაზმო ესე გჭდნე ცაგ. მტ-რსთვის თავსახურავიანათ
ძველთა ხმარებისაგან გასრულთა ვერცლებთაგან ამავე
მონასტრის და ეკვდრისთა 1872 წ. ი-ღნი ბესარიონ ახვ-
ლედიანი.

16. **წურწუმა** (ხელსაბანი) ყვითელი სპილენძისა, შემკობილი სპარსული რიგის მინანქრიანი სიმრგვალეებით (დრობნიცებით).

17. ასეთივე მასალის და მორთულობის „ტაშტი“.

18. ორი **ლომი;** ერთი ტყვიისა, მეორე „ცინკისა“. ერთზე აწერია მხედრულად: წინამძღვარი ნიკოლოზ.

19. **სარტყელი** ოქროს და ვერცხლის ძაფით მოქარგული; ბალთები შემკობილია ზურმუხტებით და ლალებით.

20. **საფლავის გადასაფარებელი** წითელი ფარჩისა, მოქარგული ოქრო და ვერცხლის ძაფებით (ფ. №16801). შუაში სურათი ელისაბედისა, კაცია მეორე დადიანის ცოლისა, რომელიც იყო ასული მეფე თეიმურაზ მეორისა და გადაიცვალა 1770 წელს. წარმოდგენილია ქართული შესამოსელით და გვირგვინით, თავის გასწვრივ ყვავილებია ვაზებით. აშია შემკობილია ფოთლოვანი მოკაზმულობით და მხედრულის რიტორიულის წარწერით. გადასაფარებელი გაუკეთებია მის დედას, დედოფალ ანახანუმს. მოგვყავს წარწერა:

ქ : იგურდივ მორთხმული სიცოცხლის აღმწბის საკმილითა.
საქართველოს მეფის ცხებულის თეიმურაზის
თანამემცხედრე დედოფალი ანახანუმ : ვიწყებ მსმენელნო
მოთხრობად თქვენდა. რომელ მცა საწუთრომა. ურიცხვი
ბედკეთილობა. სიმდიდრე და დიდებანი. ზე-გარდამმატა
უფროს ნილოსისა. მასხა მაშენა ედემსა მაუკვდებრივსა.
ველსა მას საწადილოსა. მიორძა ნერგი მუღაზრით ვარჯოვანი.
აღმწყაზრებით ნაწვართი. ჩემდა სიცოცხლედ სულად ქონებული,
და მჭვრეტთა განსაკვირვოი. ოდიშ ლეჩხუმთ დედფალი. თანამემცხედ-
რე კაცია დადიანისა. სახელმზიანი ელისაბედ. დედისა
გულთა გამცხრომი : მაგრა იჩქითად შემახო ბრჭალი საწუთომა.
თვისი თვისადვე უკუნ-ზღვად. მიმიღო დიდება და სიმდიდრე
ჩემი, განმიღამა გუგათა თვალთა ნათელი, და ესდენთა სიხარულთა
და ძვირფასთა უნჯთაგან. ცალიერად მიტევა მწყდარი უსულო:
დედა მტყებარე შვილსა ზედა სასურველსა, რომელი ესე ძნელ ბედმან
მშობელმან მისმან მზისა ჩემისა სახისა წილ. აჩრდილი
ესე მის უებროსა სახისა ვიმუშაკე. მის კიპაროზისა ტანისა
მარღვის სამარისა ლოდისა საბურველად და შვენიერებად,
მხილველნო და მსმენელნო ვაებითა და სიწყალულით
მოგვიგონებდეთ მშობელსა შობლითურთ :
თვესა აგვისტოს ქ-კს უნწ : ქ-ეს აქეთ ჩღო : 1770.

ეპიტაფიები:

1. ცაგერელ მიტროპოლიტის იოანესი, კაცია დადიანის ძისა :
საფლავსა ამას შინა მდებარე ძე დადიანისა კაციასა ცაგერელ
მიტროპოლიტი და კავალერი იოანე რომელიცა ვმწყესობდა
კეთილთა
2. მწყესობითა სრულიად ლეჩხუმსა და რომელსამე ნაწილსა
სვანეთისა წელსა
კგ და აღვესრულე წლისა მვ წელსა ჩყკბ თვესა დეკემბერ

3. სა ᲦᲔ დღესა შაბათსა ხოლო მყვენ ჩვენ ორთა ძმათა მთავრისა
და მწყემს მთავრისა ამის ჩვენისა იბიტაფისა მხედველნო და აღმომკითხვე
4. ლნო ჩვენზედა მდებარისა ამის ლოდისა მოგვიგონებდეთ რათა თქვენცა მო
მოგიგონებდენ დღესა მას შენდობას ბრძანებდეთ ჩვენთვის რათა
5. თქვენცა შეგინდოს და მეოხ გექმნასთ მადლი ყოვლად წმინდისა სულისა დღესა მას განკითხვისასა.

2. გრიგოლ დადიანისა, ბროსეს გადმოღებული (გვ. 36-37). ეხლა უფრო ნაკლებად განირჩევა.

1. საფლავსა ამას შინა მდებარე მთავარი . . .
2. ლანტი დადიანი გრიგოლ, რომელმანცა აღმოვიღე . . .
3. თა ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡᲐ ჩემისა დიდისა როსიის იმპერატორის ალექსანდრე. . .
4. ვინადგან შევავედრე თავი ჩემი საფარველსა მისსა, წარვედ . . . . ხორგად
5. მხედრობა როსიისა მცველად ჩემდა და სამთავროთა ჩემთა. ხოლო ვინადგან სიკვდილი მპარავი არს
6. მეკვეთა სნეულება რაᲐმე და აღვესრულე ᲚᲘ წლისა. ყოველთა აღმომკითხველთა შენდობასა
7. ვევედრებით, რათა თქვენცა მოკვდავნი შენდობით იქმნეთ უფლისა მიერ. თვესა ოკდონბერსა კᲒ. ქრისტეს აქეთ ჩყდ.

ხელნაწერები:

1. სახარება ქაღალდზე, 18,6X25 სანტ., მოოქრული ვერცხლის ყდით, რომელსაც სარჩულად ხავერდი უდევს. პირზე ყდისა, შუაში, იესო ქრისტეა წარმოდგენილი; კუთხეეში მახარობლები.

ტექსტი ნაწერია ნუსხა ხუცურით, წითლურის სათაურებით, ორ სვეტად; თითოეულ სვეტზე 20 სტრიქონია; აქა-იქ წამლით შესრულებული უბრალო სათაურის მხატვრობაც არის (ზასტავკები). თავში აქვს წამლითვე შესრულებული სურათი მათე მახარობელისა (№16805, ფოტოგრაფიაზე შეცდომით ლაბეჭინა აწერია), წარწერით: მ¯თე. თითოეული სახარების წინ სათაურებია მოყვანილი. იოანეს სახარების ბოლოს არის ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა. თარიღი არა აქვს. სახარება მე-17 საუკ. უნდა იყოს.

2. **ᲟᲐᲛᲘᲡ ᲬᲘᲠᲕᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲐ,** ბასილი დიდისა და გრიგოლ ღვთის მეტყველისა, მათის ფერადებიანი სურათებით საკმაოდ ლამაზი ხელობისა, 22,3X17 სანტ., ხის ყდის, რომელზედაც გადაკრულია აბრეშუმის მატერია. ნაწერია ქაღალდზე ორ სვეტად ნუსხა ხუცურით; თითო სვეტში 18 სტრიქონია; თავში იოანე ოქროპირის ფერადებიანი სურათია, რომელსაც ქვემოდ უწერია (№16798. სურათზე შეცდომით ბასილ დიდი აწერია):

ცაგერისა ღვთის მშობელო მეოხ ექმენ დადიანის კაციას
ძეს ცაგერელ მიტროპოლიტს იოანეს რომელმან შამოგწირა
ესე წელსა ქ¯ს აქეთ 1798 ᲩᲦᲟᲬ.

გრიგოლ ღვთის მეტყველის ჟამის წირვას წინ მიუძღვის გრიგოლის სურათი (იხ. ფოტ. №16803. ფოტოგრაფიაზე შეცდომით აწერია: ლაბეჭინა, მარკოზ მახარობელი).

ბასილი დიდის ჟამის წირვას წინ მიუძღვის ბასილის სურთი (№16804. ფოტოგრაფიას შეცდომით აწერია: ლაბეჭინა, ლუკა მახარობელი). აშიებზე რუსული ლოცვებია დაწერილი ქართულის ანბანით. ხოლო ბოლოს ხელნაწერს დართული აქვს სია წირვის დროს მოსახსენებელ პირთა მე-18 საუკ. დამლევის და მე-19 საუკ. დამდეგისა. ეგევე სია ცალკე ამოწერილი მწვანე ქაღალდზე კედელზეა მიკრული ტაძარში. სია არ არის ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული და ამიტომ მოგყავს აქ:

ცოცხალნი:

1. ჩიქოანის ასული ევა
2. ბატონის სძალი აბაშიძისა ასული მარიამ
3. წერეთლის ასული ელისაბედ
4. მხევალ ღ¯თისა თინათინ
5. მღვდელი დავით ჩიხლაძე
6. მონა ღთისა ფრიდონ
7. მხევალი ღთისა ელისაბედ
   და ბაქრაძის ქალი ირინე

მიცვალებულნი სამღვდელონი:

8. ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე
9. მიტროპოლიტი ანტონი
10. ხინოწმინდელი იოანე
11. არხიმანდრიტი ნიკოლოზ
12. მღვდელ-მონაზონი ამბროსი
13. მღვდელ-მონაზონი ვასილ
14. მღვდელ-მონაზონი ბესარიონ
15. წინამძღვარი თეოდოსი
16. წინამძღვარი სიმონ
17. წინამძღვარი იოანე
18. მღვდელი დავით და მეუღლე მისი
19. ბერი სერაპიონ
20 მონა ღვთისა გაიოზ
21. წინამძღვარი სერაპიონ
22. წინამძღვარი ნიკოლოზ

მიცვალებულნი საერონი

23. მეფე სოლომონ
24. დადიანი კაცია
25. დედუფალი ანნა
26. დადიანი გრიგოლ

27. დადიანი გიორგი
28. დადიანის ასული ხვარამზე
29. ერისთავის ასული ანასტასია
30 დადიანის ასული მზე-ხათუნ
31. მიქელაძის ასული მარიამ
32. ყრუაშვილი ხოსია
33. ახვლედიანი სეხნია.
34. მხევალი მღვთისა ასტანდარ
35. მხევალი მღვთისა მაგიჯასპი
36. მხევალი მღვთისა ელენე
37. მხევალი მღვთისა ელისაბედ
38. მხევალი მღვთისა შაქრისახარ
39. წერეთლის ასული ქეთევან
40ასათიანი სპირიდონ
41. წერეთელი ზურაბ
42. დადიანის ასული თამარ
43. წერეთელი გიორგი
44. წერეთელი დიმიტრი
და სამსონ

შენიშვნა: პირველი სტრიქონი და მე-39 მერმინდელი ხელითაა დაწერილი. მე-10 სტრიქონში იხსენიება ხინოწმინდელი ესე იგი ხინოწმინდის ეპისკოპოსი. ხინოწმინდა არის ქობულეთის მახლობლად, ბათუმს ოლქში.

3. **თთვენი,** 19X14,5 სანტ., გატეხილი ხის ტყავ გადაკრული ყდით, დაწერილია ქაღალდზე ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, წითლურის სათაურებით. ხელი მე-17 საუკ. არის. ერთ მინაწერში ვკითხულობთ: ღ-ო შ-ე ამის მწერალი ლ-ზარე. მეორე, მერმინდელი ხელით მინაწერში ვკითხულობთ: ესე თვენი ჭყონდიდელის ანტონის არის, ღმერთმან ახმაროს სიცოცხლეში და დღეგრძელობაში ამინ. ეს ის ანტონია, რომელიც მე-19 საუკ. პირველ ნახევარში ცხოვრობდა.

4. მეორე ნაწილი **იმავე თთვენისა,** მარტიდან აგვისტოს ბოლომდის; იმავე ზომის და იმავე ხელით ნაწერი, როგორც პირველი. გადამწერი ლაზარე აქაც მოხსენებულია.

5. **ლავსაიკონი** ანუ მეტაფრასი, in folio, დიდი ფორმატისა. 30X21,5 სანტ., ქაღალდზე, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, 40 სტრიქონი სვეტზე. სულ შეიცავს 382 გვერდს, შავ ტყავ გადაკრულ ხის ყდაში. ხელი მე-17-18 საუკ. არის.
დასაწყისი:
: თ-ა სეკდენბერსა ☞ საკითხავი თქმული წ-ისა და ნეტარისა
მამისა ჩ-ნისა თ-ე აღმსარებელისა სტიდიელთა
წინამძღვარისა შობისათ -ს ყ-დ წ-ისა და დ-ფლისა ჩ-ნისათ-ს
მშობელისა მ-დის ქლწულისა მრმისა.

6. **კლემაქსი,** 62X17 სანტ., დაწერილია ქაღალდზე მხედრულის ხელით, წითლურის სათაურებით, ტყავ გადაკრული ხის ყდაში, დასაწყისი:

: : ქ : ესე საცნაურ იყავნ ყ-თა რ-ნი იკითხჳდეთ ანუ
სწერდეთ წ-სა ამას წიგნსა წ-ნო ღთისანო . . .

ბოლოში ხელნაწერს უზის ბეჭედი წარწერით: ბესარიონ. ხელნაწერი მე-18 საუკუნის ბოლოს ეკუთვნის.

7. **ტიბიკონი** იერუსალიმის ეკლესიისა, 21,5X17 სანტ., მხედრულის ხელით, ხუცურის ნარევით, ტყავ გადაკრული ხის ყდით; გადაწერილია 1766 წ. ტექსტი თავებად დაუყვია რომელიმე თომას; ბოლოს უწერია:

აღიწერა ტვიბიკონი ესე : თ-ა სეკდემბერსა რიცხვსა :
კა : ქ-ეს აქეთ ჩღჲვ : : ღ-თო შ-ე მმუხვლი (მმუხვლელი) ამისი თომა ქ-კს უნდ.
შემდეგ მერმინდელის ხელით:
ცაგერისა ღვთის მშობელო მეოხ მექმენ მონასა შენსა
ცაგერელს დადიანის ძეს და კავალერს იოანეს ქ-ეს აქეთ
ჩყა 1801 ქრონიკონს ჳპთ.

დასაწყისი:

ტიბიკონი რომელ არს ქცევა და წესი ეკლესიათა განგებისა
წი-სა იერუსალიმისა ლავრისა ღირსისა და ღ-თივ შემოსილისა
მამისა ჩვენისა საბასი.

შემდეგ ლექსია მოყვანილი:

ზღვაში მსხდომნი მენავენი ნაპირს განსვლას მოელიან,
ჭირში მყოფნი ლხინს შესულნი წყენას აღარ მოელიან,
კაცნი შორს გზას მიმავალნი, რა შინ მივლენ, არ ელმიან,
დამწყებელნი წიგნისანი განსრულებას მოელიან.

სოფელი ზუბი

სოფელი ზუბი გაშენებულია ასხის მთის კალთაზე, მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ამ სოფელში ორი ციხის ნანგრევია, ერთი პატარა ცხენისწყლის ფრიალო ნაპირზე, რომლის ქვემოდ ხის ხიდი არის. ამ ხიდს მიჰყევხართ სოფელ ოყურეშში. ციხის ნანგრევების სურათი ხიდითურთ, იხ. ფ №17403 და 17404. მეორე ზემოდ არის მთაზე და სანახევროდ დანგრეულია; ეკლესია ზუბისა ახალია, ხისა, ხისავე კანკელით, რომელიც აგებულია 1866 წელს, როგორც მოგვითხრობს მისი მხედრული წარწერა:

აღემართა კანკელი ესე ამავ წ-ის გ-ის ეკლესიასა შ-ა
ერთბამ ამას შ-ა შემავალთა მრევლთა მრევლთაგან მათ-
დამი საკუთრებითა ზ-ა ჩყჲვ-სა წელსა ოკდონბრის იე-სა

ეკლესიაში მარტო ერთი წმ. გიორგის ხატია, ოქროთი დაფერილი ვერცხლით, ნაჭედი, ტლანქი სვანური ხელობისა, მე-18 საუკუნის ბოლოსა ანუ მე-19-ს დასაწყისისა (ფ. №16809). წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს. ზემოდ ასომთავრულით აწერია: წ-ჲ გ-ი. და შემდეგ იმავე ვულგარული ასომთავრულით:

იოანე ლატალისა შეიწყალე

ლატალის საზოგადოება თავისუფალ სვანეთშია. მდინარე ენგურის პირად, მესტიის ქვემოდ.

სოფელი ოყურეში.

სოფელი ოყურეში გაშენებულია ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, 20 კილომეტრით ცაგერიდან. სახლები მცხოვრებთა გაფანტულია ხვამლის მთის ფერდობზე. ხვამლი წყალგამყოფი ქედია რიონის და ცხენისწყლისა. შუა სოფელში მდებარეობს პატარა ეკლესია წმიდის გიორგისა. ეკლესია აშენებულია შირიმის თლილის ქვისაგან. ის ჩვეულებრივი ერთნაოსიანი ბაზილიკაა, მაგრამ მისი საკურთხეველი გარედ გამოდის ხუთ-წახნაგოვნად. სამი ვიწრო სარკმელი აღმოსავლეთით და თითო ყველა სხვა მხრიდან ანათებენ ეკლესიას. ზეძირკველი ეკლესიისა შესდგება სამი საფეხურისაგან. ეკლესიას ირგვლივ უვლის ღია დერეფანი ხის სვეტებზე დამყარებული; ეს შემდეგ არის მიმატებული; დახურულია ყავრით. ეზოს შემოვლებული აქვს ქვის გალავანი, რომელშიაც დიდრონი ხეები მოიპოვება. სამრეკლო სულ ახალია, სამსართულიანი; აშენებულია ქართულს რიგზე მშვენიერის თეთრის თლილის ქვით და შემკობილი ბარელიეფებით ხარის თავებისა (ფ. №17405).

ეკლესიის დასავლეთის კარის ზემოდ, შიგნით, მოიპოვება მხედრული წარწერა, რომლიდანაც სჩანს, რომ ეკლესია აუშენებია დადიანის ოტიას ძეს გიორგის 1788 წელს.

მხნეო მხედარო შვიდწილ უძლეველ
ო წმიდაო გიორგი მე უღირსი მცირედ ღვაწლი
სა დამდები ეკლესისა შენისა აღშენებისათვის დადიანი
ოტიას ძე ბატონისშვილი გიორგი გევედრები რათა
მეოხ მექმნე მეუღლით ძით და ასულით აქაცა და
მერმესა მას საუკუნესაცა წელსა ქრისტეს. აქეთ ჩღპ
: ქ კს უოვ : ივნის ივ :

სოფ. ოყურეშის ეკლესია მრავალჯერ დაუძარცვიათ, ამიტომ ზოგიერთი მისი სამკაული სრულიად გამქრალა; უკანასკნელად იგი გაუძარცვავთ 1910 წელს, ესე იგი რამოდენიმე თვით ადრე, ვიდრე ჩვენ ვინახულებდით. ამ დროს სულ გაუნადგურებიათ დიდი ხატი წმიდა გიორგისა, ხოლო მეორე დიდი წმიდის გიორგის ხატის მთელად გაცარცვა ვეღარ მოუსწრიათ, მხოლოდ მოუძარცავთ დიდი თავის წრე, შემკობილი ძვირფასი ქვებით და ამ დროს დაუზარალებიათ პირისახე და ყელი წმიდა გიორგისა, რომელნიც მიხაკის ფერის მინის მინანქრით ყოფილა მოცული: ხოლო ასეთივე მინანქარი შერჩენილა ხელებზე. ეს ხვამლის ხატი ამ დაზარალების შემდეგაც ერთ საუკეთესო ნივთად ჩაითვლება ქართულის სიძველეთა. ამ ხატის სიმაღლეა 176 სანტ. ხოლო განი 90. ხატი ოქროთი დაფერილი ვერცხლითაა ნაჭედი და განიყოფება ორ ნაწილად (ფ. №16810). ზემო ნაწილი უფრო ძველია, არა უგვიანეს მე-14 საუკუნისა, და წარმოგვიდგენს ვედრების კომპოზიციას (დეიზის); მორგვალებულის კამარის ქვეშ, შუაში მოქცეულია იესო ქრისტე, ტახტზე მჯდომარე, მაკურთხეველის მარჯვნით და სახარებით მარცხენა ხელში; აქეთ-იქით ღვთის მშობელი და იოანე ნათლის-მცემელი, გაწვდილი ხელებით, როგორც მთხოვნელნი ცოდვილთა შევედრებისა. ამათ სახელების წარწერა ბერძნულად აქვთ.

კამარის გარედ, გასწვრივ, მარჯვენა და მარცხენა კედრით პეტრე და პავლე მთელის ტანით, ასომთავრული წარწერებით: წ-ჲ პ-ე, წ-ჲ პ-ლე; პირველი კლიტით ხელში, მეორე – გრაგნილით, რომელზედაც ბერძნული წარწერაა. კამარის ზემოდ, შუაში, ქრისტეა, წელსზევითი, მიძინების სახით, ოთხკუთხედ მედალიონში და მის აქეთ-იქით მახარობელნი მრგვალ მედალიონებში: წ-ჲ მ-თე, წ-ჲ მ-კოზ; ხოლო მათ მოშორებით, კუთხეებისაკენ მთავარ ანგელოზნი მთელის ტანით, ფრთებით და გაწვდენილ ხელებით და წარწერებით: მიქელ, გაბრ¯ლ. მთელი ეს რთული კომპოზიცია ერთს ვერცხლის ნაჭერ ფურცელზე არის მოქცეული და ეზო მისი სადაა. ამ ნაწილზე ხატისა შემდეგ მიკრული ყოფილა სულ პატარა გულსაკიდი ჯვარცმის ხატი ოქროსი, ბიზანტიურის მილანქრიანი ხელობისა, წინამდგომთაგან ნაკვთი ღვთისმშობლისა მოძარცულია და დარჩენილია, გარდა ჯვარცმულისა, იოანეს სურათი. ეს პატარა ხატი, სამწუხაროდ, დაზიანებული და გაშავეული, უფრო ძველია, ვიდრე ზემოდ ნაჩვენები რთული კომპოზიცია.

მეორე ქვემო ნაწილი ხვამლის ხატისა წარმოგვიდგენს წმინდა გიორგის, ფეხზე მდგომარეს, რომაულს საომარ ტანისამოსით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა დადებული აქვს ფარზე; წელზე უკანიდან დიდი მახვილი ჰკიდია. თავი, როგორც მოვიხსენიეთ, დაზიანებულია, მაგრამ მაინც ემჩნევა ხუჭუჭად განწყობილი თმა; მარჯვენა კუთხიდან, მომრგვალებულ წრიდან, მოსჩანს იესოს მაკურთხეველი მარჯვენა. წარწერა გრძელი ასომთავრულით: წ-ჲ გ-ი. ეზო სადაა, მაგრამ აშია ამ ნაწილისა მრგვალი წრეებით არის შემკობილი და ბალახ-ბულახის მსგავსი ხლართულებით მათში.

ქვემო აშიაზე მოიპოვება ვრცელი წარწერა ორ სტრიქონად, სანახევროდ წნულის ასომთავრულით:

1. წ : ჩ-ნ: ღ-თივ : გჯრგჯნოსნმნ : მ-ფეთ : მეფემ-ნ :
ბ-გრ-ტ : და : თ-ა მეცხდრმნ : ჩემნ : დფლთ
დფლმნ : ელნე : ხ-ტი : ესე : წ-ის : გ-ის :
ხოლმისა : მოჭედილ : იყო : პ-ლთა :
მეფე-თგ-ნ : მერმე : ქურდთ ; ეძცევს : მოვიკითხავთ :
და : რაც ვპ
2. ოვეთ : მისი : ნ-ლეწი : სხ-ჲ : ჩ-ნითა : ვერცხლითა :
და : ოქრ-თა : და : ს-ფასითა : მოვჭედეთ :
წრსმრთბლ-დ : მ-ფბისა : ჩნისა : და ძ-თა : ჩ-ნთა :
და : ძეთა : ჩ-ნთ : დ : საოხოდ : ს-ლთა ჩ-ნთ : და:
დავ-სუწ̆ნეთ : წ-ისა : გ-ის : ტძრსა : შ-ა : ქრ-ნკსა :
სკდ : ინდიკტიონსა : მ-ფბსა : ჩ-მისსა : კვ :
უქარაგმოდ:
წ. ჩუენ ღმრთივ გჯრგჯნოსანმან, მეფეთ მეფემან ბაგრატ,
და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ დედოფალმან
ელენე, ხატი ესე წმიდის გიორგის ხოლმისა მოჭედილ
იყო პირველთა მეფეთაგან. მერმე ქურდთ ეძარცვეს.
მოვიკითხეთ და რაც ვპოვეთ მისი ნალეწი, სხუაჲ
ჩუენითა ვერცხლითა და ოქროთა და საფასითა მოვ-
ჭედეთ წარსამართებლად მეფობისა ჩუენისა და ძმა-
თა[1] ჩუენთა და ძეთა ჩუენთა და საოხად სულთა ჩუენ-

თა და დავასუ℘ნეთ წმიდისა გიორგის ტაძარსა შინა,

ქრონიკონსა სკდ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა კვ. [2].

ამ წარწერებში მოხსენებული ბაგრატ მეფე არის იმერეთის მეფე ბაგრატ მესამე (1510-1548), როგორც სწორედ განმარტა ბროსემ (გვ. 36-37) და არა აფხაზ-ქართველთა მეფე ბაგრატ მესამე (978-1014), როგორც ფიქრობს ალ. ხახანაშვილი, რომელსაც შეცდომებით მოჰყავს ეს წარწერა, ბლაღოჩინის გერსამიას მიერ გადმოღებული (გვ. 32). გერსამიას ასლში ბევრად მეტი შეცდომებია, ვიდრე ბროსეს ტექსტში. ქორონიკონი უდრის 1536 წელს და ამ წელსვე უდრის 26 ინდიკტიონი ბაგრატის მეფობისა.

ჩვენის აზრით, ზემო ნაწილი ხატისა უნდა ეკუთვნოდეს მე-13-14 საუკუნეს, ხოლო ქვემო ნაწილი წმიდის გიორგის ხატისა არის გაკეთებული იმერეთის მეფის ბაგრატ მესამეს დროს; მაშასადამე მე-16 საუკუნეში. ამას მოწმობს, როგორც სტილი ხატისა, ისე მისი აშიის შემკობილობა.

2. მეორე გაძარცვული **წმიდის გიორგის ხატისაგან** დარჩენილია ფიცარი თავის ვერცხლის აშიით და აგრეთვე ნამტვრევები მიხაკის ფერი გიპსის გრუნტისა, რომელიც სარჩულად სდებია ვერცხლის ხატს. სიმაღლე ამ ხატისა ყოფილა 144 სანტიმეტრი, განი -90. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ აქ საქმე გვქონია ისეთ წმიდა გიორგის გამოხატულობასთან, როგორსაც წარმოადგენს წინა აღწერილი წმიდა გიორგის ხატი, რასაკვირველია, ზემო ნაწილის გამოკლებით.

ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ეს ხატიც ხვამლის ეკლესიიდან ყოფილა მოტანილი. დარჩენილი ვერცხლის აშია ხატისა ახალია, 1814 წლისა, რასაც მოწმობს მისი მხედრული წარწერა ქვემოდ და აგრეთვე მისი შემკობილობა ხლართული რგოლებით ზემოდ, და ბალახ-ბულახებით მარჯვნივ და მარცხნივ, ორ მწკრივად, ფართო ნაწილში მალტის ყაიდის ჯვრებიც არის რგოლებში, ოთხ-ოთხი თითო მხარეს (ფ. № 16811). წარწერა:

1. იგვრდივ . განმაახლებელი : წ̄ისა . ამის . ხატისა . ც

2. აგერელ . მიტროპოლიტი . იოანე . დადიანისძე . მოიხსენე უფალო

3. ქესით ; ჩყიდ. 1814 . იანვარ. კ℘. 28.

იოანე ცაგერელ-ჭყონდიდელი იყო დადიანის კაცია მეორეს ძე; დაიბადა 1777 წელს; ჭყონდიდელად ეკურთხა 1792 წელს; ხოლო მიტროპოლიტად - 1800 წელს; გადაიცვალა 1823 წ. 23 მარტს, 46 წლისა (Rapp, IX, გვ. 27. ჩემი „არხ. მოგზაურობანი და შენიშვნანი“, 2. გვ. 96, 98).

ბროსეს დროს ეს ხატი გაუძარცვავი იყო და მას ქევმო ნაწილზე ხატისა და არა

---

1 ალ. ხახანაშვილის გამოცემაში სწერია: ერთა. ბროსეს გამოცემაში ეს და შემდეგი სიტყვა გამოშვებულია.

2 ბროსე ამბობს, ეს გადაბმული ასოები მე კზ-ად წავიკითხეო, მაგრამ ჩემმა თნამოგზაურმა მუსლოვმა, რომელსაც უკეთესი მხედველობა აქვს, შენიშნა და გადმოიღო: კვს, – უკანასკნელ ასოს ს დაბოლების მნიშვნელობა აქვსო.

აშიაზე ამოუკითხავს (გვ. 27).:

წმინდაო გიორგი შეიწყალე ბასილი ცგ : (=ცაგარელი).

3. მესამე წმიდის გიორგის ხატი ამ ეკლესიისა, რომლშიაც გადმოცემით დაცული ყოფილა ლურსმანი, რომლითაც ვითომ წმიდანი მილურსმული ყოფილა ურმის თვალზე, წამების დროს, წაუღიათ ჯერ კიდევ 1910 წლის წინანდელი გაცარცვის დროს ეკლესიისა. ნაწილები ვერცხლის შესამოსელისა და ხატის მორთულობისა ამ ბოლო დროს უნახავთ ტყეში და დაუბრუნებიათ ეკლესიისათვის. ამათ მიხედვით, ხატი ყოფილა კარედი. ზემოდ გამოსახულია ჯვარი, კარებზე ანგელოზნი; ხელობა მე-18 საუკუნის არის, 1794 წლისა, რაც სჩანს მხედრულის წარწერისაგან:

ქ :. ეჰა :. შენ :. წ-ისა :. და :. ერთ არსისა :. სამებისა :.
მხნეო : ახოვანო :. შვიდწილ :. უძლეველო :. მხედარო :.
წ-ო : გიორგი : ოყურეშისაო. ჩვენ ცვა ფარვათა თქვენთ
მონდობილმან და მოსავმან :. სიწმიდისა თქვენისამან
ძემან ხელმწიფისა დადიანის კაციასამან და მპყრობელ-
მან ს-დ ოდიშ აფხაზ ლეჩხუ
მ სვანეთისამან დადიანმა გრიგოლ და თანა მეცხედრე-
მან ჩვენ(ნმა)ნ საქართველოსა და კახეთის მეფის ასულ-
მა დედოფალმან ანნამ (?) და პირმშომან ძემან ჩვენმან
ლევან შევამკვეთ და მოვაჭედინეთ სამ
ჭვალი და რკინა . იგი. რომელითაც . ურემსა . ზედა .
დამსჭვალულ . იყავ : სახსრად
და საოხად სულთა ჩვენთათვის და ამა სოფელსა წარსა-
მართებლად და შე
იწირე მცირე ესე წვლილი . ქრისტეს აქეთ . ათას შვი-
დას ოთხმოცდა თოთხმეტს მარტის : ოცდა ათს .

ამ წარწერაში შეცდომა უნდა იყოს: გრიგოლ დადიანის, კაცია მეორეს ძის, მეუღლე ნინო იყო, ქართლ-კახეთის მეფის გიორგი მეთორმეტის ასული, და არა ანნა. ანნა გრიგოლის დედა იყო.

4. პატარა ვერცხლის **ხატი წმ. პეტრესი,** ნაჭედი, 19X14 სანტ., (№ 16812), შუაში, ოთხკუთხედში წარმოდგენილია წმ. პეტრე, წელს ზევითი, რომელსაც მარცხენა ხელში გრაგნილი აქვს, მარჯვენით აკურთხებს. ასომთავრულით აწერია: წ-ი პეტრე. ირგვლივ სამი წელს-ზევითი გამოხატულობაა ჩჩვილედი ღვთის მშობლისა (მარცხნივ) და ოთხი გამოხატულობა ჯვარცმისა წინამდგომებითურთ (ზემოდ და მარჯვნივ); ქვემოდ, შუაში ვულგარული მხედრულით უწერია:

ქ : ღმერთო : შეიწყა/ლე : იანი და რანდ/ლიანი : უც-
უც/ხლ[ე] ძენი : მისნი.

ხელობა სვანურია, მდარე, მე-18 საუკუნისა; ხატზე გამკეთებელს თავის ბეჭედი (შტემპელი) დაუსვამს, წარწერით: დათუჩა.

5. სრულიად ასეთივე მდარე ხელობის პატარა ვერცხლის ხატი **წმიდის გიორგისა,** ნაჭედი, 19X14 სანტ., (ფ. №16812). წმიდანი წარმოდგენილია ფეხზე მდგომარედ, ლახვარით და ფარით; აშიებზე სამი გამოხატულობა ჯვარცმისა, სრულიად ისეთი რიგისა, როგორც წინა ხატზე; მარცხენა აშია ნაკლულად არის წარმოდგენილი, მაგრამ აქაც მოსჩანს ნაწილი ჩჩვილედი ღვთის მშობლის სახისა, დარჩენილი ასოებით: ...

თ¯სა (დედა ღ-თისა). წარწერა ისეთივე ჰქონია როგორც წინა ხატს, რაც სჩანს დარჩენილი ასოებიდან, მარცხენა კუთხეში: . . . ცხ . . . (უცოცხლე) მი . . . (მისნი).

6. **საცეცხლური** ვერცხლისა, ქართულის ხელობისა.

7. **თასი** ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:

დადიანი გრიგოლ. დედოფალი ნინა.

აქ მოხსენებული გრიგოლ არის დადიანი კაცია მეორის ძე, რომელიც გადაიცვალა 23 ოქტომბერს 1804 წ. მან შეირთო ცოლად ნინო, გიორგი მეთორმეტის ასული, 1791 წელს. ნინო გადაიცვალა პეტერბუგს 1847 წ.

8. **სიწმიდის შესანახი,** ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:

წ¯ო გ¯ი ოყურეშისა შ¯ყლე მოურავი ყრუაშვილი ხოსია

9. **სანაწილე** ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:

მთავარ მოწამეო გ¯ი შეიწყალე მოურავი ყრუაშვილი ხოსია.

10. აღმოსავლეთის კარებზე ჰკიდია წამლით დახატული ორი ხატი სრულის ტანით, მარჯვნივ არხიდიაკონი სტეფანესი, მარცხნივ ფილიპესი, ორივე ახალი ხელობის არის.

11. წამლით ნახატავი **ხატი მაცხოვრისა,** ახალი ხელობისა, წარწერით: ი¯ჯ ქ¯ე.

12. ეკლესიაში დაცულია აგრეთვე ჩვეულებრივი სვანეთის და ლეჩხუმის წმიდის გიორგის ეკლესიებისათვის დიდი შვილდი რკინისა.

ეპიტაფიები ეზოში ეკლესიისა.

13. დადიანის მოურავის ხოსია ყრუაშვილისა, რომელიც გარდაიცვალა 1816 წელს, 37 წლისა. მისი საფლავის ქვაზე, მახლობლად ეკლესიის სამხრეთის კარისა, მხედრულად სწერია:

საფლავსა ამას შინა მდებარე მოურავი ყრუაშვილი
ხოსია ბეჟანის ძე რომელ აღვესრულე წლისა კიზ (sic)
ყ¯ლთა აღმომკითხველთა ამისთა შენდობას გევ
ედრები რათა თქვენცა შენდობილ იქმნეთ ქეს
მიერ და აწ ვევედრები მოწყალებასა თქვენსა რათა
არა შესძრათ ლოდი ესე და საფლავი რომელსა შინა
მდება რე არს საწყალობელი და უჟამოდ აღსრულებული[1]
გვამი ჩემი ვიდრე სოფლისა დასასრულამდე[2] და უკეთუ
არა ისმინოთ ვედრე ბა ჩემი და ინებოთ შეძვრად
ლოდისა ანუ საფლავისა ამის ჩემისა იქმნეს კაცი იგი
შეჩვენებულ და წყეულ წ¯ისა სამებისაგან სულით და
ხორცით და მეორედ მოსვლასა მას საშინელსა გ¯სნი[3]

1 ეს სამი სიტყვა გამოშვებულია ბროსეს ტექსტში.
2 ბროსე : აღსრულებამდე.
3 გახსნანი (?), ბროსე: კურთხევანი.

ქ-ესი და მეოხება ყ-დ წ-ისა ღ-თის მშობელისა მათ ზ-ა
წყევად და შეჩვენებულ ყავნ. ხ-რომელმან დაამ
ტკიცოს ჩემი ესე ვედრება კურთხეულ იყავნ უფ
ლისა მიერ ქ-ეს აქეთ (ჩყივ) 1816[4].

ქვემოდ:

საფლავი ესე და თავით ამისა[5] აკობაძის საზღვარიანათ
მოვიყიდე მამარდაშვილის[6] გაბილასაგან და აკობა-
ძის გიტოლიასაგან[7] და არვის აქვს ცილობა
ჩემდა მომართ.

14. მეორე დიდი ეპიტაფია არის მეორე ლევან დადიანის მოურავის, გრიგოლ მანდარიასი, რომელიც მოკლულ ყოფილა აფხაზებთან ბრძოლაში 1833 წ. როდესაც ის შესრულდა 50 წლისა:

1. ქ. ეჰა. მხილველნო . და . აღმომკითხველნო . ლოდსა .
ამას. ზედა[8]. მე[9] მა
თის უგანათლებულესობის . დადიანის . ლეონის . სამფლობელოს. ყმა.
მოურავი. მანდარია . გრიგოლი . მათის . ბრძანებით .
წარვლენილ . ვიქმენ . ორ
გულთა . აფხაზთა . ზედა . და . თოფთა . მიერ . მოვი-
კალ . ორმოცდა . ათისა .
5. წლისა . განმლეველმან . დაუტევე . სწუთრო . ესე და .
საყვარელი .
მეუღლე . და . თვისი . ჩემი . და . დავეფალ . იწროსა .
საფლავსა . შინა .
მინდობილი . და . მავედრებელი . ყოვლად . უძლეველი-
სა . დიდის მოწ
ამის . გიორგის . ტაძრისა . გარე . რათა . მეოხ . მექმ-
ნას . წინაშე .
ქრისტესა . გევედრები . ყოველთა . მხილველთა . და აღ-
მომკითხველთა . შე
10. ნდობას . მიბრძანებდეთ . და . აწ . ვევედრები . მოწყა-
ლებასა . თქვენსა . ვიდრე .
სოფლისა . აღსასრულამდე . არა . შესძრათ . ლოდი .
ესე . მდებარე .
გუამსა . ჩემსა . და . უკეთუ . ვინმე (sic). ხელყოს .
შეძვრად. ამისა. სიტ
ყვა . მიგოს . წინაშე . ქრისტესა . და ჩემდა . ნაცვლად .

4 ბროსე თარიღს ასე კითხულობს: ქრისტესით ჩყივ, ივნის 29. უკანასკნელი ორი სიტყვა ჩემს დღიურში არ არის.

5 ბროსე კითხულობს: ამირა, მაგრამ ამბობს: სიტყვები : „და თავით ამირა" ანუ „ამისა" ჩემთვის ნათელი არ არისო.

6 ბროსე: მამარიდაშვილის, მაგრამ შენიშნავს: მამარიდაშვილი მე კიდევ მეტად არ მაკმაყოფილებსო.

7 ბროსე: გიტოლისაგნ.

8 ბროსე კითხულობს: ქვეშე.

9 ბროსეს ეს სიტყვა არ მოჰყას.

14. განიკითხოს . და . სასჯელი . მიეხადოს[1] წელს . ქრის-
ტეს . აქეთ . ჩყლგ. 1833 . თვესა .ფებერვალს . კე .

სოფელი ნაყურალეში.

სოფელი ნაყურალეში გაშენებულია ხვამლის მთის წინა ნაწილების მაღლობზე. მდებარეობა სოფლისა ერთობ ლამაზია. სოფლის მახლობლად, ეგრეთ წოდებულს დიდ-გორაზე, არის ნანგრევები ძველი ეკლესიისა და მისი სამრეკლოსი. შენობები სულ განადგურებულია; დარჩენილა მხოლოდ პატარა ზარი, ეხლა ხეზე ჩამოკიდებული, რომელზედაც გამოქანდაკებულია ჯვარცმა, ღვთის მშობელი და წმ. გიორგი, ლათინურის წარწერით, რომელიც გადმოვიღეთ, მაგრამ ამჟამად ხელთ არა გვაქვს.

თარიღი, როგორც მახსოვს, იყო აღნიშნული ლათინურის ასოებით: MDL XXXIX - (1589).

მეორე სამრევლო ეკლესია უბრალო ქვისაა, ჩვეულებრივი, ერთ ნაოსანი ბაზილიკა ოთხკუთხედი, მომრგვალებული საკურთხეველით შიგნით; ყავრით დახურული; შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით; ფანჯრები ვიწრო, თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით. დასავლეთის მხრიდან ეხლა მიშენებული აქვს უშნოდ ხის ოთახი. კანკელი ერთობ მაღალია, ხისა; ქვემო ნაწილი სულ სადათაა დატოვებული; აქ არც მხატვრობაა და არც ხატები; მხოლოდ სულ მაღლა არის მთელი რიგი წამლით დახატული დიდრონი ხატებისა. შუაში ვედრება (დეიზის), ესე იგი, მაცხოვარი ღვთის მშობლით და იოანე ნათლისმცემელით და მათ მარცხნივ და მარჯვნივ ოთხ-ოთხი მახარობელნი. ამათ ზემოდ, შუაში, კანკელზე დამყარებულია დიდი ხის ჯვარი, რომელსაც შუაში დაკრული აქვს რკინის ჯვარი, ოქროს ფურცლებით შეძერწილი (ფ. №16816).

ეზოში ეკლესიისა დასავლეთის მხარეს დიდი ცაცხვის ხეა, რომელზედაც მიშენებულია ხის სამრეკლო, ასე რომ კაცს ეგონება, სამრეკლო ხის ტოტზეა ჩამოკიდებულიო (ფ. №17407).

კედლები ეკლესიისა დახეთქილია და ამიტომ გასამაგრებლად მიყენებული აქვს ხის ბოძები ყოველ მხრივ. შიგნით იატაკი ქვითაა მოგებული და კედლები სულ მოხატული ფრესკებით. ეკლესია აშენებულია მე-17 საუკუნეში და ამ დროს ეკუთვნის მისივე მხატვრობაც. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ეკლესიის კედლეზე წარმოდგენილი ნაციონალური ტანისამოსებით მთელი სახლობა ჩიქოანთა გვარისა, რომლიდგანაც მომდინარეობს უკანასკნელნი სამეგრელოს დადიანები.

ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენ გავაგზავნეთ ნაყურალეშში მხატვარი დავით კაკაბაძე და გადმოვაღებინეთ ყველა ფრესკები ჩიქოვანთა გვარისა, რომელნიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში ინახება. სხვა ფრესკებთაგან გადმოღებულია კიდევ წმ. გიორგის ფრესკა.

ჩრდილოეთის კედელზე, ქვემო რიგში, ოთხი სურათია (ფოტ. №16815). მარჯვნივ ორი მღვდელთ მთავარია, ერთი მოხუცი, გრძელი თეთრი წვერით და ეკლესიის გეგმით ხელში; მეორე ახალგაზრდა. წარწერები მხედრულია:

პირველისა:

ქ :. ქრისტიანე :. და :. ღვთის :. მოყუარე :. საყდრისა

---

1 მე-7 სტრიქონიდან აქამდე ბროსეს წარწერა არ მოჰყავს.

ამის : აღმაშენებელი :. ჭყოინდელი :. ჩიქოანი :. გაბრიელი :.

მეორეზე:

ცაგარელი

ჩიქუანი

სვიმონ

მარჯვნივ წარმოდგენილნი არიან, როგორც ეტყობა, ცოლ-ქმარნი; მამა კაცს ხელი აქვს გაშვერილი ეკლესიის გეგმისაკენ; მის გვერდით ქალია. წარწერები:

მამაკაცისა:	ქალისა:
ქ :. ჩიქოანი : ბაკა :	ქ : ჩარკვიანის
	ქალი :. ხვარამზე

სამხრეთის კედელზე, ქვემო რიგში, აგრეთვე ოთხი სურათია (№16819).

მარჯვნივ, სამთავრო ტანისამოსით არის მამაკაცი, რომელსაც მარჯვენა ხელში ამოწვდილი ხმალი უკავია. მარცხენა გულზე აქვს მიდებული. მის მარჯვნივ მისი მეუღლეა, ლამაზი და კეკლუცად გამოწყობილი ქართული ტანისამოსით. წარწერები:

მამაკაცისა:

ქ :. ლეჩხუმისა და : სალიპარტია[ნოს]

პატრონი :. ოდიშისა :. თა[ვი (ანუ თავადი) და]

იმერეთისა :. და :. ოდის (უნდა იყოს : ოდიშის)

სარ-ლ[ი]

ჩიქუანი :. ბატონი :. კაცია :.

ქალისა:

ქ :. ქართლისა :.

:. ერისთავთ :. ერის

:. თვის :. ქალი :.

:. ბატონი :. თამარ :.

მარცხნივ აგრეთვე ცოლ-ქმარნი; მამაკაცი შესავალი კარის მარცხნივ; დედაკაცი – კარის მარჯვნივ (ესენი ხელებს უწვდიან ერთმანეთს, კარის ზემოდ). წარწერები:

მამაკაცისა:	ქალისა:
ქ :. ჩიქუანი	ქ :. ლაშხის :.
ქაიხოსრო :	შვილის . ქალ
	ი :. ქეთევან:

ხუთნივე ამ სურათებში წარმოდგენილნი მამაკაცნი ძმები უნდა იყვნენ. ამათში კარგად ცნობილია გაბრიელ ჭყონდიდელი და კაცია ჩიქოანი, ნაკლებად ვიცნობთ სვიმონ ცაგერელს, ბააკა და ქაიხოსრო ჩიქოანებს.

უკანასკნელი ალბად ის ქაიხოსროა, რომელიც იხსენიება მაცხოვრის ხატის წარწერაში ლატალის ეკლესიისა, სვანეთში; იმავე ეკლესიის ვერცხლის ჯამის წარწერაში მოხსენებულია ბააკა ჩიქოანი[1]. ცნობილია კიდევ მეორე ბააკა ჩიქოანი, რომელიც იყო გიორგი პირველის ლიპარტიანის შვილი, ესე იგი, შვილის შვილი კაცია ჩიქოანისა; ის არის მოღვაწე მე-18 საუკ. დასაწყისისა[2]. სვიმონ ცაგარელი სრულიად ცნობილი არ არის. რაც შეეხება გაბრიელ ჭყონდიდელს, ის დიდ როლს თამაშობდა სამეგრელოში მე-17 საუკ. ნახევარში[3]. ეს უწყობდა ხელს, რომ პირველი

1 წარწერები გადმოვიღეთ ჩვენ სვანეთში მოგზაურობის დროს.

2. H.G. II1, 648.

3 ბროსეს ჰგონია, რომ ეს გაბრიელი გიორგი (ლიპარტიანის), კაციას ძმის შვილია, მაგრამ ეს შეცდომაა (Rapp. IX, p.32).

ადგილი დაეჭირა სამეგრელოში მის ძმას კაციას. კაცია იყო ახოვანი, გაბედული და ჭკვიანი, მაგრამ ისეთი ცბიერი და მკაცრი, როგორც თვით გაბრიელი. 1661 წელს ქართლის მეფემ, ვახტანგ მეხუთემ, როდესაც მან მოილაშქრა დასავლეთი საქართველო, შეიპყრო გაბრიელ ჭყონდიდელი და წაიყვანა ქართლში. ამით მას უნდოდა გადაერჩინა მის ინტრიგებისაგან ლევან მესამე, დადიანი, რომელიც მან დასვა დადიანად და შერთო თავის ძმის ქალი[1] მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ გაბრიელი გაიპარა შულავერიდან, სადაც პრყობილად იყო, მიითვისა ხელმეორედ ჭყონდიდლობა და გახდა მრჩეველი ლევან მესამისა. მან დაუახლოვა მას თავისი ძმა კაცია და აიძულა ის მისთვის მიეცა სალიპარტიანო[2]. სახელი კაციას მამისა ჩვენ არ ვიცოდით, მაგრამ ცნობილია, რომ ის იყო ფრიად ღარიბი გორდელი აზნაური, რომელსაც თავის ზურგით მიჰქონდა თაფლი სვანეთში გასაყიდათ, რომ მით ერჩინა თავის ცოლშვილი. ცხადია, ასეთ კაცს, როგორიც კაცია იყო, სამეგრელოს დიდებულები ვერ შეურიგდებოდნენ; ამიტომ მან დაიწყო ჟლეტა და განადგურება სამეგრელოს თავადებისა, თავისივე ძმის ჩაგონებით. ლევან მესამის სიკვდილის შემდეგ, 1681 წელს კაცია გახდა სრული გამგებელი სამეგრელოსი. [3]

და აი ამ კაციასაგან შთამომავლობენ მის შემდეგი დროის დადიანები. კაცია სამჯერ იყო ცოლ-შერთული და მისი ცოლების ვინაობა ჩვენს ლიტერატურაში გამორკვეული არ არის: ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამაზე შევჩერდეთ. კაცია ჩიქოანს თავის სამარხად აურჩევია ჩრდილოეთის სამხრო მარტვილის მონასტრისა, რომელიც მოუხატვინებია და შეუმკვია სამკაულებით[4]. აქ ფრესკებში წარმოდგენილი ყოფილა მთელი მისი სახლობა, სახელების წარწერებით, მაგრამ სახელები და პირის სახეები სამივე ცოლისა განგებ ამოფხეკილია, როგორც ამბობენ, დავით დადიანის მიერ.

პირველ რიგში აქ წარმოდგენილია თვით კაცია თავის მესამე ცოლით და ამ ცოლიდან ნაყოლი შვილით, იესეთი ან იოსებით. რომ ეს მესამე ცოლია, იქიდან სჩანს, რომ მეორე ფრესკას აწერია: პირველი ცოლი . . . , ხოლო მესამე ქალის ფრესკას . . . [ხუარა]მზე : გ̇ი ლიპარტიანის დედა. გიორგი ლიპარტიანი, კაციას მემკვიდრე, აქვეა დახატული თავისი ცოლით, მიქელაძის ქალით სევდიათი და შვილით ოტიათი. ჩვენ ვიცით, რომ გიორგი ლიპარტიანი კაციას მეორე ცოლიდან ჰყავდა და ცოლი იყო ხვარამზე, ლორთქიფანიძის ქალი. ეს მტკიცდება წალენჯიხის ეკლესიის ვერცხლის

თეფშის წარწერიდან, რომელზედაც, სხვათა შორის, სწერია:. . . . . გევედრებით ჩუენ ლიპარტიანი გიორგი. . . შეიწირე მცირე ესე შესაწირავი. . . კურთხეულის **დედა ჩემის ხვარამზე ლორთქიფანიძის ქალის** სულის სახსრად[5]. ეჭვს გარეშეა, რომ მარტვილის ფრესკები კაცია ჩიქოვანის ოჯახის მაშინ არის შესრულებული, როდესაც კაციას მესამე ცოლი ჰყავდა და როდესაც ის სრული ბატონ-პატრონი იყო სამეგრელოსი, ესე იგი 1681 წელს. ამას გვიმტკიცებს როგორც წარწერაში მოყვანილი მისი თანამდებობანი, ისე ჩამოთვლა მისი ყველა შვილებისა; აქ სხვათა შორის ვკითხულობთ:

. . . . ჩვენ . . . ლეჩხუმის და საინასარიძოს და სალიპარტიანოს პატრონმან, დიდისა ხელმწიფისა მეფისა და დადიანისა ვაზირმან, იმერეთისა-ოდიშისა თაუმან და სარდალმან ჩიქვანმან კაციამ, და თანამეცხედრემ ჩვენმან

---

1 ქართლის ცხოვ. II, გვ. 203

2 იქვე, გვ. 206.

3 იქვე, გვ. 209.

4 იხ. ჩემი „არხეოლოგიური მოგზაურობანი", II, გვ. 120-21.

5 იქვე, გვ. 235

დიდისა . . . და ძემან ჩვენმან გიორგიმ, იოსებ, ოტიამ დავახატვინეთ სამხრო ესე . . . [1]

ცხადია, ნაყურალეშის ფრესკები წინ უსწრობს მარტვილის ფრესკებს და მაშინ არის დახატული, როდესაც კაციას პირველი ცოლი ჰყავდა და ეს ცოლი ყოფილა ქართლის ერისთავთ ერისთავის ქალი თამარ. სამწუხაროდ, არ არის ნაჩვენები, რომელ ერისთავის ქალი იყო. მესამე ცოლის სახელი არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო რაჭის ერისთავის, შოშიტა მესამის დის წული. კაცია ჩიქვანის გადაცვალების შემდეგ ის გაჰყვა გიორგი გურიელს, ხოლო მესამე-ჯერ ის მისთხოვდა გიორგი აბაშიძეს, რომელიც წინედ ბერად იყო მალაქიას სახელით და დიდ როლს თამაშობდა იმერეთში[2]. კაცია ჩიქოვანი გადაიცვალა 1781 წელს. კაციას შვილმა გიორგი ლიპარტიანმა, ლევან მესამის უკანონო შვილი, ლევან მეოთხე, დასვა დადიანად. ამით მან იხსნა სამეგრელო გიორგი გურიელის პრეტენზიებისაგან, ხოლო ლევან მეოთხე მარტო სახელით იყო დადიანი; სამეგრელოს განაგებდა გიორგი ლიპარტიანი, რომელიც სივერაგით და სისასტიკით არ ჩამოუვარდებოდა თავის მამას[3] ბოლოს მან გააძევა სამეგრელოდან ლევან მეოთხე, რომელიც წავიდა სტამბოლში და იქ გადაიცვალა. გიორგი მართავდა სამეგრელოს ლიპარტიანის სახელით. დადიანობის მიღება ვერ გაბედა, რომ დიდი წიანაღმდეგობა არ გამოეწვია დიდებულებისა[4]. დადიანად გახდა მხოლოდ მისი შვილი კაცია პირველი თავისი მამის რჩევით და ნებისყოფით. ამ კაციას ცოლი ცნობილი არ არის, მაგრამ ჩვენის აზრით, ის ყოფილა დადიანის ასული მარიამი. ეს მტკიცდება ცაიშის გულანის ერთი მინაწერიდან, რომელიც ჩვენ არხეოლოგიურ მოგზაურობაშია მოყვანილი (წიგნი 2., გვ. 190-191. მე-191 გვერდის 1 შენიშვნა უნდა მიეკუთვნოს ამ კაცია პირველს, დადიანს და არა მის პაპას, კაცია ჩიქოვანს, როგორც ჩვენ წინეთ გვეგონა).

აღვნიშნოთ ეხლა სხვა ფრესკები ნაყურალეშის ეკლესიისა. კონქში საკურთხეველისა წარმოდგენილია ღვთის მშობელი ნიშოვანი (ზნამენია) მთავარ ანგელოზებით აქეთ-იქით, მიქელით და გაბრიელით (ფ. №16816); მის ქვემოდ

ზიარება არის წარმოდგენილი; ორი ქრისტეა დახატული; ერთი აზიარებს მოციქულებს პურით, მეორე ღვინით; ამას ქვემოდ არის მთელი რიგი ეკლესიის მამებისა გრაგნილებით ხელში, რომლებზედაც ბერძნული წარწერებია. მარცხნივ არიან: წ̄Ჲ ბსლ̄ი :. წ̄Ჲ ნიკოლაოზ :. წ̄Ჲ : ი̄ე :. ოქრ̄პირი :. - მარჯვნივ სამი მამაა დახატული, მაგრამ წარწერები არა აქვთ არც სახელებისა და არც გრაგნილებზე (№16820); კამარაზე საკურთხევლისა მთელი რიგი წინასწარმეტყველთა მედალიონებში (№16816). თვით ეკლესიის თაღის ცაში იესო ქრისტეა წელს ზევით; მის ქვემოდ, მარცხენა კედელზე, იოანე ნათლის მცემელი; ამას ქვემოდ ხარება და შობა; მათ დაბლა წელ ზევითნი მხატვრობანი, წარწერებით: წ̄Ჲ გ̄ი, წ̄ Ჲ ნესტორ, წ̄Ჲ ესტატე, წ̄Ჲ პროკოპი. ამათ ქვემოთ: ჯვარცმა ქრისტესი და აღდგომა: მარჯვენა მხარეს ეკლესიისა, ზევიდან დაწყებული, მოჰყვებიან: მირქმა, ნათლისღება (ორივეს

---

1 იქვე, გვ. 121.

2 ქართლ. ცხ. II. გვ. 209-210.

ჩვენს „არხეოლოგიურ მოგზ."-ში წ. 2.გვ. 120. ციფრებით აღნიშნულ მე-4 სტრიქონში, ფრჩხილეში სწერია: „ჩარკვიანის ქალი". უნდა იყოს: „ლორთქიფანიძის ქალი". მე-121 გვ. ციფრებით აღნიშნულ მე-5 სტრიქონში, ფრჩხილებში მოყვანილი სიტყვები: „ქართლის ერისთავთ ერისთავის ქალმან თამარ" გამოშვებულ უნდა იქმნას. ვინაიდან ეს ეკუთვნის პირველ ცოლს და არა მესამეს. აგრეთვე მე-123 გვერდზე, სტრიქონი მე-18 ზემოდან, სწერია: „ჩარკვიანის"; უნდა იყოს: „ლორთქიფანიძის".

3 იქვე, გვ. 215.

4 იქვე, გვ. 221.

ბერძნული წარწერები ახლავს (ფ. №16817); ეს ორი სურათი გაყოფილია ვერტიკალური წრით, რომელშიაც სამი წელზევითი წმიდანების სურათებია მედალიონებში. მათ ქვემოდ არის ჰორიზონტალური წრე ოთხი მედალიონის სურათით, რომელთაც ჯვრები აქვთ ხელში. ესენი არიან: წ̄Ჲ პეტრე, მერკური, დიმიტრი, თეოდორე (თ̄ე). ამათ ქვემოდ დიდი სურათებია: იერუსალიმში შესვლა და ფერისცვალება (ფ. №16815 და 16817). დასავლეთის კედელზე, კარის ზემოდ, მაცხოვარი წელს-ზევითი, მაკურთხეველი ხელით; მარცხნივ კარისა წმიდა გიორგი თეთრ ცხენზე, ვეშაპს გმირავს; მას ცხენზე შემოჯენილი ჰყავს მის მიერ გადარჩენილი ყმაწვილი, მარჯვნივ კარისა – წმიდა გიორგის შეპყრობა დიოკლეტიანეს მიერ წარწერით: აქა: წ̄Ჲ : გ̄ი : /დეოკლეტიანე: / მეფემ შეიპყრა (ფ. №16818). წარმოდგენილია მეფე გვირგვინით; მის უკან დედოფალი, მის წინ წმ. გიორგი, რომის ჯარისკაცითურთ უკან. ზემოდ დასავლეთ კედელზე: გარდამოხსნა, ამაღლება და ღვთის მშობლის მიძინება.

სიძველენი ნაყურალეშის ეკლესიისა.

1. **ღვთის მშობლის ხატი,** წამლით ნახატი, ლამაზი ხელობისა. 18,5X14,5 სანტ., ოქროს შემკობილობით, მაგრამ დაზიანებული; უზის 12 ძვირფასი ქვა. სურათი შემოვლებული ყოფილა მარგალიტის მძივით, რომელიც სანახევროდ დაცულია. ნიმბი დიდი ოქროსი შემკობილია ხუცური ასო კ-ის მსგავსი ფიგურებით და ტალღის მსგავსი წრით და აგრეთვე ოქროს აშიები ყვავილოსანი შემკობილობით ერთობ ლამაზია. ქვემო აშიაზე არის დაზიანებული ასომთავრული წარწერა (ფ. №16814):

ქ. წ̄ო : [ღ̄თს მშ̄ბლო] მ̄ხ : ეყ̄ვ : წ̄ე : ძესა (sic)
შ̄ნსა [მოსავსა] შ̄ნსა : ნიკლას

ეს წარწერა, როგორც ეტყობა, ბროსეს დროს დაუზარალებული ყოფილა (Rapp.IX. გვ. 33). ამას გარდა, შესაძლებელია უკანასკნელი სიტყვა „ნიკლას“ შემოკლებით იყოს მოყვანილი უქარაგმოდ და ნიშნავდეს: „ნიკოლაოზს“. ხატი მე-12 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

2. **ხატი წმიდა გიორგისა,** ოქროთ დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, ქართული მე-18 საუკუნის მდარე ხელობისა, 37X29 სანტ., წმიდანი წარმოდგენილია ცხენით, რომაულ საომარ ტანისამოსით და წელზე მოგრძოდ ჩამოკიდებული მახვილით; ლახვარით გმირავს კაცს, რომელსაც ხმალი აქვს ხელში; ზემოდ ასომთავრულით უწერია: წ̄ ჲ გ̄ი. აშიები ლურსმის თავის მსგავსი, ბაწრულად დაწყობილის ულაზათო შემკობილობით, ზემოდ მარჯვნივ და მარცხნივ შეწყვეტილია ფრიად ტლანქი მთავარანგელოზთა სახეებით, ჯვრებით ხელთა (ფ. №16813). ზემო აშია, ნაჭრად დაცული, სხვა ხატიდან არის და მასზე მოსჩანან ნაშთები ხუცური წარწერებისა, მარცხენა კუთხეში: „აგ“; ამას ქვეშ: „ორლ“. მარჯვენა კუთხეში: „ზმ“ და ამას ქვეშ: „აუ“; შუაში : „ხოა“. ქვემო აშიაზე უშნო ასომთავრულით სწერია:

ქ : ϩ : მოწმ̄თა : მთ̄ვრო : და : შვიდ : წილ ოძლვ̄ლო :
ღვ̄წლისა : მძლეო : გ̄იგი : ხვმლისაო : მოგაჭდინე
მე : მოსვმ̄ნ : და : მადიდებელმ̄ნ : თქვენმ̄ნ : მონზმ̄ნ :
მ̄რიმ : შეწვნითა : ცგრ̄ლისა : ჩ̄ქოანის გბრიელსათა
სადღგრძლოდ : მ̄სად ; და საოხ̄დ და ს̄ხსრ̄დ სულისა
ჩ̄მსა დღ̄ს მ̄ს დიდსა განკითხვისასა.

უქარაგმოდ:

ქ.ϩი მოწამეთა მთავარო და შვიდ წილ უძლეველო,
ღვაწლისა მძლეო გიორგი ხვამლისაო, მოგაჭედინე
მე მოსავმან და მადიდებელმან თქვენმან მონაზონმან
მარიამ შეწევნითა ცაგერელისა ჩიქოანის გაბრიელისათა,
სადღეგრძელოდ მისდა და საოხად და სახსრად სულისა
ჩემისა დღე(ა) მას დიდსა განკითხვისასა.

აქ მოხსენებული გაბრიელ ჭყონდიდელი არის გიორგი ლიპარტიანის შვილი; ის ჭყონდიდლად გახდა 1701 წელს, მაგრამ 1714 წ. მისმა ძმამ ბეჟანმა ის გადააყენა ჭყონდიდლობისაგან.

3. ბროსეს აქ უნახავს პატარა ხელნაწერი გრიგოლ ღვთის მეტყველისა (Rapp.IX. გვ. 32), რომელზედაც ყოფილა მინაწერი: ეს წიგნი წმიდა გიორგი დიღმისა არის.

4. **წმიდა გიორგის ხატი,** წამლით დახატული, წმიდანი ვეშაპს გმირავს შუბით, 32X27 სანტ., მომრგვალო წრიდან მოსჩანს ანგელოზი, წინ სასახლეა, რომლიდანაც გამოიყურებიან დედოფალი და დიდებულები. ზემოდ ასომთავრულით უწერია: წ̄ ჲ გ̄ი. ხატი ახალი ხელობის არის.

5. ასეთივე ხელობის **მაცხოვრის ხატი** 20X20 სანტ., წარწერით: ი̄ჯ ქ̄ე.

6. **ღვთის მშობლის ხატი,** წამლით ნახატი; ღვთის მშობელი შვილს დასტირის; 51,5X41 სანტ., ბერძნული ხელობის არის. მე-17-18 საუკ.

7. ასეთივე **ხატი ჯვარცმისა;** იმავე ზომისა და ხელობისა.

8. ასეთივე ნახატი **ხატი მაცხოვრისა,** ტლანქი ხელობისა, მე-19 საუკუნ.

9. ასეთივე **ხატი ღვთის მშობლისა.**

10. ვერცხლის **მედალიონი,** ქართული ხელობის, მე-19 საუკ. მხედრულის წარწერით: ქ. დ-დაო ღვთისაო მეოხ ეყავ მხევალსა შენსა მანდრიას ელისაბედს.

11. წამლით დახატული **ხატი წმიდა საბასი,** მე-19 საუკუნისა, 37X29 სანტ., წარწერით: ღირსი მამა საბა განწმენდილი.

12. **იოანე მახარობელის ხატი,** ქაღალდზე დახატული, წარწერით:
წ-ჲ ი-ნე და ქვემოდ უწერია: შ-ე ვხტნგ (ვახტანგ).

13. **სასანთლე** ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:
ჩყნგ-სა წელსა მაისის ე-სა ნაკურალეშის (sic) წმიდაო
გიორგი შემოგწირე ხუკმა თინია ჩაკვეტაძის ასულმან
სასანთლე ესე სულისა ჩემისა საოხოთ.

სიტყვა **ხუკი,** როგორც ადგილობრივ განმიმარტეს, ნიშნავს : დაკუნტებულს, საპყარს, კუნტს.

სოფელი ქვემო აღვი.

ამ სოფელში სულ ახალი ეკლესია არის ღვთის მშობლისა, გუმბათიანი.

თავი ხატი ამ ეკლესიისა, ღვთის მშობლისა, პატარაა, 14,2X11,5 სანტ. სახე ფერადით არის დახატული, შემერწილია ოქროთ დაფერილი ვერცლით და შემკობილი ყოფილა 10 ძვირფასი ქვით. ერთი ეხლა დაკარგულია. წარწერა სახელისა მხედრულით: დ-და ღვთისა. ზურგზე მხედრულითვე სწერია: ქ. ეჰა : შენ :. შვიდი ცა უმაღლესო და ქერაბინთა უწმიდესო ცათა მეუფისა მშობელო ჩვენ ცვა ფარვათა შენთა მონდობილმან ჯიაჯაძემ დათუმ და მეუღლემ ჩემა მაღრიანის ქალმა ქეთიამ აღვაშენე საჯვარე დავასვენე ხატი ესე ყოვლა წმიდისა ნაწილიანი ჩვენგან მოჭედილი ჩვენდა სასულიეროდ მოსახსენებელი.

საჯვარე, რომელიც მოხსენებულია ამ წარწერაში, ყოფილა სოფლის ზემოდ, მაგრამ ეხლა ის ჩვენ დანგრეული დაგვხვდა. ხატი გადაუტანიათ იქიდან ამ ახალ ეკლესიაში. ხატი მე-19 საუკ. დასაწყისის არის.

2. პატარა **ზარზე** ამ ეკლესიისა მხედრულად აწერია:
ქ: შემოგწირე კენაშის ჯვარის ცხოველის რატისშვილმა
დავითელამა საოხად სულისა ჩემისათჳნ წელსა ჩყკბ.

კენაშის ეკლესია არის აღვის ზემოდ.

სოფელი ნასპერი.

ნასპერში ახალი ეკლესია არის ქვისა და არქიმანდრიტი ბესარიონ ახვლედიანის მეოხებით მშვენიერად მოწყობილი ყოფილა. ჩვენ იქ არ შეგვივლია, მაგრამ მისი ორი ხატი მოასვენეს ცაგერში და ჩვენ იქ გავშინჯეთ და ფოტოგრაფიულად გადმოვიღეთ.

1. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, ქართული ხელობისა, 42X31 სანტიმენტ. (ფ. №16822). ღვთის მშობელი წარმოდგენილია სრულის ტანით, კამარას ქვეშ; ხელში უკავია ძე, რომელსაც მარცხენა ხელში გრაგნილი აქვს, მარჯვენით აკურთხებს. ნიმბები ღვთის მშობლისა და მისი ძისა, წნულის ვერცხლისა, შემკობილია თერთმეტი ძვირფასი ქვით. ამას გარდა, ზემო ნაწილში კიდევ ათი ქვა არის. წარწერა ასომთავრულით: დ-ეა ღ-სა . ძე ღ-სა . აშიები მოჩუქურთმებულია ვაზოვანი ორნამენტით. ხატი ნაჭედია ცნობილის სამეგრელოს ოქრომჭდელის პეპუ მეუნარგიის მიერ, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და წარმოადგენს მიბაძვას ძველი ქართული კლასიკური პერიოდის ნაწარმოებისას. ზუგრზე მხედრულად აწერია:

ქ:. სული იგი მაცხოვარებისა რ-ლ მიუდგა გულითა შ-ა
პირველთა წინასწარმეტყველთა და მამათასა რომელნი
წინათვე შე-თვის მოასწავებდენ და ქადაგებდენ საკვირ-
ველებითსა მას შობასა შენსა
მარიამ ქალწულო ღ¯ის მშობელო ნასპერისაო მე მსა-
სოე-ლი შენი ცათა მბაძავისა ეკკლესიისა შენისა წალეჯი-
ხისა წინამძღვარი
დავით ახვლედიანი მცირესა ამას ძღვენსა ვრთმულობ
შენდა ამის თვის რ-ლ ეკკლესია შენი მღვ-თის მშობლი-
სა ნასპერს მდგომარე იყო
თვით მამა პაპათა ჩემთა სალოცველი და იყო ხელთა
ჩვე-თა რომელნიცა სახლსა შ-ა ჩემსა გამოიზრდებოდენ
სამ-დელონი და რო-ლითამე
ეშმაკთ მოქმედებითა ხატი წმიდისა სახისა შენისა ქმნი-
ლი ფიცარსა ზ-ა ხისასა ეკლესია შ-ა სანთლის დანარჩენი-
თა დამწვარიყო ძველად და მე ოდეს ვსცან ესე ამისთ-
ვის მადლმა შენმან აღმძრა მე მცირისა ამის ძღვნისა
მორთმად შენდა და მოვაჭედინე ხატი ესე წმინდა სახი-
სა შენისა ვერცხლითა ოქროს ცურვებულითა და შევამ-
კევ თვლებითა და დავასვენე ზემოხსენებულსა ეკკლე-
სიასა შ-ა შენ
სა ნსპერს ღ-ს მშობელო მარიამ შეიწირე მცირე ესე
მწლილი ვითარცა ძემან შენმან და ღ-თნ ჩვენმან : და
მიოხე წინაშე ძისა შენისა, რა
თა დღესა მას გაკითხსასა(sic) მასმინოს ხმა იგი სანეტა-
რო მოვედ კურთხეულო მამისა ჩემისაო და დაიმკვიდრე

სასუფეველი გამზადებული მართათ
ვის (sic) და დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებათა ძმა ჩემი
ყოვლად ღირსი
მღვდელი გიორგი მეუღლით ძითა და ასულით რ-ლი და-
ასხა მარჯვენამან მღ-ან . ხ-სახიერო ღ-ო შეიწყალე შენ-
სა სასუფეველსა მშო
ბელნი ჩემნი ყოვლად ღირსი მღვდელი ლაზარე და იაშვ-
ვილის ქალი ელენე . წეს : 1822 : თვესა დეკენბერსა : 20 :

2. **ხატი მაცხოვრის მიძინებისა,** ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, 31,5X21,5 სანტ. (ფ. №16821). ნიმბი შემკობილია ხუთი ძვირფასი ქვით; ეზო და აშიები ვაზოიანის ორნამენტით; წარწერა ასომთავრულით იწყება ზემო აშიაზე და გაგრძელებულია ქვემოზე:

1 წ . ი-ჯ : ქ-ე : მფო : დიბსო : და მცხრო : პირო : ღ-ო : ადიე . ორთ
2. ვე . შ-ა : ცხრ-ბთა : მონა . და მდდბლი : წ-სა . ამის ხტისა
3. შნისა . ცშლ მ-მა . მთვრი . მაქსიმე . რლისა . ბრძნთა . მოჭედა
4. და შეიმკო : ხტი . ესე . მიძინბსა : სფლისა . ჭლისა . ან .

უქარაგმოდ:

იესო ქრისტე, მეუფეო დიდებისაო და მაცხოვარო პირო
ღმრთისაო, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა მონა და მა-
დიდებელი წმიდისა ამის ხატისა შენისა ცაიშელ მამა-
მთავარი მაქსიმე, რომლისა ბრძანებითა მოიჭედა და შე-
იმკო ხატი ესე მიძინებისა სოფლისა ჭალისა (თუ ჭელიშისა ?).

ცაიშელი მაქსიმე ცხოვრობდა მე-17 საუკ. მეორე ნახევარში. ამის ბრძანებით გადაწერილია ცაიშის გულანი (იხ. ჩემი „არხ. მოგზაურობანი“, 2., გვ. 188-189).

3. **ჯვარი ხისა;** წინა პირზე გადაკრული აქვს სადაფი, რომელზედაც გამოხატულია ჯვარცმა სული-წმიდით ზემოდ, მტრედის მსგავსად და ღვთის მშობლით და იოანეთი ქვემოდ, 25X12,5 სანტ. ხელობა რუსულია, რუსულის წარწერით ჯვარცმულისა. უზის ოთხი ლალი.

წარწერა ხვამლის ეკლესიისა.

უძველესი ხატები ოყურეშის ეკლესიისა, როგორც დავინახეთ, ადგილობრივი არ არის, არამედ გადმოტანილია ერთობ ძველის, მაგრამ ეხლა დანგრეული ხვამლის ეკლესიიდან, წმიდა გიორგისა. ხვამლის ქედზე გაშენებული ეკლესია დიდათ განთქმული ყოფილა ძველად: ამას მოწმობს დღესასწაული „ხვამლობა“. როგორც გადმომცეს, ხვამლობას დღესასწაულობენ აღდგომის მეორე კვირას. დღესასწაულს დღესაც დიდ-ძალი ხალხი ესწრება ლეჩხუმიდან და სვანეთიდან. ძველი ეკლესია ქვისა სულ დანგრეული ყოფილა. იმავე 1910 წელს, როდესაც ჩვენ ვმოგზაურობდით, აქ დაუწყიათ ახალი ეკლესიის აშენება და უნახავთ ქვა ასომთავრული წარწერით. ეს

ამბავი მე ოყურეშში მაცნობეს და ვინაიდან ჩვენ დრო არა გვქონდა წავსულიყავით, გავგზავნეთ იქ ოყურეშის მთავარ დიაკონი და დავავალეთ ქვა ჩამოეტანა ჩვენთვის სოფელ ნაყურალეშში, სადაც ჩვენ მივემგზავრებოდით. მთავარ დიაკონმა პირნათლად შეასრულა ჩვენი დავალება. ორი პატარა წარწერიანი ქვა მოგვიტანა ნაყურალეშში და ჩვენ საშუალება მოგვეცა გადმოგვეწერა და ფოტოგრაფიულად გადმოგვეღო წარწერა.

წარწერა სამ-სტრიქონიანი მოთავსებული ყოფილა ერთ შირიმის ქვაზე, რომელიც ეხლა ორად არის გატეხილი; მეორე ნახევრის ქვემო ნაწილი მომტვრეულია და დაკარგული, ამიტომ მეორე ნახევრის მესამე სტრიქონისა აღარ არის; რამოდენიმე ასო დაზიანებულია შენახულ ნაწილშიაც (იხ. ფოტოგრაფია).

წარწერა ჩვენ ასე გვაქვს წარმოდგენილი:

წ̇ო : გ̇ი : მეოხ : და მფრვლ : ექ
ნ : ე̇ე : ე̇ნს : სჯთა : და : შვილთ
ა : მისთა : მ. . .

ამ წარწერაში სიტყვა **ე̇ნს** უნდა იყოს ნახმარი ჩვეულებრივი **ი̇ნეს** მაგიერ. შემდეგი სიტყვა **სჯთა** უნდა ნიშნავდეს სჯანთა (სუანთა). ამიტომ შესაძლოა წარწერა ასე წავიკითხოთ:

წმიდაო გიორგი, მეოხ და მფარველ ექ-
მენ ერისთავთ ერისთავსა ეოანეს სუანთა და შვილთ-
ა მისთა მ[ას დღესა განკითხვისასა, ამინ].

რასაკვირველია, სიტყვების დალაგებაც ფრაზაში ამ წაკითხვით არა ჩვეულებრივია: უნდა იყოს: „სუანთა ერისთავერისთავსა იოანეს“, მაგრამ ქართული ენის ნორმების შეცვლა სვანურ წარწერებში ჩვეულებრივია და ლეჩხუმი ძველად ქვემო სვანეთის ანუ ცხენისწყლის სვანეთის ნაწილად გვევლინება. ლეჩხუმელები გაქართველებული (გაიმერელებული) სვანებია.

ეს იოანე უნდა იყოს უძველესი სუანთა ერისთავი და არა ის იოანე ვარდანისძე, რომელიც ლაბეჭინის და მესტიის წმიდა გიორგის ხატების წარწერებშია მოხსენებული. ამას მოწმობს პალეოგრაფიული ხასიათი წარწერისა.

ქვები, პირობებისამებრ, უკან დავუბრუნეთ ხვამლის ეკლესიას, ვინაიდან ხალხი ამას მოითხოვდა.

შენიშვნა: ხვამლის წარწერა გამოცემულია ჩვენ მიერ Byzantion-ში, tome XII, fascicul 1, pp. 204. . 206.

წარდგენილი იყო ფოტოგრაფიაც, მაგრამ სამწუხაროდ ფოტოგრაფია Byzantion-ის რედაქციამ დაჰკარგა. (ნომერი არ გვახსოვს).

ნაწილი II

ქვემო სვანეთი

სვანეთი იყოფა ორ ნაწილად, ზემო სვანეთად და ქვემო სვანეთად. მათ ჰყოფს მაღალი სვანეთის ქედი ლათპარის ზეკარით (უღელტეხილით). ზემო სვანეთს

შეადგენს მდინარე ენგურის ხეობა, ქვემო სვანეთს მდინარე ცხენისწყლისა; დაწყებული ამ მდინარის სათავიდან მურის ხიდამდე, რომელიც შორავს ქალაქ ცაგერს ერთი კილომეტრის მანძილით. ქვემო სვანეთი ლეჩხუმითურთ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან შედიოდა სამეგრელოს დადიანების მფლობელობაში, ამიტომ ის სადადიანო სვანეთადაც არის ცნობილი.

ქვემო სვანეთი შეიცავს სულ სამ დიდ თემს: ლენტეხისა, ჩოლურისა და ლაშხეთისა. ცნობები ქვემო სვანეთის ანუ სადადიანო სვანეთის ძეგლების შესახებ იხ. ბროსსე, Rapp.X. pp. 44-64, და გრაფიანია უვაროვისა: მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა, ტ. X. ქვემოდ, სადაც ამ ავტორებს ვიხსენებთ, ეს მათი წიგნები იგულისხმება.

ლენტეხის თემი

სოფელი ლენტეხი.

სოფელი ლენტეხი გაშენებული არის იქ, სადაც ხელედურა და ლასკადურა შეერთვიან ცხენისწყალს. მდებარეობა სოფლისა ერთობ ლამაზია, გადაღებულია ფოტოგრაფიულად (№17410), კიდევ უფრო ლამაზია ხელედურას ნაპირები (№17408) და აგრეთვე ციხე ლარაში, გაშენებული მთის ცხვირზე ხელედურას და ლასკადურას შუა. ეს ციხე ეხლა უკვე დანგრეულია, იცავდა შესავალს და გამოსავალს, როგორც ხელედურას, ისე ლასკადურას ხევებისა და აგრეთვე ზემოდ მიმავალ გზას ცხენისწყლის პირისა (№17488 და განცალკევებული მაღალი კოშკი, №17409).

ლენტეხის საზოგადოების მამასახლისმა ივანე კაცოს ძე მეშველიანმა ჩვენ გვაჩვენა რამოდენიმე სიგელი უკანასკნელი დადიანების მიერ ბოძებულნი. ზოგი მათგანი სათარხნო სიგელია; ზოგი წყალობისა. მოგვყავს სანიმუშოდ ჯანყვათურ ბენდელიანის სიგელი, ქაღალდზე დაწერილი:

ჩვენ ღვთისა მიერ ამაღლებულმან და დამყარებულმან
ს-დ ოდიშის, ლეჩხუმისა და სვანეთის ბატონმა, დადიან-
მა გრიგოლ, და თანა მეცხედრემან ჩემან, დედოფალმან,
საქართველოს მეფის ასულმან ნინომ, და ძემან ჩვენმან
ლევან და გიორგიმ ესე წყალობის წიგნი დაგიწერინე და
გიბოძე შენ ჩვენს ყმას **ბენდელიანს ჯაყვანს** და შენს
ძმებს სვიმონს, გეგილას და მიქეს და სადოლაყს და
ნუღს, მოსავითს და ჭიტის და სხვათა ძეთა და მომავლ-
თა თქვენთა ყოველთავე ასე და ამას პირსაზედა, რომე
ჩვენზე დიდი ერთგულობა გამოიჩინეთ და ქრთამიც მო-
გვართვი, ბეგრის მეტი არც საური, არც საუდიერო და
არც ტვირთობა და არც ნდობა ჩვენგან თქვენგან თქვენს
ძესა და მომავალს არ ეთხოებოდეს, ისე გაგვითარხნე-
ბიხარ შენის მამის მიქელის შვილები. (გ)ქონდეს და გი-
ბედნიეროს ღმერთმან. . . მოწმენი კაცთაგან: ასათიანი
ვახტანგ და ფაღავა ხალ და გარსვიანი ხოსია და სხვანი
ჩვენი დარბაზის ერნი, მეციხოვანი დანუჩა და ხელოსანი
აბრამულა. . . აღიწერა ქრისტეს აქეთ ათას რვაას ორს,

ხელითა მღვდელისა პეტრესითა. ბეჭედი: დადიანი გრი-
გოლ.

სოფელი ფაყი.

სოფელი ფაყის ძველი ეკლესია ღვთის მშობლისა აშენებულია ქვისაგან; უბრალო ერთ-ნაოსიანი ბაზილიკა არის, სიგრძით 13 არშინი და 5 ვერშოკი, განით 1 არშინი და 14 ვერშოკი. საკურთხეველი მომრგვალებულად გამოდის გარედ. თაღი ეკლესიის დამყარებულია სამ სარტყელზე თლილის ქვისა. ფანჯრები ვიწროა, თითო ყოველ მხრით; შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით; დასავლეთით კიდევ ეკლესიას მიშენებული აქვს ხის ღია ფანჩატური. კანკელი ეხლა ხისაა, ახალი; ძველი ქვის კანკელი, რომელიც ბროსეს დროს თავის ადგილზე იყო, აუღიათ და მისი ქვები აწყვია ეკლესიის კუთხეებში. ფაყის ეკლესიაში ინახება:

1. **ხატი დიდი ვედრებისა,** 87X56 სანტ. სპილენძისა, ნაჭედი, წელს ზევითნი სურათებით, შუაში ქრისტე, მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება აქვს ჯვარითურთ ყდაზე; მარჯვნით ღვთის მშობელი არის (ეს არა ჩვეულებრივია ვედრების კომპოზიციაში, ის უნდა იყოს მარცხნივ); მარცხნივ იოანე ნათლის მცემელი, წარწერები: ი-ო ქ-ე, დ-დ ღ-თ, ნთ-ლმც. ნიმბი ქრისტესი ჯვარის სახედ არის შიგნით განწყობილი. სხვების უბრალოა. ნიმბების ორივე მხრით ყველა წმინდანების „დრობნიცებია“. ხელობა არა უადროეს მე-16 საუკუნისა. აშია ფართო აქვს, რომბის მსგავსი შემკობილობით ქსელში. აშიებზე უზის მედალიონები წმიდათა სახეებით:

ზემოდ შუაში ვედრება, და კუთხეებში მთავარ ანგელოზები; ქვემოდ: წმ. გიორგი, წმ. დიმიტრი, წმ. თეოდორე; მარცხნივ და მარჯვნივ ორ-ორი მედალიონი. ქვემოდ: სამ-სტრიქონიანი დიდი ასომთავრული წარწერაა, ეხლა დაზიანებული; შუაში მესამე სტრიქონის ფირფიტა ამოტეხილია და დაკარგული (№16832).

1. ქ მეოხბთ-დ შეწ-ვნთ წ-მთა მთვრაგელ-თისა კლდსთ ვინ ბე მ-ე მნამ-თმნ ვ-რ

2. დან სულკეთილისა ეეს- ა ბაკურის ძემნ შექნდ ამ-ს ხატ-ის და წნო მთ-ვრ აგელზნო მეოხ ექმნ მწრდ ცდვლ

3. ს : ს-ლსა ჩემს და წამ-ართე ბედ [ეს შასიბ][1]. . ყვ. ქ.

შექმნ ჴელ-თ გი დვლს ძ-სთ და გი მობარქის ძი[სა].

ამ წარწერაში, რომელიც ფოტოგრაფიაზე კარგად მოსჩანს, სიტყვების ბოლოში ასო ა უმეტს შემთხვევაში გამოშვებულია, სიტყვა და-ს მაგიერ ყოველთვის მარტო დ-ნია, ასო ო და უ ერთსახედ არის წარმოდგენილი ო-ნის სახით და ამიტომ ძნელი სათქმელია, „მობარქის ძე“ უნდა წავიკითხოთ, თუ „მუბარქის ძე“. ფრჩხილებში მიმატებული ასოები ბროსეს ტექსტიდან არის ამოღებული, მაგრამ ეს ეხლა დაკარგული ტექსტების გაგებას არ შველის. უკანასკნელ სტრიქონში ბროსე ასო ქ-ს

(1) აქ რაც ფრჩხილეშია ბროსეს დროს ყოფილა და მისი ტექსტიდან ვუმატებთ, ბროსე თვით ფაყში არ ყოფილა; მუსლოვი გაუგზავნია და მას გადმოუღია წარწერა (---X, --47)

უმატებს ე, რომ გამოვიდეს „ქრისტე“. მაგრამ აქ ასო ქ იმავე მნიშვნელობით არის, როგორც ჩვეულებრივ ყოველი წარწერის დასაწყისში. ამით აქ აღნიშნულია განცალკევებული ხასიათი მეორე წარწერისა, რომელშიაც ოქრომჭედელნი იხსენიებიან.

შემოკლებულად წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს:

1. ქ. მეოხებითა და შეწევნითა მწიდათა მთავარ ანგე-
ლოზთაისა (?) კლდისათა ვინებ მე მონა(მან) მათმან ვარ-
2. დან, სულკეთილისა ერისთავთ ერისთავისა ბაკურის
ძემან, შექმნად ამისა ხატისა და, წმიდანო მთავარ ანგე-
ლოზნო, მეოხ ექმენ(ით) მწარედ ცოდვილ-
3. სა სულსა ჩემსა და წარუმართე ბედ. . . ქ. შეიქმნა ჯე-
ლითა გიორგი დვალისძისათა და გიორგი მობარქის (ანუ
მუბარქის) ძი(სათა).

ხატი წინად ჰკუთვნებია კლდის მთავარ ანგელოზთა ეკლესიას, რომელიც ფაყის მახლობლად მაღალ მთაზეა გაშენებული. ვარდან, ძე ერისთავთ ერისთავისა ბაკურისა, ცნობილი არაა.

2. **ხატი მაცხოვრისა,** მთავარ ანგელოზებითურთ ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 69X32 სანტ. სრულიად ისეთივე ხელობისა, როგორც წინა ხატი. სურათები წელს ზევითნია; შუაში ქრისტე, მაკურთხეველი მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში; მთავარ ანგელოზთ საზომები აქვთ ხელში. წარწერები სახელებისა ასომთავრულებით: ᲘᲗ ᲥᲔ ,ᲬᲘ Ⲙ ᲥᲚ, ᲬᲘ Ⲗ ᲑᲠᲚ, აშია და წარწერა ხატისა არ შენახულა. ეს ხატი იმავე ოქრო მჭედელთა ნახელავი უნდა იყოს, რომელთაც განუჭედიათ წინა ხატი. (იხ. ფოტ. №16830).

3. **ხატი** დიდი **ღვთის მშობლისა,** კარედი, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ერთობ ტლანქი ხელობისა (№16831). შუაში წარმოდგენილია ღვთის მშობელი ჩჩვილედი, ფრიად მახინჯი; სხვათა შორის ხელზე ექვსი თითი აქვს; მარჯვნივ მისა ასეთივე მახინჯი მთავარ ანგელოზია; მარცხნივ მეორე მთავარ ანგელოზია უფრო პატარა ტანისა. ღვთის მშობლის ქვეშ სამი მედალიონია წმიდანებისა; მარცხენა კარზე წარმოდგენილია ფეხზე მდგომარე წმ. გიორგი; მის ზემოდ ორი მედალიონია მთავარ ანგელოზებითურთ. მარჯვენა ფრთაზე წმ. თეოდორეა; წარწერა გადმობრუნებული ასომთავრულით არის: თ ̄Ⲑ Ⲣ ̄ მი. მის ზემოდ ქრისტე უნდა იყოს ტლანქ მინიატურად წარმოდგენილი, ხელებ გაშვერით მარჯვნივ; ქვემოდ ასეთივე დამახინჯებულად ჯვარცმაა წარმოდგენილი.

ამ ხატზე მოიპოვება ზოგიერთი ნაჭრები სხვა კარგი ხელობის ხატებისა. მაგალითად, ნახევარი წრეები, ნიმბები ღვთის მშობლისა და მთავარ ანგელოზისა საუცხოო ხელობისა არის და აგრეთვე მათ შორის ჩანაკერებ ფირფიტას ლამაზი ბერძნული ასოებით ჯვარედინად უწერია სახელი მთავარ ანგელოზისა; კარგია აგრეთვე შუა ნაწილის ზემოდ დაცული ყვავილოვანი ორნამენტით შემკობილი ფირფიტა მთავარ ანგელოზითურთ მედალიონში.

აშიები შესდგება სულ სხვა და სხვა დროის ხელობის ნაჭრებისაგან. ამათში საუკეთესოა ქვემოდ დაცული ნაჭერი კლასიკური ხანისა, ასომთავრული წარწერა ნაწყვეტით, რომელიც, ეტყობა, ბროსეს დროს უკეთ ყოფილა დაცული. ეხლა

სტრიქონებიც არეულია და სიტყვებიც აკლია. რასაც ბროსედან ვუმატებთ, ფრჩხილებშია ჩასმული:

[მე ძლრმნ]. მეფემან . გ . [ხატი . ესე] . წ̄თა . მთავარ-

ანგელზ. . . მცველად და მფარველა. . .

ფაყის ეკლესიაში ამას გარდა ჩვენ ვნახეთ შვილდ-ისარი რკინისა, სპილენძის დიდი საყვირი, რომლითაც ეხლაც იწვევენ ხალხს. სპილენძის ჯამი მოჩუქურთმებული, სასანთლის ძირი, საცეცხლური, რკინის ლაგამი, შემკობილი ვერცხლით (ყველა ამათ სურათი იხ. №16824). ლაგამი ჩვენ მოგვცეს და ეხლა ინახება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ. მუზეუმში. იმ ერისთავს, რომელსაც ეს ლაგამი ჰკუთვნებია, ასეთივე არა ჩვეულბრივი სიგრძის თოფი ჰქონია, სამი არშინი სიგრძით, და შემკობილი ვერცხლის სალტეებით. ეს თოფი წაუღია ქუთაისის გუბერნატორს მამა ვაწაძის ბლაღოჩინის დროს და ეკლესიისათვის გამოუგზავნია 15 მანეთი.

4. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლის ფირფიტაზე, 24X14 სანტიმ. მაცხოვარი ტახტზე ზის, სახარებით ხელში; ტლანქი ხელობისაა (№16223, შუაში).

5. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 18X15,5 სანტ. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა. ხელობა ცოტა უფრო უკეთესია, ვიდრე წინა ხატისა.

6. **ხატი ორ წმიდა ეკლესიის მამათა,** ვერცხლისა, უბრალო; წარწერა ვულგარული ხუცურით:

ო̄ ო̄ შეონდენ შეცოდებანი ჴოდიმელს.

უკანასკნელი სამი ხატი ერთად არის გადმოღებული (იხილ. №16223).

ფაყის ზემოდ შიშველ მთაზე, რომლის მახლობლად საზაფხულო საძოვრებია, ყოფილა კიდევ პატარა ქვის ეკლესია მთავარ ანგელოზთა. აქ უქმობენ სულიწმიდის მოფენას და ეს დღესასწაული იწვევს ბევრ ხალხს. ეკლესია ჩვენ არ გვინახავს, ვინაიდან მღვდელმა დოროთეოზ ასათიანმა დაგვარწმუნა, რომ იქ არის მხოლოდ წამლით ნახატი ერთი ხატი მთავარ ანგელოზთა. ალბად აქ დაცული ეკლესია არის ის კლდის მთავარ ანგელოზთა ეკლესია, რომელიც იხსენიება ფაყის პირველი ხატის წარწერაში. ამ ეკლესიის გარდა ფაყის ეკლესიაზე მიწერილია კიდევ ახალი პატარა წმიდის გიორგის ხის ეკლესია ხელედისა, ხელედურას პირზე; აქ ძველი ნივთები არ არის; სოფელში 22 კომლი სცხოვრობს.

სოფელი ლექსურა

სოფელ ლექსურის ეკლესია ღვთის მშობლისა ახალია, ხისა, მაგრამ მისი საკურთხეველი გარედ ხუთ-წახნაგოვნად გამოდის. აქ ჩვენ ვნახეთ:

1. **თავი-ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, 76X56,5 სანტ., წამლით დახატულია ხეზე, არა ძველია, მაგრამ ლამაზი, ბერძნულის წარწერით სახელისა.

2. **ხატი წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრისა,** ვერცხლისა, 9,5X7,5 სანტ. წმიდანები ფეხზე მდგომარენი არიან ფარით და შუბით ხელში და ხუცური წარწერით:

წ̄ჲ გ̄ი წ̄ჲ დ̄ე /იორისა შე იოვან/ ნა.

ესე იგი: წმინდაჲ გიორგი, წმიდაჲ დემეტრე იორისა, შეიწყალე იოვანნა (შეიძლება უკანასკლენი ორი ასო შეცდომით გადასმული არის და უნდა ყოფილიყო ან (- ამინ).

3. პატარა გულსაკიდი **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, 4X3,5 სანტ. ვერცხლისა.

4. წამლით დახატული **ხატი მაცხოვრისა.** ახალი.

სოფელი გულიდა.

გულიდა პატარა სოფელია. მისი ეკლესია მაცხოვრისა ახალია, მაგრამ აშენებულია ძველი ქვის პატარა ეკლესიის ნანგრევებზე. ეს უკანსკნელი ბროსეს დროს მთელი ყოფილა და მისი აზრით, ძლიერ ძველი, კარგი თლილის ქვით ნაშენი. მისი ხუთი ხატი დაცულია ამ ახალ ეკლესიაში.

1. ყველაზე საყურადღებო ამათში არის ვერცხლის **ხატი წმიდის გიორგისა,** 23X19 სანტ. საუცხოო ლამაზი ხელობისა (№16828, აგრეთვე უვაროვისა, გვ. 118, სურათი 36). ეს ხატი სრულებით არა ჰგავს ჩვეულებრივ სხვა ქართულ წმიდა გიორგის ხატებს. აქ წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი და შუბით, მაგრმ ის არც ვეშაპს გმირავს და არც გვირგვინოსან მეფეს. სახე მისი სულ ახალგაზრდაა, ნაზი და ლამაზი, უფრო ქალის სახეს მოგვაგონებს, ვიდრე მამაკაცისას; ის საომარი ტანისამოსით არის წარმოდგენილი და მისი მოსასხამი ლამაზად ფრიალობს მის ზურგს უკან. მოსასხამს ქვეშ კიდევ ქვემოთ ჩამოშვებული გრძელი კაბის მსგავსი სამოსელია; მხარზე გადაგდებული აქვს თასმა, რომლითაც ქვემოდ ჩამოშვებული დიდი ხმალი არტყია; ფეხზე მაღალი, რბილი წაღები აცვია; ფეხი უზანგში აქვს გაყრილი; თავი ხუჭუჭი თმით და უბრალო ნიმბით არის შემკობილი; ლამაზი, კარგი ჯიშის ცხენი თითქო მის ქვეშ თამაშობს. წარწერა სახელისა ასომთავრულით: წ̄ჲ გ̄ი. აშია პირველი, ძველი, შესდგება ერთმანეთში გადახლართული ნახევარი წრეებისაგან, მაგრამ ამას ზემოდ და მარჯვნივ მიმატებული აქვს მერმინდელი უფრო პრტყელი და ტლანქი აშია: მარჯვნივ ამ აშიაზე წარმოდგენილია სრულის ტანის წ̄ჲ თ̄ე და ზემოდ მედალიონებში წელსზევითნი: წ̄ჲ პკ̄პე და ი̄ნე ნც̄მ (ნათლის მცემელი). გრაფინია უვაროვისა (გვ. 118) აღტაცებაშია ამ ხატის გამო და სამართლიანად შენიშნავს, რომ ჩვენს წინ არის არა ჩვეულებრივი ქართული წმ. გიორგის ხატი, არამედ უფრო ჟანნა-დ'არკი სამხედრო სამოსელით. ამას გარდა მისი აზრით, ეს ხატი წინეთ წიგნის ყდის სამკაულს შეადგენდა. ეს შესაძლებელია.

2. **ხატი მაცხოვრისა,** 38,5X34 სანტ., ვერცხლისა, ნაჭედი, წელსზევითი, დიდი ჯვარის სახის ნიმბით და ბერძნულის წარწერით სახელისა, ჯვარის სახის მედალიონებში. ქრისტე მარჯვენა ხელით აკურთხებს; მარცხენაში სახარება უჭირავს ყდით, რომელიც შუაში შემკობილია დიდის ქვით და ირგვლივ მარგალიტებით. ეზო შემკობილია რომბებით ქსელში. აშიები ბალახოვანი ორნამენტით. ხატი მე-14 საუკუნის უნდა იყოს (№16825).

3. **ხატი მაცხოვრისა,** 22X17 სანტ., ვერცხლისა, ნაჭედი, ფრიად მახინჯი; მე-18 ანუ მე-19 საუკუნისა. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვნით. აშიებზე მარჯვნივ და მარცხნივ ტლანქი სურათები წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრისა (?). დამახინჯებული სამი მედალიონი ზემოდაც ემჩნევა (№16827).

4. **ხატი მთავარ ანგელოზთა,** 36,2X27,5 სანტ., ვერცხლისა, ნაჭედი, ერთობ ტლანქი ხელობისა; მთავარ ანგელოზნი წარმოდგენილნი არიან სრულის ტანით და ლაბარუმებით; მათ ქრისტეს მედალიონი მოაქვთ. ხელობა უნდა იყოს მე-18-19 საუკ. (№ 16826). აშია არა აქვს.

5. **ხატი მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, შუბით და ბურთით. აშია ერთმანეთზე გადაბმული რგოლების და რომბ-ლურსმულის ორნამენტით არის შემკობილი. მე-18-19 საუკ. (№16829).

6. **კანკელის საწინაო ჯვარი,** დიდი, ხისა, სიმაღლით 4 არშინი და 5 ვერშოკი, განით ორი არშინი; ვერცხლის ფირფიტები, რომლითაც შეძერწილი ყოფილა ჯვარი, სულ მოძარცულია. დარჩენილია მხოლოდ ერთი ფირფიტა მთავარ ანგელოზის მიქაელის ფიგურით და მეორე ფირფიტა ნაწყვეტი, ასომთავრულის წარწერით და ლამაზი სიმრგვალით (№16829).

: ქ : ძელო /ცხრებ/ ისო : მ/ ეოხ : ე / ქმნ : მ. . .

სოფელ გულიდას ზემოდ, ნახევარი კილომეტრის მანძილზე, მოიპოვება პატარა ქვის ეკლესია წმ. გიორგისა; მასში მხოლოდ ნამტვრევებია ხატებისა და ეტყობა, ზოგი კარგის ხელობის ყოფილა.

ჩოლურის თემი

ამ საზოგადოებაში შედიან, გარდა ქვემო ჩოლურისა, (№17412) შემდეგი სოფლები: საყდარი, შტვილი, ბულეში, მუცთი, ქვემო ჭველიერი, ზემო ჭველიერი, ზედა ჩოლური, თეკალი, ლევშიერი, მამი, უკულეში, ზაგალოთი, ტვიბი. მთელს საზოგადოებაში 185 მოსახლე ითვლება. აქ არის კარგი სასოფლო სკოლა, რომელშიაც ჩვენ დავბინავდით თავაზიან სკოლის მასწავლებელთან პეტრე ბაგრატის ძე კოპლატაძესთან (იხ. №17411).

სოფელი საყდარი.

საყდარი თავი სოფელია თემისა. ამის ეკლესია წმ. გიორგის სახელობისა მოზრდილია, ქვისა, მაღალი; წარმოადგენს ოთხკუთხედ ერთ ნაოსიან ბაზილიკას, და გაშენებულია მაღლობზე წყლის პირად. თაღი დამყარებულია ორ სარტყელზე; დახურულია ყავრით. ქვის კანკელი, რომელიც ბროსეს დროს იყო, სამწუხაროდ, მოუშლიათ და ახალი ხის კანკელი გაუმართავთ. აღსავლის კარი ძველი კანკელისა, ხისა, ლამაზად მოჩუქურთმებული, რომელიც ბროსეს უნახას, ეხლა აღარ არსებობს.

შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით. ფანჯარა ოთხი აქვს; ორი სამხრეთით და თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით. იატაკი ეხლა ხისაა. კედლები ამ ეკლესიისა სულ მოხატული ყოფილა ფრესკებით, რომელნიც ეხლაც ნაწილობრივ გვარიანად არის შენახული, ნაწილობრივ გაფუჭებულია.

საკურთხევლის ცაში არის ვედრება (№16849); შუაში ქრისტე სრულის ტანით და ღვთის მშობლით და იოანე ნათლის მცემელით. ქრისტეს სახარება უკავია ხელში, რომლის გაშლილ ფურცლებზე იკითხება: „მე ვარ ნათელი სოფლისა და რომელი მომიდგეს მე“. . . ქვემოდ, საკურთხეველში მოსჩანან ეკლესიის მამები. სხვა ფრესკებთა შორის ეკლესიაში უკეთ დაცულია: შობა, ხარება, იერუსალიმში შესვლა, ნათლის ღება. ჩრდილოეთის კედელზე ორი წმიდა გიორგია, ერთი ცხენით, ვეშაპს გმირავს, მეორე ფეხზე მდგომარე, დასავლეთის კედელზე იესო ქრისტეს გოლგოთაზე წაყვანაა. დასავლეთის კარის ზემოდ მთავარ ანგელოზნი მიქელ და გაბრიელ. კამარებზე კარგად დაცულნი არიან მეფენი და წინასწარმეტყველნი. ამას გარდა დასავლეთის კედელზე დახატულნი ყოფილან ამ საყდრის მღვდელ მსახურნი, შემომწირველნი და დიდებულნი, სულ ხუთი კაცი. შუაში არის სამღვდელო პირი. (№ 16850). წარწერა არა სჩანდა, მაგრამ როდესაც კარგად გავრეცხეთ, გამოჩნდა ასომთავრული:

ამ საღტრი/ სა დეგანო / სა ზოსიმეს/ შ-ნს ღმთნ.

ეს ასე სწერია, როგორც აქ მოგვყავს, ესე იგი საღტრისა, საყდრის მაგიერ, დეგანოსა დეკანოზის მაგიერ.

მეორე პორტრეტი საერო კაცის არის, ჭრელ ქართულ ტანისამოსით; თავზედ სკუფიის ქუდი ახურავს, წვერი და ულვაში შავი აქვს; მარცხენა ხელი გულზე უდევს; მარჯვენა გაშვერილი აქვს მის წინ მოქცეულს კაცისაკენ, რომლის ფრესკა ეხლა გაფუჭებულია. საერო კაცების სურათებს დასავლეთის კარის მარცხენა წარწერები ჰქონია; მათი გარეცხვის შემდეგ ჩვენ გავარჩიეთ:

. . . გრიგოლს / და ფარდი / ლას / ღმთნ. . . ამა საღდარსა/

ზედა დია მი / ჭირავეს/ და ვცა/ ბძა : შენ/ დობა / მსცა

შე / უდნს. . .

აქაც გამეორებულია სვანური მართწერა ქართული სიტყვებისა, როგორც წინა წარწერაში: საღდარსა, მიჭირავეს მოიჭირვეს მაგიერ და სხვა. წარწერა შეუმოკლებლად ასე უნდა იყოს:

. . . გრიგოლს და ფარდილას ღმერთმან [შეუნდვეს] . ამა

საყდარსა ზედა დია მოიჭირვეს. და ვინცა ბრძა(ნოს) შენ-

დობა. მასაც შეუნდვნეს [ღმერთმან].

ჩრდილოეთის კედელზე, საკურთხევლის მარცხნივ არის ფრესკა სამღვდელო პირისა, რომელსაც ქარტა აქვს ხელში; მას აკურთხებს მაცხოვრის მარჯვენა სფროდან (№ 16848). ქარტაზე აწერია ასომთავრულით: „დაი /დვა / ტაძ / არი“. ამის უკან საერო პირია წარმოდგენილი, ქართული ტანისამოსით და ბატკნის ქუდით. ხელები გაშვერილი აქვს წინა ფრეკსისაკენ ვედრების სახით (№16848). ასომთავრულ წარწერაში გარეცხის შემდეგ ჩვენ გავარჩიეთ:

სულოჩო / ნის ძესა / ჩარდა / ნას შეუნდნეს / ღმერთმან.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ისტორიულ ფრესკებს არც ერთი მკვლევარი არ იხსენიებს.

როგორც მოვიხსენიეთ, საყდარში ძველი ქვის კანკელი მოუშლიათ და მის მაგიერ აუმართავთ მაღალი ხის კანკელი. ამ კანკელში ჩაუტანებიათ მარჯვნივ და მარცხნივ აღსავალის კარებისა ორი დიდი ხის ჯვარი ვერცხლის ფირფიტებით შემოსილი ჩვეულებრივად და ეს გარემოება ეხლა ფრიად აძნელებს მათ შესწავლას და ჯეროვნად გადმოღებას ფოტოგრაფიის საშვალებით. ამას გარდა იმ დღეს, როდესაც ჩვენ იქ ვიყავით, წვიმდა და ისედაც ბნელ ეკლესიაში უფრო ბნელოდა. ყველა ამ გარემოებათა მიზეზით ჯვრების და ფრესკების ფოტოგრაფიული სურათები საკმაოდ ნათელნი არ არიან.

1. **ჯვარი ხისა,** რომელიც მარცხნივ არის ჩაშენებული კანკელში, უკეთესია; მისი სიმაღლე 5 არშინი და 2 ვერშოკი; განი 1 არშინი და 11 ვერშოკი (№16834 და უვაროვისა, ტაბ. X).

ჯვარი შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, რომელთა ზედა წარმოდგენილნი არიან გამობერვით განჭედილნი სურათები წმიდა გიორგისა, რიცხვით 12. სხვა ფირფიტებზე შემკობილებანი მოიპოვება და წარწერანი ასომთავრულით. გვერდებზე ჯვარისა არის სურათები მთავარ ანგელოზთა, წმიდა დიმიტრისა და წმ. გიორგისა. მეორე მხარე ჯვარისა აგრეთვე შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით და მათზე მხოლოდ ხლართული შემკობილებანია და არა წმიდათა სახეები.

შუა ნაწილში ჯვარისა არის ლამაზად შემკობილი უმბო, ცალკე ფირფიტაზე გაკეთებული და ოთხი ლურსმნის საშვალებით მიჭედილი. ძირი მისი წნულის ვერცხლის მავთულებით არის გაკეთებული. უმბო შემკობილია ოთხი ჯვარის სახედ დალაგებულის ქვებით და კუთხეებში ლამაზი წარწერა არის ხუთ სტრიქონად (№ 16846):

წ-ო გ-ჲ შ-ე არ-შე	წმიდაო გიორგი, შეიწყალე არშე
ჴევჲსა	ჴევისა
აზნაურნჲ	აზნაურნი,
ყ-ლჲ შემომწჲ	ყოველნი შემომწი-
რველნჲ	რველნი.

ბროსეს აზრი წარწერისა ვერ გაუგია და ჰგონია წარწერა ნაკლულია (გვ. 51). შესაძლოა წინეთ იმ ადგილს, სადაც ეხლა საყდარია, არშე-ჴევი ანუ არაშეს ჴევი ერქვა. საყდრის მახლობლად ეხლა ერთი ადგილი მოიპოვება, ტყით მოცული, რომელსაც აშარეში ჰქვია, ამიტომ შესაძლოა წავიკითხოთ: „აშარეშე ჴევისა“.

როგორც მოვიხსენიეთ, წინა პირი ჯვარისა შემკობილია 12 წმიდა გიორგის ფირფიტით. ამათში 11 წმიდა გიორგი ცხენოსანია, ერთი ფეხოსანი. ცხენოსანნი გამოხატულებით სამ რიგად შეიძლება გაიყოს. პირველ რიგს შეადგენს ოთხი დიდი ფირფიტა ოთხივე მხარეს უმბოსა. ამათზე მოთავსებულნი სურათები უფრო დიდი რელიეფით არიან წარმოდგენილნი. წმიდანი რომაულ საომარ ტანისამოშია; მისი მოსასხამი ლამაზად იშლება ჰაერში მის უკან; ცხენის ფეხ ქვეშ გვირგვინოსანი მეფეა გაშხვართული, რომელსაც გიორგი ეხება თავის ჯვარის ხეტარით; ეს ჯვარი ლამაზად უჭერია ხელში ლაბარუმის მსგავსად; ცხენი კარგი ჯიშისა ყალყზე სდგას; ის მდიდრულად არის შეკაზმული, ლამაზად ნაკერი ყაჯარით და მკერდ საკიდით. ფაფარი და ძუა ლამაზად გამოსკვნილი აქვს. ერთი სიტყვით, როგორც სამართლიანად შენიშნავს გრაფინია უვაროვისა, ჩვენ წინ არის წარმოდგენილი არა მხედარი, რომელიც მტერს გმირავს,არამედ რომის ტრიუმფატორი, ოთხივე ფირფიტა

ერთნაირია, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთი განსხვავებაა, სამი ცხენის თავი მიმართულია მარჯვნივ, ხოლო ერთის მარცხნივ. და ეს იმიტომ, რომ ცხენის თავი ყოველთვის უმბოსკენ იყოს მიქცეული; თუ მარჯვნივ მოექცია, მაშინ მარცხენა ფრთის წმიდა გიორგი უმბოს ზურგს შეაქცევდა, სიმეტრია დაირღვევოდა და უშნო იქნებოდა.

დანარჩენი ექვსი წმიდა გიორგი, აგრეთვე ცხენით, უფრო დაბალი რელიეფით არის წარმოდგენილი ჩვეულებრივად და გვირგვინოსან მეფეს გმირავენ შუბით.

ამათში სამი წარმოდგენილი არის ქვემო ფრთაზე ჯვარისა და თითო სხვებზე (№ 16845 და 16846). ესენი არეს შემკობილებით ცოტა განირჩევიან.

მესამე რიგის წმიდა გიორგი, რომელიც ზემო ფრთის თავშია, განირჩევა სხვებისაგან. წმიდანი ახალგაზრდა არის, ნიმბით, მიიჭენებს ცხენს მარჯვნივ და გმირავს ვეშაპს, როგორც ჩვეულებრივად მიღებულია (№16834). ფეხოსანი წმიდა გიორგი ყოფილა ლამაზი, დიდ ფირფიტაზე, მდიდრულ რომაულ საომარ ტანისამოსით და შუბით ხელში, მაგრამ ეს ფირფიტა გაფუჭებულია და დაკერებული ზემოდ ახალი ნაჭერით (№16834 და 16844). გრაფინია უვაროვისას ეს მიუღია მთავარ ანგელოზის სურათად; წარწერა აქვს, მაგრამ არ განირჩევაო. ნამდვილად კი წარწერა კარგად განირჩევა და ბროსესაც გარჩეული აქვს. აქ ვკითხულობთ: „წ-Ა გ-ი ლე-ნჩსა“. სოფელი ლენჩა თავისუფალ სვანეთშია. ამ სურათის ქვემოდ ლამაზი, მაგრამ ეხლა დაზიანებული ასომთავრული წარწერაა (№16844). ნიშნებად ზოგჯერ სამ-სამი ვერტიკალურად დასმული წერტილია. ჩვენ ორ-ორს ვტოვებთ:

1. წ-ო გ-ი ლენჩს-ო აღაშენე მაშენებელი
2. შენი ჴევი ჩოლჳრისა და ყოველნი
3. მადიდებელ-ნი: შენნი . ამინ :
4. ოქრომჭედელი ლაშხი
5. შვ-ლმნ : ზიადმ-ნ : მოიყვ-ნა
6. და დიდათ : მოიჭირვა შეუნდვ-ნ
7. ღმრთმნ. შემდეგ უფრო წვრილი ასოებით:
8. მოიჭედა დეკანოზობასა რჳბემისა.

შეუმოკლებლად:

წმინდაო გიორგი ლენჩისაო, აღაშენე მაშენებელი შენი
ჴევი ჩოლურისა და ყოველნი მადიდებელნი შენნი, ამინ.
ოქრომჭედელი ლაშხიშვილმან ზვიადმან მოიყვანა და დი-
დათ მოიჭირვა, შეუნდვნენ ღმერთმან. მოიჭედა დეკანო-
ზობასა რუბემისა.

სხვა სამი ფირფიტა ჯვარისა ვარსკვლავის მსგავსი შემკობილობით არის მორთული. ერთი ამათგანი ზემო მკლავზეა და თითო მარჯვენა და მარცხენა მკლავებზე (№16846. იხ. აგრეთვე უვაროვისა, ტაბ. XXI).

ამას ქვემოდ კუთხეში იკითხება:

ამისა მომჭედსა ოქრომჭედელსა / მიქელს შეუნდვნეს
ღმერთმან.

ჯვარი მე-14-15 საუკუნის უნდა იყოს.

2. **მეორე დიდი ჯვარი,** რომელიც ახალ კანკელშია მარჯვნით ჩაშენებული, უფრო პატარაა და უფრო დაბალი ხელობისა (№16833). ესეც შემერწილია ვერცხლის

ფირფიტებით და მათზე წარმოდგენილი წმიდათა სახეებით და სხვა შემკობილებანით, ხოლო ზემო და შუა ნაწილის ფირფიტები დაბალი ხელობისაა და მათზე ძლივს ემჩნევა გამოსახულებანი მაცხოვრისა, ღვთის მშობლისა და მთავარანგელოზთა. უმბო შემკობილია ვარსკვლავის მსგავსად გაშლილი შტოებით და ფოლაქის მსგავსი წერტილებით შუა წრეში. უკეთესი ხელობის და უფრო ლამაზი ფირფიტები მოთავსებულია ქვემო მკლავზე, სადაც დაცულია ორი ერთგვარი გამოხატულობის ფირფიტა წმ. თეოდორესი: წ̄Ა თ̄ე. ეს ორი ფირფიტა ოქროთი დაფერილია; ერთი ფირფიტა მთ. -ანგ. მიქელ და გაბრიელისა: წ̄დი მიქელ, წდ̄ი გბ-რლ, და ერთიც წმ. თეოდორესი, ზემოდ, შემკობილი წნული წრეებით, რომლებშიაც ძვირფასი ქვებია. წმიდა თეოდორე ცხენით არის წარმოდგენილი, საომარი ტანისამოსით, გმირავს შუბით იქედნესს; შუბი ჯვრით თავდება ზემოდ. ორთავე ფირფიტას ერთგვარი ასომთავრული წარწერა აქვს:

წ̄ო თ̄ე შ̄ე /ა̄რშ̄ე მ̄ქელ; ესე იგი: წმინდაო თეოდორე,

შეიწყალე აშარეშე(ლი?) მიქელ.

არშე ანუ აშარეშე იხსენიება პირველი ჯვრის წარწერაშიაც და ამიტომ ვკითხულობთ: „აშარეშე(ლი)“. ეტყობა იგივე ოქრომჭედელი მიქელი ყოფილა გამჭედელი საუკეთესო ფირფიტებისა. თუმცა ორთავე სახეს წმიდა თეოდორესა ერთგვარობა უჩანს, მაგრამ კარგის დაკვირვებით მაინც განირჩევიან: ჩაცმულობით და ცხენის მოკაზმულობით. მეორე სურათზე მოსასახამი ფრიალებს ჰაერში წმიდანის ზურგს უკან; პირველზე წმიდანს მოსასხამი არა აქვს. აგრეთვე შემკობილება მეორე ცხენისა უფრო მდიდრულია, ვიდრე პირველისა (№16833 და 16847). გრაფინია უვაროვისა პირველს და მეორე ჯვარს ერთმანეთში ურევს. წმიდა თეოდორეს სრულიად არ იხსენიებს და წმიდა გიორგის წარწერას პირველი ჯვარისა, ბროსეს მიერ გარჩეულს, ამ ჯვარს აკუთვნებს (გვ. 83-84). მისივე სიტყვით, ამ ორ ჯვარს ჰქონია ისეთივე ქუდი, როგორიც აქვს კალის ჯვარს, ჩუკულის ჯვარს და სხვას (გვ. 84), მაგრამ ჩვენ ეს არ გვინახავს, არც ჯვრების თავებზე დაცმულნი, არც ცალკე შენახულნი, თუმცა ყველაფერი დაწვრილებით მოვიკითხეთ და გავშინჯეთ.

3. **გაბრიელ მთავარ ანგელოზის ხატი,** ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 37X31 სანტ. ასომთავრული წარწერით: წ̄Ა ანგლზი გაბიელ. მთავარ ანგელოზი ფთოსანია, ბიზანტიური ტანისამოსით, შუბით მარჯვენა ხელში და ბურთით მარცხენაში (№16840). ნიმბი შემკობილი ყოფილა ექვსი ქვით. ეხლა დაცულია მხოლოდ ერთი ზურმუხტი. აშიები ფართოა რომბ-ლურსმული ორნამენტით; მარჯვნივ და ზემოდ აშიას აკლია; ეზო შემკულია ფოთლების მსგავსი ორნამენტით; მარცხნივ კუთხეში ასომთავრული წარწერაა; ნიშნებად მრავალ ვერტიკალურ წერტილების მაგიერ ვტოვებთ ორ-ორ წერტილს:

ქ. წმიდაო : მთ	წმიდაო მთა-
ავარ ანგელ	ვარანგელოზ-
ოზნო : მწე : ეყა	ნო, მწე ეყავ(თ)
ვ : ორსავე : შინა	ორსავე შინა
ცხორებასა : დ	ცხორებასა დ-
ევანასა : თაკუერ	ევნასა (?) თაკუერე-
ელიანსა : ძითუ	ლიანსა ძი-
რთ : მთავარ აგელოზო	თურთ, მთავარ ანგელოზო

კუათისაო : ა-ნ კუათისაო, ამინ.

ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს.

4. **ხატი წმ. გიორგისა,** ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 41X34,5 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია ფეხზე მდგომარედ. რომაულ საომარ ტანისამოსით; მარჯვენა ხელში შუბი უნდა სჭეროდეს, მაგრამ ეს ნაწილი მორღვეულია; მარცხენა ხელი დადებული აქვს ფარზედ, რომლის კიდეები შემკობილია ორნამენტით; შუაში ჯვარი აქვს. თავის და ნიმბის მარტო მარჯვენა ნაწილია შენახული; სახელის წარწერიდან დარჩენილია ასომთავრულით: გ-ი. ეზო ყვავილოვანი ორნამენტით არის შემკობილი. აშიები მშვენიერი ხელობისა ყვავილებით და ფოთლებით სიმრგვალეებში დაცულია მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოდ და ქვემოდ მოძარცულია. ყველაფერი მოწმობს, რომ ხატი კლასიკური პერიოდისა ყოფილა, მე-11-12 საუკ. (№ 16836).

5. **ხატი წმიდა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 37X33 სანტ. აშიები რომბებით შემკობილი ქსელისაა. წმიდა გიორგი ცხენითურთ დიდი რელიეფით არის წარმოდგენილი; ის გმირავს გვირგვინოსან მეფეს შუბით, რომლის თავი ჯვარის სახისა არის. მოსასხამი მხედრისა ფრიალებს ზურგს უკან. ნიმბი ნაწილობრივ დაფარულია აშიით, სახელი ასომთარულით: წ-ჲ გ-ი (№16835).

ქვემოდ კიდევ ერთ-სტრიქონიანი წარწერა არის მსხვილის ასომთავრულით, მაგრამ უკანასკნელი ორი ასო ნუსხა ხუცურით სწერია:

შ-ე ჲ-ე გე-გილი, ესე იგი: შეიწყალე იოანე გეგილი[1], ხატი მე-15 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს, ზემოდ ხატს ძეწკვი აქვს.

6. **ხატი ღვთის მშობლისა.** ჩჩვილედი, ოქროთ დაფერილი ვერცლისა, 40,5X43 სანტ. ღვთის მშობელი ნიმბიანი ტახტზე მჯდომარეა, მუთაქით; ტახტს მაღალი ზურგი აქვს; წარწერა სახელისა ასომთავრულით: დ-დ ღ-ჲ. აშიები მოლამაზოა ყვავილებით შემკობილი სიმრგვალეებში, და შიგ ორი წმიდანის მედალიონია, ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ, ზემო და ქვემო აშია დაცული არ არის. ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს (№16837). ზურგი ამ ხატისა გადაკრულია ლამაზი მატერიით (№16843), მაგრამ ფოტოგრაფიაზე ის სილამაზე ნაკლებად გამოდის.

7. **ხატი დიდი,** წამლით ნახატი, **ვედრებისა** 127X87 სანტ. წამლით დახატული სახეები თითქმის სულ გადასულია, გარდა ღვთის მშობლის პირის სახისა და ნაწილობრივ იოანე წინამორბედისა. ასომთავრული წარწერა ამათი სახელებისა დამახინჯებულია: დ-დ ღ-ზა: ივ ქბ, წ-ი იოვა (sic). ნიმბები და რომბებით შემკობილი ქსელი აშიებისა დაცულია და ესენი მოწმობენ, რომ ხატი კარგი ხელობისა ყოფილა; ქვემო აშია არ არის შენახული; სხვებზე შვიდი მედალიონია წელსზევითი წმიდანებისა: წ-ჲ პეტრესი, წ-ა პავლესი, წ-ა გიორგისა და წ-ა თეოდორესი მარჯვნივ და მარცხნივ, ზემო კუთხეებში მთავარ ანგელოზნი და შუაში გამზადებული ტახტი (№16842). ხატი მე-14-15 საუკ. უნდა იყოს.

8. წამლით დახატული **ხატი წმიდა გიორგისა,** 90X63 სანტ. ტანი სულ გადასულია, ნიმბი მშვენიერად შემკობილი და აშიები ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით მოკაზმული დაცულია; აგრეთვე ნაწილობრივ ეზოც ზემოდ და მარცხნივ, ლამაზად შემკობილი. წმიდა გიორგი ფეხზე მდგომარე ყოფილა, შუბით მარჯვენა ხელში; მარცხენა ფარზე ჰქონებია დადობილი (№16841). ქვემოდ ნაწყვეტად დაცულია ასომთავრული წარწერა:

1. . . . ა : მიერ : მამკობი შენი ოი მთ-ვრ მწ-მეო მეფე გ-ი სა : ხელს : ეხნ

2. . . . ნ მიერ : იოხო : ჩემთუი[ს] წინაშე მეუფისა.

ბროსე მუსლოვის მიერ გადმოღებულ წარწერაში (გვ. 50) ოი-ს მაგიერ კითხულობს: „გიორგი“. ეს შეცდომაა, მაგრამ იმავე სტრიქონის უკანასკნელ ოთხ სიტყვას ასე კითხულობს: „მეფე გიორგი სახელ სეხნ(ია შენი)“. და ეს დაახლოებით ასე უნდა იყოს, თუმცა ორ-ორი წერტილით დაყოფა სიტყვებისა ამას არ ეგუება.

---

(1) ბროსეს გამოცემაში ეს წარწერა მოყვანილია, როგორც დიდი ჯვარის წმიდის გიორგის წარწერა (გვ. 50).

მაგრამ ამგვარი უმართლო დაყოფა ნიშნებით სიტყვებისა არა იშვიათია, ამიტომ დაახლოვებით, დარჩენილი წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს: . . . . ა მიერ მამკობი შენი, ოი მთავარ მოწამეო, მეფე გიორგი, სახელ სეხნ(ია ქმნილი შე)ნ მიერ, იოხო ჩემითუი(ს) წინაშე მეუფისა. . .

ხატი მე-12-13 საუკუნის უნდა იყოს.

9. **ხატი,** ასეთივე წამლით ნახატი, ვგონებ, **წმ. გიორგისა,** 66X46 სანტ. სახე და ტანი სულ წაშლილია; დარჩენილია მშვენიერი აშიები, ორმაგად ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით შემკობილი; ასეთივე შემკობილი ნიმბი და ზედ დასმული ათი ძვირფასი ქვა (№16838). ქვემო აშია, სადაც წარწერა უნდა ყოფილიყო, არ შენახულა. ხატი მე-12-13 საუკ. უნდა იყოს.

10. **ჯვარი სატრაპეზო,** ვერცხლისა, ვერცხლისავე ტარით, 33X19 სანტ. აშიები შემკობილია ლურსმის თავების მსგავსად. შუაში ჯვარცმაა წარმოდგენილი, ანგელოზებით მედალიონებში. მარცხენა და მარჯვენა ფრთებზე მედალიონები წმ. გიორგისა. ზემოდ ღვთის მშობელი და ანგელოზები (№16839). რუსული ხელობის არის.

11. ცალი **კარი კარედი ხატისა,** ვერცხლისა, 36X28 სანტ. ზედ ტლანქად წარმოდგენილია მთავარანგელოზი.

12. **ნატეხი წარწერისა,** ასომთავრულით, რომელიმე ხატისა:

. . . სა მმ/სხლს / ობს მ / ჭდა შ / უნდვნ ღთ/ მან, ესე იგი:

. . . სა მამასახლისობასა მოიჭედა, შეუნდვენ ღმერთმან.

13. **ბარძიმ-ფეშხუმი,** ვერცხლისა მხედრულის წარწერით: მინგრელიის სამფლობელოჲსა სვანეთის ჩოლულის (sic) სოფლის საყდრის წი-ს გიორგის ეკლესიის ბარძიმ-ფეშ-ხუმი გაკეთებულ არს მენგრელიის ეპისკოპოსის გიორგის მიერ ჩყლ‿ წელსა.

14. **ორი ლახტი** რკინისა, ექვს-ექვს-ფრთიანი.

სოფელი ზემო ჭველიერი.

სოფელი ზემო ჭველიერის ეკლესია მთავარ ანგელოზის არის სულ მახლობლად ჩოლოურის სოფლისა, მის მარჯვნივ. ეკლესია სულ პატარაა, ქვისა, ოთხკუთხედი; დასაველთის კედელში ორი ცხვრის თავის ქანდაკება მოიპოვება. შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით. ხატები ბევრი ყოფილა ეკლესიაში, მაგრამ ეხლა ყველას ვერცხლის სამოსელი და შემკობილობა მოძარცული აქვს. ცოტა შერჩენია ფირფიტები მთავარ ანგელოზის ხატს და ისიც ტლანქი ხელობისა სჩანს; ამას გარდა არის კიდევ ორი, წამლით დახატული ხატი, ღვთის მშობლისა და მაცხოვრისა, ორივე ქართული ხელობისა, არა უადროეს მე-18 საუკ. დასასრულისა.

ჩვენ აქ ვნახეთ კიდევ ძველი სირიული ტიპის საცეცხლური.

სოფელი მამი.

პატარა სოფელია. ამ სოფელში ლამაზი ოთხკუთხედი კოშკია (№17413); სოფლის ბოლოს კლდესთან, დიდი ხეების ჩრდილს ქვეშ, პატარა ქვის ეკლესია არის წმიდის გიორგისა. დახურულია ყავრით; შესავალი აქვს დასავლეთით და თითო ფანჯარა აღმოსავლეთით და დასავლეთით. დასავლეთის კედელზე ქვიდან გამოქანდაკებული ცხვრის თავია. კარი ხისა ლამაზია. კანკელი ახალი ხისა. ტრაპეზი მიშენებულია კედელზე საკურთხევლისა. ეკლესიაში მხოლოდ ორი ხატი მოიპოვება:

1. ერთი **წმიდა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 66X43 სანტ. ნაწილობრივ დაშლილია. წმინდა გიორგი ფეხზე მდგომარეა, მარცხენა ხელი ფარზე უდევს. მარჯვენა ხელში ალბად ჯვარი ეჭირა. ვინაიდან ლახვარი არა სჩანს; თავი დაზიანებულია; ნიმბი დიდია; წარწერა ასომთავრულით ჯვარისებურ მედალიონებში: წ-ჲ გ-ი. ეზო შემკობილი ყოფილა ხლართულებით. აშია დაცულია მარჯვნივ და მარცხნივ; ჩვეულებრივი რომბებითურთ ქსელში და ორივე მხარეს შუაში აშიებს აქვს ოთხკუთხედი მედალიონები, რომლებზედაც ერთგვარი ხელობის ორი წმიდა მხედარია სრულის ტანით და შუბებით; ესენი უნდა იყვნენ წმ. დიმიტრი და წმ. თეოდორე. წარწერები არა აქვთ. ხატზე ძეწკვია მომბული (№16851).

ხატი მე-15 საუკუნის უნდა იყოს.

2. აქვე არის პატარა **ხატი ღვთის მშობლისა,** უბრალო ფირფიტა, უხეოდ, 9,5X8,5 სანტ. წარწერით: დ-დ ღ-ი. ხელობა დაბალია (იხ. ქვემოდ №16851).

სოფელი თეკალი.

სოფელი დიდი არაა, მაგრამ ლამაზია, ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირზე (№17415). სოფლის ზემოდ ტყით მოცულ გორაზე ამართულია ქვის ეკლესია მაცხოვრისა. ეს ეკლესია აშენებულია შირიმის თლილის ქვისაგან და განირჩევა სხვა სადადიანო სვანეთის ეკლესიებისაგან, როგორც თავის სიმაღლით, ისე მორთულობით და სილამაზით. აქ საკურთხეველიც არის, სამკვეთლოც და სადიაკვნეც. შესავალი აქვს დასავლეთით და ჩრდილოეთით. ეს უკანასკნელი შეიძლება მერმინდელი იყოს, ფანჯრები თითო დასავლეთით და სამხრეთით; სამი აღმოსავლეთით; სადიაკვნეში მრგვალი სარკმელია; ასეთი ყოფილა სამკვეთლოშიც, მაგრამ შემდეგ გაუფართოებიათ. ეკლესიის კედლები გარედან აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით შემკობილია კუთხოვანი პილასტრებით და პატარა წვრილი ორმაგი სვეტებით, რომელთა ზემოთ კამარები გადადიან და ეს კამარები დიდათ ამშვენებენ კედლებს; დასავლეთით ხუთი კამარაა, სამხრეთით – ექვსი და აღმოსავლეთით – 3. საზოგადო სახე ეკლესიისა დასავლეთიდან იხ. ფოტ. № 17414. იატაკი ქვისაა.

კედლები შიგნით სულ მოხატული ყოფილა, მაგრამ მხატვრობა ცუდათ არის დაცული. საკურთხეველის კონქში მოსჩანს მაცხოვარი სრულით ტანით, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით. იმის ირგვლივ თორმეტი მოციქულია, ჩრდილოეთის კედელზე უკეთ დაცულია ნათლისღება. ნაწილები ფრესკებისა კიდევ მოსჩანან დასავლეთის კედელზე და საყდრის ცაში.

ჩრდილოეთის სარტყელზე, შიგნით, არის გვიან ამოჭრილი ხუცური წარწერა:

ქ-ე : შ-ე : ზი : ნე/ლი.

ეკლესიაში მოიპოვება:

1. კანკელის საწინაო ვეებერთელა **ჯვარი,** თავის ადგილზეა დაცული, შეძერწილი ვერცხლის ფირფიტები, მაგრამ უწარწეროდ.

2. **მაცხოვრის ხატი,** ვერცხლისა, ნაჭედი, 71X50 სანტ. ტლანქი ხელობისა, დაზარალებული, ადგილ-ადგილ აკერია ახალი ფირფიტები (№16854). ნიმბი და სახე ნაწილობრივ გაფუჭებულია. ქრისტე ტახტზე მჯდომარეა, მაგრამ ტახტი არა სჩანს; ფეხები ნოხზე უწყვია, მარჯვენა ხელით ჯვარს სწერს, მარცხენაში სახარება აქვს. სახელის წარწერა ასომთავრულით: (იესო ყველა ასო შებრუნებულია) ქ-ე. ქვემოდ კუთხეში ასომთავრული წარწერა:

1. [ქც] ხო :[1] ლაშრსო : მაცხოვარო[2] ლაშარისაო,
აშენე აშენე

2. მაშნებელი შენი ჲსე რ-ნ[3]	მაშენებელი შენი ჲესე, რო-
3. მოჭედა წ-ი ესე ხ-ტი მმს	მელმან მოჭედა წმიდაი ესე
4. ახლისობსა გელჲსა დე	ხატი მამასახლისობასა გე-
5. კანოზისა ქ: მცხოვ	ლაჲსა დეკანოზისა . ქ. მა-
6. რო ლ-შრსა	ცხოვარო ლაშარისა-
7. ო შ-ე ინე	ო, შეიწყალე იოანე
8. დეკნზჲ	დეკანოზი.

ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, როგორ წავიკითხოთ ჯგუფი „ლაშრსა“, ლაშერისა თუ ლაშარისა. ლაშერი ჩვენ არ ვიცით, ლაშარი (ლაშარის ჯვარი) ხევსურეთშია. შეიძლება იქიდან იყოს მოტანილი ეს ხატი. წარწერაში ჲ ნახმარია ი-ს მაგიერ და იქ, სადაც ჲ უნდა იყოს, არის ი. ეს წარწერა მუსლოვის მიერ გადმოღებული ბროსეს განსხვავებულად მოჰყავს, ვიდრე ჩვენ ვკითხულობთ (გვ. 52).

3. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთ დაფერილი ვერცლისა, ნაჭედი, 69,5X50,5 სანტ. ქრისტე წელზევითია, მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს, მოჩუქურთმებული ყდით შემკობილი, ნიმბში ჯვარის სახეა. სამოსელი ერთობ დასერილია. წარწერა ასომთავრულით: ჲ-ჯ ქ-Ჩ. აშია ლამაზია, ქართული ხლართულებით, მაგრამ მარტო ქვემოდ არის დაცული და ზედ ორი მედალიონია იოანე და ლუკა მახარობელთა სურათებით (№16853). ხატი მე-15-16 საუკ. უნდა იყოს.

4. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 48,5X36,5 სანტ. ტლანქი ხელობისა. წარწერა სახელისა ბერძნულის ასოებით აქვს. ქრისტე ტახტზე მჯდომარეა, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით. აშია მარჯვნივ და მარცხნივ რომბებით ქსელში მთლად არ არის დაცული. ზემო აშიაზე, ოთხის ქვით შემკობილზე, წელს ზევითნი სახეებია: წ-ჲ ბ-რბ-რე, წ-ჲ მრინე და წ-ჲ ირინე (ი-ნე?). მარცხნივ და მარჯვნივ აშიებში წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრია. ქვემოდ ასომთავრული წარწერის ნაწყვეტია (№16855):

---

1) აქ რაც ფრჩხილებშია, ბროსედან მოგვყავს, ეხლა არ სჩანს.

2) ანუ შეიძლება: ხატო,

3) ამ ორი სიტყვის მაგიერ ბროსე კითხულობს: ესე: ჴვი:

. . . [მაცხოვა]რო :. მეოხ :. და მფარველ ექმენ მან. . . ა
ძესა :. დ-ღსა :. მას განკითხვისასა.
ნაწყვეტები ასომთავრულისა მოსჩანან კიდევ ზემო აშიაზე:
„რსთინა“. ხატს ძეწკვი აქვს.

5. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 69X52 სანტ. ქართულის ხელობისა, ასომთავრული წარწერით: დ-დჲ ღ-სჲ, ჲ-ჯ ქ-ე. პირის სახეები ღვთის მშობლისა და მისი ძისა სანახევროდ მოშლილია. აშიები ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით არის შემკობილი. ზემო აშიაზე წარმოდგენილია ოთხკუთხედ მედალიონებში ვედრება, ხოლო გვერდებზე პეტრე და

პავლე; ქვემო აშია არ არის დაცული (№16852). იესო ქრისტეს ნიმბში მოსჩანს ერთი ქვა, მეორე დაკარგულია. ხატი მე-13-14 საუკ. უნდა იყოს.

6. **ხატი ნაკერი წმ. გიორგისა,** 26X22 სანტ. მხედარი ცხენით არის წარმოდგენილი, რომაულ საომარ ტანისამოსით, ვეშაპს გმირავს; მის წინ დედოფალია. რუსული ხელობისა არის (№16856).

7. პატარა ვერცხლის **ხატი ღვთის მშობლისა,** 9,1X10 სანტ. ნახევრად მოშლილია; წარწერა ხუცური: დ-დჲ ღ-ჲ.

8. პატარა ვერცხლის **ფირფიტა**, 10X7 სანტ. ხელებ-აპყრობილი წმიდანის სახით, რომელსაც ხუცურად აწერია: წ-ჲ ანა და შემდეგ კიდეევ ასოები: მჲდ. ფირფიტა ფიცარზეა მიჭედილი.

9. წამლით დახატული **წმიდა გიორგის ხატი,** ახალი.

ლაშხეთის თემი

ლაშხეთის თემი შესდგება სოფლებისაგან: სასაში, მებეცი, ლეკოსანდი, ჯახუნდერი, ჩუკული, ლემზაგორი, ხერია, ჩიხარეში, მელე, მახაში, შგედი, მარგვიში, ნაცული, ღობი: ამას ზემოდ ცანა ანუ ცენა; იქვე არის ნასოფლარები ზეკარზე (უღელტეხილზე) ზესხვა და ლაფური.

სოფელი სასაში.

სოფელი სასაში მოზრდილი სოფელია. სასაშის ეკლესია ახალია, ხისა, გუმბათით. ღვთის მშობლის სახელზე. ამ ეკლესიაში ინახება:

1. **თავი ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, ქართული ხელობისა, 46X33,5 სანტ. დედა ღვთისა მაღალ შემკობილ ტახტზე ზის ძითურთ. წარწერა ასომთავრულით: დ-დჲ ღ-სა. ხელობა დაბალია, აშიები ერთმანეთში გადაბმული ნახევარი წრეებისაგან არის შემკობილი. მე-16-17 საუკ. უნდა იყოს (№16906).

2. **ხატი წმ. გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 20,5X13,5 სანტ. წმ. გიორგი სრულის ტანით არის წარმოდგენილი, შუბით და ფარით. ქსელის მსგავსი აშიები შემკობილია 9 დიდის ვერცხლის ფოლაქით. ხელობა ერთობ ტლანქია (№16907). მე-18-19 საუკ.

3. **ხატი სხვა და სხვა ნაჭრებისაგან შემდგარი,** 14,5X15 სანტ. ზემოდ პატარა ჯვარცმის ხატია ვერცხლისა, ტლანქი ხელობისა. ქვემოდ სპილენძის პატარა ხატია წმ. გიორგისა, გვარიანი ხელობისა არის. ეზო მორთულია სიმრგვალეებით და შიგ დატანებული ჯვრებით; აშიები ფოლაქების მსგავს ორნამენტით არის მორთული.

4. **ჯვარი ხისა,** ვერცხლით შეჭედილი, ტლანქი ხელობისა.

სოფელი ჯახუნდერი.

ჯახუნდერი ლამაზი სოფელია, ნამეტნავად ლამაზი ზემო გორაზე გაშენებული ერთი სახლი თავის კოშკითურთ. (№166. ეს წინანდელი გადაღებულია). ეკლესია წმიდა გიორგისა აშენებულია კარგის თლილის ქვით ას-წლოვან მუხებს შუა; ჩვეულებრივი ერთ ნაოსიანი ბაზილიკა, სიგძით 13 არშინი და 14 ვერშოკი, განით 9 არშინი და 15 ვერშოკი; დახურულია ყავრით; შესავალი აქვს დასავლით და სამხრით; ფანჯარა ხუთი აქვს, ორი სამხრეთით, თითო სხვა მხარეებზე. აღმოსავლეთის ფანჯარა მოჩუქურთმებულ ოთხკუთხედშია (№17422). მარჯვნივ კუთხეში ამ მხარეს კიდევ ამშვენებს შემკობილი პრტყელი ქვის პილასტრი (№16872). ზემოდ კიდევ ქვის ჩარჩოებში ყოფილა წმიდათა ქანდაკებანი, მაგრამ ეხლა ყველა მოშლილია; ერთს შეუნახავს ქანდაკება მთავარ ანგელოზისა, მაგრამ იგიც გაფუჭებულია. საზოგადოთ ჯახუნდერის ეკლესია ერთ საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს სადადიანო სვანეთში. წინანდელი ქვის კანკელი ეხლა შეცვლილია ხის კანკელით. აღმოსავლეთის კედელზე ყოფილა ხუცური წარწერა, რაც ასე იშვიათია სვანეთში (№16872), მაგრამ ნაწილობრივ წარწერა მოშლილია და მასთან შირიმის ამობურცულ ქვაზეა და სრულად ჩვენ ვერ წავიკითხეთ, მხოლოდ გავარჩიეთ:

წ-ო გ-ი ჯჴნდლ-ო შ-ე აზნაურნი. ..
აღაშენა საღტარი და...
უქარაგმოდ:

წმიდაო გიორგი ჯაჴუნდლისაო, შეიწყალე აზნაურნი . . .
აღაშენა საღტარი (sic) და...
როგორც სჩანს წარწერიდან, წინეთ სოფლის სახელი ჯახუნდელი ყოფილა.

ეკლესიას ჰქონია ხის ჩუქურთმიანი კარი (№2197), რომელიც ეხლა ტფილისის მუზეუმში ინახება და გამოცემულია გრაფინია უვაროვის მიერ. ტაბულა XXXIX, 68.

ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ და გადმოვიღეთ:

1. **ხატი წმ. გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 89X56 სანტ. ძლიერის რელიეფით გამოყვანილი, მაგრამ ერთობ დაზიანებულია. მთავარ მოწამე ცხენით არის წარმოდგენილი და ნიმბით, შუბით მარჯვენა ხელში, ფარი მარცხენა მხარზე აქვს მოგდებული; თმა ბულულებად არის გაკეთებული. გაფუჭების გამო არა სჩანს, ვეშაპს გმირავდა თუ გვირგვინოსან მეფეს. წარწერა სახელისა ასომთავრულით: წ-ჲ გ-ჲ. აშიები შემკობილია რომბებით ქსელში და მედალიონებით წმიდათა. ქვემოდ წმ. დიმიტრი და წმ. თეოდორეა, ზემოდ იოანე ნათლის მცემელი, სხვები გაფუჭებულია (№17874), მარცხნივ, ზურგს ზემოდ, ასომთავრული წარწერა:

1. ქ : მო- ჭედა : წ-ჲ : ესე : ხატი : მამასახლისობასა :
ვახტ-გ : ლომინ
2. აის ძის-სა : და გამოიღო : ოცისა : დრაჰკნისა : საქონელი
3. მისა : ჴელოვანთა : მისაცემელად : და გვედრიან : სულითა
და ჴორფითა : მოწ-ო : გ-ი :

შეუმოკლებულად:

მოიჭედა წმიდაჲ ესე ხატი მამასახლისობასა ვახტანგ ლომინაის ძისასა და გამოიღო ოცისა დრაჰკნისა საქონელი მისა ჴელოვანთა მისაცემად და გვედრიან სულითა და ჴორცითა, მოწამეო გიორგი.

ზურგის ძელზე ხატისა მეორე ხუცური წარწერაა, მაგრამ უფრო გვიანი დროისა:

1. ქ: წ̄ო გ̄ი ცცხლ	წმიდაო გიოგრი, ცოცხლო-
2. ობით გაუმარჯვ	ბით გაუმარჯვე
3. ე სულს გელოან	სულას გელოან
4. სა და გ̄ის ცოდვან	სა და გიორგის, ცოდვანი
5. ი მათნი შეს ღ̄ნ და	მათნი შეუნდვნეს ღმერთმან
6. მეუღლესა მათსა	და მეუღლესა მათსა
7. შენდს ღ̄ნ ძენი გან	შეუნდვნეს ღმერთმან, ძენი
8. ძლიეროს ღ̄ნ.	განაძლიეროს ღმერთმან.

ხატი მე-14 საუკ. უნდა იყოს. ამ ხატის ვერცხლის პერანგის ქვეშ ყოფილა მისი თაფლის სანთლის სარჩული, რომელიც გამოცემულია გრაფინია უვაროვის მიერ (ტაბ. XXXIV, 58, 59).

2. **ხატი ღვთის მშობლისა** კარედი, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 63X50 სანტ. (№187). შუა ნაწილში წარმოდგენილია ღვთის მშობელი ჩჩვილედი, ტახტზე მჯდომარე, წარწერით: წ̄ჲ მ̄მ. ი̄ჯ ქ̄ე. მის ზემოდ კამარას ქვეშ, მფრინავი მთავარ ანგელოზნი არიან, ბურთებით და წარწერით: წ̄ჲ მ̄ქლ, წ̄ჲ გ̄ბ; ღვთის მშობლის მარცხნივ სრულის ტანით: წ̄ჲ პეტრე: მარჯვნივ; წ̄ჲ პვ̄ლე. აშია ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით არის შემკობილი (№16876), ქვემოდ წარწერა:

წ̄ო მღვთჲს მშობელო ად̄ე აზანაურნი შ̄ე ს̄ფლჲ ჯ̄ჴდ̄ლი, ესე იგი: წმიდაო მღვთის მშობელო, ადიდე აზნაურნი, შეიწყალე სოფელი ჯ̄აჴუნდელი.

თვით ეს ხატი, ჩვენის აზრით, ეკუთვნის მე-16 საუკ., ხოლო მისი კარები, რომელნიც ეხლა მოცილებულია და ცალკე ინახება, უფრო გვიანი დროის არის. იგი შემკობილია ზერელედ, მსუბუქად გამოსახული მთავარ ანგელოზებით, რვა-რვათი თითოზე, რომელნიც დაყოფილნი არიან ორ-ორ მწკრივად ვერტიკალური და ჰორიზონტალური შემკობილი სიმრგვალეებით (№№16877, 187).

3. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 54X42,5 სანტ. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა, მაკურთხეველი მარჯვენით და გაშლილი სახარებით მარცხენა ხელში; სახარების ფურცელზე სწერია: მე ვარ ნათელი სოფლისა... სახელის წარწერა არის შემკობილი. აშიები შემკობილია რომბებით ქსელში და წმიდათა მედალიონებით, ზემოდ: წ̄ჲ გ̄ი, სამჯერ არის წარმოდგენილი, მარცხენა აშიაზე: წ̄ი კ̄რ(კვირიკე), მარჯვენაზე – წ̄ი თ̄ე, ქვემოდ იესო ქრისტე და ორი წმიდა გიორგი (№16875 და უვაროვისა, გვ. 116, სურ. 34), ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს.

4. **ხატი მთავარ ანგელოზ გაბრიელისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 21X12 სანტ. (№16878). კარგი ქართული ხელობისა. ანგელოზი სრულის ტანით არის

წარმოდგენილი ბიზანტიურის ტანისამოსით, შუბით და ბურთით ხელთა. წარწერა სახელისა: წ̄ᲂ გ̄ბრლ. აშია მერმინდელია ქვემოდ მარცხნივ უწერია:

აღეშენა ხ	აღეშენა ხა-
ატი ესე ᲩᲔ	ტი ესე ᲩᲔ
ლითა მხა	ლითა მხატ-
ტვრის ძი	ვრის ძი-
სა მ̄ქლა	სა მიქელისა.

ხატი არის არა უგვიანეს მე-15 საუკუნისა. (წინეთ გადაღებული №186).

5. **ხატი წმიდა გიორგისა,** ვერცხლისა, 22X19 სანტ. წარწერით, დიდი ასომთავრულით: წ̄ᲂ გ̄ᲂ; წმიდანი ცხენით არის წარმოდგენილი, გმირავს კაცს. ქვემოდ ვულგარული ხუცურით:

წ̄ო გ̄ი შ̄ე სალი და ანდანი.

ხატი ტლანქი ხელობის არის (№16878). ეს ხატი სულ გაფუჭებულია (№16878), მაგრამ ჩემს კოლექციაში წინეთ გადაღებული (№186) უფრო კარგად არის შენახული.

6. პატარა **ხატი წმ. გიორგისა,** ხეზე ამოჭრილი, ათონური რიგისა. წმიდანი წარმოდგენილია ცხენით, ვეშაპს გმირავს. ფრიად ლამაზი ნახელავია (№16873).

7. პატარა **ოქროს ხატიდან წმიდა დიმიტრისა, წმ. თეოდორესი და წმ. პროკოპისა** დარჩენილია მხოლოდ აშიები, ნიმბები და წარწერანი: წ̄ა დიმიტრი: თ̄ე : წ̄ა პროკოპი. სახეები წამლით ყოფილა დახატული და სულ გამქრალა (№16873).

8. ერთი ხატის შესამოსლის ნაჭერზე, რომელიც ტლანქი ხელობისა ყოფილა, დარჩენილია ვულგარული ხუცური წარწერა:

მნაველს :. ქასივაძესა :. შენდვ̄ს [ღ̄ნ],

ესე იგი: მანაველს ქასივა-ძესა შეუნდვნეს (ღმერთმან) (№16873).

ამ წარწერაში „ქასივაძესა“ შეცდომით უნდა იყოს „ქასილაძესა“ მაგიერ. ეს არის განმაახლებელი ორბელის სახარებისა (იხ. ზემოდ. გვ. 44).

9. წამლით დახატული **ხატი წმ. გიორგისა,** სრულის ტანით, შუბით და ფარით; ლამაზი ხელობისა, 29X23 სანტ. წარწერით: წ̄ᲂ გ̄ᲂ; ქშ̄უთისა : –

სოფელი ჩუკული.

სოფელი ჩუკული დიდი და ლამაზი სოფელია; სახლები ამ სოფლისა უფრო ტიპიურია და ამიტომ უფრო საყურადღებო. ჩვენ გადმოვიღეთ ფოტოგრაფიულად. იხილე № №17418, 17419, 17417, 17416, 17420.

ეკლესია ჩუკულისა ქვისა პატარაა, მაგრამ დასავლეთის კედრით სტოა აქვს. საკურთხეველი გამოდის გარედ მრავალწახნაგოვანად და აქვს სამი ფანჯარა. შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით. ამ უკანასკნელის კარი ხისა მშვენიერის

ჩუქურთმებით არის დამუშავებული (№190); მათზე წარმოდგენილია 24 წმიდათა გამოხატულება, მათ შორის, რვა სრულის ტანით არის გამოსახული, დანარჩენები წელსზევითნია. (გრ. უვაროვისა, გვ. 129, ტაბ. XXXIX,67). ბერნოვილი ამ კარს შეცდომით სხვა ეკლესიას აკუთვნებს, ვგონებ ჯახუნნდერისა (იხ. გვ. 72, ფიგ. 4). ეს მოტანილი ყოფილა მეორე, გაუქმებულ ძველი ეკლესიიდან. შიგნით ეკლესიის კედლები მოხატულია; მხატვრობა დაბალია და გვიანი, წარწერები მხედრულია, არა სწორი ქართულით. საკურთხეველის კონქში ვედრებაა. ჩრდილოეთის კედელზე მოსჩანან: ჯვარცმა წარწერით: ჯვარისა მა(sic), წმ. გიორგი: წიმთ (sic) გიორგი (უვაროვის ტაბ. XX) და წმ. ესტატე: წ-ი ესტათე, რომელიც შველს ნადირობს. სხვა ადგილებში წარმოდგენილნი არიან წ-ა ბარბარე: წ-ით ბრბლე, და წ¯ა მარინე: წ-ით მარინე. ბერნოვილის დროს ფრესკები უკეთ ყოფილა დაცული (იხ. გვ. 83). კანკელი ქვისაა ერთის აღსავლის კარით და სულ მოცულია ხატებით. საკურთხეველის წინ საგანგებო კვარცხლბეკით ამართულია ჩვეულებრივი დიდი ჯვარი.

1. ეს **ჯვარი** და მთელი კანკელი ეკლესიისა თავის ხატებით გადმოღებულია ფოტოგრაფიის საშვალებით №16862, ამაზედ მოსჩანს ნაწილობრივ საკურთხევლის კონქი, ფრესკებით. უფრო კარგად საკურთხეველი და კანკელი წარმოდგენილია ბერნოვილის სურათზე (გვ. 83, ფიგ. 9). ჯვარი დამყარებულია ოთხკუთხედ ქვის კვარცხლბეკზე, რომელიც ლამაზად შემკობილია ორმაგი სვეტებით, კამარებით და სხვა ჩუქურთმებით (იხ. უვაროვისა, გვ. 82, სურ. 17. თვით ჯვარის სურათი ავტორს არ მოჰყავს). სხვა სვანეთის ეკლესიებში ამის მსგავსი კვარცხლბეკი არ გვხვდება. ჩრდილოეთის მხარეზე ამ კვარცხლბეკისა არის წარწერა:

წ- ო მ- ქლ ადიდე ჯანბურ და სოფელი ესე და გ- ი (გიორგი) გვარი ჯანბურიძე ეხლაც გვხვდება სვანეთში.

სამხრეთის კედრით სწერია:

სახელითა ღთ შეიქმნა ხათლუმი ესე ჴელითა გ- ი[სთა].
ბროსე ხათლუმის მაგიერ კითხულობს ტოლომი, და
თარგმანის calvaire(გვ. 55).

თვით ჯვარი შემერწილია ვერცხლის ფირფიტებით, ზოგჯერ მოოქრულით, რომლებზედაც სუსტი რელიეფით წარმოდგენილნი არიან ფიგურები წ-ა გიორგის, ანგელოზთა, ღვთის მშობლისა, მოციქულთა და მთავარ ანგელოზთა. ხელობა საზოგადოთ დაბალია. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ რამოდენიმე ფირფიტა მშვენიერის სურათებით. ასეთებია სურათები იესო ქრისტესი: ი-ჳ ქ-ე, მოციქული მარკოზ და ლუკასი: მარკოზ მახარებელი, ლუკა მახარებელი, და მთავარ ანგელოზ გაბრიელისა: გ-ბრლ ანგელოზი. ამას შემდეგი წარწერა მოსდევს:

წ-ო გ-ბრლ მთავარანგელოზო ევედრე წ- ე ი- ჳ ქ- ე და
მეოხ ეყ- ვ ი- ეს და ნინოს.

ჯვარს თავზე ჩამოცმული აქვს ცილინდრული ფირფიტებით შემდგარი ქუდი, რომელიც თავდება ზემოდ ჯვარით და სამი ბურთით (№16862). ქუდის სურათი ცალკე იხ. უვაროვისა, გვ. 81, სურათი 16.

2. დიდი **ხატი,** ლამაზი, **მთავარ ანგელოზის მიქელისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 59X41 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ფეხზე მდგომარე, ბიზანტიურ საკარისკაცო ტანისამოსით, მარჯვენა ხელში ლაბარუმი აქვს, მარცხენაში ბურთი ჯვრითურთ, ზემოდ წარწერა სახელისა: წ-ი მ-ქლ. თმა კულულებად

დაწნული აქვს. მოხაზულობა ნაკვთისა, ფრთები და მდიდრული ტანისამოსი კარგია. აშიები ფართო და ორმაგად შემკობილი ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით მშვენიერია. ზემო და ქვემო აშიები შესდგება ერთმანეთში გადაბმული წრეებისაგან ყვავილებითურთ და მათში სამ-სამი მედალიონია წმიდანებისა (№16861 და უვაროვისა, ტაბ. XXX, 50). ხატი მე-14 საუკ. უნდა იყოს.

3. **ხატი მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 44X42 სანტ. ნაჭედი მშვენიერი ხელობისა (№16860). მთავარ ანგელოზნი ფეხზე მდგომარენი არიან წყვილად, ფრთებით და ახალგაზდათ გამოიყურებიან. თვითვეულს ხელთ აქვს ლაბარუმი და ბურთი ჯვრითურთ. ბურთები მათ გაწვდილი ხელებით ერთი ერთმანეთზე მიუდვიათ. მათი სამოსელი მდიდრულია და ლამაზი, ტუნიკები მოქარგულია, მოსასხამები ლამაზი ნაოჭებით არიან უკან ჩამოგრძელებულნი, შარვარები სახეებით შემკობილნი, წაღები მაღალი, მოქარგულნი, წარწერები სახელებისა ბერძნულია, მაგრამ ქვემოდ ფრთებში ქართულია: მ̄ ქლ, გ̄ ბლ. ირგვლივ ვიწრო აშია არის ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტებით შემკობილი; შემდეგ ფართო აშიები ფართო ყვავილებით ხლართულებში. ამათზე წარმოდგენილნი არიან მარცხნივ დედა ღვთისა, მარჯვნივ იოანე ღვთის მეტყველი; ორთავე სრულის ტანით. ზემოდ, შუაში, ტახტის გამზადებაა და კუთხეებში მთავარ ანგელოზნი, წელსზევითნი. ყველა ამათი წარწერები ბერძნულია.

აქ მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას. ეს ხატი კარგად აქვს აწერილი გრაფ. უვაროვისას (გვ. 104) და მისი სურათიც გამოცემული აქვს (ტაბ. XXX, 49). მაგრამ აქ გარეგანი დიდი აშია ხატისა სულ სხვაა, ვიდრე ჩვენს სურათზე. ის სწერს: აშია ლურსმულია დრობნიცებით მაცხოვრისა და ალბად მთავარანგელოზთაო. ეს ასეც არის მის გამოცემულ სურათზე, მხოლოდ, ჩვენის აზრით, მთავარ ანგელოზის სურათები იქ არ არის, არამედ ორი მხედრისა, ალბათ წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრისა. საზოგადოთ შენიშნულია, რომ ზოგ ძველ ხატს უფრო ახალი დროის აშია აქვს, ზოგ ძველ ნახელავ ჩარჩოში მერმინდელი დროის ხატია მოქცეული და ეს მოვლენა უფრო ხშირია სვანეთში. ამ ხატისათვის უფრო ის ჩარჩოა შესაფერი, რომელშიაც ის ეხლა არის. ალბათ ეს სცოდნიათ ადგილობრივ და მისთვის მისივე ჩარჩო, დაუბრუნებიათ. ეს ხატი მე-12 საუკ. უნდა იყოს.

4. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 73X58 სანტ. ქართული ხელობისა მე-13 საუკ. (№188). ღვთის მშობელი მდიდრულად მორთულ ტახტზე ზის მუთაქით, ორივე ხელით ძე ქრისტე მიუკრავს გულზე; ქრისტე მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში გრაგნილი აქვს. ტახტის ზურგი მაღალია. ფეხები ღვთის მშობელს სკამზე უწყვია. წარწერა სახელისა: დ̄ დ̄ ღ̄ ს̄ და შემდეგ სახელი ბერძნულდ არის განმეორებული. პირის სახე ღვთის მშობლისა სრული და სანდომიერი ქართველი ქალის სახეს მოგვაგონებს; კაბა წვრილ ნაოჭებად არის დასერილი. აშია ორი აქვს; ერთი შინაგანი ვიწრო აკანთის ფოთლებით შემკობილი, მეორე გარეგანი უფრო ფართო, ლამაზი, ბროწეულის ყვავილებით მორთული. ამათში 19 მედალიონია წმიდათა სურათებით. წარწერები ქართულია. გრაფინია უვაროვისა მართალია, როდესაც ამბობს, რომ ეს ხატი ამოღებულია თავის დიდ ჩარჩოდან და მოთავსებული სხვა უფრო პატარა ჩარჩოში, რომელშიაც ვერ

ეტევა. რომ ეს ასეა, ეს, ჩვენის აზრით, იქიდანაც სჩანს, რომ ამ ახალ ჩარჩოს დაუფარავს ნაწილი ბერძნული სახელის ასოებისა; მასვე დაუფარავს ქვემოდ კიდეებში ქართული წარწერები, რომელნიც ამის გამო აღარ იკითხებიან, მოსჩანან მხოლოდ:

მარცხნივ:	მარჯვნივ:
. . ბ-	ქ-ე შ- . . .
. . ე-	მიქა . . .
. . ე-	ნა . . .
. . ა-ნ	

მარცხენა ნაწილში ალბათ იკითხებოდა სახელი ერისთავთ ერისთავისა, შეიძლება გიორგისა; მარჯვენაში: ქრისტე შეიწყალე მიქაელ. . .

გრაფინია უვაროვისა ხატს აკუთვნებს მე-14-15 საუკ. (გვ. 110, 112, ტაბ. XXXV, 61), ხოლო კონდაკოვი მე-13 საუკ. (იხ. მისი „იკონოგრაფია ბოღომატერი“, II, 150). ჩვენ კონდაკოვის აზრს ვუჭერთ მხარს, ხოლო მეორე აშია მე-12 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

5. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 63X48 სანტ. მე-15-16 საუკუნისა; ტლანქი ხელობისა არის და დიდათ დაზიანებულია (№16858), მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა მაკურთხეველ მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში. აშია ფართო რომბებით შემკობილი, რვა მედალიონით წმიდათა, ხატზე სამი წარწერაა; პირველი მოთავსებულია მარცხნივ მაცხოვრისა:

წ-ო : მაცხო	წმიდაო მაცხო-
[ვ]არო:. [შ]-ე :ლონ	ვარო, შეიწყალე ლონ-
გუ :. ს[ული]	გუ სული-
თა :. და [ჴო]	თა და ჴორ-
რცითა	ცითა.

ამ წარწერაში ასო ო და უ ერთგვარად არის გამოხატული, ამიტომ შეიძლება წავიკითხოთ: ლონგუ, ლუნგუ, ლონგო.

მეორე წარწერა მოიპოვება მარჯვნით მაცხოვრისა:

წ-ო: მ-ც	წმიდაო მაც-
ხოვარო	ხოვარო,
შ-ე : გაბი	შეიწყალე გაბი-
საჯიანი :	საჯიანი[1].
მისა :. მმსხ-[ლ]	მისა მამასახლი-
ბასა : მოიჭედ	სობასა მოიჭე-
ა: ოთხი : ხ[ა]	და ოთხი ხა-
ტი.....	ტი.....

მესამე წარწერა ხატის ზურგზეა და უფრო გვიანი დროის არის:

1. ქ : ი-ჯ ქ-ეო : პტიოსანო ცცხლობით
2. და დღეგრძელობით გაუმარჯ
3. ვე სულას გელოანსა გ-ის
4. ორთავე ძმანთა (sic) და ცოდვანი მათ
5. ნი შეუნდს ღ-ნ და მეუღლესა მ-თსა
6. შეუნდს ძენი მთნი გნძლიერო
7. ს ღ-ნ
უქარაგმოდ:

იესო ქრისტეო პატიოსანო, ცოცხლობით
და დღეგრძელობით გაუმარჯ-
ვე სულას გელოანსა, გიორგის.
ორთავე ძმათა, ცოდვანი მათ-
ნი შეუნდვნეს ღმერთმან, და მეუღლესა მათსა
შეუნდვნეს, ძენი მათნი განაძლიეროს
ღმერთმან.

6. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა. ოქროთი დაფერილი, ნაჭედი, 55, 5X46 სანტ. (№ 16859). მაცხოვარი წარმოდგენილია წელს ზევით; მარჯვენა ხელით აკურთხებს; მარცხენაში სახარება უჭირავს; ნიმბი დიდი აქვს ჯვარის სახით შიგნით; ტანისამოსი მსხვილი ნაოჭებით დასერილი, წარწერა დიდრონი ლამაზის ასომთავრულით: ჲ-ჯ ქ-ᲩᲮ. აშია ლამაზია, შემკობილი მოსხო ბროწეულის ყვავილებით (?) და მედალიონებით წმიდათა. ზემოდ შუაში: ტახტის გამზადება და მთავარ ანგელოზნი;

(1) ანუ: გაბისა ჯაიანი (?)

მარცხნივ და მარჯვნივ – პეტრე და პავლე; ქვემოდ – წ-ა გიორგი, წ-ა დიმიტრი და წ-ა არხიპოს. წარწერები ხუცურია. ქვემოდ აშიაზე ვულგარული ხუცურით სწერია:

ა-დნ ღ-თო	ადიდენ ღმერთო
გ-გი მახუა (?)	გიორგი მახუა (?)
ხტი შქმნ	ხატი შექმნა
მცხორისსა.	მაცხოვრისა.

ხატი მე-14-15 საუკ. უნდა იყოს.

7. **ხატი ღვთის მშობლისა,** კარედი, 10,5X12 ვერშოკი, მოოქრული ვერცხლისა, ნაჭედი, (№№189, 16857). შუაში წარმოდგენილია ღვთის მშობელი ჩჩვილედი, ტახტზე მჯდომარე; მის მარჯვნივ და მარცხნივ: წ-ი პ-ტრე და წ-ᲐᲔ პ-ლე; ამათ ზემოდ მფრინავი მთავარ ანგელოზებია: წ-ი მ-ქლ, წ-ი გ-ბლ. ქვემოდ შუაში ქრისტეა სრულის ტანით; მის ორივე მხარეს ჯვარცმა და კუთხეებისაკენ პატარა წრეში წმიდა გიორგი ცხენით ვეშაპის მგმირავი. ხატს ზემოდ აწერია:

1. წ̇ო ღ̇ოსშობელო (sic)	წმიდაო ღმრთის მშობელო,
2. შ̇ე : ესე : სოფელი .	შეიწყალე ესე სოფელი,
3. აზრნი დ̇ი და	აზნაურნი დიდი და
4. მცირე	მცირე.

ამ შუა ნაწილის ზემოდ სამ-კუთხედია ჯვარით შუაში და შემკობილი აშიებით. კარებზე ხატისა წარმოდგენილნი არიან წმ. გიორგი და წმ. თეოდორე (და არა მთავარ ანგელოზნი, როგორც უვაროვისა სწერს, გვ. 114). წარწერებით: წ̄ი გ̄ი, წ̄ი თ̄ე. ორთავე სრულის ტანით, საომარი რომაული ტანსაცმლით, შუბით და ფარით, წელზე დიდი მახვილი, ნიმბები ყველასი შესდგება პატარა წრეებისაგან. ხატი მე-16-17 საუკუნის უნდა იყოს.

8. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, მოოქრული, ნაჭედი, 52X27 სანტ. შუაში ქრისტეა წელს ზევით, მაკურთხეველი მარჯვენით და სახარებით, რომელიც ჯვარით შემკობილია. ნიმბს ჯვარის სახე აქვს. წარწერა სახელისა ბერძნულადაც არის და ქართულადაც: ი̇ჳ ქ̇ე. ორივე მხარით მაცხოვრისა მთავარ ანგელოზებია შუბებით ხელში, ბერძნულის და ქართულის წარწერებით სახელებისა, მარცხნივ: მ̇ქლ; მარჯვნივ: გ̇ბლ. მთავარ ანგელოზთა სახეები არაჩვეულებრივია, მოტლანქო. (№16866). ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს.

9. **ხატი მიქაელ მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 59X47 სანტ. მთავარ ანგელოზი ფეხზე დგას, საომარი რომაული ტანისამოსით; მარჯვენა კედრით ხმალი ჰკიდია და ზედ ხელი აქვს დადებული; მარცხენა ხელით გულზე მიდებული ბურთი უჭირავს. პირის სახე მოგრძოა, თვალები თითქო წამოვარდნილი; ხუჭუჭი თმა ფარავს შუბლს; ყელი გრძელი აქვს; ფრთები ულაზათოდ აქვს მიკრული. აშიები რომბ-ლურსმულია და შიგ მედალიონებია, მაგრამ წ̄თა სახეები არა აქვთ. ხატი დაზარალებულია, ხელობა დაბალია, მე-17 საუკ. (№16863). ქვემოდ, მარცხნივ, შუა ნაწილში ხუცური უშნო ასოებით წარწერა მოსჩანს:

არიან წ̇ნი / წ̇ო . . დმლ / დან . . .

10. **ხატი მთავარ ანგელოზის მიქაელისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 48X34 სანტ. მთავარ ანგელოზი ფეხზე მდგომარე, ბიზანტიური საკარისკაცო ტანისამოსით და ნიმბით. წარწერა სახელისა ხუცური: წ̇ᲂ მ̇ქლ. ხატი ერთობ დაზიანებულია. აშიები რომბ-ლურსმული, ორი მედალიონით. მარცხენაში ღვთის მშობელია ჩჩვილედი, ბერძნულის წარწერით სახელისა; მეორეში, ვგონებ, მირქმა (№16864); ქვემოდ, მარჯვნივ, წარწერა:

მთავარანგ	მთავარანგე-
ზო შ̇ემა[რ]	ლოზო, შეიწყალე მა[რუ]-
შიანი გამ	შიანი (?) გამ-
რეკ̇ლი ა ნ	რეკელი, ამინ.
მისა მმსა	მისა მამასა

შ-ნსღ-ნ შეუნდვნეს ღმერთმან.

ხატი მე-15 საუკ. უნდა იყოს.

11. **ხატი მთავარ ანგელოზის მიქაელისა,** ოქროსი, ნაჭედი, 29,5X23 სანტ. მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის წარმოდგენილი, შუბით და ბურთით; ფრთები გრძელი აქვს, დასერილი. აშიები შედგენილია სხვა და სხვა დროის და ხელობის ნაჭრებისაგან. ზემოდ ლამაზი ბროწეულის ყვავილებისაგან შემკობილი; ქვემოდ რომბ-ლურსმული; მარცხნივ წვრილი ბროწეულის ყვავილებისა. აქ შუაში სრულის ტანით წარმოდგენილია: წ-ჲ პ-ვლე, მაგრამ თავი ეხლა აღარ აქვს. მარჯვნივ სხვა ნაჭრებია. უნდა იყოს არა უგვიანეს მე-14 საუკუნ. ზემოდ წარწერაა:

წ-ჲ მ-ქლ : მთავარანგელოზი. (№16865).

ორივე მხრით მთავარ ანგელოზისა წარწერაა:

ქ. წ-ო : მქლ	წმიდაო მიქელ
მთვრ	მთავარ-
ანგე	ანგელ-
ლზო	ლოზო,
შ-ე : ი	შეიწყალე
ვნე	ივანე
ლრი	ლორი-
ანი :.	ანი.
წ-ო მთვ	წმიდაო მთა-
არ : ანგე	ვარანგე-
ლოზო	ლოზო,
მწე და ფარვე	მწე და ფარ-
ლ ექმენ	ველ ექმენ
ივანე	ივანეს
ს : ლორიან	ლორიან-
სა : ჲვანეს	სა, ივანეს
დოღვნა :	დოღვ(ა) ნსა.
ჲჭედა	იჭედა
საჴელო	საჴელო
ბასა შენსა	ბასა შენსა

12. **ხატი მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 8X15 სანტ. სვანური ტლანქი ხელობისა, მე-18 საუკ. დასასრულისა თუ მე-19 დასაწყისისა (№ არ მახსოვს). მთავარ ანგელოზი ფრთოსანი სახარებით ხელში, სრულის ტანით არის წარმოდგენილი. ეზო და აშიები ხლართულებით არის შემკობილი. ზემოდ მხედრულის წარწერაა:

1. მთავარ :. ანგელოზო :. იხსენ ფაცი
2. გელოანი :. სულა :. და გიორგი :. მა
3. თა :. ცოდვისაგან :. სამთავე :. ძმანთა(sic) :. შე-

4. უნდოს :. ღმერთმან ამინ :. კირიალისნ.

13. **ბოყერი,** რომელიც შესდგება გრძელი ხეტარისაგან და მასზე დასმული ვერცხლის ბურთისაგან; ბურთზე დამყარებულია პატარა ხატი ღვთის მშობლისა ჩჩვილედი, წარწერით: დ-დ ღ-თ. ღვთის მშობელი ტახტზე ზის; აშია შემკობილია; მეორე გვერდზე წარმოდგენილია ჯვარცმა. ბურთზე არის წარწერა ხუცური, რომელიც წინა ხატთან არის გადაღებული:

მოჰშელსა გურეის :. გუმმრ/ ჯე: დ : აცხ¯ვნე,

ესე იგი: მოჰაშელსა გურეის გაუმარჯვე და აცხოვნე.

მოაში ის ადგილია, სასაშის მახლობლად, სადაც მინერალური წყლებია.

14. **ხატი ღვითის მშობლისა,** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, ღვთის მშობელი წელს ზევითია ძითურთ; სრულიად ტლანქი ხელობისა. ზემოდ აშიაზე არის ჯვარცმა მთავარ ანგელოზებით კუთხეებში. აშია მარცხნივ შემკობილია ერთმანეთში გადაბმულის ნახევარ რგოლებით. ქვემოდ ერთობ ვულგარული ხუცური წარწერაა (№ 16867). მე-18 საუკუნის დასასრულისა, ან მე-19 საუკუნის დასაწყისისა უნდა იყოს.

15. **ხატი მაცხოვრისა და ღვთის მშობლისა,** ვერცხლისა, 25X21,5 სანტ. შესდგება ორი რომბ-ლურსმულის მოხატულობის ფირფიტებისაგან; ერთზე მაცხოვარია წარმოდგენილი, ერთობ ტლანქი ხელობისა; მეორეზე უფრო ლამაზი ნახელავი ღვთის მშობელი წელს ზევითი (№16867).

16. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა ნაჭედი, ტლანქი სვანური ხელობისა მე-18-19 საუკ. მაცხოვარი ტახტზე ზის, მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს. წარწერა სახელისა ხუცურია: ი-ჯ ქ-ე. აშია რომბ-ლურსმული ფართო (№17618).

17. პატარა **ღვთის მშობლის ხატი,** ჩჩვილედი, ვერცხლისა, მოოქრული; ნიმბები და აშია დაცულია, სხვა გაფუჭებულია.

18. ასეთივე პატარა **ხატი წმ. გიორგისა,** ვერცხლისა, წარწერით: წ-ი გ-ი. 9,5X7,5 სანტ. დაზიანებულია.

19. ასეთივე მეორე პატარ **ხატი წმ. გიორგისა,** ვერცხლისა, 7,5X6 სანტ. წარწერით: წ-ი გ-ი. დაზიანებულია.

სამივე ხატი გადაღებულია ერთ ფირფიტაზე №16868. ამავე ფირფიტაზე მოთავსებულია ათი ნაჭერი სხვა და სხვა ხატებისა. სხვა და სხვა დროის და ხელოვნების ნაშთებისა, მათ შორის განირჩევა ზემოდ და ქვემოდ ხატების აშიების შემკობილობანი კლასიკური პერიოდისა; ხატის ნიმბი მშვენიერი ნახელავი იმავე დროისა და იქვე ლამაზი წარწერა: გ¯ბლ. რომბ-ლურსმულ აშიებზე მარჯვნივ და მარცხნივ წარმოდგენილნი არიან წმ. გიორგი და წმ. დიმიტრი სრულის ტანით.

20. პატარა **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 14X11 სანტ. მაცხოვარი სრულის ტანით არის წარმოდგენილი, მაგრამ ერთობ ტლანქი ნახელავია. წარწერა მხედრული ვულგარულია და განირჩევა მხოლოდ: მაცხოვარო მოიხსენე...

21. ორი პატარა გულსაკიდი **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი.

22. ზემო ნაწილი აწ დაკარგული ხატისა ლამაზი ხელობისაა. ამაზედ დარჩენილია ნაწილი სახელის წარწერისა: ლშევეშისა (?). ეს სამი ნივთი მოთავსებულია ფოტოგრაფიაზე №16869. აქვე არის კიდევ გადმოღებული ფრაგმენტი ძველი ხატის აშიისა, ლამაზად შემკობილი ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით კლასიკური დროისა. კიდევ შემკულობა ერთი სპილენძის ჭურჭელის გარეგანი ბოლოსი, აგრეთვე თოფის წამლის შესანახი (საწამლე) ხის მრგვალი ჭურჭელი, ორი მანგალის მსგავსი ნივთი სპილენძის სახელურით. საპირისწამლე მოხარატებული, ხოლო სახელურები სპარსულ-ქართული მინანქრით არის შემკობილი.

23. **ლაგამი ცხენისა**, რკინისა, ვერცხლით შემკობილი, ზოგიერთის გადმოცემით, ეს თამარ მეფის ცხენის ლაგამია (№16871).

24. **ლახტი რკინისა,** რომელიც თავდება თორმეტის წვეტით და ტარიც შემკობილი აქვს (№16871).

25. ერთი **კარი კარედი ხატისა,** ვერცხლით შეძერწილი, გაყოფილია ჩუქურთმიანი გრეხილით ორ ნაწილად; ქვემო ნაწილში ქრისტეა წარმოდგენილი სრულის ტანით; ზემო ნაწილში მოსჩანს ფრთოსანი ანგელოზი. ხელობა ტლანქია (№16870).

26. **სამირონე ვერცხლისა,** რომელზედაც გამოხატულია ღვთის მშობელი.

27. **ნარჩენი კარედი ხატისა,** რომლის ზომა ყოფილა 123X73 სანტ. ზემოდ დარჩენილია ვერცხლის შემკობილობის ფრაგმენტები და აგრეთვე კარებზედაც. ამათზე გამოსახული ყოფილა მთავარ ანგელოზები.

28. **ლახტი** სპილენძისა, ექვსი ფრთით.

29. ჩუკულის ეკლესიაში წინად დაცული ყოფილა **ქოლგის პირი** აბრეშუმის მატერიისა, გამშვენებული სხვა და სხვა სახეებით, მათ შორის ოთხი მზის სახეა, ამას თამარის ქოლგას უწოდებენ თურმე. ეხლა ეს ქოლგა ჩუკულის ეკლესიაში აღარ მოიპოვება, მაგრამ მისი სურათი წინეთ გადაუღია ერმაკოვს (№184).

ძველი ეკლესია ჩუკულისა.

პატარა ფიშხორის პირად ყოფილა გაშენებული ძველი ეკლესია, რომელიც დღესაც მთელად არის შენახული, მაგრამ ხალხი იძულებული ყოფილა დაეტოვებინა იგი, ვინაიდან მოშორებით არის სოფელზე და ამას გარდა, რაც თავი მიზეზია, წყალს მოუნგრევია კიდეები და მიახლოვებულა ეკლესიის კედლებთან, ასე რომ ამ ძველ ეკლესიას დიდი საშიშროება მოელის. ხალხი აქ დღესაც დადის სალოცავად და დიდის ამბვით იხდიან მთავარ ანგელოზთა დღესასწაულს. განსაკუთრებით აქ დადიან მონადირენი და მოაქვთ თავის ნანადირევის რქები. ეკლესია უფრო დიდია, ვიდრე ეხლანდელი ჩუკულის ეკლესია, რომელშიაც ძლივს ეტევა ხატები. ეკლესია ქვისაა. ყავრით დახურული და ვინაიდან ის ჯურღმულის პირზეა აშენებული, ამიტომ მისი საფუძველი ერთ საჟენ ნახევრით არის ამაღლებული. შესავალი ერთი აქვს სამხრეთით. აღმოსავლეთის ფანჯარა მოგრძოა და შემკობილი ჯვარის სახედ გამოწეული ქვებით და ქვის ჩარჩოც აქვს პილიასტრებზე დამყარებული. თითო ფანჯარა მოიპოება კიდევ დასავლეთით და სამხრეთით. კანკელი ძველია, ქვისა, ერთის აღსავლის კარით. ის შესდგება ორი ნაწილისაგან. ქვემო ნაწილი ორი არშინის სიმაღლისა წარმოადგენს უბრალო ქვის კედელს, რომელზედაც დამყარებულია ლამაზი ქვის გათლილი სვეტები კამარებითურთ. ტრაპეზი კედელზეა მიშენებული. კედლები ფრესკებით ყოფილა დაფარული, მაგრამ ეხლა სულ მოშლილია და აქა-იქ ეტყობა მხოლოდ. ეკლესიაში მოიპოვება აუარებელი მოძარცული ხატების და ჯვრების ფიცრები, მათ შორის სამი დიდი, საჟენ-ნახევრიანი ხის ჯვარი. არც ერთ მათგანზე ვერცხლის ფირფიტები არ შენახულა. ბევრია აგრეთვე ირმის და შველის რქები. როგორც ეტყობა, ეს ეკლესია უკვე მე-18 საუკ. დაუტოვებიათ და მათი ნივთები გადაუტანიათ და მით გაუმდიდრებიათ ეხლანდელი პატარა ჩუკულის ეკლესია. ის მოჩუქურთმებული კარიც, რომელსაც დღეს იქ ვპოულობთ, აქედან არის წაღებული.

სოფელი ჩიხარეში.

სოფელი ჩიხარეშის ეკლესია ღვთის მშობლის მიძინებისა ერთობ სულ ახალია, ქვისა, გუმბათიანი, მასში დაცულია ორი ძველი ხატი:

1. **ხატი ღვთის მშობლისა** კარედი, ვერცხლისა, ნაჭედი; შუა ნაწილი ზომით 45X41 სანტ. კარები, თითო 50X20 სანტ. №16879, აგრეთვე უვაროვისა, ტაბ. XXXV, სურ. 60). შუა ნაწილში წარმოდგენილია ღვთის მშობელი ჩჩვილედი, მაღალ ტახტზე მჯდომარე, წარწერით ზემოდ, კამარას ქვეშ:

დ-დ ო-ისა : ი-ᲩᲨ- ქ-ე : ს-ი.

ღვთის მშობლის ფეხის ქვემოდ წარწერა:

ქრისტე შეიწყალე გაბრიელ.

ორივე მხარეს ღვთის მშობლისა სრულის ტანით წარმოდგენილნი არიან პეტრე და პავლე, წარწერებით: პ-ტრე, პავლე. მარჯვნით პეტრეა, მარცხით – პავლე. ამათ თავზე ღვთის მშობლისკენ მიქცეულნი ფრინავი მთავარ ანგელოზნი. ამათი წარწერა მოქცეულია ზემოდ, პატარა კამარებში: წ-ᲘᲐ მ-ქლ, წ-ᲘᲘ გ-ბლ. აშიაზე ქვემოდ ამ ხატის შუა ნაწილისა სწერია:

წ-ო : ღ-თის მშობელო : შ-ე : ესე : ᲬᲔᲕᲐᲘ : და : ᲬᲔᲕᲡᲐ :

აზნაური.

კარებზე, კამარების ქვეშ, წარმოდგენილნი არიან სრულის ტანით, საომარი ტანისამოსით, შუბით და ფარით და მახვილით წელზე: წ-ი გ-ი (მარცხნივ) და წ-ი თ-ე (მარჯვნივ).

წ. გიორგის ზემოდ აშიაზე წარმოდგენილ არიან წელსზევითნი ფიგურები ვედრებისა და მთავარ ანგელოზებისა. ასეთი კომპოზიცია წ-ა თეოდორესი ზემოდ არ შენახულა. ყველა ფიგურები ამ ხატისა მოქცეულნი არიან ორ სვეტზე დამყარებულ კამარებს ქვეშ და სვეტებს აქვთ თავისი ბაზები და სვეტის თავები მოჩუქურთმებულნი. ხელობა ამ ხატისა და ხასიათი ასომთავრული წარწერებისა მოგვაგონებენ ჩუკულის ღვთის მშობლის კარედის ხატს, ჩვენ მიერ ზემო აღწერილს მე-7 ნომერს ქვეშ. და ერთის და იმავე ოქრომჭედლის ნახელავი უნდა იყოს.

2. **ხატი მაცხოვრისა,** ნაჭედი, 36,5X27 სანტ. (ფოტოგრ. №16880) მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა სახარებით და მაკურთხევლის მარჯვენით. სახე ერთობ დაღვრემილი აქვს, თითქო სტირისო. წარწერა: ᲘᲔ ქე. პირველ სიტყვაში, საკვირველია Ე-ს ხმარება მიღებულ Თ ანუ ო-ს მაგიერ. აშია ორი აქვს; ერთი უფრო ფართო დაცულია მხოლოდ მარჯვნივ ორის მედალიონით, ვგონებ, მთავარ ანგელოზებით; მეორე, ვიწრო ტალღისებური. მოგვაგონებს ლევან დადიანის ხატებს მე-17 საუკუნისა. ხელობა ხატისა ტლანქია და უნდა ეკუთვნოდეს მე-17-18 საუკ. ამ ფოტოგრაფიაზე ზემოდ მარცხენა კუთხეში მოთავსებული პატარა ხატი განცალკევებული ხატია იმავე ეკლესიისა.

სოფელი მახაში.

სოფელი მახაში პატარაა და გაშენებულია მთაზე, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, პირისპირ ჭითხარის მწვერვალისა, რომელიც ეკუთვნის შკეთის მთებს და რომელზედაც 30 ივლისს ჯერ კიდევ თოვლი იდვა (№17423) მწვერვალზე ტბა ყოფილა ხუთი საჟენი სიგრძით. სოფელი ლამაზია. მისი პეიზაჟი იხ. №№1725 და 17424.

ძველი მიქელ მთავარ ანგელოზის ეკლესია სოფლისა პატარაა, ქვისა. ეხლა განუახლებიათ შიგნით და გარედაც. კანკელი ახალი აქვს ლამაზად მოხატული. ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ხატი მთავარ ანგელოზისა მიქელისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 65X53 სანტ. წარწერით: წ-Ა მ-ქლ (№17626). წარმოდგენილია მთელის ტანით, ხმლით და გრაგნილით. აშია რომბ-ლურსმულია სამი მედალიონით, რომელზედაც გამოხატულნი არიან: წ-Ა Ბ-სლ, წ-Ა ᲓᲝᲕᲐᲜᲔ, ი-Თ ქ-ე. ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს.

2. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 45X36 სანტ. ფიგურა წელს ზევითია წარწერით: დედაი ღმრთისა, ი-Თ ქ-ე. აშიები რომბ-ლურსმულია ხუთის მედალიონით წმიდანებისა. ქვემო აშია უფრო ძველია. ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს (№16884).

3. **ჯვარი ხისა,** შუა ტანისა, შეძერწილი ვერცხლის ფირფიტებით, ტლანქი გამოხატულობით ჯვარცმულისა, 27X17 სანტ.

სოფელი დაბიში.

სოფელ დაბიშში სულ პატარა ძველი ქვის ეკლესია არის, მიწერილი ჩიხარეშის ეკლესიაზე. გარეგნიდან ეკლესია არ განირჩევა უბრალო სახლიდან. შიგნით მისი სიგრძე არის ხუთი არშინი, განი სამი არშინი, სიმაღლე 5 არშინი. საკურთხევლის განი არის 1 არშინი და 5 ვერშოკი, კანკელი ორის კამარით და ერთი აღსავლის კარით შუაში; ტრაპეზი კედელზეა მიდგმული.

ეკლესია სულ მოხატულია; მაგრამ უმთავრესად აქ ფრესკებია ადგილობრივ პირთა ნაციონალურ ტანისამოსებში. მათი წარწერა, არა სწორი ქართულით, მხედრულია. ამათ შორის ჩრდილოეთის კედელზე წარმოდგენილნი არიან ქართულ-კახური ტანისამოსით და მაღალის ქუდებით თავზე:

„კველ ჯაღიბიანი“. შემდეგ ქალია, ალბათ მისი ცოლი, ქართულის გულის-პირიანი კაბით, კავებით და სარტყელით, კაბაზე ლურჯი ქათიბი აქვს გადაცმული, თავზე რაღაც გვირგვინის მსგავსი ქუდი ახურავს და უწერია სახელი:

ლ(ა) შხიშვილის ქალი თუტრუა.

ამათ ქვემოდ უფრო ახალგაზრდა ქალია ასეთივე ტანისამოსით, როგორც თუტრუა, ხოლო მისი მოსასხამი ჭრელის მატერიის არის და უწერია: „მარეხ“.

„მარეხ“ უნდა იყოს წინა ცოლ-ქმრის ასული.

დასავლეთის კედელზე წარმოდგენილნი არიან ქართულ-კახური ტანისამოსებით:

ნანბა ლადღიბიანი (მარცხნივ კარისა) და მერაბ ღიბიანი (მარჯვნივ კარისა).

სამხრეთის კედელზე დახატულნი არიან:

„ღიბიანი ტაიბუხ და იაშვილის ქალი კუთია და მათი ძე ბაწია“.

ბავშვსაც ქართულ-კახური ტანისამოსი აცვია.

საკურთხეველის კონქში მოსჩანან ღვთის მშობელი ჩჩვილედი და მათ ორივე მხარეს მთავარ ანგელოზნი, ქვემოდ „ქერუბინები“ და „სერაფინები“; ტრაპეზის ზემოთ კედელზე ჯვარცმაა წარწერით: „მეძინუბის ჴათი“; აქეთ-იქით: იოანე ოქროპირი და ბასილი დიდი, წარწერით: „იოვანე, ბასილი“; აქვე ერთი ფიგურა სამღვდელო ტანისამოსით და სახარებით; წარწერა აქვს: „სდუბანუ“. ვგონებ, არხიდიაკონი სტეფანე იგულისხმება.

ჩრდილოეთის კედელზე არის ამაღლება და წ-ა გიორგი. სამხრეთის კედელზე ყოვლად წმიდის მიძინება, წარწერით: „ღოლა წმიდის მიძოღობა“. შემდეგ ჯვარცმა წარწერით: „ი-ო ჯრისმა“; შემდეგ სვიმონი წარწერით: „სუმონ“. დასავლეთის კედელზე: ნათლის ღება და აღდგომა ქრისტესი. თაღებზე საკურთხეველისა: პეტრე და პავლე წარწერებით: პეტრე, პავლე, წმიდა ნინო და კიდევ წ-ა ეკატერინე და წ-ა ბარბარე. ქვემოდ მარჯვნივ, იოანეს თავის კვეთა წარწერით: „ივანუს თავის ქოთა“; მარცხნივ მსხვერპლი აბრაამისა წარწერით: „სამხდო აბრამის“. კარების მახლობლად მესვეტენია. ფრესკები ტლანქი ხელობის არის მე-17-18 საუკუნისა. თვით ეკლესიაში დიდი ჭურია ჩამარხული იატაკში; დასახურავი ხისა აქვს. ნივთებით ეკლესია ღარიბია. მასში ჩვენ ვნახეთ:

1. **ხატი** პატარა **მთავარ ანგელოზის გაბრიელისა, ვერცხლისა,** ნაჭედი, 8X6,5 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ლაბარუმით და ბურთით (იხ. №16882, ქვემოდ, მარცხნივ). ხელობა გვარიანია.

2. ორი ხის **ჯვარი,** შუათანა ზომისა, შეძერწილი ვერცხლის ფირფიტებით, ტლანქი ხელობისა.

3. რკინის უბრალო **ჯვარი.**

სოფელი ახაშენი.

ეს სოფელი დაბიშის ზემოდ მდებარეობს. ხოლო ახაშენის ზემოდ, მთის დაქანებულ კალთაზე, არის ადგილი, რომელსაც ჰქვია მაშენა (ესე იგი უფალი) და აქ არის ხის ეკლესია, მაგრამ ეხლა იქ წირვა აღარ არის. მასში ინახება:

1. ფრიად თავისებური სქელი სპილენძის **ხატი მთავარ ანგელოზის გაბრიელისა,** ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ორი ხატი იმავე მთავარ ანგელოზისა, ერთი ზემოთი მფრინავის სახით წარმოდგენილი და მეორე ქვემოდ, ფეხზე მდგომარე, შუბით მარჯვენა ხელში და გრაგნილით მარცხენაში. წარწერა ორთავეს ასომთავრულით: წ-ი გბრ-ლ. ორთავე მთავარ ანგელოზი ერთ სქელ წითელი სპილენძის ფიცარზეა წარმოდგენილი ძლიერის რელიეფით. მაგრამ თითოეული მათგანი გარედან შემკობილ ოთხკუთხედშია. ოთხკუთხედების სვეტები მარჯვნივ და მარცხნივ ორმაგია თავისი ბაზებით და სვეტის თავებით (№16881); ხატი ჩამოსხმული უნდა იყოს. ასეთი ხატი ჩვენ პირველად გვხვდება არა თუ სვანეთში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ფიგურები მოკლეა და მოტლანქო.

2. **ხატი წმიდა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 40X32 სანტ. ძლიერ დაზიანებული და გაფუჭებული, წარწერით: წ-ი გ-ი. წმიდანი წარმოდგენილია მთელის ტანით, ფარით და შუბით. აშიები მოცილებული აქვს. ხელობა ერთობ ტლანქია. იხ. №16882, შუაში უმთავრესი ნაწილი.

3. პატარა **ხატი წმიდა გიორგისა,** დაცულია მხოლოდ ვერცხლის პერანგი; წმიდანი წარმოდგენილია მთელის ტანით, ფარით და შუბით. ხელობა ტლანქია, იხ. №16882, მარჯვენა მხარე, ქვემოდ.

4. **ხატი უცნობი წმიდანისა,** სრულის ტანით, ხეზე ამოჭრილი ღრმად, ოთხკუთხედში, ლამაზი ხელობისა, უწარწეროდ. იხ. №16882, მარცხენა მხარე. ეს უნდა იყოს სარჩული ვერცხლის ხატისა, შემოსილობა მოძარცული.

5. დიდი ვერცხლის **ჯამი** საკმეველისათვის, სასაკმეველე.

6. ბევრი სხვა **ვერცხლის თასები და კათხები** ხისა არაყისათვის.

სოფელ ახაშენის მცხოვრების ტიპი, ჯაბა ნემსაძე, იხ. ფოტ. №17518.

სოფელი მელე.

ამ სოფლის ეკლესია წმიდის გიორგისა ახალია, ხისა, ახალი ხის კანკელით. მასში ჩვენ ვნახეთ:

თავი **ხატი წ-ი გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 35X25 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია ცხენით, შუბით გმირავს გვირგვინოსანს, რომელსაც გრძელი ამოღებული ხმალი უჭირავს ხელში. აშიები შესდგება ერთმანეთში გადახლართული ნახევარი წრეებისაგან, წერტილებისაგან შემდგარი ხაზებით შუაში. ხელობა ტლანქია (№ 16883). წარწერა სახელისა: წ-ი გ-ი. ზემოდ უშნო ხუცურით:

ქ[1] :. ამისა :. ოქრო :. მჭე / დელსა :. იოსეს :. შ-ნდს :. ღ-ნ.

ქვემოდ მეორე წარწერა:

1. ქ. მოჭედინე :. ხტი :. ესე წი-სა :. გ-ის :. მ-ლს :. მე :.

დევდანის :. ქლმნ :.

2. ყზმის :. სხსრდ :. სლსა :. ჩ-მთ-ს :. და ქრმისა :. ს-ხად.

ესე იგი: მოვაჭედინე ხატი ესე წ-სა გიორგის მელეს მე დევდარიანის ქალმან ყაზმის სახსრად სულისა ჩემისათვის და ქმრისა საოხად. ხატი მე-18 საუკუნის უნდა იყოს.

2. პატარა **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, 5,5X5,5 სანტ. ბერძნულის წარწერით სახელისა. ფიგურა ძლიერის რელიეფით არის წარმოდგენილი (იქვე, №16883, ზემოდ, მარცხენა კუთხეთში).

3. **ხატი ღვთის მშობლისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 12,5X11 სანტ. ღვთის მშობელი წარმოდგენილია მთელის ტანით ორ სვეტზე დამყარებულის კამარის ქვეშ, ჯვარით ხელში. აშია მოჩუქურთმებულია (№16888), მე-17-18 საუკუნის უნდა იყოს.

4. პატარა **ხატი წმ. ბართლომე და მიტროფანესი,** განცალკევებულ ვერცხლის ფირფიტაზე, სრულის ტანით და უბრალო შემკობილობით (იგივე ფოტო №16888).

5. პატარა, დარღვეული **ხატი ღვთის მშობლისა,** ვერცხლისა.

სოფელი ნაცული.

სოფელ ნაცულის ეკლესია მთავარ ანგელოზისა პატარა, ქვისა, განახლებულია და ქვის ძველი კანკელი ახალის ქვის კანკელით შეცვლილი. ეკლესიაში მოიპოვება:

1. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** ვერცხლისა, მოოქროული, ნაჭედი, 55X42 სანტ.

---

1 დედანში წილ-ქანია.

მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ბიზანტიური სამეფო ტანისამოსით. ლაბარუმით და ბურთით. წარწერა: მთვრგზძი (sic) მ-ქლ (№16887). ეზო ზეომოდ ვაზოვანი ორნამენტით არის მოკაზმული; ქვემოდ რობმ-ლურსმული შემკობილობით; თვით ხატი მე-16საუკ. უნდა ეკუთვნოდეს. აშიები სხვა და სხვა დროის ფრაგმენტებისაგან შესდგება წმიდათა მედალიონებით. ზემოდ და მარცხნივ შვიდი მედალიონია ტლანქი ხელობისა. შუაში ვედრებაა; მარცხნივ და მარჯვნივ – ღვთის მშობელია მთელის ტანით. მარცხენაზე აწერია: დ-ი ღ-თ. ქვემოდ, მარჯვნივ კიდევ ოთხი მედალიონია; მათ შორის ორი ღვთის მშობლისა და ერთიც მთავარ ანგელოზისა. ორივე მხრით მთავარი ხატისა წარწერაა ვერტიკალურად,

მარცხნივ:	მარჯვნივ:
ქ . მთ	. . ა ამესდ
ვრ	განმ
ნ-აგ	ეტი : ნ
ლძი :	ჴვრ
შევე	ირრს
დრა	სჴვ
ნდ : ივნ	ი : ღთი
ესუ	სად :
ლთა : ამ .	

პირველი წარწერა უნდა იკითხებოდეს: მთავარანგელოძი (sic). შეიწყალე ვედრანდ ივანე სულითა, ამინ.

მარცხენა წარწერას, როგორც ეტყობა, თავი აკლია და გაუგებარია; შეიძლება ასე იკითხებოდეს: ..(დ)ა ამესადგან (=ამისაგან) მეტი. ნაჴევარი რარასის (ანუ რარესის) ჴევი ღვთისა.

2. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 23X16 სანტ. ღვთის მშობელი წელ ზევით არის წარმოდგენილი რელიეფით. წარწერები: დ-ი ღ-ს, იჴ ქ-ᲩᲮ. ეზო სადაა; აშიები ტალღისებურ შტოებით შემკობილი, ჩვეულებრივი მე-17 საუკუნისათვის; ხატი ამ მე-17 საუკ. ეკუთვნის (№16885).

3. **ხატი მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 21X18 სანტ. შუაში წარმოდგენილია, როგორც მედალიონში, მთავარ ანგელოლზი წელზევითი საზომავით ხელში. ხატის ოთხივე კუთხეში მაცხოვარია ტახტზე მჯდომარე; ხელობა ტლანქია (იქვე, №16883). წარწერები ზემოდ, მარჯვნივ და ქვემოდ მთავარ ანგელოზისა ერთობ ვულგარული ხუცურ-მხედრული ასოებით. ზემოდ:

წ-ო სამებაო / შ-ე ესტატე.

4. პატარა **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ტლანქი ხელობისა (№ 16885, მარცხენა კუთხეში ღვთის მშობლის ხატისა.).

5. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 26X22 სანტ. რომბ-ლურსმული აშიით, სანახევროდ მოშლილია, ფრიად ტლანქი ხელობისა (№16886).

6. **ხატი ორი წმიდა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი. ზემოდ და ქვემოდ ექვსი მედალიონი წმიდანებისა. ორთავე წმიდა გიორგი წარმოდგენილნი არიან პირის-პირ ცხენებით, გვირგვინოსან კაცს გმირავენ შუბებით. ტლანქი ხელობისაა (იქვე №16886). ქვემოდ გაფუჭებული ხუცური ასოებით მოსჩანს:

ო-(უფალო) სამებაო / შეგვიწყალე.

სოფელი ხერია.

სოფელი ხერია გაშენებულია მდინარე ტვიბერის წყლის პირად. ამ სოფლის სახე იხილეთ ფოტოგრაფია №17426, ხოლო სოფლის წისქვილის ხის შენობა №17427. პატარა ეკლესია ამ სოფლისა წმიდა გიორგისა ქვისაა, ერთი კარით სამხრეთით. ის განუახლებიათ ამ ხანად და ძველი ქვის კანკელი შეუცვლიათ ხის კანკელით, რომელიც ჯერ მოხატული არ არის. ამ ეკლესიაში ინახება:

1. თავი **ხატი წმ. გიორგისა,** ოქროსი, ნაჭედი, 40X31 სანტ. მთავარ მოწამე ცხენით არის წარმოდგენილი, გვირგვინოსანს გმირავს, შუბი მისი თავდება ჯვარით, მოსასხამი ზურგს უკან ფრიალებს ჰაერში, წელზე ჰკიდია დიდი ხმალი. წარწერა სახელისა: წ-ი გი. ნიმბი და ქვემო ნაწილი ხატისა დაზარალებულია. ეზო ლამაზი ვაზოვანი ორნამენტით არის შემკობილი. აშიები ზემოდ და ქვემოდ მერმინდელია, ტლანქი ჯვრებით და წერტილების სახეებით. ხოლო მარცხნივ და მარჯვნივ აშიები კლასიკური დროის არის, ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით შემკობილი. თვით ხატი, ჩვენის აზრით, არის არა უგვიანეს მე-13-14 საუკ. (№16889). ზემოდ ხატს მიბმული აქვს ძეწკვი.

2. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 38,5X25 სანტ. მაცხოვარი ზის მაღალ ტახტზე, სახარებით ხელში. ნიმბი დიდია ჯვარის სახედ. წარწერა ასომთავრული ჯვარის მსგავს მედალიონებში: იო Xე (sic). საკვირველი ის არის, რომ ქრისტეს სახელში პირველი ასო ბერძნულია და მეორე ქართული. ხატი ტლანქი ხელობის არის მე-18-19 საუკუნისა. (№16890).

3. წამლით ხეზე დახატული **ხატი წმ. გიორგისა,** 29X19 ვერშოკი, წარწერით: წმიდა გიორგი. ლამაზია.

4. ასეთივე ხელობის **ხატი მაცხოვრისა,** 20X15 ვერშოკი.

5. ასეთივე ხელობის **ხატი მთავარ ანგელოზთა,** 24X19 ვერშოკი.

სამი უკანასკნელი ხატი კანკელშია და ეკუთვნიან მე-19 საუკ. დასაწყისს.

სოფელი შგედი.

სოფელი შგედი ახალის ქვის ეკლესია არის, ხის გუმბათით და ახალი ხის კანკელით; ეკლესიას ახალი სამრეკლოც აქვს (ამათი სახე იხ. №17428). ეკლესიაში ბლომად არის ძველი ნივთები:

1. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 46X31 სანტ. ტლანქი ხელობისა, მე-17-18 საუკუნის. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით. სახარება ორი ჯვარით არის შემკობილი. ნიმბი ჯვარის სახით არის. წარწერა სახელისა ი-ჯ ქ-ე. აშიები შემკობილია ერთმანეთში ჩახლართული რგოლებით და წერტილებით. მარცხენა და მარჯვენა აშიებზე მთავარ ანგელოზებია ისეთივე ტლანქი, როგორც მაცხოვარი (№16892). ქვემოდ ვულგარული ხუცურით სწერია:

მაცხოვარო : მე-ხ და მფარველ :. ექმენ :.
ნასყიდასა :. ჯაფარიძესა :. და თანა :. მეცხედრესა
მისსა :. ყიფიანის :. ქალსა :. სათუთს :. დ-ღსა :. მ-ს:.
განკითხჳს-სა :.
ზემოდ ერთ-სტრიქონიანი წარწერა:
ჯაფარიძეს :. ნასყიდას :. ცოლსა :. მისსა ს- თთ- ს შ- ნდ- ს ღ- ნ.

2. **ხატი მაცხოვრისა** (№17891). ეს ხატი სრული განმეორებაა ხერიის მაცხოვრის ხატისა, ზემოდ მე-2 ნომრით აღწერილისა (გვ. 118).

3. **ხატი წ-ა თეოდორესი,** ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი, ნაჭედი, 40X27,5 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია რომაულ საომარ ტანისამოსით, სრულის ტანით, შუბით მარჯვენა ხელში, მარცხენა ხელი ფარზე უდევს. სახე მისი ხანშესრულია; ნიმბის გარშემო წარწერა: წ-ი თ-ე. ეზო ბალახ-ბულახის ორნამენტით არის შემკობილი. აშიები რომბ-ლურსმულია, ხუთი მედალიონით წმიდათა; ამათ შორის ზემოდ მაცხოვარია და ორი მთავარ ანგელოზი, თითო მარჯვენა და მარცხენა აშიაზე, უწარწეროდ სახელებისა. ეს ხატი ისეთივე ტლანქი ხელობის და დროს არის, როგორც №16892, იმავე პირის შეკვეთილი, ქვემოდ ვულგარული ხუცურით სწერია: (№16893):

წ-ო :. თ-ე :. მეოხ :. და მფრვე
ლ :. ექმენ :. ჯაფარიძეს :. ნასყიდ
ას :. ცოლსა :. მისსა :. სათუთსა :. დღ
სა :. მს :. გ-კითხჳსისსა :
შნდოს :. ღ-ნ :.

4. **ჯვარი** ოქროსი, 33X29 სანტ. ზემო ნაწილი და მარჯვენა ფრთა მოშლილია. შუაში ჯვარცმულია ორიგინალური კომპოზიციისა. ქრისტეს თავი დაუდვია მარჯვენა მხარზე, მარცხენა ხელი მიკრული არ არის ჯვარზე, როგორც მარჯვენა, არამედ მოხრილია და თითქოს ყელზედ აქვს მიკრული. მარცხენა ფრთის ბოლოში,

მრგვალ მედალიონში, ღვთის მშობელია; მარჯვენაში ალბათ იყო ასეთივე გამოსახულება იოანესი, მაგრმ არ შენახულა, ეხლა დაკერებული აქვს ვერცხლის ფირფიტა ორი მთავარ ანგელოზის გამოხატულებით. ქრისტეს ფეხს ქვეშ ადამის თავი მოსჩანს (№16894). ხეტარი არ შენახულა. ჯვარი მე-16-17 საუკ. უნდა იყოს.

5. **ჯვარი,** 40X20 სანტ. ვერცხლით შემოსილი, ყოველ ფრთაზე წარმოდგენილია სრულის ტანით მაცხოვარი ერთნაირი გამოსახულებისა, მაკურთხევლის მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში. შუაში უმბო მოშლილია. ხელობა დაბალია, მე -18 საუკ. (№16897).

6. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 23X18 სანტ. მაცხოვარი წელს ზევითია; მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს, შემკობილი ყდით. ნიმბი ჯვარისებური აქვს. სამოსელი ღრმად დანაოჭებულია; წარწერა დიდის ასომთავრულით: Ი-Ჯ Ქ-Ჩ, აშია სადა ვერცხლისა აქვს. (№16903).

7. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 33X27 სანტ. ღვთის მშობელი წარმოდგენილია წელს ზევით, წარწერით: დ¯და ღ¯ს. აშია ორგვარი აქვს, ერთი შინაგანი რომბ-ლურსმული მორთულობით და მედალიონებით წმიდათა, ეხლა ექვსი მოსჩანს; მარცხენა მხარე დაფარულია მერმინდელი ფირფიტით, რომელზედაც სამი მთავარ ანგელოზია სრულის ტანით; დანარჩენი აშიები სხვანაირია (№16899). ხატი მე-17-18 საუკ. უნდა იყოს.

8. **ხატი წმიდის თეოდორესი,** ვერცხლისა, ნაჭედი, 28,5X25,5 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია ცხენით, საომარის ლამაზის ტანისამოსით და ხმლით წელზე. გმირავს კაცს, რომელსაც ხელი ჩაუტანებია ლახვრის წვერისათვის. ცხენი ლამაზად შეკაზმულია. ეზო ხატისა სადაა, აშია რომბ-ლურსმული, ფართო ოთხი მედალიონით კუთხეებში; ზემოდ ღვთის მშობელი და იოანე; ქვემოდ ორი წმ. გიორგი; წარწერა სახელისა არ არის, ამიტომ გადაწყვეტით თქმა არ შეიძლება, აქ წმ. გიორგია წარმოდგენილი, თუ წმ. თეოდორე (№16900). ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს.

9. **ხატი წმიდისა იონაᲘსა,** ვერცხლისა, ნაჭედი, რელიეფით, სახე წმიდანისა ნამდვილი სვანის ტიპია, სრულის ტანით წარმოდგენილი; ხელები ჩაუდვია წელის სარტყელში; ჩაცმულობაც და ქუდიც სვანურია. შინაგანი აშია ორმაგი წერტილებიდან შემდგარის ხაზებისაა; გარეგანი სხვა და სხვა ფრაგმენტებისგან შესდგება და უმეტეს ნაწილად გაფუჭებულია. ამათში მედალიონებიც ყოფილა, ზემოდ ქრისტესი; ქვმოდ წმ. გიორგისა; მარცხნივ, ვგონებ, მთავარ ანგელოზისა. წარწერა ვულგარული ხუცურით: წᲘ ᲘნაᲘ (№16898). ხელობა მდარეა, სვანური, მე-18-19 საუკ. მარცხნივ და ქვემოდ ძლივს გასარჩევი ვულგარული ხუცურით სწერია:

1. ს¯ლს	2. ჩმ. ს¯ლ	3. მხ მე
მ¯ხმ	ს შ¯ნ	კ¯დ ვ¯ე
კდა	დს ღნ	ხატი
ნს		

Ш-Ն
Ը-Ն

წარწერები შეიძლება ასე იკითხებოდეს: 1) სულას (ან სულის) მეოხ, მაკდანას შეუნდვენ ღმერთმან. 2) ჩემს სულს შეუნდნეს ღმერთმან. 3). მიოხე მე კვლადვე ხატი (ხატო).

10. **ხატი წმ. ბასილისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 22X15 სანტ. ხუცური წარწერით: წ-Ჲ ბ-სლი. წმიდანი წარმოდგენილია წელს ზევით, ჯვარით ხელში. ხელობა ტლანქია, სვანური, მე-18-19 საუკ. აშიები თეთრი პატარ რგოლების ხაზებისაგან შემდგარი დაზარალებულია (№16902).

11. ვერცხლის **ფირფიტები,** ერთი დიდი, 38X26 სანტ. რომელზედაც წარმოდგენილნი არიან მსუბუქის ჩაჭრით ექვსი მთავარ ანგელოზი ფრთებით და ზემოდ სავედრებლად აპყრობილის ორივე ხელებით. შემკობილება მათი წერტილებით, წერტილთა ხაზებით და სიმრგვალეებით, ზოგჯერ ორმაგის ტლანქი ხელობისაა. მეორე ფირფიტაზე, რომელსაც ზემოდ რომბ-ლურსმული აშია აქვს, წარმოდგენილია სრულის ტანით, წერტილებისაგან შემოხაზულ ოთხკუთხედებში, ორი ერთ გვარი რიგის ღვთის მშობელი ჩჩვილედი, სრულის ტანით. ეს უფრო ლამაზი ხელობისაა (№16901).

12. **ოთხი** ვერცხლის **ფირფიტა** წმიდათა სახეებით, №16904. პირველზე მარცხნივ, ქვემოდ, წარმოდგენილია წ¯ა გიორგი ფეხით და ხმლით წელზე. ის შუბით გმირავს გვირგვინოსანს. ზემოდ უწერია ხუცურად წ-Ჲ გ-ი. ხელობა მდარე, სვანური, მე-18 საუკ. მეორე ფირფიტაზე, ქვემოდ, მარჯვნივ გამოხატულია წ-ა თეოდორე. წარწერა არა აქვს. მხედარი ცხენით არის წარმოდგენილი, შუბით გმირავს ადამიანს. შუბის თავი ვარსკვლავის მსგავსად არის შემკობილი. ზემოდ ამ ფირფიტაზე მთავარ ანგელოზია შემკობილ რგოლში წარმოდგენილი. ხელობა სვანურია მე-17-18 საუკუნისა. ეს ხატი რამოდენიმეთ წააგავს ზემოდ მე-8 ნომრის ქვეშ აღწერილ ხატს. ორი სხვა და სხვა ფირფიტა ზემოდ ატარებს მთავარ ანგელოზთა სახეებს სრულის ტანით. ტლანქი სვანური ხელობისაა.

13 **ხატი** წამლით დახატული ხეზედ, მირქმისა, 81X53 სანტ. ახალი დროისა; ზემოდ მხედრულის წარწერით სახელისა: მირქმა ი-ჯ ქ-ე. ქვემოდ მხედრულითვე უწერია:

სიძველისაგან განვაახლე მირქმის ხატი ესე და შევსწირე
მე მღუდელმა სვიმონ გაბია(ნ)მან საოხად სულისა ჩემისა
სამების ეკლესიას.

14. ორი ხის **ჯვარი** შუათანა ზომისა, რომელნიც უნდა მდგარიყვნენ კანკელის წინ, მაგრამ ეხლა კანკელზე არიან ამართულნი კუთხეებში. ორივე ჯვარი შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით მხოლოდ პირველ გვერდზე; ჯვარს, რომელიც მარცხნივ არის ამართული, აქვს შუაში უმბო, ქვით შემკობილი. ფირფიტებზე წარმოდგენილია უმეტესად წმ. გიორგის სახე, ცხენით; მხედარი გმირავს გვირგვინოსანს. იმ ჯვარზე,

რომელიც მარჯვნივ არის, გამოსახულნი არიან ორ-ორი წმიდანი სუსტის რელიეფით, უფრო ხშირად აქაც წმ. გიორგია წარმოდგენილი.

სოფელი მარგვიში.

სოფელ მარგვიშში ყოფილა პატარა ქვის ეკლესია, რომელიც ეხლა დანგრეულია და მიტოვებული; კანკელი ქვისა არის. სახურავი ფილაქნის ქვებისა აქვს. ყველა კედლები ეკლესიისა, გარდა სამხრეთის კედლისა, შემკობილია პილასტრებით. კედლებზე აქა-იქ ემჩნევა წარწერები ხუცური. აღმოსავლეთის კედელზე:

ქ. ამისა აღმშენებელსა. . . შ-ნს ღ-ნ ან.

ჩრდილოეთის კედელზე: ... შეცოდებანი ... ერთი ქვა წარწერის ნაშთით თავუკუღმა არის მოქცეული ჩრდილოეთის კედელში. აქედან სჩანს, რომ ეკლესია უჯეროდ შეკეთებული ყოფილა წინა დროში. კანკელს ერთი აღსავლის კარი აქვს მხოლოდ. ამ კარის მრგვალი სვეტებიდან გადადის ორი კამარა, მარჯვნივ და მარცხნივ ხატებისათვის. სვეტების ბაზები შემკობილია სიმრგვალეებით. კანკელზე და ეკლესიის კედლებზე შიგნით ემჩნევა ფრესკების ნაშთები მხედრულის წარწერებით, რომელნიც მოგვაგონებენ სოფ. დაბიშის ეკლესიის ფრესკებს და წარწერებს. დასავლეთის კედელზე ჯერ კიდევ კარგად დაცულია სცენა, როგორ ართმევს ეშმაკი, სატანა, ანგელოზს პატარა ბავშვს. ეშმაკი კუროს თავით არის წარმოდგენილი, რქებით და ფრთებით. ამის გვერდით წ- ა გიორგი ვეშაპს გმირავს შუბით. საკურთხეველში ემჩნევა ფრესკები მაცხოვრისა, წ- ა ნიკოლოზისა და ბასილი დიდისა. ამ მიტოვებულს ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ მარტო ერთი ხატი წმ. გიორგისა, 23X18 სანტ. ვერცხლისა, ნაჭედი; მხედარი ცხენით არის წარმოდგენილი და გმირავს გვირგვინოსანს. ქვემოდ, გაფუჭებულ მხედრულ წარწერაში იკითხება: წ- ო მთავარ მოწამეო შ-ე ...

ხელობა ტლანქია, სვანური, მე-19 საუკ. (№16905).

სოფელი ღობი.

სოფელი ღობი გაშენებულია ღობის წყლის პირზე, რომელიც არის შენაკადი ცხენის წყლისა, მარცხნივ. პატარა ქვის ეკლესია ამ სოფლისა ზედ წყლის პირად არის ამართული და წყალდიდობის დროს ეკლესიაში წყალი შედის; ამიტომ აქ დიდი ნოტიობა არის. აღმოსავლეთის ნაწილი ეკლესიისა შემკობილია სამი კამარით, რომელნიც ეპყრობიან პილიასტრებს; შუა კამარაში ფანჯარაა ჯვარით. აღმოსავლეთის კედლის ფრონტონის წვერში არის ქვიდან გამოქანდაკებული ცხვრის თავი; მის ქვემოდ სამი ლამაზი პასკა (შიშკი). საკურთხეველის კედელში ორი უბეა.

კანკელი ქვისაა ერთის აღსავალის კარით. შესავალი მარტო დასავლეთიდან არის. ფანჯარა არის, გარდა აღმოსავლეთისა, დასავლეთიდან და სამხრეთიდან. კედლები შიგნით მოხატული ყოფილა ლამაზი ფრესკებით; ყველაზე უკეთესით სადადიანო სვანეთში, ხუცური წარწერებით; საკურთხეველში კარგად ყოფილა დაცული ფრესკები იოანე ოქროპირისა, წარწერით: ი-ე ოქროპირი; ბასილი დიდისა: წ-ჲ ბასილი. ამათ ეტრატები აქვთ ხელთა ხუცური ტექსტებით. ტრაპეზი კედელზეა მიშენებული; მასზე ჯვარია დახატული, წარწერით: ჯ-ი ქე- სი. ეკლესია დახურულია ყავრით. ეკლესიაში ინახება მხოლოდ ორი ხატი:

1. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, მოოქრული, ნაჭედი, 49X43 სანტ. ღვთის მშობელი ტახტზე მჯდომარეა ძითურთ; მის ზემოდ ორივეს მხრით მთავარანგელოზებია, მფრინავი პოზით და წარწერებით: წ-ჲ მ-ქლ, გბ-ლ. აქეთ-იქით ტახტისა პეტრე და პავლეა. აშია მოჩუქურთმებული დაცულია მთელად მხოლოდ მარცხნივ, ზემოდ მარტო ორი მედალიონია შენახული, და მარჯვნივ ერთი. მარცხენა აშიაზე, შუაში, მედალიონში წარმოდგენილია პავლე მთელის ტანით და ღვთის მშობელი ზემოდ. მარჯვენა აშიაზე წმ. გიორგია (№16896). ქვემოდ ხატისა ხუცური წარწერა:

წ-ო ღვთის მშობელო შ-ე იწას ს-ფლი დაშ-შ-თ ილოცეთ.

ესე იგი: წმიდაო ღვთის მშობელო, შეიწყალე იწას სოფელი და შიშით ილოცევით.

სოფელი იწა გაშენებული ყოფილა ღობის ზემო მთაზე, მაგრამ ეხლა მიტოვებულია.

ეს ხატი ფრიად ემსგავსება კარედიან ხატებს ჩუკულისა, რომელიც ზემოდ იყო აღწერილი მე-7 ნომრით, და ჩიხარეშის პირველი ნომრით აღწერილს (შეადარე ფოტოგრაფიები №№189,16857,16879), მაგრამ ეს გაცილებით მეტად ტლანქი ხელობისა არის, უშნო, მახინჯი ფიგურები, ულაზათო, ტლანქი ტანისამოსი მათი უფრო მოგვაგონებენ ესკიმოსებს, ვიდრე წმიდათა სახეებს. ხატი მე-18 საუკ. უნდა იყოს. განხილული ხატი დარჭობილია ხეტარზე ფართო პირით და ასრულებს ბოყერის მაგიერობას.

2. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქელისა,** მოოქრული, ვერცხლისა, ნაჭედი, 31X21 სანტ. ლამაზი ხელობის არის. წარწერები სახელისა ბერძნულია. მთავარ ანგელოზი ლამაზი ქალის სახითაა წარმოდგენილი, სრულის ტანით, მარჯვენა ხელში ლაბარუმი აქვს, მარცხენაში ბურთი; ტანისამოსი სამეფო ბიზანტიური; სურათი წერტილებით შემდგარ ოთხკუთხედშია. აშია მერმინდელი უნდა იყოს, სხვა და სხვა; ზემოდ და ქვემოდ პრტყელი ლურსმულ-რომბური, მარჯვენა არ შენახულა; მარცხენა ოვალური წრეებით არის შემდგარი (№16895).

3. სპილენძის **დოქი,** შემკობილი ლამაზად აღმოსავლეთის ხლართულებით, გატეხილი. ეხლა საქ. საისტ. და საეთნ. მუზეუმშია.

სოფელი ლამზაგორი.

სოფელი ლამზაგორი გელოვანების სოფელია, ლამაზი და აქ არის გელოვანების კოშკიც (№17624).

ლაშხეთის საზოგადოებიდან გზა გადადის ლათფარის უღელტეხილით ზემო სვანეთში ანუ ენგურის სვანეთში. მანამ ამ გზას შეუდგებოდეთ, უნდა გაუაროთ ტყიან მთას ლუდჟის მდინარის პირად. ამ მთაზე არის გაშენებული ფრიად ლამაზი ლუჯის ციხე (№№100,160,162). თვით უღელტეხილის დასაწყისი გარდაფხაძეების სოფლიდან იხ. №17623.

ნაწილი მესამე

თავისუფალი სვანეთი

თავისუფალი სვანეთი შეადგენს ერთს ნაწილს ზემო სვანეთისა. გეოგრაფიულად ზემო სვანეთი შეიცავს მდინარე ენგურის ხეობას სათავიდან სამეგრელოს საზღვრამდის, ისტორიულად ზემო სვანეთი იყოფა ორ ნაწილად: თავისუფალ სვანეთად, სადაც განსაზღვრულ დროიდან მოსპობილ იქმნა ხელისუფელბა სვანთა ერისთავისა და თავად-აზნაურთა, და სათავადო ანუ სადადეშკელიანო სვანეთად, სადაც დადიშკელიანებმა შეინარჩუნეს ბატონობა უკანასკნელ დრომდის.

თავისუფალ სვანეთს შეადგენენ თემები: უშკულისა, კალასი, იფარისა, წვირმისა, ადიშისა, მუჟალისა, მულაყისა, მესტიისა, ლენჯერისა და ლატალისა.

უშკულის თემი

უშკულის თემის სოფლები გაშენებულია ენგურის სათავეში, იქ სადაც ჩამოდის დიდი საყინულე, ანუ, უკეთ ვთქვათ, გეოლოგ ფავრის განმარტებით, უშკულის თემები მოთავსებულია საყინულეს ძველ მარენაზე. ამ თემს შეადგენენ სოფლები: ჟიბიანი, ჩვიბიანი (ჩჯბიანი), ჩაჟაში და მურყმერი (სვანურად: მურყმერ).

სოფლებში ყოველგან ქვის სახლებია, უმეტეს შემთხვევაში, ორსართულიანი, ფილაქნის ქვებით დახურული. სახლებს ხშირად ახლავს მაღალი კოშკები. ამიტომ მთლი უშკულის თემი, ერთი ერთმანეთზე მიბმული სოფლებისაგან შემდგარი, თავისი მაღალი კოშკებით, შორიდან მოგეჩვენებათ ქალაქად, რომელშიაც მრავალი ქარხნებია მრავლის მაღალის კვამლ-სადენებით.

პეიზაჟები სოფლებისა ჩვენ საკმაოდ გადმოვიღეთ ფოტოგრაფიის საშუალებით: №174 წარმოგვიდგენს სახეს სამი სოფლისას ერთად, ჟიბიანისა, ჩვიბიანისა და მურყმერისა; №17494 არის სახე ჩაჟაშის სოფლისა და მის თავში მდგარი კოშკებისა;

გადმოღბულია სიუფის მაღლობიდან, სადაც თამარ მეფის კოშკებია; №17493-ზე ჩვენ გვაქვს სოფ. ჩვიბიანის სახე, გადაღებული სოფელ ჩაჟაშიდან; №17495 გვიჩვენებს დასაწყისს სოფ. ჩაჟაშისა მურყმერიდან რომ გამოხვალთ; №17491 გვიჩვენებს სამ ეკლესიას ჟიბიანის სოფლისა: ერთი არის „უფალ“ მარჯვენით ხევნარში; მეორე, ღვთის მშობლისა, შტატის დიდი ეკლესია, და მესამე, წმ. გიორგისა; №17492 არის სახე ეგრეთ წოდებული თამარ მეფის ციხე-კოშკებისა აღმოსავლეთის მხრიდან. აქ სამი კოშკია აშენებული მაღალ გორაზე, სიუფ-ზე და ერთ დროს მტკიცედ მოზღუდული ყოფილა; ზღუდე ეხლა ნაწილობრივ არის დაცული. აქ, ადგილობრივ გადმოცემით, ცხოვრობდა თამარ მეფე; სხვა გადმოცემით, მისი ქალი რუსუდან დედოფალი. ამ ციხის ფორპოსტად ჩაითვლება მის ქვემოდ, უფრო დაბალ გორაზე აშენებული ოთხი კოშკი სოფელ ჩაჟაშის თავზე (№17494). №17480-90 წარმოდგენილია პეიზაჟები ციხე-კოშკებისა ლენკვრი-მუყმოლარ მთაზე, საიდანაც გადადის გზა ლაშხეთის საზოგადოებაში, სადადიანო სვანეთში. №17540-ზე არის გუნდი ჩაჟაშის მცხოვრებთა მაცხოვრის ეკლესიასთან გადაღებული.

სოფელი ჟიბიანი.

სოფელი ჟიბიანი ენგურის სათავეში ძევს და ამიტომ ყველაზე მაღალი სოფელია მთელ სვანეთში. სოფელში სამი ეკლესია არის. პირველი დიდი, შტატის ეკლესია ღვთის მშობლისა. ეს ეკლესია სოფლის გარედ არის მაღლობზე აშენებული, ირგვლივ ზღუდით მოვლილი და გამაგრებული კოშკით. ამ ზღუდეს ორი შესავალი კარი აქვს, ერთი მათგანი რკინით არის შეჭედილი; ეზოში ბოძზე ჰკიდია ორი ზარი. თვით ეკლესია ქვისაგან აშენებული არის ბაზილიკანური ანუ სიონური რიგისა და აქვს გაერთიანებული ეკვტერები სამხრეთით და დასავლეთით. ეკვტერები მერმე უნდა იყოს მიშენებული. საკურთხეველი გამოდის გარედ სამწახნაგოვნად. ეკლესიის სიგრძე დასავლეთით ეკვტერითურთ არის 11 არშინი და 10 ვერშოკი; განი სამხრეთის ეკვტერითურთ 9 არშინი და 2 ვერშოკი. სისქე კედლისა 1 არშინი და 3 ვერშოკი. შესავალი ეკვტერში არის სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო ეკლესიაში მხოლოდ დასავლეთით. კანკელი ქვისაა, სამ-კამარიანი; კამარები იატაკიდან იწყება, დამყარებულია ქვის სვეტებზე, მცირედ შემკობილი სვეტის თავებით (იხ. უვაროვისა, ტ. XXa, სურ. 21 b). კამარებში ეხლა მოთავსებულია ხატები.

კედლები მოხატული ყოფილა, მაგრამ ეხლა მხატვრობა გაფუჭებულია. დ. ბაქრაძის დროს უკეთ ყოფილა დაცული (გვ. 124). ეხლა კარგად მოსჩანან მხოლოდ საკურთხეველის კონქში ვედრება მთავარ ანგელოზებითურთ. მაცხოვარი გაშლილი სახარებით არის წარმოდგენილი, სადაც იკითხება: მე ვარ ნათელი სოფლისა და სხვა, საკურთხეველის კედელზე ეკლესიის მამებია; შიგ ეკლესიის ცაში შობა და ფერისცვალება; დასავლეთის კედელზე წმ. გიორგი და წ-ა თეოდორე. ეკლესიაში მოიპოვება:

1. დიდი კანკელის საწინავე **ჯვარი ხისა**, დამყარებული ქვის კვარცხლბეკზე საკურთხეველის წინ, მარჯვნივ; შემერწილია ვერცხლის ფირფიტებით და ტლანქი

ფიგურებით მაცხოვრისა, მთავარ ანგელოზთა და წმიდა გიორგისა. ზემოდ ორი დრობნიცაა.

2. მეორე ასეთი **ჯვარი**, დამყარებული კვარცხლბეკზე, არის მარცხნივ საკურთხეველისა; შეძერწილია ვერცხლის ნაჭრებით, რომლებზედაც მოსჩანან უკეთესი წ-თა სახეები, ვიდრე პირველ ჯვარზე, მაგრამ საერთოდ მაინც ტლანქია. ზემოდ გამოსახულია მთავარ ანგელოზი და ღვთის მშობელი.

3. კიდევ ორი ასეთივე **ჯვარი**, ეხლა კანკელზე მიჭედილნი როგორც ეტყობა, ყოფილა შეძერწილი ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით, მაგრამ ეხლა სულ გაფუჭებულია ან მოძარცული; ხოლო ერთზე დაცულია ჯვარის ქუდი მოციქულთა მედალიონებით.

4. **ჯვარი** შუა ტანისა, ხისა, შეძერწილი ვერცხლის ნაჭრებით ტლანქი ხელობისა, 5741 სანტ. უმბოს ზემოდ ემჩნევა წმიდა გიორგი სრულის ტანით გამოხატული; ქვემოდ დედა ღვთისა ჩჩვილედი, აგრეთვე სრულის ტანით. ბოლოში წმ. გიორგი ცხენით, გმირავს ადამიანს. სხვა მრავალ მედალიონებში, უმბოს ირგვლივ, წარმოდგენილნი არიან დედა ღვთისა, იოანე და სხვა წმიდანი (№17329).

5. მეორე **ასეთივე ჯვარი**, 70X36 სანტ. ნაწილობრივ მოძარცულია; ზემოდ და ქვემოდ უმბოისა და აგრეთვე სულ ქვემოდ მედალიონებში წარმოდგენილია დედა ღვთისა ჩჩვილედი. მარჯვნივ და მარცხნივ უმბოისა არის ფიგურა სრულის ტანით და წარწერით: წ-ა კ-ე (კვირიკე). ქვემო ფრთაზე ჯვარისა ორი წმიდანია სრულის ტანით; წარწერა არა აქვთ (№17330).

6. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 49X41 სანტ. (№7315). მაცხოვარი მაღალ ტახტზე მჯდომარეა სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით. ფეხები შიშველი აქვს, სკამზე დადებული. ნიმბი ჯვარის სახედ არის. წარწერა ჯერ ბერძნულად, შემდეგ ქართულად, ხუცური ასოებით: წ-ი სა-მე-ბა. ეზო სადაა; შინაგანი აშია ბაწრული სახისა ვიწროა და უბრალო; გარეგანი უფრო ფართო, ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით შემკობილი და მედალიონებით წ-თა. ზემოდ, შუაში „ი-ჯ ქ-ე“, კუთხეებში: „წ-ჲ იონმცლ(ი)“ და „წ-ჲ პ-ე“, მარჯვნივ და მარცხნივ მთავარ ანგელოზნი; ქვემოდ წ-ა გ-ი, წ-ა დ-ი და წ-ა თ-ე. ხატი მე-14 საუკ. უნდა იყოს. გრაფინია უვაროვისა მას აკუთვნებს მე-11-12 საუკუნეს და ფიქრობს, გარეგანი აშია სხვა ხატიდან არისო (გვ. 103, ტაბ. XXVIII), მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს, ვინაიდან კუთხეებში აშიები გაყოფილია ისეთისავე ბაწრულის შემკობილებით, როგორც შინაგანი აშია ხატისა.

7. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 50X35,5 სანტ. მრავალ წმიდათა ვერცხლის ფირფიტებით შევსებული, სხვა და სხვა დროისა, საზოგადოთ დაბალი ხელობისა. (№17318). მაცხოვარი ტახტზე ზის ჩვეულებრივი პოზით, წარწერა ბერძნულია; მარცხნივ მისა მთავარ ანგელოზი გაბრიელი სრულის ტანით და ლაბარუმით, თუმცა წარწერა სახელისა უჩვენებს წმიდა გიორგის: წ-ჲ გ-ჲ. მარჯვნივ მეორე მაცხოვარია, უფრო პატარა, აგრეთვე ტახტზე მჯდომარე; მის ქვემოდ, სრულის

ტანით, რომელიმე წმიდანი, სახელი არ უწერია, ხელში ჯვარი უჭირავს. ქვემოდ მედალიონში ღვთის მშობელი ჩჩვილედი, წელსზევითი, ბერძნულის წარწერით სახელისა. ორივე მხრით ამ მედალიონისა დრობნიცებია წმიდათა ფიგურებით. აშია ფართოა რომბ-ლურსმული, მედალიონებით. მარჯვნივ და მარცხნივ აშიებზე დედა ღვთისა და იოანე სრულის ტანით. ზემოდ და ქვემოდ სამ-სამი მედალიონი წელსზევით ფიგურებით. მე-16-17 საუკუნის უნდა იყოს.

8. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 43X34 სანტ. ისეთივე კომპოზიციისა და ხელობისა, როგორც წინა ხატი, ხოლო უფრო ცუდათ დაცული (№17317).

9. **ხატი მაცხოვრისა,** 108X73 სანტ. წამლით დახატული ყოფილა, მაგრამ ეხლა ფერადები გადასულია, დარჩენილია ვერცხლის დიდი ნიმბი ჯვარის სახით და ბალახოვანი შემკობილობით. დარჩენილია აგრეთვე სრულად რომბ-ლურსმულის აშიები მედალიონებით წმიდათა (№17319). მე-16 საუკ. უნდა იყოს.

10. **ხატი მაცხოვრისა**, 51,5X37 სანტ. ყოფილა წამლით დახატული; ფერადები გადასულია; დარჩენილია მხოლოდ საუცხოო ხელობის ვერცხლის ნიმბი ჯვარის სახედ, ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით შემკობილი და ასეთივე ხელობის აშიები წმიდათა მედალიონებით. მოსჩანს აგრეთვე სახრების სახე, ჯვარით შემკობილი, რომელიც ქრისტეს სჭერია ხელში (№17321). მე-13-14 საუკ. უნდა იყოს.

11. **ხატი იოანე ნათლის მცემელისა**, 44X30 სანტ. ყოფილა ფერადებით დახატული, მაგრამ ფერადები სულ გადასულა; ნიმბი ფართო, სადა, ოქროსია. აშიები ვერცხლისა ოთხკუთხედებათ დაყოფილი, შემკობილია სევდიანის ბალახის მსგავსი ორნამენტით. წარწერა ზემოდ სხვილის ასომთავრულით: წ̇ᲂ ᲘᲝᲕᲐᲜᲔ ᲜᲗᲚᲘᲡ ᲛᲪᲔᲛᲔᲚᲝ (№17316). ქვემოდ სევადით უწერია (ფოტოგრაფიაზე არ არის გამოსული):

წ̇Ო ᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲛᲪᲔᲛᲔᲚᲝ ᲛᲔᲝᲮ ᲛᲔᲧᲐᲕ ᲛᲔ ᲕᲐᲛᲔᲧᲡ ᲕᲠᲓᲜ.

უკანასკნელი სიტყვა წარწერისა დამთავრებული არ არის, ამიტომ ორნაირად შეიძლება მისი წაკითხვა: ვარდან(ს), ანუ: ვარდან(ისძეს). ჩვენის აზრით, მეორე წაკითხვა უფრო სწორი იქნება, ვინაიდან ეს სიტყვა გვარს უნდა შეიცავდეს ვამეყისას და არა სხვა პირის სახელს. ამიტომ ჩვენ წარწერას ასე ვკითხულობთ:

„წმიდაო ნათლის-მცემელო, მეოხ მეყავ მე ვამეყს ვარდან(ის ძეს)“.

ვამეყ ვარდანის ძე ისტორიაში უცნობია, მაგრამ ის უნდა ეკუთვნოდეს სვანთა ერისთავების ვარდანის ძეთა გვარეულობას. ა. ხახანაშვილს სიტყვები „ვამეყს, ვარდან” ვერ ამოუკითხავს (გვ. 34). ხატი მე-12-13 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

12. **ხატი ღვთის მშობლისა,** ფერადებით დახატული, ჩჩვილედი, 65X51 სანტ. კარგის ხელობისა; ფერადები დაზიანებულია (№17312). აშიები შემკობილია ბალახოვანი ორნამენტით და წ̇თა მედალიონებით. ზემოდ: წ̄Ა Გ̄Ი და მთავარ ანგელოზნი; მარცხნივ: წ̄Ა Ბ̇ᲡᲚᲘ: მარჯვნივ: წ̇Ა ᲚᲣᲙᲐ; ქვემოდ:: წ̇Ა Კ̇Ე (კვირიკე), წ̇Ა Დ̇Ი და წ̇Ა თ̇Ე. ხატი მე-14-15 საუკ. უნდა იყოს.

13. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, 69X52,2 სანტ. დახატული ყოფილა ფერადებით; ფერადები გადასულია. დარჩენილია ვერცხლით შემკობილი ზემო

ნაწილი ნიმბებითურთ და აშიები წ¯თა მედალიონებით, ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით შემკობილნი. აშიებზე წარმოდგენილნი არიან, მარცხნივ: წ¯ჲ ბასილი; მარჯვნივ: წ¯ი გ¯გ (გრიგორ); ზემოდ: ვედრება; ქვემოდ: წ¯ი დ¯ტი, წ¯ი გ¯ი და წ¯ ი თ¯ე. ხატი მე-12-13 საუკ. უნდა იყოს (№17313).

14. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, დიდის ზომისა, წამლით დახატული ხეზედ. ახალი ხელობის არის. ღვთის მშობელი ტახტზე ზის. ნიმბები შემკობილია ძვირფასი ქვებით. აშია ვიწროა, ტალღისებური შემკობილობით; ზემოდ დიდრონის ასომთავრულით წარწერა: დედა ღ¯ისა. ი¯ჳ ქ¯ე (№17324).

15. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 34X27 სანტ. ღვთის მშობელი წელსზევითია, რელიეფით წარმოდგენილი. ნიმბი უბრალოა, წერტილებით მოცული; ძისა ნიმბი ჯვრის სახედ არის. ნაოჭები ჩაცმულობისა ხშირია. წარწერა სახელისა ბერძნული. აშიები ფოთლის სახეებით არის შემკობილი, ლამაზი; ზემოდ და ქვემოდ სულ დაკარგულია; მარჯვნივ ცოტაა დარჩენილი. ხელობა მე-14 საუკ. უნდა იყოს. (№185).

16. **ხატი გარდამოხსნისა** კარედი. სახეები ფერადებით დახატული ყოფილა და მერმე ოქროთ შემოსილი; ფერადები ზოგი სულ გადასულია. ეზო ოქროს ბასმისაა. შუა ნაწილში კარედისა იესო ქრისტეს ჯვარიდან ჩამოღებაა წარმოდგენილი კამარას ქვეშ. კამარას ზემოდ, კუთხეებში მთავარ ანგელოზებია; ქვემოდ ასომთავრული წარწერის ნაწყვეტია დარჩენილი: ... ლისა ... / ... ბელო .... მარჯვენა კარი სულ შიშველია; შემკობილება მოძარცულია (№17326), მაგრამ რამოდენიმე წლის წინეთ გადაღებულ ფოტოზე ცოტა ზემო და ქვემო ნაწილები ოქროს ბასმებისა კიდევ მოსჩანან (№185). მეორე დაცულ კარზე წარმოდგენილია ჯვარის ტვირთვა და წაღება იესოს მიერ (№17326 და 185). ზურგზე ხატისა ასომთავრული წარწერაა (იხ. №17306):

ქ . რომელი ; ჯრს ეცვ	რომელი ჯუარსა ეცვი
ჩენთის : ქრისტ	ჩვენთვის ქრისტე,
ე ღმერთო : ჩენო მეოხ	ღმერთო ჩვენო, მეოხ
დ : მფრველ გექმენ : მოს	და მფარველ გვექმენ მო-
ა ვ	სავ -
თა : დ მმკობთა : ხატისა	თა და მამკობთა ხატისა
შენისა : მე : მეჩაბალახ	შენისა : მე მეჩაბალახ-
ძესა : ესონას	ძესა ესონას,
და : მეჯღლესა : ჩემსა	და მეუღლესა ჩემსა
ბარბალეს : შ¯ვ : ღ¯ნ : ამ¯ნ.	ბარბალეს შეუნდევ
	ღმერთმან, ამინ.

შეადარე დ. ბაქრაძის წაკითხული (გვ. 124-125). გრ. უვაროვისა ხედავს ამ ხატში თუ არა ნახელავს დასავლეთ ევროპის მასტერისა, ყოველ შემთხვევაში ევროპის მხატვრობის გავლენას (გვ. 124), ხატი მე-12-13 საუკ. უნდა იყოს.

17. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა**, ვერცხლისა, მოოქრული, ნაჭედი, 49X41 სანტ. (№185 და 17314). მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით. მარჯვენა ხელში ლაბარუმი აქვს, მარცხენაში ბურთი. ტანი მისი მოკლეა, თავი დიდი, დიდის ნიმბით, შემკობილი ორი ლალით; ქვემოდ ორი ადამიანია დაჩოქილი, ვედრების ნიშნით და სვანურის ტანისამოსით; ეზო ხატისა ვაზოვანი ორნამენტით არის შემკობილი; აშიები რომბ-ლურსმული, ექვსი მედალიონით წმიდანებისა; რვას სურათები არ ჰქონია. ხელობა დაბალია, სვანური, მე-15-16 საუკუნისა უნდა იყოს. წარწერა სახელისა ზემოდ: ქ მ-ქელ მთ-გეჲ. წარწერა დაჩოქილ პირთა ძნელი გასარჩევია:

მარცხნივ:	მარჯვნივ:
ქ წმჲო მ	ო შევეედ
	ვბსმჲნ

ესე იგი: „წმიდაო მთავარ ანგელოზო, შეივედრე ერისთავი დავბასმინ (ანუ დევბასმინ)“.

თქმა არ უნდა, ეს წაკითხვა საეჭვოა, მაგრამ ცდა ყოველთვის საჭიროა. ეხლა ეს ხატი ცოტა დაზიანებულია აშიებზე. (№17314), ხოლო წინა გადაღებულზე უფრო შენახული მოსჩანს (№185).

18. **ხატი მთავარ ანგელოზის მიქაელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 101X61 სანტ. თავი ოქროთ დაფერილი აქვს (№189 და 17320). მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის წარმოდგენილი, ლაბარუმით მარჯვენა ხელში და ბურთით მარცხენაში. ეს სვანური მიბაძვაა კარგი ორიგინალისა, მაგრამ ჯეროვანად ვერ გამოსვლია ოქრომჭედელს. ტანი ანგელოზისა ერთობ გრძელია; თავი შედარებით პატარა. ტანისამოსი სამეფო ბიზანტიური დამახინჯებულია. ეზო და მაღალი ფეხის დასადგამი შემკობილია ძლივს შესამჩნევი ბალახოვანი მოხატულობით. აშია გაყოფილია ოთხკუთხედებად და მოცულია კვადრატული ნაჭედი შემკობილობით. სადა ოთხკუთხედებში ჩატანებულია სიმრგვალეები წერტილების შემკობილობით. სიმრგვალეებში მინიატურული სახეები წმიდანებისა, ზემოდ: ვედრება, ქვემოდ, მარცხნივ და მარჯვნივ, მთავარ ანგელოზი და წმ. გიორგი ცხენით. ზემოდ წარწერა ასომთავრული: ქ. წ-ჲ მთვრნგელოზჲ მჲქელ. მარცხნივ ქვემოდ მეორე წარწერა, რომელიც არც დ. ბაგრაძის (გვ. 124) და არც ა. ხახანაშვილის მიერ (გვ. 34) ჯეროვანად არ არის გარჩეული. წარწერას ჩვენ ვკითხულობთ ასე:

1. ქ. წ ¯ ო მთვრნგლ	ქ. წმიდაო მთავარანგელ-
ოო :შეჲწყლე : მა	ოზო, შეიწყალე მა-
შენებელჲ შენჲ : სო	შენებელი შენი სო-
ფელჲ ესე : ცენა : დე	ფელი ესე ცენა, დე-
5. დნჲ და მამანჲ ყვლ	დანი და მამანი, ყოველ(ნი)
კსნჲ (sic) და : მეოხ : ექმენ :	კაცნი, და მეოხ ექმენ
წჲშენ ქრჲთეს დღ	წინაშე ქრისთეს(ა) დღ-
8. ეს მას : განკჲთხვსს	ეს(ა) მას განკითხვისას(ა).

მე-6 სტრიქონში აშკარად სწერია კსნჲ(=კასნი, კაცნის მაგიერ); იმავე სტრიქონში, სიტყვაში: მეოხ, უკანასკნელი ასო წააგავს ბ-ს, მაგრამ ეს უკუღმა დაწერილი ხ-ნი უნდა იყოს. რომ აქ „მეოხ“ იგულისხმება, ამას მისი მიმყოლი სიტყვები ამტკიცებენ აზრის მიხედვით. ამას გარდა წარწერაში ი-ს მაგიერ ყოველგან იხმარება ჲ. სიტყვა „ქრისტე“ გადმოცემულია ჩვეულებრივ სვანური წარწერებისა, როგორც „ქრისტე“, აგრეთვე ნ-მეტია სიტყვაში „წინაშენ“. გრაფინია უვაროვისა ემყარება დ. ბაქრაძის და ა. ხახანაშვილის წაკითხვას და სოფელ „ცენას“ არც ის იხსენიებს (გვ. 111, სურათი XXVIII).

სოფელი ცენა მდებარეობს ზეკარზე ანუ უღელტეხილზე, რომელიც არის გადასავალი უშკულიდან ენგურის ანუ სადადიანო სვანეთში. ეხლა იქ ცხოვრობს მხოლოდ ექვსი კომლი სვანი, რომელნიც უშკულის საზოგადოებაზე არიან მიწერილნი, ვინაიდან ეს სოფელი ცხენის წყლის სათავეშია, ამიტომ ხშირად იყო გამოთქმული აზრი, რომ მდინარეს ცხენის წყალი კი არ უნდა ერქვას, არამედ **ცენის წყალიო**, და მდინარის სახელი ამით დაუმახინჯებიათო, მაგრამ ეს აზრი მიუღებელია, ვინაიდან უძველესი დროიდან ბერძნები ამ წყალს „ღიპპოს“ ეძახდნენ, რაც ცხენს ნიშნავს, და მათ ეს სახელი ქართულიდან უთარგმნიათ. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ხატი ადგილობრივ სვანის ოქრომჭედელის მიერ არის გკეთებული, კარგი კლასიკური დროის ხატის მიბაძვით, მაგრამ სუსტად შესრულებული დაცემის ხანაში. მიუხედავად ამისა ის ორიგინალურია და არც სილამაზეს მოკლებული. და ის თვით სოფელ ცენის საზოგადოების საფასით არის შეკვეთილი. ხატი მე-15-16 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

19. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 11X9 სანტ. ღვთის მშობელი წელზევითია ერთის ძვირფასი ქვით და წარწერით: დ¯და ღ¯თისა. ზემოდ აშიაზე მთავარ ანგელოზებია; მარჯვნივ მთელის ტანით; მარცხნივ – წელზევითი, მედალიონში. ირგვლივ ვულგარული წარწერა აქვს:

ყო / ლა / [დ] წ-ო :. შ-ე : სლისა : მართ-ი.

ესე იგი უნდა იყოს: ყოვლად წმიდაო, შეიწყალე სული მართასი.

ფრიად ტლანქი სვანური ხელობაა მე-18-19 საუკ. (№ 17307).

20. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, 26,5X15 სანტ. ფერადებით ყოფილა დახატული, ხოლო ნიმბები და აშიები ოქროსია. ფერადები სულ გამქრალა, აშიის მარტო მარჯვენა მხარეა დარჩენილი, ბროწეულის ყვავილის მსგავსი შემკობილობით; დარჩენილია აგრეთვე ნიმბები. მე-12-13 საუკ. უნდა იყოს. (№17323).

21. **ვერცხლის ფირფიტა**, 26X24 სანტ. რომელზედაც წარმოდგენილია ორი ერთგვარი და ერთი ზომის ფიგურა მთავარ ანგელოზის მიქელისა: წ-ჲ მ-ქ. აშიებზეც ფიგურები ყოფილა, მაგრამ ეხლა გაფუჭებულია. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკ. (№17323).

22 **ხატი მთავარ ანგელოზ მიქელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 16X13 სანტ. მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის: წარმოდგენილი ლაბარუმით და ბურთით; თმა ხუჭუჭი აქვს. აშია რომბ-ლურსმული; ხელობა ტლანქია, სვანური, მე-17-18 საუკ. (№17323).

23. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, ღვთის მშობელი წელსზევითია, თავი ძისა მომტვრეულია. აშია ოთხკუთხედებად არის დაყოფილი წერტილოვანი შემკობილობით. ხელობა დაბალია, მე-17 საუკ. (№17323). (უკანასკნელი ოთხი ხატი 20-23 ერთ ფირფიტაზე არის გადმოღებული).

24. **ხატი მაცხოვრისა,** წელსზევითი, კარედი, მაგრამ კარები ეხლა დაკრგულია. დარჩენილია შუა ნაწილი, 10X8 სანტ. მაცხოვარი ყოფილა ფერადებით დახატული; ფერადები ეხლა სულ გადასულია; დარჩენილია ნაწილი შესამოსლისა და ნიმბი ჯვარის სახისა, დიდი, თხელის ოქროს ბასმისა, მოჩუქურთმებული (№17308). მეორე გვერდზე არის ასომთავრული წარწერა (№17309):

წ̈ᲛᲓᲐ	წმიდა-
Ო Მ̈ᲪᲮᲕᲠᲝ . Მ	ო მაცხოვარო, მე-
Ხ ᲔᲥᲛᲔ ᲛᲠᲨᲘ	ოხ ექმე(ნ) მარუში-
ᲐᲜᲡᲐ : Დ	ანსა დ-
Ა ᲫᲔᲡ Მ	ა ძეს(ა) მ(ისსა).

წარწერაში ასო Ა̈ თავის ადგილზე არ არის. ასო ს-ნი ორივე შემთხვევაში შებრუნებულად სწერია. ასო რ მოგვაგონებს ასო ს-, მოკაუჭებული წრით, მარცხნივ, შუაში; ეს მიტომ, რომ შებრუნებულია.

ამ წარწერაში მოხსენებული მარუშიანი უნდა იყოს მარუშიან ვარდანისძე, რომელსაც თამარ მეფემ უბოძა ჩუხჩერახობა (H.G. I. p. 410, N 2). რომ ასეც არ იყოს, ხატი თავის ხელობით მაინც მე-12 საუკუნეს ეკუთვნის.

25. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 32X22 სანტ. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა ჩვეულებრივი პოზით, ნიმბი ჯვარის სახისა არის. სახარება მისი ორის ჯვარით არის შემკობილი; აშია რომბ-ლურსმული, მრავალის მედალიონებით; რვაში წ¯თა სახეებია. ხელობა დაბალია, მე-16 საუკ. (№17322).

26. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, 21X15 სანტ. მაცხოვარი ტახტზე ზის ჩვეულებრივის პოზით. ხატი დაშლილია და ფრიად დაზიანებული; რომბ-ლურსმულის აშიიდან მარტო ნაწილია დაცული მარცხენა მხარეს. ხელობა ტლანქია (№17322), მე-18 საუკ.

27. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, მაცხოვარი წელსზევითია, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით; ფრიად დაზიანებულია. აშია რომბ-ლურსმული. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკუნ. (№17328).

28. **ხატი წმიდა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი. მთავარ მოწამე წარმოდგენილია ფეხით, მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა ფარზე აქვს დადებული; წარწერა სახელისა ასომთავრულით: წ¯Ა̈ გ¯ი. აშია თხელის ბასმისა აქვს ტალღისებური შემკობილობით. მე-17 საუკ. უნდა იყოს (№17328).

29. **ხატი წმ. გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი 31X24,5 სანტ. წ¯ა გიორგი წარმოდგენილია ფეხით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა ფარზე აქვს დადებული. წარწერა: წ¯ი გ¯ი. (უკანასკნელი ორი ანბანი შებრუნებით არის დაწერილი). აშია ბროწეულის ყვავილის მსგავსი ორნამენტითაა შემკობილი; ქვემოდ არ შენახულა. მარჯვენა აშიაზე ქრისტეა ტახტზე მჯდომარე; მარცხენაზე – ღვთის მშობელი. ზემოდ მრგვალი მედალიონებია. ხელობა მე-16 საუკ. უნდა იყოს (№17322).

30. **ხატი მთავარ ანგელოზისა**, სალოცავად მიმართულის პოზით, ვერცხლისა, ნაზი ლამაზი ხელობის არის. აშია ორი აქვს მცირე წრეების და წერტილების სახეებით შემკობილი (№17327). მე-13-14 საუკ. უნდა იყოს.

31. **ხატი მთავარ ანგელოზის მიქაელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 17X14 სანტ. ტლანქი ხელობისა, მე-18 საუკ. აშია რომბ-ლურსმული (№17327).

32. **ხატი წ¯ა გიორგისა**, ვერცხლისა; წმიდა გიორგი ფეხოსანია, შუბით და ფარით, რომელზედაც მარცხენა ხელი უდევს. წარწერა: წ¯ი გ-ი. აშია, რომბ-ლურსმული, ცოტა დაზიანებულია. მე-16-17 საუკ. (№17327).

33. **დროშა** ტყავისა, რომელზედაც გამოსახულნი არიან სხვა და სხვა წმიდანები, ტლანქი ხელობისა. ტარი მისი თავდება ზემოდ ჯვარით, რომელიც შემკობილია ორი ძვირფასი ქვით (№17334).

34. **ჩარდახი** ხატებისათვის, ოთხ წვრილ სვეტზე გუმბათის მსგავსი თავით. სვეტები შეძერწილია ოქროთ დაფერილი ვერცხლით. ჩარდახი ეხლა დანგრეულია.

35. **ბარძიმი** ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, სირიულის ყაიდისა, არაბულის წარწერით. შემკობილია სევადით და მცირედ ამობერვილი სურათებით. ამათ შორის წ¯ა გიორგი ცხენით, რომელიც ადამიანს გმირავს (№17332). იოსები ჰყვედრის მარიამს, შობა ქრისტესი (№17311), ნათლის ღება (№17311 და 17625), იერუსალიმში შესვლა და ჯვარცმა (№17625). შეადარე უვაროვისა, გვ. 140, სურათი 61.

36. **კათხა** ფეშხუმის მაგიერ, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, მსხალის მსგავსი რელიეფებით შემკობილი (№17331), მაღალის ფეხით, რომელსაც ხის სახე აქვს და ამ ხეზე რელიეფით გამოყვანილი ადამიანია წარმოდგენილი, ცულით ხელში და ხეს მოჭრას უქადის. კათხაზე შემდეგი მხედრული წარწერაა:

ქ : შემომიწირავს : ეს : ვერცხლის : კათხა :. მე ერისთავს :
შოშიტას : უშკულის : დედა მღთისათვის : ჩვენად სად-
ღეგრძელოდ :. და :. გასამარჯვებლად . ამინ :. ღმერთო.

აქ უეჭველია იგულისხმება რაჭის ერისთავი შოშიტა. მაგრამ შოშიტა სამი იყო. შოშიტა პირველი იყო თანამედროვე ბაგრატ IV იმერეთის მეფისა და რაჭის ერისთავად გახდა 1535 წელს. შოშიტა მეორე გარდაიცვალა 1684 წ. ხოლო შოშიტა მესამე ერისთავად დაჯდა 1697 წ. და გადაიცვალა 1729 წ. წარწერის ხასიათის

მიხედვით, შემწირველი კათხისა უნდა იყოს შოშიტა მესამე. ყოველ შემთხვევაში თვით კათხა ძველი ხელობის არის, ვიდრე შოშიტათა ეპოქა.

37. **ფეშხუმი** ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, 28 სანტ. სიმაღლით; აქვს ფოთოლისებური შემკობილობა; ლამაზი ნახელავია (№17331, მარცხნივ).

38. **აზარფეშა** ვერცხლისა, შემკობილი უკანა მხარეს (იქვე, №17331), მხედრულის წარწერით სულა გელოვანის:

ქ :. ესე :. აზარ : ფაშა (sic) :. გულუანა (sic) სულას :.

39. **რქა** ჯიხვისა, ანუ **ქარასხი,** ღვინის სასმელი, ლამაზად შემკობილი (იქვე №17331), მხედრულის წარწერით:

ქ :. ღმთის :. მადლს :. რას :. მიწყენს :. შავი :. ყირმიზი :.
ღვინო :. ჴელთ :. მეჭიროს :.
ვარდი :. თავს :. მერჭოს:. ამ ვარდს : ვერ : ხედავ : და-
ლიე :. ღმთის :. მადლსა :.
ქვემოდ უწერია:
ქ :. ესე :. ქარასხი :. წულუკიძის :. მერაბისა :. არის :.

40. ვერცხლის **სურა** (პატარა დოქი), ჩუქურთმიანი, მხედრულის წარწერით, (იქვე, №17331).:
ქ : შეუწირავს : წულუკიძეს : მერაბს : უშკულის : დედა :
მღვთისათჳს : ესე ვერცხლის სურა : მისდა : სადღეგრძე-
ლოდ : ამინ :

მერაბ წულუკიძე ცხოვრობდა მე-18 საუკ. დამდეგს (ქართლ. ცხოვ. II, გვ. 226, H.G. II, 1 p. 643).

41. **სარკე** მრგვალი, ფოლადისა, 13,5 სანტ. დიამეტრით და ძვალის ხელით (№ 17332).

42. **სარკე** ხის ჩარჩოთი, სახეებიანი, „ჟესტით“ შეძერწილი. გამოცემულია უვაროვის მიერ (გვ. 142).

43. **სარკე** მრგვალი, ლითონის ხელით (იქვე, №17332).

44. **თასი** ვერცხლისა, ნავისებურად წაგრძელებული, შემკობილი მსხალის მსგავსი სახეებით (იქვე №17332).

45. ვერცხლის **ჯამი**, მხედრულის წარწერით:

ქ : ეს : ჯამი : ბეჟან : ლორთქიფანიძისაა.

ბეჟან ლორთქიფანიძე იყო მოღვაწე მე-18 საუკ. დასაწყისისა, თანამედროვე შოშიტა მესამე რაჭის ერისთავისა (ქართ. ცხ. II, გვ. 213, H.G. II, 1, 295, 299).

46. ვერცხლის **თასი**, მხედრულის წარწერით:
ქ : ღოღაბერიძის : როსტომის :. არის :.

47. ვერცხლის **თასი**, მხედრულის წარწერით:
ქ : ეს : თასი : სიხნია (sic) მეიფარიანის :. არის .

48. ვერცხლის **ჯამი**, მრუდი ზოლებით შემკობილი.

49. ვერცხლის წოწოლა **ჯამი** შემკობილობით.

50. სხვა ვერცხლის **სადა ჯამები – 20**.

51. **ვერცხლის თასი** მაღალის საფეხურით და მხედრულის წარწერით:

სულ : მქნელი :. ამისი . მანქარაშვილი ოტია

52. **ბადია** ვერცხლისა, დიდი დრობნიცით ფსკერში, მსგავსად დადეშკელიანის ბადიისა ეწერში (ფოტ. №17153), შემკობილი 4 თვალით; მისი დიამეტრი უდრის 41 სანტ.

53. **ვერცხლის თეფში** მხედრულის წარწერით:

ქ . წმიდის :. გიორგის ;. ილორის :. არის.

შიგნით ფსკერზე ხლართულის მხედრულით, ისე როგორც ლევან დიდი დადიანი ხელს აწერდა სიგელებზე, სწერია: „ლევან“. ცხადია, ეს ბადია ლევან დადიანის მიერ ყოფილა შეწირული ილორის ეკლესიისათვის, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში.

54. **ლახტი რკინისა**, შვიდის ფრთით, შემკობილი ვერცხლის ჭდეებით (№17333), (ნ. უვაროვისა, გ. 141).

55. **ცული საომარი** ბრინჯაოსი, კელტური რიგისა; საფლავიდან უნდა იყოს ამოღებული (იქვე №17333); (უვაროვისა, გ. 142, სურათი 63). ასეთი ცულები ჩვეულებრივია კობანის სასაფლაოებში, ოსეთში.

56. **ცული საომარი,** რკინისა, რკინისავე ტარით, საფლავიდან უნდა იყოს ამოღებული (№17333).

57. **ცული საომარი,** რკინისა, ვერცხლის ჭდეებით (იქვე, №17333), უვაროვისა, გვ. 141, სურ. 64. ეს ცული ერთობ ლამაზი ნახელავია და, როგორც სამართლიანად შენიშნავს უვაროვისა, ხელისუფლების ღირსების აღსანიშნავად ატარებდენ; ალბათ ასეთი ცულით აღჭურვილი კაცი წინ უძღოდა მეფეს ან ერისთავს. მესამე ცული რკინისა, ალებარდის ფორმისა; ნ. უვაროვისა, გვ. 141, სურ. 65.

58. **ვერცხლის ქამარი**.

59. სამი **ვერცხლის საწამლე** (თოფის წამლის შესანახი).

60. **სატეხი** ბრინჯაოსი, 16 სანტ. სიგრძით, რომელიც უვაროვისას მიუღია შუბის წვერად (გვ. 141, სურ. 66).

61. **ზანდუკი** ხისა მოხარატებული, რომელშიც ინახება სხვა და სხვა ყურსაკიდები ვერცხლისა, სადა, ტატილები, ფოლაქები, პატარა ჭურჭლები ვერცხლისა, ჭიქები სასმისი, პატარა ბოთლები და სხვა; ნაწილი ზანდუკისა იხ. უვაროვისა, გვ. 128, სურ. 42.

62. **დ. ბაქრაძე უჩვენებს კიდევ** საეკლესიო წიგნებს და მათ შორის მეტაფრასს ანუ წმიდათა ცხოვრებას, რომელნიც დღეს აღარ ჩანან.

მეორე ეკლესია ჟიბიანში არის **წ-ა გიორგის ეკლესია,** ცოტა ქვემოდ ღვთის მშობლის ეკლესიისა, სოფლის თავში; ეს ეკლესია ქვისაა, პატარა, შემოზღუდული, როგორც პირველი ეკლესია. კანკელი აქაც ქვისაა, სამი კამარით ზემოდ. ამ ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ მხოლოდ:

1. **ხატი წ-ა გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 24X19,5 სანტ. მხედარი წარმოდგენილია ცხენით, საომარი ტანისამოსით; უკან წელზე ჰკიდია კაპარჭი, ისრებით სავსე და შვილდი, გმირავს გველეშაპს შუბით, რომელიც ჩაუჭვდია მის დაბჩენილს საშინელს ხახაში, თანაც ხელს ფარით იფარავს. ეზო და აშიები ხატისა სადაა (№17325). ხატი მე-17-18 საუკუნის უნდა იყოს.

2. **დიდი კანდელი** ხისა, ერთობ თავისებური, ჯვარის სახისა, ოთხი ხის ფეხით. თავი თავდება ხიდანვე გამოქანდაკებული ხარის თავით, ხოლო ბოლო ცხვრის თავით და კიდევ ახლავს მასკების მსგავსი ფიგურები; ზემოდ დარჭობილი აქვს ოთხი ხისაგან გამოქანდაკებული ტრედის ფიგურა (№17310), ასეთ ნივთს დ. ბაქრაძე გალიას უწოდებს, მაგრამ ეს კანდელის დანიშნულებას ასრულებდა. ამ ფიგურებზე აკრავდენ თაფლის სანთლებს. კანდელი ჩამოკიდებული იყო წინეთ ყოველთვის საკურთხევლის წინ. წყალ კურთხევის დღეს ასეთი კანდელი იორდანეზე მიჰქონდათ. ასე აგვიხსნეს ამ ნივთის დანიშნულება ყველა ყოფილმა სვანეთის პაპებმა.

მესამე ეკლესია ჟიბიანისა არის მაცხოვრისა; სვანები ეძახიან: „უფალ“. ეს ეკლესიაც ქვისაა, პატარა, ქვის კანკელით, რომელზედაც სამი კამარა არის. ეკლესია მთაზეა შენებული, სოფლის ბოლოში, ხევნარში. ეკლესიაში ჩვენ ვიპოვეთ:

1. **ხატი წ¯ა გიორგისა,** ვერცხლისა, 25X18 სანტ. მხედარი სრულის ტანით არის ჩვეულებრივად წარმოდგენილი, წარწერით :

წ¯ჲ გ¯ი. ტლანქი ხელობისაა.

2. **ხატი წ¯ა გიორგისა,** ვერცხლისა, 23X11,5 სანტ. მხედარი ცხენით არის წარმოდგენილი, გმირავს ვეშაპს. წარწერა: წ¯ჲ გ¯ი. სვანური ტლანქი ხელობისაა.

3. **ხატი წ¯ის გიორგისა,** ვერცხლისა, 30X22 სანტ. მხედარი ფეხოსანია, შუბით და ფარით. აშია მოძარცულია. სვანური ხელობისაა, მოტლანქო.

4. **ხატი წ¯ის გიორგისა,** ვერცხლისა, 16,5X13 სანტ. უკეთესი ხელობის არის, ვიდრე წინა ხატი.

5. **ხატი წ¯ის გიორგისა**, ვერცხლისა, 25,5X18,5 სანტ. მხედარი წარმოდგენილია სრულის ტანით, რომაულ საომარ ტანისამოსში, შუბით და ფარით. აშია რომბ-ლურსმულია. ხატი ადგილობრივი, სვანური ხელობისა არის, მაგრამ სხვებს სჯობია; დაზარალებულია.

6. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, 31X24 სანტ. მაცხოვარი წელსზევითია, სახარებით და მაკურთხევლის მარჯვენით. ხატი ერთობ დაზარალებულია.

7. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 16,5X12 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია ხმლით და წარწერით: მ¯ქლ მთ¯გლზი. ხელობა სვანურია, ტლანქი.

8. **ორი პატარა ვერცხლის ხატი მაცხოვრისა;** გაფუჭებულია და ტლანქი; სვანური ხელობისა არის.

9. **ჯვარი ხისა**, 54,5X36 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით; ტლანქი სვანური ხელობისა.

ყველა აქ ჩამოთვლილი ხატები სვანური ტლანქი ხელობისა ეკუთვნის მე-18 საუკ.

სოფელი ჩვიბიანი (ჩჳბიანი).

ამ სოფელში პატარა ეკლესია არის, ქვისავე კანკელით, რომელზედაც სამი კამარა არის, სურათი ეკლესიისა იხ. უვაროვისა, გვ. 63. სურ. 6. ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **პატარა ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 18X14 მაცხოვარი წელსზევითია. აშიაზე სრულის ტანით წარმოდგენილია ზემოდ ღვთის მშობელი ჩჩვილედი, ქვემოდ წარწერაა ვულგარული ხუცურით:

ამს მწერალსა / გაბრლს ცო / დვნი : შოვენ ღ¯ო .
ესე იგი: „ამის მწერალსა გაბრიელს ცოდვანი შეუნდვენ ღმერთო“.

2. **ხატი წმინდა გიორგისა**, 22X16 სანტ. წითელი ფერადებით არის დახატული ხეზე, ვულგარული ხუცურის წარწრით: წ. გიურგი (sic). ხელობა ერთობ ტლანქია, ადგილობრივი, სვანური, მე-19 საუკუნისა.

3. **ვერცხლის ჯამი** მხედრულის წარწერით:
ქ . გოპირბა : იტასა : ღმერთო : ახმრ .

4. **ჯამი** ვერცხლისა, არაბულის წარწერით. (ფოტოგრაფიაზე სამწუხაროდ, წარწერა არ გამოვიდა).

5. ორი სხვა **ვერცხლის ჯამი, უწარწერო**.

6. ათი დიდი სადა ღაწვზე ჩამოსაკიდებელი რგოლები, ვერცხლისა (რუსულად: „ვისოჩნია კოლცა“), ისეთივე რიგისა, როგორიც ოსეთში გვხვდება.

შენიშვნა: სხვა ხატები, რომელნიც ამ ეკლესიაში დ. ბაქრაძეს უნახავს (გვ. 120-122) ეხლა მურყმელის ეკლესიაშია და თავის ადგილას იქნება ქვემოდ აღწერილი.

სოფელი ჩაჟაში

ამ სოფელში ორი ეკლესია არის. ერთი აწ უკვე გაუქმებული, წმიდის გიორგისა, თამარ მეფის ციხეში, ორს დიდ შავის ტუფით აშენებულ კოშკებს შუა. ეს პატარა ქვის ოთხკუთხედი ეკლესიაა, ქვის კანკელით, და უძახიან „ლაშკუდირ“. ჩვენ გვითხრეს, რომ ეს და სამების ეკლესია (უფალ) ჟიბიანის სოფლისა ოსებმა გაძარცვესო, და მართლა, ორთავე ეკლესიაში დარჩენილია უამრავი ხატის და ჯვარის ფიცრები მოძარცულნი.

მეორე შტატის ეკლესია არის **მაცხოვრისა**, ქვისაგან ნაშენი და ქვისავე კანკელით, რომელსაც მარტო ერთი კარი აქვს. ეკლესია სულ მოხატულია და საკმაოდ კარგად შენახული. თვით ფრესკებიც შედარებით კარგია. საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია ვედრება მთავარ ანგელოზებითურთ, ქვემოდ ეკლესიის მამები, ჯვარიანის ფილონებით, სულ ექვსი. ჩრდილოეთ კედელზე ჯვარცმა, ხარება, ღვთის მშობლის მიძინება და დანიელ წინასწარმეტყველი (ასეთივე წარწერით). სამხრეთ კედელზე: ამაღლება და ჯოჯოხეთის წარტყვენა, ფერისცვალება და ლაზარეს აღდგენა. დასავლეთის კედელზე: წ¯ᲂ გ¯ი და წ¯ᲂ თ¯ე. დასავლეთის ფანჯრის ორივე მხრით თითო წამებული მანდილოსანი (წარწერა მათი არ განირჩევა). წმ. ნინოს სურათი, რომელსაც იხსენიებს ა. ხახანაშვილი (გვ. 35), ჩვენ ვერ ვიპოვით და არც უნდა იყოს. ეკლესიაში ინახება:

1. **ხატი დიდი მაცხოვრისა,** 78X55 სანტ. მაცხოვარი დახატული ყოფილა ფერადებით, მაგრამ ფერადები ახლა სულ გადასულია; დარჩენილია ზემოთ ვერცხლის შემკობილობა ხატისა ვერცხლისავე ოქროთ დაფერილი დიდი ნიმბი ქრისტესი, ჯვარის სახედ გაყოფილი, სამი ძვირფასი ქვით წარმოდგენილის ნაჭრებით (№17342). დარჩენილია აგრეთვე აშიები, სანახევროდ ოქროთ დაფერილნი, მაგრამ ერთგვარი და ერთი დროის არ არის და ზოგი დაზიანებულია. აშიებზე წარმოდგენილნი არიან ზემოდ, ნიმბის გასწვრივ: სრულის ტანით წ-ა თეოდორე (მარცხნივ) და წ-ა გიორგი (მარჯვნივ); მათ ქვემოდ ღვთის მშობლის სურათებია, მაგრამ არა ერთგვარი; მარცხნივ წელსზევითი, მრგვალ მედალიონში, ჩჩვილედი, ბერძნულის წარწერით; მარცხნივ უფრო დიდი სურათი წელსზევითი, უძეოდ, ხელებ-გაშვერილი, ვედრების სახით. ამის პირდაპირ, მარცხნივ ალბათ წინეთ იოანე ნათლის მცემელი იყო, როგორც ვედრების კომპოზიციის რიგია. მარცხენა აშიაზე, ქვემოდ, კიდევ ორი მედალიონია: ერთი მთავარ ანგელოზისა, გაფუჭებული, მეორე უწარწერო: ასეთივე უწარწერო მედალიონი მარჯვენა აშიაზეც არის. ქვემო აშიაზე მოსჩანს თავი წმიდანისა, დარჩენილი ასოებით, მარცხნივ „ი“ , მარჯვნივ „ლსს“. ზემო აშიაზე, შუაში, ღვთის მშობელია ჩჩვილედი და მის აქეთ ორი წმიდა მხედარია ხმალ-ფარით. მარცხენა კუთხეში ღვთის მშობელია ჩჩვილედი; მარჯვნივ, ვგონებ, მაცხოვარია. მარცხენა კუთხეში ჯვარისა მთავარ ანგელოზია; მარჯვენაში წ-ი დ-ი. ხატი თავის ძველი ნაშთებით მე-12-13 საუკუნისა არის.

2. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 47X36 სანტ. მაცხოვარი წარმოდგენილია წელს ზევით, მაკურთხევლის მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში. ყდა სახარებისა შემკობილია ჯვარით და სიმრგვალეებით. ეზო სადაა. წარწერა ზემოდ: ი-ჳ ქ-ე; ქვემოდ: იგივე ბერძნულის ასოებით. ნიმბი ჯვარის სახედ აქვს. ტანისამოსი მსხვილ ნაოჭიანია. აშია რომბ-ლურსმული, მოქცეულია ორს სხვა წერტილებით შემკობილ წრეებში (№17343). ქვემო აშიაზე ასომთავრული წარწერა:

„მცხოვარო : ცხოს : მყფლო : მოხეყ : ჴდმს : სტრვნყელ-
სა : წ-ე : თქვენსა : “

ამ წარწერაში ასო ც ორივე შემთხვევაში გადმობრუნებულია. ასო ო და უ დამწერლობის ხასიათით ერთგვარია. საკუთარი სახელები შემოკლებითაა მოყვანილი და ვინაითგან საყოველთაოდ ცნობილს სახელებს და გვარს არ შეიცავენ, ამიტომ ძნელია თქმა, როგორ უნდა წავიკითხოთ. ჩვენი ცდა ასეთია:

მაცხოვარო ცხოველს მყოფელო, მეოხ ეყავს ჴადუმს სა-
ტარვანყელსა (?) წინაშე თქვენსა.

დ. ბაქრაძე (გვ. 123) კითხულობს, როგორც რუსული თარგმანიდან სჩანს: „ჴდამს, შვილსა სტრვენისა“. ფოტოგრაფიაზე წარწერა საუცხოოდ მოსჩანს და შემოწმება ადვილია. ხატი ჩვენის აზრით მე-15-16 საუკ. არის.

3. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი. ყოფილა ფერადებით დახატული, მაგრამ ეხლა ფერადები გადასულია, დარჩენილია მისი ზემოთი სამოსელი ნიმბებით და

აშიები, რომელნიც ლამაზის ბალახის მსგავსი ორნამენტებით არის შემკობილი (№17344). აშიებში სადა სიმრგვალეებია; ქვემოდ ასომთავრული წარწერა:

1. ყვლად წ¯ო ღვთის მშობელო, შეგჳწყალენ სულიერად
   და ჴორ-
2. ციელად სასუებით მვედრებელნი შენნი წახანელ
3. ის ძე ვახტანგ :. და მეუღლე ჩემი ხჳაშაქი :.

უქარაგმოდ:

„ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო, შეგჳწყალენ სულიერად
და ჴორციელად სასუებით მვედრებელნი შენნი წახანელის ძე
ვახტანტ და მეუღლე ჩემი ხუაშაქი“.

ხატი მე-12-13 საუკ. არის. გვარი წახანელის ძე ცნობილი არ არის. დ. ბაქრაძე (გვ. 123) მას უფარდებს ძაგანის ძეს, რომელიც ცნობილია თამარ მეფის დროს. (იხილე ქართლის ცხოვრება, I, 283, H.G. I. 410), მაგრამ ეს საეჭვოა.

4. **ხატი მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, 28,5X21 სანტ. მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის წარმოდგენილი, შუბით და ბურთით. აშია ფართოა, რომბ-ლურსმული; ხელობა სვანურია, ტლანქი, მე-18 საუკ. (№17344).

5. **ხატი ღვთის მშობლისა**, ვედრებისა, 23X16,5 სანტ. (№17345). დახატული ყოფილა ფერადებით, მაგრამ ფერადები გადასულია, დარჩენილია შემოსილობა ოქროსი, კარგის კლასიკური ხელობისა: ნიმბი და აშიები შემკობილია რომბ-ლურსმული ორნამენტით და მედალიონებით. ოთხს ოთხკუთხედ მედალიონში სახეები წმიდანებისა, მრგვალები სადაა. ქვემოდ დარჩენილია ნაწყვეტი ასომთავრული წარწერისა:

„. .. . ღთსო : მოხე / . . სა შ-ნსა ხქებლსა ბ-სლ “.

სიტყვების აზრით დამატებით წარწერა შეიძლება ასე წავიკითხოთ:

[წმიდაო დედაო] ღმრთისაო, მეოხ ე-
[ქმენ მოსავ]სა[1] შენსა ხექებელსა (?) ბასილს.

ა. ხახანაშვილი (გვ. 35) არ იხსენიებს, რომ წარწერა ნაკლულია და კითხულოს და თარგმნის წარწერას ასე: „დედაო ღმრთისაო მეოხ ეყავ მამკობელსა შენსა“. ხატი მე-13 საუკ. უნდა იყოს

.

6. **ხატი მთავარ ანგელოზისა**, ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, ნაჭედი, 25X17 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ლაბარუმით და ბურთით; ეზო სადაა; აშიები შემკობილია ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით; ქვემო აშია მოძარცულია (იქვე, №17345). ხატი მე-13-14 საუკ. უნდა იყოს.

7. **ხატი მთავარ ანგელოზის მიქაელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 23X17,5 სანტ. აშიები რომბ-ლურსმული, რვა სადა მრგვალი მედალიონით ფოლაქისებურ წრეებში. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ლაბარუმით და ბურთით. ხელობა ისეთია, როგორც წინა ხატისა (იქვე. № 17345). წარწერა სახელისა: წ-ჲ მ-ქლ.

8. **ხატი მთავარ ანგელოზისა**; ფერადებით ყოფილა დახატული; ფერადები ეხლა სულ მოსპობილია; დარჩენილია ნიმბი და აშიები, ოქროთ დაფერილი, 19 X13,5 სანტ. აშიები რომბ-ლურსმული, მრგვალი, სადა მედალიონებით. ხელობა ისეთია, როგორც წინა ხატისა (იქვე, № 17345).

9. **ხატი წ-თ ანასი, ეკატერინესი და ბარბარესი,** 47X40,5 სანტ. ფერადებით დახატული; ფერადები დაზიანებულია. სურათი ანასი უკეთ არის შენახული, ლამაზი ხელობისაა; აშიები ვერცხლისაა, რომბ-ლურსმულის შემკობილობით და რვა მრგვალი მედალიონით წმიდათა. ზემოდ ვედრებაა და მთავარ ანგელოზნი; ქვემოდ წმიდა მხედარნი (№17335). მე-14 საუკ. უნდა იყოს.

10. **ხატი ჯვარცმისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 28X23 სანტ. აქეთ-იქით ჯვარცმულისა მოსჩანან ღვთის მშობელი და იოანე; ჯვარცმულის ფეხ ქვეშ ადამის თავი; მას ქვემოდ მრგვალი მედალიონი ღვთის მშობლისა ბერძნულის წარწერით სახელისა. ასეთივე მედალიონები რომბ-ლურსმულ აშიებზე; მარჯვენა აშიაზე წ-ჲ პ-ე; მარცხენაზე მთავარ ანგელოზი (№17360). ხატი კარგად არის დაცული. უნდა ეკუთვნოდეს მე-14 საუკუნეს.

11. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 26,5X20 სანტ. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა სახარებით და მაკურთხევლის მარჯვენით. ნიმბი ჯვარის სახის აქვს;

---

1 ან მამკობელსა.

წარწერა სახელისა ბერძნულია; აშიები რომბ-ლურსმული ორს, ფოლაქების მსგავს, წრეშია მოქცეული (იქვე, №17360).

12. **ხატი მთავარ ანგელოზისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 28X21 სანტ. ხატი ტლანქი ხელობისაა, სვანური, მე-18 საუკ. აშია სამი კედრით მოძარცულია, მეოთხეზე ორმაგია, ერთი ვიწრო ტალღისებური, მეორე – უფრო ფართო, ბალახის მსგავსი შემკობილობით. (იქვე, №17360).

13. **პატარა ხატი მაცხოვრისა**, 13X16 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ ფერადები გადასულია; სამოსელი და აშიები ვერცხლისაა; ნიმბი ჯვარის სახედ არის. წარწერა ბერძნულია (იქევ, №17360).

14. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 14,5X11,5 სანტ. წარწერა: ჲ-Ჩ ქ-ე. ქრისტე წელს ზევითია. ნიმბი ჯვარის სახედ აქვს, აშიები ორმაგი ფოლაქისებური და მათ შუა კიდევ სხვა შემკობილობანი (იქვე, №17360). მე-17 საუკ. უნდა იყოს.

15. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 23,5X 16 სანტ. ქრისტე წელს-ზევითია, მაკურთხევლის მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში. სახარება ჯვარით არის შემკობილი. ნიმბი რომბ-ლურსმულია, ორმაგი წერტილებიანი წრეებით (№17352); ქვემოდ ასომთავრულით სწერია:

ქ . ქ̄ ე : ლამარტოლისაო[1] : მფ
არველ : გუეყავ . მად
იდებელთა შენთა : მაცხოვარო : ღ̄თ
უქარაგმოდ:
ქრისტე ლამარტოლისაო, მფარ-
ველ გუეყავ მადიდებელთა
შენთა, მაცხოვარო ღმერთო.

ხატი კარგად არის დაცული და უნდა ეკუთვნოდეს მე-16 საუკუნეს.

16. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 20X16 სანტ. მაცხოვარი მაღალ ტახტზე ზის მოქარგული მუთაქით, მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს; ნიმბი ჯვარის სახის არის; აქეთ-იქით რგოლებში სახელი: ᲘᲗ ქე. ეზო სადაა, აგრეთვე აშიები, მაგრამ კუთხეებში აშიებისა „დედა ღვთისა“ მედალიონებში, ხოლო ეს მედალიონები სანახევროდ ჩამოჭრილია (იქვე №17352). ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს.

17. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 26X17 სანტ. მხედარი ფეხოსანია, რომაულ საომარ ტანისამოსით და ნიმბით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა გრძელს ფარზე აქვს დადებული. წარწერა: წ-ი გ-ი. აშიები ოთხკუთხედებად დაყოფილი, რომბ-ლურსმულია (№17352). მე-16 საუკ. უნდა იყოს.

18. **ხატი წ̄ დიმიტრისა,** ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, ნაჭედი, 21X14,5 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია ახალგაზრდათ, ფეხზე, საომარ რომაულ ტანისამოსში; წელზე უკან ხმალი ჰკიდია; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს; მარცხენა მოგრძო ფარზე უძევს. წარწერა: წ̄ა დ̄რი. აშია რომბ-ლურსმული; ქვემო და მარცხენა მხარეს ნახევარი აკლია. აშიები შემკობილია სიმრგვალეებით. ქვემოთ უწერია:

წ̄ო დ̄რი შ̄ე : გ̄ი რო .

ესე იგი: ”წმიდაო დიმიტრი, შეიწყალე გიორგი რო”, ანუ რუ (იქ. №17352). ხატი მე-14 საუკ. უნდა იყოს.

19. პატარა **ხატი წ̄ა გიორგისა**, ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი, 13,5 X9 სანტ. წმიდა გიორგი წარმოდგენილია ფეხზე მდგომარედ, შუბით და ფარით. ხელობა

---

1 უნდა იყოს: ჰამარტოლისაო, მაგრამ ასო ლ გარკვეულად სწერია; იხ. ფოტოგრაფია.

მდარეა, მე-18 საუკ. წარწერა: წ̄ი გ̄ი.

20. **ხატი პატარა წ-ა გიორგისა**, 16X12 სანტ. დახატულია ფერადებით, ლამაზი ხელობისა. წმიდანი მდგომარეა და აქვს წარწერა: „წ-ჲ გ-ი ხუამლისა“. მე-17 საუკ. უნდა იყოს.

21. სულ დაშლილი ვერცხლის **ხატი ორთა წმიდათა**, ოქროთ დაფერილი, 20X15 სანტ. წმიდათა შუა ორი მედალიონია; ქვემოდ ერთი ფიგურა, ვედრების პოზით. ხელობა დაბალია.

22. **ხატი პატარა, ღვთის მშობლისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 10,5X8,5 სანტ. აშიები შემკობილია ფოლაქების მსგავსად; მდარე ხელობისაა.

23. **ჯვარი**, დიდი, გამოსასვენებელი (№17336), 38X32 სანტ. ხეტარით; დაშლილია და შემდეგ შეკრული ჯაჭვით, თან ახლავს ჩამოკიდული მრავალი მძივის მარცვლები, ტატილები და ჩანჩხურები. წინა პირზე ჯვარცმაა წარმოდგენილი და გაფართოებულ ფრთების ბოლოში მედალიონებია წმიდათა; ზემოდ მაცხოვარი; მარცხნივ და მარჯვნივ წმიდანი მხედარნი; ქვემოდ მოციქული; ჯვარი ხეტარზე ბურთით არის დასობილი. მეორე გვერდზე (№17337) ოთხი მედალიონია წმიდათა; ზემოდ წ-ა პეტრეა; მარჯვნივ წ-ა გ-ი; მარცხნივ წ-ა დიმიტრი (?), ქვემოდ ვგონებ, პავლეა. ქვემო ტარზე ვულგარული ხუცური წარწერის ასოებია.

24. **ჯვარი** შუთანა ზომისა, შეჭედილი ვერცხლის ფირფიტებით წმიდანებისა, არა უშნო ხელობისა. ზემოდ ლამაზი გამოხატულებაა იესო ქრისტესი.

25. **ჯვარი** შუათანა ზომისა, შეჭედილი ვერცხლის ფირფიტებით, გვარიანი ხელოვნებისა. უმბოს ყოველ მხარეს მთავარ ანგელოზებია და მოციქულები; ქვემოდ: ღვთის მშობელი წელსზევითი და ქრისტე სრულის ტანით. ზემოდ მთავარ ანგელოზი. ქვემოდ ხუცურად აწერია:

ქ . ნასრეთისა ღის მ	ნასრეთისა ღმრთის მშო-
მშობელო : შ-ე იე	ბელო, შეეწიე იოანე
ჭაბიანსა და მ	ჭაბიანსა და მე-
უღლესა მისსა	უღლესა მისსა
თაბასა : და ძეთა მისთა :. ა-ნ	თაბასა და ძეთა მისთა, ამინ.

26. **ჯვარი** შუათანა ტანისა; შეჭედილია უფრო მდარე ხელობის ვერცხლის ნაჭრებით, ვიდრე პირველი ორი.

27. პატარა **ხატი ღვთის მშობლისა**, კარედი, 26,5X19 სანტ. კარებზე წარმოდგენილნი არიან მთავარ ანგელოზები. შუა ნაწილზე ყოფილა ფარდებით დახატული ღვთის მშობელი, კარგი ნახელავი, მაგრამ ეხლა დაზიანებულია.

28. სამი ვერცხლის სადა **ჯამი**.

29. **ბუკი** ანუ საყვირი, სპილენძისა, გრძელი; იხ. უვაროვისა, გვ. 141, სურ. 67.

სოფელი მურჭმერი (მურყმერ).

ამ სოფელში ორი ეკლესია არის, ერთი შტატისა, მაცხოვრისა; მეორე – სოფლის დასასრულს – წმიდა ბარბარესი. ეკლესია მაცხოვრისა ქვისაა, ქვისავე კანკელით. ამ კანკელში სამი კამარა არის და კამარები იწყება თვით იატაკიდან. კედლებზე ემჩნევა ნაშთები ფრესკებისა; უკეთ მოსჩანან დასავლეთის კედელზე: ნათლის ღება და ჯვარცმა. ეკლესიაში ნივთები ბევრია.

1. **ჯვარი**, კანკელის საწინავე, ფრიად მაღალი, თითქმის 4 არშინი; შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც წმიდათა სახეები საკმაოდ ტლანქებია.

2. **ჯვარი** შუათანა ზომისა, აგრეთვე შეძერწილი ოქროთი დაფერილი ფირფიტებით; ტლანქი ხელობისაა.

3. **ჯვარი** გამოსასვენებელი, ხეტარით, ვერცხლისა, ნაჭედი. წინა პირზე წარმოდგენილია ჯვარცმა, მაგრამ ჯვარცმული სრულებით არ ჰგავს ჩვეულებრივად წარმოდგენილს ქრისტეს, არამედ სულ დაბალ ტანის ახალგაზრდას (№17340); ზედ აწერია: „[ძ]ელც” (resp. ძელცმა); მარცხენა ფრთაზე მთავარ ანგელოზია გამოხატული; მარჯვენაზე – იოანე, წარწერით: „წ̇ი ი̇ო“. ზემოდ: მაცხოვარი სახარებით და მაკურთხევლის მარჯვენით; წარწერა ბერძნული აქვს; ქვემოდ გაბრიელ მთავარ ანგელოზია: წ̇Ა გ̇ბ. ხელობა ტლანქია. მეორე გვერდიც ჯვარისა ნაკლებად საყურდღებოა; აქ ბაწრისებური შემკობილობა არის და ოთხივ ფრთაზე ჯვარის სახეები (№17341); აგრეთვე ვულგარული ხუცური წარწერა, გაუგებარი.

4. მეორე, გამოსატანი **ჯვარი,** მალტის წმ. გიორგის ჯვარის სახის არის, ხისა, შეძერწილია ვერცხლის ფურცლებით, მკრთალად და ტლანქად გამოსახული ჯვარცმულებით და სხვათა წმიდათა.

5. **ხატი მაცხოვრისა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 44X33 სანტ. მაცხოვარი ტახტზე ზის მუთაქით, მაგრამ ტახტს ზურგი არა აქვს. მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს. ეზო სადაა; ზემოდ ჯვარის სახის დრობნიცებში წარწერა ბერძნულად არის. აშიები ბალახისებური შემკობილობით არიან მორთულნი. მათში 10 მედალიონია, რომლებზედაც ტლანქად შესრულებული წმიდათა სახეებია. ზემოდ ვედრებაა, აქეთ-იქით მთავარ ანგელოზნი; ქვემოდ – წმიდანი მხედარნი (№17353). ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს.

6. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 44X35 სანტ. მაცხოვარი წარმოდგენილია სრულის ტანით, მღვდლის ტანისამოსით, მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს და თუმცა სახარება გაშლილი არ არის, მაგრამ ყდაზე აწერია : : „მე ვარ ნათელი სოფლისა“. სახე მაცხოვარისა ხანშესული კაცისაა. მის ორივე მხარეს მთავარ ანგელოზებია, უფრო მოკლე ტანით, შუბებით და ბურთებით; მარცხნივ – მიქელ, წარწერით: „მიქაელ მთავარ ანგელოზი“, მარჯვნივ:

„გაბრიელ მთავარ ანგელოზი“. ქრისტეს ნიმბის ორივე მხარეს – წარწერა ჯვარისებრ წრეში: ი-სო ქ-ე. ეზო და აშიები მოცულია ბალახისებური შემოკლებით. აშიებზე მედალიონებია წ-თა. მარჯვნივ და მარცხნივ – წმიდანი მხედარნი, სრულის ტანით; ქვემოდ შუაში, ვგონებ, იონა; კუთხეებში – მთავარ ანგელოზნი; ზემოდ მთავარ ანგელოზნი და სხვა (იქვე, №17353). ხელობა ქართულია. მე-16 საუკუნის უნდა იყოს.

7. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 42X36,5 სანტ. (№17351). შუაში გამოსახულია ჯვარი გოლგოთაზე დამყარებული; მის ზემოდ იესო ქრისტე წელსზევითი, მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით. მას აწერია: ᲲᲨ ქ-ე. აქეთ-იქით ქრისტესა ორი წმიდა დედაა სრულის ტანით: სახელები არ აწერია; ქვემოდ, ჯვარის მარცხნივ: წ-Ა ა-ნა; მარჯვნივ დ-დᲐ ღ-Ა. აქ ღვთის მშობელი მაღალ ტახტზე ზის ძითურთ, რომელსაც თითქოს ძუძუს აწოვებს; ტახტის სვეტების თავები ფიგურებით არის შემკობილი, ვგონებ, მთავარ ანგელოზთა, აშია ყვავილოსანია, მედალიონებით. ზემოდ სამი მრგვალი მედალიონი ვედრების კომპოზიციას წარმოადგენს. გვერდებზე წმიდანი მხედრებია სრულის ტანით, შუბით და ფარით. ხელობა ქართული, მე-16 საუკუნის უნდა იყოს.

8. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 23X18 სანტ. მაცხოვარი წელსზევითია, ჩვეულებრივის პოზით. აშიები რომბ-ლურსმული; ქვემო და მარჯვნივ აკლია. ხელობა ტლანქია; წარწერაც არა ჩვეულებრივი ხუცურ-ბერძნული. მარჯვნივ: ი-ო და ბერძნული ხ; მარცხნივ ჯ-Ა (გადმობრუნებული) Ა-ჯ-ს მაგიერ. მე-18 საუკუნის უნდა იყოს. (№17350)?

9. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, 18X14,5 სანტ. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა; მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენა სახარებაზე აქვს დადებული; სახარება მუხლზე უძევს. აქეთ-იქით მთავარ ანგელოზებია მთელის ტანით, ლაბარუმებით და ბურთებით; ქვემოდ დაჩოქილი მანდილოსანი ფეხს ჰბანს ქრისტეს. ერთობ ტლანქი, მახინჯი ნახელავია. (№17349).

10. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 18,5X14 სანტ. მაცხოვარი წარმოდგენილია წელს ზევით, სახე ხანშესული კაცისა აქვს; მარცხენა ხელში დიდი სახარება უჭირავს, მარჯვენით აკურთხებს; აშია სიმრგვალეებით და წერტილებით არის შემკობილი; მარჯვენა მორღვეულია. ნიმბი ჯვარის მსგავსი. წარწერა ხუცური; მარცხნივ: ქ-ე (უკანასკნელი ასო შებრუნებულია) და მას ზემოდ: -დ. მარჯვნივ: „ვსბ“. მე-17 -18 საუკუნის უნდა იყოს. (№17347)?

11. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 23X18 სანტ. აშიები რომბ-ლურსმული. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა, ჩვეულებრივი პოზით; მაგრამ ერთობ ტლანქი და ფრიად მახინჯი გამოხატულება აქვს. წარწრა ვულგარული: ი-ᲲᲨ ᲥᲔ. (№17347)?

12. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლის, 21X15 სანტ. წვრილ რომბ-ლურსმულის აშიებით. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა ჩვეულებრივის პოზით. ზემოდ: წარწერა: ᲐᲡ ქ-ე. ტლანქი ხელობისაა. (№17347)?

13. **პატარა ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, 12X10 სანტ. მაცხოვარი არის მთელის ტანით წარმოდგენილი, სახარებით და მაკურთხევლის მარჯვენით. წარწერა სახელისა ბერძნული ასოებით არის. აშია მოკაზმული ორ ფოლაქოვან წრეებს შუა დაბალი ხელობისაა, მაგრამ წინა ხატზე უკეთესი.

14. **ხატი მაცხოვრისა**, წელსზევითი, მხცოვანი კაცის სახით, ვერცხლისა, ნაჭედი, 22X20 სანტ. მარცხნივ ქრისტესა არის დედა ღვთისა; მარჯვნივ იოანე; ზემოდ, მედალიონებში: მაცხოვარი და ორი მთავარ ანგელოზი; ქვემოდ ამ სახისავე მრგვალ მედალიონებში ორი მთავარ ანგელოზი. დაბალი ხელობისაა (ნ. 17350)?

15. **ხატი მაცხოვრისა**, ფერადებით დახატული; ბერძნულის წარწერით სახელისა; ფოლაქისებური აშიებით; მე-17 საუკუნის უნდა იყოს. (17350)?

16. **ხატი კარედი წინასწარმეტყველის ილიასი**; ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ ფერადები შუა ნაწილისა, სადაც სამი სახე ყოფილა, გადასულია, ხოლო ზემოდ, ოქროს შესამოსელის ნაწილზე, აწერია სახელი შუა ყოფილი ფიგურისა: „წ ელი“. კარებზე მხატვრობა შერჩენილია, ნამეტნავად კარგად არის დაცული მარჯვენა კარზე მიქელ მთავარ ანგელოზი, წარწერით: „მქლ“. მარცხენა კარზე გაბრიელ მთავარ ანგელოზია: „გბრლ”. (№17338). შემოსილობა ხატისა ოქროსია; შემკობილობა ბალახოვანი ხლართულებით, ლამაზი. ხატი ეკუთვნის მე-12-13 საუკუნეს. მეორე გვერდზე ჯვარია გამოსახული ლამაზ ხლართულებში და კარგად დაცული წარწერაა ასომთავრულით (№17339):

წ ჯვარო : პა	წ ჯუარო პა-
ტი ოს	ტიოს-
ანო და ყვლთა წმდა	ანო და ყოველთა წმიდა-
თა : მდ	თა მად-
ლო ყვლისა ცდვს . გან-	ლო, ყოვლისა ცოდვისაგან
განწმიდ ე მშვრე გი	განმწმიდე, მაშოვრე, გიორგი
ნსტაი	ნასტაი(?),
ან ჭა	ამინ. ჭა-
ბღს : ჩმსა	ბუღს (ანუ ჭაბაღს) ჩემსა
მჯღლ	მეუღლე
ფსა	(ყო)ფილსა, (შეუნდვენ).

დ. ბაქრაძეს წარწერა შეცდომით აქვს მოყვანილი და როგორც მისი თარგმანიდან ცხადდება, აზრიც გაუგებარი დარჩენია (გვ. 121-122). ა. ხახანაშვილი ამ წარწერას სრულიად არ იხსენიებს (გვ. 35).

წარწერის დამწერს ადგილი არა ჰყოფნია და ამიტომ უკანასკნელი ორი სიტყვა ფრიად შეუმოკლებია და ბოლოში ზმნაც გამოუშვია; ამიტომ ამაებს აზრის მიხედვით ჩვენ ფრჩხილებში ვუმატებთ. საკუთარი სახელები **ნსტაი** და **ჭაბღს** არ გულისხმობენ საზოგადოთ ცნობილ სახელებს და ამიტომ ძნელია თქმა, როგორ უნდა წავიკითხოთ შეუმოკლებლად. ჩვენ ვკითხულობთ: ნასტაი და ჭაბუღს, მაგრამ შეიძლება იყოს: ნესტაი, ჭაბაღს ან სხვა.

დიმიტრი ბაქრაძე „ჭა“-ის მაგიერ კითხულობს „და“; თუ მის კითხვას მივიღებთ, მაშინ სიტყვა უნდა ნიშნავდეს: დაბაღს, მაგრამ აქ დ-ს მუცელი შეკრული არა აქვს და ამიტომ არ შეგვიძლია ის დ-ნად მივიღოთ. დ. ბაქრაძე არ უჩვენებს აგრეთვე დასაწყისს ასოს წარწერისა, რომელიც, ჩვენი აზრით, ხუცური ⲑ არის (№17339).

17. **ხატი ღვთის მშობლისა,** ვედრებისა, 19X15 სანტ. ყოფილა ფერადებით დახატული; ფერადები უკვე გადასულია; დარჩენილია კლასიკური დროის ნიმბი და აშია მარჯვნივ, ლამაზად შემკობილი ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით. წარწერა ბერძნული აქვს სახელისა (№17349). ხატი მე-12-13 საუკ, არის.

18. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, 19X15 სანტ. ყოფილა ფერადებით დახატული, მაგრამ ფერადები გადასულია. შემკობილობა ხატისა, ნიმბები, აშიები ოქროთ დაფერილი ვერცხლისა არის ნაზი ხელობისა, მე-13-14 საუკ. სურათი წელზევითია, ნიმბი ჯვარის სახედ არის; აშიები დაყოფილია კვადრატებად და შემკობილი პალმეტებით (№17347). მეორე გვერდზე ასომთავრული წარწერაა ჯვარის ირგვლივ, საკმაოდ უთავბოლო და არა ადვილად გასაგები, თუმცა ასოები კარგად არის შენახული [1]. წარწერა ჯვარით ორად იყოფა, მარცხენა და მარჯვენა ნაწილად; დ. ბაქრაძე ერთად კითხულობს ორივე ნაწილს წარწერისა და ამიტომ მას შინაარსი გაუგებარი რჩება. (გვ. 120-121). ა. ხახანაშვილი წარწერას სრულიად არ ახსენებს. აქ სწერია (№17365).

ჯვარის მარცხნივ:	ჯვარის მარჯვნივ:
ქ დედაო : ღმ	ძისა შენი
ართსაო შ	სა მალე
ეიწყალე	სა
და მამაი	დედაო : ღ
და : შალიკა	მრათის
სა : ცოდვა	აო :.
ნი : მათა	
ნი	

ამ წარწერაში ზოგიერთი ასოები შებრუნებულია და გვხვდება ხორცმეტი ასოებიც: ღმართისაო, ღმრთისაო-ს მაგიერ; მარჯვენა წარწერაში იგივე სიტყვა ასეთი ფორმითაა წარმოდგენილი: ღმრათისაო; მათანი, მათნი-ს მაგიერ; ამას გარდა, მეორე

1 ფოტოგრაფიაზე წარწერა თავუკუღმა არის გამოსული.

წარწერის სიტყვა **მალესა**, რომელიც დ. ბაქრაძეს საკუთარ სახელად მიუღია, ჩვენის აზრით, უნდა იყოს შემცველი სიტყვისა: **მადლსა**. გადაჭრით თქმა ძნელია „და“ სიტყვის წინ მამაი ცალკე სიტყვად ესე იგი კავშირად მივიღოთ, თუ უნდა შემდეგ ჯგუფს მივუმატოთ. პირველ შემთხვევაში გამოვა ორი სიტყვა: და მამაი, თუმცა აქ „და“ ზედმეტია; მეორე შემთხვევაში: დამამაი, როგორც ერთი სიტყვა, საკუთარი სახელი. მამაი, როგორც საკუთარი სახელი არსებობს, ხოლო დამამაი არ შეგხვედრია.

ამას გარდა, მარცხენა წარწერას ბოლოში ზმნა აკლია და ფრაზა დამთავრებული არ არის. აქ უნდა მივუმატოთ: „შეუნდვენ“.

ამ შენიშვნების შემდეგ, ჩვენის აზრით, წარწრა ასე უნდა წავიკითხოთ:

„ქ. დედაო ღმრთისაო, შეიწყალე დამამი (ანუ მამაი).

და შალიკასა ცოდვანი მათნი (შეუნდვენ), ძისა შენისა

მადლსა, დედაო მღრთისაო“.

19. **ხატი პატარა, ღვთის მშობლისა,** ვედრებისა, წელსზევითი, 22X10 სანტ. ვერცხლისა, ნაჭედი, წარწერით: „დ-ჲ ღ-ჲ“. სახე ქართულია; აშია შემკობილი (№17346). მე-16-17 საუკ. უნდა იყოს.

20. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 12,5X11 სანტ. აშია ლამაზად შემკობილია. წარწერა: „დედა ღთს“; ძეს ბერძნული წარწერა აქვს; ხელობა მე-134-14 საუკ. (იქვე, №17346).

21. **ხატი პატარა ღვთის მშობლისა**, ვედრებისა, (№17338), ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი; უფრო უკეთესი ხელობისაა, ვიდრე წინა ხატი. ღვთის მშობელი წელსზევითია. წარწერა: „ვდრბსა ღთის მშბლი“. აშიები ნაზი, ტალღისებური შემკობილობით არის (№575. აქ ჩვენ ვუჩვენებთ არა პირველ ნომერს, არამედ მეორე ბოლო ნომერს). მეორე გვერდზე ჯვარია გამოხატული და ჯვარის ირგვლივ ასომთავრული წარწერა (ნ. 17339):

: ქ : დედაო : ღ-თისაო : მეოხ	დედაო ღმრთისაო, მეოხ
მეწმენ : წ-ე : ძესა :	მექმენ წინაშე ძესა
შენსა : მამმკბსა	შენსა მამმკობსა
ხა ტს	ხატისა
ა : შენისასა :. დღ	შენისასა დღე
ესე :. განკითხვ	სა განკითხვი-
სა :. ოღნოსა : შვ	სა ოღნოსაშვილ-
ლსა : საღირს	სა საღირს.

თარმანში ამ წარწერისა დ. ბაქრაძეს ოღნოსა (მისი კითხვით ოღნო) მიუღია საღირისშვილად (გვ. 121).

22. **ხატი ღვთის მშობლისა,** კარედი, 14X12 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ ფერადები გადასულა, უმთავრესად კარებზე, რომელზედაც გარედან წარმოდგენილი ყოფილა ორი წმ. დიმიტრი; წარწერა ორივესი დაცულია: წ-ჲ დ-ე. შუა ნაწილზე ღვთის მშობელი ყოფილა, წარწერით: დდ-ჲ ღ-ჲ. კარებზე შიგნიდან ყოფილა ორი წმიდა დედაკაცი. სამოსი ხატისა და მოკაზმულობა ოქროთ დაფერილი ვერცხლისაა, ლამაზი, ნაზი ხელობისა, მე-13-14 საუკ. მეორე გვერდზე წარმოდგენილია ჯვარი, წმ. ანნა და წმ. დიმიტრი, სრულის ტანით. ამის ფოტოგრაფია სამწუხაროდ გაფუჭდა და არა გვაქვს.

23. **ხატი წმ. იოანესი**, ვერცხლისა, ნაჭედი, 14X15 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით, ვედრების პოზით, ხელებგაშვერილი და წარწერით: წ-ჲ ჲ-ე. აშია ბალახოვანი ორნამენტების არის. ხელობა მე-17 საუკ. უნდა იყოს. (№17346).

24. **ხატი წმ. იოანესი,** ვერცხლისა, 9X7 სანტ. წარწერით: წ˜ჲ ი˜ე; უფრო ტლანქი ხელობისაა, ვიდრე წინა ხატი; მე-18 საუკუნისა.

25. **ხატი უცნობი წმიდანისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 15X12 სანტ. შუაში წმიდანი წარმოდგენილია მღვდლის ტანისამოსით და ჯვარით ხელში; აქეთ-იქით მთავარ ანგელოზები უდგანან სრულის ტანით და შუბებით. ზემოდ სამი მედალიონია წელსზევითი სურათით ქრისტესა: ჲ˜ჯ ქ˜ე, და კიდევ რაღაც სხვა წარწერა. (№17348).

26. **ხატი წ˜ა გიორგისა**, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 23X18 სანტ. მთავარ მოწამე წარმოდგენილია რომაულ სამხედრო ტანისამოსით; მარჯვენა ხელი მახვილის ვადაზე უძევს, რომელიც წელზე ჰკიდია, მარცხენა ხელი მოგრძო ფარზე დაუდვია; მარჯვნივ აყუდებულია შუბი, რომელსაც ის იდაყვით ეხება. თმა ხუჭუჭი აქვს. ნიმბის აქეთ-იქით სიმრგვალეებში წარწერა: წ˜ჲ გ˜ჲ. აშიები სიმრგვალეებით და ბალახის მსგავსად არის შემკობილი. ხელობა ახალია, მე-18 საუკ. მეორე ნახევრისა.

ქვემოდ უწერია (№17351):

ქ წ˜ო : გ˜ჲ : მცხეთსაო : წ˜ე : ჯევი :

მცხეთჲს : შენსა : წჲშე : შმავა :

წმიდაო გიორგი მცხეთისაო, შეიწყალე ჯევი

მცხეთისა შენისა წინაშე შემავა(ლი).

აქ იგულისხმება ლეჩხუმის მცხეთის სოფელი, რომლის ეკლესია და მისი ნივთები ჩვენ უკვე აღვწერეთ (იხ. ზემოდ, გვ. 43).

27. **ხატი წმ. გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 30X23 სანტ. მხედარი სრულის ტანით არის წარმოდგენილი, შუბით და ფარით; წარწერა: წ˜ჲ გ˜ი. თმა დიდ კიკინებად აქვს დაწყობილი; ეზო სადაა; აშიები ტალღისებური შემკობილობით ორ წერტილებიან წრეში გვარიანია; ხატი დიდად დაზარალებულია (№17348). მე-16-17 საუკ. უნდა იყოს.

28. **ხატი წმ. გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 30X22 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით, ჩვეულებრივი პოზით და წარწერით: წ˜ჲ გ˜ი. ხელობა ისეთია, როგორც წინა ხატისა, მაგრამ აშიები უფრო უბრალოა (ამის ფოტოგრაფია არა გვაქვს).

29. **ხატი წმ. გიორგისა**, ვერცხლისა, 31X26 სანტ. მთავარ მოწამე ცხენით არის წარმოდგენილი შუაში, გრეხილიან ოთხკუთხედში; გვირგვინოსან ადამიანს გმირავს შუბით; წელზე გრძელი ხმალი ჰკიდია; შუბი ჯვარით თავდება; მოსასხამი წმიდანის ზურგს უკან მაღლად ფრიალებს ჰაერში; ეზო სადაა; აშიები ბასმისაა, მქრთალად გამოსახული, ხელაპყრობილნი მთავარ ანგელოზებით. ხელობა ტლანქია. სვანური, მე-18 საუკ. (№17348).

30. **ხატი წმ. გიორგისა**, ვერცხლისა, 18X14,5 სანტ. წმიდანი ცხენით არის, შუბით გმირავს ადამიანს. წარწერა: წ˜ჲ გჲ. აშია გაფუჭებულია. ხელობა ტლანქია, სვანური, მე-18-19 საუკ. (№17346).

31. **ხატი წმ. გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 14,5X13 სანტ. მთავარ მოწამე ცხენით არის. წარწერა: წ. გ̄ი. წმიდანი ვეშაპს გმირავს. ხელობა ტლანქია (ფოტოგრაფია არ არის).

32. **ხატი წმ. გიორგისა**, დიდი, წამლით დახატული; მხედარი ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს. არა ცუდი ნახელავია, მაგრამ ძველი არ არის; მე-19 საუკ. უნდა იყოს. (სურათი არ გადმოგვიღია).

33. **ხატი მთავარ ანგელოზის მიქელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი. მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის წარმოდგენილი; მარჯვენა ხელში ლახვარი აქვს, მარცხენა ხელში ბურთი. ზემოდ უწერია: წ̄Ა მიქაელ. მარჯვნივ, ქვემოდ კაცია დაჩოქილი, სავედრებლად აწეული ხელებით და მაღალის ქუდით. აშიები ყვავილებით და სიმრგვალეებით არის შემკობილი; ქვემო აშია (ალბათ წარწერიანი), აღარ არის №17348 ?). ხელობა მე-16 საუკ. უნდა იყოს.

34. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ლაბარუმით და ბურთით, წარწერით: წ̄Ა მ̄ქლ. აშია გაფუჭებულია. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკ. (№17347).

35. **ხატი მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა; ძლიერ გფუჭებულია. მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის და შუბით მარჯვენა ხელში. რა ჰქონდა მარცხენაში, არა სჩანს. წარწერიდან ემჩნევა მარტო: წ̄Ა. აშია რომბ-ლურსმული, მოტლანქოა (№17350). მე-18 საუკ. უნდა იყოს.

36. ვერცხლის **ფირფიტა** ლაბარუმისა, 15X16,5 სანტ. ორი მთავარი ანგელოზის გამოხატულობით, შემკობილი სიმრგვალეებით და წერტილოვანი ჯვრებით; ტლანქი, სვანური ხელობისა, მე-18 საუ. (№17350) (?).

37. **ბუკი** ანუ საყვირი სპილენძისა.

მეორე ეკლესია მურყმერის სოფლისა არის **წმ. ბარბარეს ეკლესია**, აშენებულია ქვემოდ, სოფლის ბოლოს, გორაკზე. ეს პატარა, ქვის ეკლესია არის, ოთხკუთხედი, გადახურულია ფიქალის ქვებით, ეკვტერი აქვს სამხრეთით; აქედანვე აქვს შესავალი; კანკელი ქვისაა ერთის აღსავლის კარით. კამარები კანკელს არ ახლავს, მაგრამ ხის თაროები აქვს ხატებისათვის. ეს ეკლესია არა ერთხელ წაულეკია თოვლის ზვავს და ამიტომ ნივთები მასში დანოტვილი და დაზიანებული არის. უმეტესად. ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ჯვარი დიდი, ხისა,** კანკელის საწინავე, სამ არშინზე მეტი სიმაღლით, შეძერწილი ვერცხლის ფირფიტებით, წმიდათა სახეებით; სვანური, ტლანქი ხელობისა; ზემოდ დაცული აქვს ქუდი; ქვემოდ ყველაზე დიდი ფირფიტა უჭირავს ღვთის მშობლის ხატს ჩჩვილედს. შემდეგ ჩვენ ვხედავთ ორს წმ. გიორგის და 11 მთავარ ანგელოზს სხვა და სხვა დროისა და სხვა და სხვა

ხელობისა. ორი მთავარ ანგელოზი უმბოს აქეთ-იქით ოქროთი დაფერილია. ესენი საუკეთესო ნახელავია. მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე წარმოდგენილნი არიან მაცხოვარი და მთავარ ანგელოზები. ჯვარი ეხლა დაქანებულია თავის ადგილიდან და მიყუდებულია კანკელზე მარჯვნივ.

2. ასეთივე **ჯვარი კანკელის** საწინავე, 1 არშინი და 5 ვერშოკი სიმაღლით, სდგას კანკელის წინ, ქვის კვარცხლბეკზე, რომელიც დამყარებულია ოთხკუთხედ ხის სადგომზე; შეძერწილია დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით. ლამაზი ხელობისაა, რაც ასე იშვიათია სვანეთში. ზემო ფირფიტაზე მაცხოვარი ლამაზად ნახელავ მედალიონში; უმბოს ქვევით წ̄ა გრიგოლია, სრულის ტანით და წარწერით: წ̄გ გ̄ლ; მის ქვემოდ: წ̄Ა მარკზ. შემდეგ: წ̄ა გიორგი ცხენით; მის ქვემოდ წარწერა. ეს წარწერა ძნელი გასარჩევია, მაგრამ დ. ბაქრაძის და ა. ხახანაშვილის წაკითხვა ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ ასე ვკითხულობთ:

წ̄ო ბრბლე : შენ	წმინდაო ბარბალე, შეუნდვენ
მმგნბლ შ̄ნ ყფ	მომგონებელი შენი ყაფ-
ისომ ქლისა ა̄ნ	ისომ ქალისა. ამინ.

შესაძლოა „მომგონებელის“ მაგიერ იყოს „მომგებელი“, მაგრამ ასო ნ-ის არსებობა ჯგუფში „მმგნბლ“ ამის ნებას არ გვაძლევს, თუ ეს დამწერის შეცდომა არ არის. დ. ბაქრაძე (გვ. 119) და მისი მიხედვით ა. ხახანაშვილი (გვ. 35) ამ წარწერაში კითხულობენ „მიქელ იოსელიანის“ სახელს.

მარცხნივ ჩჩვილედი ღვთის მშობლის სურათის მეორე წარწერაა, რომელსაც ა. ხახანაშვილი არ იხსენიებს, მაგრამ დ. ბაქრაძეს მოყვანილი აქვს და ის შენიშნავს, რომ გადათარგმნა შეუძლებელიაო:

დ. ბაქრაძე კითხულობს:	ჩვენ ვკითხულობთ:
დდოღ	დ-დო ღ
თსოდი	თსო : დი
ვერვ	ვერე
გგდთნ	გ-გითა
ანი ამნ	ანი : ამ̄ნ

ჩვენი ცდა წარწერის წაკითხვისა ასეთია: „დედაო ღთისაო, დაივედრე გოგითაანი, ამინ“.

სამწუხაროდ ფოტოგრაფიულად ამ ჯვარის სურათები ვერ გადავიღეთ, ვინაიდან ჯვარის მოშლა და კარში გამოტანა შეუძლებელი იყო, და დიდი აპარატი კი ეკლესიაში არ გაიმართა; პატარა აპარატი დ. ერმაკოვს არ ჰქონდა. საჭიროა ამ წარწერების გადმოღება და ჩვენს ტექსტთან შედარება, რომ საბოლოოდ გადაიჭრას საკითხი.

3. **ჯვარი ხისა**, შუათანა ტანისა, 63X41 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით და ზედ გამოხატული ფიგურებით: ზემოდ ჯვარცმა წინა-მდგომებითურთ ოქროთი დაფერილია; მეორე ჯვარცმა ჯვარის ცენტრშია; ამის ქვემოდ და აგრეთვე მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე ღვთის მშობელია ჩჩვილედი; ზემოდ, ვგონებ, დავითია; წარწერა ნათელი არ არის. ერთი

მედალიონი წელსზევითი ფიგურით ქვემო ფრთაზე არის (№17362). ბოლო, ქვემოდ წ̄ა პეტრეა: წ̄Ჲ პტრ.

4. **ჯვარი ხისა**, შუა ტანისა, 50X44 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, უკეთესი ხელობისა, ვიდრე წინა ჯვარი. უმბოს ზემოდ სრულის ტანით წარმოდგენილია: ი̄ჯ ქ̄ე სახარებით, მაკურთხეველის მარჯვენით და ჯვარის სახის ნიმბით. ქვემოდ უმობსა აგრეთვე სრულის ტანით იოანე უნდა იყოს: წ̄Ჲ....ი(?). ამას ქვემოდ, მრგვალ მედალიონში წმიდანია ჯვარით, წელსზევითი. წარწერა არა აქვს. მარცხენა და მარჯვენა ფრთები ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტითაა შემკობილი და მედალიონებით ღვთის მშობლისა: დ̄დᲲ ღ̄Ჲ (მარცხნივ) და იოანესი: „წ̄Ჲ ი̄ნე ნთსმც“ მარჯვნივ. კუთხეებში მთავარ ანგელოზებია (№17364).

5. **ჯვარი ხისა,** შუა ტანისა, 44X26,5 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, ტლანქი სვანური ხელობისა. ზემოდ წარმოდგენილია მაცხოვარი სრულის ტანით. ქვემოდ ღვთის მშობელი მვედრებელი; მის ქვემოდ წმიდანი ჯვარით ხელში, შეიძლება წმ. გიორგი იყოს. მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე ორ-ორი მედალიონი წმიდათა, უწარწეროდ. (№17377).

6. **ჯვარი გამოსასვენებელი**, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, 26X21 ს. ერთის კარგად გამოქანდაკებული ჯვარცმულის სახით შუაში, ზემოდ ნიმბისა ჯვარის სახეა ჩვეულებრივად სახელის წარწერისთვის, მაგრამ აქ წარწერა არ არის; ზემოდ კი აწერია: წ̄ო ს̄ბო. ჯვარცმულის წარწერა მოიპოვება მარცხენა და მარჯვენა ფრთებზე, ქრისტეს ხელების ახლო: ი̄ჯ- ქ̄ᲬᲨ. ჯვარი გრეხილით არის შემოზღუდული, ხოლო ყველა ფრთის ბოლოები ორ-ორი პალმეტით თავდება; ამათში ოთხი დაკარგულია, ოთხი დარჩენილი. პალმეტები ცალკეა დამზადებული და შემდეგ მიკრული (№17370). ეს უნდა იყოს მე-16 საუკ. ნახელავი და მიბაძვა ძველი ჯვარცმის გამოსახვისა.

7. სრულიად ასეთივე ხელობის და ფორმის **ჯვარი**, ვერცხლისა, 25X23 სანტ. იგივე წარწერები, იგივე პალმეტები, ხოლო აქ ყველა დაცულია, ერთი მერმეა მარჯვენა ფრთაზე მილურსმული და სხვებთან შედარებით ტლანქია; ჯვარი ვერცხლის ბურთზეა დამყარებული. თავი გარჩევა წინა ჯვარიდან მდგომრეობს იმაში, რომ რელიეფი გამოყვანილი ჯვარცმული აქ უფრო ტლანქია, ვიდრე წინაზე (№17374).

8. **ჯვარი გამოსასვენებელი,** ვერცხლისა, 29X23 ს. დამყარებულია ხეტარზე, ვერცხლის შემკობილის ბურთის საშუალებით. წვეტიანი კუთხეები თავდება ვერცხლის პატარა ბურთებით, პალმეტების მაგიერ წინა ჯვრისა. შუაში დიდი ლალი უზის. მარცხენა, მარჯვენა და ზემო ფრთანი შემკობილია სევადით და სიმრგვალეებით, ჯვარის სახედ შიგნით. ქვემო ფრთაზე ორი ღვთის მშობლის სახეა, ერთი ჩჩვილედი ქვემოდ და მეორე უფრო დიდი, ვედრების სახით, ზემოდ, სრულის ტანით. საზოგადოთ ჯვარი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს (№17373).

9. **ჯვარი ხისა**, გამოსასვენებელი, 35X27,5 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, ორი მთავარ ანგელოზის გამოსახულებით ზემოდ და ქვემოდ და წერტილებით შემკობილის ორ-ორი სიმრგვალით მარჯვნივ და მარცხნივ უმბოსა (№17371). მეორე გვერდზე ჯვარისა ნუსხა მხედრულით სწერია:

შ̄ე ესტატე ოქრო მჭ̄დლი.

დ. ბაქრაძეს ვერ გაურჩევია წარწერა, მაგრამ ხელით გადმოუღია (იხ. გვ. 119, დამატება №39). რომ წარწერა წავიკითხოთ, ჯვარი უნდა შევაბრუნოთ. ალ. ხახანაშვილს სწორად აქვს წაკითხული (გვ. 35).

ხელობა ტლანქია, ადგილობრივი, მე-18 საუკუნისა. (№ წარწერისა 17372).

10. **ჯვარი გამოსასვენებელი,** ოქროთი დაფერილი, ვერცხლისა, 44X34 სანტ. შუაში გამოსახულია ჯვარცმა ძლიერ ტლანქი ხელობისა და ყველა მომრგვალებულ კუთხეებში ასეთივე ტლანქი გამოსახულებაა მედალიონებში წმიდათა (№17375). მეორე გვერდზე წერტილებიანი შემკობილებანია ჯვარედინი ხაზების გარშემო და ქვემოდ ძნელი გასარჩევი წარწერა ასომთავრულით (№17376).

წარწერა გადმოღებული აქვს ხელით დ. ბაქრაძესაც, მაგრამ გაურჩეველია (იხ. გვ. 119), დამატება №40). ჩვენს ფოტოზე წარწერა კარგად არის გამოსული, მაგრამ ვინაიდან გარჩევა ჩვენც ვერ შევსძელით, ამიტომ აღარ მოგვყავს.

11. **ხატი წმიდისა თეოდორესი**, ვერცხლისა, ნაჭედი, 63X49 სანტ. მშვენიერი კლასიკური ხელობისა (№17355). წ-ა თეოდორე მდგომარეა, რომაული ტანისამოსით. მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა მოგრძო, შემკობილ ფარზე დაუდვია; თმა ხუჭუჭი აქვს; ნიმბი დიდი; პირი თითქოს დაღებული. ეზო ხატისა ვაზოვანი და ფურცლოვანი ორნამენტით არის შემკობილი, ხოლო ფართო აშია შემოცულია ორმაგი ბროწეულის მსგავსი ყვავილების შემკობილებით და მრავლის მედალიონებით წმიდათა. ზემოდ მრგვალ მედალიონებში წარმოდგენილნი არიან წელსზევითნი ფიგურები: შუაში ქრისტესა, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით, წარწერით: ᲘᲖᲩ (sic) ქ̄ე; კუთხეებში მთავარ ანგელოზები: წ-Ი მ-ქლ, წ-Ი- გ̄ბრლ. ქვემოდ ასეთივე მედალიონებით: წ̄ი დ̄რი, წ̄ი ბ̄სლი და წ-ი ნკ-ლზ. მარცხენა აშიაზე სრულის ტანით ოთხკუთხედ მედალიონში. მარცხნივ: დ̄დი ღ̄საი და ი̄ნე ნთლმმცმელი. მარჯვნივ: წ̄ი ი̄ნე მხრებლი და წ̄ი ი̄ნე ოქროპირი; ხატი მე-12 საუკუნის უნდა იყოს.

12. **ხატი წმ. გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 83X57,5 სანტ. (№17354). მთავარ მოწამე ცხენით არის წარმოდგენილი, რომაულის სამარის ტანისამოსით; გმირავს გვირგვინოსან კაცს, მაგრამ ეს ნაწილი ხატისა, სადაც გვირგვინოსანია გაშხვართული, სულ მოშლილი ყოფილა და შემდეგ მიუმატებიათ ტლანქად ახალი ფიგურა. ეზო ზემო ნაწილისა შემკობილია რელიეფით წარმოდგენილის ფოთლოსანი შტოებით. ქვემოდ, ამისვე მიბაძვა მქრთალია. სახელის წარწერა წმიდანის ასომთავრულით: წ̄ი გ̄Ი. მოქცეულია ორივეს მხრით ნიმბის ლამაზად

ნაჭედ დიდ მრგვალ მედალიონებში. აშია ფართო რობმ-ლურსმული შემკობილობისაა, მაგრამ მერმინდელი უნდა იყოს, ვინაიდან მისი მედალიონების დაბალი ხელოვნება არ ეგუება ხატის ზემო ნაწილის ლამაზ ხელოვნებას. ზემოდ მედალიონებში ვედრებაა; ქვემოდ: წმიდა მხედარნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ეხლა მოშლილია; მარჯვნივ და მარცხნივ: დედა ღვთისა და იოანე, სრულის ტანით. ძველი ზემო ნაწილი ხატისა, ჩვენის აზრით, მე-13-14 საუკ. არის.

13. **ხატი იოანე ნათლის მცემელისა**, 62X46,5 სანტ. ფერადებით დახატული ყოფილა, მაგრამ ეხლა ფერადები სულ გამქრალია; დარჩენილია მხოლოდ ნაწილი აშიებისა ფურცლოვან-ყვავილოვანის შემკობილობით, საუცხოო ხელობისა, და მარცხენა პატარა ნაწილი ორ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერისა (№17361). ეს ნაწილი წარწერისა, მცირე შეცდომით, მოჰყავს დ. ბაქრაძეს (გვ. 120); გრაფინია უვაროვისა და ალ. ხახანაშვილი არც ხატს, არც წარწერას არ იხსენიებენ (გვ. 169, დამატება, გვ. 35).

ამ წმ. ბარბარეს ეკლესიაში, საკურთხეველში, პატარა სკივრი იყო დაკეტილი. დიდი ლაპარაკის და დავიდარაბის შემდეგ მე ვაიძულე გაეხსნათ ეს სკივრი და სხვა მრავალ საყურადღებო და არა საყურადღებო ნივთებთა შორის, აქ ჩვენ ვიპოვეთ გაგრძელება ამ წარწერისა. ეს ჩვენ მივადევით თავის ადგილს და ხელმეორედ გადავიღეთ. ასე რომ ამ წარწერის სურათი ეხლა მთელად გვაქვს (№17369). წარწერა ნათლის მცემელის ხატისა ასე იკითხება:

: ქ : წო : იე ნთლს მცმლო : მო[ხ და] მფრვლ ექმნ წე
ქესა ცოტნეს და ქობლეს და ცოტნე[ს] ცოლსა ვნელსა
ამნ.

შეუმოკლებლად: წმიდაო იოანე ნათლის მცემელო, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ქრისტესა ცოტნეს და ქობულს და ცოტნეს ცოლსა ვანელესა, ამინ.

ჯგუფი **ქობლს** შეიძლება წავიკითხოთ კიდევ **ქუაბულ**ს. ცოტნეს ცოლის სახელი **ვნელს** ჩვენ ვკითხულობთ **ვანელსა**, სახელი ვანენეს ანალოგიით, ვინაიდან ეს სახელი ცნობილია სხვა წარწერებიდან. ვფიქრობთ, ვანენე და ვანელე ერთი და იგივეა, ლ და ნ გადადიან ერთი მეორეში. ჩვენს წარწერაში მოხსენებული ცოტნე უნდა იყოს ცოტნე დადიანი, შერგილ დადიანის და მისი ცოლის ნათელას შვილი (იხ. ჩვენი არხეოლოგიური მოგზ. ტ. 2; გვ. 153). ცოტნე დადიანი კარგად ცნობილი მოღვაწეა ჩვენს ისტორიაში დედოფალ რუსუდანის დროს, თამარის ქალისა, მე-13 საუკ. მაგრამ მისი ცოლის სახელი პირველად გვხვდება ამ წარწერაში, თუ მართლა აქ ცოტნე დადიანი იგულისხმება. ის ყოფილა ვანელე ან ვანენე.

ქობულ ანუ ქუაბულ ჩვენი წარწერისა ცნობილი არ არის, ის უნდა იყოს ძმა ან სხვა ნა თესავი ცოტნესი.

13 ბ. №17369-ზე ჩვენი ფოტოგრაფიისა ჩვენ ცოტნე დადიანის წარწერასთან ერთად გადაღებული გვაქვს ნატეხი ერთი მთავარ ანგელოზის ხატის წარწერისა, რომელიც ჩვენ იმავე სკივრში ვიპოვეთ. ეს წარწერა იკითხება ასე:

ქ წო : მთავარ ანგელოზო . მეო

ხ : ექმენ : მონასა შენსა : ჴდმ ე
. . . . . რიანსა : ამინ .

14. **ხატი სამთა წმიდათა: იოანესი, ელიასი და შიოსი**; ყოფილა ფერადებით დახატული, მაგრამ ფერადები ეხლა საერთოდ გადასულია; მათი ნიმბები, შესამოსელის ნაწილი ოქროსი დაცულია და მათ უწერიათ სახელები: წ̄Ა ი̄ნე, წ̄ წყე. ელია, წ̄Ა შიო, 25X21 სანტ. დაცულია უმეტესი ნაწილი ოქროსავე აშიებისა, ფურცლოვან-ყვავილოსანი საუცხოო შემკობილობით (№17379), ქვემოდ: სამ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერიდან დარჩენილია პირველი ნახევარი მარცხენა კედაროსი, რომელიც იკითხება ასე:

ქ : რლთ : გქს : კდნ. . . ქ : რომელთა გაქვსთ კად[ნიერება]. . .
ინე : ელია : და შიო . . . იოანე, ელია და შიო . . .
მსვსა : ფრსმნ : ა. . . მოსავსა ფარსმანს. . .

ხატი მე-12 საუკუნის უნდა იყოს.

15. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 43X31 სანტ. ქრისტე წელსზევითია. მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში. ტანისამოსი ერთობ მსხვილად და მჭიდროდ დანაოჭებულია. აშიები რომბ-ლურსმულია. ხელობა ადგილობრივია, ტლანქი, მე-18-19 საუკ. საკვირველი კიდევ ისაა, რომ წარწერა სახელისა არეული ასოებით არის: ბერძნულ-ქართულით: ქ̄c x̄ე (№17356).

16. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 45X33 სანტ. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა, მაგრამ ჩვეულებრივად მუთაქაზე კი არ ზის, არამედ არდიგარდათ გადებულ ხეზე; ეს ხე და აგრეთვე ტახტის სვეტები წერტილოვანი შემკობილობით არის მოცული. მაცხოვარს ორივე ხელი დაუდვია სახარებაზე და სახარება მუხლზე უძევს. აშიები რომბ-ლურსმულია. ხელობა ტლანქია, ადგილობრივი მე-18 საუკუნისა (№17358).

17. **ხატი პატარა გარდამოხსნისა**. 15X11,5 სანტ. ყოფილა წამლით დახატული; ფერადები გადასულია; შემოსილობა ოქროსია, ნაზი, ლამაზი ხელობისა, მე-12-13 საუკ. წარწერა სახელისა: „გა̄დმოჴნა იესოს“ (№17359). მეორე გვერდზე ასომთავრულით წარწერა (№17365):

ქ. ქრისტე ღ̄ო / მომი / ჴსნე. მჴსნელო : სახჴფევლ̄ა /
შნსა : მელ / ომნაძე : ქვლი და მეჴღლე : ჩემი : რჴსჴდან.
დ : შვლ / ნი ჩ / ნი : ვახტგ / დ ძმნი : მისი : ამი(ნ).

უქარაგმოდ:

ქ. ქრისტე, ღმერთო, მომიჴსენე, მჴსნელო, სასუფეველსა
შენსა მე, ლომინაძე ქველი, და მეუღლე ჩემი რუსუდან
და შვილნი ჩემნი ვახტანგ და ძმანი მისნი, ამი(ნ).

18. ასომთავრული **წარწერა** ზურგზე დაკარგულ პატარა **ღვთის მშობლის ხატისა** (№17365).

ქ. ვედრე	ქ. ვედრე-
ბისა : ღ-თსა : შობე	ბისა ღვთის მშობე-
ლო :მეოხ და მფრვლ :	ლო, მეოხ და მფარველ
მექმენ :.	მექმენ
დღესა : გ-ნკითხვისა	დღესა განკითხვისა-
სა : მამკბსა : ხატისა	სა მამკობსა ხატისა
შენისსა : წ-ე : ძესა (sic)	შენისასა, წინაშე ძისა
შენსა :.	შენისა,
გალდისა .	გალდისა.

უკანასკნელი სიტყვა წერტილებით არის შესრულებული ჯვარის კვარცხლბეკთან და შეიძლება მერმე იყოს მიმატებული.

19. **კარედი ხატი ხისა**, ცილინდრულის თავით ოთხკუთხედზე, ორად დასაკეცი. დიპტიხი, 18X11 სანტ. შეძერწილია ოქროს წრის რომბ-ლურსმულის შემკობილობით, დაყოფილია უჯრებად; თავის უჯრა ცილინდრულია, სხვები ოთხკუთხედი, შუა უჯრა ორივე ნაწილისა სხვებზე დიდია. უჯრებში ყოფილა მოთავსებული მინაზე ფერადებით დახატული წმიდათა სახეები, მაგრამ არც ერთი არ შენახულა. მხოლოდ თუ რა მშვენიერი ხელოვნური დარგის სახეები იყო იქ, ამას მოწმობს ერთად ერთი დარჩენილი, ზემოდ, მარჯვენა კუთხეში, ტრედის სურათი; მშვენიერი რამ არის, როგორც თავისი მოხაზულობით, ისე ფერადების შეზავებით და მხატვრულის სახით, რომელსაც ფოტოგრაფია, სამწუხაროდ, ვერ გადმოსცემს. (№17378). ამას გარდა, ერთი ასეთივე მინაზე დახატული მაცხოვრის სურათი ჩვენ ვნახეთ ბლაღოჩინ ნიჟარაძესთან და საუცხოო რამ იყო. სუარათი ალბათ ამ ხატიდან იყო ამოღებული. სხვაგან, საქართველოში, ასეთი დარგის ხატები ჩვენ არ შეგხვედრია, მაგრამ სვანეთში ჩვენ ვიპოვეთ სხვა ხატიც და ჯვარიც, რომელნიც უჯრებად არიან დაყოფილნი და უჯრებში წინეთ მოთავსებულნი ყოფილან პერგამენტზე ფერადებით დახატულნი წმიდათა სურათები. როგორც თავის ადგილზე იქნება აღნიშნული, ერთი ასეთი ხატი მოიპოვება სადადეშკელიანო სვანეთში, ფხოტერის ეკლესიაში, №17140, ხოლო ჯვარი მოიპოება ლატალის თემში, ენაშის ეკლესიაში, №№17003, 17004.

20. **ხატი ორთა მთავარ ანგელოზთა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 42X40 სანტ. თითოეული მთავარ ანგელოზი მოქცეულია მოსხო წერტილებისაგან შემდგარ ოთხკუთხედში ლაბარუმით და ბურთით. ზემოდ და ქვემოდ მთავარ ანგელოზთა არის სამ-სამი წერტილებით შემოვლებული მრგვალი მედალიონები, რომლებშიაც წარმოდგენილნი არიან, ზემოდ: ღვთის მშობელი, წმ. გიორგი და იოანე, ქვემოდ: ორი იოანე და წმ. გიორგი, ყველა სახარების წარწერით; აშიები ბრტყელი ლურსმეული, ორ-ორი მედალიონით კუთხეებში; ერთში ზემოდ ღვთის მშობელია (№17356).

21. **ხატი მთავარ ანგელოზთა**. ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 46X34,5 სანტ. ორივე მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, საზომებით და ბურთებით. ბურთები ერთი მეორესათვის მოუახლოვებიათ.

ნიმბები წერტილოვანი სიმრგვალეებით არის შემკობილი. ეზო ხატისა თითქო ვარსკვლავებით არის შემკობილი. აშიები ბალახ-ყვავილოსანია, ლამაზი და რვა მედალიონით. ყველაზე წ̄ი კ̄ე (კვირიკე) არის გამოხატული. ხატი მე-14 საუკ. უნდა იყოს. (№17357).

22. **ხატი მთავარ ანგელოზ გაბრიელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 42X27 სანტ. მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის, წარწერით: წ̄ი გ̄ლ. მარჯვენა ხელში ლაბარუმი უჭირავს, რომელზედაც აწერია: „წმიდა არს, წმიდა არს“. მარცხენა ხელში ბურთი აქვს, ზედ ჯვარია გამოსახული; ეზო სადაა; აშია არ აქვს. ხელობა აღორძინების ხანის არის, მე-16 საუკ. (№17363).

23. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 48X39 სანტ. მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის, საზომით და ბურთით. წარწერა სახელისა: წ̄Ა მ̄ქლ. მისი ფიგურა მოკლეა, მძიმე; ნიმბი დიდი ხლართულებით შემკობილი. აშია რომბ-ლურსმული, მედალიონებით წმიდათა. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკ. სვანური (№17358/595).

24. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 50X35 სანტ. უკეთესი ხელობისაა, ვიდრე წინა ხატი. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, (მაგრამ ტანი მოკლეა), ლაბარუმით და ბურთით; ეზო ხატისა ფურცლოვანი ვაზის ყლორტების მსგავსი ორნამეტით არის შემკობილი ლამაზად, ხოლო აშიები ორმაგი ბროწეულის ყვავილებით. ეს სულ მიბაძვაა კლასიკური ეპოქის ნაწარმოებისა. წარწერა სახელისა: „მᲐლ მთავარაგლზᲐ“. ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს. (№17357). მარცხენა აშია დაკარგულია.

25. **ხატი მთავარ ანგელოზისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 27X26 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, საზომავით და ბურთით; ეზო სადაა; აშიები ბალახების გვარის შემკობილობით. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკ. სვანური (№№17359/596).

26. ასეთივე **ხატი მთავარ ანგელოზისა**, 20X16 სანტ. ლაბარუმით და ბურთით, გაფუჭებულის აშიებით, გადმოღებულია სხვა ხატებთან ერთად. ამავე ფოტოგრაფიაზე მოთავსებულია დაბლა, მარცხნივ, სურათი პატარა მაცხოვრის ხატისა, წელსზევითი, ჯვარის სახის ნიმბით, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით; საკმაოდ ლამაზი.

27. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 21X16 სანტ. ლაბარუმით და ბურთით, აშიები რომბ-ლურსმული; ადგილობრივი მოტლანქო ხელობისაა, მე-18 საუკ. წარწერა სახელისა: მქლ მთ-გლ. ქვემოდ, მარჯვნივ მოსჩანს ნაშთი წარწერისა (№17359).

28. **ხატი მთავარ ანგელოზისა**, ვერცხლისა, უფრო ცუდათ დაცული, ვიდრე წინა ხატი; ტლანქი, ადგილობრივი ხელობისა, მე-18 საუკ. (№17359).

29. **ხატი მთავარ ანგელოზისა**, ვერცხლისა, ნაჭედი. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია ლაბარუმით. საკვირველია, რომ ამ ხატს აწერია ᲂ-ე, თუმცა სურათი მთავარ ანგელოზისაა, ფრთებით, ლაბარუმით და სხვა. აშიები რომბ-ლურსმულია; ხელობა ტლანქი, მე-18 საუკ. (№17359).

30. **ვერცხლის ჯამი** შემკობილობით (№17366. სურათზე ამ ჯამისა მოთავსებულია თიხიდან გაკეთებული „ბოჭკის“ მსგავსი ჭურჭელი).

31. ორი უბრალო ვერცხლის **ჯამი** და ერთი ვერცხლის ჭიქა.

32. **დოქი სპილენძისა**, მაღალის ხელით (№17366).

33. **ჭურჭელი თიხისა**, „ბოჭკის“ მსგავსი (17366), უკვე ზემოდ ნაჩვენები.

34. **ფარი სპილენძისა**, მრგვალი (იქვე №17366).

35. **ხის კათხა**, ძაღლის თავის ქანდაკებით და მეჭეჭის მსგავსი შემკობილობით (იქვე, №17366).

36. **ლახტი რკინისა,** მრავლის ფრთებით, ვერცხლის ჭდეებით შემკობილი (უვაროვისა, გვ. 141, სურ. 62). (№17367).

37. **ვერცხლის სკიპტრა-ლახტი,** დიდი, რომბისებური შემკობილობით. ეს აღმოჩნდა სკივრში, როლმელიც გავახსნიეთ (№17367).

38. მეორე უფრო დიდი და უფრო ლამაზი **ვერცხლის სკიპტრა-ლახტი** იმავე სკივრში აღმოჩნდა; სახელური იკლიკანტური ხაზებით არის შემკობილი, ხოლო მსხვილი თავი, ბურთი, ცხოველთა თავების სახეებით (№17368).

შენიშვნა: ეს ორი ნივთი, პირველად ჩვენი ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი, ფრიად საყურადღებოა. ფორმით ესენი ლახტს მოგვაგონებენ, მაგრამ რეალურად საომარი იარაღები ვერ იქნებოდენ. ამგვარი ნივთი უნდა ყოფილიყო ემბლემა ერისთავთა ხელისუფლებისა, მათი სკიპტრა.

ამავე №17368 ჩვენ გვქვს გადმოღებული სხვა ნივთებიც, რომელნიც სკივრში აღმოჩნდა: 1) სხვა და სხვა ზომის და სხვა და სხვა მასალიდან გაკეთებული კრიალოსანის მარცვლები (ბუსები), 2) მოღუნული დანა რკინისა; როგორც ეტყობა, ძველი სასაფლაოდან უნდა იყოს ამოღებული, 3) ვერცხლის რგოლი, სამაჯურის მსგავსი, ტრედის ქანდაკებით ოვალურ წრეში, ერთობ ლამაზია, 4) ქინძისთავი ცხენის გამოხატულებით ზემოდ, 5) ჩანჩხურეები („პრივესკი“) სპილენძისა, შველის, ფრინველების და სხვა სახეებით.

40. სკივრში ამას გარდა იყო ბევრი მოქარგული და ნაკეთი ტანისამოსი, უფრო ბავშვებისა და ქალებისა. ფრიად დაობებულნი სინესტისაგან; ზოგი სულ გაფუჭებული იყო. რამოდენიმე ვერცხლის ფული თათრული, სპარსული და ბიზანტიური, პატარა ჭურჭელი მინისა და სხვა.

41. **პირობა** დადებული უშკულის თემის მიერ სხვა თემთან (არა სჩანს რომელთან).

ეს საბუთი ჩვენ ვნახეთ ძველ ქაღალდზე დაწერილი მხედრულის ხელით ცაგერში, მამა მარგიანის ხელში. საბუთი მოგვყავს უცვლელად, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, აქ, როგორც სხვა ამგვარ სვანეთის საბუთებში, ხშირად ასო ო იკითხება უ-ნად და წინაუკმო, აგრეთვე ასო შ-ნის მაგიერ იხმარება ჭ-რი.

ქ უჯობდეს : გოლმართლად : მას ვიჭირვეთ : თქვენია-
ნად : და უთქვენუდ : და რასაც : პირსა : ზედა : შედ-
გომილი : ვართ : არ გაგი ტეხოთ : ჴეუმან : ჴეუსა :
ჴეუბითა : თო გაგიტეხოთ : რაიცა ჭვენსა : მტერა-
(შტერა?).
სა : უყოთ : იმისა საქმესა : არას : გერჭოდეთ : თო
ერთმან: ანუ ორმან : გაგვიტეხოს : ერთობილმან :
წავეკიდოთ : ამისა : გათა-
ვებისა : თაუს დებად : მოგვიჴსენიებია : დედაი : ღ-თი
სა : უშგოლისა :
წმიდაი : კვირიკე : კალისა : კაცთაგან : **ადაი : გოშგო-
თელიანი[1] : ხაჯი (?) : ჭორგა სიანი [2] : გიორგი : დადი-
ლიანი : დათვაი : გელივანი : მე : ჯუარისმან-
ა ნაბარჯგიანსა** : დამიწერია : და მოწამეცა : ვარ:

---

1 ეხლა გოშთელიანი ყოფილი აზნაურები მესტიაში.
2 ჩარგსიანები ცხოვრებენ ჩოლაურში.

კალას თემი

ლათფარის უღელტეხილს რომ გადალახავთ, თქვენ ჩადიხართ პირდაპირ კალას საზოგადოებაში, რომელიც შესდგება ექვსი სოფლისაგან: ვიჩნაში, ხე, ლაიხორი, დავბერი, იფრარი და ხალდე. პირველი სოფელი ლათფარის უღელტეხილის ჩასავალს არის – დავბერი (სვანურად: დავბერ). თვალწარმტაცი პანორამა ამ საზოგადოებისა და მთელი ენგურის ხეობის თქვენს თვალს წინ იშლება ჯერ კიდევ ლათფარის უღელტეხილიდან. კანცელიარიის პირდაპირ რამოდენიმე სახლია და აქ ამ სახლებთან არის ერთობ ლამაზი კოშკები,

რიცხვით ხუთი. ამათი სახე გადაღებულია ფოტოგრაფიულად ერმაკოვის მიერ ჯერ კიდევ 1876 წ. (ძველი ნომრით 91/180).

ამ სოფლის ცოტა ქვემოდ, მარცხნივ, მაღალ განცალკევებულ მთაზე არის გაშენებული კვირიკე და ივლიტას ეკლესია, ყოფილი მონასტერი. მთა ძირიდან წვერამდე შემოსილია ტყით, ნაძვნარით, რომელიც საღმრთოდ ითვლება და სვანი იქ წკეპლასაც არ მოსჭრის. ხეები დიდრონია და უწევენ საგანგებოდ დავაკებულ მწვერვალს, რომელზედაც გაშენებულია პატარა ეკლესია წ-ა კვირიკე და ივლიტას სახელობისა (სვანები უწოდებენ „ლაგურკა“-ს).

საზოგადო სახე ადგილისა ეკლესიითურთ იხ. ფოტ. №17485 და 17486. პანორამა სხვა სოფლებისა და მთებისა ამ ეკლესიიდან იხ. №17484.

სწორი ადგილი კლდოვანი მწვერვალისა პატარაა და იტევს მხოლოდ პატარა ეკლესიას, არა წმინდათ ნათალი ქვისაგან აშენებულს, რომელსაც დასავლეთით ადგია პატარა სამრეკლო და სამხრეთით მიშენებული აქვს უბრალო ქვის ოთახი. შესავალი ეკლესიაში ამ სამხრეთის ოთახიდან არის. საზოგადო სახე ეკლესიისა იხ. ფოტო №17487 (აგრეთვე უვაროვისა, ტაბ. XI). ეკლესიას ზღუდე ჰქონია ქვითკირისა, მაღალი, კბილოვანი, მაგრამ ეხლა სანახევროდ დანგრეულია.

სხვა შენობები, უმთავრესად დიდი ძველი საოსტინაგე, ანუ სატრაპეზო, ოთახები და სენაკები ქვემოდ ფერდობზეა გაშენებული და უერთდებიან ეკლესიის ზღუდეს. აქ ბარტოლომეის დროს პაპები (სვანეთის დეკანოზები) ცხოვრობდენ, ეხლა იქ ეკლესიის შეიარაღებული მცველების სადგომია.

კალის ეკლესია წარმოადგენს მთელი სვანეთის მთავარ სამლოცველოს. ეს სვანებისათვის ის არის, რაც მთელი საბერძნეთისათვის დელფის ტაძარი იყო. ეს აერთებს სვანებს თემებად დაყოფილს ისე, როგორც დელფის ტაძარი აერთებს სხვა და სხვა ბერძენთ რესპუბლიკებს.

ყოველ თემს სვანებისას თავისი ეკლესიები აქვს აუარებელის ჯვარ-ხატებით, რომელნიც დიდათ სწამთ, მაგრამ არც ერთი ისე ძლიერად არ მიაჩნიათ, როგორც „ლაგურკა“, წ-ა კვირიკეს და ივლიტას ეკლესია და მასში დაცული საუცხოო, ბიზანტიური ხელოვნების სანაწილე-ხატი, რომელსაც ისინი შალიანს უწოდებენ. ამიტომაც დიდი ბოროტების და დანაშაულობის ჩამდენის აღმოსაჩენად შენიშნულ პირებს ამ ხატზე აფიცებენ და მაგალითი არ ყოფილა წინა დროში, რომ სვანს ფიცის დროს თავისი დანაშაული არ აეღიარებიოს და არ გატეხილიყოს დანაშაულობაში.

სვანების გადმოცემით შალიანი სვანი იყო. ერთხელ იმერეთის მეფემ ასი სვანი გამოიწვია და მათ შეუკვეთა გეგუთის ველის მოთიბვა. შალიანმა მეფეს წინადადება მისცა, რომ ის მარტოდ მარტო მოთიბავდა ველს სწორედ იმ დროის განმავლობაში, რაც მან ას სვანს დაუნიშნა, მაგრამ გასამრჯელოდ შალიანისათვის ის ნივთი უნდა მიეცა, რასაც ის მოითხოვდა. მეფემ თანხმობა გამოაცხდა. შალიანი შეუდგა საქმეს და დანიშნულ დროზე შეასრულა იგი. გასამრჯელოდ გამოითხოვა ეს კალას ხატი. მეფემ პირობა აუსრულა. შალიანმა ხატი გამოხვია ვაცის ტყავში და სვანეთში გამოემგზავრა. კალას თემის მცხოვრებლებმა გაიგეს, რომ შალიანს ასეთი ძვირფასი ნივთი მოაქვს, მოინდომეს მისი წართმევა, დახვდნენ გზაში, მოკლეს შალიანი და ხატი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ არ იცოდნენ, სად წაეღოთ, სად დაესვენებინათ; ამიტომ შეუბეს

უღელში ორი კურო; უღელზე ბოძი მიაკრეს, ბოძზე ხატი დაამაგრეს და ისე გაუშვეს თავის ნებაზე კუროები. ხარებმა გადალახეს ენგურის მდინარე, შეუდგენ აღმართს და გაჩერდნენ იმ მთის წვერზე, სადაც ეხლა წმინდა კვირიკეს ეკლესია არის. აქ ააშენეს მონასტერი სვანებმა და მას შემდეგ აქ ინახება შალიანის ხატი.

არსად სვანეთში ეკლესიას მცველი არა ჰყავს. მხოლოდ კალას ეკლესიას დღიან-ღამიან დარაჯობს ორი შეიარაღებული სვანი. თავი შალიანის ხატი შენახული აქვთ აბრეშუმის მანდილში გამოხვეული, რკინით შეჭედილს სკივრში. ორჯერ წელიწადში, კვირიკე და ივლიტას დღეობას, შაბათს აღდგომის კვირისა და 15 ივლისს, ხატს ამოიღებენ, გარეცხენ და ნარეცხი წყალი ითვლება წმიდა წყლად, რომელიც ყველაფერს არჩენს, ყველაფერს შველის. ამ წყალს ასხამენ განსაკუთრებულ სპილენძის პატარა დოქში, რომელიც თავის თავად ჩაითვლება უაღრესი ხელოვნების ნაწარმოებათ, და მით ატარებენ სოფელში. ამ წყლის საშუალებით აფიცებენ ხალხს, ზოგჯერ, ხატის მაგიერ. ეს ორი ნივთი, შალიანი ხატი და საუცხოოდ შემკობილი, ნაჭედი, სპილენძის დოქი, შეადგენენ უმთავრეს და ფასდაუდებელ საგანძურს ამ ეკლესიისა.

ეკლესიაში იშვიათად თუ ვინმეს შეუშვებენ, არა თუ საერო, არამედ სამღვდელო პირთაც. ცნობილია, რომ გაბრიელ ეპისკოპოზსა დიდი დავიდარაბა დასჭირდა, რომ ეკლესიაში შეეშვათ. აგრეთვე ა. სტოიანოვს და დ. ბაქრაძეს შალიანის ხატი არ აჩვენეს.

ხატი და ეკლესია პირველად გაშინჯა პოლკ. ბარტოლომეიმ 1854 წ. შემდეგ ფრანგმა მოგზაურმა ბურნევილმა 1875 წ. ხოლო დაწვრილებით აღწერა და ზოგიერთი ხატები ფოტოგრაფიულადაც გადმოიღო გრაფ. უვაროვისამ, თათარხან დადიშკელიანის ხლებით და მისი გავლენით სვანებზე. ჩვენც პირველად აქ დაბრკოლება შეგვხვდა. როცა ჩვენ კალას საზოგადოებაში ჩავედით და ადგილობრივ სკოლაში დავბინავდით, საუბედუროდ, ავდარი მოვიდა. კალის ტოპოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ აქ ხშირია სეტყვა ზაფხულში და ამას სვანები ხატს აწერენ. ხატი განრისხდება, თუ ხელი შეახეს და სეტყვას მოუვლენს სოფელსო. ამიტომ ჩვენ ვამჯობინეთ, ზოგიერთი გავლენიანი სვანების რჩევით, ჯერ სხვა ეკლესიები დაგვევლო, ენგურის სვანეთისა, შემდეგ მოვსულ ვიყავით კალაში; მაშინ უფრო ადვილი იქნება ამ ეკლესიის გაშინჯვაო. ჩვენც აგრე მოვიქეცით.

დაბრუნებისას, რომ უკეთ მივღწეოდით მიზანს, ბესარიონ ნიჟარაძის რჩევით, წინდაწინ პაპებს ვაცნობეთ, კალის ეკლესიის მოლოცვა გვინდა და მთელს საზოგადოებას ვპატიჟობთ ნადიმზეო. ამისთვის ფული გავუგზავნეთ და ვსთხოვეთ მარაგი დაეჭირათ: დაემზადებინათ არაყი, პური, ეყიდათ ცხვრები, ჩამოესხათ თაფლის სანთლები და სხვა, რაც საჭირო იყო. მაგრამ წინა დღით, როცა კალასკენ ვბრუნდებოდით, საშინელი ავდარი დადგა, დიდი წვიმა დაიწყო, წვიმაში თოვლსაც ურევდა. ჩვენ იმედი დაგვეკარგა ჩვენი წადილის განხორციელებისა, მაგრამ საბედნიეროდ, მეორე დღეს მშვენიერი მზიანი დღე გათენდა. ამან გვიშველა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ხატები ჩვენზე აღარ ჯავრობდენ. ადრე დილით უკვე ეკლესიაზე ავედით ცხენებით. პაპები, მცველბი და ნაწილი ხალხისა იქ დაგვხვდა. საკლავი ცხვრები მოეყვანათ. ხალხმაც იწყო მოდენა. პაპებმა ცხვრებს ანთებული სანთლები მიაკრეს, დაიჩოქეს მთელ ხალხთან და ჩვენთან ერთად და იწყეს სვანური ლოცვა. ბლაღოჩინი ბესარიონ

ნიჟარაძე ლოცვაში არ გაირიეს. როდესაც ლოცვა გაათავეს, ცხვრები წაიყვანეს დასაკლავად და სადილის მარაგს შეუდგნენ. ჩვენ ეზოში ფოტოგრაფიული აპარატი მოვაწყვეთ და პაპებს ვსთოხვეთ ხატები ჩამოეღოთ კედლებიდან და მოეწოდებინათ, მაგრამ მათ განაცხადეს, რომ ხატებს ხელს ვერ ახლებენ შიშით. იძულებული შევიქენი მე თვითონ ჩამომეღო კედლებიდან და თაროებიდან ხატები. დახმარებას მიწევდა ერთი სვანი დიაკონი, რომელიც იმერეთში ნამყოფი იყო და საიმისოდ ხატის ხელის შეხებას არ შიშობდა. გაშინჯვის და აწერის შემდეგ მე ხატს ვაძლევდი ბესარიონ ნიჟარაძეს, მას მიჰქონდა ეზოში აპარატთან და ერმაკოვი იღებდა სურათებს. მაგრამ ხალხი გუნდ-გუნდათ მოდიოდა და ყოველთვის განგაშს ასტეხდა ხოლმე, ვიღუპებით, ეს რა არის ჩვენს თავზე, რაც ეკლესია გაშენებულა, ხატები არავის გამოუტანია გარედ, ეხლა ამოგიწყდება ცოლშვილი და სხვა. ბესარიონ და ივანე ნიჟარაძე ამშვიდებდენ ხალხს, ზოგჯერ იძულებული ვიყავი მიშველებოდი მათ, მაგრამ როცა ერთი გუნდი დაწყნარდებოდა, მეორე მოვიდოდა შეიარაღებული და ხელახლა შეიქმნებოდა განგაში და ჩოჩქოლი. ეს გარემოება, რასაკვირველია, ხელს გვიშლიდა და ამით აიხსნება, ზოგიერთი ჩემი მიწოდებული ხატი ერმაკოვს გადაუღებელი დარჩა, თუმცა ცოტა-რიცხოვანი და მეორე ხარისხისა. თავი ხატები და ნივთები ყველა კარგად გადაღებული იქმნა ფოტოგრაფიის საშუალებით.

როცა ხალხის დენა შეწყდა, ყველა დამშვიდდა, წინეთ მარტო ლაპარაკი და განგაში იყო, თორემ უდიერად არავინ მოგვპყრობია. პირიქით, მე ლმობიერად ლაპარაკი და ხვეწნა დამიწყეს, ამეხსნა მათთვის, რომელი ხატი უფრო ძლიერია. ბოლოს გავახსნევინეთ რკინით შეჭედილი ზანდუკი, რომელიც ჩვენს წინ არავის ენახა. შიგ, სხვათა შორის, აღმოჩნდა ხელნაწერი, ტყავის წიგნი, იერუსალიმის დიდი კანონი, ჭურჭლები და მრავალი წვრილმანი ნივთები. ესენიც გადმოვიღეთ ფოტოგრაფიულად და აღვსწერეთ. ნაშუადღევის ხუთს საათზე მუშაობა დავამთავრეთ და ნადიმს შევუდექით.

სვანებმა დიდათ მოილხინეს, იყო სიმღერა, გალობა; ზოგიერთი ჰიმნი და სიმღერა მარტო ეკლესიისათვის აქვთ მიჩნეული; სხვაგან მას არ გალობენ. ხალხი კმაყოფილი დარჩა, სიმღერით და თოფის სროლით გამოგვაცილეს. ერთი გუნდი თავი კაცებისა, რომელიც ჩვენ დაგვესწრო, ფოტოგრაფიულადაც გადმოვიღეთ და ეს ფოტოგრაფია საუკეთესო ნიმუშია სვანების ტიპებისა (№17539).

ეხლა გადავიდეთ თვით ეკლესიაზე და მასში დაცულ ნივთებზე.

ეკლესია, როგორც მოვიხსენიეთ, პატარაა, სიგრძის 11 არშინი და 12 ვერშოკი; განით 7 არშინი. თაღი დამყარებულია სამ თლილის ქვით გაკეთებულს სარტყელზე; ფანჯარა ორი აქვს; ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით. ეკლესია სულ მოხატულია. მხატვრობა საკმაოდ ლამაზია და შეიცავს უმთავრესად ცალკე სახეებს და სცენებს წ-ა კვირიკე და ივლიტას ცხოვრებიდან. საკურთხეველის კონქში მოთავსებულია ვედრება, ხუცური წარწერებით სახელებისა. დასავლეთის კედელზე წარმოდგენილნი არიან სრულის ტანით: წ-ჲ კ-ე და წ-ჲ ივლიტა. ჩრდილოეთის კედელზე : წ-ჲ გ-ი და წ-ჲ თ-ე. აქვეა წარმოდგენილი კიდევ: წ-ა ივლიტა, ვედრების სახით, ქრისტეს წინ და წარწერით:

„წ̄ჲ : ივლიტა : ჰმადლობს : ქ̄ესა
ღ̄სა : რმლ̄მნ სრლყო წმბჲ
თთესა : ივლისსა იე : წმბაჲ წ̄ჲსა“.

იმავე კედელზე სწერია:

„თთესა : ივლისსა / ივ : წმბაჲ წ̄ჲსა / კ-ესი“.

ეკლესიის ცაში წარმოდგენილია ამაღლება ქრისტესი.

კანკელი ქვისაა, სამ-კამარიანი, შუა კამარა ერთად ერთი შესავალია საკურთხეველში. კანკელიც მოხატულია. მასზე წარმოდგენილნი არიან: წ̄ა სტეფანე, წ̄ა კვირიკე, წ̄ა ივლიტა და წ̄ა ეკატერინე. ყველას ასომთავრული წარწერა აქვს სახელისა. სარტყელზე თაღისა სწერია:

საყდარი.	საყდარი
ესე. წდისა	ესე წმიდისა
კრკესი : ოდეს . მ	კვირიკესი, ოდეს მ
იწისა :. ძრვამნ	იწისა ძვრამან
დაარღვია . მე	დაარღვია, მე
ანტონის . შ-მნ . გ-ი	ანტონის შვილმან გიორგი
ახლად . შევკთე . ვ	ახლად შევაკეთე. ვი-
ნცა . არ . დამივ	ნცა არ დამივი-
წყ̄თ . ღ̄ნ შეგიდ	წყოთ, ღმერთმან შეგინდ-
ოს :	ოს.

(შეადარე: დ. ბაქრაძე, გვ. 117-118. ბარტოლომეი, გვ. 164, ტაბ. I, №5). ჩემს და ბაქრაძის წაკითხვაში ერთი განსხვავება არის: ის კითხულობს მე-7 სტრიქონში: შევსზეთე; მე ვკითხულობ: შევაკეთე. ბარტოლომეის მიერ ხელით გადმოღებული წარწერა სრულიად სწორი არაა, მაგრამ ასო: კ: ამ სიტყვაში იქაც კარგად მოსჩანს. (იხ. ბარტოლომეი, ტაბ. I, №5).

3. ინგოროყვა თავის სვანეთში მოგზაურობის მოკლე ანგარიშში („საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. VII, გვ. 348) აღნიშნავს საფრესკო წარწერას კალას ეკლესიაში 1183 წლისა, რომელიც ჩვენ არ შეგვინიშნავს. ეს არც გასაკვირალია, ჩვენი ყურადღება უმთავრესად მიქცეული იყო ცდაზე, რომ ერთს დღეს, ნაშუადღევის 5 საათამდის, მოგვესწრო აღნუსხვა, აღწერა და ფოტოთი გადმოღება მრავალ-რიცხოვანი ძეგლებისა, სულ 84, რომელიც იქ აღმოჩნდა. თვით წარწერა შეიძლება ეხლა გამოცემული იყოს, მაგრამ ჩვენამდის ჯერ არ მოუღწევია. მუზეუმის „მოამბის“ ჯერ მარტო რვა ტომი გვაქვს ნახული.

ეკლესიაში ინახება:

1. **ჯვარი** დიდი ხისა, კანკელის საწინავე, რომელიც დატოვებულია თავის ადგილზე, ესე იგი კანკელის წინ, შუაში, აღსავალის კარის პირდაპირ და ჰფარავს თითქმის მთელს ეკლესიას, ვინაიდან თავის კვარცხლბეკით და ზემოთ ქუდით სიმაღლე აქვს ორი საჟენი, კვარცხლბეკის სიმაღლეა 1 არშინი და 11 და ნახევარი ვერშოკი, და თვით ჯვარისა 3 არშინი და 8 ვერშოკი, განი მისი მარცხენა და მარჯვენა ფრთებით სულ არის 2 1/2 არშინი. კვარცხლბეკს ორი საფეხური აქვს. ჯვარი შეძერწილია ოქროთი დაფერილის ფირფიტებით, საერთოდ მდარე ხელობისა. წმიდათა სახეები: მაღლა – ჯვარცმა, მის ქვემოდ უმბომდის ჯვრებია, თვით უმბო ძვირფასი ქვით არის შემკობილი; მის ქვემოდ – მთავარ ანგელოზები; ამას ქვემოდ: ორი მაცხოვარი, ორი წ̄ა გიორგი ცხენით;

კიდევ მაცხოვარი და ორი წ-ა გიორგი, ოთხი მთავარ ანგელოზი, ტლანქი ხელობისა და ბოლო ორი მთავარანგელოზი ლამაზი ნახელავი. მარცხენა და მარჯვენა ჯვარის სახეები კიდევ უფრო ტლანქია. ამ ჯვარს აქვს ზემოდ, როგორც მოვიხსენიეთ, ქუდი ანუ მიტრა ცილინდრის სახისა; შესდგება ხუთი ერთმანეთზე მილურსმული ვერცხლის ფირფიტებისაგან, რომელთა წაწვეტიანებული თავები იყრებიან ზემოდ და ქმნიან კონუსის თავს სამის ბურთით, და მათზ ზემოდ ჯვარით. ყველა ფირფიტების შუა ადგილი უკავია ვედრების გამოხატულებას, ამობურცული შემკობილობით (ამ ქუდის კარგად გამოსული სურათი იხ. უვაროვისა, გვ. 84, ნახ. 16). თვით ჯვარის გადმოღება ფოტოგრაფიულად შეუძლებელი შეიქმნა პატარა აპარატის უქონლობის გამო.

2. **ჯვარი ხისა**, შუა ტანისა, 67X45 სანტ. შემერწილია ოქროთი დაფერილ ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც სახეები წ-თა ამრიგად არის განაწილებული: ზემოდ – მაცხოვარი, სრულის ტანით, სახარებით, მაკურთხევლის მარჯვენით და წარწერით: ი-ო ქ-ე; ღვთის მშობელი ჩჩვილედი, წარწერით: დ-და ღ-სა; ღვთის მშობელი ვედრებისა, იოანე ნათლის მცემელი, სრულის ტანით: წ-ჲ ი-ე; მთავარ ანგელოზი და ერთი წმიდანი კიდევ, სახელი არ უწერია. მარცხენა და მარჯვენა ფრთებზე: ორი მახარობელი, ორი მთავარ ანგელოზი და ორი სხვა წმიდანი. ხელობა გვარიანია (ფოტო არა გვაქვს).

3. **ჯვარის ხისა,** შუა ტანისა, შემერწილი ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც წარმოდგენილნი არიან: ზემოდ მაცხოვარი, სრულის ტანით, მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში; შუაში ჯვარცმა; მის ქვემოდ მთავარ ანგელოზი, სრულის ტანით, ლაბარუმით და ყვავილით; კიდევ მთავარ ანგელოზი, მაგრამ წელსზევითი, მედალიონში; მარცხენა ფრთას ჯვარისა ვერცხლი მოძარცული აქვს; მარჯვენაზე ორი მედალიონია უწარწერო სახეებით, თავუკუღმა მოქცეულნი, წელსზევითნი (№17281). მეორე გვერდზე ჯვარისა (№17282), ზემოდ ვედრებაა; მისი ქვემოდ მთავარ ანგელოზი მედალიონში; უმბო შემკობილია დიდის ქვით; მის ქვემოდ მაცხოვარი სრულის ტანით, სრულიად ისეთი, როგორც პირველ გვერდზე, და მთავარ ანგელოზი მედალიონში. მარჯვნივ და მარცხნივ ფრთებზე: მთავარ ანგელოზნი და ორი წმიდანი, თავუკუღმა მოქცეულნი. ხელობა ამ ჯვარისა უკეთესია, ვიდრე სხვებისა.

4. **ჯვარი**, სიმაღლით ერთი არშინი და 6 ვერშოკი, განით 13 ვერშოკი; დაფარულია ვერცხლის ფირფიტებით, რომელზზედაც წარმოდგენილნი არიან მოციქულნი, მაცხოვარი ტახტზე მჯდომარე და მთავარ ანგელოზნი. ქვემო ნაწილი მოძარცულია; ხელობა დაბალია.

5. ასეთივე ხელობის **ჯვარი,** რომელზედაც არის სახეები წ-ა გიორგისა, ტლანქი ხელობისა.

6. **ხატი-სანაწილე,** თავი განძი ეკლესიისა, მინანქრიანი, ბიზანტიური ხელობისა (№17299). ეს სანაწილე შეიცავს ხისაგან გაკეთებულ ოთხკუთხედ კოლოფს, ანუ ყუთს, შემერწილს ოქროთი დაფერილის ვერცხლით. შუაში

წარმოდგენილია ექვს-ფრთიანი ჯვარი გოლგოთაზე დამყარებული, ოთხის საფეხურით. ძეგლი განკუთვნილი ყოფილა შესანახავად ძელი ჭეშმარიტისა, ესე იგი ნაწილის იმ ჯვარისა, რომელზედაც ქრისტე იყო ჯვარცმული. ჯვარს აქეთ-იქით წარმოდგენილნი არიან მდიდრულ სამეფო ბიზანტიურის სამოსლით და გვირგვინებით კონსტანტინე და ელენე. ჯვარის ზემოდ ორ მრგვალ მედალიონში ორი მთავარ ანგელოლზია: მიქელ და გაბრიელ. ზემოდ და ქვემოდ კონსტანტინესა, ისე როგორც ელენესა, ოთხკუთხედი უჯრედებია ნაწილებისათვის და მათ კარებზე წარმოდგენილნი არიან: მოციქულნი პეტრე და პავლე, იოანე ნათლის მცემელი და წინასწარმეტყველი ელია. ყველა ამ სურათებს ბერძნული წარწერები აქვს სახელებისა და ყველა ფრიად ლამაზი და ნაზი ხელობისა არის. ზედა პირს კოლოფისა უვლის აშია, მორთული აკანთის ფურცლების მსგავსი შემკობილობით. ამას კიდევ ახლავს დაკბილული ნაჭედი წრე, რომლიდანაც შედის ხატის ნაწილების თავსახურავი ფიცარი, აგრეთე ოქროთ დაფერილი ვერცხლისა. ამ სახურავის შემკობილობა და მორთულობა უფრო დიდი ღირებულობის არის. შუაში აქ ოქროს ფირფიტაზე, რომლის სიმაღლე არის 3 და ნახევარი ვერშოკი, ხოლო განი ორი ვერშოკი, წარმოდგენილია ჯვარცმა საუცხოო ბიზანტიური მილანქრით შესრულებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დაზიანებული. ქვემოდ ჯვარცმულის ორივე მხარეს დგანან ღვთის მშობელი და იოანე ღვთისმეტყველი. ზემოდ მოფრენილნი მთავარ ანგელოზნი; მათ ზემოდ, ცაში მზე და მთვარე. ყველა სურათებს ბერძნული წარწერა აქვს სახელებისა. ქვემოდ ჯვარცმულისა, ოქროს ფირფიტაზე მილანქრით გამოყვანილია ბერძნული სამ-სტრიქონიანი წარწერა, რომელიც წარმოადგენს იამბიკურ ლექსს და რომელიც გარჩეულია პამიალოვსკის მიერ. შინაარსი მისი ასეთია:

„ილარიონს, რომელმაც შემოზღუდა (შეამკო) ნათელი (ღვთიური სახე) ბრწყინვალე ნივთითა, ექნება ამით გზა მიმავალი უაღრესი ნათელთან“.

ჯვარცმის ფირფიტა შემოზღუდულია ისეთივე ხელობის აკანთის ფურცლების აშიით, რომელიც არის პირველ ფიცარზე. ყველა ამას უვლის დიდი და ფართო აშია შემკობილი მრავალი ძვირფასი ქვებით, რომელნიც მოთავსებულნი არიან დიდრონს და მძიმე ბუდეებში. უმეტესი ნაწილი ამ ქვების დაცულია. კუთხეებში და შუაში ბუდეები ოთხკუთხედია, ზემოდ და ქვემოდ კვერცხის მსგავსნი, ხოლო ოთხკუთხედების ზემოდ და ქვემოდ მრგვალნი. ზოგი მცირე ქვები ვარსკვლავის სახედ არიან განწყობილნი; ქვემოდ, შუა წოწოლა ბუდეში სარდიონის ქვაა და ამ ქვაზე ამოჭრილია მშვენიერი სახე იესო ქრისტესი. ხოლო ეს ქვა და მისი ბუდე თავის ადგილზე არ არის; ის პირდაპირ უნდა იდგეს, აქ კი გვერდზე არის დაწოლილი. ქვემო აშია აქ ნაჭედი მორთულობითაა შემკობილი და წარმოადგენს ერთი მეორეზე გადაბმულ ბალახს, რომელშიაც მოსჩანან ხუთ-ფოთლიანი მისტიური ვარდები სპარსულ-ბიზანტიური რიგისა. სისქეზე შემოვლებული ნაჭედი ლამაზი აშია ყუთისა შემკობილია მრავალი მედალიონებით და სხვა და სხვა ჯვრებით. ერთი მხარე აშიისა დაკარგულია, სხვებზე მედალიონებში წარმოდგენილნი არიან წელსზევითნი სახეები წ-ა თეოდორესი, დიმიტრისი, იაკობისა, წ-ა გიორგისა და წმიდა მარინესი. ყველას ამათ ბერძნული წარწერები აქვს სახელებისა. ერთის მედალიონის წარწერა გაფუჭებულია. სამწუხაროდ ამ გვერდის წმიდათა სახეები

მთელად ფოტოგრაფიულად გადმოღებული არ არის, მხოლოდ №17299-ზე ჩვენი ფოტოგრაფიისა ჯვარის, საფეხურების ქვემოდ, გადმოღებულია ნაწილი აშიისა წმიდა მარინეს მედალიონებით, სწორკუთხედებიანი ჯვარით და სხვა შემკობილობით. აქედან შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა ამ საუცხოო აშიის შესახებ, ვინაიდან სხვა მედალიონებიც ამავე რიგის არის. ხალხის განგაში ხელს უშლიდა, ერმაკოვი ნერვიულობდა და ამით აიხსნება, რომ ეს ნაწილი გადმოუღებელი დარჩა, თუმცა დანიშნული იყო ჩემს მიერ.

მეორე გვერდი ხატ-კოლოფისა (№17301) შემკობილია ერთობ ლამაზი ნახელავი კომპოზიციით ქრისტეს აღდგომისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჯოჯოხეთის წარტყვენისა, ბერძნულის წარწერით. ქრისტე სდგას ჯოჯოხეთის შემუსვრილ კარებზე, მარცხენა ხელში ექვს-ფრთიანი ჯვარი უჭირავს, მარჯვენით ჩასჭიდებია მის წინ დაჩოქილს ადამის ხელს და აღადგენს მამად მთავარს; ადამის გვერდით ევა სდგას, სავედრებლად გაპყრობილი ხელებით; ევას უკან კიდევ ორი ფიგურაა; ქრისტეს უკან ოთხი; მათ შორის ორი გვირგვინოსანი მეფე, დავითი ახალგაზრდა და სოლომონი მხცოვანი. პეიზაჟი მთისაა. აშია ირგვლივ ფრიად ლამაზია ბროწეულის ყვავილების სახით შემკობილი.

დაწვრილებით აღწერა ამ ხატ-კოლოფისა იხ. უვაროვისა გვ. 94-100, ტაბ. XXVI-XXVII. დრო მისი გაკეთებისა ჯერ ნამდვილად არ არის დადგენილი და ზოგადათ ნაჩვენებია გრაფ. უვაროვის მიერ IX-XI საუკ. ჩვენი სურათები ბევრად უკეთესია, ვიდრე უვაროვის გამოცემაში. მე მაქვს კიდევ კარგად შესრულებული დიდი სურათი ამ ხატის ბერძნული წარწერისა.

7. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 87X60 სანტ. მაცხოვარი მაღალ-ზურგიან ტახტზე ზის. ტახტი შესდგება ქვემოდ სამმაგი ჩუქურთმიანის სვეტებისაგან, რომელნიც ზემოდ ვიწროვდებიან და თავდებიან საერთო სვეტის თავით აკანთის ფოთლის სახედ. ხის ნაწილზე საჯდომისა ძევს ორი მუთაქა, მოქარგული თავებით და ამ მუთაქებზე ზის მაცხოვარი. ზურგი ტახტისა შესდგება ორმაგი ჩუქურთმიანი სვეტებისაგან; ესენი თავდებიან მარცხნივ: ორი ფრინველის ქანდაკებით, რომელთაგან ერთი მეორეს ნისკარტს უდებს პირში; მარჯვნივ ასეთივე პოზით ორი მხეცია. მაცხოვრის სახე მხცოვანია; გრძელი თმა მისი ნაწნავებად ჩამოდის მხრებზე; ნიმბი დიდია, ჯვარის სახისა; შემკობილი ყოფილა ხუთის ქვით; ერთი აკლია; მაცხოვარი მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენა უდევს სახარებაზე, რომელიც მუხლზე უძევს; ფეხები შიშველი უძევს მოჩუქურთმებულ სკამზე დაწყობილი. ზემოდ, ნიმბის აქეთ-იქით, ოთხკუთხედებში ასომთავრული წარწერა: ᲘᲗ ᲥᲔ. ეზო და აშიები შემკულია ლამაზის ყვავილოვანის ორნამენტით. ზემო აშიაზე, მრგვალ მედალიონებში, წარმოდგენილია, შუაში გამზადებული ტახტი; კუთხეებში დედა ღვთისა და ნათლისმცემელი, წარწერებით: დ-დᲐ ღ-თსა, წ-Ა ნათლის მცლი. ასეთივე სამი მედალიონი, წელს ზევითი ფიგურებით წ-თა, ქვემო აშიაზეა; სახელები არ უწერია. მარცხენა აშიაზე სრულის ტანით, ოთხკუთხედებში, წარმოდგენილნი არიან გრიგოლ დიდი: წ-Ა გ-გლ; მეორეს ზემოდ, აწერია: „წ-Ა ედლ(?)“ მარჯვენა აშიაზე: წ-ი მქლ, საზომით და წ-ი გ-ი სრულის ტანით. ხელობა მე-14-15 საუკ. უნდა იყოს. (№17298).

8. **ხატი წმიდისა კვირიკესი**, ოქროსა, ნაჭედი, 15 3/4X10 3/4 ვერშოკი; წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით და თავისებური ტანისამოსით, რომელიც გერმანულს გვაგონებს; გაშლილი მარჯვენა ხელი გულზე აქვს მიდებული; მარცხენაში ჯვარი უჭირავს. (№17304). დაწვრილებითი აღწერა იხილეთ უვაროვისა, გვერდი 117, ტ. XXXVI, 62.

ნიმბი დიდია, ორმაგი გრეხლით შემოვლებული. სახე წმიდანისა დაზარალებულია, აგრეთვე ქვემო ნაწილიც. მარჯვენა კუთხიდან, ზემოდ, ექვს-ნაწილედი სფეროდან ქრისტეს მაკურთხეველი ხელი მოსჩანს.

წარწერა სახელისა გამოყვანილია ერთობ ლამაზის მოგრძო ასომთავრულით: წ-ჲ კ-კე. ეზო შესდგება ერთი ერთმანეთში გადაბმული სიმრგვალეებისაგან და რომბებისაგან. აშიები ბალახოვანის სახით არის შემკობილი ლამაზად. ქვემო აშიას ნახევარი აკლია. აშიებში ეხლა შვიდი მრგვალი მედალიონია წმიდათა, წელსზევითნი; ესენი არიან მოციქულნი, წ-ა გიორგი და სხვა. ქვემოდ, მარჯვნივ, კვირიკეს ფეხთან დაჩოქილი ფიგურაა წარმოდგენილი, მაგრამ წელს ზევით ფიგურა სულ მოშლილია. აგრეთვე ეხლა მოშლილია ნაწილი წარწერისა ამ ფიგურის ზურგს უკან; ხოლო დ. ბაქრაძის დროს ცოტა კლებია (ბაქრაძე, გვ. 117). მოგვყავს წარწერა შევსებით. ბაქრაძის ტექსტიდან ამოღებულს ასოებს ფრჩხილებში ვსვამთ:

ქ : წ-ო : და : დ-ბლო : ქსმწმ	
	წმიდაო და დიდებულო ქრისტეს მოწა
ეო : კ-ე : მეოხ : ექმენ : წ-ე	მეო კვირიკე, მეოხ ექმენ წინაშე
ქ-სსა : ფ დ : მოსავ[სა]	ქრისტესა ფრიად მოსავსა
ძ-ლისა : ძ-ნსა : [სგანუ]. . .	ძალისა შენისა სგანუ. . .
ნის : რ-ნ : შეამ[კო]	ნის, რომელმან შეამკო
წ-ჲ : ესე : ხ-ტი : დბლ[ი]	წმიდაჲ ესე ხატი დიდებული-
სა : სახისა :	სა სახისა
შენისაჲ :	შენისაჲ.

ხატი მე-12-13 საუკ. უნდა იყოს.

9. **ხატი წმიდისა კვირიკესი და წმიდისა ივლიტასი**, ვერცხლისა, ნაჭედი, 69X47 სანტ. შუაში, განცალკევებულ ოთხკუთხედ ფირფიტაზე წარმოდგენილნი არიან რელიეფით ტლანქი ფიგურები კვირიკე და ივლიტასი, წარწრებით: წ-ჲ კე, წ-ჲ ილტა. ამას ახლავს ყოველი მხრით სხვა ფირფიტები, მარჯვნივ და მარცხნივ თითო; ორი მოგრძო ქვემოდ და ერთი დიდი ზემოდ. ყველა ეს ფირფიტები სავსეა რელიეფით განაჭედი ფიგურებით. ზემო ფირფიტაზე ფიგურები ორ რიგად იყოფა; ზემო რიგში, შუაში, ლამაზი „დრობნიცაა“ ფილიგრანისა, ერთის ძვირფასის ქვით შუაში. ამ დრობნიცის მარჯვნივ მედალიონებში მკერდსზევითი ფიგურაა ქრისტესი, წარწერით: ჲ-ჯ ქ-. მარცხნივ: დ-ჲ ღ-ჲ. ამის მარცხნივ: ჯვარცმა ღვთიშობლითურთ. ქვემო რიგში ზემო ფირფიტისა, შუაში, ვედრებაა; ქრისტეს ფიგურა ვედრებაში წელსზევითია, ოთხკუთხედში, სახარებით და მაკურთხევლის მარჯვენით; წარწერა: ჲ-ჯ ქ-ე. ფიგურები ღვთის მშობლის და იოანესი ორ მრგვალ პატარა მედალიონებშია მკერდზევითად წარმოდგენილნი, წარწერებით: დ-ჲ ღ-ჲ, წ-ჲ ი-ე. ამის მარცხნივ წმიდა გიორგია წელსზევითი, ოთხკუთხედ მედალიონში, შუბით და წარწერით: წ-ი გ-ი. ამის მარცხნივ მთავარ ანგელოზია.

ორად განყოფილებას ფიგურებისას ზემო ფირფიტაზე არღვევს ფიგურა წ̄ა ნიკოლოზისა, რომელიც ყველაზე მოზრდილია, წელსზევითი, ოთხკუთხედში, და უჭირავს მთელი სიმაღლე ზემო ფირფიტისა. ის მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს. წარწერა: წ̄ᲐᲔ ნკლზს (sic). ამის მარჯვნივ, ზემოთ კუთხეში მაცხოვარია ტახტოსანი; მის ქვემოდ მთავარ ანგელოზი. მარჯვენა და მარცხენა ფირფიტებზე, ორთავეზე, სამ-სამი ერთგვარი ფიგურაა: ზემოდ და ქვემოდ მაცხოვარი ტახტოსანი; შუაში წმიდა მხედარი ცხენით; წარწერა არა აქვს, მაგრამ ერთი უნდა იყოს წ-ა გიორგი, მეორე – წ̄ა თეოდორე; ფიგურები ცოტა განირჩევიან ერთი მეორისაგან; მარცხენა ვეშაპს გმირავს თავ-ჯვარიანი შუბით; ის უხმლოდ არის; მოსასხამი ზემოდ არ აცვია. მარჯვენა ფიგურა ადამიანს გმირავს; მას ხმალი არტყია და მისი მოსასხამი მის ზურგს უკან ჰაერში ფრიალებს.

ორ ქვემო ფირფიტაზედაც ოთხი სრულიად ერთგვარი ფიგურაა. შუაში წ̄ა მხედარი; ზემოდ ის, რომელიც ადამიანს გმირავს; ქვემოდ ის, რომელიც ვეშაპს გმირავს; მათ ორივე მხარეს მაცხოვარია ტახტოსანი. გამოხატულება ყველა ამ ფიგურებისა სრულიად ისეთია, როგორც მარჯვენა და მარცხენა ფირფიტების ფიგურებისა. ხოლო აქ ფირფიტების ბოლოებში წარმოდგენილია ორი ერთგვარი ფიგურა, სრულის ტანით; მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს, ნიმბი არა აქვს, თავზე თითქო ჩალმა ახურავს დანაოჭებული, ტანისამოსიც დასერილის მინაგვარად დანაოჭებულია. ყველა ფირფიტის ფიგურები ერთი ერთმანეთისაგან იყოფა სქლად დაწნულის სიმრგვალეებით. ამასთანავე ქვემო ფირფიტაზე, ფიგურებს შუა, ზემოდ და ქვემოდ სიმრგვალეებისა, ასომთავრული ასოებია, რომელნიც წარწერას შეადგენენ, მაგრამ დასაწყისი წარწერისა ქვემო ფირფიტაზეა; ეს შეცდომით მოსვლიათ. ეს ფირფიტა ზემოდ უნდა ყოფილიყო. ასოები საკმაოდ ვულგარულია. ქვემო ფირფიტაზე (№17297) სწერია:

წ̄ო კ̄ე ილტ̄ა	წმიდაო კვირიკე, ივლიტა,
შ̄ე კ̄ე შლ ც̄ი	შეიწყალე კვირიკე შვილი-ცოდვილი.

ზემო ფირფიტაზე:

მხცი ორსავე	მოხუცი ორსავე
ცხო რე ბა სა .	ცხორებასა.

ძნელია გადაჭრით თქმა, რას შეიცავს მეორე სტრიქონის ჯგუფი: „კ̄ე შლ ც̄ი“. პირველი სიტყვა უნდა იყოს „კვირიკე“, როგორც ეს პირველ სტრიქონშია, თუმცა ასეთი შემოკლებით ზოგჯერ კონსტანტინეც იწერება; მეორე სიტყვას „შლ“ ქარაგმა არა აქვს: შეიძლება ნიშნავდეს „შვილს“, ხოლო „ც̄ი“ უნდა უდრიდეს გამოთქმას: „ცოდვილი“. ამიტომ მეორე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „შეიწყალე კვირიკე (თუ კონსტანტინე) შვილი-ცოდვილი“, ანუ „შეიწყალე კვირიკეს შვილი ცოდვილი“. ფოტოგრაფიაზე წარწერა მშვენიერად მოსჩანს. შედარება ადვილია. წარწერას არც ერთი მკვლევარი არ იხსენიებს.

აშიები ხატისა ერთგვარია, ლამაზად შემკობილი ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით და მრგვალი პატარა მედალიონებით წმიდათა, უწარწეროდ. სულ 34 მედალიონი ყოფილა; ეხლა 1 აკლია; შესაძლოა აშია უფრო ადრინდელი

იყოს, ვიდრე თვით ხატი. ამას გარდა ოთხი ძვირფასი ქვაც ამკობს ხატს. ხელობა ხატისა, ჩვენის აზრით, მე-16 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

10. **ხატი წმიდა კვირიკესი**, ოქროსა, ნაჭედი, 65X47 სანტ. (№17275). წმიდანი წარმოდგენილია რელიეფით და სრულის ტანით, ახალგაზრდათ, მდიდრულ ბიზანტიურ ტანისამოსით და ჯვარით ხელში და ნიმბით. წარწერა ლამაზის ასომთავრულით: „წ̄ ჲ კ̄ ე გვერცლისაი“. უკანასკნელი სიტყვა უფრო პატარა ასოებით არის დაწერილი, ვიდრე პირველი ორი. დ. ბაქრაძე უჩვნებს წარწერას კიდევ ქვემო აშიაზე (გვ. 117): წ̄ ო : ინე : ნათლის : მცემელო შე . . . მაგრამ ქვემო აშიაზე აქ არავითარი წარწერა არ არის და სხვა ხატიდან აქ შეცდომით უნდა იყოს მოყვანილი.

აშიები შემკობილია ორმაგი ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით, საუცხოო ნაჭედისა და შიგ მოქცეულია 8 რგვალი მედალიონი, მკერდ-ზევითი ფიგურებით წმიდათა. ზემოდ: მაცხოვარი მთავარანგელოზებითურთ, ქვემოდ: წ̄ ჲ თ̄ ე, წ̄ ჲ დმტრი, წ̄ ჲ გ̄ ი; გვერდებზე: წ̄ ჲ პ̄ ტრე, წ̄ ჲ პ̄ ლე. გრაფ. უვაროვისას აშიები უფრო კლასიკურის დროისად მიაჩნია, ვიდრე ფიგურა თვით კვირიკესი (გვ. 106, 109), მაგრამ, ჩვენის აზრით, ესენი ერთი დროის არიან, არა უგვიანეს მე-13 საუკ. სურათი ამ ხატისა გამოცემულია გრ. უვაროვის მიერ; იხ. ტაბულა XXXI, სურათი 52.

11. **ხატი წ̄ კვირიკესი,** ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 55X42,5 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია რელიეფით, წელს ზევით, ჯვარით მარჯვენა ხელში; ნიმბი დიდი აქვს; წარწერა: წ̄ ჲ კ̄ ე. აშიები ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით შემკობილი, რვა მედალიონით მკერდს ზევითი წმიდათა ფიგურებით. მარცხენა კუთხეში ხატისა ცის სფეროდან სჩანს მაკურთხეველი მარჯვენა უფლისა. ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-15-16 საუკუნეს (№17276).

12. **ხატი წ̄ ა კვირიკესი**, ვერცხლისა, ნაჭედი, 55X39 სანტ. (№17284). წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით, ახალგაზრდათ, რომაულ ტანისამოსში, ჯვარით ხელში და ნიმბით. ეზო ბალახის მსგავსად არის შემკობილი, ხოლო აშიები რომბ-ლურსმულია. ამათში წარმოდგენილნი არიან მკერდსზევითნი ფიგურები მედალიონებში. ზემოდ ვედრება; ქვემოდ წმიდა მხედარნი; მარჯვნივ და მარცხნივ სრულის ტანით მოციქულნი პეტრე და პავლე. ხატი მე-14 საუკ. უნდა იყოს.

13. **ხატი წ̄ ა კვირიკესი**, ვერცხლისა, ნაჭედი, 51X39 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით, ბიზანტიური ტანისამოსით და ჯვარით ხელში. გრძელი თმის კავები ჩამოშვებული აქვს მხრებზე. წარწერა: წ̄ ი კ̄ ე. ხელობა ტლანქია (№17285), მე-17-18 საუკ. აშიები უკეთესი ხელობის არის, ბროწეულის ყვავილების მსგავსად მორთული, რვა წელსზევითი სურათებით წმიდათა მედალიონებში.

14. **ხატი ვედრებისა,** ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, 84X75 სანტ. ყველა ფიგურები სრულის ტანით არიან წარმოდგენილნი (№17274), წარწერებით: ჲ̄ ჯ ქ̄ ე, დ̄ დჲ ღ̄ ა, წ̄ ჲ ნ̄ ა̄ ი. (=ნათლის მცემელი). აშიები რომბ-ლურსმულია ცხრა, მკერდზევითი წიდათა ფიგურებით მედალიონებში. მაცხოვრის ფეხებ ქეშ წარწერა:

ქ̄ ე : შ̄ ე : გ̄ ი : დეკანოზი:

დ. ბაქრაძეს სიტყვა გ-ი (გიორგი) გამოშვებული აქვს. (გვ. 117). ხელობა მე-16-17 საუკ. უნდა იყოს.

15. **ხატი იოანე ნათლის მცემელისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 45X35 სანტ. იოანე წარმოდენილია სრულის ტანით; შესამოსელი ქართულ ჩაცმულობას მოგვაგონებს, კაბას გრძელი სახელურებით (№17279). ფიგურა მოკლეა. წარწერა ასომთავრული:

წ-ო : ინე : ნათლის : მცემელო : შ-ე : ენჭუგრსიძე : და

მეუღლესა : მისსა : მრმს : ამ-ნ.

უქარაგმოდ:

წმიდაო იოანე ნათლის მცემელო, შეიწყალე ენჭუგრსიძე და მეუღლესა მისსა მარიამს (შეუნდვენ), ამინ. (შეადარე დ. ბაქრაძე, გვ. 116).

აშიები საცერის მსგავსი შემკობილობით არის შემოზღუდული წერტილებიანი წრეებით. მრგვალ მედალიონებში აშიებისა წარმოდგენილნი არიან მკერდზევითნი ფიგურები: ზემოდ ვედრება. წარწერა ქრისტესი ბერძნულია, სხვებისა ასომთავრული: დ-დჲ ღ-ს, წ-ჲ ი-ნე; ქვემოდ: წ-ჲ ეკატ. (=ეკატერინე), წ-ჲ ლუკა და წმიდა ზაქარია (?). აქეთ-იქით: წ-ჲ პ-ტრე, წ-ჲ პ-ლე. ხელობა მე-15 -16 საუკ. უნდა იყოს.

16. **ხატი ღვთის მშობლისა**, ჩჩვილედი, 84X52 სანტ. ყოფილა ფერადიანი, მაგრამ ფერადები საკმაოდ მოშლილია; წარწერა ხუცური: დ-დჲ ღ-ჲ. პერანგი ვერცხლისა აქვს; ნაჭედი ნიმბები და აშიები შემკობილია მდარედ, მედალიონებიც აშიებისა წ-თა ფიგურებით ტლანქია (№17273), მე-17 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

17. **ფერადებიანი ხატი,** 72X47 სანტ. ფერადები მოშლილია, წარწერა არა სჩანს; არ ვიცით, რომელი წმიდანის არის. სურათი წელსზევითია; მარცხენა ხელში მოგრძო ტარი სჩანს, ლაბარუმის თუ შუბის, ძნელი სათქმელია, მარჯვენა გულზე აქვს მიდებული. აშიები კარგი ხელობის არის, ორმაგი ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით შემკობილი და კარგის მედალიონებით წ-თა. აქეთ-იქით სრულის ტანით; წ-ი ანდრია (მარცხნივ), წ-ჲ ლ-კა (მარჯვნივ); ქვემო აშიაზე მკერდზევითნი პეტრე და პავლე და ერთი კიდევ სხვა ფიგურაა, უწარწერო. ზემო აშია მოძარცულია (№17289). ხელობა მე-12-13 საუკ. არის.

18. **ფერადებიანი ხატი,** ვგონებ, **მაცხოვრისა**; ფერადები სრულიად გადასულია; დარჩენილია მხოლოდ ნაჭედი აშიები, ორმაგი ბალახის მსგავსი მორთულობით შემკობილი (№17287); მე-13-14 საუკუნისა უნდა იყოს.

19. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, 15,5X13 სანტ. ფიგურა წელსზევითია, სახეები დაზიანებულია. აშიები ფურცლოვანი მოხატულობით საუცხოოა, მე-12-13 საუკ. ქვემოდ ორ-სტრიქონიანი წარწერა ცოტა დაზიანებულია:

დ-დო : ღთსო : მიოხე : ბავშეშას : ძესა : ბასლა : და

მეუღლესა : მისა : გუაცას : და : შვილსა მათსა.

მე-13-14 საუკ. უნდა იყოს. (№ არ მახსოვს, სხვა ხატებთან არის გადაღებული).

20. **ხატი ღვთის მშობლისა**, ნიშოვანი, ფერადებით დახატული (№17268), ფერადები დაზიანებულია; ქრისტეს ყრმას ბერძნული წარწერა აქვს სახელისა, პერანგი და ბალახების მსგავსად შემკობილი აშიები ლამაზი ნახელავია; 19,5X15 სანტ. ღვთის მშობლის ზემოდ, კუთხეებში მთავარ ანგელოზებია; ქვემოდ ორ სტრიქონიანი წარწერა:

ქ . დედაო : ღმრთისაო : მოხ : ექ

მნ სულს : ბერის : ხშს და მის დდ მ .

უქარაგმოდ:

დედაო ღმრთისაო მეოხ ექ-

მენ სულსა ბერის ხოშას (?) და მის დედმამას.

ძნელია თქმა, როგორ უნდა წავიკითხოთ შემოკლებით გადმოცემული სახელი „ხშს“, „ხოშას“, „ხოშიას“, თუ სხვა.

ხატი მე-12-13 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

21. **ხატი ღვთის მშობლისა**, ტახტზე მჯდომარისა, ვერცხლისა, ნაჭედი, 44X33 სანტ. ტლანქი ხელობისა; დაზიანებულია; წარწერით: დ-Ა ღ-Ა. აშია რომბ-ლურსმული, ცხრა მედალიონით ზემოდ ტახტის გამზადებაა მთავარ ანგელოზებითურთ (№17288). ღვთის მშობლის ტახტის შემკობილობა ამ ხატისა სუსტი მიბაძვაა №17289 ხატის ტახტისა. მე-16-17 საუკ. უნდა იყოს.

22. **ხატი ღვთის მშობლისა**, ვედრებისა, ვერცხლისა, ნაჭედი, 20X16 სანტ. ღვთის მშობელი წელსზევითი წარმოდგენილია ოთხკუთხედში, მავედრებელის სახით და წარწერით: დ-ა ღ თსა აშია ფოლაქების მსგავსი წრეებით არის შემოვლებული. ხელობა რიგიანია, (17270-507 ?). მე-17 საუკ. უნდა იყოს.

23. **ხატი ღვთის მშობლისა**, ფერადებით დახატული, 33X25 სანტ. ფერადები სულ გადასულია; დარჩენილია ოქროთ დაფერილი ვერცხლის ნიმბი და ლამაზი აშიები ბალახოვანის რიგით შემკობილი (№-527); არა უგვიანეს მე-14 საუკ.

24. **ხატი ღვთის მშობლისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 49X38 სანტ. წარწერით: წ-Ა მსმლი (=მღთის მშობელი) დ-ი (დედაი) ქესი. აშიები ბალახის სახით შემკობილი კარგი ნახელავი არის. (ფოტოგრაფია არ არის).

25. **ხატი მაცხოვრისა,** ნაჭედი, 37X30 სანტ. მაცხოვარი წელსზევითია, მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით; ნიმბი ჯვარის სახედ აქვს. ნიმბზე ყოფილა ძვირფასი ქვა, ეხლა უკვე დაკარგული. წარწერა: წ-ი მ-სა (=მაცხოვრისა) ხატი. აშია ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით და წ-თა მედალიონებით არის შემკობილი; გვერდებზე ღვთის მშობელია და იოანე სრულის ტანით. წარწერებში: წ-ი ღ-სლ, წ-ი ი-ნე. ზემოდ: ვედრება და ქვემოდ: წმიდანი მხედარნი: დიმიტრი, თეოდორე და გიორგი, ყველა წარწერებით სახელებისა (№-517). მე-14-15 საუკ. უნდა იყოს.

26. **ხატი ჯვარცმისა,** ლამაზი, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 18X15 სანტ. წარწერა : წ-Ა ქ-ე; ქვემოდ, ჯვარცმულის ორივე მხარეს, ღვთის მშობლის და იოანე ნათლის მცემელის მაგიერ, წარმოდგენილია ორი წმიდა გიორგი, რომაული

საომარი ტანისამოსით, ფარით და მარცხენა მკლავზე და მახვილით მხარზე; ორივეს ერთგვარი წარწერა აქვს: წ̄Ა გ̄ი. აშიები ლამაზად არის შემკობილი ბალახოვანის ორნამენტით. ქვემოდ ყოფილა ორ-სტრიქონიანი წარწერა; დარჩენილია შუა ნაწილი, პირველი სტრიქონიდან: „... ცმაო ქესო“... მეორე სტრიქონიდან: „... ომან ან“.. უნდა ყოფილიყო ალბათ: [ᲯᲕარ]ცმაო ქრისტესო [შეიწყალე] ... ომან, ამინ. ხატი მე-12-13 საუკ. უნდა იყოს. (172-505).

27. **ფერადებით დახატული ხატი მაცხოვრისა** (?), 29X21 სანტ. ფერადები გადასულია; შესანიშნავი ხელობის აშიები ფურცლოვანის მოკაზმულობით; ნიმბი სამი ქვით ყოფილა შემკობილი; დარჩენილია ერთი. ნიბმის ზემოდ, მოგრძო ოთხკუთხედში ბერძნული წარწერა ყოფილა, ეხლა გადასული. ქვემო აშიაზე ყოფილა სამ-სტრიქონიანი წარწერა; დარჩენილია თავი და ბოლო; შუა, უმეტესი ნაწილი, დაღუპულია:

ქ ნებსით : ვნებ. . . ზა რა
ი მიძნა : Ჭორცი . . ბი შენ
მსგვსდ : ავზაკი . . . მ̄ღ ნე მე

უკანასკნელი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს:

„შენ მსგავსად ავაზაკისა მიმიღენ მე“.

ხატი მე-12 საუკ. უნდა იყოს (17268-505).

28. **ხატი მაცხოვრისა**, 16X12 სანტ. პირის სახე ფერადებით ყოფილა დახატული, ფერადები გადასულია. პერანგი და აშიები ლამაზი, ნაზი ხელობისა, მე-12-13 საუკ. ოქროსია. მაცხოვრის ფიგურა წელსზევითია, მაკურთხევლის მარᲯვენით და სახარებით; წარწერა სახელისა ბერძნულია. ქვემოდ აშიაზე წარწერა:

ქ . ღ̄ო : შემწე ეყვ ამერიᲯიბს : ბშქნს : (ბაქრაძე, გვ. 116). (არ არის გადაღებული).

29. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 20X15 სანტ. მაცხოვარი ტახტოსანია ჩვეულებრივის პოზით. წარწერა: ᲐᲬ ქ̄ე. ეზო და აშიები შემკობილია ბალახოვანად. ნიმბი ᲯᲕარის სახედ არის. მე-16-17 საუკ. უნდა იყოს. (№-507).

30. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, 18X14 სანტ. წარწერით: „მცხოვ̄რი”. მაცხოვარი ტახტოსანია, ჩვეულებრივის პოზით. მაგრამ ერთობ ტლანქი ნახელავია, მე-18-19 საუკ. (17270-507?).

31. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, 17X15 სანტ. ბერძნულის წარწერით სახელისა C̄X (sic) X̄C. ტლანქი ხელობისა არის, მე-18 საუკუნ. (გადაღებული არ არის).

32. **ხატი მაცხოვრისა**, 15X11 სანტ. პირის სახე ფერადებით ყოფილა დახატული, მაგრამ ფერადები სულ გადასულია; პერანგი და აშიები ვერცხლის არის; მაცხოვარი წელსზევითია, ჩვეულებრივი პოზით. წარწერა სახელისა ბერძნულია. ხელობა ლამაზია. მე-13-14 საუკ. (გადაღებულია სხვებთან ერთად).

33. **ხატი ჯვარცმისა**, ვერცხლისა, 17,5X15 სანტ. წარწერით: „ჯრცმაჲ ქესა“. ტლანქი ხელობისა არის (არ არის გადაღებული).

34. **ხატი წმიდისა ზაქარიასი**, ვერცხლისა, ნაჭედი, 17X13 სანტ. წმიდანი წელს ზევით არის წარმოდგენილი, საცეცხლურის მსგავსი ჭურჭელით, რომელიც ნეკზე დაუკიდია. ზემო ნაწილი დიდი ნიმბისა დაფარულია წერტილების მსგავსად შემკობილის აშიით. წარწერა: „წ̄ი ზქრი“. მე-17 საუკ. ხელობა უნდა იყოს (გადაღებულია სხვებთან ერთად).

35. **ხატი წ̄ა გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 44X43 სანტ. მხედარი სრულის ტანით არის ქვეითად წარმოდგენილი, შუბით და ფარით. ეზო სადაა. აშიები ბალახოვანის შემკობილებისაა, ლამაზი, რვა მედალიონით წმიდათა. ხელობა მე-15 - 16 საუკ. უნდა იყოს. (№17286).

36. **ხატი წ̄ა გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 18X16 სანტ. მხედარი წარმოდგენილია სრულის ტანით, რომაულ სამხედრო ტანისამოსში, შუბით და ფარით. წარწერა: წ̄ა გ̄ი. (ასო ბ-ნ უკუღმა არის). აშია ფოლაქების მსგავსად შემკობილი, ტლანქია, როგორც თვით ხატი. მე-18-19 საუკ. (X 17271).

37. **ხატი წ̄ა გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 36X25 სანტ. მხედარი წარმოდგენილია სრულის ტანით, შუბით და ფარით; უკან, წელზე მახვილი ჰკიდია. წარწერა: წ̄ი გ̄ი. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკ. ხოლო აშიები, პალმეტების სახით შემკობილი ლამაზია და ეკუთვნის კლასიკურ ხანას. ქვემო აშიაზე წარწერა (№17280):

ქ : წ̄ო : გ̄გი : გ̄რსო : შეიწლ : ჴ̄ვი : სყორს :

ესე იგი: წმიდაო გიორგი გერისაო, შეიწყალე ჴევი საყორის. (შეადარე დ. ბაქრაძე, გვ. 117).

38. **ხატი წ̄ გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 19,5X18 სანტ. მხედარი წარმოდგენილია სრულის ტანით, რელიეფით, შუბით და ფარით; წელზე, უკან მახვილი ჰკიდია. წარწერა: წ̄ჲ გ̄ი. აშია ლამაზი ნაძვის კინკრიჟის მსგავსად შემკობილი, მე-16 -17 საუკ. (№17269-506?).

39. **ხატი წ̄ა გიორგისა**, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 21X16 სანტ. ფრიად დაზიანებულია. მხედარი გაჭენებული ცხენით არის წარმოდგენილი. ვეშაპს გმირავს. წარწერა: წ̄ი გ̄ი. აშია გვარიანია (№17283-520?).

40. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, წელსზევითი, 32,5X25,5 სანტ. ყოფილა ფერადებით დახატული, მაგრამ ფერადები გადასულია; დარჩენილია დიდი ნიმბი მოოქრული ვერცხლისა, წერტილებიანი წრეებით შემკობილი, ბალახოვანის მორთულობით (№ - 509). მე-15-16 საუკ. უნდა იყოს.

41. პატარა **ხატი ღვთის მშობლისა**, ოქროსა, 2,6X2,6 სანტ. ლამაზი ხელობისა, მე-12-13 საუკ. (არ არის გადაღებული).

42. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 41X30,5 სანტ. მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის წარმოდგენილი, ლაბარუმით და ბურთით. წარწერა: წ˙ი მი¯ლ. სახე დაზიანებულია. ეზო ბალახოვანად შემკობილია. აშიები ნაწილობრივ რომბ-ლურსმული, ნაწილობრივ ბროწეულის ყვავილების მსგავსად. ერთი დროისა არ არის და უთავბოლოდ არის დაკერებული. ზემო აშია თავის მედალიონით გვერდზე უნდა ყოფილიყო, რომ მედალიონის სურათი პირდაპირ მდგარიყო. (№17272). აშიებზე ორი მედალიონია დაცული; მე-17-18 საუკ. უნდა იყოს.

43. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** უფრო პატარა, მაგრამ უკეთესი ხელობისა, ვიდრე წინა ხატი, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი; მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ბიზანტიური სამეფო კარის ტანისამოსით, შუბით და ბურთით. წარწერა: წ˙ი მი˙ლ. აშიები რომბ-ლურსმული, სადა სიმრგვალეებით (№17290). მე-14-15 საუკ. უნდა იყოს.

44. **ხატი ორ მიქელ მთავარ ანგელოზისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 28X12 სანტ. ბაწრულად შემოფარგლულ ორს ოთხკუთხედში წარმოდგენილია თითოეულში ცალ-ცალკე ერთი და იმავე ყაიდის ფიგურა მთავარ ანგელოზის მიქაელისა, სრულის ტანით, გრაგნილით ხელში, და წარწერა: ზემოდ: წ˙ჲ მ-ქლ. აშიები ზემოდ და ქვემოდ რომბ-ლურსმულია, აქეთ-იქით ნახევარი სიმრგვალეებისგან შესდგება. მე-18 საუკ. ხელობა უნდა იყოს. (№ 17269).

45. სრულიად ასეთივე **ორ მიქელ მთავარ ანგელოზისა ხატი**, ვერცხლისა, მაგრამ უფრო პატარა, 20X17,5 სანტ. (№17283).

46. პატარა, **ოქროს ხატი მთავარ ანგელოზ გაბრიელისა**, 5,5X4 სანტ. ტლანქი ხელობის არის (არ არის გადაღებული).

47. **ხატი ორი მხედარისა**, 17X12 სანტ. ფერადებით დახატული ყოფილა; ფერადები გადასულია; დარჩენილია სრულად ლამაზი ნიმბები და აშიები, ლამაზად შემკობილი; მე-13-14 საუკ. ქვემოდ, აშიაზე წარწერა კარგად ვერ ირჩევა (№-508):

წ-ჲო თე (?) და გონისფა (გუნისფა ?).

48. **ხატი ჯვარცმისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 17,5X15 სანტ. წარწერით: „ჯრცმაჲ ქესა“, ტლანქი ხელობისა, (გადმოღებული არ არის).

49. **ხატი** ფერადებით დახატული **გარდამოხსნისა,** რთული კომპოზიციისა, 49X40 სანტ. ფერადები დაზიანებულია. ქვემოდ, კუბოში ჩასვენების სურათია. მხატვრობა მაინცდამაინც ლამაზი არ არის. აშიები ოქროთი დაფერილი ვერცხლისა შემკობილია ბროწეულის ყვავილების მსგავსი მორთულობით, ორმაგად.. ლამაზი ნახელავია. ქვემოდ: სანახევროდ გადასული წარწერა:

ღისა სტო კცთ . . თ˙ს ჯრცმლო
მწ ფრლ გნ დდთრთ დჩს

ფალვსა ხლისად .

ესე იგი: „ღმრთისა სიტყვაო, კაცთათჳს ჯვარცმულო, მწემფარველ გუექმენ დედითურთ დაჩის ფალევ სახლისად“ (?). ეს ორი სიტყვა გამოუცნობელი რჩება (არ არის გადმოღებული).

50. **სამი** უბრალო **ხის ჯვარი**, შემერწილი ვერცხლის ფირფიტებით (არ არის გადმოღებული).

51. **ხატი წ-ა კვირიკესი,** ოქროსი, 21X14,5 სანტ. წარწერით: წ-ი კ-ე. ნიმბი და ქვემო ნაწილი ტანისა გაფუჭებულია. აშიები ლამაზია, რომბ-ლურსმული, მე-14 საუკ. უნდა იყოს. (№-520). ქვემოდ წარწერი ნაწყვეტია:

. . . „მეოხ ექმ“ . ამას ქვემოდ . . . „ნილს“. .

52. **ხატი წ-ა კვირიკესი,** წელსზევითი, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 12X16 სანტ. წარწერით: წ-ი კ-ე. აშიები ოქროს ბასმისაგან შესდგება, წერტილებიანის შემკობილობით. მე-16 საუკ. უნდა იყოს (№ 17270).

53. **ხატი წ-ა გიორგისა,** 16,5X13 სანტ. ვერცხლისა; ლამაზი ხელობისა; მხედარი ფეხოსანია, ფარით მარცხენა მკლავზე და მახვილით მხარზე; წარწერა : წ-ჲ გ-ი. მე-14 საუკუნის უნდა იყოს. (№17271-508).

54. **ხატი ორთა წმიდათა მხედართა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა; ორთავე წარმოდგენილია ფეხით, ერთი ფარით და მახვილით, მეორე ფარით და შუბით, რომაულ საომარი ტანისამოსებით; აშიები წერტილების მსგავსი გრეხილებისაგან შესდგება. მე-14 საუკ. უნდა იყოს. (№17271-508).

55. **ხატი წ-ა გიორგისა,** პატარა; ყოფილა ფერადებით დახატული; ფერადები გადასულია; მხედარი ცხენით ყოფილა წარმოდგენილი; ნიმბი და აშიები თხელი ოქროს ბასმისა ლამაზია (№17270-507), მე-14 საუკ. უნდა იყოს.

56. ასეთივე **ხატი წ-ა თეოდორესი** (?), ვერცხლისა; მხედარი ფეხოსანია, შუბით და ფარით; დაზიანებულია. აშიები ბასმისა ლურსმულ-რომბული; მე-16 საუკუნის უნდა იყოს (№17283-520?).

57. **ვერცხლის ფირფიტა,** რომელზედაც წარმოდგენილია, შუაში, ოთხკუთხედში მხედარი ცხენით, გვირგვინოსანის მგმირავი, და ორი სხვა ფიგურა აქეთ-იქით; ტლანქი ხელობისა, მე-18-19 საუკუნისა (იქვე, №17283-520).

58. **დროშა ფარჩისა,** 27X26 სანტ. ხეტარზე, რომელიც ჯვარით თავდება ზემოდ, ოთხივე ნაწილზე ფარჩისა გამოსახულია წ-ა კვირიკე, მაგრამ არა მაინცდამაინც ლამაზად. (არ არის გადმოღბული).

59. **ლაბარუმი ვერცხლისა,** 26X20 სანტ., რომელზედაც წარმოდგენილია წ̄ა გიორგი, ჩვეულებრივის რიგისა. (არ არის გადმოღებული).

60. **ორი დიდი, მაღალი და ერთობ მძიმე შანდალი,** ანუ საღრჩოლებელი ბრინჯაოსი; ერთი გატეხილია. ესენი საღრჩოლებლადაც იხმარებოდენ წინა დროში; თითოეული რამოდენიმე მუხლისაგან შესდგება მსგავსად დოქებისა თუ ქოთნებისა (№17305).

61. **როდინი მასსიური, სპილენძისა**, რვა წაღნაგოვანი, სიმაღლით 13 სანტ. შემკობილია წაღნაგებში მსხალის მსგავსი გამობურცული ჯირყვლებით და ორის მხეცის (შეიძლება ლომის) თავით ყურეებში. ეხლა ამას როდინად ხმარობენ, მაგრამ, შესაძლოა, წინეთ საღრჩოლებლადაც იხმარებოდა, აქემენიდთა დროის უნდა იყოს. (№17266).

62. **ვაზა** ცილინდრის მსგავსი, სპილენძისა; ზემო ნაწილი მოტეხილია; შემკობილია არაბესკებით. (იქვე, №17266).

63. **ჩარდახი ხატებისა,** მაღალ ფეხებზე, 137 სანტ. სიმაღლით და 15 ს. განით. ფეხები ანუ წვრილი სვეტები ხისაა, ვერცხლის მოჩუქურთმებულის ფურცლით შემერწილი; თითოეული იყოფა ორ მუხლად ვერცხლის ბურთით ანუ ვაშლით. წინა პირი და ცილინდრული გვირგვინი ზემოდ ოქროთი არის დაფერილი; წინა პირზე სვეტების თავები შემკობილია ფიგურებით, შუაში: ვედრებისა, წ̄ა გიორგისა და წ̄ა დიმიტრისა; მეორე მხარეს: მარტო წ̄ა გიორგის ფიგურებია. ცილინდრული გვირგვინი, მიტრის მსგავსი, შემკობილია სხვა წმიდათა ფიგურებით. ეს ნივთი დაშლილი იყო და ჩვენ მოვიყვანეთ რიგში და გადმოვიღეთ ფოტოგრაფიულად (№17267 და უვაროვისა, გვ. 130, ტაბ XXXI, 59).

64. **თასი** ვერცხლისა, დიდი, ჯამის მსგავსი; ფსკერზე წარწერა აქვს მხედრული:

ქ : ეს : თასი : პატასა მიქელაძისა .

გარე პირზე აწერია:

„ხოსია ახვლედიანის არის“. (დ. ბაქრაძე, გვ. 118).

ხოსია ახვლედიანი, კარგად ცნობილი ქართულ ისტორიაში, იყო თანამედროვე იმერეთის მეფის ბაგრატ მეოთხისა, მეორე ნახევარში მე-17 საუკ. ის არის მკვლელი დედოფლის ნესტან დარეჯანისა.

65. ორმოცი სპილნეძის და ვერცხლის **ჯამი**; ზოგიერთებს შემკობილებაც აქვს.

66. ერთი სპილენძის **ჯამი** სომხურის წარწერით, რომლის თარგმანი გრ. უვაროვისას აქვს მოყვანილი (გვ. 117):

ხოსროვის ძე აფატიმ.

67. **დოქი ანუ ლაგინა**, ყვითელი სპილენძისა, თვალწარმტაცი სილამაზისა, 9 1/2 ვერშოკი სიმაღლით. ტანი მოგრძო აქვს; ყელი – მაღალი და ვიწრო, თავდება ნავისებური ტუჩით. სახელური, ცოტა მოხრილი, შემკობილია თეთრი, მოსხო, მძივის

მსგავსი ორნამენტით, ზემოდ შეერთებულია პირთან და ქვემოდ ჩამოშვებულია თითქმის შუა წელამდის დოქისა და თავდება ცხენის თავის ქანდაკებით, და არა ირმის თავისა, როგორც ფიქრობს გრ. უვაროვისა (გვ. 139). (ფოტოგრაფია ნომერი 17303). მუცელი დოქისა გამშვენიერებულია ნაჭედი შემკობილობით, ფურცლებისაგან შემდგარი რომბებისა, რომელნიც შიგნით ამოვსებულია შტოებით აყვავებული ბროწეულისა; ორი დიდი და მშვენიერად გამოსული ჩვენი ფოტოგრაფია ამ დოქისა №№ 17302 და 17303 გვაძლევს საშუალებას უფრო სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ შესანიშნავ ხელოვნების ნივთზე აღმოსავლური ყაიდისა, ვიდრე გრ. უვაროვისაგან გამოცემული ერთი სურათი, თუმცა თავის თავად არა ცუდი (გვ. 139, სურ. 60).

68. **დოქი დიდი,** სპილენძისა; მუცელი დიდი აქვს, მაგრამ, ყელი მაღალი, ზემოდ გაფართოებული. სახელური ამისა საუცხოო ლამაზია, მრგვალი; შიგ ჩაჭრილი ნახვრეტებით. სახელური პირს ზემოდაც გრძელდება და თავდება ლამაზი ფიალით ანუ ვაზით, რომელიც შემკობილია ასეთისავე ჩაჭრილი ნახვრეტებით. (იხ. ფოტ. №17265). ეს დიდი დოქი არც ერთ მკვლევარს არ უნახავს. იმ სკივრში აღმოჩნდა, რომელიც ჩვენ პირველად გავახსნევინეთ.

69. **დოქი ფაიანსისა,** შემკობილი მცენარეების შტოებით და ყვავილებით (იხ. № 17293). ძირი მისი კიდევ მეტად შემკობილია მცენარეების შტოებით და ფურცლებით. (№ 17294).

70. **ცხენის სახე ფაიანსისა,** უნაგირით; თავი და ფეხები მომტვრეული აქვს. უნაგირი შემკობილია, აგრეთვე ასლიც (ყაჯარი). (№17293).

71. **სასაკმევლე ნაკერი ფარჩისა;** გვერდზე აქვს ნაკერი ფარშევანგის სურათები, ხოლო შუაში დრაკონი გერალდიური რიგისა. (№17294).

72. **საცეცხლური ბრინჯაოსი**, რელიეფით გამოხატული სახეებით წმიდათა, სირიულის რიგისა (№17295).

73. **საცეცხლური სპილენძისა**, საცერის მსგავსი თავით (იქვე, №17295).

74. **ცული ბრინჯაოსი**, კელტის რიგისა, სადა. (იქვე, №17295), ამოღებული უნდა იყოს ძველი საფლავიდან.

75. **ქინძისთავი** თმისა, ბრინჯაოსი, ფარშავანგის გაშლილი კუდის მსგავსი თავით. ესეც უსათუოდ ამოღებულია ძველი საფლავიდან (იქვე, №17295).

76. **სპილენძის ფირფიტა**, პირამიდის სახისა, იეროგლიფების მსგავსი ნიშნებით (იქვე, №17295).

77. **რკინის** მოკაუჭებული **დანა** (იქვე). ესეც საფლავიდან უნდა იყოს ამოღებული.

78. **ლახტი რკინისა** (№17296).

79. **სამი შვილდი ხისა** და ოთხი სხვა და სხვა ფორმის ისარი. (იქვე, №17296). ხე ერთის შვილდისა შემკობილია ძვლის ჭდეებით.

80. **ზარი** გატეხილი, ხუცურის წარწერით:

წ :. ღ·ო : და წ· ო :. კუირიკე შეეწიე : ორსავე შინა :
ცხორებასა : ჴელმწიფისა : შვილსა . მონა : ზონსა .
თეკლას : რნ შემოგწირა : ზარი : ესე : ამინ.
უქარაგმოდ:
წ. ღმერთო და წმიდაო კურიკე, შეეწიე ორსავე შინა
ცხორებასა ჴელმწიფისა შვილსა მონაზონსა თეკლას,
რომელმან შემოგწირა ზარი ესე, ამინ.
(შეადარე ბაქრაძე, გვ. 116).

81. დ. ბაქრაძეს უნახავს ამ ეკლესიაში ერთი სპილენძის ჯამი, მხედრულის წარწერით: (გვ. 115):
ქ : სვეტის ცხოველი არის . ისიმც რისხვის (sic) ვინც მოიპაროს.
ჩვენ ეს ჯამი არ გვინახავს.

82. **ნიღაბი** (მასკა) ბრინჯაოსი, გორგონის სახით, რომელიც კარზე ყოფილა მიჭედილი (გრაფ. უვაროვისა, გვ. 172). ჩვენ ეს არ შეგვინიშნავს.

83. **სადღესასწაულო ნუსხა** ხუცურით დაწერილი ქაღალდზე, ყდით; ბოლო აკლია. შიგნით ყდის ფიცარზე სწრია:

ქ : კარისა : დეკანოზის : დავითისა : შეონდოს : ღ·თმან :
კუხბასიანი . მთავარ ანგელოზო ჴიდურისაო : მეუხ : ექ-
მენ : წინაშე : ღ·თისა : დავითსა : ბერსა : დეკანოზსა :
კონო ბესიანსა : დღესა : განკითხვისასა : ამენ : კირი-
ელეისონ.
ხელის მიხედვით ხელნაწერი უნდა ეკუთვნოდეს მე-16-17 საუკუნეს.

84. **ტიბიკონი** იერუსალიმის ეკლესიისა, ანუ ეგრედ წოდებული **დიდი კანონი**, ხელნაწერი ეტრატზე დიდი ფორმატისა, 34X27 სანტ. დაწერილია ასომთავრულით ორ სვეტად; ტექსტის ზომაა, აშიების გამოკლებით, 28X18,5 სანტ. დაცულია მხოლოდ ნაწილი ხელნაწერისა; თავი და ბოლო აკლია; მრავალი ფურცლებისაგან მხოლოდ ნაწყვეტებია დარჩენილი. შუაში ემჩნევა შემდეგ დროში დამატებული ეტრატის ფურცლები დაწერილი იმის მსგავსი ხელით, რომლითაც დაწერილია ადიშის სახარება 897 წლისა. ეს გარემოება და პალეოგრაფიული ხასიათი წერისა საშუალებას იძლევიან ხელნაწერის დროს განმარტებისა, დაახლოვებით არა უგვიანეს მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრისა. თუ 897 წლის ახლო ხანს ხელნაწერი უკვე ფურცლებ

დაკარგული იყო, ის წინეთ უნდა ყოფილიყო გადაწერილი. შენახულ ფურცლებზე ხელნაწერისა მხატვრობა არ არის, მხოლოდ ერთ ადგილას კინოვარით დახატულია ფარშევანგები და სხვა ფრინველები; ამას გარდა კიდევ ორი დრაკონი. ქვემოდ ამისა არის გადამწერის შემდეგი ანდერძი:

დბჲ შ̄ხდა ღ̄სძლ-ო წ̄ო დაეს
როჯლა კანონი საზამთ
როჲ ჴელითა ჭიქაოჯრისა
ჲთა : მიჴსენ მე ო̄ო საშინე
ლისა მის განკითხვისაგ̄ნ
და შწყლე მონაჲ შ̄ნი მიქლ
და დამცევ ამას საწოჯთ
როსა და მას სკნსა ა̄ნ:

ამრიგად, ხელნაწერის გადამწერი არის მიქელ ანუ მიქაელ ჭიქაური; ის თავის თავს კიდევ იხსენიებს მეორე ადგილას შემდეგ რიგად: ო̄ო :. შ̄წყლე :. მნ̄ჲ შენი : მიქ̄ლ:

ამ ხელნაწერის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ და ჩვენ მიერ ამოწერილ სხვა ადგილებს ხელნაწერისა ვუშვებთ, ვინაიდან მისი ტექსტი, ლატალის ხელნაწერთან ერთდ, გამოცემული და განმარტებული აქვს პროფ. კ. კეკელიძეს თავის საყურადღებო შრომაში, რუსულს ენაზე: „იერუსალიმსკი კანონარ VII ვეკა“, თბილისი, 1912 წ. კ. კეკელიძე იყო სვანეთში 1911 წელს, ერთის წლის შემდეგ ჩვენი ექსპედიციისა. ცნობა, ბესარიონ ნიჟარაძის სიტყვებზე დამყარებული, ვითომც ეს ხელნაწერი არავის ენახოს და რას შეიცავდა, ცნობილი არ ყოფილიყოს, სწორი არ არის. ჩვენ ხელნაწერი არა თუ ვნახეთ, არამედ ორი ადგილი ფოტოგრაფიულად გადმოვიღეთ, ერთი ის, სადაც მხატვრობა და ანდერძია, მეორე სხვა. ნომრებს აქ ვერ ვუჩვენებთ, ვინაიდან ეხლა ხელთ არა გვაქვს. ბ-ნ პ. ინგოროყვას აქვს გადაცემული და ის მათ უჩვენებს თავის გამოკვლევაში: „ძველი ქართული წარმართული კალენდარი“, საქ. მუზეუმის მოამბე, VI , გვ. 411. გვინდოდა მთლად გადმოგვეღო ტექსტი, მაგრამ ფირფიტები არ გვეყო.

ეს ხელნაწერი, როგორც მოვიხსენიეთ, ჩაკეტილი იყო ზანდუკში, რომელიც საკურთხეველში იდგა. ჩვეულებრივად დიდ უარზე იყვნენ პაპები მისი გახსნისა, მაგრამ ჩვენ დავაჯერეთ და ვაიძულეთ გაეხსნათ. ამ საქმეში დიდათ დაგვეხმარა ბესარიონ ნიჟარაძის შვილი, კუკური. ჩვენ ვთხოვეთ და ბესარიონ ნიჟარაძე დაგვპირდა, რომ ის შეეცდებოდა ამ ხელნაწერის და ორი კიდევ სხვა ამგვარი ხელნაწერის, ლატალისა და წვირმისა, დროებით თბილისში ჩამოტანას შესასწავლად, მაგრამ ეს აღარ მოხერხდა, მეტადრე, როდესაც კ. კეკელიძე თვით გაემგზავრა სვანეთში მათი ტექსტების გადმოსაწერად.

გრაფინია უვაროვისა აღნიშნავს კალას ეკლესიაში ორ ხელნაწერს, ვითომც სახარებას, ერთს ეტრატზე, დიდს, უთავბოლოს და გაფუჭებულს, მე-12 საუკ. მეორეს ბომბიცინაზე, უფრო ახალი დროისა. ესენი ჩვენ არ გვინახავს და არც დ. ბაქრაძეს აქვს აღნიშნული.

სოფელი ჯე.

სოფელი ჯე გაშენებულია მთის ძირში. ამ სოფელში პატარა ქვის ეკლესია არის, წმიდა ბარბალესი (სვანურად: ბარბალ). აღმოსავლეთის კედელი შემკობილია სამი კამარით, რომელნიც ფართო პილიასტრებზე არიან დამყარებულნი. კანკელი ქვისაა, სამის კამარით. ეკლესია სულ მოხატულია. აქ საკურთხეველის კონქში მაცხოვარია; დასავლეთის კედელზე ღვთის მშობლის მიძინება, ჯვარცმა და აღდგომა ქრისტესი; ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლებზე: ლამაზი ფრესკებია წმ. ბარბალესი, წმ. ეკატერინესი და მთავარ ანგელოზთა, სრულის ტანით. ნივთებით ეს ეკლესია მდიდარი არაა:

1. **ხატი წ̄ა კვირიკესი** და არა წი̄სა ბარბალესი, როგორც ჰგონებდა უვაროვისა (გვ. 172), ვინაიდან სახელი ცხადათ სწერია: წ̄ი კ̄ე; ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 22,5X15,5 სანტ. აშიები უჯრედებად დაყოფილია; ზურგზე ვერცხლის ფურცელი აქვს გადაკრული და ზედ ჯვარია გამოყვანილი. ხელობა ტლანქია.

2. **ჯვარი ხისა,** გამოსასვენებელი, ხის ტარით, 35X35 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით; დამყარებულია ხეტარზედ ვერცხლის ბურთის საშუალებით. პირველ გვერდზე გამოხატულია ჯვარცმა ოთხი მედალიონით წ̄თა ყველა მხარის ბოლოებში ჯვარისა; ქვემო მედალიონი გაფუჭებულია. წარწერები, როგორც ჯვარცმულის, ყოველ მხრით, ისე მედალიონებისა, ვულგარული ხუცურია და მასთან თავუკუღმა ასოებით; ამიტომ ძნელი გასარჩევია (№17277). ეს წარწერა გადმოღებული აქვს, როგორც ბარტოლომეის (გვ. 168, დამატება №22ა), ისე დ. ბაქრაძეს (გვ. 114, დამატება №36). ჩვენი ფოტოგრაფია, რასაკვირველია, უფრო სწორ საშუალებას მისცემს მკვლევარს წარწერის ამოშიფრვისათვის. წარწერის წაკითხვა ვერც ჩვენ შევსძელით.

ჯვარის მეორე გვერდზე ჯვარცმა წარმოდგენილია, აგრეთვე ოთხი მედალიონით ბოლოებში. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკ. (№17278).

3. **კალენდრა**, ანუ წინაწარმეტყველებანი იმის მიხედვით, თუ რომელი კვირეულის დღეს გათენდება ახალი წელი, და პასხალიონი; პატარა ტანის ხელნაწერი ეტრატზე, 16,5X15 სანტ. სულ დაშლილი და გაფუჭებულია.

4. ხელნაწერი ეტრატზე, **პალიმსესტი,** ნუსხა ხუცურით ორ სვეტად; ახალი ტექსტი შინაარსით ტიბიკონი ანუ პარაკლიტონი არის, რომელიც შეიცავს მწუხრისა და ცისკრის საგალობლებს; ყდაშია, მაგრამ ყდა მოცილებულია; ხელნაწერი სრულიად დაშლილია და ფრიად დაზიანებული; თავი და ბოლო აკლია; დარჩენილია სულ 138 ფურცელი. ამათში, 4 ფურცელზე, დიდრონი სურათებია; სურათები სიდიდით არაჩვეულებრივია მინიატურული ხელნაწერისათვის და მასთან დახატულია თვით ტექსტზე, გადურეცხელად, ამიტომ ესენი ხელნაწერის მინიატურებათ მის ტექსტთან დაკავშირებით არ ჩაითვლება, არამედ განცალკევებულ ნიმუშად ეკლესიის კედლების მხატვრობისათვის, როგორც განმარტებულია შ. ამირანაშვილის მიერ (იხ. „არილი“, ტფილ. 1925 წ. გვ. 25-46) სულ

8 სურათია, ვინაიდან სურათი 1-ელ გვერდზეც მოიპოვება და მეორეზედაც თითოეული ფურცლისა. აქ წარმოდგენილნი არიან: ღვთის მშობელი, იოანე ნათლის მცემელი, ლუკა მოციქული, იოანე მოციქული, მთავარ ანგელოზი მიქელ; შემდეგ კიდევ ღვთის მშობელი და იოანე, პეტრე (? სახელი არა სჩანს) და პავლე.

ძველი ტექსტი ხელნაწერისა ზერელედ არის გადარეცხილი და ძველი ასომთავრული ტექსტი საკმაოდ კარგად მოსჩანს. ამან ჩვენ დიდათ დაგვაინტერესა და ვინაიდან დრო არ გვქონდა იქ გაგვერჩია ზოგიერთი ადგილები ძველი ტექსტისა, გამოვითხოვეთ მისი წამოღება, მაგრამ მთელად არ მოგვცეს, არამედ ნახევარი, სულ 55 ფურცელი, მათ შორის მხატვრობიანი ფურცლებიც. მეორე ნახევარის ჩამოტანა თბილისში ბლაღოჩინ ბესარიონ ნიჟარაძემ დაგვპირდა, მაგრამ ჩვენ დროს ვეღარ მოახერხა. ჩვენ მიერ ჩამოტანილი ნაწილი ხელნაწერისა სხვა ხელნაწერებთან და ნივთებთან ერთად გადავეცით საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების მუზეუმს, №1329. ეხლა ეს ხელნაწერი შესწავლილია პროფ. აკ. შანიძის მიერ. ძველი ტექსტი ქიმიურად აღდგენილია და გამოცემული (იხ. მისი „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, III, გვ. 354-388). ხოლო სურათები გამოცემულია შ. ამირანაშვილის მიერ (იხ. მისი: „ქართული კედლის მხატვრობის დასურათებული დედნის ფრაგმენტები“, **„არილი“**, ტფილისი, 1925 , გვ. 25-45).

ამრიგად ეს ოთხი სურათებიანი ფურცელი, რომელიც ჩემს შემდეგ ბიბლიოთეკის №2065 არის აღნიშნული, ეკუთვნის ხელნაწერს №1329. როგორც აკაკი შანიძის წერილიდან ვტყობილობთ, ეხლა სვანეთში დარჩენილი ნაწილიც ხელნაწერისა ჩამოუტანიათ თბილისში. ეს სამივე ნაწილი ერთი ნომრით უნდა აღინიშნოს.

ახლად ქიმიურად აღდგენილი ძველი ტექსტი შინაარსით შეიცავს იერუსალიმის განჩინების და განწესების წიგნს, უფრო ძველს ვარიანტს, ვიდრე კ. კეკელიძის გამოცემაშია და აკ. შანიძის განმარტებით უნდა ეკუთვნოდეს მერვე საუკუნეს.

სოფელი იფრარი.

სოფელ იფრარში, ენგურის მარჯვენა კიდეზე, არის მთავარ ანგელოზთა პატარა ეკლესია, თლილი ქვისაგან ნაშენი, ერთის შესავალით დასავლეთისაგან და ორის ფანჯრით, აღმოსავლეთით და დასავლეთით. შიგნით და ზემო ნაწილში გარედაც ეკელესია შემკობილია მშვენიერის და საკმაოდ კარგად დაცულის ფრესკებით მე-11 საუკუნისა; სამხრეთის კედელზე, გარედან, კარგად არის შენახული კომპოზიცია ვედრებისა მთავარ ანგელოზებითურთ, ორივე მხარეს, და ასომთავრულის წარწერებით, გარდა იესო ქრისტესი, რომელსაც ჩვეულებრივი ბერძნული წარწერა აქვს, სხვებზე ასე სწერია: დ-და ღთისა, წ-ჲ ი-ნე ნთლისმცმლი, წ-ჲ გბრლ, წ-ჲ მ-ქლ, შიგნით, საკურთხევლის კონქში ვედრებაა; სამხრეთის კედელზე: ღვთის მშობელი: დ-ჲ :ღ-თსაჲ, და ანა, ღვთის მშობლის დედა: ანა დ-დაჲ ყ-ლდ წ-დისა ღ-თს მშობლისაჲ; წ-ა თეოდორე : წ-ჲ თ-ე. დასავლეთის კედელზე: წ-ჲ ბარბარა, წ-ჲ ეკატერინა. ზემოდ, თაღებზე: შობა ქრისტესი, ნათლის ღება, მთავარ ანგელოზი მიქელ, მთავარ

ანგელოზი გაბრიელ; ჩრდილოეთის კედელზე: წ-ი გიორგი ცხენით, გმირავს გვირგვინოსანს და მთავარ ანგელოზი მიქაელ წარწერით:

მთვ-ანგელოზი მქლ გამოოჯჩნდა : ისონანისა მ-სა შ-ნა
რ-ჟმს მოსრნა წრმრთნი.

კანკელი ქვისაა, სამის კამარით; სვეტებიანი კამარების ზემოდ კანკელის კედელი მოხატულია; აქ წელსზევითნი ფრესკებით წარმოდგენილნი არიან: წ-ა ბარბარა, წ-ივლიტა, წ-ჲ დემეტრე და წ-ჲ სტეფანე. კანკელის გრეხილზე („კარნიზზე“) არის საყურადღებო წარწერა:

1. ქ სახელითა : ღთისათა : მოიხატა და შეიმკო წმიდაჲ ესე
ეკლესიაჲ იფრარმის (sic) ჴევისათა : სალოცველად დიდთა :
და მცრთა : შვ-ლთა : და მომავალთა : მათთა : და : ყ-ლთა :
მიცვლ-ბლთა : მთთისა :
2. წმ-დნო მ-თვრ ანგ-ლოზნო : შ-ნ : ორითავე ცხორებითი-
თა ან რ-. . . [დასაბა]მ-თ გ-ნთა წელთა ჴფ : ქრნიკნსა : ტივ :
ჴელითა : თ-ე : მეფისა : მხტვრი სიითა (sic) : ღ-ო მო-
იხსენე სასფელთა : შე-თ[ა].

უქარაგმოდ:

სახელითა ღმრთისათა მოიხატა და შეიმკო წმიდაჲ ესე ეკ-
ლესიაჲ იფრარმის ჴევისათა სალოცველად დიდთა და მცირ-
თა შემავალთა [1] და მომავალთა მათთა და ყოველთა მიცვა-
ლებულთა მათთისა, წმიდანო მთავარანგელოზნო, შეი
წყალენ ორითავე ცხორებითა, ამინ. . . (დასაბა)მითგანთა
წელთა : ჴფ, ქრონიკონსა: ტივ : ჴელითა თეოდორე მეფისა
მხატვრისითა. ღმერთო მოიხსენე სასუფეველთა შენთა.
ქორონიკონი უდრის 1096 წელს. (780+316=1096);

ამასვე უდრის დასაბამითგანაც წელთ აღრიცხვა ქართულის სათვალავით (6.700 -5.604 =1096). იმ დროს საქართველოს მეფე იყო დავით დიდი აღმაშენებელი და თეოდორეც მისი მხატვარი იქნებოდა.

ბარტოლომეის ეს ეკლესია არ უნახავს. დ. ბაქრაძე, თუმცა ამბობს, რომ ეკლესიის კედლები შიგნით და გარედ შემკობილია ფრესკებითო, მაგრამ არც ერთ ფრესკას და არც მის წარწერას არ იხსენიებს (გვ. 114 -115).

ა. ხახანაშვილიც არ უნდა ყოფილიყო ამ ეკლესიაში, ვინაიდან მას და მის წარწერებს სრულიად არ იხსენიებს (გვ. 36).

გრაფ. უვაროვისას შეუნიშნავს კანკელის წარწერა და ამბობს: წარწერა უჩვენებს, რომ კანკელი მე-16 საუკუნეში არის დახატულიო (– გვ. 78).

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ ეკლესიის გაშინჯვის დროს დიდი წვიმა

---

1 ჩვენ ვკითხულობთ „შემავალთა”, მაგრამ შესაძლოა წავიკითხოთ კიდევ; „შვილთა”.

დაგვესწრო, ეკრლესიაში ბნელოდა და წარწერა ცუდათ ჩანდა.

ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ჯვარი დიდი ხისა**, კანკელის საწინავე, სიმაღლით 1 მეტრი და 16 სანტ. და 80 სანტ. განით. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც ტლანქი სახეებია წმიდათა; მათ შორის ორი მაცხოვარია; ზემოდ ოთხი მთავარ ანგელოზი, ორი წმიდა გიორგი და სხვა მრავალი. უმბოს ირგვლივ ოთხი წმიდა გიორგია, ზემოდ და ქვემოდ ცხენით, მარჯვნივ და მარცხნივ ფეხით. მარცხენა ფრთაზე ჯვარცმაა მთავარ ანგელოზებითურთ ორივე მხარეს. აქვე წმიდა გიორგი ფეხოსანი. მარჯვენა ფრთაზე ხუთი სურათია; მათ შორის ორი მთავარ ანგელოზია ხელებაპყრობილი (№ - 674?).

2. **ხატი კარედი ღვთის მშობლისა,** 11X8,5 სანტ. ხატი ყოფილა ფერადებით ნახატი; ფერადები დაზიანებულია; შემოსილობა ოქროსია, ნაზი და ლამაზი, ვაზის მსგავსი შემკობილობით (№17263). შუა ნაწილში წარმოდგენილია ღვთის მშობელი ჩჩვილედი, ბერძნულის წარწერით სახელისა. მარჯვნივ მის ქვემოდ დაჩოქილია მვედრებელი კაცი, როგორც ეტყობა, მეფე, რომლის ზემოდ წარწერაა დაზიანებული; ნაკლულ ასოებს აზრით ვუმატებთ ფრჩხილებში (წარწერა არც ერთ მკვლევარს არ მოჰყავს).

დედაო ღ-თსაო	დედაო ღმრთისაო,
შ-ე მ-[მკ]ბლი	შეიწყალე მამკობელი
შენ[ი მ-ფე] დ-თ .	შენი (მეფე) დავითი.

ფრთებზე, შიგნიდან, წარმოდგენილნი არიან, მარცხნივ: იოანე ნათლის მცემელი: „წ-ჲ : ი-ნ[ე] ნთლ“. ამის სურათი გაფუჭებულია; მარჯვნივ: „წ-ჲ : ი-ნე : მხრბლ“. ამის სურათი საკმაოდ კარგად არის დაცული. (№17263). სურათები გარედან კარებისა და მათი მორთულობა სრულიად განადგურებულია (№17264). მეორე გვერდზე ხატისა, კუთხეებში, ლამაზად ნაჭედი ხლართულებია და შუაში, წერტილებიან ლამაზ წრეში, ასომთავრული წარწერა:

ქ ϩ :. წ-ო :	ϩი წმიდაო
ღ-თის მშობელ	ღმრთის მშობელო,
ო : მეოხ გჳქმენ :	მეოხ გუექმენ
მწ-ე : ძესა : შენსა : მო	წინაშე ძესა შენსა მო-
სავთა : შენთა : ავი	სავთა შენთა დავი-
[თ] : და მეჳღლესა : ჩე	თს და მეუღლესა ჩე-
მსა : გ-ონც	მსა გუანც
ასა :.	ასა.

ამ წარწერაში მე-4 სტრიქონში, ჯგუფში: მწე-ე : ასო მ შეცდომით უნდა იყოს მიმატებული. ეს იქიდან სჩანს, რომ შემდეგ ორ ასოს შუა პატივია „წ-ე“ და ნიშნავს „წინაშე“-ს. რომ ეს ჯგუფი „მწე“-ს ნიშნავდეს, მაშინ ამის წინ „და“ იქნებოდა და შემდეგ სიტყვა „წინაშე“ მაინც უნდა ყოფილიყო მოყვანილი. ასო ჳ ჩვეულებრივად უ-ის მაგიერ არის ხმარებული; ვინაიდან აქ გამოშვებულად იგულისხმება ო, ხოლო

სიტყვაში „გო-ნც“ გამოშვებულია ჯ. სიტყვების მაგიერ „ძესა შენსა“ უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივად: „ძისა შენისა“.

ჩვენი აზრით, ამ წარწერაში მოხსენებული დავით არის მეფე დავით მეხუთე, გიორგი ლაშას ძე, თამარ მეფის შვილის შვილი; მისი მეორე ცოლი იყო გუანცა, რაჭის ერისთავის კახაბერის ქალი. გუანცა პირველად ცოლად ჰყავდა ათაბეგს ავაგს, შემდეგ დაქვრივებისა, ის მისთხვდა დავით მეფეს 1252 წელს. გუანცა გარდაიცვალა 1263 წელს (იხ.Brossete H.G. t. l. p. 568, n. 4). მაშასადამე, ჩვენი ხატი და მისი წარწერა დამზადებულია 1252-1263 წლებს შუა.

3. **ხატი წ-ა გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 23X17 სანტ. მთავარ მოწამე მდგომარეა; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა ფარზე აქვს დადებული. საომარი ტანისამოსის ზევით გრძელი მოსასხამი აცვია. წარწერა: წ-ი გ-ი. აშია ბალახბულახის სახით არის შემკობილი გრეხილით შემოზღუდულ სიმრგვალეებით. მე-16 ასუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს (№17260).

3. **ხატი წ-ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 23,5X18 სანტ. მხედარი მდგომარეა იმავე რიგით, როგორც წინა ხატი. წარწერა: წ-ჲ გ-გი ლსორის. აშია რომბ-ლურსმული. ხატი მე-16 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს (№12260).

შემოკლებულს სიტყვაში **ლსორის** არ ვიცით, რა იგულისხმება (ლასორის თუ სხვა), მაგრამ შეუძლებელია აქ ვიგულისხმოთ: ილორის.

5. **ხატი წ-ა გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი; მხედარი წარმოდგენილია ცხენით, გვირგვინოსანს გმირავს; შუბის თავი ჯვარით არის მოცული. წარწერა: წ-ა გ-ი. აშია ზემოდ და ქვემოდ რომბ-ლურსმული; მარჯვნივ და მარცხნივ ელიპსოიდები ასეთივე წრეებში. კუთხეებში მედალიონები წ-თა; ზემოდ ღვთის მშობლისა და იოანე ნათლის მცემელისა; ქვემოდ ღვთის მშობელი და იოანე ღვთის მეტყველი. ხელობა მოიტლანქებს. (№17262).

6. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 16,5X13 სანტ. ბერძნულის წარწერით სახელისა. მაცხოვარი მდგომარეა, სახარებით და მაკურთხევლის მარჯვენით, სამღვდელო სამოსელით. აშია საცერის მსგავსი, შემოზღუდულია კიდევ ფოლაქის მსგავსი წრეებით; მარჯვნივ ორი თვალი უზის. ხელობა მოტლანქოა, მე-16 -17 საუკუნისა. (№17261).

7. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 18,5X13 სანტ. მაცხოვარი მაღალ ტახტზე მჯდომარეა; მარჯვენა ხელით ჯვარს სწერს, მარცხენაში სახარება აქვს. აშიები მოსხო წერტილების მსგავსი წრით არის შემოვლებული. წარწერა ასომთავრულია: ჲ-ᲩᲔ ქ-Ე. ნიმბი ჯვარის სახედ აქვს. ხელობა მე-17-18 საუკ. უნდა იყოს. №17261).

8. **ხატი მაცხოვრისა,** ტახტზე მჯდომარე ჩვეულებრივის რიგით, ვერცხლისა, ნაჭედი; ნიმბი დიდის წერტილებით შემოფარგლული. სახე მხცოვანი კაცისა; წარწერა სახელისა ბერძნულად. ტლანქი ხელობისა, მე-18 საუკ. (№17262).

9. **ვერცხლის ფირფიტა მაცხოვრის სახით,** წელსზევითი 10,5X8,5 სანტ. (იქვე №17262).

10. **სამი უბრალო** ფირფიტის **ხატი:** დ˜ჲ ღ˜სჲ, სრულის ტანით, წ˜ჲ გ˜ი წელზევითი, და მაცხოვარი წელსზევითი; მდარე ხელობისა, მე-18 საუკ. (იქვე. №17262, ზემო რიგში).

11. **ფერადებიანი ხატი ვედრებისა,** ფიცარზე, ადგილობრივი, მოტლანქო ხელობისა, არა უადრეს მე-18 საუკ.

12. ფერადებით დახატული **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** ძელზე; უკეთესი ნახელავია, ვიდრე წინა ხატი; არა უადრეს მე-17 საუკუნისა.

სოფელი ხალდე.

სოფ. მაღლობზეა გაშენებული. როდესაც ბაქრაძე იყო იქ, მაშინ იქ ჯერ კიდევ ძველი ეკლესია არსებობდა მაცხოვრისა. მან ყურადღება მიაქცია ფრესკებს, რომლის შესახებ სწერს: სამხრეთის კედელზე წარმოდგენილნი არიან მთელი რიგი წმიდათა; ზოგნი მათგანი ცხენებზე სხედან და გაბრწყინებულნი არიან სინათლით თავების ირგვლივ; სხვები თოფებით არიან; მამაკაცნი ზოგნი წვერებით, ზოგნი უწვეროდ. საზოგადოთ რაოგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები შავის საბურავით არიან და გვირგვინებით. ომია, ზოგი მკვდარია და მიწაზე არიან გაფრთხობილნი. წარწერა: წ˜ჲ გ˜ი. აქა ესთუმრა: წ˜ჲ გ˜ი : ნეოფასთესა. (დ. ბაქრაძე, გვ. 115). ამის მეტს ამ ეკლესიის შესახებ დ. ბაქრაძე არაფერს არ ამბობს.

ეხლა ძველი ეკლესია აღარ არის. ის რუსებმა დაანგრიეს ზარბაზნით 1876 წელს, როდესაც სვანები აჯანყდენ და ხალდეს კოშკებში გამაგრდენ. რუსებმა კოშკები აიღეს, ძველი ეკლესიის ადგილას ეხლა ახალი ქვის ეკლესია არის, მასში რამოდენიმე ტლანქი ხელობის ხატია მცირე ღირებულებისა:

1. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედია, 50X39 სანტ. წარწერით: ჲ˜ე ქ˜რე. ხელობა ტლანქია.

2. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 47X32 სანტ. წარწერით ბერძნულად და ქართულად: ქ˜ე (ე მობრუნებულია). ხელობა ცოტა უკეთესია, ვიდრე წინა ხატისა.

3. **ხატი მაცხოვრისა,** წელსზევითი, 28X21 სანტ. ნაჭედი, ტლანქი ხელობისა, აშიები რომბ-ლურსმული კარგია და სხვა ხატისა უნდა იყოს.

4. **ხატი წ˜ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 28X19 სანტ. მთავარ ანგელოზებითურთ ორივე მხარეს; წარწერა: წ˜ჲ გ˜ი. ტლანქი ხელობისაა.

5. **ხატი ღვთის მშობლისა,** წელსზევითი, ვერცხლისა, ნაჭედი, 22X15 სანტ. წარწერით: დ˜ი ღთსაი. სხვებს სჯობია, მაგრამ მაინც დაბალი ხელობისა არის.

6. **ხატი წ̄ გიორგისა,** ოქროსი, ნაჭედი, 14X11 სანტ. წარწერით: წ̄ᲂ გ̄ი ილორსა. მხედარი წარმოდგენილია ფეხით, რომაულ საომარ ტანისამოსით, შუბით და ფარით. კარგი ხელობის არის, მაგრამ ფრიად დაზიანებულია.

7. ასეთივე **ხატი წ̄ის გიორგისა**, ოქროთი დაფერილ ვერცხლის, 12X9,5 სანტ. წარწერით: წ̄ᲂ გ̄ი. დიდათ დაზიანებულია.

8. **ხატი მთავარ ანგელოზ გაბრიელისა**, ტლანქი ხელობისა, ვერცხლისა, 11X8 სანტ. წარწერით: ქ. გაბრილ თავარაგლზი. და შემდეგ.:
შ̄ე შესტრ/ობი/ლი გამ/იდგა/ნი ამინ.

9. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, რელიეფით, 6,5X6 სანტ. ხელობა უკეთესია, ვიდრე წინა ხატისა.

10. **ხატი წ̄ა თეოდორესი,** ძეწკვით და ჯვარით, 9X6,5 სანტ. ტლანქი ნაჭედი.

11. **ორი ხის ჯვარი,** შუა ზომისა, 80 სანტ. სიმაღლით, შეძერწილი ვერცხლის ფირფიტებით, ფრიად ტლანქი ხელობისა.

12. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 17X12 სანტ. წარწერით: წ̄ი გ̄ი. მოტლანქო ხელობისაა.

13. **ორი ვერცხლის ხატი,** შედგენილი სხვა და სხვა ჯვრიდან მოხსნილ ფირფიტებისაგან. ტლანქი ხელობისაა.

იფარის თემი

იფარის თემში შედიან სოფლები: ნაკიპარი, ზეგანი, აწი, ბოგრეში, იფარი, წვირმი, იელი და ადიში. (წინეთ წვირმი და ადიში ცალკე თემებს შეადგენდენ)

სოფელი ზეგანი.

სოფელი ზეგანის საზოგადო სახე, სოფელ წვირმიდან გადმოღებული, იხ. ფოტოგრაფია №17474. აქ არის პატარა ეკლესია მთავარ ანგელოზთა; აშენებულია უბრალო ქვისაგან; ეკვტერები ჰქონია სამივე მხრით, გარდა აღმოსავლეთისა, მაგრამ სამხრეთის ეკვტერი ჩანგრეულია. შესავალი ერთი აქვს, დასავლეთით; ფანჯარა ორი, აღმოსავლეთით და დასავლეთით. დახურულია ყავრით. კანკელი ხისაა, მაგრამ ძველია და ქვისას მოგვაგონებს თავის ფორმით; ხუთი კამარა აქვს; საკურთხეველში შესასვლელი მარტო ერთი კარია შუაში; სვეტები კამარებისა წვრილია და შემკობილი ჩუქურთმებით. ეკლესიაში დაცულია:

1. **კანკელის წინ სადგომი ჯვარი,** შუა ტანისა, 105X54,4 სანტ. შეძერწილია ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით, ლამაზი ხელობისა, რომელნიც შემკობილნი არიან ბალახოვანის მორთულობით და წ̄თა სახეებით: ზემოდ მთავარ ანგელოზი მიქაელ, სრულის ტანით, ლაბარუმით და ბურთით, წარწერით: მქაელ ანგელოზი, ქვემოდ: წმიდა გრიგოლ, სრულის ტანით: წ̄ი გრიგოლ, და წ̄ა გიორგი, ცხენოსანი, ვეშაპს გმირავს. უმბო წარმოგვიდგენს მზის თვალს; მის მარცხნივ არის მედალიონში წ̄ჲ პ̄ტრე; მარჯვენა და მარცხენა ფრთის ბოლოებში ჯვარისა მთავარ ანგელოზებია; მარჯვენას აწერია; წ̄ჲ გბრლ. ჯვარი მშვენივრად არის დაცული (№17224). არ უნდა იყოს უგვიანეს მე-14 საუკუნისა.

2. **ასეთივე ჯვარი,** 146X87 სანტ. ისეთივე ხელობისაა, როგორც წინა ჯვარი, მაგრამ უფრო ცუდათ არის შენახული. ქვემო მთელი ნაწილის და მარცხენა ფრთის ფირფიტები მოძარცულია. ზემოდ წარმოდგენილია ვედრება; მის ქვემოდ მთავარ ანგელოზი, სრულის ტანით, საზომით და ბურთით; ამას ქვემოდ მაცხოვარი, აგრეთვე სრულის ტანით; მარჯვენა დაზიანებულ ფრთაზე მთავარ ანგელოზი და ლუკა მახარობელი: წ̄ჲ ლუკა (№17225).

3. ამ ჯვართან ერთად გადმოღებულია (ქვემო ნაწილზე) პატარა **სპილენძის ხატი მესვეტის ფიგურით,** მისი ორი თანამდგმურით და ზემოდ ორი მთავარ ანგელოზით.

4. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 17,5X13 სანტ. (№17222). მხედარი ფეხოსანია, რომაულ საომარ ტანისამოსით, შუბით და ფარით. ფონი რომბ-ლურსმულია, აშია ბალახოვანი. წარწერა: წ̄ი გ̄ი ქშთისა. (ბაქ. გვ. 110). ქვემოდ სხვა წარწერა:

ქ წ̄ო გ̄ი მფარველ ექნ მოსავ
შენსა მნუკვვს და ძეთა ჩემთა .

შემკობელის სახელი შეიძლება იყოს მანუკვი. სხვა ნათელია. მე-16 საუკუნის უნდა იყოს.

5. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, (№ იქვე, №17222). მაცხოვარი ტახტოსანია, ჯვარის სახის ნიმბით და ზედ სამი ძვირფასი ქვით. მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენა მუხლზედ დადებულ სახარებაზე უძევს. მაცხოვარი ფართო და მძიმე მოსასხამშია, რომლიდანაც ძლივს გამოაქვს ხელები. შემკობილ აშიებზე მარცხნივ და მარჯვნივ მედალიონებში, წარმოდგენილნი არიან: ღვთის მშობელი და იოანე; ზემო და ქვემო აშიები მოძარცულია. ხატი უნდა იყოს მე-15-16 საუკუნისა.

6. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 29X22 სანტ. მაცხოვარი წარმოდგენილია მუხლების ზემოთი ტანით, მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით, წარწერა სახელისა ბერძნულია I-C CX (sic). ნიმბი ჯვარის სახისა

არის. ეზო და აშიები ბალახოვანი შემკობილობით არის მორთული. (№17220). უნდა ეკუთვნოდეს მე-15-16 საუკუნეს.

7. **ხატი წ-ა გიორგისა**, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 31X23 სანტ. მხედარი ცხენოსანია, გმირავს ადამიანს. წელიდან ჩამოშვებულია დიდი ხმალი, თმა ხუჭუჭი აქვს. მოსასხამი მხედრისა უკან იშლება ჰაერში. ეზო ვაზის შტოების მსგავსად არის შემკობილი. აშია არა აქვს. ხატი მე-16 საუკუნის უნდა იყოს (№17221).

8. **ხატი წ-ა ბარბარესი**, ვერცხლისა, ნაჭედი 29X24 სანტ. წ-ა ბარბარე წარმოდგენილია სრულის ტანით, ბიზანტიური სადარბაზო ტანისამოსით, ჯვარით ხელში და ნიმბით. ეზო ტალღისებური ორნამენტით არის შემკობილი. აშიები რომბ-ლურსმულია, მარჯვნივ და მარცხნივ აკლია. მარცხენა აშიაზე ერთი წმიდანი სრულის ტანით არის წარმოდგენილი, ქვემოდ ღვთის მშობელია ჩჩვილედი. წარწერა სახელისა: წბ ბვ (sic). ხელობა ტლანქია, მე-17-18 საუკუნის უნდა იყოს. (№17219).

9. **ხატი მთავარ ანგელოზისა** (?), წამლით დახატული, 47,5X36 სანტ. წელსზევითი; მარჯვენა ხელში უჭირავს დიდი ბურთი, მარცხენაში ბზის ტოტი. პირის სახე ქართველი ქალისა აქვს და შეიძლება სურათი ღვთის მშობლის ხატად მიგვეღო, რომ მთავარ ანგელოზის ნიშნებით არ იყოს წარმოდგენილი. არავითარი წარწერა არა აქვს. ხელობა შედარებით ახალია. აშიები სხვა და სხვა ფრაგმენტებიდან არის შემდგარი, საზოგადოთ რომბ-ლურსმული; ზემოდ აშია ვერცხლისა არის, სხვა კედრით მოოქრულია. მარჯვნივ წარწერა სახელისა სხვა ხატს ეკუთვნის ვინაიდან სწერია: ქ-ე. მარცხენა აშიაზე ჩვენ ვხედავთ წ-ა გრიგორის ფიგურას, სრულის ტანით და წარწერით: წ-ჲ გრიგოლ. ჩვენი ფოტოგრაფია №17617 (რუსული წარწერა ფოტოსი სინამდვილეს არ შეესაბამება) გატეხილი ფირფიტიდან არის შესრულებული.

სოფელი წვირმი.

სოფელი მაღალ მთაზეა გაშენებული. მისი სახე იხ. №№17477, 17480. აქვე ხარებშებმული მარხილი თივისა. აქედან იშლება საუცხოო პანორამა მწვერვალ თეთნულდისა (ფოტ. №17475), და კიდევ სოფელი ზეგანისა (იხ. №17474). მშვენიერად მოსჩანს აქედან აგრეთვე მწვერვალი უშბა (იხ. №17473, აქვე სოფლები ბოგრეში და ნაკიპარი).

სოფელ წვირმში რამოდენიმე ეკლესია არის. პირველი ეკლესია **მაცხოვრისა,** ქვისაგან აშენებული, ბაზილიკური რიგისაა (№№17478-17479); მას ეკვტერები უვლის სამი კედრით, უბრალო ქვებისა. დასავლეთის მხრით, ზემოდ, პატარა სამრეკლო აქვს. ეკლესია წინათ მოხატული ყოფილა, მაგრამ ფრესკები სულ მოშლილი და გაფუჭებულია; ნაშთები ცოტა ემჩნევა. ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ჯვარი** კანკელის წინ სადგამი, სიმაღლით სამ არშინზე მეტი, შეძერწილი ოქროთ დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით ზემოდ, ხოლო უბრალო ვერცხლის ფირფიტებით ქვემოდ. მათზე წარმოდგენილნი ფიგურები წმიდათა არა დიდის ხელოვნებით არიან შესრულებულნი (№17246). ამათში უფრო საყურადღებოა სამი ფირფიტა: ერთი ზემოდ, ვედრების სურათით; ქვემოდ მთავარ ანგელოზთა. უმბოს ირგვლივ, რომელიც მზის თვალს გამოხატავს, წარმოდგენილნი არიან მკერდს-ზევითნი ფიგურები ღვთის მშობლისა, იოანესი და ორთა მოციქულთა. სხვა ფირფიტებზე მრავალჯერ განმეორებულია ფიგურები მაცხოვრისა და მთავარ ანგელოზთა.

2. **ასეთივე ჯვარი**, ამავე ზომის, შეძერწილი ოქროთი დაფერილი ფირფიტებით, ტლანქი ხელობისა (№17245). ზემოდ და ქვემოდ უმბოსა, რომელიც მზის თვალს წარმოგვიდგენს, მოთავსებულია წ-ა გიორგი ცხენით, მგმირავი კაცისა გვირგვინოსნისა. სულ ზემოდ ჯვარცმაა; ბოლოებში ჯვარისა: წ-ა გიორგი ცხენით. სხვა ფირფიტებზე: წ-ა გიორგი, წ-ა დიმიტრი და წ-ა თეოდორე და სხ. სურათი შეად. უვაროვისა, ტ. XXII, 38.

3. **ასეთივე ჯვარი და ასეთივე ზომის,** მაგრამ უფრო ვიწრო და ქუდიანი, ანუ მიტრიანი (№17247), შეძერწილია ოქროთ დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით, ერთი დროისა და ერთი ხელობისა. ამით ეს ჯვარი ემსგავსება სოფელ სუპის ეკლესიის ჯვარს. ამ ჯვარზე პატარა წელსზევითნი ფიგურები მაცხოვრისა და ქერუბიმთა ერთი ერთმანეთს ეცვლებიან გამობერვილი ფირფიტებით, რომლებზედაც წარმოდგენილნი არიან ჯვრები, და მხოლოდ ქვემო ნაწილზე ჩვენ გვხვდება ორი ფიგურა მთელის ტანით მთავარ ანგელოზ მიქელისა და წ-ა გიორგისა. მთავარ ანგელოზი გრძელ ბიზანტიურ ტანისამოსშია, ჯვარით და ბურთით ხელთა; ხოლო წ-ა გიორგი შუბით და ფარით. სურათი იხ. აგრეთვე უვაროვისა, ტ. XXII, 38.

4. **ჯვარი,** შუა ზომისა, 118X67 სანტ. შეძერწილი ოქროთ დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით; ზემოდ და შუაში ვერცხლი მოძარცულია (№17228). ქვემოდ ოთხი წელსზევითი ფიგურაა მაცხოვრისა; მარჯვენა და მარცხენა ცოტა დაზიანებულ ფრთებზე მოსჩანან: მთავარ ანგელოზი, ღვთის მშობელი და ორი მაცხოვარი; ხელობა დაბალია.

5. **ასეთივე ჯვარი,** 81X54 სანტ. შეძერწილია ოქროთი დაფერილი ფირფიტებით, უკეთესი ხელობისა, ვიდრე წინა ჯვარი. უმბო მზის თვალის სახისა შემკობილია შუაში ძვირფასი ქვით (№17229). ზემოდ არის ფიგურები ვედრებისა, მთავარ ანგელოზისა და მაცხოვრისა. ქვემოდ: ერთი ფიგურა, სრულის ტანით, დაზარალებულია; დაცულია მაცხოვარი და სხვა წელსზევითნი ფიგურები; მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე: მაცხოვარი ტახტოსანი, მთავარ ანგელოზნი და სხვა.

6. **ასეთივე ხელობის ჯვარი**, 112X68 სანტ. შეძერწილი ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით, ერთი ხელობისა; საკმაოდ კარგი ნახელავია (№17230). უმბო წარმოადგენს მზის თვალს; მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე თითო ფიგურაა ვედრებისა და თითო ფიგურა მთავარ ანგელოზისა; ზემოდ ვედრება; მის ქვემოდ

მთავარ ანგელოზი წელსზევითი და მაცხოვარი სრულის ტანით. ქვემოდ: სამი მაცხოვარი წელსზევითნი და წმიდა გიორგი, ფეხოსანი, სრულის ტანით. სურათი შეად. უვაროვის, ტ. XXII, 38.

7. **ხატი წ-ა იაკობისი,** ძმისა უფლისა, 27,5 X17,5 სანტ. ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, კარგი და ნაზი ქართული ხელობისა, მე-13 საუკ. ეზო ბალახოვანი მორთულობით არის შემკული, აშიები წნულია, მაგრამ ქვემო ნაწილი დარღვეულია და საზოგადოთ ხატი ცუდათ არის დაცული. წარწერა სახელისა; წ-ჲ იკბ ძმ ოფ-ლ. მეორე გვერდზე, კუთხეებში ბალახოვანი შემკობილობაა, ხოლო შუაში ჯვარის ირგვლივ, წარწერა (№17234):

წ ჱ : წ-ო : იაკობ : ძმა	ჱი წმიდაო იაკობ, ძმაო
ო : ოფლისაო : რომელმან	უფლისაო, რომელმან
გიწოდა : ძმა	გიწოდა ძმად
დ :წ-ე : ისა : მეოჯ მექმენ :	წინაშე მისა, მეოხ ექმენ
დღესა განკითხვისასა : მოსა	დღესა განკითხვისასა მოსა-
ვსა : შენსა : ქამქმს : ტგრ	ვსა შენსა ქამქამს ტიგ-
იანის ძესა :.	რიანის (ანუ ტიგრანის) ძესა.

წარწერა ხელით გადმოღებული აქვს ბარტოლომეის, ტაბ. . II, №16. ბაქრაძეს რუსული თარგმანი მოჰყავს ბარტოლომეის მიხედვით (გვ. 110).

8. **ხატი მაცხოვრისა** კარედი, 22X15 სანტ. ვერცხლისა; გარეთ კარებზე, ზემოდ აწერია: [წ]-ჲ : პ-ტე : (მარცხნივ), წ-ჲ : პ-ლე :(მარჯვნივ), მაგრამ ფიგურები ამათი წარმოდგენილი არ არის. კარები სადათ არის დატოვებული (№17231); როდესაც კარებს გააღებთ, თქვენ წარმოგიდგებათ სამივე ნაწილი ხატისა, ფერადებით დახატული, მშვენიერის სურათებით, რომელნიც მოვლებულნი არიან ირგვლივ მარგალიტების მძივებით და ოქროზე ნაჭედი შემკობილობით ეზოთა და აშიათა (№17242). შუაში, ზემოდ, კამარის ქვეშ მაცხოვარია წელსზევითი, ბერძნულის წარწერით სახელისა. მაცხოვრის ქვეშ პატარა ხატია ღვთის მშობლისა, წელსზევითი, როგორც ეტყობა ჩჩვილედი (სახეები ეხლა სულ გადასულია), ბერძნულის წარწერით სახელისა. ამ ხატის მარცხნივ და მარჯვნივ, სრულის ტანით წარმოდგენილნი არიან წარწერებით, ზემოდ: წ-ჲ ეკტირნა :. (მარცხნივ), წ-ჲ : მრინა (მარჯვნივ). ამ ღვთის მშობლის ხატის გამოღება შეიძლება, ვინაიდან ის ჩადგმულია კარედში; მის ზურგზე წარწერაა ასომთავრული (იხ. №17231):

დ-დო :ღთის	დედაო ღმრთისა-
ო : შეიდრე :	ო, შეივედრე
სჯლი :თე	სული თე-
კლასი	კლასი,
ამინ :.	ამინ.

ეს წარწერა, ჩვენის აზრით, შემდეგ დროის არის და არა თანამედროვე კარედი ხატისა. ამას მოწმობს პალეოგრაფიული ხასიათი წარწერისა და მოხსენება თეკლასი, რომელსაც თავის სახელი ამ ხატზე ერთ ადგილზე ხატის დიდ წარწერაშიაც მოუთავსებია.

კარებზე შიგნით წარმოდგენილნი არიან, მარცხნივ დედა ღვთისა ბერძნულის წარწერით სახელისა. აქ ფერადები უკეთ არის დაცული. მარჯვნივ იოანე ნათლის მცემელი, აგრეთვე ბერძნულის წარწერით. ეზო და აშიები ამ სურათებისა შემკობილია საუცხოო ბალახოვანი მორთულობით. გრაფ. უვაროვისას ვერ უნახავს მარჯვენა ფრთა ამ კარედი ხატისა, აგრეთვე ვერ გაუგია, რომ მაცხოვარის ქვეშ, შუაში, ღვთის მშობლის ხატია, თუმცა ბერძნული წარწერა ამას ცხად ჰყოფს (უვაროვისა, გვ. 121). ჩვენ მოვნახეთ და ვიპოვეთ მარჯვენა ფრთაც ამ შესანიშნავი ხატისა, მივაკარით თავის ადგილზე და ისე გადმოვიღეთ სურათი (№17242). მეორე გვერდზე ხატისა ვერცხლის ფურცელზე კუთხეებში წარმოდგენილია ნაჭედი ბალახოვანი ხლართულები, შუაში ჯვარის ირგვლივ წარწერაა (№17232), რომლის მარცხენა ქვემო ნაწილი, ეხლა სულ მოძარცულია; დ. ბაქრაძის დროს, როგორც სჩანს, უფრო მეტად ყოფილა დაცული (იხ. გვ. 114 და დამატება №34).

მთლად აღდგენა წარწერისა შეუძლებელია, მაგრამ თუ მივიღებთ სახეში დ. ბაქრაძის გადმოღებულ ტაბულაზე დაცულ ასოებს და ზოგს აზრით დავუმატებთ (ამათ ფრჩხილებში ვათავსებთ), დაახლოებით წარწერა შეიძლება ასე წამოვიდგინოთ:

: ქ : მცხვრო : და : ღ-თო :
ჩვენო : და : ყოლნო : წმი
და ნო :
მ[ისნო] : რლთა : სადიდებლად
[და საოხად სლსა] ჩმისა [სე]ვმკვე : ხა
[ტი] : ესე . ცოტა[აი]სა (?) : ნვთითა
შემკობი[ლი] . . . ტილ(?) :საოხ
დ : სლს[ა გო]რგსლი
[სა] ან .

უქარაგმოდ:

„მაცხოვარო და ღმერთო ჩვენო და ყოვენლო წმიდანო მ(ისნო), რომელთა სადიდებლად (და საოხად სულისა) ჩემისა (შე)ვამკვე ხა(ტი) ესე ცოტ(აი)სა (?) ნივთითა შემკობი(ლი). . . საოხად სულის(ა) (გო)რგასლის(სა), ამინ“.

ხატი ამ წარწერით მე-12 საუკუნის უნდა იყოს.

ჯვარის გამოხატულებას თავში ამ წარწერისა უზის ოთხი ბერძნული ასო სახელისა; მარჯვენა ორ ასოს შემდეგ არის ასომთავრული ასო ძ, რომელიც უნდა გულისხმობდეს შემოკლებულად გადმოცემულს სიტყვას: „ძელი“.

ჯვარის ჰორიზონტალურ ნაწილზე (№17232) სხვა ხელით და უფრო წვრილის ასომთავრულით შემდეგი წარწერაა:

თეკლს : შნდ :. მცხოხრო (sic).

უკანასკნელ სიტყვაში ასო ხ შეცდომით არის განმეორებული 3-ს მაგიერ, წარწერა უნდა წავიკითხოთ: „თეკლას შეუნდვენ, მაცხოვარო“.

ამრიგად, ჩვენს ხატს აქვს ორი მერმინდელი წარწერა თეკლასი. ხოლო ეს უცნობი თეკლა ის „ჭელმწიფის შვილი მონაზონი თეკლა“ უნდა იყოს, რომელიც იხსენიება კალას ეკლესიის ზარის წარწერაში და რომელიც ნაჩვენებია ზემოდ, №80-ს ქვეშ კალას ნივთების აღწერისა (იხ. ზემოდ, გვ. 203).

9. **ხატი მაცხოვრისა,** თავი ხატი ეკლესიისა, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 42X36,5 სანტ. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა, ჩვეულებრივის სახით. ნიმბი ჯვარის სახისაა; ორივე კედრით უწერია სახელი ბერძნულად და ქართულად (იჳ) (ჳ მობრუნებულია) ქ-ე; აქეთ-იქით მაცხოვრისა მედალიონებში: ღვთის მშობელი და იოანე, წარწერებით: „დ-დ ო-, წ-ი ი-ე ნთლმსცემი“. ღვთის მშობლის ქვემოდ: წ-ი გ-ი, ნათლის მცემლის ქვემოდ: წ-ი დ-ტრი. აშიები შიგნით ბალახოვანის ორნამენტით არის შემკობილი, ხოლო გარე აშია ფართო და რომბ-ლურსმულია, სამ-სამ მედალიონით ზემოდ და ქვემოდ; ზემო მედალიონებში არის ფიგურები ღვთის მშობლისა და მთავარ ანგელოზთა; ქვემოდ: „წ-ჲ თ-ე, წ-ჲ ბ-რბ, წ-ჲ ბასლჲ“. მარჯვენა და მარცხენა აშიებზე: „წ-ჲ პ-ე, წ-ჲ პ-ვლე“. ხელობა ამ გარეგანი აშიებისა მოტლანქოა; თვით ხატისა უკეთესია, არა უგვიანეს მე-15-16 საუკუნისა (№17243).

10. **ხატი წ-ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი; მთავარ მოწამე ცხენოსანია, ადამიანს გმირავს, რომელსაც წაწვეტიანებული ქუდი ახურავს და თავის ხმალი მიწაზე დაუგდია. ზემოდ აწერია: წი გი. აშიები განიერი რომბ-ლურსმულია, ოთხი მედალიონით; ოთხივეში წ¯ა გიორგია, წარწერით: წ-ი გ-ი. ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-16-17 საუკუნეს (№17233).

11. **ხატი მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 44X42,5 სანტ. (№17244). მთავარ ანგელოზნი წარმოდგენილნი არიან წყვილად, მთელის ტანით, მდიდრულ საომარ ტანისამოსით. ერთ ხელში ლაბარუმები აქვთ. მეორეში ბურთები, რომელნიც ერთი მეორისთვის მიუდვიათ გაწვდილი ხელებით. წარწერები სახელებისა ბერძნული და ქართულია. ეს ხატი ესე იგი შუა ნაწილი, ფიგურები მთავარ ანგელოზთა, სრული განმეორებაა ჩუკულის ეკლესიის ხატისა №16860, რომელიც ჩვენ თავის ადგილას აღვწერეთ, ხოლო აქ არ არის შინაგანი აშია ბროწეულის ყვავილების ორნამენტით და აგრეთვე ის საუცხოო ბრტყელი გარეგანი აშია, რომელიც ჩუკულის ხატს აქვს. აქ აშია რომბ-ლურსმულია მედალიონებით წ-თა, ტლანქი ხელობისა. ზემოდ და ქვემოდ: სამ-სამი წ-ა გიორგი, სრულის ტანით, შუბით და ფარით; გვერდებზე წელსზევითნი ფიგურები მთავარ ანგელოზთა. საყურადღებო ის არის, რომ გრაფ. უვაროვის ჩუკულის მთავარ ანგელოზთა სურათზედაც (ტაბულა XXX, სურ. 49) აშიები რომბ-ლურსმულია, მაგრამ განმეორება არ არის ამ ჩვენი ხატისა, ვინაიდან იქ, უვაროვის სურათზე, ზემოდ, შუაში მაცხოვარია მთავარ ანგელოზებითურთ აქეთ-იქით, ხოლო გვერდების აშიებზე წ-ა გიორგი და წ-ა დიმიტრი. ამიტომ შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ გრ. უვაროვისა შეცდა და წვირმის ხატი ჩუკულისად მიიღო; არამედ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩუკულის ხატი გრ. უვაროვის შემდეგ ჩასვეს ხელმეორედ ან თავის ან სხვა საუცხოო ჩარჩოში. წვირმის ხატი კოპიო არის ჩუკულის ხატისა.

12. **ხატი წ-ა გიორგისა;** ამოჭრილია რელიეფით ხეზე, წმიდა გიორგი წარმოდგენილია ცხენით, გმირავს ადამიანს შუბით (№17241). ეს ფიცარი უსათუოდ სარჩული იყო ოქროს წ¯ის გიორგის ხატისა და როდესაც პერანგი შემოაცალეს, დარჩა გაშიშვლებული; ამიტომ ტყვილად ფიქრობს გრაფ. უვაროვისა, თითქო ეს არ იყოს მატრიცა, სარჩული, ნაჭედი ხატისა (გვ. 102). რომ ეს მართლა სარჩული იყო ნაჭედი ხატისა, ამას მოწმობს თავდაპირველად ის გარემოება, რომ ორ ადგილას ხატზე

შერჩენილია სულ პატარა ნაწყვეტები ოქროს ფირფიტებისა. შემდეგ უფრო დანამდვილებით ამას მოწმობს ერთი წმიდა გიორგის ხატის აღწერილობა პოლ. ბარტოლომეისა, რომელიც მას უნახავს წვირმის წმიდის გიორგის ეკლესიაში; ამ ეკლესიაზე საუბარი ქვემოდ გვექნება. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეხლა ეს ეკლესია გაუქმებულია; იქ არავითარი ნივთი აღარ არის; ბარტოლომეის დროს, როგორც ეტყობა, ეს თავი ეკლესია ყოფილა სოფლისა. ის ამბობს: თავ ეკლესიაში წვირმის საზოგდოებისა წ-ა გიორგის სახელობისა არის რამოდენიმე ხატი თავის მორთულობით და პერანგებით, პირველი ადგილი უჭირავს თავ ხატს ეკლესიისა (ესე იგი წ-ა გიორგის ხატს), რომელზედაც განმეორებულია ისეთივე სურათი დამხობილი გვირგვინოსანისა, როგორიც აღწერილი იყო იფარის საყდარში, ხოლო აქ არ არის მოხსენებული სახელი დიოკლეტიანესი, და არც არშაკიდების ქუდია, არამედ კბილოვანი გვირგვინია მოგრძო ჩანჩხურებით, როგორც ბიზანტიურ ფულებზეა მე-12 საუკუნისა. დაბლა ვერცხლის ეზოზე ამოჭრილია წარწერა, რომელიც მოთავსებულია ტაბულა I, № 15 (აქ მას მოჰყავს თარგმანი ბროსსესი ამ წარწერისა). ბროსსეს თარგმანიდან სჩანს, რომ მას ამ წარწერაში შემდეგი სიტყვები ამოუკითხავს:

„წმიდაო გიორგი ქაშვეთისაო, მეოხ და მფარველ ეყავ მამკობსა შენსა ჯიქაძესა“. (ბარტ. გვ. 179). ჩვენ ბარტოლომეის მიერ გადმოღებულს წარწერას ასე ვკითხულობთ:

წმიდაო გიროგი ქაშუ-
ეთისაო, მეოხ და მფარვ-
ელ მეყავ
მამკობსა შენს(ა)
ჯიქაძეს ხუ-
ცესსა მიქელს.

დ. ბაქრაძეს, როგორც ეტყობა, ეს ხატი არ უნახავს; ის უჩვენებს ბარტოლომეის მიერ გადმოღებულს წარწერას და მოჰყავს მისი რუსული თარგმანი, რომლიდანაც სჩანს, რომ მას სიტყვა „ხუცესი“ მიუმატებია ბროსსეს წაკითხულისათვის (ბაქრაძე, გვ. 110), ხოლო სიტყვა „მიქელი“ გამოუშვია. ბარტოლომეის აღწერილობა სრულად უდგბა ჩვენს ხატს. ხის მატრიცაზე წ-ა გიორგი ისეა წარმოდგენილი, როგორც ნაკიპარის (ბარტოლომეით: იფარის) ხატზე. ის გრძელი ჩანჩხურები, რომელზედაც ლაპარაკობს ბარტოლომეი, ემჩნევა მატრიცაზე. ცხადია, ხატი გაშიშვლებულია ბარტოლომეის შემდეგ და ის წარწერაც დაკარგულა, რომელიც, საბედნიეროდ, ბარტოლომეის გადმოუღია. ხატი მე-12-13 საუკ. უნდა იყოს.

13. **ხატი ქრისტეს აღდგომისა** ანუ ჯოჯოხეთის წარტყვენისა, ნაქსოვი ფარჩაზე, უბრალო ხის ჩარჩოთი, 57X45 სანტ. (№17236). მაცხოვარი ჯვარის მსგავსი ნიმბით სდგას შემუსვრილ ჯოჯოხეთის კარებზე და გამოჰყავს იქიდან ადამი, ადამს უკან ევა მოსჩანს; მარცხენა ხელში მაცხოვარს გრძელი რვაფრთიანი ჯვარი უჭირავს; მარჯვნივ, ქვის შენობაზე სდგანან: მეფე და დედოფალი, ვედრების პოზით; მათ უკან: იოანე ნათლის მცემელი (?) უნდა იყოს მაკურთხველის მარჯვენით; ზემოდ, ნიმბის აქეთ-იქით ბერძნული წარწერაა სახელისა, ესე იგი აღდგომა (ანასტაზის). ქვემო ნაწილი ხატისა მომპალია; სახე ქრისტესი დაზიანებულია მას შემდეგ, რაც გრაფ. უვაროვისამ ნახა და აღწერა (გვ. 124, გაბ. XXXVI, ნახ. 63); მის ფოტოგრაფიაზე

მაცხოვრის სურათი არ არის დაზიანებული. თუმცა სხვა მხრივ, საზოგადოთ, ჩვენი ფოტოგრაფია უკეთესია.

გ. დ. ფილიმონოვის აზრით, ხატი ბერძნული ხელობისაა, მე-12 საუკ. გრაფ. უვაროვისა ამ ხატს დასავლეთ ევროპის ხელოვნებას მიაწერს, მაგრამ დროს გარკვევას არ კისრულობს (გვ. 124).

14. **პატარა ხატი წ-ა გიორგისა,** 12X10 სანტ. სახე და წელსზევითი დახატული ყოფილა წამლით, მაგრამ ფერადები გადასულია; მორთულობა ოქროსია; სანახევროდ ისიც დაზიანებულია. ნიმბი მოვლილია წვრილი მარგალიტის მძივით. წარწერა: „წ-ჲ გ-ი ზღდრისა“ (იქვე, №17235). შუაში ამოტეხილია; აზრით მიმატებულს სიტყვებს და ასოებს ფრჩხილებში ვაქცევთ:

წ-ო გ-ი	წმინდაო გიორგი
ზღდრ[ისაო] მეოხ და	ზღუდრ(ისაო), მეოხ და
მფარ[ველ მექ]მენ :.	მფარ(ველ მექ)მენ
დღესა გ-ნ	დღესა გან-
კითხ[ვისასა] წ-ე ღ-თს	კითხ(ვისასა) წინაშე ღმრთი-
ა : აჯა [ს ძ] ესა :ბიბილ	სა აჯა (ს ძე)სა ბიბილ-
ს : ამინ :	ს(ა), ამინ.

ხატი კლასიკური დროსი არის, მე-12-13 საუკუნისა.

15. **პატარა ხატი წ-ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 11X8,5 სანტ. ნაჭედი. მხედარი წარმოდგენილია სრულის ტანით, შუბით და ფარით. წარწერა: „წ-ჲ გ-ი ქ-შთსა“; ხელობა დაბალია, მე-16-17 საუკ. (იქვე, № 17235).

16. **პატარა ხატი ღვთის მშობლისა ჩჩვილედი**, ოქროთ დაფერილი ვერცხლისა, 6X5 სანტ. წარწერით: დ-და ღ-სა. აშიები გაყოფილია უჯრედებად; მარტო მარჯვენა ნაწილია დარჩენილი. ხელობა მოტლანქოა, მე-18 საუკ. (იხ. იქვე №17235).

17. **ხატი მაცხოვრისა**, წელსზევითი, ვერცხლისა, ნაჭედი, დაზიანებულია. მე-17 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს. (იხ. იქვე, №17235).

18. **საგალობელი.** ხელნაწერი ეტრატზე, 25X17 სანტ. ნაწერია წვრილის, ნუსხა ხუცურის ხელით, ერთ სვეტად, 22 სტრიქონი სვეტზე. თავი და ბოლო აკლია; ფურცლებიც აქა-იქ არეულია, მაგრამ საერთოდ ხელნაწერი გვარიანად არის დაცული. ხელი წააგავს მიქელ მოდრეკილის ხელნაწერის საგალობელს წერა-კითხვის საზოგადოებისა. გადამწერი ვიღაც გიორგია, რომელიც თავის თავს იხსენიებს სინგურით მინაწერში: „წ-ნო : ორმეოცნო შე-თ გ-ი:.“. ანუ კიდევ : „წ-ნო მოწამენო შწყლეთ გ ოგი“. თავი ხელნაწერისა ეხლა ორ ფურცელს იქით იპოვება:

. . . სი დსდბლ-ნი ; წინა კრეკეთ : ვ-ე : ქ-ე : შბ-მდე :
ით-ნენ : ყ-თა : დღეთა : ო-ო : ღ-ღდყ-სა და აქ-ბსა :.
აღვიხელინსა . და აღვივსენითსა ;. ანგელზთა დღეს წინა

უვიდოდეს ძალნი. . .
14 იანვარს წმიდა ნინოს დღესასწაულის დღეს იკითხება:
იანვარსა : იდ : ნეტარისა დედისა ნინოჲსი რომლისა
მიერ მოეცა ნათელი ქრისტიანობისაჲ ქართლსა . უგლ-
ბსა : დ : გ-ი : უგალო-ბთ ო-ა რ-ნ განნ. . .
მოვედით უგალობდეთ შესხმათ ქებისათათა მჴნესა ნი-
ნოს ტ-ძრსა მას წ-ა . ვადიდებდეთ გალობითა ახლითა .
იხარებს ეკლესიაჲ, და გონიერად დღესასწაულობს დღეს
ჴსენებასა ნინოჲსსა ბრწყინვალედ ქებითა შვილთა
თჳსთა თანა დღეს ნათლითა საღმრთოჲთა განვნათლდეთ
მორწმუნენო სიხარულითა .

ეკლესია წმიდისა გიორგისა. მესამე ეკლესია წვირმის სოფლისა, როგორც მოვიხსენიე, არის წ-ა გიორგის სახელზე აშენებული. ეკლესია ქვისაა, პატარა; კანკელის ქვემო ნაწილი არშინ ნახევარი სიმაღლით ქვისაგან არის ნაშენი; ზემოდ ხისა არის სამი კამარით და ხისავე პატარა სვეტებით; თაროები ხატებისათვის ხისაა, მიშენებული კანკელზე. შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ ფრესკები გაფუჭებულია და შემჭვარტლული. ამშენებელი, თუ უკეთ ვსთქვათ, მოთავე ეკლესიის მოხატვისა წარმოდგენილი ყოფილა ფრესკით დასავლეთის კედელზე; ის ქართულ ტანისამოსშია, თავზე ქუდი ახურავს, სკუფიის მსგავსი, რომელიც შემკობილია ჯვარის სახედ მარგალიტებით; მარჯვნივ სანახევროდ გადასული წარწერაა, რომელშიაც მე ამოვიკითხე შემდეგი უცნობი სიტყვები:

სახელითა ღმრთისა	სახელითა ღმრთისა-
თა : მოიხატა : წ-ი :	თა მოიხატა წმიდაი
ესე : ეკლესიაჲ :	ესე ეკლესიაჲ
გუხაფათის ჴე	გუხაფათის ჴე-
ლითა ზვიადისა	ლითა ზვიადისა.
ჴელოსნობასა	ჴელოსნობასა
პაიშსა (?). . .	პაიშისა (?). . .

მარცხნივ მეორე წარწერაა, რომელიც უფრო გაფუჭებულია და უფრო ძნელი გასარჩევი; მე საეჭვოდ ვკითხულობ:

ესე არს თ[ავა]დი აარონ. . .

ტრაპეზი, რასაკვირველია, ეკლესიაში აღმოსავლეთის კედელზეა მიშენებული და მას ზემოდ და ფანჯრის ქვემოდ, კედელზე დახატულია მაცხოვრის თავი.

როგორც მოვიხსენიეთ, ეხლა ეს ეკლესია მიტოვებულია, მასში არავითარი ნივთი არ არის; ხოლო ბარტოლომეის დროს ეს ყოფილა თავი ეკლესია სოფლისა და მასში უნახავს მას ის წ-ა გიორგის დიდი ხატი, ოქროთი შეძერწილი, რომელიც დღეს გაშიშვლებულია და რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ ბარტოლომეის მიერ გადმოღებულის წარწერით. აგრეთვე აქვე აქვს მას აღნიშნული მეორე ხატი: წ-ა იაკობისი, ძმისა უფლისა (იხ. გვ. 179), რომელზედაც ზემოდ გვქონდა საუბარი.

ეკლესია მთავარ ანგელოზთა. მეოთხე ეკლესია წვირმის სოფლისა არის მთავარ ანგელოზთა ეკლესია; ესეც პატარა ეკლესია არის, თლილის ქვით ნაშენი. კანკელი

ლამაზი აქვს, ქვისა, სამ-კამარიანი; ფანჯრებით თითო, აღმოსავლეთით და დასავლეთით. სარტყელი თაღისა დამყარებულია ფართო და ძლიერად გამოშვერილ პილიასტრებზე სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებისა; საკურთხეველში ორი ღრმა მრგვალი უბეა (ნიში). ტრაპეზი ამ ეკლესიაში არ ყოფილა; ტრაპეზის მაგიერობას სწევდა ფანჯრის ქვემო ნაწილის სიბრტყე. არავითარი ნივთი ეკლესიაში დღეს აღარ არის, თუ სახეში არ მივიღებთ მოძარცული ხატების და ჯვრების ფიცრებს და აყალო მიწისაგან გამოქანდაკებულ თავებს ცხვრისა და ხარისა.

სოფელი იელი.

სოფელი ლამაზია. ამ სოფელში ოთხი ეკლესია არის. პირველი **ეკლესია წ̄ა გიორგისა,** პატარა, ქვისაგან ნაშენი, ერთის შესავალით დასავლეთით; ფანჯარა თითო, აღმოსავლეთით და დასაველთით. კანკელი ქვისა, სამის კამარით. ეკლესიაში მოიპოვება:

1. **ჯვარი ხისა**, კანკელის წინ დასადგამი, შუა ზომისა, 92X52,5 სანტ. შეძერწილია ჩვეულებრივად ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით. ფიგურები ფირფიტებისა შემდეგ რიგს მისდევენ: ზემოდ მაცხოვარი ტახტოსანი; ქვემოდ: სრულის ტანით ღვთის მშობელი და იოანე ნათლის მცემელი იმ სახით, რა სახითაც ვედრებაში არიან ხოლმე წარმოდგენილნი, წარწერებით: „დ̄დი ღ̄ს, წ̄ი ი̄ე“; სულ ქვემოდ მთავარ ანგელოზი, სრულის ტანით, ლაბარუმით და ბურთით; ამას ზემოდ წ̄ᲂ ანდრია, სრულის ტანით; მარჯვენა და მარცხენა ფრთებზე: მაცხოვარი ტახტოსანი; ბერძნულის წარწერით, მაცხოვარი წელსზევითი: ი̄Თ ქ̄ე წᲂ̄ მ̄თე და იოანე ღვთის მეტყველი. შუა ფირფიტაზე: წ̄ᲂ ი̄ე, და მთავარ ანგელოზი; უმბოს ადგილს ერთი ძვირფასი თვალია და მის ქვემოდ წმიდანი მკერდსზევითი, მრგვალ მედალიონში (№17238).

2. **ხატი წ̄ა გიორგისა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 14X6,5 სანტ. მხედარი ფეხოსანია, შუბით და ფარით; ფართან ჩამოშვებული ხმალიც არის; წარწერა: წᲂ̄გ̄ი. ხელობა ტლანქია (№17239). მეორე გვერდზე წარწერა სულ დამახინჯებულია. პარალელურად ჩვენ მოგვყავს ტექსტი, როგორც უნდა ყოფილიყო წარწერა, აზრის მიხედვით.

წ̄ᲂ : მოწმთა მთვ	წმიდაო მოწამეთა მთავ-
რო : მჴნეო გ̄ი	არო მჴნეო გიორგი,
მეოხმ დ	მეოხ (მეყავ) და
მფრლსა : სუ	მფარველ სასუ-
მბთ მსვთა	ებით მოსავთა
ხტსა : შნსს	ხატისა შენისასა
სმდვლ (?).	სამადავლ(ეს?).

3. **ოქროს ხატი წ̄ა გიორგისა,** ლამაზი ხელობისა, მაგრამ ფრიად დაზიანებული, ნაჭედი, 12X8,5 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით; მარცხენა ხელი ფარზე აქვს დადებული. აშიები ვარსკვლავების მსგავსად არის შემკობილი; მარცხენა

აშია მოძარცულია; ხატი დაზარალებულია (იქვე, №17239). ხელობა ლამაზია, მე-12-13 საუკ. ქვემოდ შერყვნილი წარწერაა:

ქ წო გ˙ი მეოხ ეყავ
მოსავსა შენსა გ˙ის (?)

უკანასკნელი სიტყვა წაბღალულია და მისი კითხვა საეჭვოა.

4. **პატარა ხატი იოანე ღვთის მეტყველისა,** სრულის ტანით წარმოდგენილი, ვერცხლისა, ნაჭედი, 10X7 სანტ. მოტლანქო ხელობისა; აშიები მოოქრულია და უკეთესი ხელობის არის (იქვე, №17239).

5. **ცული საომარი,** ფოლადისა, ოქროს ჭდეებით შემკობილი; ყურის თავში ორივე მხრით მხეცის გამოსახულობა არის, ვგონებ, ვეფხისა; სიმაღლე ცულისა 21 სანტ. განი ბოლოსი – 25 სანტ. ეს ცული საუცხოო რამაა თავის დარგში და მე პირველად მხვდება სვანეთში. ეს ეკლესიაში როდი აქვთ დაცული, არამედ დაკიდულია გარედ, კარების შესავალთან. გადმოღებულია დიდ ჯვართან ერთად (იხ. №17238). ტარი არა აქვს. ეს ცული უნდა იყოს ხელისუფალთა წინ სატარებელი.

6. **ბუკი** ანუ **საყვირი**, დიდი, სპილენძისა, ჩვეულებრივი.

მეორე ეკლესია სოფელ იელში არის **ეკლესია იოანე წინამორბედისა.** ეკლესია ძველია, ქვისაგან აშენებული, ჩვეულებრივი რიგისა. კანკელი ქვემოთ ქვისაგან არის აგებული, ზემოდ ხისაგან, სამი კამარით. ამ ეკლესიაში არის დაცული:

1. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 42X30 სანტ. დაზარალებულია (№17248). მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა, ჩვეულებრივის პოზით და მუთაქით. ნიმბი დიდი ჯვარის სახისა; წარწერა სახელის ბერძნულია, მაგრამ ასო ორივე შემთხვევაში შებრუნებულია. ტახტი მოჩუქურთმებულია. აშიები ორმაგი ბროწეულის ყვავილების მსგავსად შემკობილი; ქვემოდ აშია მოძარცულია. ზემო აშიაზე ვედრებაა წარმოდგენილი; მარჯვნივ და მარცხნივ ღვთის მშობელი და იოანე, სრულის ტანით. იოანეს ფიგურა მოშლილია. ხელობა ტლანქია მიბაძვა კარგი დროის ხატისა, მაგრამ არა მიზან-მიღწეული. მე-17 საუკ. უნდა იყოს.

2. **ხატი პატარა, ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, წელსზევითი, ოქროსი, 14X11 სანტ. კარგი ხელობისა; წარწერა სახელისა ბერძნულია; ქვემოდ წარწერა აქვს (№ 17250):

ყ˙ლდ : წმდო : ღმრთს : მშბ˙ლო : და : მც

მეოხ ექმენ რატს ძითურთ, ამინ.

ესე იგი: ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო და მაცხოვარო, მეოხ ექმენ რატის ძითურთ, ამინ.

2ბ. ამავე ფოტოგრაფიაზე, ზემოდ, მარჯვნივ არის ხატი პატარა, ვერცხლისა, წელსზევითი წმიდანისა; სახელი არ უწერია; ხელები გულზე აქვს გაშლილი ვედრებისათვის. ხელობა კარგია.

3. **ხატი პატარა, ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, 10X8 სანტ. ყოფილა ფერადის წამლით დახატული, მაგრამ ფერადები გადასულია; აშიები და ნიმბი ოქროსია,

წნული და ფრიად ლამაზი ხელობისა, მე-12-13 საუკ. ხოლო ქვემო აშია შემდეგი დროისაა, ლურსმული, ვერცხლისა. წარწერა სახელისა ბერძნულია. ამ ხატის მეორე გვერდის წარწერა ჩვენ ცალკე ვიპოვეთ, ოქროს ფირფიტაზე და იკითხება ასე:

ქ, ჴელთ ა	ჴელთა აღ-
ღვიპყრობ : შე	ვიპყრობ შენ-
ნდა მომართ წ̄ო : ღ̄ჲს	და მომართ წმიდაო ღმრთის
[მ]შჳბელო (sic) და ჴელთა	(მ)შუბელო, და ჴელთა
შენთა : რ̄ლი გიტჳრთა	შენითა რომელი გიტჳრთა-
ვს : მსდა მიმრთ მეჳხ	ვს მისდა მიმართ მეუხ(sic).
მეყავ : მამკობსა	მეყავ მამკობსა
შენსა : მჴეც	შენსა მჴეცის-
ის : ძესა :	ძესა .

4. **ხატი მაცხოვრისა** 24X19 სანტ. ყოფილა ფერადებით დახატული, მაგრამ ფერადები გადასულია. ნიმბი დიდი ბალახის მსგავსად შემკობილია; აშიები რომბ-ლურსმულია წ̄თა მედალიონები ტლანქი ხელობისა (№17249). ქვემოდ მოსჩანს ნაშთი ხუცურის წარწერისა, რომელიც აღარ იკითხება.

5. **ხატი მაცხოვრისა, ტახტოსნისა,** ვერცხლისა, 22X15 სანტ. ბერძნული წარწერით სახელისა; აშიები ფოლაქებისა მსგავსად არის შემკობილი; ტლანქი ხელობისაა (იქვე,№17249).

6. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** წ̄ჲ მქლ, ვერცხლისა, ნაჭედი, 21X16 სანტ. მთავარ ანგელოზი სრულის ტანით არის წარმოდგენილი, ბიზანტიურ საკარო ტანისამოსში, ლაბარუმით და ბურთით; აშიები ლამაზი ბალახოვანი, მე-16 საუკ. უნდა იყოს, (იქვე,№17249).

7. **ხატი მთავარ ანგელოზ გაბრიელისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 22X18 სანტ. ასეთივე ხელობისა და რიგისა, როგორც წინა ხატი (№17250).

8. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 24X19 სანტ. წმიდანი ფეხოსანია, შუბით და ფარით. ეზო შემკობილია რომბ-ლურსმული მორთულობით; წარწერა: წ̄ჲ გ̄ი. ტლანქი ხელობისაა (№17249).

9. პატარა ვერცხლის **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, 11X8 სანტ. დაზიანებულია, მაგრამ არა ცუდი ხელობის ყოფილა (№17237).

10. პატარა **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** მ-ქლ, ვერცხლისა, ტლანქი ხელობისა. ეს წინად ალბად ჯვარის ფირფიტას შეადგენდა (№17237). მეორე გვერდზე წარწერა აქვს, მაგრამ ეს ამ ხატს არ ეკუთვნის, არამედ სხვა წ̄ა გიორგის ხატს. წარწერა (იქვე,№ 17237) იკითხება ასე:

ქ : წ̄ო : გ̄ი : ზღ წმიდაო გიორგი ზღუდ-

დრისა : მეო	რისაო, მეოხ
ხ : მქმნ : მკბსა	მექმენ მამკობსა
შ-ნსა : ჯონა	შენსა ჯონარ-
რსი : ასათი	სი ასათი-
ანსა :	ანსა.

11. **ხატი წამლით დახატული მაცხოვრისა,** წარწერით: წ-ჲ იესო, სახარებით ხელში, რომელზედაც აწერია: მე ვარ ნათელი სოფლისა. . . ახალი ხელობა არის.

12. **წამლით დახატული ხატი წ-ა გიორგისა,** 52X38 სანტ. დახატულია ხეზე; არა ცუდი ხელობისა, მე-18 საუკ.

13. პატარა, **ღვთის მშობლის ხატი,** ვერცხლისა, ნაჭედი, 11X9 სანტ. წარწერით: დ-ჲ ღ-ჲ.

14. **ვერცხლის ფირფიტა,** რომელიც დიდი ჯვარის შესაძერწად ყოფილა გამზადებული და რომელზედაც წარმოდგენილნი არიან ფიგურები: მაცხოვრისა (სამი), ღვთის მშობლისა (ოთხი), წ-ა გიორგისა და სხვა. ტლანქი ხელობისაა.

15. **დოქი,** ფართო, ლამაზი, სპილენძისა, 25 სანტ. სიმაღლით, ორის მოჩუქურთმებულის სახელურით და ვიწრო ყელით. ორივე მხრით შემკობილია ნაჭედი მორთულობით, სტილიზაციით მცენარეთა და შიგ მონავარდე ცხოველთა ფიგურებით. (№17251).

16. **საგალობელნი,** დასდებელნი და ძლისპირნი ღვთის მშობლისანი; ხელნაწერი ეტრატზე, მე-11 საუკ. ნაწერია ნუსხა ხუცურით. დაზიანებულია. დაცულია სულ 41 რვეული; რვეულში 8 ფურცელია. ტექსტი არ არის ერთის ხელით ნაწერი; მასში სულ ცოტა, ორი სხვა და სხვა ხელი გაირჩევა. ტექსტის ხელით მინაწერნი:

დ-ბჲ შ-ნდა სამებაო წ-ო ძალითა ქე-სითა განსრულდეს
წელიწადისა თავნი.
წ-ნო მ-წმნო მეოხ ეყვენით ს-ლსა : მ-მისა : მქ-ლისა : და
ს-ლსა : კე-სსა : და ს- ლსა : ჲვანესა : და ს- ლსა ზ-ქრსა :
წ-ე ღ-თისა : ა-ნ:.
მეორე ადგილას:
ს-ხლითა ღ-თისაჲთა განსროჯლდეს ძლისპირნი და ღ-თის
მშობლისანი : წ-ო ღ-თის მშობელ მეოხ ეყავ სლსა
მ-ქლისა სლსა კ-ესა . მოძღჯართა და მზდელთა ჩემთასა.
ქ-ე შ-ე ს-ლი ზქ-რსი მწერალისა ამ-ნ.

17. **საგალობელნი,** ხელნაწერი, 24X16 სნტ. ქაღალდზე; ნუსხა ხუცურით, ერთ სვეტად, თავი და ბოლო აკლია; ხელი მე-17 საუკუნის არის.

18. **ჟამის წირვა,** ხელნაწერი ქაღალდზე; თავი და ბოლო აკლია; ისედაც სულ დაშლილია; მე-18 საუკ.

შენიშვნა: ჩვენს დროში იელში მარტო ეს ხელნაწერები იყო, ხოლო ალ. ხახანაშვილი იქ ნახულ ხელნაწერებს ასე მოკლედ აღნიშნავს:

1) საგალობელნი ეტრატზე მე-13-14 საუკ. 2) ეტრატის გრაგნილი ჟამის წირვისა იმ განსხვავებით, რომ მასში არ არის: კათაკმეველნო უფლისა მიმართ ვილოცოთ, 3) კრებული ლოცვათა ნაკლულოვანი, პალიმფსესტი; ეტყობა აბონოსათვის (?), 4) სახარება ნაკლულოვანი, ეტრატზე in 8, მე-12 –13 საუკ. (იხ. ხახანაშვილი, გვ. 23).

მესამე ეკლესია იელის საზოგადოებისა არის **წმინდა კვირიკეს ეკლესია.** ეკლესია ნატეხი ქვითაა აშენებული, ჩვეულებრივია; აღმოსავლეთის კედელი ორი მოჭრილი ჯვარით და პასკებით არის შემკობილი. კანკელი ქვისაა, სამი კამარით. ამ ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **დიდი ხის ჯვარი,** კანკელის წინ დამყარებული, ქვის კვარცხლბეკზე; შეძერწილია ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით, კარგი ხელობისა. მათზე წარმოდგენილნი არიან: ზემოდ მთავარ ანგელოზი და მაცხოვარი, სრულის ტანით; ქვემოდ: მთავარ ანგელოზნი, წელსზევითნი, და მოციქულნი; შემდეგ კიდევ: მთავარ ანგელოზნი და მოციქულნი და სხვა.

2. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთ დაფერილი ვერცხლისა; ხელობა საკმაოდ კარგია, მაგრამ ერთობ დაზიანებულია.

მეოთხე ეკლესია იელის სოფლისა არის **ეკლესია მაცხოვრისა.** ეს შტატის ეკლესია არის. იგი თლილის ქვისაგან არის აშენებული, მაშინ როდესაც ყველა სხვა ეკლესიები ამ სოფლისა უბრალო, მოტეხილი ფილაქანის ქვისაგან არიან ნაშენნი. ბაზილიკური რიგისაა. წინეთ ჰქონებია ეკვტერები სამის მხრით, რომელნიც ეხლა სულ მოშლილია. საკურთხეველი გარედ გამოდის სამ დიდ წახნაგოვანად. შესავალი აქვს მარტო დასავლეთიდან; ფანჯარა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. კანკელი ქვისაა, სამი დიდი კამარით. სვეტებს აღსავალი კარისას აქვს ოთხკუთხედი თავები. თითოეულ წახნაგში სვეტის თავისა არის ამოჭრილი ნახვრეტი და შიგ ჩასმული ხის სასანთლე. ეკლესია სულ მოხატული ყოფილა, მაგრამ მხატვრობიდან ბევრი აღარ დარჩენილა. საკურთხეველში კიდევ კარგად ემჩნევა მაცხოვარი და ეკლესიათა მამები. ეკლესიაში მოიპოვება:

1. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, გამობერვით განჭედილი, ლამაზი ხელობისა, 34X26 სანტ. (№172326). მაცხოვარი ტახტზე ზის მუთაქით, მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენა დაუდვია სახარებაზე, რომელიც მარცხენა მუხლზე უძევს. ყდა სახარებისა ვარსკვლავის მსგავსად არის შემკობილი, ჯვარით შუაში. ტახტი მოჩუქურთმებულია. ნიმბი ჯვარის სახისა არის. წარწერა სახელისა: ქ҃ـ ქ҃ე. აშიები რომბ-ლურსმულია; მარცხენა და ქვემო ნაწილი მოძარცულია; სხვებზე ოთხი მრგვალი მედალიონია. ზემოდ ვედრება, მარჯვენაზე ორი მოციქული. ხატი მე-14 საუკ. უნდა იყოს. ქვემოდ, ორივე მხარეს უწერია:

მო҃ჭა	მოიჭედა
ხატი	ხატი

ესე	ესე
ჴე-თა	ჴელითა
თ-ე	თეოდორე
გლავას	გლავას-
ძი-ᲂა .	ძისაᲂთა.

2. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, უკეთესი ხელობისა, ვიდრე წინა ხატი, 27X17 სანტ. (იქვე, № 17226). მაცხოვარი ტახტზე ზის, მუთაქით, მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით; წარწერა ბერძნული აქვს. ტახტი მოჩუქურთმებულია. კიდევ უფრო ლამაზად და ორიგინალურად მოჩუქურთმებულია აშიები, რომლებშიაც წ-თა მედალიონებია; ზემოდ ვედრებაა, მაგრამ, შუაში, მაცხოვრის მაგიერ ტახტის შემზადებაა წარმოდგენილი, წარწერით: ძ-ლი ჭ-ტი. (ეს ჯვარი ორივეს მხარეს სწერია). მარცხნივ: დ-ᲂ ღ-თსაᲂ, ხოლო მარჯვნივ იოანე. ქვემოდ, შუაში წ-ა თ-ე; მარჯვნივ ყოფილა წ-ი დ-ი, მაგრამ მოშლილია; აქეთ-იქით, გვერდებზე: პეტრე და პავლე: წ-ი პ-ე. ხატი უნდა იყოს მე-13-14 საუკუნისა.

3. **ხატი კარედი ვედრებისა,** 12,5X10 სანტ. სურათები ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ ეხლა მოშლილია; მორთულობა ოქროსია (№17240). კარებზე, გარედან წარმოდგენილნი არიან პეტრე და პავლე. შიგნით, შუაში მაცხოვარი წელსზევითი, ბერძნულის წარწერით, კარებზე, შიგნით: დედა ღთსა და ი-ნე ნათლისმცემელი. ეზო ბალახოვანი შემკობილობისა არის, არა უგვიანეს მე-15-16 საუკუნისა. მეორე გვერდზე წარწერა, ირგვლივ თორმეტ-ფრთიანი ჯვარისა (№17252):

ქ მაცხოვარო და	მაცხოვარო და
დედაო ღმ	დედაო ღმრთი-
თისაო დ ნათლის	საო და ნათელის
მ ცე	მცე-
მლო წმდნო პეტრ	მელო, წმიდანო პეტ-
ე დ პვლე მეოხ დ	რე და პავლე, მეოხ და
მფარ ვლ მ	მფარველ მე-
ეყვ მმკბს შენა იო	ყავ მამკობსა შენსა იო-
ვნს თუთსა შვ	ვანეს, თუთასა, სვილ-
ლსა ჩმს ივნეს.	სა ჩემსა ივანეს.

4. **ხატი წ-სა ბარბარესი,** ოქროთი დაფერილის ვერცხლისა, ნაჭედი, 17X14 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია წელს ზევით, ჯვარით მარჯვენა ხელში, სავედრებელად გამზადებულის მარცხენა ხელით; ნიმბის აქეთ-იქით წარწერაა: წ-ᲂ ბ-ბრა. აშიები შემკობილია ბროწეულის ყვავილების მსგავსად და მედალიონებით, რომლებშიც წარმოდგენილნი არიან: ზემოდ ვედრება, აქეთ-იქით: წ-ᲂ გ-ი, წ-ᲂ დ-ი; დაბლა: კოზმან და დამიანე, და კიდევ ერთი წმიდანი. ყველა სურათები წელსზევითია და კარგად გამოხატული. არა უგვიანეს მე-14 საუკ. (№17240).

5. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 1b14,5 სანტ. ღვთის მშობელი ტახტზე მჯდომარეა, დიდის ნიმბით. თავსაბური ღვთის მშობლისა

ჩამოგრძელებულია კისრამდის არა ჩვეულებრივად. ფიგურა მოტლანქოა. წარწერა დიდრონის ასოებით: წ-ი დ-ი სმ-ლი(?)ქსი (= წმიდაი დადაი ღვთის მშობელი ქრისტესი). აშიები ბროწეულის ყვავილების მსგავსად არის შემკობილი და უძველესი უნდა იყოს ხატისა; თვით ხატი მე-16-17 საუკ. (№17223). მეორე გვერდზე რვა-ფრთიანი ჯვარის ირგვლივ წარწერაა (№17253):

ქ დედაო :	დედაო
ღმთის	ღმრთისა
აო : მეოხ დ :. მფრველ :.	ო, მეოხ და მფარველ
გექმნ: აბჯგი	გუექმენ აბუგი-
ანსა : ნგრგს :მეჯღლესა : ჩე	ანსა ნაგარგის (?), მეუღლესა ჩემ
მსა :. ალნათს დ შვილთა : ჩვ	სა ალნათს და შვილთა ჩვენ-
თა : ნან	თა ნან
. . . ირზ .	. . . ირზ.

6. **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, ვერცხლისა; წარწერა სახელისა ბერძნულია; ტლანქი ხელობისაა.

7. **საცეცხლური** ბრინჯაოსი, ძველი, სირიული რიგისა; ზედ გამოქანდაკებულია სცენები სახარებიდან (№17227).

8. **პატარა, ძველი ზარი** (იქვე №17227).

9. **ბრინჯაოს ცული,** კელტის ტიპისა, დიდი; ამოღებულია უთუოდ ძველი საფლავიდან, (იქვე №17227).

სოფელი ადიში.

სოფელ ადიშში, როგორც მოვიხსენიეთ, ჩვენ არ ვყოფილვართ, მაგრამ იქ ცნობილია ორი ეკლესია. ერთი მაცხოვრისა, შიგ სოფელში, მეორე წმიდის გიორგისა მაღლობზე, ამის მახლობლად, მდინარე ადიშ-ჭალის მაღალ კლდოვან ნაპირზედ. ბარტოლომეის აჩვენეს ნანგრევები ალექსანდრე მეფის ციხე-დაბარზისა და უთხრეს: ალექსანდრე მეფე ყოველ ზაფხულს მოდიოდა აქ, ჰკრებდა ბეგარას და მიდიოდა სხვა მის სამფლობელოებშიო. ეს სასახლე სხვა აქაურ ციხე-კოშკებიდან მხოლოდ ფართო სარკმელებით განირჩევაო, – დასძენს ბარტოლომეი. საზოგადოთ, ბარტოლომეის სიტყვით, სვანებს შენახული აქვთ გარდმო ცემა მარტო ორს მეფეზე: თამარზე და ალექსანდრეზე. თამარით გამოსახავენ თავის კეთილდღეობას, ალექსანდრეთი – შევიწროებას. გრაფინია უვაროვისა უფრო გარკვევით ამბობს: „გადმოცემით, ამ ციხე-კოშკში ცხოვრობდა კახეთის მეფე ალექსანდრეო, რომლის ქალი იგუმენიათ (დედათა მამასახლისად) იყო კალას კვირიკე და ივლიტას მონასტერში“-ო. (გვ. 38). თუ მართლა ამ ლეგენდას აქვს რაიმე რეალური საფუძველი, ეს უნდა ყოფილიყო კახეთის მეფე.

კახეთის მეფეზე ეს თქმულება გადაიტანეს ალბათ იმის გამო, რომ კახეთის მეფემ ალექსანდრე მეორემ გაამდიდრა სვანეთის ეკლესიები თავის შეწირული ზარებით. ერთ-ერთი ასეთი ზარი ადიშის ეკლესიაშიც მოიპოვება და მისი ასომთავრული წარწერა გადმოღებეული აქვს ბარტოლომეის (იხ. ტაბ. III, №33) და იკითხება ასე:

„ჩვენ მეფემან პატრონმან ალექსანდრე
შევსწირეთ სვანეთის ადიშის ტაძარს ზარი
ესე ჩვენთვის სადღეგრძელოდ, გასამარჯვებე
ლად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, ამინ. “.

თქმულება მეფის ასულის დედათა მონასტრის იღუმენიად ყოფნის შესახებ მართალი უნდა იყოს, ვინაიდან რამოდენიმე წარწერა იხსენიებს მონაზონს მეფის ასულს თეკლას (იხ. ზემოდ წვირმის მაცხოვრის ეკლესიის ნივთების აღწერა №8).

მაცხოვრის ეკლესიის დიდს კანკელის საწინავე ჯვარზე ადიშში ბარტოლომეის შეუნიშნავს და გადმოუღია ასომთავრული წარწერა (იხილე ტაბ. III, №32), მაგრამ მეორე სტრიქონი წარწერისა ვერ არის ჯეროვანად გადმოღებული, ყოველ შემთხვევაში, ბროსსეს წაკითხვა ამ სტრიქონისა მცდარია (იქვე, ბარტოლომეი, გვ. 233, №13). ჩვენ ამ წარწერას შეუმოკლებლად ასე ვკითხულობთ:

„ქ. წმიდაო თევდორე, მეოჯ ეყავ წინაშე
ქრისტესა ლიპარტიანის ძესა, ამინ.“

ერთს დაზიანებულს წარწერაში სოფელ ცხუმარის ეკლესიისა, რომელიც აღწერილია ჩვენს მიერ, მე-5 ნომრით ხსენებული ეკლესიის ნივთებისა, იხსენიება ოქრო-მჭედელი გიორგი ლიპარტის ძე. იქნებ, იგივე ოქრომჭედელი იხსენიებოდეს ამ წარწერაშიც.

გრაფინია უვაროვისა უჩვენებს ადიშის მაცხოვრის ეკლესიაში, გარდა ამ ჯვარისა, ზარისა და ცნობილის ადიშის სახარებისა, ორს ნაჭედს ხატს მაცხოვრისას, ნაკლები ღირსებისა, ვედრების ღვთის მშობლის ხატს, წამლით დახატულს, მაგრამ ფერადებ გადასულს, მშვენიერის ოქროს მორთულობით და წმიდათა ფიგურებით აშიებზე, და სანახევროდ დაკარგულის ნაჭედის წარწერით. ამას გარდა იქ ყოფილა კიდევ სამი, წამლით დახატული ხატი უვარგისი ხელობისა (იხ. უვაროვისა, გვ. 174). სამწუხაროდ, არც ერთი ხატის სურათი მას არ მოჰყავს. და არც ის ვიცით, რას შეიცავს ის ნაკლული წარწერა ღვთის მშობლის ხატისა. განსვენებულს გიორგი ნიკოლაძეს ჰქონდა, როგორც ვიცით, გადმოღებული ეს ხატები, მაგრამ ჩვენ მისი ფოტოგრაფიები არა გვაქვს.

სოფელი ნაკიფარი.

ნაკიფარი იელის ქვემოდ ძევს, მაღლობზე გაშენებული და ერთი საუკეთესო სოფელია იფარის თემისა. აქ არის კანცელარია და სკოლა. ძველი ეკლესიაც ამ სოფლისა, რომლის ირგვლივ გაშენებულია სოფელი, ერთი საუკეთესოთაგანია სვანეთში. საზოგადო სახე ამ სოფლისა და მის გვერდით მდებარე ბოგრეშისა კარგად მოსჩანს ჩვენს ფოტოგრაფიებზე, რომელნიც სოფელ წვირმიდან არიან გადაღებულნი (იხილ.№17475 და 17483). ახლობელი სახე ორი კოშკისა და სხვა შენობათა იხ. ფოტ. № 17483. ამ ფოტოგრაფიაზე მოსჩანს აგრეთვე ახალი გუმბათიანი მონასტერი,

გაშენებული ბერი თეოფანეს მიერ, ზემოდ, ტყით შემოსილ მთაზე, პირისპირ ამ სოფლისა; ბერი თეოფანე ჩემი მოგზაურობის დროს კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო სულ დასაპყრებული.

ეკლესია ნაკიპარისა წმიდის გიორგის სახელზეა აშენებული თლილის ქვისაგან (№17482). ეს არის ჩვეულებრივი სვანური ბაზილიკის რიგის ეკლესია, რომელსაც სამი მხრით მიშენებული აქვს ეკვეტრები. ეკვტერები გაერთიანებული არიან და ახდენენ შთაბეჭდილებას გალერეისა, რომელიც ეკლესიას უვლის სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. შესავალი აქვს ეკლესიას და ეკვტერებს დასავლეთით და სამხრეთით; ფანჯრები, თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. (გეგმა მისი იხ. გრ. უვაროვისა, გვ. 68).

გრაფინია უვაროვის აზრით, ჩრდილოეთის ეკვტერი შემდეგ არის მიშენებული. ჩვენი აზრით, ყველა ეკვტერები ერთად არის მიშენებული, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ ეკლესიის აშენებისა. ნათალი ქვები ეკლესიისა უკეთესია, ვიდრე ეკვტერებისა. ამას გარდა, აღმოსავლეთით ეკვტერებს არავითარი შემკობილობა არა აქვს, ხოლო თვით ეკლესიის აღმოსავლეთის კედელი არა მომრგვალებით, არამედ ბრტყლად გამოსული გარედ, არის შემკობილი, თუმცა არა მდიდრულად. ეს კედელი ოთხი ფართო პილიასტრის საშუალებით, რომელნიც საძირკვლამდის არ ჩამოდიან, გაყოფილია სამ კამარად. შუა კამარაში ვიწრო ფანჯარაა; მის ზემოდ ირმის თავის ქანდაკებაა; მარცხენა კამარაში არის სახეები ლომისა ან ვეფხისა და ცხვრის თავი; ზემოდ, კარნიზი ეკლესიისა შემკობილია წამლით დახატული წმიდათა თავების ფიგურებით. ნიმბები ამ თავების გრაფ. უვაროვისას მიუღია ვარსკვლავის მსგავს შემკობილებად კარნიზისა (გვ. 68). წამლით დახატული ფიგურებით წმიდათა არა თუ ამ მხარეს არის, არამედ ყველა მხარეს ეკლესიისა, ზემო ნაწილში, სახურავის ქვეშ. სახე ეკლესიისა იხ. ფოტ. №17482 და უვაროვისა ტაბ. XIV, 24. ეკლესია დახურულია ყავრით.

კანკელი ქვისაა, მაღალი, სამი კამარით და ოთხი მისი პატარა სვეტით; სვეტის თავები ლამაზებია. თაღი ეკლესიისა დამყარებულია ორ სარტყელზე; ამათში ერთი დიდია, მეორე პატარა და ეს უწევს მარტო თაღის დასაწყისამდის.

შიგნით კედლები სულ მოხატული ყოფილა; ეხლა მხატვრობა დაზიანებულია, მაგრამ საზოგადოთ, საკმაოდ დაცული.

საკურთხეველის კონქში კარგად მოსჩანს იესო ქრისტე, მშვენიერად მორთულ ტახტზე, წინამდგომებითურთ; ქვემოდ: ეკლესიის მამებია. დასავლეთის კედელზე არის სცენები წ-ა გიორგის წვალებიდან, ურმის თვალზე დაკვრა და სხვა, დიოკლეტიანე მეფის თანდასწრებით, რომელიც ტახტხზე ზის. ჩრდილოეთის კედელზე ნათლისღებაა; მის ქვემოდ: წ-ა გიორგი და წ-ა თეოდორე, ცხენოსანნი. ეკლესიაში დაცულია:

1. **ხატი წ-ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ძლიერის გამობერვით ნაჭედი, 50X40,5 სანტ. (იხ. №17254). მთავარ მოწამე წარმოდგენილია ცხენით. ცხენი კარგი ჯიშისაა, მაგრამ მისი მორთულობა არ არის მდიდრული. თვით წ-ა გიორგი მდიდრულად მორთულ ჯავშანშია, რომლის ზემოდ მოსასხამი აქვს. ეს მოსასხამი ფართოდ იშლება მის ზურგს უკან ჰაერში. ფეხზე მაღალი წაღები აცვია. თმა ხუჭუჭებად აქვს დაყოფილი. წრე სიწმიდისა, თავის ირგვლივ, გრეხილიანია. მხედარი შუბით გმირავს დეოკლეტიანე მეფეს, რომლის ჩაცმულობა ისეთივეა,

როგორც წ¯ა გიორგისა, ხოლო მას მოსასხამი არა აქვს და თავზე ძვირფასი თვლებით შემკობილი გვირგვინი ახურავს არშაკიდთა მეფეების რიგისა. აქვე მიწაზე გაშხვართულ მეფესთან ძევს მისი მრგვალი ფარი და მოგრძო ხმალი, რომელიც ხელიდან გავარდნია. მეფის თავთან წარწერაა:

დეოკლიტი / ანე : მეფე : / უშჯულო .

მეფის ზემოდ მეორე წარწერა:

ქ მოიჭედა : ხატი : ესე : წიდისა : გ¯ჲსა : იფარისა : ჩმ
გნ : მარუშის : მიერ : სალოცველად : და : სახსრა
დ : სლისა : ჩემ¯სა : დ¯ღესა : მას : განკითხვისასა :
ჩემითა ოქრ ოითა : და : ვერცხლი
თა : –

დეოკლეტიანეს ფეხების ქვემოდ გაგრძელება ამ წარწერისა :

ჴელითა : / ასან / : ოქრო / მჭედლისაი / თა :.

ფართო აშიები გარშემო შემკობილია ბალახოვანი მორთულობით და მრგვალი მედალიონებით წმიდათა ზემოდ: მაცხოვარი მთავარ ანგელოზებითურთ; ქვემოდ: წ¯ჲ დიმიტრი, წ¯ჲ თ¯ე, წ¯ჲ კ¯ე (კვირიკე); აქეთ-იქით: წ¯ჲ ბასილი, წ¯ჲ გრიგოლი. ხელობა მედალიონებისა და აშიებისა ვერ არის მაინცდამაინც ლამაზი. ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-14 საუკუნეს.

2. **ხატი წ¯ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 41X33,5 სანტ. წ¯ა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, ისეთივე ჩაცმულობით, როგორც წინა ხატი, შუბით გმირავს გვირგვინოსანს, რომლის ფეხებისაკენ ფარი ძევს. ხელობა ტლანქია; დაცულიც ცუდათ არის; ქვემო და ზემო აშია აკლია; მარჯვენა აშიის ცოტა ზემო ნაწილია დარჩენილი; პირის სახე გიორგისა და ქვემო ნაწილი ხატისა მოწყვეტილია; მარცხენა დაცულია. აშია ბალახოვანია და მასში ერთი მედალიონია წმიდანისა, ტლანქი. ასეთივეა ზემოდ კუთხეში მთავარ ანგელოზის მედალიონიც. წარწერა სახელისა: წ¯ჲ გ¯ი. ქვემოდ ვულგარული ხუცურით სწერია:

მოიჭედა : ჴელითა : ასნ : გელოსით[ა]

ესე იგი: „მოიჭედა ხელითა ასან გელოვანისითა“. რასაკვირველია, ეს ის ასანი არ არის, რომელიც წინა ხატის წარწერაში იხსენიება, მაგრამ უეჭველია, ეს ხატი წინა ხატის მიბაძვით არის განჭედილი, ხელოვნების დაცემის ხანაში. ხატი მე-17 საუკუნის უნდა იყოს. (№17256).

3. **ხატი წ¯ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა. ნაჭედი, 56,5X43,5 სანტ. ქვემო ნაწილზე ხატისა წარმოდგენილია მთავარ მოწამე ცხენით, რომელიც კაცს გმირავს შუბით. ზემოდ ვედრებაა სამს მედალიონში განაწილებული; მოგრძო და ზემოთ მომრგვალებულ მედალიონში: ქრისტე წელსზევითი, წარწერით: ი¯ჳ ქ¯ე. აქეთ-იქით, მრგვალ მედალიონებში: ღვთის მშობელი და იოანე ნათლის მცემელი, წარწერებით: ქ დდ¯ჲ ღ¯ჲ წ¯ჲ ნე. აშიები ბალახოვანი შემკობილობით არის მოცული, ტლანქი ფიგურები წმიდათა; მათ შორის სამი ფიგურა მაცხოვრისა არის, ტახტოსანი; ხუთი წმიდათა მხედართა; ქვემო აშია აკლია; ქვემოდ: ვულგარული ხუცურით ვკითხულობთ:

წ-ო გ-ჲ ჲფარსო	წმიდაო გიორგი იფარისაო,
შ-ე ფაჯნ	შეიწყალე ფარიჯანიანი (?)
და მეფენჲ ან.	და მეფენი. ამინ.

ხელობა ტლანქია და უნდა ეკუთვნოდეს მე-17-18 საუკუნეს (№17258).

4. **ხატი წ-ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 55,5X43 სანტ. წმიდანი ფეხოსანია. სრულის ტანით, აბჯარით და მოსასხამით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა ფარზე დაუდვია. თმები ხუჭუჭებად აქვს დაწყობილი; წრე თავისა დიდია, გრეხილიანი, წარწერა: წ-ჲ გ-ჲ აშიები ფართოა, რომბ-ლურსმული, ოთხკუთხედი მედალიონებით წმიდათა. ზემოდ ვედრება; აქეთ-იქით: წ-ჲ პვლე, წ- ჲ მათე; ქემოდ: წ-ჲ ანდრია, წ-ჲ პეტრე და წ-ჲ მარკოზ. ქვემოდ კიდევ წარწერაა:

წ-ჲ : გ-ჲ მეჴეყა	წმიდაო გიორგი, მეოხ ეყა-
ვი : სულსა : ბედ	ვი სულსა ბე-
ანისასა	დანისასა

(დ. ბაქრაძე, გვ. 112).

ბედანი ანუ ბედიანი დადიანების სახელია და გვხვდება მე-13 საუკ. წარწერებში, მაგრამ ხელობა ხატისა უფრო გვიანია. ამიტომ შესაძლოა აქ საუბარი იყოს იმ ბედანზე ანუ ბედიანზე, რომელიც მოხსენებულია როგორც მეფე მეგრელიისა ტრაპიზონის იმპერატორის დავითის წერილში 1495 წლისა ბურგუნდიის დუკის მიმართ (Brosset, Additions, p. 408).

ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-15 საუკ. (№17257).

5. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 50X43 სანტ. მაცხოვარი წარმოდგენილია წელსზევით. მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში. დიდი ჯვარის სახე ნიმბი მოჩუქურთმებულია. ეზო ვაზოვანის მორთულობით არის შემკობილი. აშიები ორმაგი, ბროწეულის ყვავილების მსგავსად მოკაზმული, შემკობილია რვა ტლანქი ხელობის მრგვალი მედალიონით წმიდათა. წარწერა სახელისა: ჲ¯ჯ ქ¯ე. ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-15 საუკუნეს. (№17255).

6. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** წელსზევითი, ვერცხლით ნაჭედი, 17X14 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია საზომით მარჯვენა ხელში და ბურთით მარცხენაში; წარწერა: წ-ჲ მ-ქლ. აშიები ტალღისებური ბალახით და ფოლაქოვანი შემკობილობით არის მორთული. ზემო აშიაზე სწერია:

ქ. მთვრნგელზ : მეზრჲსა. . .

ქვემოდ მეორე წარწერაა:

ქ . წ-ო მთავარანგელოზ : მეზრჲსა:. შევნდენ
ბერსა : გულბანსა : ამ-ნ.

ესე იგი: „წმიდაო მთავარ ანგელოზო მეზრისა, შევუნდვენ ბერსა გულბანსა (ანუ გულბიანსა), ამინ“. დ. ბაქრაძეს (გვ. 112). ვერ გაურჩევია სიტყვა „მეზრისა“. ხატი მე-15-16 საუკ. უნდა იყოს. (№17259).

7. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** ვერცხლით ნაჭედი, 27X21 სანტ. წარწერით: ქ წ-ი მ-ქლ. მთავარ ანგელოზი წელსზევითია, ვერცხლის ფირფიტაზე წარმოდგენილი, საზომით და ბურთით; ნიმბი დიდი აქვს (№17259). ხელობა სუსტია, მე-16-17 ს.

8. **ოქროთი დაფერილი ფირფიტა** მაცხოვრის გამოხატულობით ტახტზე და წარწერით: ჲ-ჯ ქ-Წ. 22X18,5 სანტ. მაცხოვარი ფოლაქოვან წრეშია; ეზო სიმრგვალეებით არის შემკობილი და აშიები ნახევარი სიმრგვალეებით. (№17259). ფრიად ტლანქი ხელობისაა, მე-18-19 საუკ.

9. სრულიად ასეთივე **ფირფიტა**, მაგრამ უფრო პატარა, 17,5X10,5 სანტ. (იქვე, №17259).

10. ვერცხლის პატარ **ხატი მთავარ ანგელოზისა,** 14X10,5 სანტ. ტლანქი ხელობისა, (იქვე. № 17259).

11. **ხატი წ-ა პავლესი,** ვერცხლისა, 15X5 სანტ. წარწერით: წ-Ა პ-ლე. წმიდანი სრულის ტანით არის წარმოდგენილი და ნიმბით. მე-17 საუკ. უნდა იყოს, (იქვე, № 17259).

12. პატარა **ხატი იესო ქრისტესი,** რომელსაც ადამი გამოჰყავს ჯოჯოხეთიდან, 5X5 სანტ. კალიდან არის გაკეთებული; ტლანქი ხელობისაა (იქვე, №17259).

13. პერანგი პატარა ხატისა, **წ-ა ბარბარესი,** ვერცხლისა, შემკობილია რვა ძვირფასი ქვით და ლამაზის ბროწეულის ყვავილების მსგავსი აშიებით, 23X18 სანტ. მე-13-14 საუკუნისა.

14. **სამი დიდი, წამლით დახატული ხატი,** ახალი და ტლანქი ადგილობრივი ხელობისა; მაგალითად: წ-ა გიორგის ხატი ფიცარზე დახატული, ახალგაზრდა ქალურის სახით და დიდრონის თვალებით, მისამჩნევი იქნებოდა ჩვენთვის ღვთის მშობლის ხატად, რომ არ ეწეროს: წ-Ა გ-ი.

15. **თასი ოქროსი,** პატარა, 10 სანტ. დიამეტრისა; სრულიად სადაა.

16. ათი ვერცხლის, სულ სადა **თასი**.

17. ორი ვერცხლის **სასმისი** (კოვშ); ერთი მსხალის მსგავსი სახეებით არის შემკობილი.

18. ვერცხლის **თასი,** შემკობილია ზარნიშიანი სახეებით, ზამბახის მსგავსად.

19. ვერცხლის **ლამბაქი,** მხედრულის წარწერით:

ქ . ეს : ნალბაქი :. გდებუაძი : ქალის : მარიამის : არის :

შენიშვნა: 1874 წლის მოკლე აღწერილობაში ამ ეკლესიის ჭურჭელი ასეა აღნუსხული:

ოქროს თასი 39 1/2 მისხალი.
ოთხი ვერცხლის და ფარის ძეწკვები 5 გირვანქა.
ჯამთასი 1 გირვანქა და 17 მისხალი.
ყურიანი ჯამი 93 მისხალი.
ყურიანი ბადია 85 მისხალი.
ბადია 75 მისხალი.
ბადია 73 მისხალი.
ჯამთასი 54 მისხალი.
თასი 48 მისხალი.
ჯამთასი 44 მისხალი.
ჯამთასი 44 ისხალი.
ნალბაქი 42 მისხალი.
ჯამთასი 39 მისხალი.
თასი 35 მისხალი.
თასი 32 მისხალი.
ჯამთასი 31 მისხალი.

20. დ. ბაქრაძე (გვ. 111) და გრაფ. უვაროვისა (გვ. 172) უჩვენებენ ამ ეკლესიის სიაში კიდევ პატარა ოქროს ხატს **წ. გიორგისა,** რომელიც წამლით დახატული ყოფილა, მხოლოდ დარჩენილა ნაწილი შესამოსელისა, წარწერით: წ҃ᲂ გ҃ი ზღდრ. და მეორე გვერდის ვერცხლის ფირფიტაზე ყოფილა წარწერა:

ქ. ქო : გ҃ი : ზჯდრისაო
მეოხ დ მფრველ
გვქმენ : მოსავს
ა : მმკობსა : ხატსა
[შ]ნისასა : ჩენ : მო
[სა]ვთა : შენთა
[დ]დღესა : მას : გნ
[კი]თხვისასა : ამნ

ფრჩხილების ასოები ჩვენგან არის მიმატებული. სწორედ სრულიად ასეთი პატარა ოქროს ხატი წმიდის გიორგისა, დაზარალებული და ასეთივე წარწერით ჩვენ ვიპოვეთ წვირმის მაცხოვრის ეკლესიაში, ხოლო იქ წარწერაში სახელი და გვარიც არის მოხსენებული ხატის შემკობელისა: აჴას ძე ბიბილი (იხ. ზემოდ: წვირმის ხატების აღწერილობა, №14).

21. დ. ბაქრაძე იხენიებს კიდევ წარწერას ჯვარზე, რომელიც მას გადმოუღია ხელით, მაგრამ არ იკითხება (იხ. გვ. 111, დამატება № 35).

22. **კონდაკი** ქაღალდზე, ნუსხა ხუცურის ხელით დაწერილი, მე-17 საუკუნისა.

23. **მეორე კონდაკი,** აგრეთვე ქაღალდზე დაწერილი ნუსხა ხუცურით, მე-16 საუკუნისა; თავი და ბოლო აკლია.

24. **გალობანი** წი-სა ღვთის მშობლისანი, ეტრატზე დაწერილი ნუსხა ხუცურით; თავი და ბოლო აკლია; სულ გაფუჭებულია.

25. ბარტოლომეიმ ამ ეკლესიაში ნახა ოქროს ხატი ვედრების ღვთის მშობლისა. ბერძნულის წარწერით ზურგზე და ეს წარწერა გადმოიღო (იხ. გვ. 172, ტაბ. I, №12, დამატება II, გვ. 226-227). გრაფ. უვაროვისამ ეს ხატი ნახა ბერ თეოფანესთან, რომელსაც ეს ხატი და ზოგი სხვებიც წაეღო ნაკიპარის ეკლესიიდან (უვაროვისა, გვ. 109). ხატი ლამაზი ნახელავი ყოფილა, შემკობილი მარგალიტებით. ბერძნული წარწერა სხოლასტიკურის ენითაა დაწერილი; ბარტოლომეის თარგმანში გამოდის, თითქოს შემკობელი ხატისა იყოს ვიღაც მარიამი (გვ. 173, 227), მაგრამ პამიალოვსკის წაკითხვით, რომელიც გრაფ. უვაროვისას მოჰყავს (გვ. 109). ხატის შემკობელის სახელი სრულიად არ იხსენიება. მარიამში ღვთის მშობელი იგულისხმება და არა შემკობელი. ხატს ბარტოლომეი აკუთვნებს მე-14-15 საუკუნეს. აღსანიშნავია ღვთის მშობელის სახელი წარწერაში ქართულის ფორმით არის მოყვანილი: „მარიამ“ და არა ბერძნულის.

26. ამავე თეოფანესთან ყოფილა **ხატი წ-ა ბარბარესი,** ნაზი ხელობისა. წმიდანი წარმოდგენილი ყოფილა წელსზევით, გამობერვით, ჯვარით ხელში. აშია შემკობილი ბროწეულის ყვავილების მსგავსად და რვა მედალიონით (გრაფ. უვაროვისა, გვ. 110).

მესამე ხატი, რომელიც ყოფილა თეოფანე ბერთან, არის **მაცხოვრის ხატი,** ხუთი ვერშოკი სიმაღლით, 3 1/2 ვერშოკი განით. როგორც ხატი, ისე აშიები კარგი ნახელავია. აშიებზე წარმოდგენილია მედალიონებში ფიგურები პეტრე და პავლესი; ზემოდ ტახტის გამზადება, ქვემოდ: წ¯ა თეოდორე. თავის წრე შემკობილი ყოფილა ფირუზით. (უაროვისა, გვ. 103).

თეოფანე ბერთან ამას გარდა, ა. ხახანაშვილის ცნობით (გვ. 22-23) ყოფილა შემდეგი ხელნაწერები:

1) ჟამნი ეტრატზე (?), 508 გვერდი, გადაწერილი 1755 წელს ტფილისში მღვდელ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ. 2) წმიდათა ცხოვრება, ქაღალდზე, მე-14-15 საუკ. სხვათა შორის აქ ყოფილა ცხოვრება პეტრე მაიუმელისა; ხელნაწერში იხსენიება ვიღაც გრიგოლი, ალბათ გადამწერი: „ცოდვილსა გრიგოლს შ-ს ღ-ნ“. აქ ყოფილა კიდევ აპოკრიფი „სარტყელისათვის ღ-ის მშობლისა აღწერილი მაქსიმე აღმსარებლის მიერ“. 3) სვინაქსარი, ქაღალდზე, მე-16 საუკ. მინაწერით: „ღ-ო და წ-ო მოწამეო, რანიც სვინაქსარში სწერია, მიეც ძლევა და დაუმორჩილნე მტერთა (?) მეფესა ალექსანდრეს“ (?). ა. ხახანაშვილის აზრით, აქ მოხსენებული ალექსანდრე კახეთის მეფეა, მაგრამ უფრო საფიქრებელია, აქ ერთ-ერთი იმერეთის ალექსანდრე მეფე იგულისხმებოდეს.

მუჟალის თემი

ამ თემს შეადგენს სოფლები: ჩვაბიანი, ჟაბეში, ჩალდაში.

სოფელი ჩვაბიანი.

ამ სოფლის საზოგდო სახე იხ. ფოტო №17469 და 17471. სოფელში ორი ეკლესია არის. ერთი **მთავარ ანგელოზის მიქაელის**ა, ქვით ნაშენი, ჩვეულებრივი, რომელშიაც მოიპოვება:

1. **ხატი წ-ის ანდრიასი,** წარწერით: წ-ჲ ა-ნა, ოქროთი დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, 33X24 სანტ. დაზიანებულია; წმიდანი წარმოდგენილია ტახტზე მჯდომარედ, თუმცა ტახტი არ სჩანს; ამას ფარავს იგი თავის კორპუსით და ფართო მძიმე ტანისამოსით; მარცხენა ხელში ყდიანი სახარება უჭირავს, მარჯვენა წელზე უდვია. თავის ირგვლივ ორი ერთობ დიდი წრეა; წვერი კიკინებად აქვს დაყოფილი; გამოხატულობა ორიგინალურია. ნიმბი შემკობილი ყოფილა მარგალიტის მძივებით; ეხლა დარჩენილია ოთხი მარცვალი (№17180). ეზო ტლაქნი ფოთლოვანი მორთულობით არის შემკობილი. აშია არა აქვს. ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-16-17 საუკუნეს.

2. **წარწერა** ვერცხლის ფირფიტაზე **წ-ა იოანე ნათლის მცემლის ხატისა.** ეს წარწერა ჩვენ ცალკე ვიპოვნეთ ძველ სხვა და სხვა ნალეწებში და წინა ხატის ქვემოდ მოვაქციეთ; გვეგონა ამის იყო, ერთის შეხედვით, მაგრამ შინაარსი უჩვენებს, რომ სხვა ხატი ყოფილა (№17180). წარწერა იკითხება ასე:

[სი]ნანულისა : ჴ-ა : მქადაგებელო : ნთლი[ს]
მცელო : ქეს-ო . მეოხ ექმენ : სასოებთ : მვედრებელ[სა]
თქს : ფუთუთას : გრყნ-სა : და ძეთა : მისთა : ა-[ნ].
ასო ო და უ წარწერაში ერთგვარად არის დაწერილი.
უქარაგმოდ:
„სინანულისა ჴმისა მქადაგებელო, ნათლის მცემელო ქრისტესო, მეოხ ექმენ სასოებით მვედრებელსა თქუენსა ფუთუთას გარაყანსა და ძეთა მისთა, ამინ“.

შეადარე დ. ბაქრაძე, გვ. 107.

3. პატარა **ოქროს ხატი წ-ს გიორგისა,** 8, 5X7 სანტ. წამლით დახატული ყოფილა, მაგრამ წამალი გადასულია, დარჩენილია შემოსილობა და აშიები ნაზი, ლამაზი ნახელავი. შესამოსელის პირები მარგალიტის მძივებით ყოფილა შემკობილი (№ 17178); მეორე გვერდზე წარწერაა (№17179):

წ-ო გ-ი :გურგე	წმიდაო გიორგი გურგე-
ნეულ-სო მეჯხ და	ნეულისაო, მეუხ და
მფრველ გუეყ	მფარველ გუეყავ
ვ მოსავსა : შენ	მოსავსა შენ-
სა : გ-ის და ნ	სა გიორგის და ნი-
კლოზს	კოლოზს.

4. **ხატი ღვთის მშობლისა;** წინა პირიდან მარტო შიშველი ფიცარია დაცული; მეორე გვერდის ვერცხლის ფირფიტაზე, 10,7X5 სანტ. წარწერაა (№17179) უცნობი:

ვედრებისა : ღმთ	ვედრებისა ღმრ-
[ის მშო]ბელო : მეოხ დ მ	თის მშობელო, მეოხ და
ფრვლ მეყვ მსავსა :	მფარველ მეყავ მოსავსა
[შ]ნსა :დაღნდრიძე	შენსა დაღნდრიძე-
[სა] გელსა : და მეუღ	სა გელასა და მეუღ-
[ლე]სა : ჩემსა ; ქულსა : და შ	ლესა ჩემსა ქულსა და
[ვილ]თა : ჩენთა : ამნ.	შვილთა ჩვენთა, ამინ.

5. პატარა **ჯვარცმის ხატი,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, (№17178), 11,5X10, 5 სანტ. კარგი ხელობისა, მაგრამ სანახევროდ მოშლილი. ჯვარცმიდან მარტო ფეხები და მარჯვენა ხელია დარჩენილი და წინამდგომი ღვთის მშობელი. ზემოდ უწერია:

იესო [ქრი]სტე მეჯფ[ე ჰურ]თა. ქვემო აშიაზე : ჯრცმთა :

შ-ნთა : [მოიხსე]ნე ს-ლი ჩ-მ. ესე იგი: „ჯვარცმათა შენთა მოიხსენე სული ჩემი“.

6. პატარა **ხატი წ-ა გიორგისა,** 11X8,5 სანტ. ლამაზი ხელობისა, მაგრამ წინა პირი მოშლილია. დარჩენილია ნიმბი და აშიები წარწერა: წ-ი გ-ი მრვლ სწლთ მომქმედი. (№ 17175)

7, **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლით ნაჭედი, 25X17 სანტ. მაცხოვარი ტახტოსანია, სახარებით და მაკურთხველის მარჯვენით (№17178); ნიმბი ჯვარის სახედ აქვს. წარწერა ბერძნული. აშიები ორ ფოლაქოვან წრეებს შორის დაყოფილია უჯრედებად. მე-16-17 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

8. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლით ნაჭედი, 19X15 სანტ. მაცხოვარი წელსზევითია, ჩვეულებრივი ნიშნებით და წარწერით: ი-ო ქ-ე (№17178). მის ქვემოდ, მედალიონში სხვა წმიდანია; წარწერა არა აქვს. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკუნისა.

9. **ჯვარი გამოსასვენებელი,** ვერცხლისა, ნაჭედი, 32X21 სანტ. წინა პირზე ჯვარცმაა წარწერით: ი-ო ქ-ე. ფრთების ბოლოში მედალიონები წმიდათა უწარწეროდ; ზემოდ: წ-ა გიორგი, ცხენით (№17179). ხელობა ტლანქია, მე-18-19 საუკ. მეორე მხარს ვერცხლი მოძარცულია.

10. ვერცხლის სამი პატარა **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, წელსზევითი, (№ 17175). ერთ მათგანს აწერია სახელი ბერძნულად. ხელობა ტლანქია. მეორე გვერდზე ჯვარია წერტილებით გამოხატული და ვულგარული მხედრული წარწერა, ძნელი გასარჩევია (№17179).

11. დ. ბაქრაძეს უნახავს ზურგი მოცილებული წმიდის გიორგის ხატისა (გვ. 107), წარწერით (მოგვყავს შეუმოკლებლად):

წმიდაო გიორგი მსუჯუნისაო (sic), მეოხ ექმენი მოჩსა (sic) (უნდა იყოს: მოსავსა) შენსა ჯალვს (ჯალვას).

12. დიდი **ხის ჯვარი,** კანკელის წინ დასადგმელი; ეხლა სულ გაშიშვლებულია, მაგრამ ზოგი მისი ვერცხლის ფირფიტები ჩვენ ვიპოვნეთ სხვა და სხვა ნამტვრევებში და გადმოვიღეთ ერთად. იხ. ფოტ. №17176. ამათში ერთი მთავარ ანგელოზის გაბრიელის ფიგურა მარჯვენა მხარეს, ქვემოდ, საუცხოო ნაზი და ლამაზი ხელობის არის, მე-12 საუკუნისა, წარწერით: წ-ჲ გბ-რლ. ეს სამჯერ არის განმეორებული ზემოდ და ქვემოდ. ზემო და ქვემო აშიები საუცხოო ნახელავია ორმაგის ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით შემკობილი.

სხვა ფირფიტები ამაზე ნაკლებია ხელობით და ზოგი კიდევ ტლანქია. ამათ შორის უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენს ორი წელზევითი გამოხატულობა მთავარ ანგელოზთა, სრულიად ერთგვარი (მარჯვნივ ზემოდ), წარწერებით: წ-ჲ მიქ-ლ, წ-ჲ გბ-ლ; განყოფილი არიან ყვავილებით ჯვარის სახედ.

ამას გარდა კიდევ ორი მაცხოვრის სახეა სრულის ტანით წარმოდგენილი, წარწერებით: ი-ჳ ქ-ე.

ერთი მაცხოვარი (შუაში, ზემოდ) ტახტზე მჯდომარეა. ბერძნულის წარწერით სახელისა; სუსტი ხელობისაა. ერთი წ-ა გიორგი სრულის ტანით, შუბით და ფარით; ორი მთავარ ანგელოზი ქვემოდ, მარცხნივ, ფრიად ტლანქი და მათ ქვემოდ: წ-ა გიორგი ცხენით, ადამიანს გმირავს.

13. ხის **შანდალ-კანდელი.** ამას საფუძვლად უძევს ოთხკუთხედი ფიცარი, ოთხკუთხედი სვეტით შუაში, რომელზედაც ჯვარის სახედ გადადიან კამარები. ოთხივე მხარეს ფიცარს კიდევ მიმაგრებული აქვს ხის შტოები. ყოველა ეს ნაწილები კანდელისა მოხატულია და შემკობილი ჩაჭრილი შემკობილობით; ძირითადი ოთხკუთხედის ფიცრის მორთულობა და მოხატულობა კარგად ჩანს მეორე ჩვენს ნიმუშზე. იხ. ფოტ. №17174. ზემოდ, შუაში და ყოველ მხრეს თითქო ხის შტოებზე მიმაგრებულია ხისავე ქანდაკებანი მტრედთა. სულ 15 მტრედი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაცულია მხოლოდ შვიდი. დ. ბაქრაძე ამ ნივთს გალიად იხსენიებს, მაგრამ ეს შანდალ-კანდელია და ჩამოკიდებულია საზოგადოთ კანკელის წინ. ასი წლის მღვდელმა მარგიანმა, წინეთ პაპად ნამყოფმა, გადმომცა, რომ ნათლის ღების დღეს ეს კანდელი იორდანზე მიაქვთ და უამისოდ შეუძლებელია წყლის კურთხევა. მთელი ასეთი კანდელი მე ვერსად ვნახე, მაგრამ ამ მათი ნაწილები და ნაკლული ცალები ბევრ სვანეთის ეკლესიაშია. ჩვენი ცალი ერთი საუკეთესო ნიმუშია; ამათზე მიაწებებდენ ხოლმე თაფლის სანთლებს, ხან პატარა ფიალებს შემოსდგამდენ ზეთით და ამიტომ ვეძახით შანდალ-კანდელებს (იხ. ფოტ. (№17181).

4. **ხის ყუთი,** ოქროთი დაფერილი ვერცხლის შემკობილობით (№7175).

მეორე ეკლესია ჩვაბიანის სოფლისა არის **ძველი ეკლესია, თლილის ქვისაგან ნაშენი მაცხოვრისა.** ეს არის მოდიდო ეკლესია ბაზილიკურის რიგისა, რომელსაც ეკვტერები ჰქონია სამივე მხარეს; სახე ამისა იხ. ფოტო №17470 და №17465. ჩრდილოეთის ეკვტერი მოუშლიათ და ამ მხარეს ეხლა აუშენებიათ ახალი სამრეკლო. შესავალი სამი აქვს, სამი ეკვტერის მიხედვით; სამხრეთის შესავალი რამოდენიმედ ზემოდ შემკობილია, იხ. ფოტო. №17464. ფანჯრები ხუთია, ორი სამხრეთით და თითო სხვა კედრით. შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ მხატვრობა სულ

გაფუჭებულია და გამჭვარტლული; საკმაოდ კარგად ემჩნევა მხოლოდ საკურთხევლის კონქში მაცხოვრის ფრესკა მოციქულებითურთ. კანკელი ძველია, ქვისა, ხუთი კამარით. ეს ეკლესია საყურადღებოა მასში დაცული მოხარატული ხის ავეჯით. აქ ჩვენ ვნახეთ:

1. **ხატი, დიდი,** წამლით დახატული, **ღვთის მშობლისა,** 80X62 სანტ. არა ცუდი ნახელავი, მაგრამ გაფუჭებული. არც ისე მაინცდამაინც ძველია.

2. სამი **სავარძელი**, მოჩუქურთმებული ხისა (სვანური „საკურცხილ"). ერთი: იხ. ფოტ. №17174. მეორე და მესამე: №17177, ზემოდ, მარჯვნივ და მარცხნივ. ესენი რამოდენიმედ განსხვავდებიან იმათგან, რომელთ სურათები გ. ჩიტაიას მოჰყავს თავის სტატიაში: „სვანური საკურცხილ" (საქ. მუზეუმის მოამბე, II, გვ. 85-110).

3. **სკივრი** ხისა, მოხარატებული, იხ. ფოტო №17177, მარცხნივ, ქვემოდ.

4. **ხის შანდალ-კანდელები,** იქ. №17177, საწიგნის თავზე. მტრედების ქანდაკებანი მოცილებული აქვს და ისე ჰყრია ეკლესიაში; ამ შანდალ-კანდელების ხის ძირი, იხ. ფოტ. №17174.

5. **საწიგნე ხისა,** რომელზედაც შანდალ-კანდელები აწყვია; იქვე №17177.

6. ორი **ლახტი,** ექვს-ექვს ფრთიანი; იქვე, №17177.

7. **ზარი,** 27 სატნ. სიმაღლით; მისი დიამეტრი უდრის 34 სანტ. მხედრულის წარწერით:

ქ . ესე ზარი შემოგწირე (sic) ჩუენ კახეთის
ჴელმწიფემან :. პატრონმან :. ალექსანდრემ :.
წმიდა :. მაცხოვარს ჩუენად :. გასამარჯვებლა
დ : და სადღეგრძელოდ ამინ:.

(შეადარე დ. ბაქრაძე, გვ. 107-108).

8. **გრაგნილი ეტრატისა,** რომელიც შეიცავს ჟამის წირვას იოანე ოქროპირისა და ბასილ დიდისა; დაწერილია ნუსხა ხუცურით; ფრიად გასვრილია, შემჭვარტლული და დაზიანებული.

9. ეხლა აღარ არის, მაგრამ დ. ბაქრაძის დროს აქ ყოფილა **ეტრატის სახარება,** რომელის შესახებ დ. ბაქრაძე სწერს (გვ. 108):

სახარება ეტრატზე ნაწერი ხუცურად. მისი არაბესკები და სათაურები ლამაზია. მარკოზის სახარების ბოლოს იკითხება:

ლოცვა ყოველ (ალბათ იქნებოდა: ლოცვა ყავთ ყოველთა) გიორგი ბერისათვის. დაიწერა მთასა საკჳრველსა თორნესა წმიდისა სჳმეონისასა. ღმერთმან შეუნდვნენ ბასილსა დეკანოზსა; დიდად მიღუაწა. თქვენცა აკურთხეთ.

ლუკას სახარების ბოლოს:

მას ჟამსაჲ დაიწერა ესე ოთხთავი ოდეს ანტიოქია სომეხთა აჲღეს, ლოცვა ყავთ გიორგი ბერისათჳს ამისსა

მადლსა და გლხ (sic) ეხმარების.

იოანეს სახარების ბოლოს:

მე გიორგი ბერი ლოცვას მომიხსენეთ და მშობელნი ჩემნი[1].

---

1 ბერი ბაქრაძე ასე იხსენიებს ამ სახარებას: „მუჟალის მაცხოვრის ეკლესიაში არს სახარება ესრეთ წარწერით: „მას ჟამსა დაიწერა სახარება ესე ოთხთავი, ოდეს ანტიოხია სომეხთა აიღეს. აღიწერა ხელითა გიორგი ბერისა შავმთასა (შუამთასა?) კალიპოს".

დ. ბაქრაძე ამ ამონაწერების შესახებ სამართლიანად შენიშნავს, რომ აქ მოხსენებული გიორგი ბერი გიორგი მთაწმინდელია (1068 წ.).

შენიშვნა: ა. ხახანაშვილს ეს სახარება თითქო უნახავს, მაგრამ პირველი ორი მინაწერი მასში აღარ ყოფილა. მესამე მინაწერს ბაქრაძეს ასე უსწორებს: „გ̇ი ბრსა გლახ მწარედ ცოდვილსა ულოცე მკითხველი ღთისათ-ს“. ამას გარდა ის უჩვენებს კიდევ ამგვარ მინაწერს: „წ̇ო მრკზ მხრბლო მ̇ხ ეყვ გ̇ი ბრსა ფრიად (აჳდ?) ცოდვილსა“, (გვ. 18). მე არ მგონია, დ. ბაქრაძეს ასე შეეცვალოს მესამე მინაწერი, ამიტომ საფიქრებელია, ხახანაშვილის ნახული სახარება სხვა სახარება იყო და არა ის, რომელსაც ბაქრაძე აგვიწერს.

სოფელი ჟაბეში.

ამ ლამაზი სოფლის, ჟაბეშის სახე იხილე ფოტოგრაფია №17467 და №17468. **მაცხოვრის ქვის ეკლესია** სოფლისა ძველია, საკმაოდ ფართო, ნაშენია თლილის შირიმის ქვისაგან; საკურთხეველი გამოდის გარედ სამ-წახნაგოვანად. დასავლეთის კედელი კამარებით არის შემკობილი. ეკვტერები აქვს სამივე მხრით. ეკლესია ერთობ დაძველებულია და ინგრევა. კანკელი ქვისაა, სამის კამარით. კანკელის წინ ოთხ-კუთხედ ქვის კვარცხლბეკზე ამართულია ხის დიდი ჯვარი, საჟენ-ნახევარი სიმაღლით, მაგრამ სულ შიშველია, ვერცხლის ფირფიტები მოუძარცვავთ. ირგვლივ, ეკლესიის კანკელის წინ, გამართულია მოჩუქურთმებული ძელი, რომელიც დიდ ჯვარსაც ეკვრის, და ამ ძელზე ჩარჩოებია მიმაგრებული ხატებისათვის, მაგრამ ყველა ხატის შემკობილობა მოძარცულია და მარტო უამრავი ხატის ფიცრებია დღეს ჩვენს თვალს წინ.

საკურთხეველის კედელში ორი ღრმა უბეა, საიდანაც შესავალია სამალავში, საკურთხეველის თაღის ზემოდ ეკლესია მოხატული ყოფილა ლამაზი ფრესკებით. მათი ნარჩენი ბევრ ადგილას მოსჩანს. საკურთხეველში მოსჩანან მაცხოვარი და ეკლესიის მამები; სამხრეთის კედელზე ჯვარცმა და ჯოჯოხეთის წარტყვენა, საიდანაც ქრისტეს გამოჰყავს ადამი; აქვე არის აგრეთვე ღვთის მშობლის მიძინება.

დასავლეთის კედელზე მეორედ მოსვლაა წარმოდგენილი. მოსჩანს იესო ქრისტე, ტახტზე მჯდომარე, წარწერით: ი-ჯ ქ-ე. ეხლა ეკლესიაში მოიპოვება მხოლოდ:

1. **ხატი არა დიდი წ-ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, მოლამაზო ხელობისა, მაგრამ სანახევროდ მოშლილი.

2. ხის **შანდალ-კანდელი** მტრედებითურთ, ეხლა დაშლილი.

3. **ზარი** ჩამოკიდებული ხის ქანდარაზე, ხუცური წარწერით:

ქ : შევსწირე მფემან ალექსანდრე
მცხოვრსა მუჟალისასა
გასამარჯვებლად და სადღეგრძელოდ
ჩნდა ა-ნ
შევსწირე მეფემან ალექსანდრე
მაცხოვარსა მუჟალისასა
გასამარჯვებლად და სადღეგრძელოდ
ჩუენდა, ამინ.

(დ. ბაქრაძე, გვ. 109)

4. დ. ბაქრაძის დროს აქ ყოფილა ტყავის სახარება (დ. ბაქრაძე, გვ. 109), რომლის ბოლოს წერებულა:
„სამებაო ერთარსებაო. . . იხსენ სატანჯველთაგან გიორგი ამის აღმწერელი“.
ეს გიორგიც დ. ბაქრაძეს მიაჩნია გიორგი მთაწმინდელად.
ჟაბეშში ჩვენს დროს მღვდელი იყო ღრმა მოხუცებული, მაგრამ კიდევ მხნე მოძღვარი გიორგი მარგიანი, რომელიც წინეთ, როგორც მოვიხსენიეთ, პაპი ყოფილა.

სოფელი ჩალდაში.

ამ სოფლის პატარა ქვის ჩვეულებრივ ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ მხოლოდ:

1. **გამოსასვენებელი ჯვარი,** შემერწილი ვერცხლის ნაჭრებით, ერთობ ტლანქი ხელობისა; ჯვარცმულის სახე არ არის გამოხატული, არამედ მხოლოდ თავები მთავარ ანგელოზთა, წერტილებით წრით და წარწერებით: წ-ᲐᲐ მ-ქლ, წ-ᲐᲐ გ-ბრ (№17208). ზემოდ და ქვემოდ ნაჭრები აკლია. ქვემოდ ხუცური ვულგარული წარწერაა:
„ოქრო მჭედელი იოანე ნიგულდანი. მან ქნა ესე პატიოსანი, შ-ნს ღთნ“. ესე იგი:
„ოქრო მჭედელი იონა ნიგულდანი. მან ქნა ესე პატიოსანი, შეუნდვეს ღმერთმან“.
მეორე გვერდზე (№17209) ასეთივე ვულგარული წარწერაა:
ქ ქ-ე შ-ე გრიგოლ სილანიანი . ო-მს მეუღლესა შ-ნ
როშმენაქს შეუნდოს ღმერთმან გოხოძა მ-წრლსაც შ-ნს
ღ-ნ დ-ბშნ შნდნ ღმერთმან ამინ.
შეუმოკლებლად შეასძლოა ასე წაკითხვა:

„ქრისტე, შეიწყალე გრიგოლ სილანიანი, უფალო მის
მეუღლესა შეუნდვენ. რომმენაქს შეუნდოს ღმერთმან,
გოხოძა მწერალსაც შეუნდოს ღმერთმან, და ბეშქენს
(ანუ დაბეშან?) შეუნდვენ ღმერთმან, ამიინ.“.

მულაყის თემი

მულაყის თემი შესდგება სოფლებიდან: ღობრი, ზარდლაში, ჟამუში, მუშკიერი, ლახირი, ჩოლაში.

ღობრი და ზარდლაში ერთ სოფელს შეადგენენ. ამ სოფლის ეკლესია დაენგრიათ და ახალს აშენებდენ ჩვენი იქ ყოფნის დროს. ძველი ეკლესია წ¯ა ბარბარეს სახელზე ყოფილა აშენებული; აქ ჩვენ ვნახეთ:

1. ზარი, არა დიდი, რომელზედაც მხედრულად სწერია:
ქ . შემოგწირე :. ჩვენ :. მეფეთ :. მეფემან :. ჴელმწი-
ფემან :. პატრონმა :. ალექსანდრე :. თქუენ :. სვანეთის :.
ღობრის-ზარდლიშის :. მთავარანგელოზსა :. მცირე :.
შემოსაწირავი :. ზარი :. ესე :. მეფობისა :. ჩუენისა :.
წარსამართებლად :. დღეთა :. ჩუენთა :. სადღეგრძელოდ :.
და ცოდვათა :. ჩუენთვის :. შესანდობელად :. ამინ :.
(შეადარე დ. ბაქრაძე, გვ. 100).

2. **თავი ხატი ეკლესიისა წ¯ა ბარბარესი** გადაეტანათ დროებით მუშკირში და ჩვენ იქ ვნახეთ. შემოსილობა ამ ხატისა ოქროსია, ნაჭედი, 23X17 სანტ. სახე წმიდანისა მოშლილია; ეხო ხატისა ბალახოვანად არის შემკული; აშიები რომბ-ლურსმული ქვემოდ და მარცხნივ მოშლილია; ოთხ შერჩენილ მედალიონში წ¯თა ფიგურები არ არის, არამედ ხაზები. წარწერა წ¯ი ბ¯ბლე (№17167). დ. ბაქრაძის დროს ეს ხატი პატარა სახატე კიდობანში ყოფილა ჩასვენებული, სპილენძის ძეწკვით, რომელზედაც მიბმული ყოფილა ორი შავი ფული.

აქ არისო, სწერს დ. ბაქრაძე, გალია ხისა ფრინველების სახეებით და კვერცხებით (გვ. 100). ასეთ ვითომდა გალიებს დ. ბაქრაძე სხვა ეკლესიებშიაც იხსენიებს, მაგრამ, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, ესენი გალიებს კი არ წარმოადგენენ, არამედ შანდალ-კანდელებს.

დ. ბაქრაძე (გვ. 101) ამ ეკლესიაში იხსენიებს კიდევ კონდაკს, ქაღალდზე დაწერილს, რომელიც შეიცავდა ჟამის წირვას იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და გრიგოლ ღვითს მეტყველისა, მაგრამ მე იქ ეს კონდაკი ვეღარ ვნახე და არც არავინ იცოდა, თუ რა ბედი ეწია. კონდაკს ჰქონდა მინაწერი:
უწყოდეთ, რამეთუ ესე ლოცვანი არა აქუსთ ბერძენთა
და რუსთა, არამედ საქართველოსა შინა თქმულ არს.

ამისთჳს არც ჩვენ დაუტევეთ. . .. ღმერთო შეიწყალე
ცოდვილი მონა ღუთისაჲ პეტრე მღვდელი ორსავე სო-
ფელსა შინა, ამინ.

სოფელი მუშკიერი.

სოფელი მუშკიერის პატარა ქვის ეკლესიაში, გარდა ზარდლაშიდან გადმოტანილის წ̇ა ბარბარეს ხატისა, ჩვენ ვნახეთ:

1. ხატი **წ̇ა ანდრიასი,** ვერცხლისა, 15X10,5 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია წელს ზევით, წარწერით: წ̇ჲ ადრია. სახე წმიდანისა მხცოვანია, დიდის ნიმბით. ეზო და აშიები დიდრონი ფოლაქების მსგავსად ყოფილა მორთული, მაგრამ ეხლა დაზიანებულია. აშია მარტო ზემოდ არის შერჩენილი. ხელობა ტლანქია, მე-17-18 საუკ. (№17168).

2. ორი პატარა ვერცხლის **ხატი**, ერთი ზომისა და ერთი ხელობისა, 6,5X4,5 სანტ. მოჭედილია ფიცარზე, რომელსაც სახელური აქვს და რომელიც წინეთ ალბათ ბოყერს შეადგენდა. ერთს ხატზე წარმოდგენილია ჯ̇ვარცმა წინამდგომებითურთ, ღვთის მშობელით და იოანეთი, და წარწერით: ი̇ ო ქ̇ ე. მეორეზე ღვთის მშობელია სრულის ტანით, ჩჩვილედი, აგრეთვე თანამდგომებითურთ. წარწერა არა აქვს (№17168). უეჭველად ეს ორი ხატი წინეთ ერთ პანაგიას შეადგენდა და შემდეგ გაუყვიათ და ცალ-ცალკე მიუკრავთ ძელზე.

სოფელი ჟამუში.

ამ სოფლის **ეკლესია მაცხოვრისა,** კარგი თლილის ქვისაგან ნაშენი, ჩვეულებრივია, მაგრამ სხვებზე მაღალი. მასში მოიპოვება:

1. **ჯ̇ვარი,** კანკელის წინ დასადგამი, სამი არშინი და 10 ვერშოკი სიმაღლით და ერთი არშინი და 10,5 ვერშოკი განით, შეძერწილი ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც არა რელიეფით წარმოდგენილნი არიან წმიდათა სახეები ტლანქი ხელობისა (№17166). ექვს ფირფიტაზე მთავარ ანგელოზია. ოთხზე წ̇ა გიორგი. სხვა ზემოდ, მარჯ̇ვნივ და მარცხნივ, აკლია.

2. **თავი ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილისა, ნაჭედი. 48,5X35,5, სანტ. (№17161). მაცხოვარი ტახტოსანია, მარჯ̇ვენა ხელით აკურთხებს, მარცხენით გაშლილ სახარებას იკავებს, მარცხენა მუხლზე დადებულს. სახარებაზე აწერია: მე ვარ :. ნათელი :. სოფლისა :. რომელი :. შემომიდგეს მე :. არა ვიდოდეს :. ბნელსა არამედ :. ...დიდი ნიმბი თავზე, ჯ̇ვარის სახედ, ირგვლივ შემკობილია ძვირფასი ქვებით; აქეთ-იქით ნიმბისა წარწერა სახელისა დიდრონის ლამაზი ასომთავრულით: ი̇ ჯ̇ ქ̇ ე. მარჯ̇ვნივ და მარცხნივ წარწერებისა თითო ძვირფასი ქვა არის. ეზო და აშიები შემკობილია ვენახის და ბალახის მსგავსი ხლართულებით. ქვემოდ, ორივე მხარეს

ტახტისა დგანან სავედრებელად გაწვდილის ხელებით. მარცხნივ მეფე, მარჯვნივ დედოფალი ბიზანტიურის ტანისამოსებით და გვირგვინებით. მეფის თავზე სწერია:

მფთ მფე გ˙გ (მეფეთ მეფე გიორგი).

დედოფლის თავზე:

დედოფლთ დედოფალი რუსუდან.

დედოფლის ფეხების ქეშ:

ამისი ოქრმჭ˙ლი . ივ˙ნე.

ზემოთ აშიაზე, შუაში არის შემზადება ტახტისა; კუთხეებში: წელზევითნი სურათები ღვთის მშობლისა და იოანე ნათლის მცემელისა. გვერდების აშიებზე, ზემოდან, პარალელურად მარცხნივ და მარჯვნივ: წ˙ჲ გ˙ი და წ˙ი დე˙მრე; შემდეგ: ყოვლად წმინდ(ა) და იოვნე ნთლის მცემელი; ქვემოდ კიდევ: [წ˙ჲ] თევდრე და წ˙ჲ˙ თ˙ე პ˙რვლი. ქვემო აშიაზე წარწერაა ასომთავული:

ადიდნეს ; ღ˙ნ მ˙ფთ : მ˙ფე : გ˙ი : დფ ˙ლთ : დფ˙ლი .

რუს˙დნ : დ : ძე : მ˙თი : ბ˙გრტ :. რ

ო˙ლთა : შეამკვეს : ხ˙ტი : ესე : მცხ˙ვრისა :. მუ˙ლსა :

სადღგძ˙ლდ : ც˙ვთა : მთ˙თ :შსდბლდ .

უქარაგმოდ:

„ადიდნეს ღმერთმან მეფეთ მეფე გიორგი და დედოფალთ დედოფალი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ, რომელთა შეამკვეს ხატი ესე მაცხოვრისა მულაყისა სადღეგრძელოდ, ცოდვათა მათთა შესანდობლად“.

აქ მოხსენებული გიორგი არის იმერეთის მეფე გიორგი მეორე, რომლის პირველი ცოლი იყო რუსუდან შერვაშიძის ასული. რუსუდანისაგან გიორგის ჰყავდა შვილები ბაგრატ და ლევან. რუსუდანი გათხოვდა 1563 წელს. გარდაიცვალა 1578 წელს. მაშასადამე, ხატი გაკეთებულია 1563-1578 წლებს შუა.

3. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 58X42 სანტ. სრულად ისეთი რიგისა და ხელობისა, როგორც წინა ხატი და, როგორც ეტყობა, იმავე ოქრომჭედლის ნამუშევარი (№17160). ეს სჩანს წარწერის ასოების მსგავსებიდანაც; ხოლო ეს ხატი უფორ სადაა; ეზო და აშიები ხლართულებით შემკობილი არ არის; ტახტის ზემო სვეტები ერთობ მაღალია და ზემოდ კუშტულებით თავდება. ქრისტეს ფეხები ნოხზე როდი უდევს, როგორც პირველ ხატზე, არამედ ოთხკუთხედ სკამზე. ჯვარის სახის ნიმბს მარტო ერთი ძვირფასი ქვა უზის. წარწერა: მაცჴოვრი (sic). მაცხოვარი ზის ტახტზე ორმაგი წვრილის მუთაქებით; პირველ ხატზე მუთაქა გრძელია. ზემოთ აშიაზე წარმოდგენილია წელზევითნი სურათები ვედრებისა, პეტრესი და პავლესი, წარწერებით: მაცხოვარი, ყვლდ წმნდ, იო˙ე ნათლის მცემელი, პ˙ე. გვერდებზე: მიქელ, გაბრიელ მთავარ ანგელოზი, იო˙ნე ნათლის მცემელი, წი გი, წ˙ი დემ˙რე. ქვემოდ წარწერა ასომთავრული:

ღ˙ო :. და :. მცხრო :. მულახისაო :. მცველ :. და მფარ-
ველ :. ექმენ :. ორთავე : ცხორებათა : მაჭავარიანსია
(sic) :. გედეონს :. ამინ :. წ˙ო :. და :. მაცხრო :. მულა-
ხისაო :. განაძლიერე :. მეფეთ :. მეფობა : პატრონის :.
გიორ
გისა :. დედოფალთ :. დედოფალი :. პატრონი :. თამარ :.
ძეთა :. მისსა :. ალექსანდრეს :.. . .

შეუმკობლად:

„ღმერთო და მაცხოვარო მულახისაო, მცველ და მფარველ ექმენ ორთავე ცხორებათა მაჭავარიანსა გედეონს, ამინ“.

„ღმერთო და მაცხოვარო მულახისაო, განაძლიერე მეფეთ მეფობა პატრონის გიორგისა, დედოფალთ დედოფალ პატრონი თამარ, ძეთა მისსა ალექსანდრეს“. . .

ფორმა მაჭავარიანსია მაჭავარიანსა-ს მაგიერ ამომჭრელის შეცდომით აიხსნება. ფორმა პატონი უჩვენებს, მგონი, რომ ამომჭრელი წარწერისა მეგრელი იყო, თუმცა სხვა შემთხვევაში პატრონი სწერია. მრავლობითი რიცხვი **ძეთა** უჩვნებს, რომ დამწერელს აზრად ჰქონია სხვა შვილებიც დაესახელებია მეფისა და დედოფლისა, მაგრამ ადგილი არა ჰყოფნია, ან უფრო საფიქრებელია, მეხუთე სტრიქონი არ შენახულა. ასოები ო და უ გამოსახულობით ერთგვარია.

დედოფალი თამარ მეორე ცოლია იმავე იმერეთის მეფის გიორგი მეორისა, რომელი მეფეც პირველ წარწერაშია მოხსენებული. თამარ იყო ასული შარმაზან დიასამიძისა. ვინაიდან პირველი ცოლი გიორგისა გარდაიცვალა 1678 წელს, ხოლო გიორგიმ იმეფა 1685 წლებს შორის. მუხლმოდრეკილნი ფიგურები მაცხოვრის ფეხებთან ჩვენს ხატზე არ მოიპოვება, როგორც შეცდომით უჩვენებს გრაფ. უვაროვისა (გვ. 175). ალ ხახანაშვილს ამ ხატის წარწერაც პირველ ხატისათვის მიუკუთვნებია (გვ. 36).

4. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლით ნაჭედი, 91X56,5 სანტ. აშიები რომბლ-ლურსმულია და მოყვითლული (№17159). ღვთის მშობელი ტახტზე ზის ძითურთ; ტახტის ზურგი მაღალია, გრეხილის მსგავსად შემკობილი. მარცხენა ხელით იჭერს ქრისტეს ყრმას, რომელიც მარცხენა მუხლზე უზის; მარჯვენა ხელი გულზე აქვს მიდებული. ქრისტეს მარცხენა ხელში გრაგნილი აქვს, მარჯვენა ჯვარის საწერად აუწევია ყელამდის დედისა. ხელობა დაბალია, მე-17 საუკუნისა. წმიდათა სურათები აშიებზე უფრო კარგის ხელობისა არის და ეტყობა აშიები სხვა უკეთესი ხატიდან არის აღებული. ზემო აშიაზე წარმოდგენილნი არიან: ი-ო ქ-ე და მთავარ ანგელოზნი, წ-Ჲ მქლ, წ-Ჲ გბრლ. ქვემოდ: წ-ი პ-ვლე, წ-ი ნკ-ლ. გვერდებზე: ქვემოდ მთავარ ანგელოზნი სრულის ტანით, საზომებით და ბურთებით; ზემოდ ორი ქრისტე სახარებებით და მაკურთხევლის მარჯვენა ხელებით. პირველს აწერია: ერთ არსებაი; მეორეს: წ-Ჲ სამებაი. ქვემოდ წარწერაა ასომთავრული:

ქ . მე ფრიად ცოდვილმა ლომკაცმა კუჭაიძემა და თანა
მეცხედრემან
მთმა ჯაფარიძისა ასულმა კაკონამან და შვილთა ჩვ-თა
რომელმა შევამკვ-ე ჯა-ი ესე ყოვლად წმიდისა ს-თა გორა
მეოჯ და მექმ-ნი ჩვ-ნ ცოდვ-სა ამას ღმერთო შეუნ-ევ
ცდვ-ნი მ-სი ქარულალის შვილსა.

ასოები ო და უ ერთგვარად გამოხატული არის ამ წარწერაში, ამიტომ ძნელია თქმა, როგორ უნდა წავიკითხოთ. ზოგიერთი სიტყვები: ჯგუფი „ს-თა გორა“ უნდა ნიშნავდეს „სამთა-გორისა“. საზოგადოთ, წარწერა სინტაქსიურადაც შეუსაბამოა. უქარაგმოდ უნდა წავიკითხოთ ასე:

მე ფრიად ცოდვილმა ლომკაცმა კუჭაიძემა[1] და თანამეცხედრემან მათმა ჯაფრიძის ასულმა კაკონამან და შვილთა ჩვენთა, რომელთა შევამკვე (უნდა იყოს: რომელთა შევამკვეთ) ჯატი ეს ყოვლა(დ) წმიდის(ა) სამთაგორისა (ანუ სუანთაგორისა), მეოჯ და მექმენი (უნდა იყოს: მეოხ მექმენით) ჩუენ ცოდვილსა ამას

(უნდა იყოს: ცოდვილთა ამათ). ღმერთო, შეუნდევ ცოდვანი მისნი ქაროლალის (ანუ ქარულალის) შვილსა.

დ. ბაქრაძის დროს ეს ხატი დაფარებული ყოფილა წითელი ხავერდით და ამ ხავერდის წარწერა მას გადმოუღია, (იხ. მისი დამატება, №31). ჩვენ ეს საბურავი არ გვინახავს, არც გრაფ. უვაროვისას, მაგრამ წარწერის შინაარსით სჩანს, რომ ეს უბრალო საბურავი არ ყოფილა, არამედ **დროშა ოქრო-ქსოვილის ხავერდისა**. ბაქრაძის გადმოღებულ წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ, ქარაგმების გახსნით:

„ჩუენ კუჭაიძემან ქაიხოსრო შემოგწირე ხატი, მაცხოვარო მულახისაო, და ბუკი კარგი. შემიწყალე შენს მადლსა, ამინ. სხუაჲ (?) დროშა ესე ოქროქსოვილის ხავერდისა შეიწირე და გაგვიმარჯვე“!

5. **ხატი წ̇ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 2719 სანტ. მხედარი წარმოდგენილია ცხენით, კაცს გმირავს შუბით, რომელსაც თავის საომარი იარაღები დაუყრია: ხმალი, ფარი და მუზარადი. ეზო ბალახოვანად არის შემკობილი; შიები რომბ-ლურსმული. წარწერა სახელისა:

წ̇ი გ̇ი. ქვემოდ: ვულგარული წარწრა (№17167):

წ̇ა :. გ̇ი :. მეოხ : და მფარველ :. ექმენ : კუჭ
[ა]იძეს :. ლომკაცსა . თანა : მეცხედრესა :
[მი]სა : ჯფრიძის . ქალსა :. კაკონს :. შვ
[ილსა] მთსა :. შემწე :. დ მწყლე :. ექმენ :. დღე
[სა გ]ანკითხვისასა :. ამინ.

წმიდა გიორგი, მეოხ და მფარველ ექმენ კუჭ-
(ა)იძეს ლომკაცსა და თანამეცხედრესა
მისა ჯაფრიძის ქალსა კაკონს, შვ(ილ-
სა) მათსა შემწე და მოწყალე ექმენ დღ-
(სა გ)ანკითხვისასა, ამინ.

---

1 ეს სიტყვა დედანში ნათლად არ იკითხება, მაგრამ რომ აქ კუჭაიძემა უნდა წავიკითხოთ, ეს სჩანს ფრიად გარკვეულად ქვემოდ მოყვანილს გადასაფარებელის ანუ დროშის წარწერიდან.

ეს წარწერა გადმოღებული აქვს ბარტოლომეის (ტაბ. III, №29) და მისი მიხედვით ბროსსე კითხულობს: „კუგიძეს ლომკაცსა“. (ბარტოლომეი, გვ. 203, 204). ბარტოლომეის ტაბულით სხვანაირად არც შეიძლებოდა წაკითხვა, მაგრამ ბარტოლომეის ასლი სწორი არ არის. უკანასკნელი ასო პირველი სტრიქონისა გამოხატულობით ხუცურ ასოს ზ-ს მოგვაგონებს უფრო, ვიდრე ლ-ს მაგრამ ლ-სადაც შეიძლება მივიღოთ, დ. ბაქრაძესაც ლ-ად მიუღია; ის კითხულობს „კულნიძეს ლომკაცს“ (გვ. 101); ასე სჩანს მისი რუსული თარგმანიდან, მაგრამ აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს და ბაქრაძეს უნდა წაეკითხოს: „კულიძეს ლომკაცს“; ასეთი წაკითხვა მისაღებია დედნის მიხედვით (იხ. №17167), მაგრამ ჩვენ გვგონია აქ ან შეცდომაა დამწერლისა, ანდა უკანასკნელი ასო პირველი სტრიქონისა შებრუნებულად სწერია, რაც ხშირია ქართულ ვულგარულ წარწერებში; თუ ამ ასოს მოვაბრუნებთ, მაშინ შეიძლება ის ჭ-თ მივიღოთ. ასე თუ ისე ჩვენ ვკითხულობთ:

„კუჭაიძეს ლომკაცს“. რომ ეს წაკითხვა სწორია, ამას ცხად ჰყოფს წინათ მოყვანილი წარწერები ღვთის მშობლის ხატისა და ფარდისა ანუ დროშისა. ჩვენს წარწერაში ასომთავრულ ასოებში ზოგჯერ ნუსხური ასოები ურევია, მაგალითად: ასო ო ორს შემთხვავაში: პირველ სტრიქონში „მეოხ“ და მეორე სტრიქონში „ლომკაცს“; ხოლო პირველი სტრიქონის უკანსკნელ სიტყვაში „კუჭ“, უ-ნი სამკბილიანი ნუსხა ხუცურია. და ეს ჩვენ გვშველის, რომ წინა წარწერებშიც „კუჭაიძე“ წავიკითხოთ და არა „კოჭაიძე“, როგორც კითხულობენ ბროსსე და დ. ბაქრაძე (გვ. 105). ეს და ამის წინ აღწერილი ღვთის მშობლის ხატი ერთი და იმავე ოქრომჭედლის ხელობა უნდა იყოს.

6. **ოქროს პანაგია,** 6,5X5,5 სანტ. (№17167). ერთ გვერდზე გამოხატულია წ̄ა გიორგი, ცხენით, რომელიც გმირავს შუბით ვეშაპს; ირგვლივ წარწარაა:

: წ : გ̄ოი : / გუმ არ / ჯ̄ე : აღ/ბულას / იოსელ-იან/ს.

ესე იგ: „წმიდაო გიორგი, გაუმარჯვე აღბულას იოსელიანს“.

მეორე გვერდზე წარმოდგენილია ღვთის მშობელი წელს ზევით, ჩჩვილედი, წარწერით: :.ყ̄დ :. წ̄ა :. ღმრთის :. მშობელი. ქრისტეზე: ი̄ჯ ქ̄ე. ხელობა საკმაოდ კარგია, მე-16 საუკუისა.

7. **სურა ვერცხლისა**, ვიწრო გრძელი ყელით, 42 სანტ. სიმაღლით (№17165). მუცელი ბურთის მსგავსი აქვს, სადა; ხოლო ყელზე პატარა გრეხილის მსგავსი შემკობილება აქვს. მუცლის ზემოდ მხედრული წარწერა არის, რომელიც ჩვნს ფოტოგრფიაზე მქრალად არის გამოსული, მაგრამ გადმოღებული აქვს ბარტოლომეის (ტაბ. III, №31). წარწერა იკითხება ასე (ნაკლულ ასოებს წარწერისას ფრჩხილებში ვსამთ):

ქ :. შემოგწირეთ : ჩვენ : მეფეთ : მეფემან : პატრონმან :
ბაგრატ : და : თანა : მეცხედრემან : ჩვენმან : დედო-
ფალმან : პატრონმა : თამ(ა)რ : სურა : ესე : ხელმწი-
ფობისა : ჩვენისა : წ(ა)რს(ა)მ(ა)რთებლ(ა)დ : მ(ა)ცხო-
ვარს : მულაყთას : ქ̄კს :სამს : ორმ(ო)ცდა : თხუთ-
მეტსა .

ქორონიკონი უდრის 1667 წელს. ბროსსე სიტყვა „სურის“ მაგიერ კითხულობს „სფერა“ (ბარტოლომეი, გვ. 235). დ. ბაქრაძეს კარგად აქვს წაკითხული (გვ. 102). სურას ქვემო ნაწილზე უწერია:

ქ. ბატონიშვილის თინ(ა)თინის.

წარწერაში მოხსენებული მეფე ბაგრატ არის იმერეთის მეფე ბაგრათ IV (1680-1680). თამარ არის მისი მეორე ცოლი, ძმის წული ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთისა, ისტორიაში „ცბიერად“ წოდებული. თინათინ არის ბაგრატ მეოთხეს ასული, ლევან მეოთხეს დადიანის მეუღლე, რომელიც დაქვრივების შემდეგ მონაზონად ეკურთხა და ვახტანგ მეექვსეს რუსეთში გაჰყვა 1724 წელს.

8. **დიდი ვერცხლის ბადია,** რომლის დიამეტრი უდრის 27,5 სანტიმ. შიგნით, შუაში, ღრმად ამოჭრილი ჯვარის სახის შემკობილობაა, ფრიად ლამაზი ხელობისა. ჯვარის ფრთებს შორის ოთხი მედალიონია ლამაზი სპარსულის ყაიდის მილანქრისა; ირგვლივ უვლის წრე ორმაგის სარტყელით, შემკობილი ოთხის დიდრონი და რვა

პატარა ძვირფასი ქვით. ამას გარდა თვით ჯვარის ფრთებზე დაცულია ოთხი ძვირფასი ქვა (№17162).

9. მეორე ასეთი **ვერცხლის ბადია**, ორის სახელურით, ვერცხლის ბეჭედების სახისა; დიამეტრი ბადიისა 38 სანტ. შიგნით, შუა გულში ესეც შემკობილია ღრმად ამოჭრილი და ამობურცული ორნამენტით, რომელსაც უზის სამი მედალიონი, სპარსული ყაიდის მინანქრისა და ოთხი ძვირფასი ქვა, რომელთაგანაც ორი დაკარგულა (№17163).

10. **დიდი ვერცხლის აზარფეშა**, ჩვეულებრივი ქართული ხელობისა; შემკობილია სევადით მეორე გვერდზე (№17165).

11. **ვერცხლის ჯამი,** ჩვეულებრივი, სადა (იქვე, №17165).

12. **ორი სარტყელი**, ვერცხლისა, სვანური (იქვე, №17165).

13. **ფარი სპილენძისა,** მრგვალი, მშვენიერი ხელობისა, ოქროთი გამოყვანილი სახეებით პატარა დოქებისა და ვაზებისა, არაბულის წარწერებით (№17164).

სოფელი ლახირი.

სოფელი ლახირი ლამაზი არის, მთის ფერდობზე გაშენებული; მისი სახე კოშკებითურთ იხ. ფოტოგრ. №17463, 17459, 17472, 17460, 17461, 17458, 17462. ბაქრაძის დროს ლახირში იყო ძველი ეკლესია თლილის ქვისაგან აშენებული. ეხლა ეს მოუშლიათ და მის ადგილას აუშენებიათ 1894 წელს ახალი **ეკლესია იოანე ღვთის მეტყველის სახელზე.** ამ ეკლესიაში, როგორც გადმომცეს, გადმოუტანიათ ხატები მთავარ ანგელოზის გაბრიელის ეკლესიიდან, რომელიც ზევით მთის წვერზე, ტყის მახლობლად ყოფილა. ეხლა ეკლესიაში მოიპოვება:

1. **ჯვარი გამოსასვენებელი,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 28X20 სანტ. დაზიანებული და დაბალი ხელობისა (№17171). პირველ გვერდზე წარმოდგენილია ჯვარცმა ბერძნულის წარწერით სახელისა. თავი ქრისტესი ეხლა მოშლილია; ოთხივე ფრთის ბოლოს ჯვარისა მომრგვალო მედალიონებში წარმოდგენილნი არიან მთავარ ანგელოზნი ზემოდ და ქვემოდ; ზემოთი დაზიანებულია; მარცხნივ და მარჯვნივ არიან: დედა ღმთსა და იო-ნე მხ-ლი. ქრისტეს ფეხებს ქვეშ ადამის თავია. მეორე გვერდზე შუაში და ყველა ფრთის ბოლოს დიდრონ სიმრგვალეებში ჯვრებია ლამაზად შემკობილი ხლართულებით, ხოლო დანარჩენი ნაწილი ლამაზ ასომთავრულ წარწერას უჭერია (№17172):

ძელო ცხ	ძელო ცხო-
რებსო : მ	რებისაო, მე-

ეოხ დ მფ	ოხ და მფარ-
რვლ მქმ	ველ მექ -
ენ : მმკო	მენ მამკობ-
ბსა შნს :	სა შენსა
ქლბაქნ	ქელბაქიან-
სა სირმონს	სა სირმონს
დ შვლ სა	და შვილსა
ჩემსა მქლს	ჩემსა მიქელს
დ შვლთ მ-ს .	და შვილთა მის.

დ. ბაქრაძეს ეს ჯვარი უნახავს ლახირის მეორე ეკლესიაში ღვთის მშობლისა (გვ. 106). ჯვარი მე-16-17 საუკ. უნდა იყოს.

2. **ხატი ღვთის მშობლისა**, ვერცხლით ნაჭედი, 31X26 სანტ. ფრიად ტლანქი ხელობისა, მე-18-19 საუკუნისა (№ 17170). ღვთის მშობელი წელსზევითია, ჩჩვილედი, წარწერით: დდა ღთ. სახე ძისა დიდის ჯვარისა სახის ნიმბით ერთობ უშნო და მახინჯია, ღვთის მშობლის დიდ თავის წრის ზემოდ ქრისტეა წარმოდგენილი, მკერდსზევითი, წარწერით: ი-ჯ :. ქ-ე. აქეთ-იქით ღვთის მშობლისა, ზემოდ მთავარ ანგელოზებია, სრულის ტანით და წარწერებით: მქლ, გ-ბრლ. ქვემოდ ვულგარული წარწერა:

ყ-დ :. წ-ო :. ღ-თის :. მშბლო :. მეოხ
ექმენ :. იოსელიანს :. ჯიბე
რდის :. დღეს :. განკითხვი
სასა :. მ-ს :.

ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო, მეოხ
ექმენ იოსელიანს ჯიბე-
რდის დღეს განკითხვი-
სასა მას.

3. სრულიად ასეთივე ტლანქი ხელობის **ხატი ღვთის მშობლისა**, წელსზევითი, ჩჩვილედი, 26X16 სანტ. (№17169). აქაც, ზემოდ, ორივე მხარეს მთავარ ანგელოზებია სრულის ტანით. აშია არა აქვს, ხოლო უვლის წრე წერტილებისა; მე-18-19 საუკ. უნდა იყოს.

4. **ხატი მაცხოვრისა**, წამლით დახატული წინა მდგომებითურთ და მოციქულებით, 31X26 სანტ. რუსული ხელობის არის, არა ცუდი.

5. **ზარი,** 30 სანტ. სიმაღლით და 31 სანტ. დიამეტრით. ქვემოდ მხედრული წარწერა აქვს;

ქ :. ჩუენ : ღ-თივ :. გვირგვინოსანმან :. მეფეთ :. მეფე-
მან : პატრონმან :. ალექსანდრე : შემოგწირე :. ზარი :.
ესე : სუანეთს :. მთავარანგელოზთ :. ჩუენად :. სად-
დღეგრძელოდ :. და გასამარჯვებთა (sic) :. და :. მეფო-
ბისა :. ჩუენისა : წასამართებლად :. მი (sic) ამინ:

(შეადარე დ. ბაქრაძე, გ. 106).

6. **კონდაკი** ხელნაწერი ნუსხა ხუცურით, შეიცავს ჟამის წირვას იოანე ოქროპირისა და ბასილის დიდისა; თავი და ბოლო აკლია; ყდაშია; მე-17 საუკუნის უნდა იყოს. მინაწერი ტექსტის ხელით:

„ქ ღ-ო შ-ე ფ-დ ც-დვლი მონა ღ-ჲ პ-ე მღდლი ბაღნია-
საშვილი.“.

ასეთივე წარწერა სხვა ადგილსაც არის. ბოლოს: ლოცვანი ერის განტევებისა.

7. ლახირის სოფელში არის კიდევ მეორე ძველი ეკლესია **წ-ა ბარბარესი,** ჩვეულებრივი სვანური ტიპისა, თლილის ქვისაგან ნაშენი. კანკელი ქვის აქვს, ერთის კარით. არც ერთი მთელი ხატი ამ ეკლესიაში არ არის, სამაგიეროდ აქ არის აუარებელი ძელები ხატებისა და ჯვრებისა სულ მოძარცულები. ტრაპეზზე იდვა დიდი ჩალის ქუდი, რომელიც ადგილობრივი გადმოცემით თავზე ეხურა სარდალს დიდი სულთანის ჯარისას, რომელიც სვანებმა დაამარცხეს. ქუდის დიამეტრი უდრის 51 სანტ. (სურათი მისი იხ. №17173). ამის გარდა ტრაპეზზე ბევრი მარცვლები იყო კრიალოსანისა და სხვა და სხვა ფერის ქვის კენჭები.

სოფელი ჩოლაში.

სოფელ ჩოლაშში პატარა და ჩვეულებრივი ეკლესია არის **წმიდა ბარბარესი**. მასში საყურადღებო არაფერი არის. სოფელში ჩვენ დავესწარით დიდ დღესასწაულს 15 აგვისტოს. ეს დღესასწაული მიცვალებულთა დღესასწაულია, მათი მოგონების და პატივისცემისათვის არის დანიშნული. ოჯახი ამზადებს საუკეთესო საჭმელებს, გამოაქვთ სასაფლაოზე, დააწყობენ სუფრაზე ან თვით განსვენებულის საფლავზე, ან მის ახლოს. ყველა სუფრა პაპმა (ანუ ეხლა მღვდელმა) უნდა აკურთხოს. სახლში ამ დღეს არავინ არ რჩება, ყველა სასაფლაოზეა გამოსული და ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილი თავიანთ მკვდრების სასაფლაოებთან. ვერასოდეს ვერ ნახავთ ასე ერთად შეყრილს მთელ მოსახლეობას, ამიტომ ეს სცენები საჭმელების კურთხევისა და სვანთა ნაირ-ნაირ ჯგუფებისა თავიანთი მარაგით გადმოვიღეთ რვა ფირფიტაზე (იხ. ფოტ. 17531-17538). სუფრას აკურთხებდა უხუცესი მღვდელი მარგიანი, რომელიც წინეთ პაპი ყოფილა (იხ. ფოტო № 17537).

მესტიის თემი

მესტიის თემში შედიან შემდეგი სოფლები: სეტი, ლეხტანი, ლანჩვანი, ლაგამი. მესტიის თემს უჭირავს შუა ადგილი ზემო სვანეთისა და საუკეთესო თემად ითვლება. მდებარეობა ფრიად ლამაზია; ხეობა აქ უფრო ფართოა, სწორი ადგილები მეტია. სოფელი **სეტი** თავის მდიდარი ეკლესიით შეადგენს ცენტრს თემისა. ჩვენი ექსპედიციის დროს აქ ცხოვრობდა ბლაღოჩინი სვანეთის ეკლესიებისა ბესარიონ ნიჟარაძე.

საზოგადო სახე ამ სოფლისა, მისი კოშკები, ზოგიერთი სახლები და ადგილები, იხილე ფოტოგრაფია №№ 17429, 17435, 17430, 17432, 17433, 17621. ერთობ ლამაზია აგრეთვე ამ თემის სოფელი ლანჩვანი; იხ. ფოტ. №17436. ეთნოგრაფიული მასალისათვის გამოსადეგია სურათები ხარ-კამეჩისა და მარხილებისა; იხ. ფოტ. №№ 17521, 17522. აგრეთვე სვანის ქალების ტიპები და მათ მიერ ძაფების სტვა; იხ. №17520 და აგრეთვე ბავშვის მოვლა და ძუძუს წოვება; იხ. №17519.

სოფელი სეტის ეკლესია წმიდის გიორგისა ახალია, მაგრამ აშენებული ძველი ეკლესიის ადგილზე და მის ზღუდეში. ბარტოლომეის და დ. ბაქრაძის დროს აქ ჯერ კიდევ ძველი ეკლესია არსებობდა. დ. ბაქრაძე სწერს: სეტის ეკლესიას ზღუდე აქვს და კედლებზე მხატვრობა; ის საკმაოდ დიდია, მაგრამ ყველაზე მეტად დაზიანებული. უვაროვის დროს ძველი ეკლესია აღარ იყო და მისი ნივთები გადატანილი იყო ლაგამის ეკლესიაში, ნაწილობრივ კოშკში ინახებოდა. ეხლა ნივთები ინახება ახალ ეკლესიაში, რომელიც საკმაოდ დიდია და გვარიანი. ძველი გალავანი დაცულია; ეკლესიასთან კოშკია; ხოლო მეორე კოშკი სამრეკლოდ არის გამოყენებული, იხ. ფოტ. №17431; მაგრამ ზარები ეხლა ეკლესიის კარის ბჭეზე ჰკიდია.

ბერნოვილის ცნობით, ძველი სეტის ეკლესიის სიგრძე ყოფილა შიგნით 20 ანუ 25 მეტრი, განი 8 და 9 მეტრი. კანკელს სამი კარი ჰქონია და ორი ფანჯარა (ესე იგი კამარა); გარე კედლებზე საყურადღებო არაფერი ყოფილა; შიგნით ფრესკები სულ გამქრალა (ბერნოვილი, გვ. 133-134). ა. სტოიანოვი უფრო მეტს ცნობებს იძლევა ძველი ეკლესიის შესახებ. მისი გადმოცემით, ეს ეკლესია ყველაზე მაღალი ყოფილა მთელს სვანეთში და კოშკის სახე ჰქონია. ეკლესია ორსართულიანი ყოფილა; მეორე სართულში ნივთები ინახებოდა და იქ არავის არ უშვებდენ, გარდა პაპისა. საკურთხეველში, მარჯვნივ, ყოფილა ფანჯარა. ამაზე მიადგამდენ ხის კიბეს და ამ ფანჯრიდან შედიოდენ მეორე სართულში (გვ. 286-293). ეტყობა, ეს ყოფილა ნივთების სამალავი, ჩვეულებრივი ქართული ეკლესიისათვის, მაგრამ იშვიათი სვანეთში. აქ ნივთებს კოშკებში ინახავდენ ხოლმე.

მესტიის ძველი ეკლესია წინად მონასტერი ყოფილა და მონასტრად არის მოხსენებული წარწერებში. ბლაღოჩინი ქუთათელაძის სიტყვით (გადმოცემულია დ. ბაქრაძის მიერ). აქ ეპისკოპოზიც მჯდარა. ეკლესიაში ინახება:

1. **თავი ხატი წ-ა გიორგისა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 64X54 სანტ. წმიდა გიორგი ცხენოსანია, დიდის გამობერვით განჭედილი; შუბით გმირავს გვირგვინოსანს (№16916). ცხენი დიდია, მძიმე, შეკაზმული პატარა უნაგირით, ასალით და ვიწრო უზანგით; საძუე, სამკერდე და ავშარა ფოლაქოვანად არის შემკობილი. ხუჭუჭებად დაყოფილი თმა სახეზედაც ჩამოუდის, წრე თავისა მოდიდოა, ტანზე ჯავშანი აცვია; მას ზევით მოსასხამი, რომელიც მის უკან ჰაერში იშლება. ფეხზე მაღალი წაღები აცვია, რომელნიც თავდებიან ვიწრო წვერებით.

მარცხენა მკლავზე ფარი მოუგდია, რომელიც ორმაგი ორნამენტით არის ნაჭედი. თავის წრის მარცხნივ ასომთავრულით სწერია:

წ̅ᲂ გ̅ი სტ̅ᲂ (წმიდაᲂ გიორგი სეტისაᲂ).

მარჯვნივ მხოლოდ:

წ̅ᲂ გ̅ი.

ეს ორი წარწერა ერთის ხელით როდია; პირველი ლამაზია, გრავიურით გამოყვანილი, მეორე: პუნკტირებით არის შესრულებული და მერმინდელი უნდა იყოს.

ჩარჩო ხატისა ნაჭედია და გამშვენებული ორმაგი ბროწეულის ყვავილების ორნამენტით და აგრეთვე წმიდათა ფიგურებით. ზემოდ ვედრებაა, რომლის შუაში ქრისტე წელს ზევითი ემმანუელის სახით არის წარმოდგენილი, წარწერით: ი̅ჯ ქ̅ე. ღვთის მშობელს აწერია: დდ̅ᲂ ღ̅თსა; ხოლო იოანეს : იოვანე.

მარჯვნივ და მარცხნივ ჩარჩოებზე წარმოდგენილნი არიან სრულის ტანით: წ̅ა დიმიტრი (მარცხნივ) და წ̅ა თეოდორე (მარჯვნივ), უწარწეროდ, შუბებით და თავიანთი ცხენებით ხელში.

ქვემო ნაწილი ჩარჩოსი მოშლილია; აქ კუთხეებში მთავარ ანგელოზები უნდა ყოფილ იყვნენ, ვინაიდან მარცხენა კუთხეში მოსჩანს წარწერის ნაშთი სახელისა: ლმთ. – [მიქაე]ლ ანუ [გაბრიე]ლ მთ[ავარანგელოზი]. მაგრამ შეიძლება, ეხლანდელი ნაშთები ქვემო ჩარჩოსი ამ ხატს არ ეკუთვნოდეს.

ბარტოლომეის და ბაქრაძის დროს ამ ჩარჩოს ქვემო ნაწილზე წარწერა ყოფილა; ორთავე ღირსეულთ მკვლევართ ეს წარწერა გადმოუღიათ ხელით (იხ. ბარტოლომეი, ტაბ. II, №24; ბაქრაძე, დამატება №28). ზოგი სტრიქონები და ასოები ბარტოლომეის ტაბულაზე უფრო კარგად არის გადმოღებული, ზოგი ბაქრაძისაზე. ბაქრაძე ამბობს, წარწერის გარჩევა მე ვერ შევსძელიო. თუ დ. ბაქრაძემ ვერ შესძლო წარწერის გარჩევა, ბარტოლომეის მიერ გადმოღებული წარწერების გამრჩევი მ. ბროსსე აბა რაღას შესძლებდა! ასე რომ წარწერა დარჩა გაურჩეველი. გრ. უვაროვისა აცხადებს, რომ მან სრლებით ვერ იპოვნა კვალი წარწერისა, თუმცა ფირფიტა, რომელზედაც ის ყოფილა ამოტიხრული, დარჩენილია ხატის ქვეშო (უვაროვისა, გვ. 112-113). ჩვენ ეს წარწერა ვიპოვნეთ, მაგრამ არა განცალკევებულად, არამედ ამავე ეკლესიის მაცხოვრის ხატის ქვემოდ (იხ. ფოტ. № 16915), რომლის აღწერა ქვემოდ მოგვყავს.

პირველად მე მეგონა, ბარტოლომეიმ შეცდომით მაცხოვრის ხატის წარწერა წმიდის გიორგის ხატს მიაწერა-მეთქი, მაგრამ როდესაც ამას იმეორებს დ. ბაქრაძე, ეს მოსაზრება ჰქრება, მით უმეტეს, რომ ბაქრაძე ჯე უჩვენებს ამ ხატის სახელის წარწერას და შემდეგ შენიშნავს, წარწერა კიდევ ქვემო აშიაზე არისო და უჩვენებს თავის გადმოღებულს ფაქსიმილეს (გამ. №28). ამრიგად, უეჭველი ხდება, რომ ჩვენს წმიდის გიორგის ხატს ის წარწერა მართლა ჰქონია, რომელიც ბარტოლომეის და ბაქრაძეს გადმოუღიათ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ წარწერის ფირფიტა ბაქრაძის შემდეგ მოვარდნილა და ის მაცხოვრის ხატის ქვემოდ მიუჭედიათ. ამას კიდევ ერთი გარემოება უფრო ამტკიცებს: ზომით ეს წარწერა სრულიად ეგუება წმიდის გიორგის ხატს და მის აშიის სიბრტყეს, ხოლო მაცხოვრის ხატს უფრო ვიწრო აშია აქვს (იხ. № 16915). ეს გარემოება, რომ წარწერა ამ ხატს არ ეკუთვნის, უვაროვისამაც შენიშნა (გვ. 111-112), მაგრამ ის არ უჩვენებს, თუ რომელ ხატს ეკუთვნის.

შეიძლებოდა კიდევ გვეფიქრა, რომ ამ ორ ხატს სრულიად ერთგვარი წარწერა ჰქონდათ, მაგრამ ესეც მიუღებელია, ვინაიდან არც ბარტოლომეი და არც დ. ბაქრაძე

წარწერიან მაცხოვრის ხატს არ იხსენიებენ სრულებით. შეუძლებელია, არც ერთს მათგანს არ შეენიშნა ასე დიდი ხატის წარწერა, რომ იგი მართლა ყოფილიყო.

ეხლა გადავიდეთ თვით წარწერის განხილვაზე.

წარწერა ხუთ-სტრიქონიანი მოქცეულია ორ მრგვალ მედალიონს შუა წმიდათა, რომელთაც წარწერები სახელთა არა აქვთ. ამ მედალიონებს ბოლოები აკლია, უფრო დიდი მარჯვენა მხარეს, უფრო ნაკლები მარცხენას. ამ უკანასკნელის დარჩენილი ნაწილი უჩვენებს, რომ ბოლოებში შემკობილობა ყოფილა ბროწეულის ყვავილების მსგავსად, ისე როგორც წმიდის გიორგის ხატზეა სამივე შენახულ მხარეს. ამგვარად, ვერცხლის ნაჭერი უფრო გრძელი ყოფილა, ვიდრე ეხლა არის. ასომთავრული წარწერა საკმაოდ ვულგარული, იმავე ხასიათის არის, რაც ზემოდ ქრისტეს მედალიონს აქვს წ-ის გიორგის ხატისა. წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ (იხ. №16915):

ქ ესე ; წმიდაჲ ხატჲ	ესე წმიდაჲ ხატი
შეჲქნა : კეცხემჲანისა	შეიქმნა კეცხემიანისა
მამასახლჲსობასა	მამასახლისობასა,
ქნა ათას სმას ოც	ქრონიკონს ათას სამას ოც-
და მეათესა.	და მეათესა.

ამრიგად, ჩვენის წაკითხვით, ამ წარწერის თარიღი უდრის 1330 წელს. წელთა აღრიცხვა ქართულის ციკლოვანი ქორონიკონით კი არ არის ნაჩვნები, არამედ ქრისტესით. ასო ჲ-ს ხმარება ი-ს მაგიერ ჩვეულებრივია, მეტადრე სვანურს წარწერებში. საკვირველია, რომ ვიღაცას უვაროვისათვის გადაუცია, როგორც რუსული თარგმანიდან სჩანს, თითქოს იქ ეწეროს: „მაცხოვარო ცხოველ მყოფელო, მეოხ ეყავ“ (გვ. 111-112).

2 . **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილის ვერცხლით, ნაჭედი, 57X46,5 სანტ. (№16915). მაცხოვარი წელსზევითია; მარჯვენა ხელით ის ჯვარს სწერს და ამისათვის შეერთებული აქვს სამი თითი, ისე რომ საჩვენებელი და შუა თითი თავისუფალი რჩებიან. მარცხენა ხელში სახარება უჭირავს. სახარების ყდა ვარსკვლავის მსგავსად არის შემკობილი ამობურცული ფიგურებით. ნიმბი დიდია ჯვარის სახისა. თვალები მაცხოვრისა ფართოა. სამოსელი ერთობ ხშირად დანაოჭებულია, თითქო დასერილიაო. წარწერა სახელისა: ჲ-ꙁ ქ-ᲂ. ჩარჩო შემკობილია ბროწეულის ყვავილების მსგავსად, ანუ მისტიური ვარდებით და შიგ მედალიონებია წმიდათა; ზემოდ ტახტის შემზადება არის, არა ჩვეულებრივი, სამი ტლანქი ფიგურით, აღმოსავლური მაღალი წვეტიანი ქუდებით. მარჯვნივ და მარცხნივ თითო მედალიონი. მედალიონებს წარწერა არა აქვს. ქვემოდ დაცული წარწერა ორ მრგვალ მედალიონს შუა, უკვე გავარჩიეთ, ეკუთვნის ზემოდ აღწერილ წ-ის გიორგის ხატს. მიუხედავად ამისა, ხატი ჩვენის აზრით, მე-14-15 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

3. **ჯვარი დიდი ხისა**, შემერწილია ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფირფიტებით, ჯეროვანი ხელობისა, რომლებზედაც წარმოდგენილნი არიან სცენები წმიდა გიორგის წვალებისა და მხოლოდ ერთ დიდ ფირფიტაზე ბოლოში მოიპოვება ლამაზი ნახელავი ფიგურა მთავარ ანგელოზ გაბრიელისა, სრულის ტანით და

წარწერით: წ˜ჲ გ˜ბრლ. (№17922). ყველა სცენებს წარწერა აქვს და თავიდან დაწყებული შემდეგ რიგს მისდევენ:

წ˜დსა გ˜ის ცემაჲ, წ˜ჲ გ˜ი ურმის თვალსა ზედა დაკლული (resp. დაკრული), წ˜ს გ˜ს ხოკ(რე)ტაჲ (შუაში); ამის ქვემოდ: წ˜ა გ˜ი კირსა შიგან დგას. წ˜ჲ გ˜ი საპყრობილესა შიგან. მარცხენა ფრთაზე: წ˜ჲ გ˜ი ქველისსა მისსა განუყოფს გლახაკთა; წ˜ჲ გ˜ი, მეფე დეოკლეტიანე (მეფე ტახტზე ზის); მარჯვენა ფრთაზე: წ˜ჲ ღლკერი რომლისა ჴარი აღდგა; წ˜ჲ ლღკერი, წ˜ის ღლკერის თავი კუკთა (sic). მეორე გვერდი ჯვარისა შემკობილია ნაზი ნახელავი ბროწეულის ყვავილების ორნამენტით. ჯვარი მე-13-14 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

4. **ხატი მთავარ ანგელოზ გაბრიელისა**, ოქროსი, ნაჭედი, ტურფა ქართული ხელობისა (№16923). მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, მდიდრულ ბიზანტიურ სამეფო ტანისამოსში; ზურგს უკან მოსჩანს გრძელი ფრთები; თავი პატარა აქვს, ხუჭუჭებად დაყოფილი თმის შემოვლებით; მარჯვენა ხელში ბურთი აქვს (სფერო); მარცხენაში ლაბარუმი; მრგვალი თავის წრის ორივე მხარეს ვარსკვლავების მსგავს „დრობნიცებში“ წარწერა სახელისა: წ˜ჲ გ˜ბლ. ეზო შემკობილია ბალახოვანად. ჩარჩო ხატისა ფართოა, შემკობილი საუცხოო ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით და გამობერილი დიდი სადა მედალიონებით. ქვემოდ სამ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომელსაც ბარტოლომეი არ იხსენიებს, დ. ბაქრაძეს ხელით გადმოუღია, მაგრამ ვერ გაურჩევია (იხ. გვ. 97. დამატება №29); ა. ხახანაშვილი არჩევს, მაგრამ არა სრულად და შენიშნავს, აზრი წარწერისა ბნელიაო; მე მხოლოდ გავარჩიეო შემდეგი: მოიჭედა ხატი ესე. . .ხელით ოქრომჭედელისათა (გვ. 37). ჩვენ სრულად ვარჩევთ წარწერას, რომელიც იყოფა ორ ნაწილად შუაში ამობურცული დიდი სიმრგვალით:

მარცხენა ნაწილი:	მარჯვენა ნაწილი:
ქ . წ˜ო : გ˜ლ : შ˜ე შნსა : წ˜ე	ნასსა : ნაცლობასა : მ
შემომ˜ვნი : მოიჭედ	წლა : ჭურასასა :
ა : აბარმადობასა : ი	

ჴელითა : ოქრომჭსა : თად˜დს : ძისა[თა] .

ესე იგი:

„წმიდაო გაბრიელ, შეიწყალე შენსა წინაშე შემომავალნი. მოიჭედა აბარმადობასა ინასასა (ანუ იონასასა), ნაცლობასა (=ნაცვლობასა) მიქელა ჭურასასა, ჴელითა ოქრომჭედლისა თადიდის (ანუ თავდიდის) ძისა[თა]“.

აბარმადი იგივეა, რაც აბრამადი, ესე იგი ნაზირი (იხ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი). ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-12-13 საუკ.

5. **ხატი ღვთის მშობლისა**, კარედი, სიმაღლით 10 ¾ ვერშოკი, განით 10 ვერშოკი; შუა ნაწილი კარედისა ოთხკუთხედი ფიცარია, შესანიშნავად მოჩუქურთმებულის ოქროს ბასმით მოცული; ზემო ნაწილში კამარაა; შუაში ჩადგმულია წელსზევითი ხატი ღვთის მშობლისა, ჩჩვილედი, 21X17 სანტ. ბერძნულის წარწერით სახელისა, შემკობილი ძვირფასი ქვებით. პირის სახეები წმიდათა ყველა წამლით არის დახატული, მაგრამ შემოსილობა ოქროსია. ღვთის მშობლის ზემოდ, კამარას ქვეშ, მაცხოვარია მკერდსზევითი, წარწერით: I-C (sic); კამარის ზემოდ ტახტის

შემზადებაა. მარჯვნივ და მარცხნივ ღვთის მშობელს უკმევენ მშვენიერ პოზით წარმოდგენილნი მთავარ ანგელოზები: მარცხნივ – გაბრიელ, წარწერით: გაბრიელ; მარჯვნივ: მიქაელ. ქვემოდ გამოხატულნი არიან წელზევითნი: წ̄Ჲ მარინა და წ̄Ჲ ბარბარე. კარებზე ყოფილან წარმოდგენილნი: ზემოდ ქერუბიმები ლაბარუმებით, რომლებზედაც უწერია: წმიდა არს, წმიდა არს; და ქვემოდ მარცხენა კარზე წ̄Ჲ თ̄ე ტირონი და წ̄ი დიმიტრი. მარჯვენა კარიდან ნახევარი დაკარგულია; დარჩენილზე წარმოდგენილია; თ̄ე სტრატილუტი. საერთოდ ხელობა ამ ხატისა ისეთი ნაზი, ლამაზი და თვალწარმტაცია, რომ ყველა მნახველი აღტაცებაში მოჰყავს. პირველად ეს ხატი ხელით გადმოიხატა და თავის შრომაში გამოსცა ბერნოვილმა (გვ. 196); შემდეგ დაწრვილებით აღწერა და მისი ფოტოგრაფია გამოსცა გრ. უვაროვისამ (გვ. 121-122, ტაბ. XXXVII). ჩვენი ფოტოგრაფია ბევრად სჯობია უვაროვისას (იხ. №16921).

შუა ნაწილზე, ქვემოდ სამ-სტიქონიანი წარწერაა, სანახევროდ წნულის ასოებით შესრულებული. ამ წარწერას დ. ბაქრაძე სრულიად არ იხსენიებს; ბარტოლომეის გადმოუღია შეცდომებით და ამიტომ ბროსსე მას ნაწილობრივ არჩევს მხოლოდ; ა. ხახანაშვილი სრულად არჩევს წარწერას, მაგრამ შეცდომებით (გვ. 17).

დაზიანებული სიტყვების აღდგენა, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ ასეთი სიტყვები არც ბევრია. აზრით მიმატებულს ასოებს და სიტყვებს ჩვენ ფრჩხილებში ვსვამთ და მთელ წარწრას ასე ვკითხულობთ:

ქ : ყოვლად წ̄ო : დედოფალო : ღ̄თის : მშობელო :
რომელსა : გეტჯრ
თა : ღ̄თი : მეოხ : ეყვენით : წ̄ე : ძისა : და ღ̄თისა :
ჩუენისა : სულისა ვახტანგისა : და მარინესა : რომელთა
[თჯს შევამკ̄ეთ] ბრძანებითა ; მ̄თთა : ხატი : შენი :
ვ̄რდნ : ინასარიძემ : და ძმათა ჩემთა : ი̄ნე : ინასარ :
საღირ : გ̄ბლ ; და ბეშ[ქენ].

ქარაგმების გახსნით:

„ყოვლად წმიდაო დედოფალო, ღმრთის მშობელო, რომელსა გეტჯრთა ღმერთი, მეოხ ეყვენით წინაშე ძისა და ღმერთისა ჩუენისა სულსა ვახტანგისა და მარინესა, რომელთა(თჯს შევამკეთ) ბრძანებითა მათითა ხატი შენი ვარდან ინასარიძემან და ძმათა ჩემთა, იოანე, ინასარ, საღირ, გაბრიელ (ან გრიგოლ?) და ბეშ(ქენ)“.

გრ. უვაროვისას ხატი მიაჩნია ბიზანტიურ ხელოვნების ნაშთად მე-12 საუკ. გარდა შიგ ჩადგმული ღვთის მშობლის ხატისა, კამარას ზემოდ მორთულობისა და წარწერისა, რომელთაც ქართულ ხელოვნებას მიაწერს (გვერდი 121-122), ნ. კონდაკოვის აზრით, ხატი ეკუთვნის მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეს (იხ. მისი იკონოგრაფია ბოღომატერია, ტ. II, გვ. 266). ჩვენის აზრით, ეს მთლად ქართული ხელოვნების ნაშთია მე-12-13 საუკუნისა[1].

---

1 ბარტოლომეის აზრით (გვ. 195) ამ წარწერაში მოხსენებულს ვახტანგის სახელს მოუცია საბაბი ლეგენდისათვის, რომელიც მოჰყავს ბატონიშვილს ვახუშტის თავის გეოგრაფიაში, ვითომც სეტის ეკლესიაში ინახებოდეს საგანძური მცხეთის ეკლესიისა, რომელიც ვახტანგ გორგასალს უნდა მოეტანოს ინდოეთიდან. ვახუშტი სწერს (იხ. ბროსეს გამოცემა, გვ. 410):

„ოდიშის აღმოსავლეთით არის ეცერი (ეწერი). აქა არს ეკლესია სვეტად (სეტად) წოდებული, სახიზარი სვეტიცხოველის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სვეტის ცხოველის კანკელის ყოფას დღესაცა, რომელი მოიღო გორგასალ ინდოეთიდამ, წითლის იაგუნდის ქმნილი, არამედ

საჩინოდ არიან აწცა ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი და მოოჭვილნი ქვითა მრავალნი და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა აქუსთ სასოება და პატივსცემენ. არამედ უმჯობესი ხატი უბიათ ძეწკვით ოქროსათი და იტყვიან, უკეთუ აუშვათ, დალეწავს ყოველსავე აქა მყოფთა ხატ-ჯვართა".

საკვირველია, რომ ბერი ბაქრაძეც ვახუშტის სიტყვებით იწყებს თავის აღწერილობას ანუ „მოგზაურობას სვანეთში", 1864 წლისა. ის წერს:

„სოფელსა სვანეთისა ბეჩოს უწოდებენ, ეკლესიასა მათსა, სეტისას, რომელსა შინა დახიზნული ყოფილა კანკელი მცხეთის ეკლესიისა (რომელიცა მოუტანია კანკელი იგი ძვირფასი თვლებისა ინდოეთით ვახტანგ მეფეს გორგასლანს); ხოლო ესე ეკლესია არს გაუქმებული და არა რაჲ იპოების სრულიად. მეორე ეკლესია არს მაცხოვრისა, რომელშიაც არს დახატული კედლები საშუალის ხელოვნებითა".

სეტის ეკლესია მესტიის თემს ეკუთვნის და არა ბეჩოსა. ეს კარგად იცოდა ბერმა ბაქრაძემ, მაგრამ ის მაინც ვახუშტის სიტყვებს იმეორებს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბეჩოს თემში მართლაც ყოფილა ეკლესია, რომლის შესახებ ასეთი ლეგენდა იყო გავრცელებული. მართლაც, ა. სტოიანოვი სწერს თავის მოგზაურობაში (გვ. 371): „ჩვენ გავიარეთ **ბალვდანარ** სოფლის ახლოს და შევედით **სეპ**-ის ეკლესიაში, რომელიც ყველაზე დიდია მთელს თემში. გადმოცემით, ამ ეკლესიის კანკელი მთელად იაგუნდისა მოტანილი იყო ინდოეთიდან, მაგრამ იოსებს (შესაძლებელია თვით ბეჩოს მცხოვრებთ) გაუძარცვავთ საყდარი". ალბათ ეს ეკლესია აქვს სახეში ბერს ბაქრაძეს, მით უმტეს, რომ იქ კიდევ მეორე ეკლესიას აღნიშნავს.

6. **ჯვარი ხისა**. კანკელის წინ დასადგმელი, შუა ზომისა, 75X42 სანტ. მაცხოვარი წარმოდგენილია წელს ზევით ჩვეულებრივად, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით. ნიმბი დიდი აქვს ჯვარის სახისა, რომლის ორივე მხარეს ჯერ ბერძნული წარწერაა სახელისა და მათ ქვემოდ, ორივე მხარეს, ჯვარია გამოსახული, ლურსმის თავების მსგავსი ორნამენტით. ჩარჩო შემკობილია რომბებით და რვა მედალიონით წმიდათა, რომელთა შორის ზემოდ ვედრებაა, ქვემოდ; წ̄ჲ ლუკა, წ̄ჲ ეკატერინე და წ̄ჲ გ̄ბრიელ (მთავარ ანგელოზი), იოანე და გაბრიელი სრულის ტანით, მავედრებელის პოზით არიან წარმოდგენილნი. ხელობა მე-16-17 საუკ. უნდა იყოს (№16911).

7. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 41X31 სანტ. მაცხოვარი წარმოდგენილია წელს ზევით ჩვეულებრივად, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით; ნიმბი დიდი აქვს, ჯვარის სახისა. რომლის ორთავე მხარეს ჯერ ბერძნული წარწერაა სახელისა და მათ ქვემოდ, ორივე მხარეს, ჯვარი გამოსახული ლურსმის თავების მსგავსი ორნამენტით. ჩარჩო შემკობილია რომბებით და რვა მედალიონით წმიდათა, რომელთა შორის ზემოდ ვედრებაა, ქვემოდ: წ̄ჲ ლუკა, წ̄ჲ ეკატერინე და წ̄ჲ პ̄ტრე; მარცხნივ: წ̄ჲ ი̄ე; მარჯვნივ: წ̄ჲ გ̄ბრიელ (მთავარ ანგელოზი), იოანე და გაბრიელი სრულის ტანით, მავედრებელის პოზით არიან წარმოდგენილნი; ხელობა მე-16-17 საუკ. უნდა იყოს (№16911).

8. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 20X15 სანტ. მაცხოვარი წელსზევითია, ჩვეულებრივი ნიშნებით. ირგვლივ ხატი შემკობილია ვარსკვლავების მსგავსი ფოლაქებით და ოთხი მედალიონით წმიდათა; მათ შორის ზემოდ, როგორც ვედრებაში, წარმოდგენილნი არიან: ღვთის მშობელი და იოანე, მაგრამ შუაში ქრისტე კი არ არის, არამედ წრე ვარსკვლავებისა შიგ მოქცეული დიდი ვარსკვლავით ანუ მზით. ქვემოდ არის ორი წ̄ა გიორგი. ხელობა დაბალია, მე-18 საუკ. (№16910)

9. **ჯვარი** ვერცხლისა, წნულის სახისა; ფორმა აქვს წმიდის გიორგის სამხედრო ჯვარისა; შემკობილია სამი ამავე სახის ჯვარით და ორის ქერუბიმით და სერაფიმით; მეორე გვერდზედაც ასეთი შემკობილობაა; 24,5X25,5 სანტ.

10. **სამწერობელნი,** 42X44 სანტ. გაკეთებულია ხისაგან ჯვარის სახედ და შეძერწილია ოქროთი დაფერილი ნაჭედი ვერცხლით (№16920). შუაში წარმოდგენილნი არიან მწირველნი: წ¯ა გრიგოლ და წ¯ა ნიკოლოზ, წარწერებით: წ¯ᲂ გრიგლ, წ¯ი ნიკოლოზ. აქეთ-იქით ტრაპეზისა, რომელზედაც ჯვარია დასვენებული, ქვემოდ შემზადებული ტახტი მოსჩანს. ეკლესიის მამები თითქო აღსავლის კარებიდან გამოიყურებიან და ჯვარს სწერენ ერს; აქეთ-იქით მათი თანამწირველნი მთავარ ანგელოზებია: მიქელ და გაბრიელ, რომელთაც გამოაქვთ წირვის იარაღები (დიდი გამოსვლაა წარმოდგენილი); ზემოდ შემზადებული ტახტია წარწერით: I¯C X¯C და ორი ექვს-ფრთიანი ქერუბიმით აქეთ-იქით; ქვემოდ წინასწარმეტყველი ისაია, მთავარ ანგელოზებითურთ.

მეორე გვერდზე, შუაში და მარცხნივ, იგიევა, რაც პირველ გვერდზე, მხოლოდ ზემოდ ანგელოზთ მიაქვთ ცაში თორმეტ-ფრთიანი ჯვარი. ქვემოდ ექვს-ფრთიანი ქერუბიმია (№16917). ამ სამწერობელს ხელი აკლია.

11. **მეორე სამწერობელნი**, ვერცხლისა, ნაჭედი, 45X44 სანტ. ვერცხლის ტარით (№ 16918). შუაში გამოსახულია ექვს-ფრთიანი ქერუბიმი, ტეტრამორფით ფრთებს შუა; მარჯვნივ, მარცხნივ და ზემოდ მისა მწირველნი მთავარ ანგელოზებია, რომელთაც გამოაქვთ ბარძიმი, ჯვარი, გვირგვინი და სამწერობელნი; ქვემოდ ორი მთავარ ანგელოზი. მეორე გვერდზე იგივე ფიგურები, ხოლო ზემო მთავარ ანგელოზებს გვირგვინი არ გამოაქვთ (16919).

გრაფინია უვაროვისა ამ სამწერლობლებს ადარებს გელათისას და პოულობს მათ შორის მსგავსებას (გვ. 134, ტაბ. XL). საერთოდ ეს მართალია, მაგრამ გელათისაზე წმიდა ნიკოლოზი არ გვხვდება და არც წინასწარმეტყველი ისაია. გელათის სამწერლობლებს მე-16 საუკუნეს მიაწერენ და ესენიც მე-16 საუკუნის უნდა იყოს.

12. **დროშა**, რომლის ტარი თავდება ზემოდ ფართო შუბით, რომელიც ვერცხლიდან არის ჩამოსხმული და მასთან ოქროთია დაფერილი (იხ. ფოტო №16908 და 16909). ხეტარი დროშისა ზემო ნაწილზე შეძერწილია ოქროთი დაფერილი თხელი ვერცხლის ფურცლით, ბასმით (იხ. ფოტ. №16913 და აგრთვე №16908-909). ამაზე ჩამოკიდებულია მატერიიდან შეკერილი ლომის სახე და როცა ცხენოსან კაცს ეს დროშა უკავია ხელში და ცხენი გაჩქარებით, თოხარიკით მიჰყას, ან აჭენებს, მატერია იშლება ჰაერში ლომის სახით (იხ. უვაროვისა, გვ. 131-134, სურათი, 46, 47). მატერია, რომლიდანაც კერავდენ ლომის სახეს, ეტყობა, ხშირად იცვლებოდა. ბარტოლომეის დროს ის ნაფლეთებს შეიცავდა ხოლმე; მაშასადამე, ის დიდი ხნის ყოფილა; უვაროვის დროს ის აბრეშუმის მატერიიდან იყო გაკეთებული; ჩვენ დროს კი სულ უბრალო, ბამბის ყვითელ მატერიიდან იყო შეკერილი (იხ. ფოტ. №16913). მაგრამ ჩვენ მოვიკითხეთ წინანდელი დროშაც. ვნახეთ და ჩამოვიტანეთ ტფილისში და გადავეცით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს.

დროშის ძვირფას ნაწილს შეადგენს, რასაკვირველია, დროშის თავი, სიგრძით 23 სანტ. განით, ქვემო ნაწილთან 12 სანტ. თავი ხეტარზე ჩამოსაცმელი ლულით და მისი

გაგრძელების ბრტყელი ზოლით იყოფა ორ ნაწილად; ორივე ნაწილზე ერთი პირისა წარმოდგენილნი არიან ფიგურები, მარცხნივ: წ-ა იოანე ლატალისა, წარწერით, მსხვილი ასომთავრულით: წ-Ჲ იონა ლ-ტრისა (sic), (იხ. ფოტო №16908); მარჯვნივ : წმიდა გიორგი სეტისა, წარწერით: წ-Ჲ გ-ი სეტისა.

წმიდა გიორგი წარმოდგენილია რომაულ საომარი ტანისამოსით, შუბით და ფარით, გრძელი მოსასხამით და ხმლით წელს უკან. ნიმბი, როგორც იოანესი, ისე ამისი წერტილებიანი წრისაგან არის.

სიტყვა „ლატარი“ ეხლანდელი „ლატალის“ მაგიერად გვხვდება ლატალის ეკლესიების წარწერებშიაც. მეორე პირის მარჯვენა ნაწილზე დროშის თავისა წარმოდგენილია ფიგურა უღრის მთავარ ანგელოზისა, წარწერით: მთავარ-ანგელოზი უღრისა (იხ. ფოტო №16909). მთავარ ანგელოზი გამოწყობილია რომაულ საომარ ტანისამოსში ფრთებით უკან, სრულის ტანით, მარჯვენა ხელით მხარზე გადებულს ამოწვდილ ხმალს იკავებს, მარცხენა ხელი წელზე ჩამოკიდებულ ხმლის ქარქაშზე დაუდვია. მარცხენა ნაწილი მეორე პირისა უკავია ასომთავრულ წარწერას, რომელიც ჩამოგრძელებულია თავიდან ბოლომდის (იხ. იგივე ფოტოგრაფია). ჩვენს ფოტოგრაფიაზე წარწერა მშვენიერად მოსჩანს და მისი შემოწმება ადვილია. ეს საჭიროა, ვინაიდან მის რუსულ თარგმანში და გაგებაში ბევრი შეუსაბამობაა ჩადენილი მკვლევართა მიერ. წარწერა იკითხება ასე:

ქ	ქ.
უბე	უბედ-
დნიე	ნიერ-
რნ :	რენ
ღ-თ	ღმერთ-
მნ : ერთო	მან ერთო-
ბილსა : ჴ	ბილსა ჴე-
ევსა : ბე	ვსა ბედ-
დნიერსა :	ნიერისა
სჳნთისასა :	სუანეთისასა
ლომი : და დრ	ლომი და დრო-
შის თავი :	შის თავი
დროშიშურთ	დროშითურთ,
თ : ჩემ დიდისა .	ჩემ დიდისა
მონასტრისა :	მონასტრისა
წნრისა : გ-გლ	წინამძღუარისა გრიგოლ
კოპსძისა	კოპასძისა-
გან : მოჴ	გან მოჴ-
სენენ (sic)	სენე-
ბული.	ბული.

ეს წარწერა გადმოღებული აქვს ბარტოლომეის (იხ. ტაბ. II. №25), მაგრამ მის წაკითხვაში ბროსსეს შეცდომები მოსვლია (იხ. ბარტოლომეი, გვ. 231), სიტყვა „სუანეთისასა“ წაკითხულში გამოშვებულია. გამოშვებულია ეს სიტყვა ალ. ხახანაშვილის ტექსტშიც (გვ. 37). დ. ბაქრაძე ბარტოლომეის უჩვენებს, წარწერა არ მოჰყავს და რუსული თარგმანი მცდარია (გვ. 97).

წარწერიდან და დროშის თავის ფიგურებიდან ცხადათ სჩანს: სამი ხევი სვანეთისა, ლატალისა, სეტისა და უღრისა გაერთიანებულან საერთო მიზნებისათვის და ამ გაერთიანების აღსანიშნავად სეტის მონასტრის წინამძღვარს გრიგოლ კოპასძეს გაუკეთებია და შეუწირავს ლომი და დროშის თავი დროშითურთ. ამ დროშის თავზე მას გამოუხატავს მფარველნი ანუ პატრონნი თითოეული ხევისა, ესე იგი წ-ა გიორგი სეტისა, წ-ა იონა წინასწარმეტყველი ლატალისა და მთავარ ანგელოზი უღრისა. ამათ სახელობაზე არის აშენებული თავი ეკლესიები ამ ხევებისა.

უღრის ხევად იგულისხმება, როგორც სამართლიანად აღნიშნა ბროსსემ, უსათუოდ ლენჯერის ჴევი, ვინაიდან ეს ჴევი მდებარეობს სეტის და ლატალის ხევთა შუა და უამისოდ ლატალისა და სეტის გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა.

თუ გაერთიანების სიმბოლოს წარმოადგენენ მფარველნი წმიდანნი ხევებისა, ლომი, გრიგოლ კოპასძის შეწირული, იქნებოდ სიმბოლო გაერთიანებული ძალისა, მათი სიმხნისა და ძლიერებისა. უნდა ვიფიქროთ, ეს ლომის ფიგურა იყო ჩამოსხმული ვერცხლიდან. სვანეთში ჩვენ არ გვინახავს ცხოველის ჩამოსხმული ქანდაკება, მაგრამ საქართველოს სხვა ადგილებში კი გვხვდება. ერთი ასეთი საუცხოო ცხვრის ქანდაკება ვერცხლისა იკოთის ეკლესიიდან ჩვენ კიდეც გამოვეცით (იხ. ჩვენი არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, რუსულ ენაზე, წიგნი V , გვ. 66).

გრიგოლის მიერ შეწირულ ლომს ჩვენამდის არ მოუღწევია, მაგრამ წარწერის შინაარსი ცხადჰყოფს, რომ ასეთი ლომის ქანდაკება არსებულა. მკვლევართ კი ყველას ასე გაუგიათ, თითქო **ლომის ჴევი** ყოფილ იყოს სახელი შეერთებული სამი ჴევისა (ბაქრაძე, გვ. 97; ხახანაშვილი, გვ. 37; გრ. უვაროვისა, გვ. 132). გრ. უვაროვისა სწერს დ. ბაქრაძის და შანშიევის მიხედვით:

ხსენებული დროშა დიდათ მიჩნეულია ადგილობრივი სვანების მიერ; მას განსაკუთრებული პირი ჰყავს მიჩნეული შესანახად და გამოსატანად. სვანების გადმოცემით ეს დროშა თამარ მეფის მიერ არის მათდამი ნაანდერძევი. წელიწადში ერთხელ **ულიშობას**, ესე იგი, წმიდა ელიას დღეს, გამოიტანენ მას და ერთი ცხენოსანი ამ დროშით ჩამოიარს მთელს სოფელს; თუ ამ დროს მატერიის ლომი კარგად გაიბერება, გაიშლება და ლომის სახე კარგად გამოჩნდება, ეს დიდი ბედნიერების და კარგი მოსავლის მომასწავებელია (შანშიევი, მცირე შენიშვნები სვანეთში მოგზაურობიდან, ზაფხულში 1885 წ. რუსულ ენაზე, გვ. 129).

13. **დოქი** ანუ **თუნგი,** ვერცხლისა, შესანიშნავი ხელობისა, 5 გირვანქა წონით, 40 სანტ. სიმაღლით (იხ. ფოტო. № 16923).. სახელური დოქისა მაღალია, სადა, მაგრამ ზედ უზის საუცხოოდ გამოქანდაკებული მხეცი, მგელ-კაცა (ლეოპარდი), რომელიც პირდაღებული და კისერ-წაშვერილი მიიპარება წყლისაკენ (სახე უფრო გარკვეულად იხ. ფ. №16931-16933). ფსკერი დოქისა ცოტა ჩაღრმავებულია შიგ ჩაჭრილი მსხლის მსგავსი ფიგურებით და ირგვლივ კუბიკური წარწერა უვლის (იხ. ფოტ. №16921). მუცელი დოქისა საზოგადოთ სადა დიდია და სამი მხრით შემკობილია ოქროთი მოყვითლულ „დრობნიცებით“, რომელბშიაც მშვენიერი ნახელავი სირინოზების სახეებია წარმოდგენილი. ერთ მათგანში ორი სირინოზია მოთავსებული, დანარჩენ ორში თითო (იხ. ფოტ. №№ 17616 და 17615). ზემო ნაწილზე დოქისა ხელოვნურად გამობერვით განჭედილს და მოყვითლულ აშიაზე არაბესკებში წარმოდგენილნი არიან ძაღლები, რომელნიც მისდევენ ლეოპარდებს (იხ. ფოტ. №16923). ყელი დოქისა მაღალია, აგრეთვე მაღალის და არაბესკებით შემკობილის ტუჩით ამ ყელზედაც სამის

მხრით ოქროთი მოყვითლულ „დრობნიცებში“ მოთავსებულია თითო სირინოზი (იხ. ფოტ. №№16931-16934). იქ, სადაც დოქის მუცელი ყელზე გადადის, პატარა მოჩუქურთმებული სარტყელია; ცოტა უფრო ზემოდ მეორე სარტყელია არაბესკებით და კუბიკური წარწერებით. ასეთივე სარტყელი მოიპოვება კიდევ სულ ზემოდ, ყელის დასასრულს (იხ. ფოტ. №№16923, 16931-16934). უვაროვის სიტყვით, რომელსაც ეს დოქი დაწვრილებით აღწერილი აქვს (გვ. 139. ტაბ. XLI, №№71, 72). კუბიკური წარწერები არ უჩვენებენ არც თარიღს, არც ისტორიულ სახელებს, არამედ შეიცავენ ჩვეულებრივ სურვილებს ბედნიერებისა, სიმართლისა, სიმდიდრისა, ძალისა და სიმხნისა მისი პატრონისათვის.

სვანები ამ შესანიშნავ დოქს თამარ მეფის შემოწირულად სთვლიან და სხვა ჭურჭლებთან ერთად კოშკში ინახავენ. რვა კარგად გამოსული ფოტოგრაფია ამ დოქისა საკმაოდ გვაძლევს წარმოდგენას მის დეტალებზე. ეს დოქ-თუნგი უნდა ჰქონდეს სახეში ბერს ბაქრაძეს, როდესაც სწერს: დიდი თუნგი წვერიანი, ვერცხლისა, 5 გირვანქა.

14. **დოქი ვერცხლისა,** 39,5 სანტ. სიმაღლით, მე-12 საუკუნის ქართული ხელობისა (№16926). ფეხი დოქისა მომაღლოა და დასერილი კოვზების მსგავსად და მოყვითლული; მუცელი მრგვალი აქვს, შემკობილი სამი „დრობნიცით“, რომელნიც მოცულნი არიან ნაზი სევადის ორნამენტით. იქ, სადაც მუცელი ყელზე გადადის, ოქროთი დაფერილი სარტყელია, ნაჭედი, ზოლებით შემკობილი. ყელი მაღალი აქვს; პირი ფართო, რომელს უვლის ვიწრო ლამაზი სარტყელი. ხელი მსხვილი აქვს და მაღალი, ნაწილობრივ მოყვითლული და შემკობილი წახნაგებით. სახელური უერთდება დოქს ლომის ანუ ვეფხის პირით. პირის ქვემოდ სევადით გამოყვანილია დიდი ასომთავრულით წარწერა, რომელიც არ იყო შემჩნეული ბარტოლომეის, ბაქრაძის, უვაროვის და ხახანაშვილის მიერ. წარწერა ჩვენ გადმოვიღეთ ოთხ ფირფიტაზე (იხ. ფოტ. №№ 16927- 16930). ის იკითხება ასე:

: ქ : ღ-თნ : უბდ -ნრნ : ღ-თსა : სწორსა : მ-ფთა : მ-ფსა :

გ-ის : მ-წს : ამ-რსა : ქვთ-რსგნ.

ესე იგი: ღმერთმან უბედნიერენ ღმრთისა სწორსა მეფეთ მეფესა გიორგის მიწისა ამირასა ქავთარისაგან.

აქ საუბარია მეფე გიორგი მესამეზე, თამარ მეფის მამაზე, (1156-1184) და ეპიტეტი ღვთის სწორი მას ეკუთვნის. ამირა ქავთარ ცნობილი არ არის ჩვენს წყაროებში, მაგრამ გიორგი მესამის დროს იხსენიება ერთი ქავთარ მეჯინიბეთუხუცესი. შესაძლებელია ის შემდეგ გახდა ამირად ქართლისა ან ტფილისისა (H.G.I.p. 399) ეს დოქი აქვს სახეში ბერს ბაქრაძეს, როდესაც სწერს: დიდი თუნგი ვერცხლისა, გიორგი მეფისა, 4 გირვანქა.

ამის და წინა დოქის სურათები მოთავსებულია აგრეთვე ალბომში „ვასტოჩნოე სერებრო“, პეტერბურგი, 1909 წ. ტაბ. LXXIII, 129, 130. ამას გარდა ერთ-ერთ ტფილისის პერიოდულ გამოცემაში მოთავსებული იყო სურათი უკანასკნელი დოქისა და ჯეროვანად განმარტებული მისი წარწერაც. სამწუხაროდ, ეს გამოცემა ეხლა ხელში არა გვაქვს, არც მისი სათაური გვახსოვს და არც ავტორის გვარი. ავტორი ჩვენს შემდეგ ყოფილა მესტიაში და ამბობდა, თითქო მის მეტს წარწერა არავის შეენიშნოს, მაგრამ, როგორც მკიხველი ხედავს, ჩვენ წარწერა არა თუ შევნიშნეთ,

არამედ მის გადმოღებას ოთხი „ფირფიტა“ მოვანდომეთ. ეს სურათები უკვე იყო ჩვენს უნივერსიტეტში და მუზეუმებში, მანამ ავტორი მესტიაში გაემგზავრებოდა.

15. **ჩაფი** ანუ **ჩაყვა**, ვერცხლისა, ორი პატარა სახელურით, ფეხებიანი, 23X26 სანტ. მოყვანილობა ჩაფისა ფრინველს მოგვაგონებს. ქვემო ნაწილზე ნაჭედი გამობერვილი შემკობილობა აქვს მსხალის მსგავსი სახეებისა, ხოლო ზემოდ ნაჭედი ორნამენტალური სარტყელი. სახელურზე ერთი ლალი უზის. საერთოდ ლამაზი ნახელავია (იხ. ფოტ. №17023); ფსკერზე გარედან მხედრული წარწერა აქვს (№16935):

: ჩუენ : მეფეთ : მეფემ და : ჴელმწიფემ დადიანმან :
პატრონმან : ვამეყ : დედოფალთ : დეოდფალმან ბა-
ტონმა : ელენემ შემოგწირეთ : ჩაყვა : ესე შენ : წმიდა :
გიორგის : სეტისას : ჩვენდა სადღეგრძელოდ და გასა-
მარჯჳვებლად : შვილების : ჩვენის : აღსაზრდელად.

ამ წარწერაში მოხსენებული ვამეყ არის ვამეყ მესამე, დადიანი, ძე გიორგი ლიპარტელიანისა. ის მემკვიდრე იყო ლევან მეორე დადიანისა, მაგრამ გაძევებულ იქმნა სამეგრელოდან ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთის მიერ და გადაიხვეწა სვანეთში, სადაც მოკლულ იქმნა 1660 ანუ 1661 წელს (H. G. II. I liv. p.p. 274-280. Chroniques Geor. p.p. 86. . .87). ამაზე უფრო ვრცელი მისი წარწერა არის ამგვარსავე, მაგრამ უფრო დიდს ჩაყვაზე, რომელიც ჩვენ ვნახეთ ოთარ დადეშქელიანის სახლში, ეწერში. ამის შესახებ ქვემოდ იქნება საუბარი. ბერი ბაქრაძე სწერს: დიდი ჩაფი ვერცხლისა რუსუდან დედოფლისა (?), 5 ¼ გირვანქა. აქ თუ სხვა ჩაფი არ იგულისხმება, მაშინ რუსუდან დედოფლის სახელი შეცდომით უნდა იყოს მოყვანილი.

16. სრულიად ასეთივე **მეორე დიდი ჩაყვა** ანუ **ჩაფი**, 26X23 სანტ. განირჩევა პირველიდან მხოლოდ შემკობილობის ხასიათით ზემო სარტყელისა (იხ. ფოტ. № 16936). ეს უნდა ჰქონდეს სახეში ბერს ბაქრაძეს, როდესაც სწერს: დიდი ბადია, 4 გირვანქა. სახელური ბატის ნისკარტს ჩამოჰგავს.

17. **მესამე ასეთივე ჩაყვა,** 24X 19 სანტ. უფრო სადაა, ვიდრე პირველი ორი.

18. **სასანთლე ვერცხლისა,** სადა მსგავსი ყირამალად დამდგარი საყვირისა, 27 სანტ. სიმაღლით (იხ. ფოტ. № 16939). ირგვლივ აქვს მხედრული წარწერა:

ქ : ესე სასანთლეს (sic) დეის მამა ჯოლიას არის
შემდეგ:
შემოგწირეთ : ჩვენ : მეფეთ მეფემ : პატრონმან : ბაგ-
გრატ და თანა : მეცხედრემან : ჩუენმა დედოფალმან :.
ბატონმან : თამარ სასანთლე ესე :. ხელმწიფობისა ჩვე-
ნისა : წარსამართებლად :. წმიდას :. გიორგის . სე-
ტისას :. ქრ·ს : სამას :. ორმოცდა :. თერთმეტსა :.

ქორონიკონი უდრის 1663 წელს. აქ მოხსენებული მეფე ბაგრატ არის იმერეთის მეფე ბაგრატ მეოთხე (1661-1680), თამარი, კონსტანტინე მუხრან-ბატონის ასული, მანვე ამავე 1663 წელს შეირთო.

19. **საცეცხლური ბრინჯაოსი,** სირიული რიგისა, ტლანქი გამობერვილი სახეებით ახალი აღთქმის სცენებისა. ეს სცენები კარგად მოსჩანან ჩვენს სამს ფოტოგრაფიაზე, №№16937-16939.

20. **ზარი დიდი,** გატეხილი მხედრულის წარწერით (იხ. ფოტ. №16911).

ქ . ჩუენ :. ღ-თივ :. გუირგუინოსანმან :. მეფეთ :. მე-
ფემან :. ბატონმან :. ალექსანდრე :. შემოგწირეთ ;. მცი-
რე :. შესაწირავი :. ზარი :. ესე :. თქუენ :. მოწამეთა :.
მთავარსა :. წმიდას ; გიორგის :. სეტისას :. მეფობისა :.
ჩუენისა :. წარსამართებლად :. და დღეთა :. ჩუენთა:.
სადღეგრძელოდ :. ჰოი ;. წმიდაო :. გიორგი :. მეოხ :.
მცველ : და მფარველ :. გუექმენ :. აქაც :. და მას :.
დღესა :. დიდსა :. განკითხვისასა :. წინაშე :. ღ-თისა :.
ამინ.

21. **მეორე უმცროსი,** მაგრამ კარგად შენახული ზარი, იმავე ალექსანდრე მეფისა; ზარი შეწირულია სეტის მთავარ ანგელოზის ეკლესიისათვის, მაგრამ ინახება ამ წ-ის გიორგის ეკლესიასთან. აქვს შემდეგი მხედრული წარწერა:

ქ . შემოგწირეთ თქუენ სუანეთის სეტიას მთავარანგე-
ლოზსა ჩუენ მეფეთ მეფემან ალექსანდრემ ზარი ესე.
შეიწირეთ წმიდანო მთავარანგელოზნო მცირე შემოსა-
წირავი ესე მეფობისა ჩუენისა წასამართებლად და ცოდ-
ვათა ჩუენთა შესანდობარად.

ყურადღების ღირსია, რომ წარწერებში ეხლანდელი თემის სახელი მესტია არ გვხვდება, არამედ ყოველთვის სეტი, წინეთ ალბათ სახელი მესტია არ არსებობდა და მთელი თემის ანუ ხეობი სახელი იყო სეტი.

22. ბარტოლომეის დროს ამ ეკლესიაში ინახებოდა **ლაგამი** უცხო ფორმისა, **ცული** მახვილოვანი ორივეს მხრით და **ფარი**. დეკანოზი (უკეთ ვსთქვათ, პაპი) ირწმუნებოდაო, ამბობს ბარტოლომეი, რომ ეს ლაგამი ოდესღაც თამარ მეფეს ეჭირა ხელშიო და მით ატარებდა ცხენსაო, ხოლო ცული მის წინ დაჰქონდათო. ფარზე ყოფილა ამოჭრილი რამოდენიმე სანახევროდ გადასული არაბული ლოცვები, უმნიშვნელო (იხ. ბარტოლომეი, გვ. 169). ეხლა არც ერთი ეს ნივთი აღარ არის.

23. უფრო სამწუხაროა მეორე ძვირფასი ნივთის დაკარგვა, რომელიც წინეთ ინახებოდა ამ ეკლესიაში. ეს იყო **ვერცხლიდან გამოქანდაკებული** ანუ **ჩამოსხმული სირინოზი**, რომლის წონა ყოფილა ბერი ბაქრაძის აღწერილობით, სამი გირვანქა. ის ასე იხსენიებს ამ ნივთს: სირინოზნი ვერცხლისა, სამი გირვანქა; ორივეს მხრით თავი ქალია და ბოლო თევზისა. ჩვენ დიდი მადლობელი უნდა ვიყოთ ბერნოვილისა, რომელსაც გადმოუხატავს ეს ნივთი და მოუქცევია მისი სურათი თავის გამოცემაში

(გვ. 137, სურათი 17). ამ სურათითაც ცხადათ სჩანს, თუ რა შესანიშნავი ხელოვნების ნივთი ყოფილა ეს სირინოზი; ბერნოვილის სიტყვით, მისი სიმაღლე ყოფილა 40 სანტ. ის სამართლიანად შენიშნავს, რომ თავი და თავის შემკულობა ამის ნამდვილი ქართული ხასიათის არისო. ეს ნივთი საკმევლის შესანახად ყოფილა განკუთვნილი.

24. ბერნოვილს უნახავს ამ ეკლესიაში კიდევ **ორი ვერცხლის ბარძიმი,** შემკობილი ორნამენტებით და მათი სურათი მოუთავსებია თავის შრომაში (გვ. 138). მისი აზრით, ესენი სამასი თუ ოთხასი წლის წინათ უნდა იყვნენ გაკეთბული. ჩვენის აზრით, კი ბევრად უფრო გვიანია. არც ეს ბარძიმები შენახულა ჩვენს დრომდის.

25. **სახარება,** 26X 22 სანტ. დაწერილი ეტრატზე კარგის ასომთავრულით ორ სვეტად, თითოეულ სვეტზე 19 სტრიქონია, ყდა ხისა აქვს, ტყავ-გადაკრული. ორივე მხარე ყდისა შემკობილია ჯვარით, რომელიც გამოყვანილია ვერცხლის ლურსმის თავების მაგვარად. ყდა დაზიანებულია, ფრუცლები არეული. შეიცავს 304 ფურცელს. ამას გარდა ოთხ ფურცელზე წარმოდგენილია კარგი ნახელავი ოთხი მახარობელის სურათი, ფერადის წამლებით დახტული. ესენი ყველა გადმოღებულია, (იხ. ფოტ. №№17183-17186). რვა ფურცელი (და არა შვიდი, როგორც ა. ხახანაშვილი ითვლის), უჭირავს ფერადებითვე საუცხოოდ შესრულებულს კანონებს (ესენიც გადმოღებულია, (იხ. ფოტ. №№17187-17194); ერთ ფურცელზე ასეთივე შემკობილი კამარა არის ორ სვეტზე დაყრდნობილი და ამ კამარის ქვეშ წარმოდგენილია ერთობ ლამაზი წნული ჯვარი წითელს ფონზე მცენარეებითურთ დაბლა. ჯვარი შესრულებულია მწვანე ფერადებით. ჩვენ ესეც გადმოვიღეთ (იხ. №17195). ერთი ფურცელი ამ სახარებიდან ამოჭრილი ჩვენ ვნახეთ ლატალის საზოგადოებაში მცხოვრებ სევასტი ჩარკვიანის ხელში; ამას ეს ჯიბეში უძევს, საფულეში, ოთხად დაკეცილი, და სულ თან დააქვს, რომ არვინ მოჰპაროს. ეს არის პირველი ფურცელი მე-21 რვეულისა. ამ ფურცლის ქვემო აშიაზე მერმინდელის ნუსხა ხუცურის ხელით სწერია:

„სეტისა წა-ნდა გიორგის შემოგწირე მე თავადმა ზურამ
ჩარკვიანმა ჴატი ესე მაცხოვრისა და შემიწყალე მონა
შენი ამინ“.

როდესაც მე ვკითხე, თუ რად ამოიღო ეს ფურცელი სახარებიდან, მან მიპასუხა: ეს ჩემი თავადობის საბუთია და მე უნდა მქონდესო. ამაზე მესტიელებმა დასტური დამცესო. ჩარკვიანები აზნაურები იყვნენ და თავადებად საბუთებში არა სჩანან; შეიძლება მინაწერი ყალბი იყოს.

სახარების ტექსტი იწყება ევსების წერილით კარპიანესადმი. იოანეს სახარების ბოლოში წვრილის ნუსხა ხუცურის ხელით სწერია:

დ-ბჲ ღ-ა დაესრულა/ წ-ჲ ესე წიგნი სხრბისაჲ/ ო-ო იჳ
ქ-ე **მოწყალებითა/შენითა** : შეიწყალე : და ადი/დე სუ-
ლიერად : მონაუ შენი/ მომგებელი წ-დისა ამის/ წიგ-
ნისაჲ ილ-ნ იშხნელი ა-ნ/იყვნ :.

ხელნაწერის ბოლოს ვრცელი შესავალის შემდეგ არა ისტორიული შინაარსისა ვკითხულობთ:

რლ-ისათ-სცა მე საწყალ/ობელმ-ნ და ყ-ლთა შ-ს მკ/უი-
დრთა სფ-ლსთან/ კლულევანმნ და უნა/ნელმ-ნ გლა-

ხაკმ-ნ ილა/რიონ ძემ-მასორსმ-ნ/ იშხნელ ეპისკო-
პოზ/მან მოვიგე წ-ჲ ესე ო/თხთავი და აღვაწე/რიე ფა-
სითა სრულე/ბითა რ-ფ-დი, წადიერე/ბით სურვილი და
სიყუარული მაქუნდა / ამისა მიმარ-თ და შევი/ყუარენ
თხრობანი ესე/ და ესეც მსგავსად ძალია ჩემისა რ-ლი
პატი/ჟთა მ-თ ზემო ჴსენებულ/თა დაჴსნასა გუაოწყებს/
და კეთილთა მ-თ მჴსნელისა /ჩ-ნისა მ-რ ყოფ-ლთა[1] გუ-
ახარ-ბს/ და შერაჲ ვიყურე ვიღუაწე / მოგებად და
აღვწერე ლავრ/ასა შ-ა კ-ხლსა წ-დისა წინა მორბედისა
იოვანესა ოშკს კლ-თა გლახ/კისა გბ-რლ გ-ის ძმის წუ-
ლისაჲ/თა ქრონიკუნსა :. ს-ნ-გ :. სა :./

სალოცველ-ღ და სადიდებე/ლად ღ-თივ მ-რწმონეთა
მ-ფთა /ჩ-ნთა ბგ-რტ კურაპალატისა/ და დ-დისა მათისა
მ-რმ დედოფ/ლთა დედოფლისა ად-ნ ღ-ნ/ სალოცველად
და სალხინებ/ლად საწყალობელისა ს-ლისა/ ჩემისა და
სა[ლოცვლ-დ სულთა]/ თ-სთა ჩემთა ც-ცხლთა და
მ-ცვ/ლებ-ლთასა და სალ-ცვე/ლ-დ ძმისა ჩემისა იოვა-
ნესა/და შვილთა მისთა მასო/რის და გ-ისთ-ს აწ გვედ/-
რები ყ-ლთავე რ-ნი იმსახო/რებდეთ და აღმოიკიტხვი/-
დეთ წ-ა ამს წიგნსა ჴსენე/ბულმცა ვარ წ-თა შ-ა ლ-ც/-
ვთა თქ-ნთა :. / აწ რაჲსაცა ვის მიზეზი/სა გზისა (sic)
წ-ჲ ესე წიგნი ვის/თ-ნაცა მოიწიოს და შემო/გივრდეს
(sic) და ჩემად ვეღარ / მოიწიოს და მე გამომა/ჴუას
განა თო მე თჳთ და / ოტეო ვის და მივსცე სა/ლოც-
ველად ჩემდა და მას გამოა¯ჴუას [კრულმცა] არს სიტყუ-
ითა/ დაოსაბამოჲსა ღ-თისაჲთა / ექუსთა კრებათა მად-
ლითა / . . . ე : პტრიაქთა ჯ-ითა წ-თა მოციქუ/ლთა მ-დლი-
თა იოვანე ქ/ართლისა : კ- : ჯ-ითა და / ვინცა ვინ ესე
ჩემი დაწე/რილი საქმით აღასრულოს/ ჯ ჲ აქუს ღ-თი-
ასგ-ნ და ჩემ/გლახაკისაგ-ნ:. /
აწ გევედრებით ყლთა რ-ი / შმდგომით შ-დ ღირ(ს)
იქმნეთ და /გ-ოლის ჴმა ყავთ პოვნად / სარგებელისა
ნამოშაკევისა / ამისგ-ნ ჩ-ნისა რ-მეშინის ნუ / უკუე
და არღარა საძიებელ / იყო ამიერითგ-ნ დ-დი ესე სა-
იდ / ომლოჲ ჴსნის-ჲ ვინაჲთგ-ნ აწ / ვე უწყი ეს
წ-წტყლბათა / აღსრულებ-დ და მიდრეკილ ა / რ დღე
და შეურაცხს ოქრუჲ / სიწმიდე წ¯ე მდებარე არს ძღ¯ლთა / და
მარგალიტი დაითრგუნვის ღრ / თ¯ა მ¯რ გ¯რნა ოქრუჲ ოქრუჲ არ /
ს და მარგალიტი ღრთ¯ა მ¯რღა თო /
დაითრგუნვის იხილეთ გ-ნყო / ფილებ-ჲ შ-ს მრგ-ლტის
და ღ-რთა / ყავთ ჴსენებაჲ ჩ-ნი კ-თლი და მიით / უალეთ
გულს მოდგინებ-ჲ რ-ა / თ-ქნ და ჩ-ნ ნაყფ-რ ვიპ-ვნთ

---

1 უნდა იყოს: ყოველთა.

ო-ისა / ჩ-ნისა ი-ჯ ქ-სა მ-გამოჩინებ-სა მის / სა დ-ბჲ
თნა სამარადისოდ თმმ-თ / ერთარსებითა სლისა წდი-/
საჲთა უკუნი / თი ო-კე /ა-ნ :

ეს ანდერძი შესავალითურთ ჩვენ სრულად გვაქვს ფოტოგრაფიულად გადმოღებული, იხ. №17182, 17207.

ამ სახარებას იხსენიებს ბარტოლომეი; ბაქრაძეს ნაწილობრივ აქვს ანდერძი გადმოწერილი და შეცდომით ოშკის მონასტრის მაგიერ ოპიზას კითხულობს (გვ. 98); ხახანაშვილს სრულად აქვს ტექსტი ანდერძისა მოყვანილი, მაგრამ შეცდომებით; ზოგირთი სიტყვები მას გამოშვებული აქვს. ზოგიერთ ადგილებს ტექსტისა ის ადარებს სხვა ხელნაწერ სახარებათა ადგილებს (იხ. გვ. 9-13). ხელოვნების მხრით სახარება აღწერილი აქვს გრ. უვაროვისას (გვ. 149-150), ორი სურათით, ერთი იოანე მახარობელისა (სურ. 78) და მეორე კამარისა (სურ. 79).

26. დ. ბაქრაძე უჩვენებს სეტის ეკლესიაში პატარა ჯვარცმის ხატს, წარწერით (გვ. 17);

ქ ჯუვრცმაო ქ	ჯუარცმაო ქ-
რისტესო : მეოხ	რისტესო, მეოხ
ექმენ : სას	ექმენ სას-
ოებით : მო	ოებით მო-
ქენესა : თქ	ქენესა თქ-
ვნსა : გუგა	ვენსა გუგა-
ელიგას :	ელიგას
უდარანსა : და : მღ	უდარანსა და მეუღ-
ლსა : მსა : ლელას .	ლესა მისა ლელას.

ეს ხატი იქ აღარ მოიპოება.

ეს ხატი ჩვენ იქ არ გვინახავს, როგორც არ უნახას ეს გრაფინია უვაროვისას და ა. ხახანაშვილს, მაგრამ შემდეგ ბ. ნიჟარაძემ ტფილისში მოგვიტანა პატარა ვერცხლის მოოქრული ფირფიტა, რომელიც, ეჭვს გარეშე, შეადგენდა ზედა პირს პატარა სახარების ყდისა. აქ შუაში წარმოდგენილია ჯვარცმის ფიგურა წინამდგომებით, მარიამით და იოანეთი; თავი მაცხოვრისა დაზიანებულია, ოთხივე მხარით შუა ფირფიტას ახლავს მცირე ფირფიტები, რომელნიც ფარავდენ წინეთ ოთხივე მხარეს სახარების სისქისა და ამათზე მოყვანილია ზემო აღნიშნული წარწერა, ხოლო ეხლა ის ნაწილი, სადაც წერებულა მეშვიდე სტრიქონის ასოები: **ელი,** მოტეხილია. ამას გარდა, კუთხეებში ამ მცირე ფირფიტებისა წარმოდგენილია წელსზევითი ფიგურები წმიდათა; ამათში ქევმოდ, მარჯვენა კუთხეში, ღვთის მშობლის ფიგურა მთელად დაცულია, მარცხნივ, დაზარალებულია და მარჯვნივ ქევმო ნაწილი დაცული. ყველა ფიგურას ხელები გულზე აქვს გაშლილი სავედრებლად. ჯვარცმის ხატს მესტიაში ბერი ბაქრაძეც იხსენიებს 1864 წლის აღწერაში ამ სახით:

„ხატი ჯვარცმისა მცირე, ოქროსი, შემკობილი გუგა გელიგას უდარანსა და მეუღლისა მისისა ლელუასაგან“.

ცხადია, ეს შეცდომით წაკითხულია, მაგრამ ეჭვი არ უნდა იყოს, რომ ორივე ავტორს ეს ჩვენ მიერ აღწერილი ფირფიტა აქვთ მიღებული ჯვარცმის ხატად. ხელობა მე-16 საუკუნის უნდა იყოს. ფოტოგრაფიული სურათი აღნიშნული ფირფიტისა ხელთა გვაქვს, მაგრამ ეს ერმაკოვის კოლექციაში არ შედის.

სოფელი ლაღამი.

სოფელი ლაღამის ეკლესია მაცხოვრისა ძველია, თლილის შირიმის ქვისაგან აშენებული. ეს ეკლესია სხვებისაგან დიდათ განირჩევა. სულ ქვემოდ, მიწაში ამას სარდაფი აქვს, რომელიც საბერო სენაკსა ჰგავს და მართლაც, სვანების გადმოცემით, აქ ბერი ცხოვრობდა. აქედან თქვენ ადიხართ მეორე, უფრო ვრცელს ზალის მსგავს ოთახში, რომელიც თაღებით არის მოცული, მაგრამ ეს კიდევ ეკლესია არ არის, ამას საკურთხეველი არ ახლავს. ეკლესია არის იმ ზალის ზემოდ, პატარა; მას დასავლეთით ეკვტერი აქვს და აქედან არის შესავალი ეკლესიაში. ამნაირად, ეკლესია თითქო სამ-სართულიანია, მაგრამ ჩვენის აზრით, სამივე ნაწილი სხვა და სხვა დროს არის აშენებული და ამიტომ ერთი სახე არა აქვს. ეკლესიის ნაწილი თვალსაჩინოდ განირჩევა სხვა ნაწილებისაგან და ეტყობა, შემდეგ არის აშენებული. მთელი შენობა შემოზღუდულია გალავნით და ორი კოშკით; შენობა იჩრდილება მაღალი, ტოტებ-გაშლილი იფნის ხეებით (იხ. ფოტ. №17622). მარჯვნივ ეკვტერს მიშენებული აქვს ოთხ-კუთხედი ოთახი, რომელიც ეკლესიას არ უერთდება კარებით. კანკელი ძველია, ქვისა, მოხატული, სამი კამარით, ერთი შესავალი კარით, რომლის ორივე მხარეს პატარა სვეტებია; ხოლო კუთხეებში ნახევარი სვეტები. საკურთხეველში ორი პატარა უბეა. ერთი სარტყელი, რომელზედაც თაღია დამყარებული, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს ჰყოფს ორ-ორ კამარათ. ფანჯარა აქვს აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. ფრესკები ჰქონია ამ ეკლესიას არა თუ შიგნით, აგრეთვე გარეთაც, ზემო ნაწილში, მაგრამ ეხლა მოშლილია; შიგნით კედლები ორ რიგად არის გაყოფილი; ზემო ნაწილში უფრო მოსჩანან ფრესკები. საკურთხევლის კონქში მაცხოვარია; ჩრდილოეთის კედელზე, ზემოდ ყოფილა მიცვალება ღვთის მშობლისა, ვინაიდან აქ გავარჩიეთ წარწერა: აქა დედისა ღ˙თისა მიცვალება. ამას ქვემოდ ყოფილა წარმოდგენილი აღმაშენებელი ეკლესიისა, სრულის ტანით, მაღალის ქუდით, ქართული ჭრელი ტანისამოსით და გრძელის სარტყელით, შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ წვერიანი. სამხრეთის კედელზე ეტყობა ფრესკების წარწერა: კვირიკე, აბერკი, წ˙ჲ გიორგი. ა. სტოიანოვის დროს ფრესკები უკეთ ყოფილა დაცული (გვ. 392-393). ამ ეკლესიის გეგმა და განაკვეთი ჩვენ ხელთა გვაქვს. ეკლესიაში ინახება:

1. საუცხოო ხელობის **ხატი სიმეონ მესვეტისა**, ოქროთ დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, 36,5X23 სანტ. (იხ. 16924). შუა ნაწილში ხატისა ამართულია დასერილი სვეტი, დამყარებული კვარცხლბეკზე სამი საფეხურით; შუაში ეს სვეტი შემკობილია აკანთით და სვეტის თავი კორინთის რიგისაა, მშვენიერად შესრულებული. სვეტის თავზე წელსზევითი ფიგურაა სიმეონ მესვეტისა, წვერით და საბერო ბარტყულით თავზე, წამოსასხამით ტანზე და ასომთავრული

წარწერით : წ-ჲ ს-მნ ს-კრლ-თა მქდი. ხელები გაშლილი გულზე აქვს მიდებული, ლოცვის სახით. თავის ირგვლივ ორი დიდი წრე უვლის, შეერთებული სამ ადგილას ზოლით, ჯვარის სახეთ. ფიგურა ერთობ ლამაზია. მარცხნივ სვეტისა, ქვემოდ, საეპისკოპოზო ტანისამოსში გამოწყობილი მაღალი ფიგურაა წარმოდგენილი, სავედრებელად მიმართული ხელებით და წარწერით: „ა-ნტი ც-გრლი“ ჩარჩო ხატისა შემკობილია ერთობ ლამაზი ნახელავი, გაშლილი ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით და მედალიონებით წმიდათა. ზემოდ ვედრებაა, წარწერებით სახელებისა: ი-ჳ ქ-ე, დ-ა ღ-ა, წ-ჲ ი-ე; მარჯვნივ და მარცხნივ მთავარ ანგელოზნი: წ-ჲ გ-ბრლ, წ-ჲ მ-ქლ და პეტრე და პავლე: წ-ჲ პ-ე, წ-ჲ პ-ლე; ქვემოდ მოციქულნი: წ-ჲ მათე, წ-ჲ ლ-კა, და წ-ჲ გ-ი. მარჯვნივ თექვსმეტ-სტრიქონიანი წარწერა:

მე გლ-ხკმ-ნ ა-ნ	მე გლახაკმან ან-
ტ-ნი ცგ-რლმ-ნი	ტონი ცაგარელმან იშ-
შ-ხს ყფ-სა ჩ-მსა	ხანს ყოფასა ჩემსა
მტტ-ვრლი ად-გლ	მტტვ-რლი ადგილი
ი ოჴ-რი ვნ-ჴდა	ოჴერი ვნახე და
ვ-შნე და წ-ა სმ-ნს	ვაშენე და წმიდასა სჴმეონს
შვ-სწრე და ხ-ტი	შევსწირე და ხატი
ესე შ-ვქმნ ეკლს	ესე შევქმენ, ეკლესია-
ამ-სა დაოსნე	სა მისსა დავასუენე
ს-ჴსრდ სლ-სა ჩ-მისა	საჴსრად სულისა ჩემისა
ვინცა კნინი ნ	ვინცა კნინი ნა-
მსხრბი ესე ჩ-ი შეც	მსახურები ესე ჩემი შეც-
ვლს წ-ჲ ს-მნ არსმ	ვალოს, წმიდაჲ სჴმეონ არსმ-
ცა დ-სჯლი მ-სი წ-ე	ცა დამსჯელი მისი წინაშე
ქ-ა დ-ღს მს გ-ნკი	ქრისტსა დღესა მას განკი-
თ-ვს-სა ამნ .	თხვისასა, ამინ.

ეს წარწერა პირველად ბარტოლომეიმ გადაიღო და ბროსსემ გაარჩია (ბარტოლომეი, გვ. 195, 230, ტაბ. IX, №23) შეცდომებით. საკვირველია, რომ დ. ბაქრაძეს და ა. ხახანაშვილს ლაღამის ეკლესია არ უნახავთ. დ. ბაქრაძე ერთ ადგილას იხსენიებს ანტონ ცაგარელს, უჩვენებს ბარტოლომეის შრომას და ამბობს: წარწერა მე ვერ ვნახეო (გვ. 80).

ბერნოვილს ეს ხატი გადმოუხატავს (გვ. 135, ნახ. 14), მაგრამ სამწუხაროდ, არა ჯეროვანად; სიმეონ მესვეტისათვის ქრისტეს სახე მიუცია და ის ქრისტედ ხადის; ხოლო ანტონი ცაგერელი ვიღაც წმიდანად გამოჰყავს. ხელობას კი აღტაცებით იხსენიებს.

გრ. უვაროვისა ბარტოლომეის გადმოღებულ წარწერას უჩვენებს და შენიშნავს, რომ წარწერა ძნელი წასაკიხიაო (გვ. 107). მან დაწვრილებით აღწერა ეს ხატი და გამოარკვია, რომ სვეტზე ქრისტე კი არ ზის, არმედ სიმეონ მესვეტე და გამოსცა ფოტოგრაფია ხატისა, მაგრამ არა ვარგი.

კვარცხლბეკის საფეხურზე ჯვარისა მოიპოება კიდევ მეორე წარწერა, რომელიც შეუმჩნეველი დარჩა მკვლევართა მიერ. წარწერა იკითხება ასე:

ქᲬᲔ ფილიპე ქრისტე, შემიწყალე ფილიპე
ოქრო მჭედელი ᲐᲔ ოქრო მჭედელი, ამინ.
წᲔᲝ სმნ ᲬᲔ ანტი წმიდაო სჯმეონ, შეიწყალე ანტონი.

ამ რიგად, ეხლა ვიცით, რომ ხატი შეუკვეთია ანტონი ცაგერელს იშხანს ყოფნისა შინა; ხოლო გამჭედელი ყოფილა უებრო ოქრომჭედელი ფილიპე, წინამორბედი ბეშქენ და ბექა ოპიზართა. უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონი წინეთ ცაგერელი ყოფილა და შემდეგ გამხდარა იშხნელი, იშხნის ეპისკოპოზი ტაოში, და იმ დროს მოუგია ეს ხატი. იშხნის წარწერებში მოხსენებულია ორი ანტონი. ერთი მათგანი ყოფილა არქიეპისკოპოზი და განუახლებია იშხანის ეკლესია 11032 წელს. მეორე იშხნის ეპისკოპოზს ანტონის გიორგი II-ს დროს (1072-1089) განუახლებია კარის ბჭე იშხნის ტაძრისა[1]. ერთი ამათგანი უნდა იყოს მომგები ჩვენის ხატისა. ამრიგად, ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-11 საუკუნეს და არა მე-12-ს, როგორც ფიქრობს გრ. უვაროვისა (გვ. 107).

2. **ხატი მაცხოვრისა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 79X59 სანტ. (№16941). მაცხოვარი ტახტოსანია, ჩვეულებრივის სახით და დიდის ჯვარის ნიმბით. წარწერა სახელისა: მცხრ. ეზო შემკობილია ვაზის შტოთა ორნამენტით. ჩარჩო წვრილის რომბ-ლურსმულის ორნამენტით და წმიდათა მედალიონებით. ზემოდ ვედრებაა, აქეთ-იქით მთავარ ანგელოზნი; ქვემო აშია მოშლილია. ქვემორე წარწერა:

ქ. მცხვრო შვნდნ. ცდნ. აქᲬᲓს.

ესე იგი: მაცხოვარო შეუნდვენ ცოდვანი აქადარს.

ხატი უნდა იყოს მე-16-17 საუკუნისა.

3. **ხატი წᲔᲐ გიორგისა,** კარედი, სამი ფრთით; შუაში და შიგნით კარებზე წმიდათა სახეები ყოფილა წამლით დახატული. მაგრამ ეხლა სულ მოშლილია; ოქროს მოცულობა მათი, ლამაზი ხელობისა, დარჩენილია. შუაში ყოფილა წᲔი გიორგი, წარწერით: წᲔᲣ გ ი; მარცხენა ფრთაზე წᲔᲐ დიმიტრი: წᲔᲣ დᲔე; მარჯვენაზე: წᲔᲣ თᲔე (ასოები გადმობრუნებულია). აშიები შემკობილია ლამაზი ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით (იხ. ფოტ. №16950). გარეთ კარებზე წარმოდგენილნი არიან ნაჭედი მთავარ ანგელოზები, წელს ზევით; მარცხნივ მიქაელ, წარწერით: წᲔᲣ :. მქელ მთვრნგზ. მიქელ საომარ ტანისამოსითაა, მარჯვენა ხელში მხარზე გადებული ხმალი უკავია; მარცხენა ხელი ხმლის ქარქაშზე უდევს: ნიმბი დიდი აქვს. მარჯვენა კარზე გაბრიელ მთავარ ანგელოზია, წარწერით: წᲔᲣ გბრელ. ამას მარჯვენა ხელში საზომი აქვს, მარცხენაში – ბურთი, ზედ გამოსახული ჯვარით. ქვემოდ რვა-სტრიქონიანი წარწერაა (№16949):

მფარველ მექმენ მოსავსა შენსა

წᲔᲝ : გᲔი მოხ დ მფრვლ წმიდაო გიორგი, მეოხ და
მქმᲔნ : მოსვა : შნსა მფარველ მექმენ მოსავსა შენსა
ნამორაძეა გრი ნამორაძესა გრი-

გოლს : დ მეჯღლესა	გოლს და მეუღლესა
ჩემსა : გა	ჩემსა გა-
რნდხს : დ	რანდუხს და
შვილთა :	შვილთა
ჩ-ენთა : ამნ	ჩვენთა, ამინ.

ჩვენის აზრით, გარე ფიგურები და მორთულობა ამ კარედ-ხატისა არ არის უძველესი მე-16-17 საუკუნისა. ხოლო შინაგანი ნაწილი უფრო ძველი უნდა იყოს, ასე, რომ არა უგვიანეს მე-14 საუკ.

4. **ხატი წინასწარმეტყველი იონასი,** კარედი, სამ-ფრთიანი 14,5X12 სანტ. ყველა ფიგურები და ნაწილები ხატისა წამლით არის დახატული; შემკობილობა

---

1 ეს გამოირკვა ჩვენი ექსპედიციის დროს 1917 წელს.

მეტალისა არა აქვს. (№16940). შუა ნაწილში წარმოდგენილია წინასწარმეტყველი იონა დიდი ქარტით მარცხენა ხელში, რომელზედაც ბერძნული წარწერაა. მარცხნივ მის წინ დაჩოქილი მვედრებელი ბერია. კარებზე, შიგნიდან, წარმოდგენილნი არიან, მარცხნივ: წ-ა ნიკოლოზ, თეთრ სამღვდელმთავრო ტანისამოსით, რომელიც მარწყვის ფერის ჯვრებით არის შემკობილი; მარჯვნივ: იოანე ღვთის მეტყველი, გაშლილი წიგნით ხელში. წინა პირის მხატვრობა სულ მოშლილია. ეტყობა მხოლოდ, რომ აქ ყოფილა სცენები, იონას ნავიდან გადმოგდებისა და მისი ნიანგის მიერ შთანთქმისა. გრაფინია უვაროვისას ეს ხატი მიაჩნია ბიზანტიური ხელოვნების ნაშთად მე-11-12 საუკ. (გვ. 122).

5. **ხატი ღვთის მშობლისა**, ჩჩვილედი, ოქროთ დაფერილის ვერცხლით ნაჭედი, 55X39,5 სანტ. (№16943). ღვთის მშობელი წარმოდგენილია სრულის ტანით, ძითურთ მარცხენა ხელში: მარჯვენა გულზე აქვს დადებული, სამლოცველოდ; წარწერა: დ-და ღ-თის; ქრისტეზე ბერძნული წარწერაა სახელისა. ჩარჩო რომბ-ლურსმული ორნამენტისა შემკობილია 11-ფიგურიანი პატარა მედალიონებით და რვა დიდრონით, მაგრამ ესენი სადაა. პატარა მედალიონებში სულ მთავარ ანგელოზები არიან წარმოდგენილნი, ხოლო ერთში ზემოდ ღვთის მშობელი ჩჩვილედი. ეზო შემკობილია ფოლაქების მსგავსი რგოლებით ორივე მხარეს ღვთის მშობლისა. ხელობა მე-15-16 საუკუნის უნდა იყოს.

6. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 23X18 სანტ. (№16948). მთავარ ანგელოზი სრულის ტანით და ფრთებით არის წარმოდგენილი; მარჯვენა ხელში მხარზე გადებული ხმალი უჭირავს; მარცხენა ხმლის ქარქაშზე უძევს. აშია რომბ-ლურსმულია მედალიონებით, მაგრამ უსახოდ. ხატი დაზიანებულია; ზემოდ ორივე მხარეს თავისა ერთი სტრიქონი წარწერაა, რომელიც გაგრძელებულია ორ სტრიქონად ქვემოდ და იკითხება ასე:

წ̄ო : მიქაელ :. შეიწყალე :.	წმიდაო მიქაელ, შეიწყალე
ერსთვთ :. ერისთ	ერისთავთ ერისთა-
ვ :. კხბრ	ვი კახაბერ-
ი	ი.

ერისთავთ ერისთავი კახაბერი შეიძლება იყოს ის კახაბერ ვარდანის ძე, რომელსაც თამარ მეფემ მიუბოძა მეჭურჭლეთ უხუცესობა, მაგრამ ხელობა ხატისა უფრო მე-14 საუკ. მოგვაგონებს, ვიდრე მე-12-ს.

7. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 29X22,5 სანტ. მხედარი წარმოდგენილია სრულის ტანით, შუბით და ფარით და წარწერით: „წ. შმეწიე“... ალბათ გაგრძელება წარწერისა იყო ქვემო აშიაზე, რომელიც არ შენახულა (№ 16947). მარჯვნივ და მარცხნივ რომბ-ლურსმულ აშიებზე წარმოდგენილნი არიან სრულის ტანით, საომარ რომაულ ტანისამოსებით წმიდანნი მხედარნი; სახელები არ უწერიათ. ხატი მე-17 საუკ. უნდა იყოს.

8. ნაწილი ოქროთი დაფერილი ვერცხლის ხატისა, ნაჭედი, რომელზედაც დაცულია პატარა, მუხლებს ზევითი **ფიგურა წ̄-ა გიორგისა**, შუბით და ფარით, რომაულ საომარ ტანისამოსით და წარწერით: წ̄ꙋ გ̄ꙋ. ზემოდ ორმაგი ბროწეულის ყვავილების ორნამენტია საუცხოო ხელობის (იქვე (№16947); უნდა ეკუთვნოდეს მე-12-13 საუკუნეს.

9. კარი კარედი ხატისა, მარჯვენა **ნაწილი**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, რომელზედაც გამოსახულია წ̄-ა დიმიტრი სრულის ტანით, ამოწვდილი ხმლით და წარწერით: წ̄ꙋ დიმიტრი. (იქე №16947). მე-17-18 საუკ.

10. **ხატი ღვთის მშობლისა**, წელსზევითი, ვერცხლისა, ნაჭედი, 18X14 სანტ. ნაწილობრივ მოშლილია, ფოლაქის მსგავსი სამ-რიგი აშიებით და შერეული ქართულ-ბერძნულ ასოების წარწერით სახელისა (იქვე, №16947). ხელობა ტლანქია, მე-17-18 საუკ.

11. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 18X14,5 სანტ. მხედარი წარმოდგენილია მდგომარედ, შუბით და ფარით; აშია ფოლაქოვანია; წარწერა ზემოდ: წ̄ꙋ; ქვემოდ: გ̄რ (ასოები გადმობრუნებულია); ერთობ ტლანქი ხელობის არის, მე-18-19 საუკ. (№16945).

12. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 19X15 სანტ. მაცხოვარი ტახტოსანია, ჩვეულებრივის ნიშნებით, ჯვარის სახის ნიმბით. აშიები ორ-ფოლაქოვან წრეში ყლორტების მსგავსად არის შემკობილი. წარწერა: ᲘᲖ (უკანასკნელი ასო გადმობრუნებულია) ქ̄ე. ტლანქი ხელობის არის, მე-18-19 საუკ. (იქვე, №16945).

13. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ვერცხლისა, 20X15 სანტ. ნაჭედი, წმიდანი წარმოდგენილია სულ ახალგაზრდათ; პირის სახე მოცულია ირგლივ კიკინებით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა ფარზე აქვს დადებული. ეზო ხატისა

საცერის მსგავსად არის შემკობილი; აშიები შემკობილია რომბებით და ბალახებით და სადა მედალიონებით. საზოგადოთ არა ცუდი ნახელავია. წარწერა: წ̄Ა გ̄ი. მე-16-17 საუკ. (იქვე, №16945).

14. **ხატი წ̄ა თეოდორესი**, ვერცხლისა, 18X14 სანტ. მხედარი წარმოდგენილია სრულის ტანით, შუბით და ფარით; სახე ბებრისა აქვს; თმა ხუჭუჭად, აშია ბალახოვანია. ტლანქი ხელობისა (იქვე, №16945). წარწერა: წ̄ი თედორე. მე-18 საუკ. უნდა იყოს.

15. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, 17X12 სანტ. ნაჭედი; მაცხოვარი წარმოდგენილია სრულის ტანით, სამღვდელო ტანისამოსით და სახარებით ხელში. ნიმბი ჯვარის სახისაა. აშიები ორ-ფოლაქოვან წრეში დაყოფილია უჯრედებად ჰორიზონტალური ხაზებით; ეზო ხლართულებით არის მოცული (№16944). მე-13-14 საუკუნის უნდა იყოს.

16. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ვერცხლისა, 16X12,5 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია სიმრგვალეში ცხენით; გმირავს ადამიანს; აშიები ფოლაქოვანი უჯრედებით არის დაყოფილი; მდარე ხელობისაა (იქვე, №16944). მე-18 საუკუნისა.

17. **ხატი ღვთის მშობლისა,** მუხლსზევითი, ვერცხლისა, 19X14 სანტ. სავედრებლად აპყრობილის ხელებით და წარწერით: დ̄Ა ღ̄Ა. აშიები ბალახოვანი ორს ფოლაქოვან წრეში; ხელობა ტლანქია (იქვე №16944). მე-18 საუკ.

18. **ხატი წ̄ა გიორგისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 20X14 სანტ. მხედარი წარმოდგენილია ცხენით, შუბით გმირავს კაცს. აშიები ფოლაქოვანია; ხელობა ტლანქია, მე-18-19 საუკ. (იქვე, №16945).

19. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა**, ვერცხლისა, 12X11 სანტ. წარწერით: წ̄Ა მ-ქლ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ლაბარუმით და ბურთით; ხელობა ტლანქია (№16946); მე-18-19 საუკუნისა.

20. **ხატი მთავარ ანგელოზისა**, მარტო ერთის ლაბარუმით, უწარწეროთ, 12X9 სანტ. ვერცხლისა, ნაჭედი, რომბ-ლურსმული აშიებით; ტლანქია; მე-18-19 საუკუნისა. (იქვე, №16946).

21. **ხატი ღვთის მშობლისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 10X9 სანტ. ღვთის მშობელი წელსზევითია, ჩჩვილედი, სახე გაფუჭებულია; აშიები ბალახოვანია; ხელობა დაბალია, მე-18 საუკ. (იქვე, №16946).

22. **ხატი წ̄ა გიორგისა**, ვერცხლისა, მოყვითალო, 16X13 სანტ. აშიები ბალახოვანია; მხედარი გაჭენებულ ცხენიდან გმირავს ვეშაპს; გვარიანი ხელობისა არის; წარწერა: წმ̄დი გიორგი მღდრ (მზღუდრისა?); ქართული, არა ცუდი ხელობისაა, მე-16-17 საუკუნისა, (იქვე, №16946).

23. **ხატი ვედრებისა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, ფიგურები ჩაჭრილია. სამივე ფიგურა სრულის ტანით არის წარმოდგენილი. მაცხოვარი შუაში მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში; ღვთის მშობელი და იოანე მვედრებელის სახით. ხელობა მოტლანქოა (იქვე, №16946).

24. სანაწილე ვერცხლისა, 11X8 სანტ. სამი რიგი შემკობილებით და ჭადრაკულის აშიებით (იქვე, №16946).

25. **ნატეხი ხატისა**, ვერცხლისა, მოოქრული, რომელზედაც ყოფილა წარწერა დიდის რელიეფით და გრძელი ასომთავრულით: წ¯ი (იქვე, №16946).

26. **ნაშთი მაცხოვრის ხატისა**, 36X24 სანტ. ფურცლოვანი შემკობილობით და წარწერით ბერძნულად სახელისა; მარჯვენა აშიაზე წარმოდგენილია წ¯ა დიმიტრი. ცოტა ნაწილია დარჩენილი.

27. ვერცხლის **ფირფიტა** კარედის ხატისა, წ¯ის გიორგის გამოსახულებით ცხენზე; ტლანქი ხელობისა.

28. წამლით დახატული **ხატი მთავარ ანგელოზისა**, სულ გადასულია, 16X10,5 სანტ. წარწერით: ჯიდურის მთვრნზი.

29. წამლით დახატული **ხატი ღვთის მშობლისა**, 23X17 სანტ. ტილოზე; სულ გაფუჭებულია; მოსჩანს წარწერა სახელისა ბერძნულის ასოებით.

30. **ჯვარი გამოსასვენებელი**, ვერცხლისა, მოყვითლული, გატეხილი უკვე, 33X27 სანტ. პირველ გვერდზე ჯვარცმულია წარმოდგენილი. ბოლოებში მთავარ ანგელოზების მედალიონები (№16951); მეორე გვერდზე, შუაში, კარგი სახეა წ¯ა გიორგისა, სრულის ტანით და წარწერით: წ¯Გ გ¯ი და ორი დარჩენილი მედალიონით, მარცხნივ ღვთის მშობლისა, ზემოდ მაცხოვრისა (№16952).

31. ასეთივე მეორე **ჯვარი,** 37X34 სანტ. ჯვარცმულის სახით და ორი მედალიონით ზემოდ; უფრო დაზიანებულია და ცუდათ შენახული, ვიდრე პირველი (№16953).

32. **დიდი ჯვარი ხისა,** კანკელის წინ დასადგმელი, 102X40 სანტ. ეხლა დამყარებულია ზემოდ კანკელზე. შეძერწილია ისეთი ვერცხლის ფირფიტებით, როგორც სეტის ამგვარივე ჯვარი; ტლანქი ხელობისა.

33. **ლახტი რკინისა**, ექვს-ფრთიანი.

მესამე ეკლესია მესტიის თემისა არის **ეკლესია მთავარანგელოზთა;** სოფელს, სადაც ეს ეკლესია არის, მარგიანს უწოდებენ. ეკლესია მაღალია, თლილის ქვით ნაშენი; ეტყობა წინეთ ეკვტერები ჰქონია, მაგრამ ეხლა მოშლილია; სხვაფრივ ეკლესია ჩვეულებრივი სვანური რიგისაა.

ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ჯვარი დიდი ხისა**, საკურთხევლის წინ სადგომი, სიმაღლით 141 სანტ. განით 75 სანტ. (№16964), შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით სხვა და სხვა ხელობისა; ამათში საუკეთესო ხელობის არის სამი ფირფიტა წმიდის გიორგის სურათით; ერთი უმბოს ქვემოდ სრულის ტანით წარმოდგენილი, შუბით მარჯვენა ხელში, ხოლო მარცხენა დაბჯენილი აქვს ხმალზე, ქარქაშით და ჩამოსაკიდი ღვედით. მეორე წ̄ა გიორგი ამას ქვემოდ, წელზევითია, შუბით და ფარით; მესამე უმბოს ზემოდ არის აგრეთვე წელსზევითი; ესეც ფარით არის, ხოლო მარჯვენა ხელში ამოწვდილი ხმალი უჭირავს მხარზე გადობილი. შუაში არის უმბო, მრგვალი და შემკობილი შიგნით; ოთხივე მხრით პატარა მედალიონები აქვს; მარჯვნივ და მარცხნივ ჩჩვილედი ღვთის მშობლისა; ზემოდ და ქვემოდ, ვგონებ, მთავარ ანგელოზთა, – ყველა ეს უმბოიანად ერთ ფირფიტაზე არის წარმოდგენილი და ტლანქია. აგრეთვე სხვა ფირფიტებით მარჯვენა და მარცხენა ფრთებისა, რომლებზედაც წარმოდგენილნი არიან მთავარ ანგელოზნი, ღვთის მშობელი, წ̄ა გიორგი ცხენით.

2. **თავი ხატი** ეკლესიისა **მთავარ ანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელისა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, 55X38 სანტ. მშვენიერი ხელობისა, მაგრამ სანახევროდ ყვავილების მსგავსად შემკობილი მარტო ზემოდაა დაცული ორი მედალიონით (№16962). მთავარ ანგელოზები ერთად სდგანან, ბიზანტიურ მდიდრულ საკარისკაცო ტანისამოსით და შეერთებულის ხელებით უკავიათ მაცხოვრის მრგვალი მედალიონი; მაცხოვარს სახელის წარწერა ბერძნული აქვს. ამ მედალიონის ზემოდ ორთავე ანგელოზთათვის სწერია: თ̄ვრნგ̄ლზი; ხოლო თითოეულს ცალკე აწერია: წ̄Ჲ გბრ̄ლ, წ̄Ჲ მქ̄ლ. მათი პირის სახე მოცულია ტალღისებური თმებით, რომელნიც კიკინებად ჩამოდიან კისრამდის. მათი შუბები ან შეიძლება საზომები სამყურად თავდებიან ზემოდ. თავთა წრეები დიდრონია. წარწერა დაბლა ჰქონია, მაგრამარ შენახულა; პატარა შერჩენილს ნაჭერზე, ქვემოდ აწერია: ... წყალობითა შენითა...

ხატი უნდა იყოს ქართული ხელობისა, მე-12-13 საუკუნისა.

3. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 51X40 სანტ. მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა; მარჯვენა ხელით ჯვარს სწერს; მარცხენით იკავებს მუხლზე დადებულს გაშლილ სახარებას, რომელზედაც ასომთავრულით სწერია: ქ. მე ვარ მეოჯე დიდების : რ̄ლი შემომიდგეს : მე არა : ვიდოდეს : ბნელსა. აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი სახარებისა სხვებში იწყება ასე : მე ვარ ნათელი სოფლისა. . . სამწუხაროდ, ქვემო ნაწილი ტახტისა ეხლა სრულიად მოშლილია, დარჩენილია მხოლოდ ზურგი. ქრისტეს დიდი ნიმბი აქვს ჯვარის სახედ გაყოფილი სამ ოთხკუთხედში მოქცეულის ვარსკვლავების სახეებით, დანაოჭება შერჩენილი სამოსელის ნაწილისა ლამაზია; მაცხოვარს წვერი ხუჭუჭად აქვს დაყოფილი. ასეთიე თმა უვლის პირის სახეს და მხრებზე ჩამოუდის. ნიმბის აქეთ-იქით უწერია: Ჲსო ქს̄ე. აშიები შემკობილია სპარსული მისტიური ვარდებით; ქვემო ნაწილი სულ დაკარგულია; აშიებში ეხლა

დარჩენილია მხოლოდ სამი მედალიონი, ერთი ზემოდ მთავარ ანგელოზისა და თითო აქეთ-იქით, პეტრე და პავლესი ხუცური წარწერებით სახელებისა (№16961). ქვემოდ, მარცხნივ და მარჯვნივ ტახტისა შერჩენილია წარწერა:

მარცხნივ:

ქ ჯი : მეჯე	ჯი მეუფე-
ვო : შემი	ვო, შემი-
წყალე : მე :	წყალე მე
ცოდვილი :	ცოდვილი
ესე : დღესა :	ესე დღესა
მას : განკი	მას განკი-
თხვისასა :	თხვისასა
ინე : დორ	იოანე დორ-
ობელსძე :	ობელისძე.

მარჯვნივ:

ქ ჴელითა	ჴელითა
მოიჭ̄ედ	მოიჭედა
ა : გ̄ი : გვ	გიორგი გვა-
აზავასი	ზავასი-
თა : -	თა.

მარცხენა ნაწილი წარწერისა დ. ბაქრაძეს აქვს მოყვანილი (გვ. 99-100); მარჯვენა მას არ შეუნიშნავს. საკვირველი კიდევ ის არის, რომ გარდა ამ წარწერისა და ზარის წარწერისა, რომელიც ჩვენ სეტის ეკლესიის აღწერილობაში მოვიყვანეთ, დ. ბაქრაძე ამ ეკლესიიდან არაფერს მეტს არ უჩვენებს. გრ. უვაროვისა სულ არ ყოფილა ამ ეკლესიაში და არც ერთს მის ნივთს არ აღნიშნავს. ეტყობა არც ა. ხახანაშვილს უნახავს ეს ეკლესია. ყოველ შემთხვევაში ამ ეკლესიიდან ის არაფერს არ უჩვენებს. ხატი უსათუოდ ქართული ხელობისაა და უნდა ეკუთვნოდეს მე-13-14 საუკუნეს. აღსანიშნავია, რომ გვაზავას გვარში ოქრომჭედლობა მე-19 საუკუნემდის იყო შერჩენილი. ჩვენ სამეგრელოში ვნახეთ რამოდენიმე ხატი ამ გვარეულობის ოქრომჭედლის გაკეთებული.

4. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 31X25 სანტ. მთავარ მოწამე კარგის ღონიერის ცხენითაა წარმოდგენილი, გვირგვინოსანს გმირავს შუბით. თმა ხუჭუჭად აქვს დაწყობილი. დიდი წრე თავის შემკობილია ხლართულებით; წარწერა სახელისა: წ̄ᲂ გ̄ი. მორთულობა ცხენისა, საძუე, სამკერდე და სხვა შემკობილია ვერცხლის ფოლაქებით. ხელობა ლამაზია, არა უგვიანეს მე-14 საუკუნისა. ხატს ჩარჩო აღარ აქვს. (№16957).

5. **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, 26X20 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, მხატვრობა მოშლილია; დაცულია მორთულობა ოქროსი; ზემო ნაწილი ეზოსი, ნიმბი და აშიები ფაქიზად და მხატვრულად ნამუშევარი მე-12-13

საუკუნისა (№16954), შემკობილი ბროწეულის ყვავილების მსგავსად და ლამაზის წარწერებით. სახელის წარწერა მაცხოვრისა ბერძნულია; ღვთის მშობლისაც ბერძნულად არის განზრახული, მაგრამ არეულია, პირველი ასო უფრო ასომთავრულით მოიპოვება ზემოდ, მარცხენა კუთხეში: „თეთრო/სნისა ღმრთი/ს მშობელი“. თეთროსნის ეკლესიის ნანგრევები ეხლაც მოიპოვება ბათუმის ოლქში, ქობულეთის მახლობლად. ქვემო აშიაზე ყოფილა სამ-სტრიქონიანი წარწერა, მაგრამ დაცულია ნახევარი, მარცხენა ნაწილი პირველი ორი სტრიქონისა და ცოტა ნაკლით მესამე სტრიქონი:

ქ ჩჯილებრ : წიაღთა : მ. . .

ოსა : სიტყჯსა : ღ̇თისაო : შ̇ინ : . . . .

თ : მოსავ მამკობთ შენთა ჭარხალას ძესა გოგი და მეცხედრესა მისსსა ნათ ლს ძეთა მისთა. . .

წარწერაში ნათლად არ სჩანს და არ ვიცით დანამდვილებით: ჭარხალაძე სწერია თუ დარჩალასძე. სხვა ცხადია, ჭარხალაძე მოსხენებულია ცნობილს ნარის ეკლესიის წარწერაში, ოსეთში. ხატი მე-12 საუკ. უნდა იყოს.

6. **ხატი ღვთის მშობლისა**, ჩჩვილედი, 46X36 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ მხატვრობა ეხლა სულ მოშლილია, დარჩენილია ოქროთი დაფერილი ვერცხლის ნაჭედი მორთულობა, ნიმბი, ნაწილი ეზოისა და აშიები ლამაზი ქართული ხელობისა, მე-12-13 საუკუნისა (№16958). ნიმბი შემკობილი ყოფილა ხუთი ძვირფასი ქვით, დარჩენილია სამი. წარწერა ჯვარის მსგავს „როზეტკაში“: დ̇დ̇ ღ̇ ̇. ეზო ვაზის რტოებით არის შემკობილი; აშიები ბროწეულის ყვავილების მსგავსად, მარჯვნივ და მარცხნივ აშიებზე სრულის ტანით წარმოდგენილნი არიან მთავარ ანგელოზნი, შუბით და ბურთით, ლამაზი ხელობისა; ქვემო აშია ბალახოვან შემკობილობით მერმინდელი დროისაა, სხვა ხატიდან აღებული. ზემო აშიაზე მარცხნივ დაცულია მედალიონში წელსზევითი ღვთის მშობელი, წარწერით: დ ა̇ ̇ ღ̇ ̇ ̇. კუთხეები და მათი მედალიონები ზემო აშიას აკლია.

7. **ხატი წმიდა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 26X19 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია მდგომარედ, შუა ხნის კაცად, რომაულ საომარ ტანისამოში, შუბით მარჯვენა ხელში, მარცხენა დადებული აქვს მოგრძო ფარზე; წელზე ჩამოკიდებული აქვს ხმალი, ნიმბის ორივე მხარეს აწერია: წ̇ ̇ გ̇ი. მთელი ფიგურა მოქცეულია დასერილს მაღალ ოთხკუთხედში. ზემოდ სამი მრგვალი მედალიონია წმიდათა; შუაში პატარა ვედრების ღვთის მშობლისა: დ̇ ̇ ღ̇ი და წ̇ ̇ ა თეოდორესი: წ̇ი თ̇ე. აშია არა აქვს. ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-15-16 საუკუნეს. (№16954).

8. **ხატი წ̇ ̇ ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 25X12 სანტ. წმიდანი ცხენით არის წარმოდგენილი, ადამიანს გმირავს შუბით; ხელობა მოიტლანქებს; ხატი მოცულია ირგვლივ ვერცხლის ფოლაქებით წერტილიან წრეებში, რომელნიც ჰქმნიან მზეთა გამოხატულობას; ჩარჩო დიდია და პრტყელი, რომბ-ლურსმულად შემკობილი (ფოტოგრაფია არსებობს, მაგრამ ჩემს ეკზეპლიარს № არ უზის) მე-17-18 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

9. **ხატი წ̇ა გიორგისა,** ვერცხლისა, 23X19 სანტ. ნაჭედი; აშია რობმ-ლურსმული აქვს. წმიდანი ფეხოსანია, შუბით და ფარით; წარწერა: წ̇Ჲ გ̇ი. ეზო შემკობილია ვაზოვანის ორნამენტით, ხელობა ტლანქია, მე-18-19 საუკუნისა (იხ. ამის წინ მოხსენებული ფოტოგრაფია, რომელზედა წ̇ა გიორგის ხატია).

10. **წარწერა წმიდის გიორგის ხატის ზურგისა**, რომლის პირველი პირი, ესე იგი თვით სახე ხატისა არ შენახულა, 11X8,5 სანტ. ასომთავრულით (იხ. ფოტ. №16960):

წ̇ო : გ̇ი : მსჯუ	წმიდაო გიორგი მსუჯუ-
ნსაო : მეჯხ ექ	ნისაო, მეუხ ექ-
მენ და მფრვე	მენ და მფარველ
ლ გიგს მაჭ	გიორგის მაჭა-
ავარიანსა : და	ვარიანსა და
შვილთა : ჩ	შვილთა ჩემ-
ემთა :	თა.

მსუჯუნა იგივე სუჯუნა სამეგრელოს ცნობილი სოფელია; მისი ეკლესიის და მასში დაცული ხატების აღწერა იხ. „ჩემი არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, წიგნი II, გვ. 22-31, და აგრეთვე „ხრისტიანსკი ვოსტოკ“, ტ. V, გვ. 40-50.

11. **წარწერა**, აგრეთვე ასომთავრული მეორე გვერდზე ერთის წმიდის გიორგის ხატისა, რომლის პირველი პირი არ შენახულა, 11X8 სანტ. (იხ. იგივე ფოტ. №16960). წარწერა იკითხება ასე:

ქ წ̇დაო გო	წმიდაო გიორ-
რგი მეოხ მე	გი, მეოხ მე-
ყავ : და ფა	ყავ და ფარ-
რვ	ველ
ელ მამკაო	მამკობს
ბს[1] : შენსა : ზ	შენს ზჯი-
ჯინა რასა	ნარასა-
დს[2]	დას
და ძემსა ჩმს .	და ძესა ჩემსა.

12. დაცულია ფრიად ლამაზი ნახელავი ოქროს **აშია ხატისა**, რომელზედაც სწერია:

წ̇ო გ̇ი შ̇ე ჯინჯიხ : ჯინჭა̇სძე

ესე იგი: წმიდაო გიორგი, შეიწყალე ჯინჯიხ ჯინჭარასძე.

13. **მეორე გვერდი მაცხოვრის ხატისა,** რომლის პირველი პირი არ შენახულა, ვერცხლის ფირფიტა, 14X11 სანტ. რომელზედაც ასომთავრულით სწერია (იხ. ფოტ. №16960):

ქ რმლმნი : სიტყვით და	რომელმან სიტყვით და-
ბდე : ყველივე : სი	ბადე ყოველივე, სიტ-
ტყაო : ღმრთო : ღმ	ყვაო ღმრთისაო, ღმრთ-
თისაგან : გამსროლო :	საგან გამოსრულო
დ ქ	და ქალ-
ლწლისაგან : ჴრც : შ	წულისაგან ჴორც შეს-
სხმლო : ვმკბ : ხ-ტსა : შ	ხმულო, ვამკობ ხატსა შენ-
ნსა : შლვა : ქრდია	სა შალვა ქურდია-
ნი რთა : ამს . წლი : ძი	ნი, რათა ამის წილ ძი-
თრ[თ]ი მცვლდ	თურთი მცველ (მექმენ), და
ნთლი . ძისა : შნსა : მომ	ნათელი ძისა შენისა მომ-
ფნე . ღმრთი : მშბლო .	ფინე, ღმრთი(ს) მშობელო.

უქარაგმოდ წაკითხვაში ჩვენ ხორცმეტ ასოებს ვუშვებთ; დამწერი მეგრელი უნდა იყოს, ვინაიდან მეგრელიზმებით აიხსნება ასეთი ფორმები: რომელმანი სიტყვით (რომელმან სიტყვით ანუ სიტყვითა), წილი (=წილ), ძითურთი (=ძითურთ); სიტყვის შემდეგ „მცველ“ გამოშვებულია „მექმნე“; სიტყვა „რათა“ შეიძლება წავიკითხოთ კიდევ, როგორც „რაჲთა“, ძველ ტექსტებში ასე იკითხება ხოლმე.

14. **სამი გამოსასვენებელი ჯვარი**, შემერწილი ვერცხლის ნაჭრებით, ტლანქი ხელობისა.

15. **ხატი მიქელ მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, 16X12 სანტ. წარწერით: წ-ჲ მ-ქლ; ტლანქი ხელობისა.

16. **ხატი ხარებისა,** ვერცხლისა, 26X18 სანტ. აშიებზე არის ექვსი დიდი და მთელი რიგი პატარა მედალიონებისა, ერთობ ტლანქი ხელობისა.

17. **ხატი პატარა ღვთის მშობლისა,** ვერცხლისა, წარწერით: დ-დჲ ღ-ჲ; 9,5X8 სანტ. ტლანქი ხელობის.

---

1 ა ამ სიტყვაში მეტია.

2 უკანასკნელი ასო შეიძლება ა-ნათაც მივიღოთ (იხ. ფოტოგრაფია).

18. პატარა **ხატი წ-ის გიორგისა და დიმიტრისა**, სრულის ტანით, ვერცხლისა, 8X6 სანტ. ტლანქი ხელობისა.

19. **ხატი ღვთის მშობლისა**, ვერცხლისა, 19X15 სანტ. ზემოდ მაცხოვარია კიდევ წარმოდგენილი; ტლანქი ხელობისა.

20. **ხატი ღვთის მშობლისა**, ვერცხლისა, 11X9 სანტ. ღვთის მშობელი წელსზევითია, წარწერით: დედა ღ̄თს. სხვებს სჯობია.

21. **ხატი წ̄ის გიორგისა**, ვერცხლისა, სრულის ტანით, შუბით და ფარით და წარწერით: წ̄Ა გ̄ი. ტლანქია.

22. **ჩვიდმეტი** სხვა და სხვა ვერცხლის **ფირფიტა და ხატები**, უმეტესად სანახევროდ დაცული და ტლანქი ხელობისა. ამიტომ მათი ცალ-ცალკე აღნუსხვა არა ღირს.

№№ 14-22 გადმოღებული არ არის, ვინაიდან ტლანქი ხელობისაა და ცუდათ შენახული სინოტივესა და უსუფთაობის გამო.

მეორე ეკლესია მთავარ ანგელოზისა, ქვისაგან ნაშენი, ჩვეულებრივი სვანური რიგისა მოიპოება მესტიის წყლის პირას. ამ ეკლესიას არც ერთი მკვლევარი არ იხსენიებს. ეს მიტოვებული ეკლესია ჩვენ რომ ვნახეთ, ეკლესიაში წყალი იდგა. სხვა ნაძარცვ ხატებთა შორის აღმოჩნდა ორი საყურადღებო განძი:

23. **ხატი წ̄ა გიორგისა**, ოქროსი, ანუ უკეთ ვსთქვათ, მისი ნაშთები იოანე ვარდანისძის, სვანთა ერისთავის, წარწერით მე-12 საუკუნისა. ჩვენ უკვე განვიხილეთ ლაბეჭინის წ̄ის გიორგის ხატის განხილვის დროს.

24. **ხატი კარედი,** ვედრებისა, ფრიად საყურადღებო და იშვიათი, მაგრამ ცოტა დაზიანებული, 14X11,5 სანტ. (იხ. ფოტ. №16959). ეს კარედი ხატი სამ-ნაწილედია, ანუ ტრიპტიხონი, შუა ნაწილში, ხის ჩარჩოში ჩადგმულია სტიატიტზე ამოჭრილი ფიგურები ვედრებისა. სტიატიტი ოთხკუთხედია, ზემოდ მორგვალებული, რომლის ნაწილი ეხლა მოტეხილია, მაგრამ, საბედნიეროდ, ფიგურები დარჩენილია; დაზიანებულია ცოტა ნიმბი ღვთის მშობლისა და თითქმის მთელად მაცხოვრისა. ამას გარდა, სტეატიტი გაბზარულია ცოტა ილინცურად. ამ სტეატიტის ნაჭერზე, შუაში, წარმოდგენილია, კამარას ქვეშ, სამი ფიგურა; შუაში ქრისტე, უფრო მაღლად დანარჩენი ორისა; მარჯვენა ხელით ის აკურთხებს, მარცხენაში გაშლილი სახარება უჭირავს. სახარებაზე ტექსტი ბერძნულად არის მოყვანილი, ისე როგორც სახელების წარწერები სამივე ფიგურისა. მარჯვნივ ქრისტესა წარმოდგენილია ღვთის მშობელი და მარცხნივ იოანე ნათლის მცემელი, ორთავე ხელები მიმართულნი ქრისტესაკენ ვედრების სახით. სამივე ფიგურა წარმოდგენილია სრულის ტანით; სამივე ნაზი ნახელავია და ლამაზი. კამარა ფიგურების როგორც აღვნიშნეთ, ეხლა სანახევროდ მოტეხილი, დამყრებულია ორ წვრილ და ნაზად მოჩუქურთმებულ სვეტზე, რომელნიც თავდებიან ლამაზის მოჩუქურთმებულის სვეტის თავებით. კარებზე წარმოდგენილნი ყოფილან წამლით შნოიანად დახატულნი მოციქულნი, მარცხნივ: პეტრე, ასომთავრული წარწერით: პ̄ე; მარჯვნივ: პავლე: პ̄ლე. სახეები მოშლილია, ხოლო ოქროს შემკობილობა დაცულია. ხის ჩარჩოს შემკობილობა ნაზად ნახელავის ოქროს ბასმით, მოძარცულია; ცოტა ნაწილი დარჩენილია მარცხენა მკედრით. წინა პირებზე კარებისა შემკობილობა, სამწუხაროდ, არ

შენახულა. მთელი ჩარჩო ხატისა კარებითურთ ქართული ხელოვნების არის, მე-12-13 საუკუნისა; ხოლო სტეატიტის ფიგურები ბიზანტიური ხელობის უნდა იყოს, მე-9-10 საუკუნისა.

გარდა ზემო აღნიშნულ ოთხი ეკლესიისა, მესტიის თემში კიდევ ორი ძველი ეკლესია მოიპოვება მიტოვებული და უნივთო. ერთი მათგანი, **ეკლესია მაცხოვრისა,** მთაზეა გაშენებული თლილის ქვისაგან. ეს ჩვეულებრივი სვანური რიგის ეკლესია არის ერთის კარით სამხრეთით და თითო სარკმელით აღმოსავლეთით და სამხრეთით. მის თავისებურ განსხვავებას სხვა ეკლესიებისაგან წარმოადგენს დიდი უბეები ანუ ნიშები მარჯვნივ და მარცხნივ საკურთხევლისა; ესენი ოთახს მოგაგონებენ და თავისი მრგვალი სარკმელები აქვთ. კედლებზე ეტყობა ძველი დიდრონი ფრესკები, მაგალითად, სამხრეთის კედელზე წარმოდგენილია ერთი წმიდანი სრულის ტანით. შუა თაღში ეკლესიისა რკინის კაკვია და ზედ ჩამოკიდებულია ჯაჭვით ქვები (კარდალი). გარე კედლები ეკლესიისა მოკაზმულია უბრალო პილიასტრებით.

მეექვსე ეკლესია ამ თემისა არის **ეკლესია ღვთის მშობლისა**, მაღალი, თლილის ქვისაგან ნაშენი. კანკელი ქვისა შენახულია, ჩვეულებრივი. ეკლესია მოხატული ყოფილა; ფრესკები ცუდათ დაცული; დასავლეთის კედელზე ეტყობა აღმაშენებლები ყოფილან წარმოდგენილნი ქართულის ტანისამოსით... აქ იკითხება წარწერა:

„მჯაფარალაის“... და კიდევ: „ასლანს შ-ს ღ-ნ“.

ჯვარის სახეზე: ჯ-ი ქ-სი და კიდევ: იესო ქრისტეს სახელი ბერძნულად. ადგილობრივი გადმოცემით, ეკლესიის აღმაშენებელი იყო პაპი გიორგი ჩართულარი.

მესტიაში გაშინჯული ხელნაწერები

მესტიაში, ბლაღოჩინ ბესარიონ ნიჟარაძესთან ჩვენ ვნახეთ ხელნაწერები, რომელნიც სხვა და სხვა ეკლესიებიდან იყო მოტანილი.

1. ლაჰილის ეკელსიის ხელნაწერი, **დიდი კანონი იერუსალიმის ეკლესიისა,** რომლის სათაურია: **„ესე განჩინებაჲ და განწესებაჲ მოძღვართა მიერ მართლ მორწმოჳნეთა რომელსა ჰყოფენ იჳლმს“.** ხელნაწერი ტყავისა, in folio 34X27 სანტ. დაწერილია ასომთავრულით მე-10 საუკუნისა, ორ სვეტად, 28 სტრიქონი სვეტზე. სათაურები სინგურით არის ნაწერი; ხელნაწერი დაშლილია, ფურცლები არეული; ზოგიერთი ფურცლისა მხოლოდ ნაფლეთებია, ერთი მერმინდელი ხელით მინაწერი უჩვენებს, რომ ხელნაწერში ყოფილა 413 ფურცელი; ეხლა უკანასკნელი რველი 49, რვეულში 8 ფურცელია. ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი, მაგრამ არა ხშირად. ჩვენს შემდეგ გაემგზავრა სვანეთში სპეციალურად ამ ხელნაწერის შესასწავლად პროფ. კორნელი კეკელიძე და გამოსცა ეს წიგნი „იერუსალიმის კანონარის“ სახელით. ამიტომ ჩვენ აქ საუბარს

აღარ გავაგრძელებთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენ ამ ძვირფასის ხელნაწერებიდან სანიმუშოდ სამი დიდი ფოტოგრაფიული სურათი გადმოვიღეთ, ორი გვერდი თითოზე. ეს გვაძლევს საშუალებას წარმოდგენა ვიქონიოთ ხელნაწერის პალეოგრაფიულ ხასიათზე და მის მართლწერაზე (იხ. ფოტ. №№ 17203-17205). ამას გარდა ხელნაწერის აშიები, თუმცა ბევრ ალაგას წაჭრილია, მაგრამ დარჩენილებზე ბევრია ჩვეულებრივი სვანური თემთა და სოფელთა ერთმანეთ შორის დადებული პირობების წერილები და ზოგიერთ მათგანს ჩვენ აქ ვათავსებთ. კ. კეკელიძის გამოცემის მიზანში ეს არ შესულა; მინაწერები მხედრული ხელის მიხედვით მე-14-15 საუკუნეს ეკუთვნის უმეტეს შემთხვევაში:

1.

ქ : ესე ნიშანი და დაწერილი დაგიწერე და მოგაჴსენე მე ივანე და ხცეიგო გელოვანმა თქუენ წმიდას მთავარანგელოზსა და მისთა [კრე]ბულთა ლაი[ლის]. . ჴევთა მას[ჟამსა] ოდეს ჩემისა [ბატ]ონისა მიქელა . . . სა ნებითა მო . . . . რისა მთავარ ანგელოზსა და [მოგა]თვალეთ ჩუენი თავი შვილნი და რასაცა ჩუენი ჰქუიან მკვიდრად ვირე ჩუენი თემი იყოს . ამისსა წერასა ზედა ორი ადგილი მამული მოგეცით ვითაც თქუენსა ერთგულობასა ვხედვიდეთ მოცემასა და წყალობასა ბოლოი არ შეოქნათ . ეს ნიშანი მე ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ .

2.

ქ ესე ნიშანი . . . მე ივანე . . .

[ჟამ]ის შემოსლვამა ქუეყანა დააშავა მოგანდევ ჩემი თავი და შვილნი ვითაც გმსახორებდეთ ჰგრეცა გუწყალობდით ამისთუის არც მიქელაის ძისა სამსახორსა მოცთებით. ესე ნიშანი მე ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ: –

3.

: ქ : ესე ნიშანი დაგიწერე და მოგაჴსენე მე გ¯ი (გორგი) როჩაგიანმა და ჩემთა შვილთა თქუენ წმიდას მთავარ ანგელოზს მხერისასა მას ჟამსა ოდეს ჰავისა ჟამისა შემოსლვამ ქვუეყანაი დააშავა მოგანდევ ჩემი თავი და შვილნი ვითაც გმსახორებდეთ ჰგრეც გუწყალობდით . ესე ნიშანი მე ნიკოლოზ დამიწერია და მოწამეცა ვარ.

4.

ქ : სახელითა ღ˙თსათა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაითა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელისაითა პატიოსნისა და ცხოველ მყოფელისა ჯვარისაითა დაგიწერე დაწერილი ესე მე შოშქოფარ ქოცხიანმან

თქუენ წმიდასა მთავარანგელოზს მხერისასა და გთვლე (sic) ჩემი სასახლე ჩემი მამოლი ტყე და ველი მთა და გორი საჴმარი და ულჴმარი (sic) გიბედნიეროს ღთ-მნ ჩემი მამი ბერი ვითა შეივედროთ ღ-თმან თქუენც შეგ(ი)ვ(ე)დროს . ამისნი მოწმენი ბ-ბას მაცხოვარი ღ-თისა წმიდანი მთავარანგელოზ ვარი მოხერისა . კაცთაგან ლაილასა სოფელი ერთობილი მტკიცე ესე ჩემგან და უქცეველები მე აბრამას დამიწერია და მოწამეცა ვარ.

5.

ქ სახელითა ღთსათა მამისა ძისა და სულისა წმიდისაითა დავწერეთ დაწერილი ესე და ნიშანი ჩუენ ერთობილმან ლაილაის ჴევმან დიდმა და მცირემა ეთმანერთისა ნებითა მას ჟამსა უდეს მესიანი ლატალის ჴევმან აჰყარა გინდა იგი გეკითჴებოდეს და გინდა ვინ ხარჯი ოსამართლოდ რაიცხა ფათერაკი გინდა ლხინი მოჰყვეს სწორად პასუხის გამცემელნი და გარდამჴდელნი ვართ ჩუენ და ჩუენი ეკლესიანი და ჩუენი . . . მამულ . . . არმა გუარმა. . . (შემდეგ მოჭრილია).

6.

ქ : ესე დაწერილი და ნიშანი დაუწერეთ და დაუდვით ჩუენ ერთობილთა ლაილელთ ამას ჟამსა უდეს დეკანოზი სოვიანი და ძოგრიანი ყანასა შიგან გზასა შეიცილნეს მერმე ჩუენ ლაილელთა ესრე გავაჩინეთ და უსულისა დეკანოზი არუდეს ემართლების შეცილებასა და რაი ღალა აიღოს მერმე ძოგრიანი დაჭირვასა . . . . ურუნა და მოწამენი არიან მუნაზონი ლაზარე სარგის მესიანი, მიკმინე გვარამიანი ხიმიჯხაკი . . . დამიწერია და მოწამეცა ვარ ამა დაწერილისა.

7.

ქ წმიდაო მაცხოვარო მონა და მადიდებელი თქვენი აბნასარ შეიწყალე.

8.

მაცხოვრისა ლაჰილისა და მთავარ ანგელოზისა მხიერისა თაუსდედობითა და შუვამდგომელობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე ჩვენ ერთობილმან ლაჰილისა სოფელმან ერთმან ერთისა ნდომითა და დამოწმებითა მტკიცე და უქცეველი ყოილისა მიზეზისაგან უმიზეზოი მას ჟამსა ოდეს მრავალ მრავლისა უწესურსა საქმესა დაუხდენით ჭჩვენსა (sic) შიგა. მერმე გავიგონეთ და ესე ნიშანი დაუდევით ამა ირსა ზედა : აწ დღისითგან წაღმა რაიცა

მართლადა და ცხადად საერთოდ და სასოფლოდ არ სჩ(ა)ნდეს ჭჩვენსა ამარსა ნუ ვინ იქს სამტეროსა საქმესა და არცა გაუპირდებით არას მიზეზისათვის, არა ჭჩვენგან უკითხავად და დამოუმოწმებლად ვინცა ჰქნას, მანცა გარდაიჴადოს მისითა ღონითა. ამისნი მოწმენი სარგის მესანი, ამასაჯან შურეგინი, ხამიჯ ხაკანი, მიკბინე გვარამანი. მე გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ. (უზის ცამეტი ჯვარი).

9.

ქ. დაგიწერეთ ესე მტკიცე და ვუქცეველი ჩ-ნ გვარამიანთ შ-ნ გ-ი და ბაბან და მიჯელ ივანე, შ-ნ გ-ი მას ჟამსა ოდეს ძმა ჩუენი ვაჩავი ომად დარჩა ჩ-ნ ერთმანეთისა ნებითა კვრხილისა ყანა მისა საკოთრად და საკებად მივეცი ვირე სოფელი ესე დგეს შენი საკვები იყოს. . .

10.

ქ . მაცხოურისა ლაჰილისა თაუსდებობითა დაუწერეთ და დავდევით დაწერილი ესე ჩვენ ლაჰილისა სოფელმან უფროსმან და უმცირესმან ყველამ ერთმან ერთისა დამოწმებითა მტკიცე და უქცეველი ყოვლისა მიზეზისაგან უმიზეზოი მას ჟამსა ოდეს ქუჩუტასა საქმე გავიგონეთ ამა პირსა ზედა ვისაც შეძლოს ექუსი საკლავი ორ-ორი საცხურე, შვიდი ჩხაფოლე (?) და იმას დაუჯერდით, პური შანით მოვიტანოთ . ესე იმის ხელი დაგვიმტკიცეიბა ვინც შეშალოს შემცა იშლების სული და ჯორცი.

აქ კიდევ ერთი მოჭრილი სიგელისაგან დარჩენილია შემდეგ:

11.

. . . განასარს დამითულია ოთხასი ფარის ლარისა წიგნი ესე ცამეტისა. . .

2. **წიგნი წამებისა წმიდისა გიორგისა და წმიდის თეოდორესი.** ეს ხელნაწერი დ. ბაქრაძის დროს ეკუთვნოდა ზეგანის ეკლესიას, იფარის თემისა (იხ. დ. ბაქრაძე, გვ. 112). ხელნაწერი 18X12, 5 სანტ. დაწერილია ეტრატზე, ლამაზი ნუსხა ხუცურის ხელით. სათაური ასომთავრულით: **თ-ა აპრილსა კგ წა/მებაჲ წ-ისა გ-სი რ-ი/ აღწერა და თ-ა და/ხვდა ყ-ლსა სიმჴნე/სა მი-სა მოწ-ფწ წ-ი სა გ-ისი ბასიქარტოს.**

რ-ჟს იგი დაეპყრა კერპთ მსახურებასა ეშმაკისასა ყ-ლი სუფელი იყო ბერძენთა ზ-ა მეფეწ რ-ლსა სახელი ერქუა დიუნკლიტიანუზ. (მთელი ეს ტექსტი გადმოღებულია ფოტოგრაფიულად. იხ. №17216) ერთი მხედრული მინაწრი გვამცნევს:

„პატრონო ჩემო ლეონ მეფეო, ნეტარ მე რომ შენი დიდებაი ჰამოდ ყოფაი მესმის. აწ ამას მოგაჴსენებ პატრონო ლეონ მეფეო ღმერთმან საჯერი მანდ მრაუალი მოწყალებად კარგი ლაშქრობაი გაგიმარჯოს დასდურად (sic). და უთოდ (sic) შენ ლეონ პატრონსა ჩემი წყალობა გაგიმარჯოს ღმერთმან“.

აქ უნდა იგულისხმებოდეს ლევან მეორე დადიანი მე-17 საუკუნისა.

დასასრულს წმიდა გიორგის წამებისა, რომელსაც უჭირავს 50 ფურცელი, ტექსტის ხელით სწერია:

„წ-ო გ-ი შ-ე ვახტანგ ფარჯანიანი ა-ნ“.

შემდეგ იწყება: **წამებაჲ წ-სა თე-სი** (წითლითურთ). დასაწყისი:

მაქსიმიანეს და მაქსიმეს მეფეთა წარავლინნეს ყ-ლსა ქ-ყნასა საბრძანებელსა მ-თსა ყ-ლნი რ-ლნი ჰმსახურებდენ საღ-თუსა მას ღ-თის მსახურებასა შეშინებულთა საჭმელთა ჭამად რ-ა ცხუვნდენ.

შემდეგ:

სასწაულნი წი-სა თე-სნი თავ-ი ა . (სულ 11 თავი).

ბოლოს სწერია:

სახელითა მამისაჲთა ძისაჲთა და სლისა წი-საჲთა მხე-ბითა წ-სა ღ-თის მშობ-ლისაჲთა და წი-სა იუანე ნათლის მცემელისაჲთა და წ-თა მთავარ ანგელოზთაჲთა და წ-თა მოციქულთა წწ-ტყლ და მღ-დელთ მოძღუართაჲთა და წ-თა მოწამეთა-თა წი-სა გ-ი მთავარ მოწამისაჲთა და წი-სა თ-ე მოწამისაჲთა მე გლახაკმ-ნ იუვნე მესჴეტემ-ნ აღვწერე წამებაჲ ესე წ-თა მოწამეთაჲ წი-სა გი-სი და წ-ი თე-სი და სსწ-ლნი სალოცველად ადიდენ ღ-ნ ვახტანგ ფარჯანიანისა და ღ-თივ მონიჭებულთა შვილთა მისთა ივ-ნესა და აბულახტარს[1]. აწ ვინ იკითხვიდეთ გ-ლსმოდგინედ ულოცევდით რ-ა ღ-ნ ერთობით ადიდნეს შვილნი და მშობელნი ნებასა ზ-ა მ-თსა ან.

დაიწერა სჴეტსა ზ-ა ჭყუნდიდისასა :. ად-ნ ღ-ნ მეფობასა : ბაგრატ კორაპალატისასა ინდიგტიუნსა : დ : ქრუნიკუნსა : ს : ნ : ა : ჴ-ლით იუვანე მესუეტისაჲთა. ღ-ნ დაგაჯერუს ლოცვა ყავთ.

მთელი ეს ბოლოსიტყვაობა გადმოღებულია, იხ. ფოტ. №№17216-17218.

შემდეგი დროის მინაწერი ხუცურად:

წ-ო გ-ი შ-ე მიქაელ მონა შენი ორსავე ცხორებასა ამა საწუთროსა და მერმესა მას საუკუნესა ა-ნ.

თეოდორეს წამება შეიცავს სულ 69 ფურცელს.

3. **რვა ცალი ჟამის წირვა** იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდისა, ანუ კონდაკები; დაწერილია ეტრატის გრაგნილებზე ნუსხა ხუცურის ხელით; სიგრძე თითოეული გრაგნილისა არის ოთხიდან ხუთ არშინამდის; ხელი დაახლოებით მე-15 –17 საუკუნისა. თარიღი არც ერთს არ უზის. თითქმის ყველა მათგანი შემკობილია ერთს ან ორ ადგილას წ-თა სახეებით და ფერადებით შემკობილი ასომთავრულებით. ესენი ყველა გადმოღებულია ფოტოგრაფიულად. იხ. ფოტო №№17196-17201 და 17210-17215. ამათ შორის ერთს გრაგნილზე წარმოდგენილნი არიან კათაკმეველნი კარიკატურის ხასიათით, რომელნიც გადიან ეკლესიიდან. (ფოტ. №17199).

სხვებზე წარმოდგენილნი მხატვრობანი წ-თა კომპოზიციით ერთმანეთს დიდათ წააგავან, თუმცა სხვა და სხვა წმიდანია. ფიგურები ერთობ მოგრძოა, ყელი მაღალი, ნიმბი ვეებერთელა; ერთი მაცხოვრის სურათს შეიცავს (№17197), ვინაიდან მას ნიმბი ჯვარის სახედ აქვს და მარცხენა ხელში გრძელი ქარტა უჭირავს, რომელზედაც სწერია: მე ვარ ნათელი სოფლისა რომე . . . მეორე სურათს წმი-სა ნიმბს ქვეშ თავი ჭრელი ტურბანით აქვს მოკაზმული, მარჯვენა აწეულ ხელში შეკაზმული ასომთავრული კ-ნი უკავია, მარცხენაში ქარტა, რომელზედაც სწერია: წ-ჲ დანიელ : მესვეტე : ღ-ო : მე . . . (იხ. №17198). ერთ გრაგნილზე წარმოდგენილია : წ-ჲ ბასილი (იხ. №17200).

4. **სახარება თარგმანი in folio,** დიდი ტანისა, 54X25 სანტ. დაწერილია ეტრატზე ნუსხა ხუცურის ხელით ერთს სვეტად; ხელი ლამაზია მელანი შავი, სათაურები წითლურით. დაცული ტექსტი 25 თავს შეიცავს. ჯერ მოყვანილია სახარების სტიხები და შემდეგ თარგმანი. აშიებზე ხშირია განმარტებანი. გადამწერი არა სჩანს, მაგრამ ხელის მიხედვით თარგმანი ეკუთვნის მე-12-13 საუკ.

აშიაზე ერთ ადგილას ტექსტის ხელით მინაწერი:

ს-ლსა აკობის ძეს სფირნდონს (სპირიდონს?) შ-ნდს ღ-ნ
არ ტექსტის ხელით მინაწერი:
ღ-თო შ-ე ცდვილი მხრბლი ჴერძა.
ღ-თო შ-ე ჩ-ი ძმობილი მათ კუარცხელია ა-ნ.
ეხლა ტექსტი იწყება სახარების სიტყვების თარგმანიდან:
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშრუალნი და ტჳრთ მძიმე-
ნი და მე განგისჳ[illegible]ნო. . .
თ-რგნ . მ-დით ჩ-და და ყ-ნი არა ესე ვინმე და იგი ა-დ ყ-ნი რ-ნი ხ-რთ ცოდვათაგ-ნ

1 ეს სამი სიტყვა თითქო შემდეგ იყოს მიწერილი, დ. ბაქრაძეს გამოშვებული აქვს (გვ. 112).

დამძიმებულ . რ-ნი ხ-რთ მწუხარებათგ-ნ შეპყრობილ. რ-ნიცა ხ-რთ ზრუნვათგ-ნ შეურვებულ.

5. **საგალობელი ეტრატზე in folio,** 29X23,5 სანტ, ნუსხა ხუცურით, მე-10-11 საუკ. ერთს სვეტზე, უყდოთ, თავი და ბოლო აკლია; ზოგიერთი სათაურები: იანვარსა ლა კვიროზ და ჲოვანეჲსი დს-ბლნი : ო-ო ღ-ღატყსა : ჴ-ჲ : ა თ-ა ფებერვალსა : ა : ეფრემისი : დს-დბლნი : ო-ო ღ-ღატყსა ჴ-ჲ : ა :

6. **ჟამნი ქაღალდზე;** თავი და ბოლო აკლია, უყდოთ; დაწერილია ნუსხა ხუცური ხელით; მე-16-17 საუკუნისა; დაშლილი და გაფუჭებული.

7. **სახარება ეტრატზე,** 24X17 სანტ. უყდოთ; თავი და ბოლო არა აქვს; 129 ფურცელი; დაწერილია ნუსხა ხუცურით; მახარობლების სურათები ყოფილა, ეხლა დაცულია მხოლოდ იოანე მახარობელისა; სხვა აკლია. ბოლოს უწერია:

სამებაო ერთ ღთ-ბაო დღესა მ-ს დიდსა სასჯელისასა იჴსენ სტნჯვლთგ-ნ სასტიკთა და საშინელთა : გ-ი ამის წიგნისა აღმწერელი მ-ხბითა წ-თა შ-ნთა ათორმეტთა მცქლთჲთა : მ-ხბითა წი-სა ღ-თის მშბ-ლისაჲთა : და ყ-ლთა წ-თა : ზ-ცისა ძ-ლთთა : რ-ნი სათნო გეყვნეს :.

სამებაჲ არსებით დაუბადებ-ლი ღ-თბით გამოუთქმელი ბ-ნბით მიუწდომელი სამ გუამოვნებით ცნობილი ერთ არსებით დ-ბლი ერთ ღ-თბაჲ ერთ მთ-ვრობაჲ ერთ მფ-ბჲ სამებისა ერთა არსებისა და სფ-ვჲ მისი იყვ-ნ ჩ-ნ ყ-თა ზ-ა ა-ნ.

შენიშვნა: ეს ის სახარება უნდა იყოს, რომელსაც უჩვენებს დ. ბაქრაძე (გვ. 109) მუჟალის მაცხოვრის ეკლესიაში და რომლის წარწერას გიორგი მთწმინდელის შესახებ ის მოკლედ იხსენიებს. ა. ხახანაშვილს მოჰყავს ჩვენ მიერ აღნიშნული ორი მინაწერი შეცდომებით (გვ. 18-19) და უმატებს კიდევ შემდეგ წარწერას მარკოზის სახარების ბოლოს: „დაესრულა (დაესრაელა?) მრკზის სხრბჲ თავი. ცლზმურლი (?) აღიწერა ხუთას ოთხმოც მეათერთმეტესა წელსა ბრძანებითა ბე-სითა (ბესარიონისითა) ხოლო იკითხვის წ-თა მრხვათა“. არ ვიცით, ჩვენ ეს მინაწერი ვერ შევნიშნეთ, თუ ჩვენს დროს აღარ იყო, მაგრამ იმ სახით, რა სახითაც ეს ხახანაშვილს მოჰყავს, ეჭვებს იწვევს. აქ საზოგადო ფორმის მინაწერია ყველა სახარების ბოლოსი,

თუ რომელ წელს დაიწერა სახარება ქრისტეს ამაღლების შემდეგ, რამდენ თავს და მუხლს შეიცავს და როდის იკითხება. ხახანაშვილი აქ ხედავს 591 ქორონიკონს ხელნაწრის გადაწერისას და მისი ანგარიშით მე-18 გვერდზე ეს ქორონიკონი უდრის 1229 წელს. მე-19 გვერდზე კი 1211 წელს უჩვენებს. ნამდვილად 591 ქორონიკონი უდრის 1371 წელს (780+591=1371).

8. **სახარება ეტრატზე;** თავი და ბოლო არა აქვს, უყდო, 21X19 სანტ. ორ-სვეტად, ნუსხა ხუცურის ხელით. ხელნაწერი პალიმპსესტს წარმოადგენს. მარკოზის სახარების ბოლოს უწერია:

წ-ნ ღ-თ შემოსილნო მმნო : ქ-ს მოყმენო : ვინცა წ-ა ამ-ს სხ-რბსა და ლოცვასა იმსახურებდეთ ლოცვასა თქ-ნსა მომიჴსენეთ ღ-თი სათ-ს ფ-დ და მწარედ ცოდვილისა ამისა მწერალისა ათანასესთ-ს, ვინ ჩ-მთ-ს შ-ნდობაჲ ჰბრძანოთ ღ-ნ თქნცა მოგაგოს აქა და მ-ს სკნესა ა-ნ.

ეს სახარებაც მუჟალის თემის ეკლესიას ჰკუთვნებია, მხოლოდ არ ვიცით რომელს. დ. ბაქრაძე მას არ იხსენიებს, მაგრამ ა. ხახანაშვილს აღნიშნული აქვს (გვ. 19).

შემდეგი დროის მინაწერი ხუცურით:

ღმრთისა, თ-ავისიდებობით, მაცხოვარი ჟაბეშისა პირველი მოციქული ი-ნე ქოჯმელანი . მუღჩამაგიანი, მამისთვალ ჩამაგიან(ი) და ჯუუნა საჰრანი : მქა ქოჯმელანი , ისო ჩამაგიანი და აჯუ ქუჯმელანი, აბუ საჰრიანი და ი-ნე კორსიანი გიორგისაი იოსელიანი სრულ და ჟაბეშისა საფ-ლი ესე ასრეი მოგიცია ვ-ითამცა მაცხოვარი აღმაშენებლ იყო ვინ წინა დაუდგეს უშელოდ მახარობელისა იჰყარიანისა (?) სათიბი ლასგორელღაში მოგიცემია.

9. **სახარება ეტრატზე,** 22X17,5 სანტ. ნუსხა ხუცურის ხელით მე-12-13 საუკ. უყდოთ. ტექსტი დალაგებულია დღიურ საკითხავებად; თავი და ბოლო აკლია.

10. **სახარება ეტრატზე**, 21X15 სანტ. კარგი ნუსხა ხუცურის ხელით დაწერილი ორ სვეტად, წითლურის მეთაურის ასოებით, უყდო, თავი და ბოლო აკლია; ხელი მე-12 საუკ. უნდა იყოს. ბოლოში უწერია: გ-ი ბ-რსა გლახ მწარედ ცოდვილისა ულოცე მკითხველო : ღ-თისა : თ-ს . (აქ უნდა იგულისხმებოდეს გიორგი ათონელი).

11. **მრავალ თავი** ანუ **მსოფლიო წ-თა წამებანი,** რბილ ეტრატზე, უყდოთ; თავი და ბოლო აკლია, 18,5X16,5 სანტ. ნუსხა ხუცური ხელი მე-10-11 საუკუნისა, ერთ სვეტად. შეიცავს შემდეგ სტატიებს:

1) პირველი სტატიის ბოლო:

ხ-იგი აბრალებდა თავსა თჳსსა განძენებისა და ამპარტავნებისა თჳსისათ-ს და არაჲ სარგებელი გეყო შ-ნ ა-დ და დაადგრა იგი უნაყოფოდ ვ-ე აღსრულებამდე მისა რღ-ისაჲ არს დბჲ უკნით უკ-ე ა-ნ.

დასაწყისი:

ხ- ოი-სა მიერ იგი სიხაროით ჰგიეს ყლსა ჟმ-ს გ-ლს ჴმა ყავთ შვილნუ ჩემნო რ-ო -ი მწე ჩნდა არს.

2) წიგნი ზარია (sic) პტრქისაჲ რ-ლი მიწერა ბაბილოვნით იწლდ მათა : რ-ნი დაშთოჳმილ იყუნეს ტყოჳეობისაგ-ნ სძლისა მის : დაქურივებულსა ეკლესიისა სიუნისა და წ-დისა ქლ-ქისა.

მერმინდელი მინაწერი:

მადლო წ-სა ზაქარიასა შ-ე მიქაილ.

3) ოჳწყებაჲ ცხოველ მყოფელისაჲ პატიოსნისა ჯ-ჲ ვ-რ ოჳკმოიღეს ბაბილოვნით იწმ-თ.

4) გ-ნსოჳნებაჲ იოვანეწსი მოციქოჳლისაჲ და მატარებელისა თჳ-სა აპრილსა კთ-სა.

5) წამებაჲ წდისა იაკობისი ძმისა ო-ჲ რ-ლი დადგა იწლმს ეპისკოპოჳზად.

6) წამებაჲ წდი-სა სტფნწსი იწლმს პრვლ დკნსაჲ.

7) პოვნაჲ წდი-სა სტფნწსი.

8) მიცვალებაჲ ნაწილთა წ-დისა სტფნწსთა.

9) თქმ-ლი წდისა ეფრემისი მოძღუჳრისაჲ მის კხეოჳლისაჲ.

10) ნოჳკბრსა ა წბ-ჲ წიდისა არითაჲსი და კრებულისა მისისაჲ ნებრა ქალაქსა ოჳმერიხელთასა.

11) წამბჲ წი-სა თევდორეწსი.

12) თ-სა აპრილსა კგ

წამებაჲ წდისა გი-სი ჭეშმარიტი.

13) თქმ-ლი წ-დის ილარო ნ. . . (?)ხუცისაჲ ჰრომისაჲ კხვისა თჳს ლოდისა ეკლესიისა, რომელ არს ტაძარი წმიდისა მოწამისა გი-სი და უწყებაჲ განგებისათჳს წმიდისა ბასილისა კესარია კაბადუკიელ მთავარ ებისკპსისაჲ ქე-ს მრწმუნოებისათჳს.

14) თ-ა ივლისა წამებაჲ წ-დისა ქ-ეფო (რწსი) და მოყუასთა მისთაჲ.

ბოლოს:

და მოჰკუთეს თავი მისი თ-სა მირაკნისასა დღ-სა კოჳრიაკესა ჟ-სა მ-სმსა . . .

15) წამებაჲ წდისა ფუკაჲსი კანონმა რ-ლი დღწ თჳსა ბრძანოს ჰკითხე. დასაწყისი:

მოსვლასა მას მაცხოვრისა ჩ-ნისაი ი-ჳ ქეწსსა.

16) გამოძიებისათჳს მელქიზედეკისთჳს.

17) თ-ა ივლისა : წ : წმბჲ წდისა პროკოპესი.

18) თ-ა ოკდნბერსა იზ . საქმწ წ-თ კმზ-ნ დამიანეთაჲ და კორნებანი მათი

12. **ჟამნი ეტრატზე,** 19X15 სანტ. ნუსხა ხუცურის ხელით, მე-14 საუკ. თავი და ბოლო აკლია.

13. **კურთხევანი ქაღალდზე**, 20X14 სანტ. ნუსხა ხუცურის ხელით; თავი და ბოლო აკლია, მე-17-18 საუკუნისა.

14. **სძლის პირნი ღვთისმშობლისანი** ქაღალდზე, 14X10 სანტ. ნუსხა ხუცურის ხელით, მე-18 საუკ. თავი და ბოლო აკლია. უანასკნელი სამი ხელნაწერი მაცხოვარიშის ეკლესიიდან არის.

15. **ადიშის სახარება-ოთხთავი.** ერთ-ერთ მიზანს ჩვენი ექსპედიციისა შეადგენდა ფოტოგრაფიულად გადმოგვეღო მთლად ტექსტი უძველესი თარიღიანი

ადიშის სახარებისა, რაც ჯეროვნად იქმნა შესრულებული. სახარება 38X32 სანტ. დაწერილია მშვენიერის ასომთავრულით ეტრატზე ორ სვეტად და შეიცავს ეხლა 393 ფურცელს; ამათში არ შედის 5 პირველი ფურცელი, რომელზედაც მახარობელთა სურათები და კანონებია მოქცეული. რიცხვი გადმოღებული ტექსტის ფოტოგრაფიებისა არის 440. ეხლა, როგორც მოვიხსენიეთ, ეს სახარება მთელად არის გამოცემული მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების მიერ ფოტოტიპის საშუალებით (იხ. „მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა“, ტ. XIV). ვრცელს წინასიტყვაობაში (გვ. 7-24) ჩვენ მინაწერების და ბოლო სიტყვაობის განმარტებით გამოვარკვიეთ შემდეგი:

1. ჯუმათის მონასტრის (გურიაში) ყოფილ მამასახლის ნიკოლოზს უმოგზაურია კლარჯეთის მონასტრებში და იქიდან გამოუტანია ხუთი ხელნაწერი: ეს სახარება, მრავალ-თავი, ჴელთ-კანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგება. ამათ შორის ეს ჩვენი სახარება, ჴელთ-კანონი და მამათა წიგნი წამოუღია შატბერდის მონასტრისაგან. მინაწერი ნუსხა ხუცურით, სადაც ეს ამბავია მოხსენებული, ჩვენის აზრით, ეკუთვნის მე-17 საუკუნის მეორე ნახევარს. წარწერაში მოხსენებული მრავალ-თავი დაცული იყო გურიაში უდაბნოს მონასტერში; ეხლა ტფილისის მუზეუმშია. ხელთ-კანონი უნდა იყოს ერთ-ერთი სვანეთში დაცული იერუსალიმის დიდი კანონი.

2. ადიშის სახარება გადაწერილია შატბერდის მონასტერში, ამ მონასტრის მესამე წინამძღვრის სოფრონის თაოსნობით, 897 წელს. სოფრონი მისივე ხელით დაწერილს ბოლოსიტყვაობაში გარდაცვალებულად იხსენიებს მის მოწინავე წინამძღვრებს შატბერდის მონასტრისა, მამა გრიგოლს და მამა გაბრიელს. მამა გრიგოლი არის, ეჭვს გარეშე, გრიგოლ ხანძთელი, დამაარსებელი შატბერდის მონასტრისა და მისი პირველი წინაძღვარი, რომელიც გარდაიცვალა 861 წელს; ხოლო გაბრიელი უნდა იყოს მეორე წინამძღვარი და სოფრონი მესამე. ეს ის „დიდი სანატრელი მამაჲ სოფრონია, შატბერდის ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გჳრგჳნი მისი“, რომელსაც იხსენიებს გიორგი მერჩული თავის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერილობაში (გვ. ნბ). იმ დროის ბაგრატიონების მთავრებთა შორის, როგორც ცოცხალნი, მოხსენებულნი არიან ბოლოსიტყვაობაში: ადარნასე მეორე, რომელიც წინეთ ყოფილა კურაპალატი, შემდეგ გახდა ქართველთა მეფე (923 წ.); ეს არის მაშენებელი ბანის ეკლესიისა; შემდეგ მოხსენებულია შვილი ადარნასესი დავითი, რომელიც, როგორც სჩანს, 987 წელს ატარებდა ერისთავის ხარისხს, ხოლო მამის სიკვდილის შემდეგ გახდა ქართველთა მეფედ (923-937); სხვა ადარნასეს შვილების სახელები ტექსტში გაფუჭებულია. გარდაცვალებულ ბაგრატიონებთა შორის მოხსენებულნი არიან: არსენი, დავითი და აშოტი. ამათში დავითი არის მამა ადარნასე მეორისა, რომელიც მოკლულ იყო 881 წელს; აშოტი ძმა არის დავითისა, ბიძა ადარნასე მეორისა, რომელიც გარდაიცვალა 885 წელს, ხოლო არსენი, რა თქმა უნდა, იგიც ბაგრატიონი, ცნობილი არ არის არც სუმბატის ისტორიით და არც სხვა წყაროებით. ჩვენის მოსაზრებით, არსენი უნდა იყოს ბერობის სახელი ადარნასე პირველისა, რომელიც იყო ძმა დავითის და აშოტისა, მაშასადამე, მეორე ბიძა ადარნასე მეორისა. ადარნასე პირველი, როგორც ეტყობა, ბოლო დროს ბერად შემდგარა არსენის სახელით. ის გარდაიცვალა 874 წელს[1], ამრიგად გარდაცვალებულად მოხსენებულნი არიან მამა და ორი ბიძა (მეტი არც ჰყოლია) ადარნასე მეორისა; ამათ მოხსენებაში დაცულია ქრონოლოგიური რიგი გარდაცვალებისა: არსენი, იგივე ადარნასე პირველი (874 წ.), დავითი(881 წ.), აშოტი

(გარდ. 885). განა შესაძლოა სოფრონს არ მოეხსენებინა მეორე გარდაცვალებული ბიძა ადარნასე მეორისა, რაკი მოიხსენია მამა მისი და ერთი ბიძა? ეს შეუძლებელია და ამიტომ ჩვენი მოსაზრება სწორი უნდა იყოს. ადიშის სახარების წინასიტყვაობაში ეს მოსაზრება არ იყო გატარებული.

3. სახარების გადამწერი არის ერთი მიქაელი, ხოლო მმოსელი (შემმოსველი, ყდის გამკეთებელი) არის მეორე მიქაელი – დიაკონი. ამის გაკეთებულ ყდას ჩვენამდე არ მოუღწევია, ეხლანდელი ყდა მერმინდელია და ამის გაკეთების დროს ზოგი ფურცლები აურევიათ, აქა-იქ ზოგი კიდევაც ჰკლებია. დრო გადაწერისა აღნიშნულია ასე: დასაბამითგანთა წელთა ხფა (6501), ქრონიკონსა რიზ (117), შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით წელთა ჩა (1001). ქორონიკონი 117 უდრის 897 წელს (780+117=897). ამასვე უდრის ქართულის სათვალავით 6501 წელი (6501-5504=897), წელი ქრისტესით 1001 ამ თარიღს არ ეგუებოდა და მე მცდარად ჩავსთვალე, ხოლო განსვენებულმა ჩვენმა მეცნიერმა ნიკო მარრმა სწორად მარტო ეს მესამე თარიღი იცნო. მარრი ეყდნობოდა ზოგიერთ სიტყვებს და ფორმებს, რომელნიც მას ახალ ქართულის ნორმებად მიაჩნდა და მე-9 საუკუნის ტექსტში მათი არსებობა შეუძლებლად აღიარა. ჩვენ ეს უარვყავით და ასეთი ფორმები აღვნიშნეთ მე-10 საუკუნის უტყუარ თარიღიან ტექსტშიც. შემდეგ კ. კეკელიძემ ეს მესამე თარიღი თავისებურად გაამართლა და შეუფარდა იმავე 897 წელს (იხ. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, II, გვ. 392-397). თავისი სტატია ავტორმა ასეთი სათაურით დაბეჭდა: „როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება?“. ეს სათაური გულისხმობს,

1 იხილე გენეალოგია ბაგრატიონებისა ივანე ჯავახიშვილის ისტორიაში.

თოთქოს წინეთ არ ყოფილ იყო გამორკვეული, როდის არის გადაწერილი ადიშის სახარება, მაგრამ ეს ასე არ არის. მოვუსმინოთ ისეთ ავტორიტეტულს მეცნიერს, როგორიც არის ივანე ჯავახიშვილი. სწორედ იმავე ტომში, სადაც არის დაბეჭდილი კ. კეკელიძის სტატია, ივ. ჯავახიშვილი სწერს (გვ. 350): „ზოგიერთი იქ (ადიშის სახარებაში) ნახმარი სიტყვები და ფორმები ნ. მარრს ახალ ქართულისად ჰქონდა გამოცხადებული, რომლის მსგავსი მე-9 ს. ხელნაწერში ნ. მარრის აზრით არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. ე. თაყაიშვილმა ჯერ შატბერდ-ადიშის სახარებების ანდერძში მოხსენებული ისტორიული პირების მოღვაწეობის დროის გათვალისწინებით დაამტკიცა უცილობლად, რომ ამ ხელნაწერში ქართული ქორონიკონით აღნიშნული თარიღი იყო სწორე და ამის გამო იგი უეჭველია მე-9 ს-ში დაწერილი ძეგლია. შემდეგ იგივე საკითხი ე. თაყაიშვილმა ენის თვალსაზრისითაც განიხილა. თუ რამდენად შემცდარი იყო ნ. მარრი თავის მსჯელობის დროს ქართული ენის ძველი და ახალი ფორმების დახასიათებას რომ ცდილობდა, ე. თაყაიშვილმა იმავე შატბერდის (ადიშის) სახარების ფოტოტიპიური გამოცემის წინასიტყვაობაში გამოარკვია. მან ნ. მარრისაგან ახალ ქართულ ფორმებად და სიტყვებად ცნობილი ფორმა-სიტყვები მე-10 საუკუნის ხელნაწერში ამოკითხულ მაგალითებით ძველ ქართულში არსებულად ცხად-ჰყო. მაგრამ რათგან თვით ადიშის სახარებად ნ. მარრს მე-11 საუკუნის დამდეგისად მიაჩნდა, ამგვარი საბუთი მას, რასაკვირველია, არ დააკმაყოფილებდა. მაინც სრულებით სამართლიანად ამბობდა ე.

თაყაიშვილი: ჩვენ ისე ნაკლებად გვაქვს ძველი, მე-9 საუკუნის ძეგლების ენა შესწავლილი, რომ რა არის ძველი და რაა ახალი, ჯერ ძნელი სათქმელია“.

აქედან ცხადდება, რომ საკითხი, როდის არის ადიშის სახარება გადაწერილი, გამორკვეული ყოფილა კეკელიძის სტატიის დაბეჭდვამდისაც. მაგრამ კ. კეკელიძეს უსათუოდ სამსახური მიუძღვის ადიშის სახარების მესამე თარიღის ახსნა-განმარტებაში. ამიტომაც სტატიას უფრო შეეფერებოდა სათაური: „განმარტება ადიშის სახარების მესამე თარიღისა“. ავტორი ჯერ მოიხსენიებს იმ ცნობილ ფაქტს, რომ საქართველოში ძველად სხვა და სხვა წელთ აღრიცხვა იყო ხმარებული: ერთი ქართული, რომელიც ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე სთვლიდა 5604 წელს, მეორე – ბიზანტიური, რომელიც სთვლიდა 5508 წელს, მესამე – ალექსანდრიული, რომელიც ითვლიდა 5500 წელს, მეოთხე – პანდორესი, რომელიც ითვლიდა 5492 წელს. ამ რიგად ქართული სისტემა წინ ითვლის ბიზანტიურთან შედარებით 96 წელს, ალექსანდრიულთან შედარებით 104 წელს, ხოლო პანდორესთან შედარებით 112 წელს. ადიშის სახარებაში არის ნახმარი ალექსანდრიული სისტემა. ადიშის სახარება გადაწერილია „დასაბამითგანთა წელთა 6501, ქორონიკონსა 117, შობითგან ქრისეტსა 1001“; ამ სამ თარიღში პირველი ორი გვაძლევს 897 წელს (6501- 5604 =780 +117 =897). ამასვე გვაძლევს მესამეც, ქრისტესით 1001, ესე იგი 1001 წელი; მართლაც, 1) ჩვენ ვიცით, რომ ალექსანდრიულ ერასთან შედარებით ჩვენი ერა 104 წლის განსხვავებას გვაძლევს; მაშასადამე, 1001- 104 =897; 2) 1001 წელს გასულა ქვეყნის გაჩენიდან: 5500 +1001 = 6501 წელიწადი, როგორც ამას თვით გადამწერიც აღნიშნავს; ამას რომ გამოვაკლოთ ჩვენებური სისტემით 5604 წელიწადი, მივიღებთ 897 წელს (იხ. ხსენებული სტატია, გვ. 396-397). ჩვენის აზრით, კ. კეკელიძემ აგვიხსნა, თუ საიდან წარმოსდგა შეცდომა ადიშის სახარებაში ქრისტესით 1001 წლის ჩვენებაში. აქ გადამწერს ის განსხვავება, რომელიც არსებობს ქართულ წელთაღრიცხვაში დასაბამითგან წლის ანგარიშში, გადმოუტანია ქრისტეს მოსვლიდან წლის აღრიცხვაშიც. რომ ეს სისტემა ჯეროვანი არა ყოფილა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ეს არ დამყარებულა ქართულს წელთ აღრიცხვაში. ყოველ შემთხვევაში, მე-11 საუკუნიდან ქრისტესითგან წელთ აღრიცხვა ისეთია, როგორც ჩვენ ეხლა ვხმარობთ და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს დასაბამითგან წლის ანგარიშის განსხვავებასთან. ამას გარდა ჩვენს სახარებაში პირველი ორი თარიღი სწორ ქართულ სისტემას ემყარება, მხოლოდ მესამე ალექსანდრიულ სისტემას. ამგვარი, ასე ვთქვათ, ორმაგი ბუჰხალტერია ერთი და იგივე თარიღის აღსანიშნავად, მიუღებელია. სხვა ადგილას ჩვენ განმარტებული გვაქვს, როდის მივიღეთ ჩვენ ქორონიკონი ანუ 532-წლიანი ციკლი, რა უდევს სარჩულად ამ წელთ აღრიცხვის დაწყებას და რატომ წარმოიშვა განსხვავება დასაბამითგან წელთ აღრიცხვაში ჩვენს და სხვა სისტემებს შორის (იხ. **Georgica,** ტ. I, წიგნი 1, გვ. 9-27), ამიტომ ამაზე საუბარს არ გავაგრძელებ. ეხლა ასე თუ ისე, ყოველ მხრივ გამორკვეულია, რომ ადიშის სახარება 897 წელს არის გადაწერილი და დღემდე რჩება უძველეს თარიღიან სახარების ხელნაწერად. ეხლა, როდესაც პალიმფსესტებისაგან აღდგენილმა ძველი ტექსტების შესწავლამ მოგვცა ახალი და უძველესი ღირს შესანიშნავი მასალა ქართული ენის ევოლუციის შესასწავლად, როდესაც დადასტურებულია ხანმეტობა და ჰაემეტობა მე-V-VII საუკუნოების ტექსტებისა, ადიშის სახარების ტექსტი, რამდენადაც ჯერ შესწავლილია, ჰაემეტობის გადამავალ ტექსტად სჩანს (იხ. ი. ჯავახიშვილი: „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა

მეცნიერებისათვის“, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, II, გვ. 313-391. ა. შანიძე. „ჰამეტობა ადიშის სახარებაში“, იქვე, გვ. 417-424; მისივე: „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიაში“, „უნივერსიტეტის მოამბე“, III, გვ. 354-388). დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ლექსიკურ მასალასაც ამ სახარებისა. ტექსტი მათეს და მარკოზის სახარებისა მხედრულის ასოებით, შენიშვნებით და ლათინურის თარგმანით, უკვე გამოცემულია, ფოტოტიპიური გამოცემის მიხედვით, რობერტ ბლეიკის მიერ (იხ. R. Graffin Patrologia Orientalis, tome XXIV – fascicule 1, tome XX – fascicule 3).

შენიშვნა: მესტიაში ბლაღოჩინ ბესარიონ ნიჟარაძის სახლში იყო კიდევ ბევრი სხვა ხელნაწერი, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ მოკლებული დავრჩით საშუალებას ისინი გაგვეშინჯა, ვინაიდან ბესარიონი ერთი კვირით ვატაცის ეახლა და მისი დაბრუნების შემდეგ ჩვენ უკვე მულაყის თემში ვიყავით და დრო აღარ გვქონდა მესტიაში დავბრუნებულიყავით. ამას გარდა ჩვენ აქ არ მოგვყავს ნუსხა მრავალ-რიცხოვანი ხელნაწერებისა, რომელნიც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის ფონდში შევიდა. ესენი მუზეუმის კატალოგშია აღნიშნული.

ლენჯერის თემი

ლენჯერის თემში შედიან სოფლები: ნესგუნი, დემსია (ლემსია), ქაშვეთი, კაერი (?), სოლი, ლაშტხვერი, მუხელი.

სოფელი ნესგუნი.

სოფელ ნესგუნში ძველი მაცხოვრის ეკლესია არის თლილის ქვისაგან აშენებული, საკმაოდ დიდი და ისე მაღალი, თითქოს ორ-სართულიანი არისო. შესავალი მას აქვს დასავლეთით და სამხრეთით; ფანჯარა ოთხი; ორი სამხრეთით და თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით. კანკელი გარედ გამოდის მრავალ-წახნაგოვანად (იხ. ფოტოგრაფია, ნომ. 17434). სამხრეთით ეკლესიას ჰქონია ეკვტერი, რომელიც ეხლა მოუცილებიათ. ეკლესია დახურულია ყავრით. აღმოსავლეთით, საკურთხეველის კედელზე სანახევროდ გადასული წარწერაა, რომელიც აღნიშნული არ არის ლიტერატურაში. წარწერა მგონი ასე იკითხება:

ქ-ე შწყ-ე ბშგნე .

მეორე წარწერა აგრეთვე ცუდათ შენახული მოიპოვება დასავლეთის კედელზე:

ქ-ე შ-ე მფე გ-ი .

ესე იგი: ქრისტე, შეიწყალე მეფე გიორგი.

შიგნით ეკლესია მოხატული ყოფილა, მაგრამ ეხლა მხოლოდ ნიშნები შერჩენია ფრესკებისა. კანკელი ქვისაა და შედარებით მაღალია სვანეთის ეკლესიისათვის, შეიძლება მიტომ, რომ თვით ეკლესიაც მაღალია. კანკელი შესდგება სამი კამარისაგან, ორი სვეტით და ამდენისავე ნახევარი სვეტებით კიდეებში; არშინ-ნახევრის სიმაღლეზე კამარები იწყება ხატებისათვის. ეკლესიაში დაცულია:

1. **დიდი ხის ჯვარი** კანკელის წინ სადგომი, მაგრამ ეხლა თვით კანკელზე დამყარებული, შეძერწილი ჩვეულებრივად ვერცხლის ფირფიტებით წმიდათა სახეებით. ყველაზე უფრო დიდ ფირფიტაზე, ზემოდ, წარმოდგენილია სრულის ტანით ღვთის მშობელი ჩჩვილედი, წარწერით: დედჲ ღ:მრჲ (sic); ესე იგი: დედაჲ ღმრთისაჲ. ქვემოდ ამავე ფირფიტაზე წელსზევითი მაცხოვარია და კუთხეებში მზენი. ფირფიტა შემკობილია ბალახოვანი აშიებით. შუაში ჯვარისა არის უმბო მზის თვალის სახით; მის კუთხეებში, ზემოდ, ორ წ̄ა გიორგია ცხენოსანნი, გვირგვინოსანთა მგმირავები; ქვემოდ: წყვილი სურათია, ვგონებ, მთავარ ანგელოზთა. უმბოს აქეთ-იქით სამი ფიგურაა ღვთის მშობლისა, ჩჩვილედისა, წელსზევითი, ბერძნულის წარწერით სახელისა და შემკობილის აშიებით. ამათ იქით მთავარ ანგელოზებია; კუთხეებში ყოფილა კიდევ მაცხოვარი, დარჩენილია მხოლოდ მარცხენა ფრთაზე. ქვემო ფრთაზე ჯერ ღვთის მშობელია, წელსზევითი, ბერძნულის წარწერით და შემდეგ ამის ქვემოდ ეტრატზე დახატული ჯვარცმაა ერთის, იოანეს, წინადგომით და ეს ნახატი მიკრულია ჯვარზე. ერთი ფირფიტა ქვემოდ აკლია (იხ. ფოტ. №16973).

2. **მეორე ასეთივე ჯვარი**, ხოლო უფრო ნაკლები ზომისა, 70X 41 სანტ. ქვემო ნაწილი ამისაც მოძარცულია. მთელი ზემო და შუა ნაწილი უკავია ერთ დიდ ფირფიტას, რომელზედაც მაცხოვარია წარმოდგენილი სრულის ტანით, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით, წარწერით: ი̄ჳ ქ̄ე. ქვემოდ მაცხოვრისა წ̄ჲ გ̄ი, წელსზევითი (№16969). მარცხნივ და მარჯვნივ ფრთებზე წარმოდგენილნი არიან: ჯვარცმა: წ̄ა გიორგი, მთავარ ანგელოზნი და სხვა.

3. **დიდი ვერცხლის ფირფიტა**, ოქროთი დაფერილი, რომელზედაც წარმოდგენილია ჯვარცმა, 28X18 სანტ. (№16965). ზემოდ: ორი ჩამოფრენილი ანგელოზია, წარწერებით: წ̄ჲ მ̄ქლ, წ̄ჲ გ̄ბრლ. ჯვარცმულის ნიმბის ზემოდ, ჯვარის სახელი, წარწერა არის: ქ : ესე : არს : მეუფე : ურიათა .

ქვემოდ ორივე მხარს ჯვარცმულისა: ღვთის მშობელი და იოანე, წარწერებით: დ̄ჲ ღ̄ი, წ̄ჲ ი̄ე მხრ̄ბლი. ქვემო ნაწილი ფირფიტისა აღარ არის, დარჩენილია წარწერა: „ადამის თავი“; ეზო ვაზების ყლორტების მსგავსად არის შემკობილი. სამართლიანად შენიშნავს გრაფინია უვაროვისა, რომ ეს ფირფიტა წინეთ ყოფილა სახარების ყდის ფირფიტა. ხელობა ქართულია მე-15-16 საუკუნისა. ჩვენ ეს ფირფიტა, რომ არ გაფუჭებულიყო, ხატის ფიცარზე მივაკარით.

4. **ხატი ღვთის მშობლისა**, ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ ეხლა მოშლილია. ოქროს მორთულობა და აშიები ხატისა დაცულია (№16974). წარწერა სევადით არის შესრულებული: დედა ღ̄თისა. აშიები, გაყოფილი წერტილის ხაზებით უჯრედებად, სევადითავეა შემკობილი, მაგრამ ეხლა ძლივს ემჩნევა. მეორე გვერდზე ვერცხლისა, ჯვარის ირგვლივ, ლექსად წარწერაა (№16975):

რმელმნ ეგე ევას მ
იუზღე ვალი : ჰრქუი
რაჲ გბრიელს ვარ
უფლის

ა მჴევლი : მშინ ისტ
უმრე ქუეყნად მოუვ
ალი : დაემჴო ძალი პ
რველვე სსხლ დამთრ
ალი ქალწულო მიჴსენ
ბორენა ჭირ
მრავალი.

უქარაგმოდ და ლექსად დაწყობილი ასე იქნება:

რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,
ჰრქუი რაჲ გაბრიელს : „ვარ უფლისა მჴევალი”.
მაშინ ისტუმრე ქუეყნად მოუვალი,
დაემჴო ძალი, პირველვე სისხლ დამთრალი,
ქალწულო, მიჴსენ ბორენა ჭირმრავალი.

ეს წარწერა ფრიად დამახინჯებულად აქვს მოყვანილი ა. ხახანაშვილს (გვ. 37-38).

წარწერაში ასოები ო და უ ერთგვარად არის გამოხატული.

ბორენა იყო მეფე ბაგრატ მეოთხეს (1027-1072) მეორე ცოლი, ოსთა მთავრის ქალი.

ხელობა ხატისა, თუმცა ცუდათ დაცული, მართლა შიძლება მივაწეროთ კლასიკურ ხანას, მე-11-12 საუკუნეს. მაგრამ ხასიათი წარწერისა ყოვლად შეუძლებელია მე-11 საუკუნეს ვაკუთნოთ. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ წარწერა მერმინდელია, შეიძლება ძველიდან გადაწერილი, არა უადროეს მე-16-17 საუკუნისა. ანდა აქ მოხსენებული ბორენა სხვა პირია და არა ბაგრატ მეოთხეს ცოლი.

5. პატარა **ხატი მირქმისა**, 6,5X5 სანტ. ტლანქი ხელობისა, (იხ. ფოტ. №16974). აქვე მეორე პატარა **ხატი ღვთის მშობლისა**, ჩჩვილედი, ფრიად ტლანქი და სპილენძის პატარა **ხატი ჯვარცმისა** (პანაგია).

6. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლისა, ნაჭედი, 39X26,5 სანტ. (№16967). მაცხოვარი ტახტოსანია, ჩვეულებრივი რიგით წარმოდგენილი. აშია ორია; შინაგანი ფოლაქების მსგავსად არის შემოვლებული; გარეგანი – ფართო, საცრის მსგავსია, მედალიონებით, მაგრამ უსურათოდ. ხელობა დაბალია, მე-16-17 საუკ.

7. **ხატი მაცხოვრისა**, ვერცხლით ნაჭედი, 42,5X34 სანტ. (№16968). მაცხოვარი აქაც ტახტოსანია, დიდი ჯვარისა სახის ნიმბით და წარწერით: ᲬᲐ ᲔᲥ (sic). ეს შებრუნებული ასოები შეესაბამებიან სიტლანქეს ხატის ხელობისა. ეზო და აშიები ბალახის მსგავსად არის შემკობილი; ქვემო აშია აკლია. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკ. მარცხენა აშიაზე ღვთის მშობელია; მარჯვენაზე: იოანე ნათლის მცემელი, სრულის ტანით.

8. **ხატი წინასწარმეტყველის ელიასი**, ვერცხლისა, ნაჭედი, 20X22 სანტ. ნამდვილი სვანური ხელოვნებაა დაცემის ხანისა (№16966). წარწერა სახელისა ხუცურად: წ-ᲔᲚ ელია. მხოლოდ ეს წარწერა გვავალებს ჩვენ დავუჯეროთ ამის ხელოვანს, რომ მას უნდოდა აქ გამოეხატა ელია წინასწარმეტყველი. უამისოდ მის გამოხატულ სურათს ჩვენ მივიღებდით უბრალო სვანი კაცის გამოხატულებად. სახე

და მოკლე ტანისამოსი, ჩოხის მსგასი, სვანურია. მარცხნივ, ვით უსახო ზვინი, რაღაც გროვაა. ამ უთავბოლო გროვაში თითქო ისახება ჩონჩხი უზარმაზარი ფრინველისა, ნისკარტით და ფრთებით. აშიები ჩვეულებრივია ასეთი ტლანქი სვანური ხელობისათვის, რომელიც შესდგება ერთი ერთმანეთში გადაბმული ნახევარი სიმრვალეებისაგან, წერტილებით შიგნით; ქვემოდ ვულგარული ასომთავრული წარწერაა:

წ̄ო :. ელია :. მეოხ ექმენ :. ჯფარიძეს :. სუმაინს (?) :.

და თანა :. მცხდრესა :. მისსა : კოპაიძის :. ქალსა :.

კაკონს დღეს მს გნკთხვისსა ამნ ო .

უქარაგმოდ:

წმიდაო ელია, მეოხ ექმენ ჯაფარაიძეს სუმანის (?) და თანამეცხედრესა მისსა კოპაიძის ქალსა კაკონას დღესა მას განკითხვისასა, ამინ, უფალო.

ნესგუნში ყოფილა კიდევ პატარა ქვის ეკლესია **ილია წინასწარმეტყველის** სახელზე და ზემო ნაჩვენები ხატი ალბათ ამ ეკლესიას ეკუთვნოდა. ჩვენს მოგზაურობის დროს ამ ეკლესიას ანახლებდენ; წინეთ მიტოვებული ყოფილა. ეკლესიასთან მე ვიპოვნე პატარა ზარი, უცნობი, მხედრულის წარწერით:

ქ. შემოგწირე :. მე :. ერისთვის :. ძემანი :. (sic) დავით :.

ზარი :. ესე :. თქუენი :. საშინელისა :. ხატსა :. იმნეი-

მისას (?) :. შენი :. მეოხი :. მექმენი :. ორსავე :. ცხო-

რებასა :. შინა :. ამინ:.

წაკითხვა „იმნეიმისასა“ საეჭვოა, ვინაიდან დედანში კარგად არ განირჩევა.

წარწერას ახასიათებს ხორცმეტნი ასოები ი-ნები. წარწერა მე-17 საუკ. უნდა იყოს.

სოფელი ლემსი.

ამ სოფელში ეხლა ახალი ეკლესია არის, მაცხოვრისა; ეხლანდელი მისი ხატები წინეთ კოშკში ინახებოდა და ლიტერატურაში ცნობილი ნაკლებად არის. ჩვენ აქ ვნახეთ:

1. **ჯვარი ხისა,** შუა ტანისა, 98X61 სანტ. შეძერწილი ვერცხლის ფირფიტებით, ლამაზი ხელობისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი აკლია. მარცხენა და მარჯვენა მკლავი ეხლა სულ შიშველია; ცოტა ზემოდაც აკლია და ქვემოდაც (№ 16986). ქვემოდ წარმოდგენილნი არიან: წყვილად, გრიგოლ დიდი და წ̄ა ნიკოლაოზ, წარწერებით: წ̄ᲂ გრიგოლი, წ̄ᲂ ნიკოლაოზ.

ქვემოდ, მათ შორის, მეორე წარწერა: ქ̄ე შეი/წყალე სუ/ -

ლი ვ̄ხ/ტანგ/ისი.

ზემოდ და ქვემოდ ამ ფიგურებისა საუცხოო ხელობის შემკობილობაა ბროწეულის ყვავილების მსგავსი. ამას ზევით ორი სურათია მაცხოვრისა, ტახტოსნისა, ბერძნულის წარწერებით სახელისა. ამას ზემოდ მთავარ ანგელოზია, სრულის ტანით და შუბით.

2. **მეორე ასეთივე ჯვარი,** 86X58 სანტ. შუაში მიჭედილი აქვს ვერცხლის პერანგი სხვა ხატისა, ღვთის მშობლის საუკეთესო ხელობისა, მე-12-13 საუკ. ბერძნულის

წარწერით სახელისა; მარცხენა ფრთაზე ოქროთი დაფერილი ვერცხლის სამი ფირფიტაა და მათზე წარმოდგენილნი არიან: პეტრე და პავლე: წ-ჲ პავლე, წ-ჲ პეტრე. მარჯვენა ფრთაზე: წ-ჲ მიქელ, წ-ჲ გაბრიელ და ღვთის მშობელი, ბერძნულის წარწერით სახელისა. ქვემო ფირფიტები გაფუჭებულია, მაგრამ, ეტყობა, იქ მთვარ ანგელოზები ყოფილან წარმოდგენილნი (ამის ფოტოგრაფია არა გვაქვს).

3. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთ დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, 44X32 სანტ. (№ 16979). მაცხოვარი წელსზევითია, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით და დიდი ჯვარის სახის ნიმბით. წარწერა სახელისა ბერძნულია, მაგრამ შეცდომით; აშიები ბალახოვანი შემკობილობით არის მოცული ფიგურებით მედალიონებში; მარჯვნივ და მარცხნივ წ-ა მხედარნი, სრულის ტანით, ზემოდ: წელსზევითი ფიგურები: ჩჩვილედი ღვთის მშობლისა შუაში და მთავარ ანგელოზთა კუთხეებში. ქვემო აშია სხვა ხელობის არის, რომბ-ლურსმული; მარჯვნივ დანაკერები ნაჭერია; ხელობა მოტლანქოა, მე-16-17 საუკუნისა.

4. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, 33X23 სანტ. (№1681). მაცხოვარი ტახტოსანია; მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს, რომლის ყდაზე ჯვარია გამოსახული. ნიმბი დიდი აქვს, ჯვარის სახისა. წარწერა სახელისა ბერძნულ-ქართულია. ზემო და ქვემო აშია მოძარცულია, დანარჩენის ფოთლოვანი შემკობილობა ულაზათოა. ხელობა ტლანქია, არა უადროეს მე-17 საუკუნისა.

5. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლით ნაჭედი, 46 X35 სანტ. ტლანქი ხელობისა, მე-17–18 საუკუნის (№16978). მაცხოვარი ტახტოსანია, ჩვეულებრივი რიგით წარმოდგენილი, ხოლო ტახტი უბრალო ჩუქურთმიან სავარძელს მოგვაგონებს. წარწერა სახელისა ბერძნულია, ნიმბი დიდი ჯვარის სახედ. აშიები რომბ-ლურსმულია რვა მედალიონით, რომლებშიაც მოსჩანს ზემოდ: მაცხოვარი მთავარ ანგელოზებითურთ. ასეთივეა განმეორებული ქვემო აშიაზეც; მარჯვენა აშიაზე, ვგონებ, წ-ა გიორგია, სრულის ტანით. წარწერა არა აქვს.

6. **ხატი ჯვარცმისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლით ნაჭედი, 32X24 სანტ. (№16982). ჯვარცმის ზემოდ მზე და მთვარეა წარმოდგენილი; აქეთ-იქით მთავარ ანგელოზნი მედალიონებში. ქვემოდ წინამდგომნი: ღვთის მშობელი და იოანე. წარწერები გადასულია, ხოლო იოანეს წინ სჩანს: წ-ჲ. ჯვარცმულის ფეხებს ქვევით ადამის თავია; უფრო ქვემოდ ღვთის მშობელი წელსზევითი, მედალიონში, ბერძნულის წარწერით სახელისა. თვით ჯვარცმულის ტანი და ჯვარზე მიკვრა კარგად არის შესრულებული. საერთოდ, ხელობა ცუდი არ არის. აშიები რომბ-ლურსმული, უფიგურო მედალიონებით, არა უგვიანეს მე-16 საუკუნისა უნდა იყოს.

7. **შემოსილობა ღვთის მშობლის ხატისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 36X37 სანტ. ადგილ-ადგილ მოშლილი, არა ცუდი ხელობისა (№16987). ღვთის მშობელი წელსზევითია, ჩჩვილედი. სახე მისი და ქრისტესი სულ მოშლილია; ნიმბები შემკობილია და დიდრონი წარწერა სახელისა ბერძნულია. აშიები არ შერჩენია.

7 ბ. ამავე ფოტოგრაფიაზე გადმოღებულია წელსზევითი ფიგურა მედალიონში **წ-ა პეტრესი,** წარწერით : წ-ჲ პ-ტრე. და კიდევ მთავარ ანგელოზები: მიქელ და გაბრიელ, სრულის ტანით (ესენი ნიმბის არეში არიან ჩადებულნი). ამათზე დაცულია ნაშთები წარწერისა:

.... ანგელოზო ჯაიანი სულითა ....

8. ამავე ფოტოგრაფიაზე (№16987) ჩვენ გადმოვიღეთ **ერთ სტრიქონიანი წარწერა ხატისა,** რომელიც ცალკე ვიპოვნეთ; შეიძლება ეკუთვნოდეს მე-7 ნომრის ქვეშ აღწერილს ხატს. წარწერა იკითხება ასე:

ი : ღ-ო ცათისო : შ-ე : ნ-კზ : ჭილასძე : და შ-ნ მშობელთა ... ესე იგი: ... ღმერთო ცათისაო (resp. ცათასაო). შეიწყალე ნიკოლოზ ჭილასძე და შეუნდვენ მშობელთა (მისათა).

9. **ხატი წ-ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლის შემკობილობით, 31 X23,5 სანტ. (№16984), ყოფილა წამლით ნახატი, რომელიც ეხლა გადასულია; წარწერა: წ-ჲ გ-ი. ეზო შემკობილია ხლართულებით; აშია დაყოფილია უჯრედებად წერტილებიანი ხაზებით.

10. **შემოსილობა ვერცხლისა წ-ს გიორგის ხატისა,** გადმოღებულია ამავე ფოტოგრაფიაზე №16984. წმიდა გიორგი ცხენითაა წარმოდგენილი, ვეშაპს გმირავს შუბით; კარგი ნახელავია.

11. **ხატი წ-ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 38X34 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია რომაულ სამხედრო ტანისამოსით, სრულის ტანით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა ფარზე აქვს დადობილი; თმა ხუჭუჭებად აქვს დაყოფილი. ირგვლივ თავის მრგვალი წრეა; ყველა ეს ნიშნები წმიდა გიორგის ეკუთვნის, მაგრამ წარწერა იწვევს სხვა კითხვებს, ვინაიდან აქ სწერია: წ-ჲ სგ-ი. ასო, რომელიც მოსჩანს გ-ი-ს წინ, სხვათ არ შეიძლება მივიღოთ, თუ არა ს-ნად. ამიტომ შეიძლება წაკითხვა: წმიდაჲ სერგი. ან თუ აქ მართლა წ-ა გიორგი იგულისხმება, მაშინ შეიძლება წავიკითხოთ: წმიდაჲ საკვირველთ მოქმედი გიორგი, მაგრამ ეს ნაკლებად დასაშვებია. ჩვენს ფოტოგრაფიაზე №16980, როგორც სახე, ისე წარწერაც კარგად არის გამოსული და ამიტომ შემოწმება ადვილია. აშიები რომბ-ლურსმულია, რვა მედალიონით, მარჯვნივ და მარცხნივ წმიდა მხედარნი არიან სრულის ტანით წარმოდგენილნი, შუბით და ფარით; ზემოდ ვედრება, ქვემოდ მთავარ ანგელოზნი. ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს.

12. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი. წარმოდგენილია სრულის ტანით, საზომით და ბურთით. წარწერა: მჲქ-ლ მრ-ზი. ხელობა მოტლანქოა. აშიები ლამაზია, ფურცლოვანი მედალიონებით, მაგრამ ხუთის მეტი გაფუჭებულია. მარჯვნივ და მარცხნივ წმიდანნი მხედარნი არიან, სრულის ტანით (№16983). მე-16-17 საუკ. უნდა იყოს.

13. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლით ნაჭედი, 18X15 სანტ. ტლანქი ხელობისა (№16985). მაცხოვარი ტახტოსანია, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით. ნიმბი ჯვარის სახედ არის განყოფილი, ერთობ გამობერვით არის გამოყვანილი. წარწერა: ქ-ე. აშიები რომბ-ლურსმული, მე-18-19 საუკ. უნდა იყოს.

14. **ხატი ვერცხლისა,** ნაჭედი, 21X15 სანტ. ლურსმულის აშიით. ამ ხატზე წარმოდგენილია ჯვარედინად ოთხი ფიგურა: ორი ჩჩვილედი ღვთის მშობლისა, წელსზევითი, ორივე ერთგვარი, ბერძნულის წარწერით სახელისა; ორი მაცხოვრისა, სრულის ტანით, სახარებით და მაკურთხეველის მარჯვენით. ხელობა ტლანქია, მე-18 –19 საუკუნისა (№ 16985).

15. **ხატი ვერცხლისა,** რომელზედაც წარმოდგენილია ორი წმიდა გიორგი, ცხენით, ჯვარით ხელში. ერთობ ტლანქი ხელობისა არის, მე-18 –19 საუკუნისა.

კერძო სახლში, ლემსიაში ჩვენ გვაჩვენეს შემდეგი ხატები:

16. **ხატი წ-ა გიორგისა,** ვერცხლისა, 13X11 სანტ. (№16990); ხატს უვლის ორი აშია, ფოლაქების მსგავსად შემკობილი და მათ შორის ხლართულები. შუაში, წერტილებიდან შემდგარს მრგვალ წრეში, მოთავსებულია ფიგურა წ-ა გიორგისა, ცხენით; გმირავს ახალგაზრდას, ჩაბალახის მსგავსი თავსახურავით. წარწერა: წ-ᲂ გ-ი. მე-17 –18 საუკ. უნდა იყოს.

17. **ხატი წ-ა გიორგისა,** ვერცხლისა, 31X23 სანტ. (№16989). წმიდა გიორგი ოთხკუთხედშია წარმოდგენილი, ცხენით; გმირავს გვირგვინოსანს; ერთობ ტლანქი ხელიბისაა, მე-18 –19 საუკ.

18. **ხუთი ტლანქი ხატი** ღვთის მშობლისა და ერთიც მთავარ ანგელოზისა.

19. **ხატი წ-ა გიორგისა,** ვერცხლისა, რომელზედაც ძლივს მოსჩანს ფიგურა წმიდანისა, ერთობ ტლანქი ხელობისა. ეს ხატი ჩადგმულია ოთხკუთხედ ხის ჩარჩოში, რომელსაც ქვემოდ ტარი აქვს, და ზემოდ მოღუნული თავი, გეომეტრიული ფიგურებით შემკობილი. ეს წინეთ, როგორც ეტყობა, ლაბარუმი ყოფილა ანუ ბოყერი, და თავისი ყოფილი შემკობილობა დაუკარგავს. ეს ჩარჩო შიგ ჩადგმული წ-ის გიორგის ტლანქი ხატით დიდათ სწამთ ადგილობრივ სვანებს (№16988).

20. პატარა **ხატი ხარებისა,** 6X5 სანტ. ტლანქი ხელობისა, რომელიც მოთავსებულია იმავე №16988 ფოტოგრაფიაზე, მარცხენა კუთხეში, ზემოდ.

21. **წინაპირი** პატარა გულსაკიდი ხატისა წმიდის გიორგისა, ვერცხლისა, 6,5X4 სანტ. რომელიც ჩვენ ვიპოვნეთ ეკლესიის ეზოში, ხოლო დ. ბაქრაძეს ეს ეპოვნა ეკლესიის სკივრში (გვ. 89). წ-ა გიორგი წარმოდგენილია კამარის ქვეშ, სრულის ტანით, ფარით და შუბით; კამარა ორმაგ სვეტებზეა დამყარებული, ლამაზის სვეტის თავებით; ორივე მხარეს ჩამოგრძელებულია ასომთავრული წარწერა:

წო / გ-ი ალ/ დს/აა	წმიდაო გიროგი ალავერდისა, ა
დ/დე მფ/ეთ/ა მ/ფე/გ-ი	დიდე მეფეთა მეფე გიორგი.

ძნელი სათქმელია, რომელ გიორგი მეფეზეა აქ საუბარი. ყოველ შემთხვევაში, ხატი არის არა უგვიანეს მე-15-16 საუკუნისა. ამის ფოტოგრაფიაც გვაქვს, მაგრამ ერმაკოვის კოლექციაში არ შედის.

22. ერთის ხატის ზურგის მოწყვეტილ ფირფიტაზე დ. ბაქრაძეს უნახავს (გვ. 89) და გადმოუღია ხელით (დამატება №25) შემდეგი წარწერა ასომთავრული:

ქ . მოწამე	მოწამე
თა : შრის : ბწ	თა შორის ბრწ-
ყინვლეო : წო : გი : ზღდრი	ყინვალეო წმიდაო გიორგი ზღუდრი-
სო მო	საო, მეო-
ხ და მფრველ : ექმნ : დღე	ხ და მფარველ ექმენ დღე-
სა : გნკთხ სასა : არშსნ	სა განკითხვისასა არშესნა-
სა : და ძესა : ჩემსა	სა (?) და ძესა ჩემს(ა)
გის .	გიორგის.

ხსენებული ეკლესიიდან დ. ბაქრაძეს მარტო ორი უკანასკნელი წარწერა მოჰყავს და იხსენიებს კიდევ საღმრთო წერილის წიგნებს და ერთ კონდაკს გრაგნილს, ეტრატისას, სამი არშინის სიგრძით (გვ. 89) და იმ 20 ნივთზე, რომელიც ზემოდ ჩამოვთვალეთ, არაფერს ამბობს.

სოფელი ქაშვეთი.

სოფელ ქაშვეთის ძველი **ეკლესია წმიდა გიორგისა** სულ პატარაა, ქვისაგან აშენებული, მაგრამ მისი ზეძირკველი ერთობ მაღალია, ასე რომ ეკლესიაში შესავალად კიბეზე უნდა ახვიდეთ. კანკელი ქვის არის. საკურთხეველში ძლივს მობრუნდება ერთი კაცი. შესავალი ერთია, დასავლეთით; ფანჯარა ორი, თითო აღმოსავლეთით და სამხრეთით; კანკელის საფუძველზე აღმართულია ორი დიდი ჯვარი:

1. **ჯვარი ხისა**, 109X61,5 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტები. ზემო ფირფიტაზე მაცხოვარი ტახტოსანი, მოტლანქო ბერძნულის წარწერით სახელისა, და წმიდა თეოდორე : წ̇ა თ̇დრ. ქვემოდ წარმოდგენილია ორი წმ. გიორგი, წარწერებით: წ̇ა გ̇ი ქ̇შთ. და ერთი გამოხატულობა წ̇ა თეოდორესი, სრულის ტანით. მარჯვნივ და მარცხნივ უმბოსა: ღვთის მშობელი, ორი წ̇ა გიორგი და ქერუბიმები და სერაფიმები (№ 16993).

2. **მეორე ჯვარი** ასეთივე ზომისა, მაგრამ მისი ფირფიტები უფრო ტლანქი ხელობისაა, ვიდრე პირველი ჯვარისა (№16992). შუაში ჯვარცმაა; ზემოდ, ვგონებ, მაცხოვარია, სრულის ტანით; მის ქვემოდ: მთავარ ანგელოზნი მედალიონებში; მარჯვნივ და მარცხნივ, ფრთებზე, ორი მაცხოვარია და ორი მოციქული, მკერდს ზევითნი; ქვემო ფრთაზე ორი მედალიონი წმიდათა; სახელები არ აწერია; დანარჩენი ნაჭრები აკლია. ფირფიტები სურათების ირგვლივ ბალახოვნად არის შემკობილი.

3. პატარა **ხატი კარედი ღვთის მშობლისა**, 12X9 სანტ. წინაპირი სულ გაფუჭებულია და მოშლილია, მაგრამ მეორე გვერდზე დაცულია უცნობი წარწერა (№ 16976):

ქ : დედაო : ღ-თისაო : მეოხ	დედაო ღმრთისაო, მეოხ
და : მფარველ : მ	და მფარველ მექ-
ქმენ : წ-ე : ძისა : შ-ნს	მენ წინაშე ძისა შენი-
დ ღ-თ	სა და ღმრთი-
სა : ჩ-ვა : დღესა : გ-ნკით	სა ჩვენისა დღესა განკით-
ხვის-ა :. მამკობ	ხვთისასა მამკობ-
სა : ხ-ტსა : შნსას	სა ხატისა შენისასა
: ელშარს :. ქრდინსა :	ელაშარს ქურდიანსა.

4. **ხატი პატარა წმიდისა ონოფრესი**, 13X9 სანტ. ოქროს შემოსილობით; თვით სახე წამლით ყოფილა დახატული, მაგრამ მოშლილია. ზემოდ წარწერა: წ-ꙋ ონფრე. (№16976). აშიები ორი რიგი წერტილებიან ხაზების შორის შემკობილია ზარნიშით; ხელობა ხატისა სრულიად იგივეა, რაც ნესგუნის ღვთის მშობლის ხატისა, ჩვენ მიერ მეოთხე ნომრით აღწერილისა. ზურგი ამ ხატისა ვერცხლისაა, წარწერით, რომელსაც უჩვენებს დ. ბაქრაძე (გვ. 89) მე ეკლესიაში ვერ ვნახე, როგორც ვერ ნახა ეს გრ. უვაროვისამაც (გვ. 178), მაგრამ შემდეგ ვიპოვნე ერთ კერძო სალხში და გამოვართვი. წარწერის შედარებამ ცხადჰყო, რომ ეს ის წარწერაა, რომელიც დ. ბაქრაძეს აქვს აღნიშნული. წარწერა გადმოღებული მაქვს ფოტოგრაფიულად და იკითხეაბ ასე:

ქ წ-ო : ონ	წმიდაო ონოფ-
ფრე : მეოხ და	რე, მეოხ და
მფრველ მექმენ : წ-ე	მფარველ მექმენ წინაშე
ღ-თისა : მოსავსა : შენ	ღმრთისა მოსავსა შენ-
სა ; სასნსა : ვარდანა	სა სასანსა ვარდანას
ს : ძესა : და : მეუღლესა	ძესა და მეუღლესა
ჩემსა ხათუ	ჩემსა ხათუ-
თასა.	თასა.

ხატი ეკუთვნის მე-12–13 საუკუნეს. საკვირველია, რომ აქ ვარდანასძე, თუ ეს იგივეა, რაც ვარდანისძე, ერისთავად სვანეთისა არ არის მოხსენებული. ხათუთა, შემოკლებული ფორმით: „ხათთა“ მოხსენებულია ლეხოურის ეკლესიის წმიდა იაკობის ხატის წარწერაში, როგორც ქალი სამძივარისა და მეუღლე მარუშიან ვარდანისძისა (იხ. ჩემი „არხ. მოგზ. და შენიშვნანი,“ ტ. I. გვ. 26-27).

5. **ხატი წ-ა გიორგისა**, ვერცხლისა, 28X22 სანტ. ნაჭედი, კარგი ხელობისა; წმიდანი წარმოდგენილია სულ ახალგაზრდა, ლამაზი ხუჭუჭებით, საშუალო საუკუნის რაინდის ტანისამოსში, შუბით და ფარით, წარწერა: წ-ꙋ გ-ი. აშიები მოძარცულია (№ 16977). მე-13–14 საუკუნის უნდა იყოს.

6. **ხატი პატარა, წ-ა გიორგისა**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა. წმიდა მხედარი წარმოდგენილია ცხენით, ვეშაპს გმირავს. წარწერა სახელისა: წ-ჲ გ-ი ილორისა. ზურგზე აქვს წარწერა, რომელიც დ. ბაქრაძეს მოყვანილი აქვს (გვ. 90):

ქ : წ-ო გ-ი : ილ	წმიდაო გიორგი ილო-
რისო : მეოხ : დ	რისაო, მეოხ და
ა : მფრველ :	მფარველ
მქმნ : მსვსა :	მექმენ მოსავსა
შნსა : თევდ	შენსა თევდო-
ორძესა : დე	რაძესა დე-
მეტრეს :რთ	მეტრეს, რათა
ა : მცლ მქნა	მცველ მექმნა.

7. **ხატი** წამლით დახატული **წ-ა გიორგისა და წ-ა დიმიტრისა**, 55X42,5 სანტ. მხატვრობა ძლიერ წააგავს კონდაკებზე დახატულ წმიდანებს. (№16991). აშიები რომბ-ლურსმულია. მარცხენა აშიაზე წარმოდგენილია სრულის ტანით წ-ა კვირიკე: წ-ჲ კ-ე. მარჯვნივ: წმიდა დემეტრე: წ-ჲ დ. ზემოდ: მაცხოვარი, წარწერით: ი-ჯ ქ-ე; ქვემოდ წმიდა გიორგია: წ-ა გ-ი. მე-17–18 საუკ. უნდა იყოს.

8. **ხატი დიდი, სხვა და სხვა ახალი აღთქმის სცენებისა**, 46X34 სანტ. გაყოფილია ოთხ ნაწილად და თითოეულში წარმოდგენილია წამლით დახატული სცენები შემდეგის რიგით: ხარება, შობა, ჯვარცმა და აღდგომა. წამლები გადასულია; დარჩენილია ოქროს შემოსილობა თითოეულის სცენისა და ნაწილი საერთო მთელი ხატის შემოსილობისა და ისიც ზოგჯერ ფრიად დაზიანებული და გასვრილი (№16994), მაგრამ რაც დარჩენილია ისიც ცხადათ მოწმობს, რომ მთელი ხატი ყოფილა საუკეთესო ხელოვნებისა: ნაზი ჭედილობა, საუცხოო კაზმულობა აშიებისა, ძვირფასი ქვები (ესენი დაცულია ჯვარცმის სცენაზე) და ლამაზი წარწერები ეხლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. თუმცა აქ ეხლა ყველაფერი დაზიანებულია და სანახევროდ არის დაცული. აშია მთელად დაცულია მარტო ზემოდ. აქ ფაქიზად ნამუშევარ მორთულობაში დაცულია ხუთი მედალიონი; სახეები წამლით ყოფილა შესრულებული და სულ დაღუპულია. შუაში ყოფილა ვედრება; მარცხენა კუთხეში: იოანე მახარობელი; მარჯვენა კუთხეში მათე მოციქული; სჩანან ასოები: მათ. ქვემო აშიაზე, შუაში, ყოფილა წ-ა ეკატერინე; დაცულია წარწერა: წ-ჲ ეკტ-რნე; შემდეგ მარჯვნივ: წ-ა ირინე; დაცულია: რინე; კუთხეში, მარჯვნივ ალბათ ყოფილა წ-ა ბარბარე; დაცულია მხოლოდ ასოები: წ-ჲ. ორ მედალიონში, ეკატერინეს მარცხნივ, არა სჩანს, რომელი წმიდანები იყვნენ. მარჯვნივ და მარცხნივ აშიებზე არის ოთხი მედალიონი და მათში წარმოდგენილნი არიან ოთხი წინასწარმეტყველი, სრულის ტანით, და მათ შორის მრგვალ მედალიონებში მოციქულნი: მარცხნივ – ლუკა; დარჩენილია ასოები: უკა; მარჯვნივ: მარკოზ; დარჩენილია: ... მა ... ჯვარცმას და აღდგომას ქრისტესა ბერძნულად უწერია სახელები; ქვემო აშიაზე ოთხსტრიქონიანი ლამაზი წარწერა ყოფილა. პირველი სტრიქონიდან დარჩენილია:

ქ წნო : წწყლნო : მოწამენო : და ქალწულნო : მეოხ :
მქმნით : წ-ე ქ-ა . . .

ესე იგი: წმიდანო წინასწარმეტყველნო, მოწამენო და ქალწულნო, მეოხ მექმენით წინაშე ქრისტესსა [სილიხანს] . . .

მეორე სტრიქონი დაცულია, მესამის მარტო პირველი ოთხი ასოა, მეოთხე ნაკლულოვანია, ხოლო დ. ბაქრაძის დროს მესამე და მეოთხე სტრიქონი ცოტა უფრო უკეთ ყოფილა დაცული (იხ. დამატება №27):

[ხა]რებით : შობაჲ : ჯუარცმაი : აღდ
გმაჲ სხუათს . . . . უჲს : რ
ყლბითი : იძ . . . . . ოქ⁻ . . . . [მხ]სნელო : მეცა :

ჯვარცის ქვემოდ წვრილის ასოებით სწერია;

ქ ჱ ღრისა : სიტყუაო : შე ჩემ ცოდვილ
სა : დედოფლთა : დედოფლისა რუ
სდანს მწისა და გაზრდილისა ს⁻[ლხ]
ნისგნ უნდოი ნამსახური და ღირს მყავ დ. . .ს

უქარაგმოდ:

ჱი ქრისტე ღმრთისა სიტყვაო, შეიწირე ჩემ ცოდვილსა
დედოფალთ დედოფლისა რუსუდანის მიწისა და გაზრ-
დილისა სილიხანისაგან უნდოი ნამსახური და ღირს მყავ
დ(ღესა მა)ს . . .

პირველი ორი სცენის, ხარებისა და შობის, ქვემოდ სწერია:

ქ⁻ე ღ⁻თო : რლმნ : ძელსა მ⁻რ ჯ⁻რისა დასაჯე : ცოდ-
[ვანი] პ⁻ლისა კაცჲსა მეცა მიხსენ : სასჯელისაგან : მსა-
სოებელი : სილიხან.

ესე იგი: ქრისტე ღმერთო, რომელმან ძელისა მიერ ჯუარისა დასაჯე ცოდვანი პირველისა კაცისა, მეცა მიხსენ სასჯელისაგან მსასოებელი სილიხან.

პირველი ორი სცენის შუაში, ზემოდ მოთავსებული ყოფილა ექვს-ფრთიანი ჯვარი ძელი ჭეშმარიტისა, რომელიც ეხლა მოშლილია, ხოლო მას ორივე მხარეს ქვემო მკლავისა სწერია:

ქ ძელისა მრ : ცხრ	ძელისა მიერ ცხორ-
ებჲსა : მოჰმადლე	ებისა მოჰმადლე
ჴსნაი : სოფელსა : ქ	ჴსნაი სოფელსა ქრისტ-
ე : ღო მიჴსენ : მეცა	ე ღმერთო, მიჴსენ მეცა
მვდრბლი სილხან	მვედრებელი სილიხან.

შეადარე ყველა ეს წარწერები დ. ბაქრაძის გადმოღებულს, გვ. 90, 91, დამატება 26, 27. ა. ხანახანშვილი ამ წარწერებს არ იხსენიებს (გვ. 37–38). უვაროვისა უჩვენებს დ. ბაქრაძის წაკითხვას მხოლოდ (გვ. 122–123).

ყველა წარწერები ამ ოდესღაც შესანიშნავი ხატისა თხოულობენ შეწყალებას ერთი და იგივე პირისა, რომელიც ყოფილა გაზრდილი დედოფალთ დედოფლის რუსუდანისა. სამწუხაროდ, მისი სახელი სრულად არ არის დაცული, მაგრამ კითხვა „სილიხან“ სწორი უნდა იყოს. ბაქრაძის წაკითხვა: „სალტაძე“, ყოველ შემთხვევაში მიუღებელია. ძნელია აგრეთვე თქმა, რომელი რუსუდანი იგულისხმება წარწერაში: თამარ მეფის მამიდა, თუ ასული? უფრო საფიქრებელია, რომ აქ თამარ მეფის

ასულზეა საუბარი, ვინაიდან დედის დაზე არ იხმარებოდა ხარისხი (ტიტული): დედოფალთ დედოფალი.

სოფელი კაერი

სოფელ კაერში ახალი ეკლესია არის ღვთის მშობლისა; მასში ჩვენ ვნახეთ მხოლოდ ერთი სქელი გულსაკიდი ვერცხლის ჯვარი. 8,5X5 სანტ. წინა პირზე ჯვარცმაა გამოხატული წინამდგომებითურთ; მეორეზე – ღვთის მშობელი ჩჩვილედი და ორი მოციქული; ამას გარდა აქ არის კიდევ სამი უბრალო რკინის ჯვარი, უმნიშვნელო.

სოფელი სოლი.

სოფელი სოლის ლამაზი სახე და მისი კოშკები იხილეთ ფოტ. №17438. ძველი ეკლესია **მაცხოვრისა** პატარაა, ქვისაგან ნაშენი, ერთის კარით დასავლეთიდან და სამის ფანჯარით, აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. კანკელი ქვისაა, ერთის კარით. ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ჯვარი გამოსასვენებელი**, ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი, ნაჭედი, 42X20 სანტ. წინა პირზე გამოსახულია ჯვარცმა, ხოლო კიდეებში უვლის წერტილოვანი ხაზები (№16972). მეორე გვერდზე წარმოდგენილია ღვთის მშობელი ჩჩვილედი, სრულის ტანით (№16971); ხელობა მდარეა.

2. **ხატი მაცხოვრისა**, წელსზევითი, ვერცხლისა, ოქროთი დაფერილი აშიებით, 21X17 სანტ. მაცხოვარი მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში გრაგნილი აქვს. აშიები შემკობილია უჯრედებად და გამყოფი ოთხკუთხედები შემკობილია ლამაზად. აშია უფრო ძველია, ვიდრე თვით ხატი, რომლის ხელობა დაბალია; მე-17-18 საუკუნის (№16970).

3. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, 12X9 სანტ. ვერცხლისა, ნაჭედი. ღვთის მშობლის ფიგურა წელსზევითია; აშია ჯვარედინად დაყოფილი, მარტო ზემოდ არის დაცული; სხვა აკლია; ხელობა მდარეა (იქვე, №16970).

4. **ოთხი პატარა გულსაკიდი ჯვარი**. ესენი წარმოდგენილი არიან ფოტო №16970.

5. **პატარა გულსაკიდი ხატი წ-ა გიორგისა**, ცხენით ვეშაპს გმირავს; ვერცხლისა, 8,5 X5 სანტ. ორივე მხარეს ერთი და იგივე ფიგურაა, მდარე ხელობისა; იხ. ფოტ. № 16970.

6. მამა ბაქრაძე თავის აღწერილობაში სვანეთის ეკლესიებისა სოფელ სოლის შესახებ სწერს:

ს(ოფელ) სოლს მაცხოვრის ეკლესიასა შინა არს წმიდა სახარება, ოთხის მახარებელითა ბიზანტიის ხელოვნებითა მოხატული, და მოთხრობა ისტორიისა

მასვე სახარებასა შინა წარწერილი. ხოლო სხვა არა რაჲ იპოების. მასვე სოფელში არს 2 ეკლესია, რომელიც არს გაუქმებული.

სახარება, რომელზედაც მოგვითხრობს ბერი ბაქრაძე, დღეს აღარ არსებობს. რაც შეეხება ეკლესიებს, დიმიტრი ბაქრაძეც სწერს, რომ სოლში სამი ეკლესია არის, წმ. გიორგისა, მაცხოვრისა და მთავარ ანგელოზთა. წმიდის გიორგის ეკლესიაში მას უნახავს სკივრში 10 პატარა ხატი, რომელნიც ისე გამურული ყოფილან, რომ სახეები აღარ სჩანდნენ, ხოლო ერთ პატარა ხატზე წმიდა დიმიტრისა და წმიდა გიორგისა, რომელიც დღეს აღარ სჩანს, წერებულა ჯერ სახელები: წა დმტ, წა გი/ჯნზ (sic) და შემდეგ:

მოწამეთა შრს : მხნო	მოწამეთა შორის მხნენო
გი : დ დმტრ : მეოხ მფ	გიორგი და დიმიტრი, მეოხ, მფ-
არვლ : ექმენ : მამკობს :	არველ ექმენ მამკობს
ხატის : შენს : გზთას :	ხატისა შენისა გზითას[1],
მიქაის : და შერ	მიქაის და შერ-
გილს : რაითს : არ : დმს	გილს, რაისათჳს არ დამს-
თმს საოკონოს .	თმოს საუკუნოს.

უკანაკსნელ ოთხს სიტყვას, როგორც რუსული თარგმანიდან სჩანს, დ. ბაქრაძე

1. დ. ბაქრაძეს ტექსტში უწერია „გზთას", მაგრამ რუსულ თარგმანში „გულთას" სწერს. ამიტომ შესაძლოა, აქ კორექტურული შეცდომა იყოს ქართულ ტექსტში და მართლა ყოფილიყოს „გულთას".

წაუკითხავად სტოვებს (გვ. 88). მაცხოვრის ეკლესიასთან დ. ბაქრაძეს უნახავს კიდევ გაბზარული ზარი, ხეზე დაკიდული და მისი წარწერა არა ქართული ხელით გადმოუღია (იხ. დამატება №24).

სოფელი ლაშტხვერი.

ამ სოფლის საზოგადო სახე შორიდან, იხილეთ ფოტოგრაფია №17437. ტიპი სვანისა ამ სოფლიდან, გურამ დავაცი. იხილეთ ფოტ. №17523. ამ სოფლის ეკლესია მთავარ ანგელოზისა პატარაა, თლილის ქვისაგან აშენებული, ოთხკუთხედი; მისი ზეძირკველი სამი საფეხურისაგან შესდგება. იხ. ფოტ. №17441, რომელზედაც მოსჩანს ჩრდილოეთის მხარე ეკლესიისა და №17442, რომელზედაც ემჩნევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარე. გარეგანი კედლები ეკლესიისა ზემოდ მოგლესილი ყოფილა და შემკობილი ფრესკებით ხალხურ მოთხრობათა გმირებისა და მათი თავგადასავლისა, სახელდობრ, ამირანის ციკლისა და სხვათა, მაგრამ მხატვრობა დაზარალებულია და ზოგ ადგილას სრულიად გამქრალი. უკეთესად დაცულია ფიგურები ჩრდილოეთის კედელზე. აქ არიან წარმოდგენილნი ცხენებზე მჯდომარე

გმირები: ამირანი, ბადრი, სეფედავლა, უსიბი. თავზე ყველას ჩაფხუტი ახურავს, მარჯვენა ხელში ამოღებული მახვილი (ხმალი) უჭირავთ, მარცხენა მხრით მკლავზე ფარი აქვთ მოგდებული, რომელიც მთელს ზემო ნაწილს ტანისას ჰფარავს ყელამდის. ცხენები ლამაზია, შეკაზმულნი. პირველი სცენა ასეთია:

წარმოდგენილია ვეშაპი ვეებერთელა გველის სახით; მისი დაბჩენილი პირიდან გამოდის ამირანი; წელს ზევით უკვე გამოსულია ხმალით და ფარით. ზემოდ ასომთავრულით ამ სცენას აწერია:

ოდეს : ამირან : ვეშაპმან : ჩანთქა : /ვეშაპი : მ/ოკლა :

და გა/მოვიდა :

შემდეგ ომია ბაყბაყ დევისა და ამირანისა. ამირანი გაჭენებულის ცხენით არის მისული ბაყბაყ დევზე და ესეც არის მოქნეული ხმალი უნდა დასცეს; დევი რქებიანი, კუდგრძელი (კუდი ერთ რგოლად არის შეკვეცილი) და ბრჭყალებიანი, უკანა ფეხებზე სდგას და თითქოს ლახტს აგებებს მოქნეულ ხმალს ამირანისას. ამ სცენის თავზე აწერია:

ჰომი ამირანისა და : /ბაყბაყ : დევისი :

ამირანის უკან მომყოლთ ცხენოსან გმირებს აწერია:

ბადრი : სეფედავლა : უსიბი :

ყველა ეს სცენები საზოგადო ხაზებით გამოხატა პირველად ბარტოლომეიმ, იხ. ტაბ. 2, №20. წარწერები დ. ბაქრაძესაც აქვს მოყვანილი (გვ. 91). ჩემს ბიბლიოთეკაში დაცულია მამა ბაქრაძის მიერ ფერადებით დახატული ასლი ამ ფრესკებისა. აღმოსავლეთის კედელზე მოსჩანს ნადირობა; მხედარი გაჭენებულის ცხენით მისდევს გაქცეულს ირმებს და ესვრის მათ ისარს მშვილდის საშუალებით. სამხრეთის კედელზე ფიგურები გადასულია, მოსჩანს მხოლოდ ცხენი უმხედროდ. დასავლეთის კედელზე საეკლესიო ქრისტიანული სცენაა. აქ წარმოდგენილია კომპოზიცია ვედრებისა, რომელშიაც ქრისტე ფანჯრის თავზეა წარმოდგენილი, ღვთის მშობელი და იოანე ნათლისმცემელი ფანჯრის გასწვრივ. შიგნითაც ეკლესია სულ მოხატულია, ფრესკები კარგია და საკმაოდაც დაცულია. საკურთხეველის კონქში მაცხოვარია თანამდგომებითურთ; მის ქვემოდ ღვთის მშობელია ნიშიანი („ზნამენია“) და მოციქულები; უფრო ქვემოდ, საკურთხეველის კედელზე: ეკლესიის მამები. ჩრდილოეთის კედელზე წ-ა გიორგი წარწერით; წ-ჲ გ-ი. ზემოდ აღდგომაა: „აქა ქრისტე ადგა“. შემდეგ ჯვარცმა და გარდამოხსნა ქრისტესი. სამხრეთის კედელზე წ-ა დიმიტრი, წ-ა თეოდორე. დასავლეთის კედელზე ფერისცვალება და იერუსალიმში შესვლა. ამას ქვემოდ წმიდანი მესვეტენი და წ-ა მაკარი; წ-ჲ მ-კრი და საბა (?); შემდეგ მთავარ ანგელოზნი; ერთს წარწერა აქვს: წ-ჲ მიქელ თრგლზი. სამხრეთის კედელზე: ლაზარეს აღდგენა; თაღის სარტყელებზე: წ-ჲ ბარბარე, წ -ჲ მარინე და სხვა წმიდანნი.

კანკელი ქვისაა, ძველი, ერთის კარით და სამის კამარით; კანკელიც მოხატულია და კარგად არის დაცული. შესავალი ეკლესიას აქვს დასავლეთით; ფანჯარა სამი, აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. საკურთხეველის კედელში ორი უბეა; კანკელზე ბევრი ხის ფიცრებია ხატებისა მოძარცული; გადარჩენილთა შორის აღსანიშნავია:

1. **ხატი იოანე მახარობელისა,** ნაჭედი, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 21X17, 5 სანტ. ნაზი ბრწყინვალე ქართული ხელობისა, მე-12–13 საუკ. (№17008). იოანე წარმოდგენილია იმ პოზით, როგორც ეს მინიატურულ სახარების მხატვრობაში

გვხვდება, ესე იგი, ის მდგომარეა მვედრებელის სახით; მარჯვენა ხელით აკურთხებს და თანაც უკარნახებს სახარების ტექსტს მის წინ მსხდომარე პროხორეს, რომლის თავზე წარწერაა; წ-ჲ პრხრ. იოანეს ნახევარ სფეროდან აკურთხებს მაცხოვრის მარჯვენა. ეზო ხატისა შემკობილია ვაზოვანი ორნამენტით, ხოლო აშიები ბროწეულის ყვავილების მსგავსად, რომლებშიაც რვა მრგვალი მედალიონია წმიდანებისა უწარწეროდ; შინაგანი აშიები ხატისა შემკობილია აკანთის ფოთლებით. წარწერა ლამაზის მსხვილი ასომთავრულით დ. ბაქრაძესაც აქვს მოყვანილი (გვ. 92).

წო ინე მ	წმიდაო იოანე მა-
ხრბელო	ხარებელო,
ადე სბ	ადიდე სა-
ა დრ	ბა დრ-
ან	ან
დე	დე-
ლჲ	ლი.

აქედან სჩანს, რომ ხატი შეუკვეთია დრანდის მონასტრის ეპისკოპოზს საბას; მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს დიდი ვერცხლის ფირფიტა, თავის უაღრესად ლამაზი ფიგურებით და ორნამენტებით, წინეთ შეადგენდა სახარების ყდის ზედა პირს. და თუ ეს ასე არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ამ მიზნით იყო დამზადებული. თავში ზემო მოყვანილის წარწერისა ფიგურების სახელების წარწერაა უცნობის ასოებით, რომელნიც სომხურსაც მოგვაგონებენ და კოპტურსაც. სომხურის სპეციალისტებმა ი. ზავრიევმა და ნ. ადონცმა დანამდვილებით ვერ სთქვეს, რომ ეს სომხურია.

2. **ხატი წ-ა გიორგისა,** ვერცხლით ნაჭედი, 34X21 სანტ. კარგი ხელობისა (№ 17010). წ-ა გიორგი ფეხოსანია, რომაულ საომარ ტანისამოსით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენა დადებული აქვს ორნამენტით შემკობილს ფარზე. წელზე უკანიდან ჰკიდია ხმალი; თმა ხუჭუჭებად აქვს დაწყობილი და ირგვლივ თავისა წრეა. წარწერა: წ¯ე (sic) გ-ი. საკვირველია, რომ პირველ სიტყვაში ხუცური ჲ-ის მაგიერ მხედრული ე-ნია ნახმარი. სხვა ასოები ასომთავრულია. აშიები ფოლაქისებურია ორს წერტილოვან წრეებში. ხატი მე-14–15 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ძელი ამ ხატისა და მისი სარჩული ცვილისა თუ სხვა არ შენახულა.

3. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქელისა,** ვერცხლისა, ნაჭედი 17X14 სანტ. (№17012). მთავარ ანგელოზი მდგომარეა, შუბით და ბურთით. თავის მრგვალი წრის მარჯვნივ სწერია: მქ¯ლ. ქვემო ნაწილი ხატისა და აშიისა დაშლილია. აშიები ორგვარი აქვს; ერთი აღმოსავლურ ხლართულებით და სადა მედალიონებით; მეორე ვიწრო ფოლაქოვანი. ხელობა მდარეა, მე-17-18 საუკ.

4. **ფირფიტა** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა მთავარ ანგელოზის **გაბრიელის სურათით.** მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია ლაბარუმით, ბურთით და წარწერით: წ-ჲ გბრლ მთვლზი, 30X12 სანტ. ხელობა სუსტია, მე-17-18 საუკ. ეს ფირფიტა უსათუოდ დიდი ჯვარის მორთულობის ნაწილია (№17011).

5. **ხატი** პატარა, **ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 8X6 სანტ. ქვემო ნაწილი მოშლილია. ხელობა მდარეა (№17009).

6. **ხატი წ-ა გიორგისა,** 8X6,5 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ წამალი გადასულია. შემოსილობა და აშიები ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ლამაზი ხელობისა, დაცულია. ქვემოდ აქვს წარწერა:

წ-ო : გ-ი : შ-ე : ასამდინ .

ესე იგი: წმიდაო გიორგი, შეიწყალე ასამდინ(?). (№17009).

7. **ხატი** პატარა, ორთა მხედართა, **წ-ა გიორგისა და წ-ა დიმიტრისა,** ორივე მდგომარენი შუბით და ფარებით, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 11X9 სანტ. ადგილ-ადგილ მოშლილია. აშიები ფოლაქოვანია (№17009).

8. პატარა **ხატი წ-ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 11,5X 8,5 სანტ. ნაჭედი. მხედარი მდგომარეა ხმლითა და ფარით. აშიები დაყოფილია უჯდრედებად. ეზო შემკობილია მცენარეულობის ორნამენტით. ხელობა გვარიანია (№17009).

9. **ხატი** პატარა, **ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 8X6 სანტ. ღვთის მშობელი წელსზევითია; ტლანქი ხელობისაა.

10. **ხატი** მთავარ ანგელოზის მიქაელისა, ოქროთი დაფერილის ვერცხლისა, 44X33 სანტ. ნაჭედი, გვარიანი ხელობისა, მაგრამ დიდათ გაფუჭებული.

11. **ჯვარი** ვერცხლის ხეტარზე სატარებელი, ვერცხლისა, ნაჭედი, 33X15 სანტ. გატეხილია; ტლანქი ხელობისა.

12. პატარა **ჯვარი,** ვერცხლისა 11X9 სანტ. უკეთესი ხელობისა, მაგრამ ერთობ დაზიანებული.

13. **ზარი,** 42 სანტ. სიმაღლით, შეწირული დავით კახთა მეფის მიერ, რომელიც იყო ძე კახთა მეფისა ალექსანდრე მეორის (1605 წ.), იმ ალექსანდრესი, რომელმაც სვანეთის სხვა და სხვა თემების ეკლესიებს შესწირა რვა ზარი: ორი მულაყისას, ორი მუჟალისას, ორი მესტიისას, ერთი ადიშისას, ერთი ლატალისას. დავით მეფის მიერ (1604 წ.) მარტო ეს ზარია შეწირული. ზარს აქვს ხუცური წარწერა, რომელიც სრულად გადმოღებულია ჩვენ მიერ და მოთავსებული სამს ფოტოგრაფიაზე, იხ. №17005, 17006, 17007. წარწერა იკითხება ასე:

ქ : შემოგწირე :. ზარი :. ესე ჩ-ნ :. კახთა :. მეფემან :.
პტრონმ-ნ :. დ-თ :. თ-ქნ :. ლშთახურ-ს :. წმიდათ მთა-
ვარ :. ანგელოზთა :. დღეთა :. ჩ-ნთა :. სადღეგრძელოდ :.
და :. მ-ფბისა :. ჩ-ნისა :. წრსმრ-ბლად :.

ესე იგი: შემოგწირე ზარი ესე ჩუენ კახთა მეფემან პატრონმან დავით თქუენ ლაშთახურის წმიდათ მთავარ ანგელოზთა დღეთა ჩუენთა სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად. (ბარტოლომეი, გვ. 229, ტაბ. 2, № 21. დ. ბაქრაძე, გვ. 91–92).

14. **საცეცხლური ბრინჯაოსი.** სირიული რიგისა, რომლის ირგვლივ რელიეფებით წარმოდგენილია სცენები ახალი აღთქმიდან. ესენი სრულად გადმოღებულია და მოთავსებული სამ ფოტოგრაფიაზე, იხ. №№ 17921, 17922, 17924.

დ. ბაქრაძე (გვ. 92) ამ ეკლესიაში აღნიშნავს კიდევ პატარა წმ. ნიკოლოზის ხატს, რომელიც ეხლა აღარ არის და რომლის ზურგზე წერებულა (მოგვყავს შეუმოკლებლად):

ქ . წმიდაო ნიკოლოზ მღვდელთ-მოძღვარო, მეოხ და
მფარველ მექმენ : ბ : ამიჯრ . . . ა . . . მნ.

სოფელი მუხელი.

ლაშტხვერის საზოგადოებას ეკუთვნის პატარა სოფელი **მუხელი** (წარწერაში მოხსენებული არის, როგორც მუხევი). სოფელ მუხევის პატარა ეკლესია მთავარ ანგელოზ მიქაელისა აშენებულია თლილის ქვით; შესავალი აქვს ერთი დასავლეთით, ფანჯრები თითო: აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. კანკელი ქვისა სამის კამარით; აღსავალის კარის აქეთ-იქით კანკელისა თითო სვეტია; კუთხეებში ნახევარ-ნახევარი სვეტები. კანკელის ზემოდ წარწერაა:

ესე არს ბჭე ჯფლისა : და მართალნი : შევლენ ამას შინა:

ეკლესიის კედლები შიგნით და კანკელიც მოხატულია.

ჩრდილოეთის კედელზე მთელის ტანით წარმოდგენილნი არიან მთავარ ანგელოზნი: მ¯ქლ, გ¯ბლ, რომელთაც ხელთ უჭირავთ ქრისტეს სახე მედალიონში. წარწერა სახელისა ქრისტესი ბერძნულია. მთავარ ანგელოზთა უკან წარმოდგენილია მაშენებელი ეკლესიისა ქართულის ტანისამოსით და ეკლესიის გეგმით ხელში. ამას წარწერა აქვს, რომლის სრული დანამდვილებით გარჩევა მე ვერ მოვასწარი; ჩემს დღიურში აღნიშნული მაქვს მხოლოდ:

მიქა	მიქას
ს ძე ე¯ვ	ძე ერისთავი
ზ¯დუ	ზვიადი (ან: ზვიადაჲ),
ა¯ნ	ამინ.

წარწერა თხოულობს შემოწმებას. აღნიშნულ ფიგურის შემდეგ იმავე კედელზე არის წარმოდგენილი: მანდილოსანი, ქართულის ტანისამოსით და წარწერით:

ნათელ მეუღლე.

ამის შემდეგ სწერია:

აღვაშენე მე. . . აჩვა (?) და ჯვართა . . . სადიდებლად
ღმრთისა და მთავარ ანგელოზისა მუხევისა და სალხი-
ნებელად სულისა ჩემისათჯისა შ¯ნ ღ¯თ.

ნივთებით ეკლესია ღარიბია. აქ მოიპოვება მარტო:

1. **გამოსასვენებელი ჯვარი,** ვერცხლისა, ნაჭედი, 38,5X27 სანტ. არც ცუდი ხელობისა. წინა პირზე წარმოდგენილია ჯვარცმა, ხოლო ბოლოებში ფრთებისა,

მედალიონებში, წელსზევითი ფიგურები: ღვთის მშობელი მარცხნივ, იოანე მახარობელი მარჯვნივ, მთავარ ანგელოზი ზემოდ, და ერთი წმიდანი ქვემოდ; სახელი არ უწერია (№17013).

მეორე გვერდი ჯვარისა შემკობილია ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტით ორმაგად და ლამაზი ნახელავია (№17014).

2. ამ ეკლესიაში ჯერ ბარტოლომეიმ ნახა და შემდეგ დ. ბაქრაძემ შესანიშნავი **მხატვრული სახარება,** რომელიც დღეს ჩვენთვის დაკარგულია. ბარტოლომეი სწერს: ყველაზე დიდ ღირებულებას ამ ეკლესიისას შეადგენს უეჭველად მშვენიერი ეტრატის ხუცური სახარება ოქროს ვარაყიანი სათაურებით, შემკობილებებით და მინიატურებით. მცოდნე და მოყვარული ადამიანისათვის, დასძენს ბარტოლომეი, მარტო ამ სახარებისათვის ღირს სვანეთში გამგზავრება (ბარტოლომეი, გვ. 192). დ. ბაქრაძეს მოჰყავს მინაწერები ამ სახარებისა (გვ. 93–94), შესრულებული ნუსხა ხუცურით. მათეს სახარების ბოლოს:

მე საწყალი მწირი მიქელ გევედრები ლოცვასა წმიდაო მღვდელო სტეფანე და ყოველთა მკითხველთა ერთობით გევედრები ამინ.

წიგნის სულ ბოლოს:

გევედრები კეთილო მღვდელო სტეფანე მოძღვარო სახელითა ღუთისათა მადლითა და სარწმუნოებითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისაჲთა მე გლახაკი სტეფანე ხუცესი პალავრელი მნათე ყოფილი ყოველთა მოწესეთა ნარჩევი მიწაჲ და მტვერი შვილი მცხეთისაჲ ღრის-მყო ღმერთმან მოუგონებელსა კეთილსა და წყალობასა მისსა და მოვიწიე წმიდასა ქალაქსა იერუსალიმსა ადგომასა უფლისა ჩუჷნისა იესო ქრისტესა და წმიდასა გოლგოთასა და მოვილოცნე ყოველნი წმიდანი ადგილნი მისნი მოწყალებითა ქრისტესითა და დამაწესეს მწირველად ქართლსა კათალიკოზისა ოქროპირისა წმიდა ეკკლესია[1] გარდამოხსნისასა მლოცველად.

და მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი სრული ყოველთა სახმარითა სალოცველად ცოდვილისა სულისა ჩემისა და მშობელთა და მოძღვართა ჩუჷნთასა და ყოველთა ქრისტიანეთა სალოცველად, ქორონიკონი იყოსა სიჲ.

შემდომად ჩემსა ვისაცა ღმერთმან მოგცეს და რომელნი აღმოიკითხვიდეთ წმიდასა ამას ოთხ-თავსა სულთა განმანათლებელს წმიდასა ლოცვასა თქვენსა ჩვენცა მოგვიხსენებდით.

დაიწერა წმიდასა ადგილსა გესმანიას[2] საფლავს წმიდასა ღუთის მშობლისსა[3] საბა წმიდისა განგებისა ზედა ბერძულსა დიად ხარკებითა ხელთა (ხელითა) საწყალობელისა მიქაელ მეორესა[4] მცხეთისავე მიწისაგან.

წმიდანო ღუთისანო ჩემგან უძროლისა რომელი ეგებოდა მშრომთა და მომჭირვებია სულ[5] დედასა წერილ არს.

მსგეფსითა და საუფლოთა დღესასწაულთა ჟამსა წირვისა[6] . .

. . . შემოთლვა და შეცდომისა . . . [7].

---

1 ბერი ბაქრაძის გადმოწერილში სწერია ამ ხუთი სიტყვის მაგიერ: ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა, ადიდენ ღმერთმან, წმიდასა ეკლესიასა.

2 ბერი ბაქრაძე: გეთსამანიას:

3 ბერი ბაქრაძე აქ უმატებს დედნისაგან.

4 ბერი ბაქრაძე: მიქელ მწირისა.

5 ბერი ბაქრაძე: მიშრომია და მომიჭირვებია, რომელი.

6 ბერი ბაქრაძე უმატებს: საკითხავითა და სხვითა ყოვლითა განგებითა, რიცხვითა და განთესულითა (სიც) ჯვარითა, ვარსკვლავითა, ისრითა და ღელვა ვრცელითა. რომელი ვის ჩემდა უმეცრებით ცთომილი პოოთ ანუ მოხვდეს, შემინდევით ღვთისათვის, ამინ.

7 ეს სამი სიტყვა შეცდომით უნდა იყოს მოყვანილი. ბერს ბაქრაძეს არა აქვს.

უკანასკნელი ასო ქორონიკონისა დ. ბაქრაძის წაკითხვით ჩ-ია, მაგრამ თვითონვე შენიშნავს, რომ შეუძლებელია, უნდა იყოს ან ვ და წ. ჩვენის აზრით, რასაკვირველია, უნდა იყოს წ; ასოები ჩ და წ ასომთავრულში ერთმანეთს ჰგვანან; ცხადია, უნდა იყოს სიწ, რომელიც უდრის 1048 წელს, ესე იგი ბაგრატ მეოთხის მეფობას. წარწერაში მოხსენებული კათალიკოზი ოქროპირიც ცნობილია ბაგრატ მეოთხის დროს. როგორც გადამწერი სახარებისა, ისე მომგებელი ხუცესი სტეფანე პალავრელი (პალავრა, ესე იგი ძველი ლავრა, იყო წმ. ხარიტონის ლავრა, ერთი ცენტრი ქართველთა მოღვაწეობისა პალესტინაში) ყოფილან მცხეთიდან და ორთავენი წარწერებში მოწიწებით მიმართავენ უფროსს და გამოჩენილ მღვდელს სტეფანეს, ალბათ პალესტინაში მოღვაწეს. დ. ბაქრაძის აზრით, ეს უკანასკნელი სტეფანე უნდა იყოს ცნობილი მთარგმნელი წიგნებისა სტეფანე, მაგრამ საეჭვოა, ვინაიდან, რამდენადაც ჯერ ცნობილია, სტეფანე წიგნების მთარგმნელი სანანოის ძე უფრო მეათე საუკუნის დასასრულის მოღვაწეა (იხ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტომი, პირველი, გვ. 176–179). სახარება გადაწერილია ღვთის მშობლის საფლავის ეკლესიაში გესმანიას ანუ გეთსამანიას მიქაელ მეორის მიერ მცხეთისავე მიწისაგან.

ლატალის თემი

ლატალის თემს შეადგენენ სოფლები: იფახი, ლეშუკი, ლაშყვაში, შყალერი, მაცხოვარიში, კვანჩიანი, გიბამი, ენაში (ჲენაშ), ლახუშტი, ლაჰილი.

ლატალის თემი ერთი საუკეთესო თემია თავისუფალი სვანეთისა, ყველაზე უფრო მაგარი და მდიდარი, ვინაიდან ენგურის ხეობა აქ ფართოა, ლატალელებს ბევრი აქვთ სახნავ-სათესი მიწა, საძოვრები და ტყე. ესენი ყველაზე უფრო მამაცად ითვლებიან, ყველა თემებზე უფრო გვიან მიიღეს ნებაყოფლობით რუსეთის ქვეშევრდომობა, პოლკოვნიკ ბარტოლომეის შუამდგომლობით. ბარტოლომეიმ მიიღო მათგან ფიცი რუსეთის ქვეშევრდომობაზე 1853 წელს.

სოფელი ენაში.

სოფელი ენაში (ჲენაში) დიდათ ლამაზი სოფელია; საზოგადო სახე მისი იხ. ფოტ. №17439. ეკლესია ამ სოფლისა, იონა წინასწარმეტყველის სახელზე აშენებული, არის თლილის ქვისაგან ნაშენი, ბაზილიკური რიგისა; სამხრეთით,

დასავლეთით და ჩრდილოეთით ეკლესიას უვლის ეკვტერები და ეს ეკვტერები, სამხრეთის და ჩრდილოეთისა, მას აძლევენ სახეს სამ ნაოსანი ბაზილიკისა. შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით; სამხრეთის ეკვტერში შესავალი 2 გაშლილი კამარით არის და ეს კამარები შემკობილია სვეტებით და პილიასტრებით. სარკმელები არის თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით (გეგმა მისი იხ. ბერნოვილი, გვ. 143, ფიგ. 19 და 20; აგრეთვე გეგმა და სახე იხ. უვაროვისა, გვ. 70, ფიგ. 11 და 12). სამხრეთ-დასავლეთის სახე ამ ეკლესიისა მშვენივრად არის გამოსული ჩვენს ფოტოგრაფიაზე, იხ. №17440. ჩვენ ამ ეკლესიის გეგმაც გვაქვს დამზადებული.

დასავლეთის ფანჯარა შემკობილია სკულპტურული ოთხკუთხედი ჩარჩოთი, რომლის ზემოდ ორი ქვაზე ამოჭრილი ჯვარია. სამი ასეთივე ფანჯარა არის აღმოსავლეთის ნაწილში, თითო თითო ნაოსში, თუ ეკვტერებს ნაოსებად ჩავსთვლით. ორმაგი ჩარჩო დასავლეთის კარისა ზემოდ დამყარებულია ორივეს მხრით ორმაგსავე სვეტებზე მრგვალის სვეტის თავებით. ასეთივე სვეტებით და სვეტის თავებით შემკობილია მაღალი გლუვი კამარები სამხრეთის ეკვტერის გარეგანი კედლებისა. ხოლო ამათ შორის არის მოქცეული ორი უფრო დაბალი კამარა შესავლისა. სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლებზე ჩვენ ვხედავთ კიდევ პასქებს, რომელთა სკულპტურული შემკობილობა წნულის სახისაა. კანკელი ქვისაა, ხუთ-კამარიანი, ოთხის სვეტით და ორის ნახევარი სვეტით.

ეკლესია სულ მოხატული ყოფილა; ფრესკები დაზიანებულია, მაგრამ აქა-იქ კიდევ საკმაოდ შენახული არის. საკურთხეველში მოსჩანან ეკლესიის მამები ქარტებით, რომლებზედაც ბერძნული წარწერებია, მაგრამ სახელები ფიგურებისა ასომთავრულით არის, მაგალითად: პეტრე, პავლე. კონქში მოსჩანს მაცხოვარი. დასავლეთის კედელზე ყოფილა ფიგურა მაშენებლისა, მაგრამ ცოტაღაა დარჩენილი. ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **თავი ხატი იონა წინასწარმეტყველისა,** ოქროთი დაფერილის ვერცხლისა, 16,5X12,5 სანტ. პირის სახე ჰქონია წამლით დახატული, რომელიც ეხლა სულ გადასულია, აგრეთვე მოძარცული აქვს დიდი ნიმბი, რომელიც ყოფილა ძვირფასი ქვებით შემკობილი; დარჩენილია კვალები ლურსმებისა, რომელთ საშუალებით თვალები ყოფილა ნიმბზე მიმაგრებული (იხ. ფოტ. №17015). ფიგურა წინასწარმეტყველისა წელსზევითია; მარჯვენა ხელი გულზე აქვს მიდებული, მარცხენაში გრაგნილი უჭირავს; ტანისამოსი ხშირად არის დანაოჭებული; აშია შემკობილია ორნამენტით, რომელიც შესდგება ტეტრაკონქებში მოქცეულის ჯვრებისაგან და ეს ტეტრაკონქები შეერთებულია ორივეს მხრით სამკუთხედებით. მეორე გვერდზე ასომთავრული წარწერაა (იხ. ფოტ. №17016):

წ : მ-ვჭდეთ : და : შე	მოვჭედეთ და შე-
ვ-მკვეთ : ხატი : ეს	ვამკეთ ხატი ესე
ე : ი-ნე : წ- წყლი : ჩ-ნ : პ	იოანე წინასწარმეტყველი ჩუენ
ატრონმ-ნ : გური	პატრონმან გური-
ლელმ-ნ : მამია :	ელმან მამია
ამ : სფ-ლს : გასამ	ამ სოფელს გასა-

არჯველ-დ : და : სა	მარჯვებლად და სა-
უკნს : სკნს : სჴსრ-დ :	უკუნოს საუკუნის საჴსრად
სლის : ჩნისა : თჴს : –	სულის ჩუენისათჴს.

შეადარე ბაქრაძე (გვ. 83-84).

გურიელი მამია ხუთი იყო: მამია პირველი, შვილი გიორგი გურიელისა, მოხსენებულია 1412 წელს ლეხოურის წარწერაში; მამია მეორე, გიორგი მეორეს შვილი (1625 წ.); მამია მესამე, გიორგი მესამის შვილი (1717 წ.); მამია მეოთხე, გიორგი მეოთხის შვილი, (1726-1762); მამია მეხუთე, სვიმონის შვილი (1810-1826).

---

1 შეცდომით არის მოყვანილი გურიელის მაგიერ.

ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-15 საუკუნეს; მაშასადამე, აქ უნდა იგულისხმებოდეს მამია პირველი.

2. **ჯვარი გამოსასვენებელი,** ოქროთი დაფერილის ვერცხლისა, 45X38 სანტ. ნაჭედი. წინა პირზე, შუაში, წარმოდგენილია ჯვარცმა, დაზიანებული. ბოლოებში მრგვალი მედალიონებია წმიდათა სახეებით, რომელთა შორის ორი წ-ა გიორგია, მარჯვნივ და მარცხნივ, წარწერით: წ-ᲂ გ-ი. ქვემოდ, ვგონებ, კოზმანია: კმნ; ზემოდ დამიანე: დ-მნ. დანარჩენი ნაწილი ჯვარისა შემკობილია ფოთლოვან-ყვავილოვანის ორნამენტით (იხ. ფოტ. №16998); მეორე გვერდზე, არავითარი შემკობილობა არ არის, გარდა ასომთავრული წარწერისა, რომელიც მოთავსებულია შუა მკლავებზე სამ სტრიქონად, ლამაზად (იხ. ფ. №16997). ამ წარწერას იხსენიებს ბაქრაძე და ამბობს მხოლოდ: ჯვარის მეორე გვერდზე წარწერაა, რომელიც არ განირჩევა (გვ. 84). საკვირველია, რომ ცნობილ არქეოლოგს ეს წარწერა არ გადმოუღია ხელით, როგორც სხვა ძნელი გასარჩევი წარწერები. არც ერთი სხვა მკვლევარი წარწერას არ იხსენიებს, თუმცა ამ ეკლესიაში ყველანი იყვნენ, როგორც სხვა მათი შენიშვნებიდან სჩანს. მართლა და ზოგიერთი ასოს მოხაზულობა ამ წარწერაში ფრიად უცხოა. ასეთია ჩვენის აზრით ა პირველი სტრიქონის ბოლოს და შუაში; ასეთი მოხაზულობის ა სხვა წარწერებიდან ჯერ ცნობილი არ არის. მეორე ასოა არა ჩვეულებრივი ღ, თუმცა პირველ სტრიქონში ერთ ადგილას ეს თავისი ჩვეულებრივი მოხაზულობით გვხვდება, მაგრამ იმავე სტრიქონის უკანასკნელ სიტყვაში, აგრეთვე მეორე სტრიქონის უკანასკნელ სიტყვაში და მესამე სტრიქონის მესამე სიტყვაში მის მაგიერ სრულიად ასო პ მოყვანილი, თუ გნებავთ, ეს იგივე ასომთავრული ღ-ნია, მაგრამ ყირამალად დასმული, ბოლო ზემოდ აქვს მოქცეული და თავი ბოლოდ. პირელი ასო პირველი და მეორე სტრიქონისა უნდა იყოს, ჩვენის აზრით, ბ და არა ჳ და არც ყ, თუმცა ცოტა მათაც ჩამოჰგავს; ამას გარდა მესამე ასო მესამე სტრიქონისა თავიდან ე-ნია შებრუნებული. შემდეგ მარცხენა ფრთა ჯვარისა გატეხილია და ამ ადგილას ასოები აკლია ყველა სტრიქონში, მაგრამ მათი აღდგენა აზრით შეიძლება, გარდა პირველი სტრიქონის სიტყვისა. ვიღებთ რა ყველა ამას მხედველობაში, ჩვენ წარწერა ასე გვეჩვენება:

ბხთლს მარ[ი]ხიაღ·ს შუდ[ო]ს ღმერთმა
ბსა :. თქვე[ნს]ასა :. ხებს : შუდს :. ღმერთმა
ქ ϩ ძო ღმრთ[ი]საო : დ მეოხ დ ფრვლ : დ მამკ

შემოკლებულად დაწერილი არა ჩვეულებრივი საკუთარი სახელების ახმოვანება ძნელია და მათი წაკითხვა ყოველთვის საეჭვოდ დარჩება. საკვირველია, რომ ქ დასაწყისი ყველა წარწერისა ჩვენს შემთხვევაში პირველ სტრიქონს როდი უზის, არამედ მესამეს და ეს მესამე სტრიქონი დამთავრებული არ არის, აკლია შესმენილი; ძნელია თქმა, რას ნიშნავს მეორე სტრიქონის სიტყვა ბსა, შეიძლება ვიგულისხმოთ „ბიძასა“, ან „ბატონსა“, ან „ბაბუასა“, აგრეთვე მეტია კავშირის და-ს სამჯერ ხმარება მესამე სტრიქონში; ამ შენიშვნების შემდეგ, შეიძლება წარწერა ასე წავიკითხოთ:

ბახათელს (?) მარიხიაღას (?) შეუნდოს ღმერთმა.
ბიძასა თქვენსასა ხებს შეუნდოს ღმერთმა.
ϩ ძეო ღმრთიასაო, მეოხ და მფარველ [მექმენ] მამკ[ობსა შენსა].

3. **ჯვარი** დიდი, კანკელის წინ დასადგმელი, 80X41 სანტ. არა ჩვეულებრივი რიგისა, ფრიად თავისებური, რომელიც ჩვენ მარტო სვანეთში გვხვდება და სხვა საქართველოს ადგილებში ჯერ უცნობი არის (იხ. ფოტ. №17003). ყველა მხარეები ჯვარისა ბოლოში გაფართოებულია და თავდება დიდი მრგვალი მედალიონებით, რომელთაც ირგვლივ ახლავს სამი მომცრო მედალიონი; ქვემოდ კიდევ მედალიონს ტრაპეცია მისდევს. შუაში ოთხკუთხედი მედალიონია. ყველა კიდეები ჯვარისა და მედალიონებისა შემკობილია მოოქრული ვერცხლის წნულით და გამშვენებული ძვირფასი ქვებით. ჯვარის ყველა ნაწილები საკმაოდ ღრმა უჯრედებს შეიცავენ, რომლებშიაც ეტრატზე ფერადის წამლებით დახატული სურათებია სახარების ციკლისა და ეს სურათები ზემოდან დაფარებულია შუშებით. სულ ეხლა 20 უჯრედი არის პირველ პირზე და ქვემოდ ერთი პატარა მედალიონი მოტეხილი აქვს, თორემ 21 უნდა ყოფილიყო. სრულიად ასეთივე სახე აქვს მეორე პირსაც ჯვარისა (იხ. ფოტ. №17004). სამწუხაროდ, ბევრ უჯრედში სურათები აღარ არის დაცული, ნამეტნავად მეორე გვერდზე და ისინიც, რომელნიც გადარჩენილა, ფოტოგრაფიაზე ნათლად არ გამოდის, ვინაიდან ეტრატის ნაჭრები დაღრეკილია სიცხის გამო. ერთი ნიმუში ასეთი მხატვრობისა მე გამოვართვი ბ. ნიჟარაძეს; ის წარმოადგენს ფერისცვალების მინიატურას, მაგრამ ის ამ ჯვარს არ ეკუთვნის, არამედ ამოღებულია სხვა ამგვარი ჯვარიდან ან ხატიდან. როგორც ქვემოდ დავინახავთ, ასეთი რიგის ხატებიც ყოფილა სვანეთში.

4. **ჯვარი,** შუა ზომისა 67X34, შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, ტლანქი ხელობისა. შუაში უმბო მოყვითლულია. სხვა ფიგურებთა შორის სამი სურათი მთავარ ანგელოზისა არის, ერთს აწერია: წ·Ჲ მიქელ.

5. **ხატი მაცხოვრისა,** დიდი, სიმაღლით 1 არშინი 4 1/2 ვერშოკი, განით 1 არშინი. პირის სახე წამლით ყოფილა დახატული, მაგრამ ეხლა მოშლილია; პერანგი და მორთულობა მოოქრული ვერცხლისაა. მაცხოვარი წელსზევითია, მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით მარცხენაში; ნიმბი დიდი ჯვარის

სახედ და აშიები შემკობილია ბროწეულის ყვავილების მსგავსი ორნამენტებით. ეზო უფრო ბალახოვანი სახის არის. ზემოდ, ორივე მხრით ნიმბისა ჯვარის სახის „დრობნიცებში“ ბერძნული წარწერაა სახელისა. ქვემოდ და მარჯვნივ მაცხოვრის წარწერაა, მაგრამ ქვემო ნაწილი თავუკუღმაა მიჭედილი. ქვემოდ ყოფილა სულ სამი სტრიქონი, მაგრამ შენახულია მხოლოდ ორი და გაგრძელება ვერტიკალურად მარჯვნივ ხატისა, დ. ბაქრაძე ამბობს: წარწერა ვერ გადმოვიღეო (გვ. 84). ა. ხახანაშვილი შეცდომებით კითხულობს წარწერას (გვ. 38). იხ. ფოტ. 17002. ჩვენ ასე ვკითხულობთ:

1. [ვნახ]ეთ : ეკლესიაი : დარღლი[1] : ვპოეთ : სმკ-ლი :
ეკლესისა : შ-ნის-ი : მოპრლი და დაფლული : . . . რ-თა
შ-ნივ შ-ნდა : შევსწიროთ . . . შ-ნდა : მინდობილთა :
გჯსნენ : ჩვ-ნ ჯჯხეთს
2. [აგან] [ბ]ნელისა : და : მიოხო[2] : დ-დსა : შნისა :
თ-ა[3] და : მითლე : კნინი : ესე : მს-ხრბი ჩ-ნი : ვ-ა
მ[წვლილი] [ქ]ურვ-სგ-ნ[4] : ბრძიმი : ხუთ-სის :
დ-რმის-ი : ტბკინი : ორნი : ს-ცეცხურნი : ერთნი :
ხ-რნი ერთი

_____

1 ამ სამი სიტყვის მაგიერ ა. ხახანაშვილი კითხულობს: თეკლე ალექსანდრე.
2 ა. ხახანაშვილი ამ ორი სიტყვის მაგიერ: მტერთა.
3 ეს სიტყვა არ მოჰყავს ა. ხახანაშვილს.
4 ეს ორი სიტყვა გამოტოვებული აქვს ა. ხახანაშვილს.

3. (ეს სტრიქონი მოტეხილია, ადგილ-ადგილ მოსჩანს
ზემო ნაწილები ასოებისა, გაგრძელება მოთავსებულ-
ლია მარჯვნივ ხატისა)
4. ორთ-ვე /შ-ნა : ცხ/რბთა : ხ/ტსა : ზე/და : არს / ოქ-
როი : და / ვერცხლი : / დრამი : შ(ვ)იდასსი.

უქარაგმოდ:

. . . (ვნახ)ეთ ეკლესიაი დარღვეული, ვპოვეთ სამკაული ეკლესიისა შენისაი მოპარული და დაფლული. . . რათა შენივ შენდა შევსწიროთ. . . შენდა მინდობილთა გვიჯსენ ჩვენ ჯოჯოხეთის(აგან) (ბ)ნელისა და მიოხო დედისა შენისათანა და მიითვალე კნინი ესე მსახურებაი ჩვენი, ვითარცა მ(წვლილი) (ქ)ურვისაგან : ბარძიმი ხუთასის დრამისაი, ტაბაკნი ორნი, საცეცხურნი ერთნი, ხარანი ერთი. . . ორთავე შინა ცხორებათა . ხატსა ზედა არს ოქროი და ვერცხლი დრამი შ(ვ)იდასსი.

არც ალექსანდრე და არც თეკლე ამ წარწერაში სრულიად არ არის მოხსენებული, რაც შეცდომით ამოუკითხავს ა. ხახანაშვილს (გვ. 38). წარწერა სტილით, მართლწერით და პალეოგრაფიულის ნიშნებით წააგავს ოყურეშის წმიდა გიორგის ხატის წარწერას იმერეთის მეფის ბაგრატ მესამის და მისი მეუღლის ელენესას (1510-1548) და ჩვენ გვგონია, ეს წარწერაც მათ ეკუთვნის (იხ. ზემოდ გვ. 65-68). ყოველ შემთხვევაში წარწერა მე-16 საუკუნის არის.

6. **ხატი წ-ა გიორგისა და წ-ა თეოდორესი,** ვერცხლისა, ნაჭედი, 50,5X39,5 სანტ. წარმოდგენილნი არიან სრულის ტანით, შუბებით და ფარებით; ახალგაზრდათ გამოიყურებიან; თმა ხუჭუჭად აქვთ დალაგებული. წარწერები: წ-ჲ გ-ი, წ-ჲ თ-ე, (იხ. ფოტ. №16999). ჩარჩო ფართო რომბ-ლურსმულიანი მოქცეულია შინაგან და გარეგან ფოლაქოვან წრეებში. ჩარჩოზე რვა მედალიონია; ზემო მედალიონებში ვედრებაა, შუაში მაცხოვარი, ბერძნულის წარწერით სახელისა; მარცხნივ: დ-ჲ ღ-ჲ; მარჯვნივ: წ-ჲ იოვანე. ქევმოდ: წ-ჲ დ-ე (შუაში), წ-ჲ ლუკა (მარცხნივ) და: წ-ჲ პ-ტრე (მარჯვნივ). აქეთ-იქით წარმოდგენილნი არიან, სრულის ტანით, იოანე: წ-ჲ ჲ-ე (მარცხნივ) და გაბრიელ მთავარ ანგელოზი: წ-ჲ გბრლ(მარჯვნივ); ქვემოდ, ფოლაქოვან ხაზს ქვეშ, წარწერაა:

წ-ო მაცხოვრო : შ-ე : ივ-ნე : ოქრომჭ-ი ამინ.

ხატი მე-17 საუკ. უნდ ეკუთვნოდეს.

7. **ხატი წ-ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 93X71 სანტ. წარწერით: წ-ჲ გ-ი სუფისა. წმიდანი მდგომარეა, შუბით და ვეებერთელა ფარით, რომელზედაც მარცხენა ხელი უდევს; აშიები რომბ-ლურსმული, ოთხი მედალიონით; ზემო მედალიონში, შუაში, ტახტის შემზადებაა წარმოდგენილი; წარწერები არა აქვს; ქემო აშია აკლია (№16995). ეზო ვაზის შტოების მსგავსად არის მორთული, მე-15 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

8. **ხატი წ-ა თეოდორესი,** 50,5X49,5 სანტ. წმიდანი გაჭენებულ ცხენით არის წარმოდგენილი, შუბით ვეშაპს გმირავს. წარწერა: წ-ჲ თ-ე. ჩარჩო ფართო რომბ-ლურსმული, მედალიონებით; ზემოდ ვედრებაა; მარცხნივ და მარჯვნივ სრულის ტანით წარმოდგენილ ფიგურებს წარწერა არა აქვთ. ხატი დაზიანებულია. ხელობა ტლანქია, მე-18 საუკ. (იხ. ფოტ. №1700).

9. **ხატი წ-ა ბასილისა,** ოქროსი, 30X22 სანტ. ფიგურა წმიდანისა წამლით ყოფილა დახატული, მაგრამ სულ გადასულია. დარჩენილია ვრცელი ეზო და მორთულობა ფრიად ნასკვნი ხლართულებით და არაბესკებით შემკობილი. აშია ვიწროა, ორ-ორი დასერილი ხაზებით უჯრედებად დაყოფილი და შემკობილი ლამაზი ორნამენტებით. წარწერა „როზეტებში“, ზემოდ: წ-ჲ ბსლი.

ქვემოდ ნაკლული წარწერაა:

. . . მფრველ . მექმენ . ორსავე ცხორებსა . ივ-ნს .

ჯრჯმლსა . . . და მე ძიახარსა (?)

ესე იგი: [წმიდაო ბასილ] მფარველ მექმენ ორსავე ცხოვრებასა იოვანეს ჯერჯემელსა . . . და მე ძიახარსა (?). ეს უკანასკნელი სიტყვა ცუდათ არის შენახული და მისი წაკითხვა საეჭვოდ მიგვაჩნია, შეიძლება მართალი იყოს ბერი ბაქრაძე, რომელიც თავის აღწერილობაში 1864 წ. ამ ხატის შესახებ ასე სწერს: „წმიდა ვასილის ხატი ოქროსი იოანე ამილახვრისაგან“. ალბათ უკანასკნელი სიტყვა მას ამილახვრად წაუკითხავს. ეს ხატი ჩვენის აზრით მე-13-14 საუკუნეზე უფრო გვიანი არ უნდა იყოს (იხ. ფოტ. №17001).

10. **ოთხი ხატი,** ღვთის მშობლისა, მაცხოვრისა და სხვათა, ფიცრებზე დახატული, წამლით, 131X80 სანტ. თითო, უფრო უკეთესად არის შენახული მაცხოვრის სურათი, ტახტოსანი. ხელობა მოიტლანქებს.

11. **ბრინჯაოს ჭურჭერლი, როდინი ანუ ავანდასტის მსგავსი,** ორის ყურით, გამობერვილი გეომეტრიული სახეებით და აშიების შემკობილობით ზემოდ და ქვემოდ, მსგავსად არაბესკებისა ანუ არაბულის წარწერებისა, (იხ. ფოტ. №17017).

12. **ზარი,** ხუცურის წარწერით (იხ. ფოტ. № 17022):

ქ[1] : ჩ-ნ : მ-ფთ : მ ფმნ : ალექსანდრე : ძემ-ნ : მ-ფისა :.
ლეონისმ-ნ .
წარმოვეც : კახეთით :. ზარი :. ესე :. სამსახურე-ბლ-დ :.
წ-იდ ისა :. ტ-ძრისა :. შ-ნის-ჲ : წ-წტყ-ლ : იონაჲ : ლა-
ტალისაო :. აწ უკჳ :.
მ-ხბითა : შ-ნითა :. ორისვე :. ცხორბისა :. ღელვ-თაგნ
ეგრ-თ :. უვნ-ბლდ :. და
მიცევ : ვ-ა : იგი :. ო-ნ გჳცვა :. ზრჳს- გნ :. და : ვეშ-პი-
სა :. ა-ნ :. ქკნსა : სპჳ :.

შეუმოკლებლად :

ჩუენ მეფეთ მეფემან ალექსანდრე, ძემან მეფისა ლეონისამან, წარმოვეც კახეთით ზარი ესე სამსახურებლად წმიდისა ტაძრისა შენისაჲ წინასწარმეტყველ იონაჲ ლატალისაო; აწ უკუჳ მეოხებითა შენითა ორისავე ცხორებისა ღელვათაგან ეგრეთ უვნებელად დამიცევ, ვითარცა იგი უფალმან გჳცვა (sic) ზღჳსაგან და ვეშაპისა, ამინ, ქორონიკონსა : სპჳ.

ამ წარწერის ქორონიკონს დ. ბაქრაძე შეცდომით მიაწერს 1598 წელს (გვ. 82). ქორონიკონი უდრის 1600 წელს.

---

1 დედანში წილქანი უზის.

მეფე ალექსანდრე კახეთის მეფეა, ლეონის შვილი, (1574-1605).

13. **სახარება ეტრატზე,** 27X21 სანტ. დაწერილია ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად; თითოეულ სვეტზე 23 სტრიქონია; შეიცავს 31 რვეულს; რვეულში 8 ფურცელია. სულ დაცულია 226 ფურცელი, მათ შორის 4 ფურცელი მოციქულების მინიატურებს უჭირავს; ესენი ფრიად დაზიანებული არის.

მახარობლების სურათებს წარწერები სახელებისა ბერძნული აქვთ, მაგრამ მათ წინ გაშლილ სახარების ფურცლებზე ქართული ხუცურით დაწერილი ტექსტია. პირელ 2 ფურცელზე მოყვანილია წერილი ევსებისა კარპიანესადმი; შემდეგ 12 ფურცელზე მშვენიერი ფერადებით და არაბესკებით შემკობილი კანონებია, რომელნიც მოქცეულნი არიან ლამაზ ნახელავ ფერადებიან სვეტებში თავის კვარცხლბეკებით და სვეტის თავებით (ერთი ნიმუში ამისა იხ. უვაროვისა, გვ. 153), ასეთივე ლამაზი ხელობის არის აგრეთე მეთაური

სურათები თითეულის სახარების თავში (მათეს სახარების თავის სურათი იხ. უვაროვისა, გვ. 153).

სახარებას ამშვენებს მრავალი საუცხოო ფერადებიანი მეთაური ასოები. ფერადები ერთობ ნაზია, მოწითანო, მოყვითალო, მომწვანო, შავი და ოქროს ფერი. თუ სხვა სახარებათა მორთულობა მე-11 და 12 საუკუნეთა ბიზანტიის გავლენას მოგვაგონებს საერთოდ, ამ სახარების მორთულობას და მის არაბესკებს აშკარად აღმოსავლეთის გავლენა ემჩნევა. დ. ბაქრაძე ტყვილად ადარებდა ამ სახარებას ცნობილს გელათის სახარებას გიორგი მთაწმინდელისა, მე-11 საუკუნისა (გვ. 84), ხოლო გრ. უვაროვისა სამართლიანად შენიშნავს, რომ სახარება არ შეიძლება იყოს მე-13 საუკ. უახლოესი დროისა. ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ სახარება მართლა მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის. ალ. ხახანაშვილის აზრით, ტექსტი სახარებისა გიორგი მთაწმინდელის რედაქციას ეკუთვნის (გვ. 19), მაგრამ გიორგის ჩვეულებრივი ანდერძი ამ სახარებაში არ მოიპოვება და ერთი ადგილი სრულიად არ ეთანხმება გიორგის რედაქციას, მაგალითად: მე-24 მუხლი მათეს სახარების მე-19 თავისა იკითხება ასე.

უადვილეს არს მანქანისა საბელი გ-ნსლვად ჴურელსა ნემსისა ვ-ე მდიდრისა შესვლად სასუფეველსა.

სიტყვას **მანქანისა** შენიშვნა აქვს აშიაზე: **აქლემი**. და უწერია:

ესე არ მოცთომილია. დედასა ესრევე ეწერა.

მანქანა აქლემის მაგიერ წმ. ევთიმეს სახარებაში მოიპოვება და შესაძლოა ტექსტი ევთიმეს რედაქციას ეკუთვნოდეს. გადაჭრით ამას ვერ ვიტყვით, ვინაიდან ტექსტები არ შეგვიდარებია.

ბოლოს ხელნაწერს დართული აქვს: ზანდუკი სახარებისა საძიებელისაჲ საწელიწადოჲ წმიდათა კ-რკსა აღვსებისასა.

ყდა სახარებისა ხის არის, ტყავ-გადაკრული და ეხლა ტყავის ზემოდ საბრალო და სამწუხარო ნაშთებია იმ მდიდრული და ძვირფასი შემკობილობისა, რომელიც წინეთ, დიმიტრი ბაქრაძის დროს და ნაწილობრივ გრაფ. უვაროვის დროსაც აქ ყოფილა. ეხლა აღარ არის არც ის ბიზანტიური ხელოვნების მედალიონები და არც ჯვარცმის ფიგურები, რომელზედაც იგინი მოგვითხრობენ. ეხლა მილანქრების კვალიც აღარ სჩანს; სულ ყველაფერი მოუძარცავთ და მოუპარავთ (დ. ბაქრაძე, გვ. 84-85; უვაროვისა, გვ. 153-154). წინა პირზე, სადაც ყოფილა წარმოდგენილი ჯვარცმა წინამდგომებითურთ, ეხლა მხოლოდ მოსჩანს მარჯვნივ: იოანე ნათლის მცემელი, ღვთის მშობლის ფიგურა და თვით ჯვარცმა აღარ არის; ზემოდ, მარცხენა კუთხეში მოსჩანს წელსზევითი ფიგურა მათე მახარობელისა, წარწერით: მათე მხრებლი. ქვემოდ, მარჯვენა კუთხეში დარჩენილია თავი წმიდანისა. სხვა შერჩენილი ნაჭრები ხლართულებით არის შემკობილი.

დ. ბაქრაძის დროს ამ ყდაზე ყოფილა მილანქრის მედალიონები და ამ მედალიონების ნაშთი უვაროვის დროსაც ყოფილა. ის სწერს: ყდა სახარებისა ერთ დროს საუცხოო ყოფილა თავის სიმშვენიერით, რომელთაგანაც დღეს დარჩენილია მხოლოდ საბრალო ნიშნები. ეს ყდა ტყავისაა, რომელზედაც გადაკრულია მოოქრული ბასმა ჯვარცმულის გამოსახულობით, წინამდგომებითურთ, რომელთ შემდეგ მოსჩანან მცირე ნაშთები ანგელოზთა,

ბიზანტიურის მილანქრიანი ხელობისა; ანგელოზებს შავი თმა აქვთ; თავის წრეები ცისფერი; ფონი, რამდენადაც შეიძლება შეინიშნოს, გაცარცვა ამ ყდისა დაწყებულა დ. ბაქრაძის შემდეგ და დამთავრებულა გრ. უვაროვის შემდეგ, ეხლა მილანქრების ხსენებაც არ არის.

ასეთია დღევანდელი სახე ამ წინაპირისა (იხ. ფოტ. №17018).

მეორე მხარეს ყდისა, სამწუხაროდ, წინა მკვლევარები არ აგვიწერენ და ჩვენ არ ვიცით, ეს მათ დროს უკეთ იყო დაცული, ვიდრე ეხლა არის, თუ არა. გრ. უვაროვისა შენიშნავს მხოლოდ, რომ მეორე მხარე ყდისა კიდევ უფრო გაფუჭებულიაო, ვიდრე პირველი პირი და აგრეთვე ბასმისააო (გვ. 54). დ. ბაქრაძეს გადმოუღია ხელით წარწერა ამ გვერდისა (იხ. დამატება №11), მოჰყავს მისი რუსული თარგმანი (გვ. 94), რომელშიაც კათოლიკოზის სახელს სტეფანე-დ კითხულობს (გვ. 84). ეტყობა ამ წაკითხვაში მას ეჭვი შესვლია, ვინაიდან ის სწერს: არ ვიცი მართლად გავიგე აზრი ამ წარწერისა, თუ არა, მაგრამ კათოლიკოსი სტეფანე ჩემთვის უცნობია. მე არც მგონია, რომ ქართულს მატიანებში მოიპოვებოდეს კათოლიკოსი ამ სახელწოდებითაო (იქვე, გვ. 84). ა. ხახანაშვილი შენიშნავს, რომ წარწერა სრულ სწორად არა აქვს მოყვანილი დ. ბაქრაძეს და მოჰყავს ტექსტი წარწერისა, მაგრამ არა თუ არაფერს არ ასწორებს ბაქრაძის წაკითხვაში, არამედ კიდევ შეცდომას უმატებს. კათალიკოზის სახელს იგიც სტეფანედ კითხულობს, როგორც ბაქრაძე და სიტყვის მაგიერ: „შეიმკო“, კითხულობს: „შემკობილი“. სრულიად წაკითხული არა აქვს ქარაგმანი ასო ქ- : როემლიც აქ ნიშნავს : „ქართლისა“, ისე როგორც ეს არ ამოუკითხავს ბაქრაძესაც (გვ. 19). ეხლანდელი სახე ყდის მეორე გვერდისა (იხ. ფოტ. №17019), ხოლო წარწერა იკითხება ასე:

ქ : ამისა : ნტ	ამის ნეტა-
არისა : ეპ	რისა ეპი-
იფანე : ქ : კ	ფანე ქართლისა კა-
ზისგ-ნ : მ-გ	თალიკოზისაგან მოგე-
ბული : ამი[ს]	ბული ამის-
გ-ნვე : შე	განვე შეი-
იმკო : კ-თლი	მკო კათოლი-
კე : ეკლესი	კე ეკლესი-
სთს : სხბ	ისათჳს სახარებ-
აი : ესე : მოი	ბაი ესე. მოიჴ-
ჴსენე : ქ-ე :	სენე ქრისტე!

ამ წარწერიდან ცხადათ სჩანს, რომ ქართლის კათალიკოზს ეპიფანეს მოუგია ეს სახარება; მასვე შეუმკვია და შეუწირავს კათოლიკე ეკლესიისათვის. კათოლიკე ეკლესიად აქ იგულისხმება მცხეთის ტაძარი, სვეტი ცხოველი, და რომ ეს ასეა, ამას ამ ყდაზე დარჩენილი ფიგურების ნაშთებიც ცხადათ მოწმობენ, რომელთათვის მკვლევართ ყურადღება არ მიუქცევიათ (იხ. ფოტ. №17019). აქ მე-13 საუკუნის ხლართულებში ყოფილა წარმოდგენილი თვით სვეტი ცხოველი. სვეტის სამსაფეხურიანი კვარცხლბეკი და თვით სვეტის დაზიანებული ღერიც ნათლად სჩანან, მარჯვნივ სვეტი ცხოველისა წარმოდგენილი ყოფილა სრულის

ტანით მაცხოვარი, ორივე ფეხი და ნაწილი სამოსლისა კარგად მოსჩანს. სვეტის მარცხნივ წარმოდგენილი ყოფილა აგრეთვე სრულის ტანით და საკათალიკოზო სამოსლით თვით ეპიფანე კათალიკოზი, რომელსაც ხელები ვედრების სახით მიპყრობილი აქვს სვეტი ცხოველის მიმართ. თავი და ფეხები ეპიფანესი მოშლილია; დანარჩენი ნაწილი შუა ტანისა კარგად არის დაცული; მოსჩანს ნიმბის წრის ნაწილიც და ნიმბს ქვემოდ, ორივე მხარეს დაზარალებული წარწერა სახელისა:

ეპ[ი] [ფ]ანე .

ეპიფანეს უკან, მარცხნივ ჩამოგრძელებულია ის წარწერა, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ.

ეპიფანეს სახელი თვით სახარების ტექსტშიაც მოიპოვება. აქ მარკოზის სახარების დასასრულს ვკითხულობთ:

დაესრულა თ-თვი მ-რკოზისი :.
ჴლითა ფ-დ ცოდვილისა იოანაᲘსითა :
მოძღ-რისა ჩ-მისა ეპიფ-ნესთ-ს :.

ყველა ზემო მოყვანილი ცნობებიდან ცხადია, რომ ამიერიდან ენაშის სახარებას უნდა დაერქვას: „ეპიფანე კათალიკოზის სახარება“.

ვინ არის ეს ეპიფანე კათალიკოზი? ეს ის ეპიფანეა, ეჭვს გარეშე, რომლის ვეებერთელა წარწერა აკადემიკოსმა ნ. მარრმა აღმოაჩინა ქალაქ ანისის ერთს ქართულ ეკლესიის კედელზე და გამოსცა ფრიად ვრცელის და ჯეროვანის განმარტებებით (იხ. პეტერბურგის აკად. მოამბე (იზვესტია), 1910 წ. № 17), ხოლო ქვები გადაიტანა ანისის ყოფილ მუზეუმში და იქ აღადგინა კედელი სრულის დაცული წარწერით. წარწერა დათარიღებულია და ეკუთვნის 1218 წელს.

შესანიშნავი წარწერა ანისის ეკლესიისა მოწმობს, რომ კათალიკოზი ეპიფანე დიდი განათლებული კაცი ყოფილა, ნიჭიერი და სათნოიანი მწყემსი, მართლ მსაჯული და უნარის მქონე. მან მშვიდობიანად მოაწესრიგა შუღლი თავის სამწყსოს წევრთა შორის ქრისტიანული მორალის და სიყვარულის მიხედვით. ხოლო ეს საუცხოო სახარება გვიმტკიცებს მეორე მხრით, რომ ეპიფანეს ჰქონია ამასთანავე უაღრესად განვითარებული გემო და მიდრეკილება ხელოვნებისადმი და არც დაუზოგავს შრომა გაემდიდრებინა თავისი საკათედრო ტაძარი ასეთი შესანიშნავი ხელოვნების განძით. რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს დროში გაუცარცვავთ და მოუვლელობით დაუზარალებიათ. სურათები ყდისა და გარჩევა წარწერებისა მოთავსებულია ჩვენს მიერ **Georgia**-ს მეოთხე და მეხუთე წიგნში, გვ. 96-100.

სოფელი მაცხოვარიში.

ეს განირჩევა სხვა სოფლებისაგან და ეთნოგრაფიისათვის გამოსადეგია ზოგიერთი ჩვენი ექსპედიციის მიერ გადმოღებული სურათები. ამ სოფელში გვხვდება ხის სახლები, რომელნიც იშვიათია სვანეთში; ერთი ასეთი ორსართულიანი სახლი, ორი დიდი ბალკონით, ბეკმურზა ფარჯიანისა, იხ. ფოტ. №17443; სხვა ხის შენობები სოფლის განაპირას, ეგრეთ წოდებული „ხუტორი“ გიკსუ ტამალიანისა, იხ. ფოტ. №17447; ტიპები ამ სოფლის ქალებისა (2 ქალი), იხ. ფოტ №17525; ბავშვები ამ სოფლისა იხ. ფ. №17526. სვანის ქალები წყაროსთან, იხ. ფოტ. №17524 (ცხენოსანი კაცი აქ არის ლახამულის მცხოვრები იასონ ჩკადუა), მაცხოვარიშის მღვდელი მათე გულიდანი თავისი ჯორით, იხ. ფოტ. №17528; ჯორი პატრონის გარდა არავის იკარებდა, სასტიკად იტლინკებოდა. ჩვენმა თანამშრომლებმა სათითაოდ სცადეს, მაგრამ ვერავინ ვერ მოახერხა მასზე შეჯდომა.

ეკლესია ამ სოფლისა არის **მაცხოვრის სახელზე** აშენებული და აქედან წარმოსდგება სოფლის სახელიც მაცხოვარიში. გეგმა ამ თლილის ქვისაგან აშენებულის ეკლესიისა იგივე ყოფილა, რაც ენაშისა, მაგრამ დასავლეთის და ჩრდილოეთის მისი ეკვტერები ეხლა მონგრეულია; ამას გარდა ძველი კანკელი ქვისა შეცვლილია ახალი ქვის კანკელით. კედლები შიგნით სულ მოხატული ყოფილა, მაგრამ ეხლა დაზიანებულია და გაფუჭებული, ზოგან კომლისაგან გასვრილი, ანუ სულ გამქრალი. კარგად მოსჩანს კიდევ მაცხოვარი საკურთხევლის კონქში მთავარ ანგელოზებითურთ, შემდეგ დედა ღვთისა, ბერძნულის წარწერით სახელისა. მას ქვემოდ 12 ეკლესიის მამა. ზოგიერთის წარწერაც განირჩევა: თომა, სჯმონ, იაკობ.

ჩვენთვის დიდათ მნიშვნელოვანი ფრესკები ყოფილა ჩრდილოეთის კედელზე. აქ, შუა ადგილას, მთავარ ანგელოზნი გვირგვინს ადგამენ თავზე წ-ა ეკატერინეს; ყოფილა წარწერაც, რომელიც ცუდათ არის დაცული, მაგრამ შესაძლოა გარჩევა:

ანგ-ლ . . .	ანგელოზ-
ა უფლ	თა უფალ-
ა ჩინსა	მა ჩინსა (?)
დასდ	დასდ-
გა მის თ	გა მის თა-
აჯსა ეკ	ვსა ეკა-
ატირ-ნს	ტირინას .

„ჩინსა“ აქ ალბათ ხარისხს, გვირგვინს ნიშნავს.

ამის პარალელურად, საკურთხეველის მახლობლად, მეფეა დახატული, ბიზანტიურის ტანისამოსით, რომელსაც აგრეთე მთავარ ანგელოზნი გვირგვინს ადგამენ თავზე. ერთს მთავარ ანგელოზს აწერია: გბრლ. მეფეს ხელი გაშვერილი აქვს მარჯვნივ, მაცხოვრის მარჯვენისაკენ, რომელიც მაკურთხეველის სახით გამოდის სფეროდან. მეფის ნიმბის ორივე მხარეს წარწერაა:

მფთ მფე დმტრი.

ესე იგი: მეფეთ მეფე დიმიტრი.

მეფის წინ ქვემორე დაჩოქილნი არიან მისი ერისთავები; წარწერიდან მოსჩანს ასოები: ერთთავი (ერისთავთ ერისთავი).

მეფის მარჯვნივ წარწერაა, რომელშიაც ამოვიკითხე:

მოꙋხატა სა	მოꙋხატა საყ-
ყდარი : ესე მ	დარი ესე მე
მეფობასა	ფობასა
დემეტრეს	დემეტრე-
ა : იზ : ჴელი	სა : იზ : ჴე-
თა : მ-ქლ . . .	ლითა მიქელ
მაღ . .	მაღ . .
აფლძი	აფლაძი-
სათა	სათა .

წარწერებში, დაჩოქილ ერისთავებთა წინ, მე შევსძელი გარჩევა მხოლოდ შემდეგი სიტყვებისა:

ჴრმალსა აყმო / დათრგუნა .

სხვა წარწერებიდან ამ კედლისა მე ამოვიკითხე ცალკე სიტყვები:

მამასახლისი იყო..... ეკლესია ..... კვამლისაგან შესვრილი

ალით გასვრილი .... რომელ ორი არ დააკლოს ....

ფოტოგრაფიულად გადმოღება ფრესკებისა შეუძლებელი იყო, ვინაიდან შესაფერი აპარატები არ ჰქონდა ერმაკოვს და მასთან კიდევ ფრესკები ერთობ გასვრილი იყო, მაგრამ მე შევხვდი ბეჩოში ჩემს ნაცნობ მხატვარს ეისნერს, რომელიც „ნამესტნიკის“ თანაშემწის ვატაცის თანმხლებელთა რიცხვში იყო, ავუხსენი მდებარეობა და მნიშვნელობა ფრესკებისა და ვთხოვე გადმოეღო; ხარჯის ანაზღაურება, რასაკვირველია, დავპირდი; მან გადმოიღო შემოკლებულად სურათები, რომელნიც ეხლა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმშია, მაგრამ ეს დასაკმაყოფილებელი არ არის. ამისათვის საჭიროა ცალკე ექსპედიცია; კედლები უნდა გაირეცხოს, გაიწმინდოს და ნამდვილი კოპიო უნდა იქმნას გადმოღებული ფერადებით. მაშინ წარწერების უფრო მეტი და სწორი წაკითხვა შესაძლებელი იქნება.

მეფე დიმიტრი, ამ წარწერაში მოხსენებული, უნდა იყოს ან დიმიტრი პირველი (1125-1154), დავით მეორის აღმაშენებლის შვილი, ან დიმიტრი მეორე თავდადებული (1273-1289). უფრო მისაღებია დიმიტრი პირველი, ვინაიდან დიმიტრი მეორეს სრული 17 წელი არ უმეფია, მე-17 წელი დიმიტრი პირველის მეფობისა იქნება 1142 წელი. აქ მეტი არ იქნება დავსძინო, რომ არც ერთს მკვლევარს ეს ფრესკები და მათი წარწერები აღნუსხული არა აქვს.

სიძველენი მაცხოვრის ეკლესიაში ბევრი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ზოგიერთი მათგანი, რაც არის, უნიკუმია და ერთობ ძვირფასი და უცხო.

1. პირელი ადგილი ამ ნივთთა შორის უჭირავს დიდ, მძიმე **ვერცხლის ჯვარს,** რომელიც ცნობილია სვანეთში **ლატალის ჯვარად.** ამ ჯვარის სიმაღლეა 56,5 სანტ. განი 33 სანტ. ჯვარს ქვემოდ აქვს ღერძი, რომლითაც ის დამაგრებული უნდა ყოფილიყო ხეტარზე. ამ სახით ჯვარს ალბათ ატარებდა ჯვარის მტვირთველი ჯარის წინ ომის დროს და აგრეთვე დიდი პროცესიების დროს დღესასწაულებში. მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარს აქვს ოთხ-ოთხი საკილოვე, რომლებზედაც, უნდა ვიფიქროთ, ჩამოკიდებული იყო სხვა და სხვა ძვირფასი

ჩანჩხურები და ძეწკვები, როელნიც მეტს სიდიადეს და ზეიმობას აძლევდენ ჯვარს. ეს ჯვარი ბარტოლომეის და ბაქრაძეს არ უნახავთ. სტოიანოვს უნახავს, მაგრამ ღირსება მისი მაინც და მაინც ვერ შეუფასებია (გვ. 389). ჯვარი პირველად დაწვრილებით აღწერა და გამოსცა გრ. უვაროვისამ (გვ. 91-93, ტაბ. XXIV, XXV), მაგრამ მისი ორი დიდი სურათი ვერ არის შესაფერისი და დეტალები სულ არა აქვს. ეს იყო მიზეზი, რომ ბერძნული წარწერა ჯვარისა პროფესორმა ა. ბ. ნიკიტსკიმ სრულად და ჯეროვანად ვერ გაარჩია (იხ. უვაროვისა, გვ. 95). ჩვენმა ექსპედიციამ კი ეს ჯვარი დეტალურად გადმოიღო და ჩვენი ცხრა ფოტოგრაფია სპეციალისტებს საშუალებას მისცემს ეს ძვირფასი ჯვარი დაწვრილებით და საკმაოდ შეისწავლონ. (იხ. ფოტო №№17028 –17037).

ჯვარი ბიზანტიური ხელოვნებისაა, უვაროვისა მას მე-11 საუკუნეს მიაწერს, მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები წარმოდგენილი არა აქვს და ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

ჩვენ მხოლოდ აქ მოკლედ ჩამოვთვლით იმ მინანქრიან სურათებს და შემკობილობას, რომელთაც ეს ჯვარი შეიცავს.

პირველ გვერდზე, ყოველ მხარეს ჯვარისას, ორნამენტალური გრეხილი აქვს მოვლებული (№17036), სხვა ყველა მედალიონები და შემკობილობანი შესრულებულია ლამაზი ბიზანტიურის მინანქრით. ამათ შორის, შუაში, ორმაგ წრიან სიმრგვალეში წარმოდგენილია მაცხოვარი ჯვარის სახის ნიმბით და სახარებით მარცხენა ხელში; სახარების ყდაზე ჯვარია გამოსახული (იხ. ფოტ. №17029). ამ მედალიონიდან ოთხივე მხრივ მიდის მინანქრიანი ზოლები ჭადრაკულის ორნამენტისა, რომელნიც თავის მხრივ თავდებიან მომცრო მედალიონებით. ამ მედალიონებში მინანქრითვე შესრულებულია მახარობელთა ფიგურები, ხოლო ქემოდ ერთი აკლია (იხ. ფოტ. №17073).

ჯვარის კუთხეებში წარმოდგენილნი არიან მედალიონებით მინანქრითვე შესრულებული ფიგურები; ზემოდ სულ ახალგაზრდა ანგელოზი (ფოტ. №17932), მარცხნივ ღვთის მშობელი (ფოტ. №17031), მარჯვნივ წ¯ა იოანე (ფოტ. №17037), ხოლო ქვემოდ, ოთხ კუთხედში, რომელიც კამარით თავდება, არის ღვთის მშობელი ჩჩვილედი (იხ. ფოტ. №17028).

მეორე მხარეც ჯვარისა მდიდრულად არის შემკობილი, ხოლო როგორც შემკობილობანი, ისე მედალიონებიც წმიდანთა შესრულებულნი არიან ოქროზე ზარნაშით, ნაზად და მხატვრულად; აქაც ყოველ მხარეს ჯვარს უვლის ბალახოვანი ლამაზი ორნამენტი; შუაში ჯვარცმის მედალიონია, წინამდგომებითურთ: ღვთის მშობლით და იოანეთი. ამ მედალიონსაც ეკვრის ყოველ მხრივ ზოლები, ბროწეულის ყვავილების ორნამენტით გამშვენიერებულნი, მაგრამ სხვა და სხვა სახისა. ზოლები თავდებიან პატარა მედალიონებით, რომლებშიაც წარმოდგენილნი არიან: ზემოდ წ-ა ეკატერინე; ქვემოდ წ-ჲ ნიკიტა; მარცხნივ წინასწარმეტყველი ილია; მარჯვნივ წ-ა ნიკოლოზ.

ჯვარის გაფართოებულ ბოლოებში უფრო დიდ მედალიონებში მოქცეულნი არიან: ზემოდ ხარება; ქვემოდ ჯვართ ამაღლება კონსტანტინე და ელენეთი; მარცხნივ წ-ა თეოდორე; მარჯვნივ წ-ა დიმიტრი. ღერძზე, ჯვარის წინა პირზე, არის ბერძნული წარწერა (იხ. ფოტ. №17028), რომელიც მოვიხსენიეთ, პირველად გარჩეული იყო პროფ. ა. ნიკიტსკის მიერ. ჩვენ მოგვყავს ქართული თარგმანი პროფ. გრეგუარის შესწორებით:

„აღვუგე ჯვარი (ესე) ღვთის მშობელსა ძუძუს მაწოვნებელსა საფასითა ბერისა და წინამძღვარისა კოზმანისა (კოზმისა) და იოანე მღვდელ-მონაზონისა. ამინ“.

2. მეორე ძვირფასი ნივთი მაცხოვარიშის ეკლესიისა და ჩვენთვის საყურადღებო არის **ოქროს პანაგია,** კარედი, კათალიკოზის მიქაელისა, 7,5X6 სანტ. შუაში, თაღს ქვეშ წარმოდგენილია წ-ა გიორგი, რომაულის სამხედრო ტანისამოსით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს; მარცხენა დადებული აქვს მოგრძო ფარზე, რომელიც შემკობილია ორნამენტით; ზურგს უკან ხმალი მოსჩანს; თმა ხუჭუჭად დაწყობილი ჩამოდის შუა ლოყამდის; თავის წრეს შემოვლებული აქვს მარგალიტის მძივი, რომელსაც მარჯვნივ აკლია, დარჩენილია შვიდი მარცვალი; წარწერა ზემოდ; ორივე მხარეს, ლამაზი ასომთავრულით: წ-ა გ-ი. შუაზე, მარცხნივ, ერთი ძვრიფასი ქვა უზის. ვგონებ, ლალი. კარები ოქროსი, ამოღრმავებული ქვემო ნაწილში, ჩვენ მოცილებული ვნახეთ შუა ნაწილიდან და რასაკვირველია, აზრი მოგვივიდა თავში, რომ ამოღრმაულებში რაიმე ფიგურები უნდა ყოფილიყო ჩადგმული, ისე მთელი კარები სწორი იქნებოდა, როგორც ზემო ნაწილნი. გამოკითხვიდან გავიგეთ, რომ პანაგიას ჰქონია წინეთ ნაკერი ქისა, სახატე, რომელშიაც ვიპოვნეთ მთავარ ანგელოზთა ფიგურები, შემდგარი მინის მასსისაგან, მინანქრის სახეებით მთავარ ანგელოზთა, ჩავდევით თავიანთ ადგილებში, კარებში. და ამრიგად გადმოვიღეთ ფოტოგრაფიულად (იხ. ფოტოგ. №17025). მთავარ ანგელოზი მარჯვნივ საკმაოდ კარგად არის დაცული, ხოლო მარცხენა მთავარ ანგელოზი დაზარალებულია, ნამეტნავად მისი შემოსილობა. მცხნივარე მხიარული ფერები მინანქრისა. თეთრი, ცისფერი და ყვითელი, აგრეთვე პირის სახე ანგელოზთა და მთელი მორთულობა ცხადათ უჩვენებენ, რომ ეს მინანქრიანი პანაგია ქართული ნაწარმოებია, მე-12 საუკუნისა. ამასვე მოწმობს წარწერაც. მეორე გვერდი პანაგიისა კარებითურთ ოქროთი ნაწნავი საუცხოო ორნამენტით არის ერთიანად მოცული. შუა ნაწილში ჯვარია წარმოდგენილი; ჯვარის ორივე მხარეს ზემოდ, ორი სიტყვა ასომთავრულით კარგად არის დაცული; ქვემოდ დანარჩენი რამოდენიმე წაბღალულია, მაგრამ საერთოდ თავისუფლად იკითხება (იხ. მთელი გვერდი ფოტ. №17027). წარწერა იკითხება:

ქ-ე ა-დე	ქრისტე, ადიდე
ორთავე	ორთავე
შინა ცხრებ	შინა ცხოვრება-
ატა ქ : კზი	თა ქართლისა კათალიკოზი
მქ-ლ	მიქელ .

ეს მიქელ ქართლისა კათალიკოზი ის მიქელია, ჩვენის აზრით, რომელიც კათალიკოსობდა მე-12 საუკუნეში, გიორგი მესამის დროს და თამარის მეფობის დასაწყისში, მაშასადამე, მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში; ამ რიგად ეხლა ცნობილია ერთი კიდევ ზედმეტი ქართული მინანქრის ნაშთი, ჩვენთვის მეტად ძვირფასი. ბარტოლომეის და ბაქრაძეს ეს ნივთი არ უნახავთ; გრ. უვაროვისას მინანქრები მთავარ ანგელოზთა არ უნახავს და წ-ა გიორგის ფიგურა კარედის შუა ნაწილისა მას მიუღია მთავარ ანგელოზ მიქაელად. მისი გამოცემული სურათიც მარტო ამ ფიგურისა რიგიანი არ არის (იხ. უვაროვისა, გვ. 106, ფიგ. 27). დაზიანებული წარწერა

მას შემდეგ დროის დაჩხაპნულად მიაჩნია. დაზიანება პანაგიისა აიხსნება მით, რომ ადგილობრივი მღვდელები მას გულზე ატარებდენ, მაგალითად გაიოზ ძიმისტარაშვილი და სხვებიც. არც ა. ხახანაშვილს უნახავს მინანქრის მთავარ ანგელოზები, კარედი მას წ-ა გიორგის ხატის ბუდეთ („ლარეც“) მიუჩნევია; წარწერა გადმოუწერია ასე : ქ- ად-ე ორთავე შინა ცხორებათა შ-ა კათალიკოზე იქ-ლ (იხ. გვ. 39). ჩვენ მივიღეთ ზომა, რომ მინანქრები, რაც დაცულია, შემდეგ კიდევ უფრო არ დაზარალდეს; გატეხილი მარცხენა მთავარ ანგელოზი ცოტა შევაკოწიწეთ და ორივე ადგილში გავამაგრეთ; მღვდელს ვსთხოვეთ ყურადღება მიექცია და ცალკე ფრთხილად შეენახა პანაგია, მაგრამ დარწმუნებული არა ვართ, თუ სხვა ზომები არ იქნა მიღებული, ეს ძვირფასი ნივთი სრულ განადგურებას გადაურჩეს.

3. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 28X22 სანტ. შემკობილია 28 ძვირფასი ქვით (იხ. ფოტ. №17033). მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა მაკურთხეველის მარჯვენით და გაშლილი სახარებით მარცხენა ხელში, რომელზედაც სწერია: მე ვარ ნათელი სოფლისა და სხვ. ნიმბი ჯვარის სახისა ყოფილა შემკობილი სამი ძვირფასი ქვით, ერთი აკლია. ეზო და აშიები ბალახოვანი ორნამენტით არის შემკობილი (იხ. ფოტ. №17033). წარწერა სახელისა: იესო ქ-იე. ტახტს ქვეშ, მარცხნივ, სწერია: ქამ-ს . ქვემო აშიაზე სწერია:

ქ . მც-ხრო : ლტაი-ო : ადიდ-ნ : მ-ფთ : მ-ფე : გი -გ :
დდფლთ :
დფ-ლი : რუსდნ : და : ძე : ბ-გრტ : ამინ .
უქარაგმოდ:

მაცხოვარო ლატალისაო, ადიდენ მეფეთ მეფე გიორგი, დედოფალთ დედოფალი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ, ამინ.

ამ წარწერაში მოხსენებული გიორგი მეფე არის უეჭველად გიორგი მეორე იმერეთისა (1548-1585); მისი პირველი ცოლი იყო რუსუდან, შარვაშიძის ასული, რომლიდანაც ჰყავდა შვილი ბაგრატ. ძნელი სათქმელია მხოლოდ რას ნიშნავს ტახტის ქვეშ დაწერილი: ქა მ-ს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ ქორონიკონი იგულისხმება და მ-ს შეცდომით დაწერილი სმ-ის მაგიერ, მაშინ გამოვა ქორონიკონსა 240-სა, რომელიც უდრის 1552 წელს, მაგრამ ეს შეუძლებელია, ვინაიდან რუსუდანი შეირთო გიორგიმ 1563 წელს და ბაგრატ დაიბადა 1565 წელს (Brosset, H. G. II, I, p. 643). ბაგრატ და რუსუდანი ერთი და იმავე წელს გარდაიცვალენ, სახელდობრ 1578 წელს. ამიტომ წარწერა ეკუთვნის 1565-1578 წელს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ერთი მაცხოვრის ხატი მულახის საზოგადოების ჟამუშის ეკლესიისა ეკუთვნის ამ გიორგი მეფეს და რუსუდან დედოფალს შვილით ბაგრატითურთ (იხ. ზემოდ, მე-2 ნომრით აღწერილი ჟამუშის ნივთი). ამ ხატს მიბმული აქვს შემდეგი წარწერა მხედრულად:

ქ : შემოგწირე . მცირე :. შესაწირი :. ძეწკვი :. ესე :. მაცხოვარს :. ლატალისას :. მე :. ჩიქუანმან :. ქაიხოსრომ :. ჩემს :. სადღეგრძელოდ :. და :. მერმე ჩემის :. ცოდვილის . სულის :. საოხად :. და. საცოვნებლად:.

ეს ქაიხოსრო ჩიქოვანი იგივე ქაიხოსრო ჩიქოვანი უნდა იყოს, რომელიც თავის ცოლით, ლასხიშვილის ქალით, წარმოდგენილია ფრესკებით ნაყურალეშის ეკლესიის კედელზე, მე-17 საუკუნისა (იხ. ზემოდ ნაყურალეშის ეკლესიის აღწერა).

4. **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 21X17,5 სანტ. შემკობილია 23 ძვირფასი ქვით, ქართული ხელობისა, მე-17 საუკუნისა (იხ. ფოტ. № 17034). ღვთის მშობელი წარმოდგენილია წელს ზევით, ძითურთ, რომელიც ერთობ ზორბაა; მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში გრაგნილი უჭირავს; სახე ღვთის მშობლისა მოგრძოა; საბურავი თავისა გრეხილიანი გულამდის ჩამოდის; ყელი ღია აქვს; ნიმბი სამ მეოთხედს მთვარის სახეს წარმოადგენს; ეზო და აშიები, აგრეთვე ნიმბი, შემკობილია მხვეველი მცენარის სახეებით იმ რიგად, როგორც ეს ლევან მეორე დადიანის ოქრომჭედლებს ჩვეულებრივ მუდამ ჰქონდათ მე-17 საუკუნეში. ზემოდ წარწერა სახელისა მხედრულით: ქ დედა მღრთისა და ძე მისი. ქვემოდ, აშიაზე მეორე მხედრული წარწერაა:

ქ :. მე : მამუკა : ვაჩნაძემ : გავაჭედინე : ხატი : ესე : ყოვლად : წმიდისა :.

5. **ზარი** შუა ტანისა მხედრულის წარწერით:

ქ . შემოგწირე :. ზარი : ესე :. მაცხოვრისა :. ლატალი-
სასა :. მე : აბაშიძემან :. ცაგარელ :. მ-ნ :. მამათ :. მთა-
ვარმ-ნ :. სვიმონ :. სულისა ჩმისა :. საოჯად :.
სვიმონ ცაგარელი ცნობილი არ არის.

6. **ფარი,** შეღრმავებული, ხისა, ტყავ-გადაკრული შიგნით, ხოლო გარეგან შემკობილი წვრილი სპილენძის ნაჭრებით, 53,5X42 სანტ. (იხ. ფოტ. №17039).

7. რამოდენიმე **ისარი** ურთხლის ხისა, რკინის წვერებით.

8. დ. ბაქრაძეს უნახავს აქ სახარება, რომელსაც ასე აღვიწერს: სახარება ეტრატის, ხუცურად ნაწერი. თავები დალაგებულია საეკლესიო საკითხავების რიგით; სინესტისაგან ის შემპალია (გვ. 82). ეხლა სახარება აღარ მოიპოვება ეკლესიაში.

9. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილის ვერცხლისა, 14 X11 სანტ. მაცხოვარი წელსზევითია, წარწერით სახელისა ბერძნულად. აშიები შემკობილია მრგვალი წრეებით და ფოლაქოვანი ორნამენტით. ხელობა ტლანქია.

10. **ხატი წ-ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 18X8 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით, შუბით და ფარით ჩვეულებრივად და წარწერით: წ-ი გ-ი. ხელობა ტლანქია.

11. სამი წელსზევითი **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, 14X11, 11X9,5 11,5X9,5 სანტ. ყველა ვერცხლისაა, ნაჭედი, მაგრამ დაბალი და გვიანი ხელობისა.

12. **ხატი მთავარ ანგელოზთა,** ვერცხლისა, მოყვითლული, 15X12 სანტ. ლამაზი ხელობისა; აშიები მოძარცული აქვს, გარდა მარჯვენა ნაწილისა; მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ლაბარუმით და ბურთით.

13. **კონდაკი,** დაწერილი ეტრატის გრაგნილზე, რომლის სიგრძე არის 2 მეტრი და 21 სანტ. ნუსხა ხუცურის ხელით, არა უგვიანეს მე-15-16 საუკუნისა.

ვერცხლეულობა მაცხოვარიშის ეკლესიისა. მაცხოვარიშის ეკლესიას დიდ ძალი ვერცხლეულობა მოეპოვება, რომელიც ინახება კოშკში. მოგვყავს აქ მათი აღნუსხვა და წარწერანი:

14. **სურა,** ვერცხლისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ნახევარი სურისა, რომელსაც იხსენიებს ს. სტოიანოვი (გვ. 390), ყველაზე უფრო საყურადღებოა თავის სილამაზით (იხ. ფოტ. №17041), მისი სიმაღლე 35,5 სანტ. დიამეტრი ფართო ნაწილში – 29 სანტ. ყელი საკმაოდ ვიწროა; ძირი არა აქვს მაინც ფართო და შესდგება ხუთი ზოლისაგან: მუცელი ფართოა, ზემოდ თანთადან ვიწროვდება და მთელი ტანით დაყოფილია მსხალის მსგავს ფიგურებით და შემკობილია ლამაზად ფურცლოვანის ორნამენტით. ეს ყოფილა საკუთრება ორი კაცისა და რაკი გაყოფაზე სხვაფრივ ვერ შეთანხმებულან, გაუჭრიათ შუაში და ეხლა დაცულია მხოლოდ ნახევარი; ქვემოდ ფსკერზე სურას ჰქონია მხედრული წარწერა, რომლის ნახევარი იკითხება ასე:

ქ : ჱი ღ˙თაებ . . . და ჩემმან :. ძმის წულმან კაციამ :. და :.

მისმან :. ძმებმა . შემოგწირეთ სურა . . .

წარწერა მე-17 საუკუნის უნდა იყოს ხელის მიხედვით, ხოლო თვით სურა, ჩვენის აზრით, უფრო ძველია, ქართული ხელობისა. კაცია, წარწერაში მოხსენებული, შეიძლება იყოს კაცია ჩიქოვანი, გიორგი ლიპარტიანის შვილი, რომელიც დადიანად გახდა.

15. დიდი **ბარქაში** ვერცხლისა, რომლის დიამეტრი უდრის 34 სანტიმეტრს. ძირი მისი გარედან შემკობილია მხედრულის წარწერით:

ქ : ჱი : საშინელო : მაცხოვარო : წალენჯიხისაო : შე-
მოგწირეთ : ბარქაში :. ესე :. ჩვენ :. დადიანმან :. პატ-
რონმან : ლევან : ამ :. სოფლისა : ჩვენდა : სადღეგრძე-
ლოდ : და : გასამარჯვებლად : მაგ : საუკუნოს : სულის :
სახსრად : და : საოხად : ლევან .

საუბარია, რასაკვირველია, ლევან მეორე დადიანზე (1657 წ.).

შუაში უწერია: ლევან. ეს წარწერა სრულიად იმ რიგად არის ამოჭრილი, როგორც ლევანი ხელს აწერდა ხელჩართულად მის მიერ გაცემულს სიგელებზე (იხ. ფოტ. წარწერისა, №17042). როგორ მოხდა იგი, წალენჯიხის ბარქაში, ლატალის საზოგადოების მაცხოვარიშის ეკლესიაში, არავინ უწყის.

16. **თასი** ვერცხლისა, რომლის დიამეტრი არის 27 სანტ. და რომელზედაც გამეორებულია წინა ბარქაშის წარწერა სრულად, ლევანის ხელის მოწერითურთ (იხ. ფოტ. №17043).

17. **თასი** ვერცხლისა, რომლის დიამეტრი არის 25 სანტ. მხედრულის წარწერით:

ქ: ეს : თასი : ბაკა : ჩიქუ(ა)ნის : არის .

ბააკა ჩიქოვანი უნდა იყოს გიორგი ლიპარტიანის შვილი, რომელიც ცნობილია მე-18 საუკ. დასაწყისში (Bros. H. G. II, 1, p. 648).

18. **თასი** ვერცხლისა, დიამეტრით 23 სანტ. მხედრულის წარწერით:

ქ :. ჩიქუანის :. ქალი :. თეთრუასი : -

19. ოთხი, ვერცხლის **თასი,** რომელთა დიამეტრი უდრი 17,5; 18; 19 და 20 სანტ. უწარწერონი.

20. ვერცხლის **ჯამი,** 17,5 სანტ. დიამეტრით, მხედრულის წარწერით:

ქ : ციცისა .

21. ასეთივე **ჯამი,** 14 სანტ. დიამეტრით, უწარწეროდ.

22. ასეთივე **ჯამი** ვერცხლისა, 15 სანტ. დიამეტრით და წარწერით (იხ. ფოტ. № 17043):

ქ :. შენ :. სამებით :. ქებულო :. და :. ერთ არსებით :.
თაყუანის :. ცემულო :. მაცხოვარო :. ლატანიასო sic :.
ჩვენ :. ცვა :. მფარავთა :. თქვენთა :. მონდობილმან :.
მეფეთ :. მეფემ :. ალექსანდრემ :. შემოგწირეს :. ჯა-
მი :. ესე :. ჩვენათ . სადღეგრძელოთ და გასამრჯუებ-
ლათ :. და ცოდვათა : ჩვენთა :. შესანდობლათ :. ამინ .

აქ მოხსენებული მეფე ალექსანდრე უნდა იყოს იმერეთის მეფე ან ალექსანდრე მესამე (1661 წ.), ან ალექსანდრე მეოთხე (1695 წ.). თუმცა შესაძლოა აქ ის კახეთის მეფე ალექსანდრე იგულისხმებოდეს, რომელმაც ასე მრავალი ზარები შესწირა სვანეთის ეკლესიებს.

23. ასეთივე ვერცხლის **ჯამი,** უწარწერო.

24. ასეთივე **ჯამი** ვერცხლისა, ხელჩართული მხედრულის წარწერით: ლევან. ეჭვს გარეშე, ეს ლევან მეორე დადიანია, ვინაიდან მისი ხელის მოწერა იმ რიგად არის, როგოც წინა ჭურჭლებზე.

25. ასეთივე **ჯამი** ვერცხლისა, 15 სანტ. დიამეტრით, უწარწერო.

26. **ჯამი** ვერცხლისა, 14,5 სანტ. დიამეტრით და მხედრული წარწერით:

ქ . მნიადორა (sic) ჯ-ნლიძის ქ-ლისა.

27. **ჯამი** ვერცხლისა, 16 სანტ. დიამეტრით და მხედრული წარწერით:

ქ : გულუანის : ქალის : ხვარამზესი :.

აქ იგულისხმება გელოვანის ქალი.

28. **ჯამი** ვერცხლისა, 16 სანტ. დიამეტრით; შიგნით, ფსკერზე უზის ძვირფასი ქვა ლალი და ფურცლოვანი ორნამენტი (იხ. ფოტ. №17044). აქვს მხედრული წარწერა:

ქ :. ეჰა : ყოვლად :. დიდებულო :. მაცხოვარო : ლატა-
ლისაო : შემოგწირე :. მც(ი)რე : და . კნინი : თასი :.
ესე :. ჩვენ ჩიქუანმან : ლიპარტიანმან :. ბატონმან :. გიორგიმ :. ჩვენას :. სადღეგრძელოდ :. და : ჩემის :.
ცოდვილის :. სულის : საოხად :. და :. საცხონებლად :.

ამ წარწერაში იგულისხმება გიორგი პირველი, ლიპარტიანი, კაცია ჩიქოვანის შვილი, რომელიც სამეგრელოს მმართველი გახდა 1681 წელს, (H.G. II, 1, P. 648). ფსკერზე კიდევ აწერია: „ქ. ესე".

29. ორი ვერცხლის **ჯამი,** 14,5 სანტ. დიამეტრით თითო, უწარწერო.

30. ვერცხლის **ჯამი,** 12 სანტ. დიამეტრით; ამას ფსკერზე აქვს შემკობილებანი მსგავსად შუბების წვერებისა (იხ. ფოტ. № 17043).

31. ვერცხლის ღრმა ჯამ-ძაბრი, 9 სანტიმ. დიამეტრით, ძირი დახვრეტილი ძაბრს წარმოადგენს, მხედრული წარწერით:

ეს ძაბრი სეხნია მუსელიანის არის.

32. **კათხა** ვერცხლისა 7,5 სანტ. დიამეტრით.

33. არაყის **კათხა** პატარა, ვერცხლისა, სვანურად კუანჩხუ, სახელურით, 13,5X16,5 სანტ. (იხ. ფოტ. № 17043, მარჯვნივ).

34. ვერცხლის **დოქი,** (№17044), წარწერით ფსკერზე (იხ. №17040):

ქ . ლიპარტიანი :. გიორგი .

აქ საუბარია გიორგი ლიპარტიანზე, მე-17 საუკუნისა, რომელიც თავის მამა კაცია ჩიქოვანის შემდეგ გახდა პატრონი სამეგრელოსი 1681 წელს და რომელიც მოხსენებული იყო ზემოდ №28 წარწერაში.

35. ზემო ნაწილი ვერცხლის **დოქისა,** მოოქრული სპარსულის რიგისა.

36. **ბარძიმი,** დიდი ვერცხლისა, შემკობილია ორნამენტებით (იხ. ფოტ. №17043).

37. **აზარფეშა,** დიდი ვერცხლისა, შემკობილი ორნამენტებით (იხ. ფოტ. №17043) და მხედრულის წარწერით:

ქ ეჰა :. შენ . პატიოსანო :. ჩვენო :. მცველო :. და მფარ-
ველო :. მაცხოვარო : ლატალისა :. შემოგწირეთ :. ჩვენ
ლეჩხუმის :. ბატონმა :. ლიპარტიანის :. შვილმა :. ბე-
ჟან ესე :. აზარფეშა :. ჩვენდა :. გასამარჯვებლათ.

ბეჟან ჩვენი წარწერისა არის ბეჟან პირველი, გიორგი ლიპარტიანის შვილი; ის მართლა იყო მფლობელი ლეჩხუმისა, 1715 წელს გახდა დადიანად და გარდაიცვალა 1728 წელს. (H.G. II, 1, P. 648).

38. წყვილი ვერცხლის **საყურე,** სადა, დიდრონი, ერთი ერთმანეთში გაყრილი, რომლის მსგავსი ხშირად მოიპოვება ხოლმე ოსეთის ძველ სასაფლაოებში (იხ. ფოტ. № 17045).

39. ორი თათრული ვერცხლის ფული (იხ. იქვე №17045).

40. **სადაფი,** ფეხსაცმელის მსგავსი (იხ. იქვე №17045).

41. **თოფის** წამლის **ქილები,** ანუ მასრები, ორნამენტით შემკობილნი, ვერცხლისა, ძეწკვებით (იხ.ფოტ. №17038).

42. 1864 წელს აქ დაცული ყოფილა კიდევ ვერცხლის ლახტი, შემოწირული ბეჟან რობაქიძის მიერ; ამის შესახებ მღვდელ-მონაზონი ბაქრაძე ასე მოგვითხრობს თავის აღწერილობაში; ამასვე ეკლესიაშიდ (მაცხოვარიშის) არის ლახტი ვერცხლისა ბეჟან რობაქიძისა, რომელასაც აწერია ესრეთ:

თვალად და ტანად ლამაზო, გულად ალმასო რკინაო,
რაზმის შემტევებელო, ფიცხლავ მიმსვლელო წინაო,
შეკაზმულ კაცს იჭირავ, ცხენის ფეხს გედვეს წინაო,
და ნეტარ თქუჷნ ლაშკარს წაბრძანდეთ, ვინც დაგიხვდებათ
წინაო!

მეორე ეკლესია მაცხოვარიშის სოფლისა **არის მთავარ ანგელოზთა ეკლესია,** აშენებული განცალკევებულ მაღლობზე, მაცხოვარიშის ქვემოდ, თითქმის პირდაპირ წ-ა იონას ეკლესიისა. ეს ისეთივე გეგმისაა და იმავე მასალიდან აშენებული, როგორც იონას ეკლესია და მაცხოვრისა, მაგრამ თვალსაჩინო განსხვავებაც არის; ამის საკურთხეველი გამოდის გარეთ მრავალ-წახნაგოვანად, და მასთან ეკვტერი ნაწილობრივ ჩანგრეულია; შესავალი აქვს სამხრეთით და დასავლეთით; ფანჯრები: ორი სამხრეთით და თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით; მას შერჩენილი აქვს ძველი კანკელი, სამი კამარით და საკმაოდ კარგად შენახულის ფრესკებით; ფრესკებით მოცულია აგრეთვე ყველა კედლები შიგნით ეკლესიისა, მაგრამ ძალზე გამურულნი კვამლისაგან. საკურთხეველის კონქში წარმოდგენილია მაცხოვარი მთავარ ანგელოზებითურთ; ქვემოდ, საკურთხეველის კედელზე ეკლესიის მამებია, გრაგნილებით ხელთა: წ-ა სტეფანე, წ-ჲ კირილე, წ-ჲ ნიკოლოზ, ი-ნ ოქროპირი, წ-ჲ ბასილი, წ-ჲ ეპიფანე, წ-ჲ სფირიდონ, წ-ჲ ფილიპე.

ჩრდილოეთის კედელზე: წ-ჲ დიმიტრი და წ-ჲ თ-ე.

დასავლეთის კედელზე: წ-ჲ ეკატერინე, წ-ჲ ბარბარე, იერუსალიმში შესვლა, სული წმიდის მოფენა, ჯვარცმა და სხვა.

საკურთხეველის წინ ორი დიდი ხის ჯვარია, მაგრამ სულ გაშიშვლებული; ფირფიტები მოუძარცვავთ. კანკელზე მოძარცული ხატის ფიცრები მრავალია. ერთ კუთხეში ჩვენ ვიპოვნეთ **რკინის ლახტი** ექვს-ფრთიანი.

სოფელი ლაჰილი.

ამ სოფლის სახეები იხ. ფოტგრაფიებზე №17444-17446, ხოლო გუნდი აქ მცხოვრებ სვანებისა №17527.

ამ სოფელში სულ პატარა ეკლესია არის, ქვისა, **წმიდის გიორგის** სახელობისა. შესავალი ერთი აქვს, დასავლეთიდან. ამ დასავლეთის მხრით მიშენებული აქვს პატარა ხის ოთახი, ეკვტერის მსგავსად. კანკელი ძველია, ქვისა, სამის კამარით და ერთის შესავალით. ფანჯარა თითო: აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. ეკლესიაში დაგროვილია ხატები და ჯვრები სამი დანგრეული და გაუქმებული ეკლესიიდან; ამათ შორის ერთი ეკლესია ყოფილა მაცხოვრისა და მეორე ღვთის მშობლისა; ესენი თვით სოფელშია და ერთი მთავარ ანგელოზთა ნასოფლარ მუჰერში (მუჰერი), მაღალ მთაზე, ლაჰილის ზემოდ. ეკლესიაში ინახება:

1. **ჯვარი** დიდი, კანკელის წინ დამყარებული, შეძერწილი ოქროთი დაფერილის ფირფიტებით, რომელზედაც ბევრი მედალიონებია წმიდათა სახეებისა, ღვთის მშობლისა, მთავრ ანგელოზთა და სხვათა და შემკობილია წერტილოვანი ორნამენტით (იხ. ფოტ. №17050). მე-17-18 საუკ. უნდა იყოს.

2. ორი სრულიად ერთგვარი **ჯვარი,** კანკელის წინ დასადგმელი, ერთი 89X 51 სანტ. მეორე 81X54 სანტ. ორივე შეძერწილია მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით და შემკობილია მრგვალი მედალიონებით წმიდათა, ღვთის მშობლისა ძითურთ და სხვათა; ხელობა ისეთია, როგორც წინა ჯვარის (იხ. ფოტ. №№17055-17056).

3. **ჯვარი გამოსასვენებელი,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, მაგრამ ეხლა გატეხილია და შეკრული იმ ადგილას, სადაც ჯვარცმაა შუაში გამოხატული; მარცხენა ფრთაზე ღვთის მშობელი წარწერით: დ-და ღ-თისა, და მარჯვენა ფრთაზე: წ-ჲ ი-ნე მ-ბლი (მახარობელი); ზემოდ მიქელ მთავარ ანგელოზი: მ-ქლ მ-თ. ქვემოდ წ-ჲ გ-ი, ბურთი ანუ ვაშლი, რომელზედაც ჯვარია დამყარებული, შემკობილია რომბებით და ფოლაქოვანი ორნამენტით (იხ. ფოტ. №17053). მეორე გვერდზე ლამაზი ხლართულების ორნამენტია, სადა მედალიონებით (იხ. ფოტ. №17054). ხეტარზე, რომელიც ვერცხლითაა შემოსილი, სწერია ასომთავრულით:

ქ : მცხვარო ლა-ლ-სო აშენე : ჴევი : მაშნბელნი და
შმმწჲრველნი : რომელთა შამკეს : ტარი : წჲდაი : შეი
(?) : და : გიჴსენ : განსცდელთგნ :. მოიჭ-და : ტაიბღის :
ხკანისასა .

უქარაგმოდ:

მაცხოვარო ლაჰილისაო, აშენე ჴევი, მაშენებელნი და შემომწირველნი, რომელთა შეამკეს ტარი წმიდა შენი და გვიჴსენ განსაცდელთაგან. მოიჭედა ტაიბაღის (ანუ ტაიბუღის) ხაკანისასა.

ჯვარი მე-15 საუკ. უნდა იყოს.

4. **ჯვარი** ხისა, 54X34 სანტ. შეძერწილი ვერცხლის ფირფიტებით; ტლანქი ხელობისა, სანახევროდ მოძარცულია.

5. **ხატი წ-ა დიმიტრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 27X19 სანტ. წარწერით „დრობნიცებში“: წ-Ჲ დ-ტრი. წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით, რომაულ ტანისამოსით, გრძელის მოსასხამით; მარჯვენა ხელში შუბი აქვს, მარცხენა დაუდვია მოგრძო, ლამაზად მოჩუქურთმებულ ფარზე. ეზო და აშიები ბალახოვანი ორნამენტით არის შემკობილი და სადა მრგვალი მედალიონებით. ქვემოდ ცოტა დაზიანებულია.

ორიგინალური მხარე ამ ხატისა არის თავი წმიდა დიმიტრისა, რომელიც ჩვენ პირველად გვხვდება საქართველოში. ეს თავი ბროლისა არის, ბერძნულ-რომაულის რიგისა, და ერთ-ერთი მათი ღვთაების თავის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. აქ კი ეს თავი ხელოვნურად და ოსტატურად ჩასმულია ნიმბში და ისე გაერთიანებულია ყელთან, რომ ადვილად ვერ შეამჩნევთ, რომ ეს ხატთან ერთად მთელს ერთ ქმნილებას არ წარმოადგენს. პირის სახე ამისი მრგვალია, თვალები დიდი, თმა ტალღოვანი, გაყოფილი შუაში. ეს განცალკევებული თავი არაფრით შეერთებული ან დამაგრებული არ არის ხატის ნაწილთან, ასე რომ ადვილად შეგიძლიათ გამოიღოთ და შემდეგ ჩასვათ თავის ადგილზე (იხ. ფოტ. №17049). ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-14 საუკ.

6. **ხატი მთავარ ანგელოზის გაბრიელისა,** ოქროსი, ნაჭედი, 30X23 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, რომაული საომარი ტანისამოსით, მაგრამ ფრთებით; მარჯვენა ხელში უკავია ამოწვდილი ხმალი; მარცხენა ხელი დაზიანებულია, მაგრამ ეტყობა, ის ხმლის ქარქაშზე ედვა; წრე თავის შემკობილია ექვსი ძვირფასი ქვით; სხვა შვიდ ძვირფას ქვათა შორის, რომელნიც ამ ხატზე მოიპოვება, ორი ბეჭდის თვალია (კამეი), ერთი ჯვრებით არის შემკობილი და ერთიც ქვემოდ მუსულმანურის წარწერით. ზემო და ქვემო აშიები შემკობილი ყოფილა ბროწეულის ყვავილების ორნამენტებით, მაგრამ ქვემო აშია მოშლილია, და ფირფიტების ქვემოდ ცვილის სარჩული მოსჩანს. ეზო ხატისა და მარჯვენა აშიები ბალახოვანის ორნამენტებით არის შემკობილი. ფრთების ზემოდ, ორივე მხარეს, არის წარწერა სახელისა: წ-Ჲ მთ-ვრნგლზი (იხ. ფოტ. №17047); ზურგი ხატისა ოქროთი დაფერილი ვერცხლისაა, შემკობილი ლამაზი ხლართულებით კუთხეებში, ხოლო შუაში, ჯვარის გამოსახულების ირგვლივ, წარწერა დიდრონის ასომთავრულით (იხ. ფოტ. №17048).

ქ წო :. მთ-ვრნ
გელოზო :.
მჯხერ-სო :. ჴელთჯ
ქმარო :. ადიდენ :. მე
ფენი :. ბაგრტონიანნი ; დადიანი :. და
დიდებჯლნი :. და ერ
თობლი :. საქრთელო :. და :. ერთობლნი :. სან
ნი და ჴევი :. ლატალისა :. და აღაშენე :. მა
შენებელი (sic) :. შენი :. სოფელი :. ლაილისა :.
და : ყვლნი :. მადიდებელნი :.

შენნი :. ამნ:.
მე :. მამსახლისსა :. ც
ოდვლსა :. და დეკნ
ოზა :. აბრამს :. შეჯნ
დევნ :. ღნ :. :.

წმიდაო მთავარ ან-
გელოზო
მუხერისაო, ჴელთ-
უქმარო, ადიდენ მე-
ფენი ბაგრატონიანნი, დადიანი და
დიდებულნი და ერ-
თობილი საქართველო და ერთობილნი სან-
ნი და ჴევი ლატალისა და აღაშენე მა-
შენებელი შენი სოფელი ლაილისა
და ყოველნი მადიდებელნი
შენნი, ამინ.
მე მამასახლისსა ცოდ-
ვილსა და დეკანო-
ზ(ს)ა აბრამს შემინ-
დევინ ღმერთმან.

ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-13-14 საუკუნეს. დ. ბაქრაძე მას აკუთვნებს მე-10-11 საუკუნეს (გვ. 86087). საკვირველია, რომ სხვა წარწერებს და ნივთებს ამ ეკლესიისა ის სრულიად არ ეხება; უვაროვისას და ა. ხახანაშვილს ეს ეკლესია არ უნახავთ სრულიად.

7. **ხატი წ-ა ანასი,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა. ნაჭედი, 53X40 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით, მარჯვენა ხელში ჯვარი უჭირავს; მარცხენა, ვედრების სახით, გულზე აქვს გაშლილი; თავის წრე დიდია; მის აქეთ-იქით წარწერა სახელისა: წ-Ა ა-ნა. არე ხატისა ვენახის ყლორტების მსგავსად არის შემკობილი; აშიები რომბ-ლურსმულია, ლამაზი, მრგვალი მედალიონებით წმიდათა; წარწერა სახელებისა ყველას აქვს; ზემოდ მაცხოვარია და მთავარ ანგელოზნი; აქეთ-იქით: პეტრე და პავლე. ქვემოდ: ქ-ა ბასილი, წ-ა კირილე და წ-ა კვირიკე (იხ. №17046). ხელობა საკმაოდ კარგია, მე-15-16 საუკუნისა.

8. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 21X17 სანტ. მაცხოვარი ტახტოსანია, ჩვეულებრივის სახით; წარწერა სახელისა ქართულ-ბერძნული, შერეული ასოებით. აშია ჭადრაკული. რომბებით, ორ-ფოლაქოვან წრეს შუა, ლამაზი, მე-16-17 საუკუნის უნდა იყოს (იხ. ფოტ. 17051).

9. **ხატი მიქელ მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 19X16 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ბიზანტიურ სამეფო ტანისამოსში, ლაბარუმით მარჯვენა ხელში. მარცხენა მხარე მოშლილია (იხ. №17951). აშიები რომბ-ლურსმულია. მე-17 საუკუნის უნდა იყოს. ქვემოდ, ძლივს შესამჩნევი წარწერა აქვს:

წ-ო მქ	წმიდაო მიქელ,
შმწლ	შემიწყალე
ქუჩმ	ქუჩ-
ოი ოქრ	მოი ოქრო-
მჭდ	მჭედ(ელი).

10. **ხატი ჯვარცმისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 16,5X13 სანტ. დაზიანებულია ნამეტნავად ჯვარცმის ფიგურა; წინამდგომნი უკეთ არიან დაცულნი; აშია ფოლაქოვანია; ხელობა ერთობ ტლანქია, მე-18-19 საუკუნისა (იხ. №17052).

11. პატარა **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, 12X10 სანტ. ყოფილა წამლით დახატული; მხატვრობა სულ მოშლილია. ღვთის მშობელი წელსზევითი ყოფილა ძითურთ. აშიები ლამაზი ხელობის არის; მარჯვენა ნაწილი მოძარცულია; მაცხოვრის სახე კიდევ მოსჩანს (№17052).

12. **ხატი ღვთის მშობლისა,** ვერცხლისა, ნაჭდი, 33X17 სანტ. ქვემოდ აშიაზე წ-ა გიორგია და წ-ა თეოდორე; ტლანქი ხელობისა არის.

13. რამდენიმე **ბეჭედი** სხვა და სხვა სახისა, ერთ მათგანზე მხედრულად აწერია: „მათე“.

14. **სამაჯური,** მწვანე მინისა, რომელ გვარიც იპოება ხშირად ძველ სასაფლაოებში; ალბათ იქიდან არის ამოღებული.

15. **სამაჯური სპილენძისა,** აგრეთვე ძველი სასაფლაოდან უნდა იყოს ამოღებული.

16. **დოქი,** ჭურის ანუ ქვევრის მსგავსი, სპილენძისა, ლამაზად შემკობილი გრავიურით, აღმოსავლური ხლართულებით. ვიპოვნეთ ნაგავში, კუთხეში მიგდებული. დიდათ გაჭუჭყიანებული და გასვრილი; რაც შეგვეძლო, გავსწმინდეთ და ეს სურათები გადმოვიღეთ (იხ. ფოტ. №№17057 -117058).

17. **სახარება,** უცნობი ლიტერატურაში, ეტრატზე დაწერილი ნუსხა ხუცურით, 25X17 სანტ. ხის ტყავ-გადაკრულ ყდაში, რომლის ზემოდ ოქროთი დაფერილი ვერცხლის ფურცელია ზედ ნაჭედი ფიგურებით. პირველ გვერდზე წარმოდგენილია ჯვარცმა, წინამდგომებითურთ, ღვთის მშობლით და იოანეთი. ფირფიტა საზოგადოთ დაბალი ხელობის არის და მასთან დაზიანებული; პირის სახე ჯვარცმულისა და ღვთის მშობლისა მოშლილია; ზემოდ და ქვემოდ ჯვარცმის კომპოზიციისა ეხლა დარჩენილია ორ-ორი მედალიონი კუთხეში; შუა მედალიონები აღარ არის. ზემოდ ყოფილა ვედრება, მაგრამ მაცხოვარი შუაში აღარ დარჩენილა; შენახულია ღვთის მშობელი და იოანე; ქვემოდ მახარობლებია; შუა აკლია. ყდა შემკობილია ძვირფასი ქვებით, მაგრამ ბევრი აკლია (იხ. ფოტ. №17020). მეორე გვერდზე ყდისა, შუაში, ღვთის მშობელია ჩჩვილედი, წელსზევითი, ბერძნულის

წარწერით სახელისა. ზემოდ აქაც ვედრება ყოფილა, მაგრამ მაცხოვარი არ შენახულა. ქვემოდ იქაც იგივე მახარობლები, მაგრამ შუანა აკლია (იხ. ფოტ. №17021). ეს ყდა მე-15-16 საუკუნის უნდა იყოს.

თვით ტექსტი სახარებისა ნუსხა ხუცურით ნაწერი უფრო ძველია მე-13-14 საუკუნისა. ტექსტი იწყება ევსების წერილით კარპიანესთან: „ევსები კარპიანეს საყვარელსა ძმასა ღ-ისა მ-რ გითხავ“ (sic). თითოეული სახარების წინ სათვალავია თავებისა; ბოლოში დღიური საკითხავების მაჩვენებელია. სულ ხელნაწერში 23 რვეულია; რვეულში 8 ფურცელი. მარკოზის სახარების ბოლოს, ტექსტის ხელით სწერია:

წ : სხელითა ღ-ისაჲთა / აღდგომისა ეკლესიასა შ-ა წ-ე
საფლ-ვს ქ-სა : მე ც-დვლმ-ნ : და უმეცარ / მ-ნ და
უცბად მჩხრეკლ/მ-ნ : ი-ნე ქსცხიანისა შვი/მ-ნ : ჴ-ლ
ნაკლულმ-ნ გ-გლ : ჴ-ლვყ-ვ აღწერად წ-თა ამ-თ ოთ/-
თვ-თა : და შევსწირე/ სუანეთს : წ-ა მთ ვრა/ნგლზსა :
მუხერისა : ვი/ნცა და რამ-ნცა კ-ცმ/მნ : და / რჲთცა
ს-ქმითა გ-მოაჴ/უას : ჰრისხავსმცა/მამა ძე და ს-ლი წ-ჲ :
და /კ-ნსცა ქუწშე არს/ვ-რ იჴმარებდეთ : მე /და მ-მა
ჩ-ი ი-ნე : და დედაჲ / ირინე (?) მოგჴჴსენენ : რ-ა /
თ-ქნცა მოგიჴსენ-ს ღ-ნ ს-სფლსა მისსა ა-ნ : კუამლისგ-ნ
შეინახეთ ღამე . .... ნუ ვინ მიუშვებთ .
ფხტითერისა დეკანოზისა / ჴ-ლითა გ-მომიგზ-ვნია მ-სცა
შ-ნ ღ-ნ . ტილოს შ-ა შემიკრა/ვს : ჩ-მო ძმაო მ-ქლ
შ-ნდა სასუდ რედ დაიმჭირე :.

უქარაგმოდ:

წ. სახელითა ღმრთისაჲთა აღდგომისა ეკლესიასა შინა, წინაშე საფლავისა ქრისტესსა, მე ცოდვილმან და უცბად მჩხრეკელმან იოანე ქსცხიანისა-შვილმან, ჴელ ნაკლულმან, გრიგოლ ჴელ ვყავ აღწერად წმიდათა ამათ ოთხთავთა და შევსწირე სუანეთს წმიდასა მთავარანგელოზსა მუხერისა. ვინცა და რამანცა კაცმან და რაჲთამცა საქმითა გამოაჴუას, ჰრისხავსმცა მამა, ძე და სული წმიდაჲ, და კანონსაცა ქუწშე არს. ვითარ იჴმარებდეთ, მე და მამა ჩემი იოანე და დედაჲ ირინე მოგჴჴსენენ, რათა თქუწნცა მოგიჴსენოს ღმერთმან სასუფველსა მისსა, ამინ. კუამლისაგან შეინახეთ, ღამე სანთელსა[1] ნუ ვინ მიუშვებთ.

ფხტითერისა[2] დეკანოზისა ჴელითა გამომიგზავნია, მასცა შეუნდვენ ღმერთმან. ტილოსა შინა შემიკრავს, ჩემო ძმაო მიქელ, შენდა სასუდრედ დაიმჭირე.

მამა ბაქრაძე თავის 1864 წ. აღწერილობაში ამ სახარების შესახებ სწერს: სახარება ოქროთი მოჭედილი, რომელიცა შეუწირავს მუხერის მთავარ ანგელოზის ეკლესიისათვის იონე ქარცხიანნის (sic) ძესა გრიგოლს.

ეჭვს გარეშეა, გადამწერი სახარებისა გრიგოლ სვანი ყოფილა, მუხერის სოფლიდან და სახარება მას გადაუწერია იერუსალიმში, ქრისტეს აღდგომის ეკლესიაში და გამოუგზავნია ფხტითერის დეკანოზის ხელით, ცხადია აგრეთვე სვანის. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ სვანებსაც, როგორც სხვა ქართველებს, ხშირი მიმოსვლა და კავშირი ჰქონიათ იერუსალიმთან და სხვა წმიდა ადგილებთან. ყურადღების ღირსია, რომ ჩვეულება ეკვტერებში ცეცხლის დანთებისა, საიდანაც

კვამლი შედიოდა ეკლესიაში და ფრესკებს და ნივთებს აფუჭებდა, ძველ დროშიც ადათად ჰქონია სვანებს.

არა ტექსტის ხელით მინაწერთა შორის ერთი დაწერილია ხუცურად; ნიშნებს ჩვენ ვუმატებთ, სხვა უცვლელად მოგვყავს:

სახელითა ღ-ჲთა მ-მისა ძისა და სლისა წი-საჲთა მ-ცხრი-
სა ლაჰილისათ-ს შემიწირავს ქუ[2]მო პუშარს ერთი ყანაჲ
მე ლაზარე შაურეგიანმან და ჩემმან მეუღლემან მარინა
ჩ-ნისა ს-ლისათ-ს შეგჳწირავს. აწ ჩემითა პირითა ესრე
დამისკუნია : ვისცა მაცხოვრისა კლიტე ჰქონდეს, იგი-
ცა ყანაჲ მ-ს ჰქონდეს . ლაზარეს აღადგინებასა დღესა
ჩემი აღაპი ჰქენით . რაჲზომცა ლაიჰილს ხუცესი იყოს,
ყუ[2]ლამან ჟამი მიწირეთ და სული ჩუენი ღმერთსა და
მაცხოვარსა ლაჰილისა შეჰვედრეთ. და მასპინძელი, ვის-
ცა კლიტე ჰქონდეს, იგი იყოს. ჩემისა სახელისა ერთი
კაცი, ვინცა უხუცესი იყოს, იგიცა დაიხუ[2]დრეთ . . რო-
მერლმანცა კაცმან ჩუენთჳს შენდობაჲ ბრძანოთ, ღ-ნ
თქუენცა შეგინდოს ა-ნ. რომელმანცა კაცმან ესე ესრე
გამითაოს, კურთხეულმცა არს იგი კაცი ქ-ეს პირითა,
რომელმან ესე შეშალოს, კრულმცა იგი კაცი ქ-ს პირითა.

სხვა წარწერები მხედრულის ხელით არის შესრულებულ და ყველა ეხება საზოგადოებათა ხელშეკრულობას საერთო მოქმედების შესახებ მტერთა წინააღმდეგ. მომყავს ორი წარწერა უცვლელად:

ქ : მაცხოვრისა ლაილისა მთავარანგელოზისა მოხერისა
თავსმდებობითა და შოვამდგომლობითა დავსწერეთ და
დავდევით დაწერილი ესე ჩ-ენ ერთობილთა ლაილელთა
დიდმან და მცირემან ყ-ელამან ერთმანეთისა ნდომითა
და დამოწმებითა მტკიცე და უქცეველი ყოვლისა მიზე-
ზისაგან უმიზეზი მას ჯამსა უდეს ჩ-ენ შიგან დაშლით
ვიყვენით იგი ჰავად მოგ(ვ)იჴდა. მერმე გავიგონეთ და
დავამტკიცეთ ეს ერთი ლაჰილისი საქმე ამა პირსა ზედა
თავად თუ ერთობილს სვსიმათოდ წამგკიდოს და მერმე

---

1 ეს სიტყვა აზრით მოგვყავს, დედანში წაშლილია.

2 ამაში უნდა იგულისხმებოდეს ეხლანდელი სოფელი ფხოტრერი ეწერის თემისა, სადადეშკელიანო სვანეთში.

ერთს და ანუ ურს ვინგინდა იყოს ანუ ერთი კაცი იყოს
და ანუ ქ-ეყანაი იყოს ვინ გინდა ლაჰილელი კაცი იყოს
საჰაოდ და სამაჯნდ არ გაუსცეთ იგი კაცი ერთობილმან
გურეთად უშელოთ: მისთა პირობითა არ გავეყაროთ
არას კაცის გლისი არას ქრთამისათუის არას მიტირვე-
ბისათუის არ გავეყაროთ სხუებრ საერთოი ლაჰილისა

საქმესა ზედა რითაც საქმითა იყოს ფათარაკსა შიგან
ჩიტრეს გინდა ერთი იყოს გინდა ური იყოს მაშინც
მაცხოვარი და მთავარ ანგელოზი არის პირი და პასოხის
გამცემი. ვისცა გარეგანისა კაცისა მოჴმარებაი გამოვა-
ჩინ(ე)თ ანუ იდამალ ანუ ცხადად ანუ მთისა და ანუ
ბრისა ანუ რაიცა უკესი ყანაი ედგას ამა კაცსა პატივად
დამიც მთავარანგელოზისთუის შემოგიწიროს.

სახელითა ღ-საითა მამისა ძისა და სილისა წმიდისაითა
თავსდებობითა და შუამდგომელობითა მოხურისა მთა-
ვარანგელოზისაითა დავწერეთ დაწერილი ესე მტკიცე და
უქცეველი ჩუენ ერთობილთა ლაჰილელთა მას ჟამსა
უდეს მოგინდა ერთმანეთისა ნდომითა და დამოწმე-
ბითა ვამტკიცეთ ჩუენი საქმე ამა პირსა ზედა ჰვითა კაც-
თა ჰავად ქნაი მოგეწყინა რაი შინით ხასტაგი წავასხათ
და ლაყელ ზე შეიაროს და ცხენისა პარვითა გინდა ხას-
ტაგისა პარვითა მალვით რაიცა კაცისაგან დაეკლების
რაი გინდა გამოჩნდეს ჩუენ დავაურვებინოთ. ნახევარი
პატრონსა იმას, ნახევარი ერთობილთა ლაჰილელთა იყოს
ამა ქვეყნის მპარავი ვინც არ გაცხადოს ერჲ ჴარი წაო-
ღოთ . . . ერთობილთა დიდთა და მცირესთა და უმცროს-
თა დამტკიცებული მოშალოს. . . (შემდეგ წყევლაა, ვინც
მოშლის პირობას, იმის წინააღმდეგ).

18. მამა ბაქრაძე თავის აღწერაში შენიშნავს შემდეგს: ეკლესია მაცხოვარისა მუნვე ლაილს გაუქმებულ არს. აქ არს წიგნი მცირე ფურცლით, გეონ მდინარის მოთხრობა, რომელიც მიდის ის მდინარე ინდოეთში.

სოფელი ლახუშტი.

სოფელი ლახუშტის მდებარეობა, სახე და მწვერვალი უშბას მქრალი გამოსახულება იხ. ფოტ. №№17448-17449. ჯგუფი ამ სოფლის სვანთა: ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა იხ. ფოტ. №17526. ამ სოფლის ეკლესია მაცხოვრისა ახალია, მაგრამ მასში ინახება საკმაოდ ბევრი ხატი, თუმცა, სამწუხაროდ, გაფუჭებული და გაძარცული.

1. **ჯვარი** გამოსასვენებელი, მოოქრული ვერცხლისა, ნაჭედი, დამყარებულია ხეტარზე; ხეტარი ვერცხლითაა შეძერწილი, ახლავს ბურთები და ორნამენტი; 39X29 სანტ. ბოლოები ჯვარისა მრგვალია და მათში წმიდათა მედალიონებია მოქცეული, შუაში ჯვარცმაა; ჯვარცმულის ქვეშ ადამის თავი ისეა წარმოდგენილი, როგორც ცოცხალი; წარწერა ჯვარს აქვს ზემოდ შერეული ქართულ-ბერძნული ასოებით. მთელი არე ჯვარისა საცერის მსგავსი ორნამენტითაა შემკობილი. მარჯვნივ და

მარცხნივ მედალიონებში ღვთის მშობელი და იოანე ღვთის მეტყველია; ზემოდ მაცხოვარი: ქვემოდ: წ̄ი გ̄ გი. ჯვარს უზის ოთხი ძვირფასი ქვა (იხ. №17064).

ზურგზე ჯვარისა მედალიონებში წარმოდგენილნი არიან: შუაში ღვთის მშობელი, ზემოდ და ქვემოდ მთავარ ანგელოზნი; აქეთ-იქით მახარობელნი; ზევიდან ქვემოდ, მთელს ჯვარზე წარწერა არის დიდრონის ასომთავრულით (იხ. №17065):

ქ ძელ :. ც	ძელო
ხორ	ცხორე-
ბ̄სავ :.	ბისავ,
შეუ	შეუნ-
დვნ :	დვენ
ცდვ	ცოდვა
ნ მსნ :.	ნი მისნი
ადს :. კ	ადს კა-
:. ხანს და მს	ხიანს (?) და მის
მუღ	მეუღ-
ლსა	ლესა
ნთლს .	ნათელს.

ძნელი სათქმელია, როგორ უნდა წავიკითხოთ ჯგუფი: „ადს“ : კხანს“, – „ადს კახანს“, თუ „ადამს კახიანს“, თუ სხვა. ჯვარი მე-15-16 საუკუნის უნდა იყოს. ნიშნებად წარწერაში სამი ვერტიკალური წერტილია.

2. **ჯვარი** დიდი, ხისა, კანკელის წინ დასადგმელი, 92X47 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც წარმოდგენილნი არიან წმიდათა ფიგურები: ზემოდ მაცხოვარი ტახტოსანი; ქვემოდ ღვთის მშობელი ჩჩვილედი, ბერძნულის წარწერით სახელისა. მას ზემოდ წ̄ა გიორგი, სრულის ტანით; ამას ზემოდ: მოციქული; მარცხენა ფრთაზე ღვთის მშობელი ჩჩვილედი; მარჯვენაზე მთავარ-ანგელოზი; შუაში: შემკობილი უმბო (იხილე №17068 და 12069).

3. **ჯვარი** ხისა, 39X18 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით და მათზე წარმოდგენილ წმიდათა სახეებით (იხ. 17066). ზემოდ არის ჯვარცმა; ქვემო მკლავზე სამ-სამი ფიგურა, მარჯვნივ და მარცხნივ თითო; სახელები არ აწერია; შემკობილობა არეთა რომბ-ლურსმულია და ფოლაქოვანი. მე-16-17 საუკუნის უნდა იყოს.

4. **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 48X37 სანტ. ღვთის მშობელი წარმოდგენილია გამობერვით, ძითურთ, მთელის ტანით; ტანისამოსი ერთობ ხშირად და ღრმად დანაოჭებულია; წარწერა სახელისა „დრობნიცებში“ ბერძნულია და ისიც შეცდომით. არე ხატისა ფურცლოვანის ორნამენტით არის შემკობილი; აშიები რომბ-ლურსმული, წმიდათა მედალიონებით, რომელნიც ასე არიან განაწილებულნი: მარჯვნივ, ზემოდ და ქვემოდ კუთხეებში ვედრებისა ღვთის მშობელი; შუაში, აგრეთვე ზემოდ და ქვემოდ: მთავარ ანგელოზნი; მარცხნივ კუთხეებში, ზემოდ და ქვემოდ წ̄ა გიორგი, სრულის ტანით, ხოლო შუაში, მარჯვენა და მარცხენა აშიებზე წ-ა დიმიტრი, სრულის ტანით (იხ. №71062 და 17069); აშიები

უკეთესი ხელობისაა, ვიდრე თვით ხატი, რომელიც მე-16-17 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

5. **ხატი** დიდი, **ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, 90X62 სანტ. ოქროთი დაფერილი მორთულობით; თვით სახეები წამლით დახატული დაზარალებულია (იხ. №17059). აშიები და ნიმბი თხელი ბასმისაა, შემკობილი მქრთალი გამოსახულობით წმიდათა, მდარეა. წარწერა სახელების ხუცურია, მაგრამ გადმობრუნებული ასოებით. წ-ა პეტრეს სახე: პ-ე, სამჯერ არის გამეორებული. ქვემოდ ეტყობა ნაშთი წარწერისა; მე-18 საუკუნის უნდა იყოს.

6. **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, 81X51 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, რომელიც სრულიად გამქრალია; მორთულობა ოქროთი დაფერილი ვერცხლისაა, მაგრამ დარჩენილია მხოლოდ ზემო ნაწილი აშიებითურთ (იხ. №17061). ნიმბი ბალახოვანი ორნამენტით არის შემკობილი; აშიები რომბ-ლურსმულია სამი მედალიონით ზემოდ, მაცხოვრისა და მთავარ ანგელოზთა, მდარე ხელობისა, მე-16-17 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს. წარწერა სახელისა ბერძნულია.

7. **ხატი ღვთის მშობლისა,** ყოფილა წამლით დახატული, რომელიც გამქრალია, 26X119 სანტ. მოცულობა ოქროსი ლამაზი ხელობისა, მე-12-13 საუკუნისა (იხ. № 17066). წარწერა სახელისა ბერძნულია; აშიებზე ყოფილა წარმოდგენილი ბევრი წმიდათა ფიგურები, აგრეთვე წამლებიანი; მოსჩანს ნაშთები 11 წმიდანისა, წარწერებით: წ-ჲ მაკარი, წ-ჲ ონოფრე, ი-ე დამასკელი, წ-ჲ თევდორე, წ-ჲ ჯ-ე (ჯერასიმე); ქვემოდ ყოფილა წარწერა; დაცულია ნახევარი, მარცხენა ნაწილი:

: ქ : წ-ო გ-ე (sic)	წმიდაო გევედრები (?)
მფალ ექმენ დ	მფარველ ექმენ დ. . .

8. **ხატი მაცხოვრისა,** 84X59 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, რომელიც ეხლა გამქრალია; მორთულობა ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ესე იგი დიდი ნიმბი და აშიები, ყველა რომბ-ლურსმული ორნამენტით შემკობილი, დაცულია (იხ. №17060). მე-16-17 საუკ. უნდა იყოს.

9. **ხატი,** პატარა, **ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა; წინა პირი ერთობ დაზიანებულია; ზურგზე დაცულია წარწერა (იხ. №17066):

ქ : დედაო : ღთსაო : მე	დედაო ღმრთისაო, მე-
ოხ : მექმენ : დღს :	ოხ მექმენ დღეს
განკთხვსას	განკითხვისას
წ-ე : ძი	წინაშე ძი-
სა : შენსა : მამ	სა შენისა მამ-
კობსა : ხ-ტსა : შე	კობსა ხატისა შე-
ნსა : სასა : მ-ნსა : შ	ნისა სასა(ს), მონასა
ენსა :	შენსა.

საკუთარი სახელი რჩება „სასა“; რომ ამას ქარაგმა ჰქონდეს, შეიძლებოდა წაგვეკითხა ”სასანსა“.

10. **ხატი კარედი ღვთის მშობლისა,** 38X28 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, რომელიც ეხლა გამქრალია; მოცულობა ოქროსი, კარგი ქართული ხელობისა, მე-12-13 საუკ. ნაწილობრივ დაცულია (იხ. №17070). კარებზე გარედან ყოფილა სურათები მთავარ ანგელოზთა; შიგნით, შუაში, ღვთის მშობელი ჩჩვილედი; მათი ნიმბები შემკობილია მარგალიტებით და სხვა ძვირფასი ქვებით. კარებზე, შიგნით, ზემოდ ორივეზე მთავარ ანგელოზებია; ქვემოდ: წ¯ა ქალწულნი, ჯვრებით ხელთა და გვირგვინებით თავზე.

11. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, 48X36 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ ეხლა გაფუჭებულია; მოცულობა ოქროთი დაწერილი ვერცხლისა, ესე იგი, ნიმბები და მარცხენა აშია საუცხოო ნახელავია, მე-12-13 საუკ. (იხ. №17071). წარწერა ასომთავრულით: დ¯დი ღ¯თი. ნიმბები შემკობილია ძვირფასი ქვებით.

12. **ხატი ღვთის მშობლისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 20X15 სანტ. ღვთის მშობელი წელსზევითია, ვედრების სახით. წარწერა: დ¯დ ღ¯ს. აშიები რომბ-ლურსმულია, ფოლაქოვან წრეებში; ხელობა მე-17 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს (იხ. №17063).

13. **ხატი წ¯ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 25X19 სანტ. წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით, მძიმე, ვაჟკაცის სახით, რომაულ საომარ ტანისამოსით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს; მარცხენა ფარზე აქვს დადობილი; წარწერა სახელისა: წ-Გ გ-ი. აშიები მოძარცული აქვს (იხ. №17063). მე-16-17 საუკუნის უნდა იყოს.

14. **ხატი მიქელ მთავარ ანგელოზისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 25X17 სანტ. ნაჭედი, თითქმის სულ მოშლილია; დარჩენილია მხოლოდ თავი წარწერით: წ¯ი მ¯ქელ, და ნაწილი აშიისა, ლამაზი ხელობისაა.

15. **ხატი ღვთის მშობლისა,** ყოფილა წამლით დახატული, რომელიც მოშლილია; დაცულია ნიმბი და აშიები მოოქრული ვერცხლისა, ლამაზად შემკობილი; აშიებზე მარჯვნივ და მარცხნივ ორი წმიდა მხედარი არის, სრულის ტანით, ფარით და შუბებით (იხ. №17068).

16. **ხატი ღვთის მშობლისა, წ¯ა ეკატერინესი და წ¯ა ბარბარესი,** 26X21 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, რომელიც ეხლა სრულიად მოშლილია; დარჩენილია მოცულობა ზემო ნაწილისა ნიმბებით, ოქროთი დაფერილის ვერცხლისა. აშიები რომბ-ლურსმულია. მარჯვენა აშიაზე თავია რომელიღაც წმიდანისა; წარწერები სახელებისა ასომთავრულია (იხ. №17066).

17. **ხატი,** პატარა, **ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, 10,5X9 სანტ. ოქროთი დაფერილი ვერცხლისა; ღვთის მშობელი წარმოდგენილია სრულის ტანით და

წარწერით: დ-Ა ღ-Ა. აშიები სამის კედრით აღარა აქვს; დარჩენილია მხოლოდ მარჯვნივ, ტალღისებური ზოლით (იხ. №17066).

18. **ხატი მაცხოვრისა,** ტახტოსანი, ვერცხლისა, 22X18 სანტ. ნაჭედი, ბერძნულის წარწერით სახელისა; ტლანქი ხელობისაა (იხ. №17068).

19. **ხატი მაცხოვრისა,** 27X21 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, რომელიც ეხლა სულ გამქრალია; დარჩენილია ზემო ნაწილი მირთულობისა, ნიმბი და აშიები, ყველა შემკობილი ლამაზად რომბ-ლურსმული ორნამენტით; ქვემო აშია აკლია; აშიებზე დარჩენილია სამი მედალიონი წმიდათა, უწარწეროდ (იხ. №17071).

20. **ნაწილი ჩარჩოსი რომელიღაც ხატისა** ზედ გამოსახული მთავარ ანგელოზთა ფიგურებით, ვერცხლისა, 31X25 სანტ.

21. **ჯვარი სატარებელი,** თავის ხეტარით, რომელიც შემერწილია ვერცხლით და თავდება ვაშლით ანუ ბურთით, რომელზედაც დამყარებულია ჯვარი. შუაში ჯვარისა არის უმბო; სამ მხარეს ჯვარისა მედალიონებია წმიდათა სახეებით (იხ. № 17070).

22. ორი **ჩარდახი ხატისა,** ოთხი ფეხით თითო; ჩარდახები დაშლილია; ფეხები ხისაა, შემერწილი მოჩუქურთმებული ვერცხლით სხვა და სხვა სახისა, 77X46 სანტ. თითო. შუაში: თითეული ფეხისა, ოთხკუთხედში წარმოდგენილია თითო ფიგურა წმიდანისა: მაცხოვარი, ღვთის მშობელი, წ¯ა გიორგი, წ¯Ა იოვანე და სხვა (იხ. № 17067). ხოლო ბოლოებში ორი მთავარ ანგელოზია: მიქელ, გაბრიელ (იხ. №17069 და 17067).

23. **სახარება ეტრატზე,** უცნობი, 30X21 სანტ. დაწერილია ნუსხა ხუცურით და წითლურის სათაურებით; თითოეულ გვერდზე 34 სტრიქონია, ერთ სვეტად ნაწერი. ყდა ხისა აქვს, ტყავ გადაკრული. ტექსტი დალაგებულია დღიური საკითხავების რიგზე; იწყება აღდგომიდან. დასაწყისი:

წ-ა და მ-წის კრკესა აღვსებისა :. სამხრად . სახარებაᲐ :
იოვანეს თავი . პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა
იგი იყო ღ-ისა ...

სხვა ადგილას:

აქა დასრულდეს სახარებანი ყ-თა დღეთანი . აწ კ-დ
შ-ბთ : კ-კთა იწყების.

უკეთუ კულა ვინმე გამოიძიებდეს მიზეზსა არცაღა დარჩომილ არს ოთხთ ვსა შ-ა აუწერელი სხრბ-Ა რ-ი ანუ ჩომილ არს ოთხთ-ვსა შ-ა აუწერელი სხრბ-Ა რ-ი ანუ ამ-თ სმ-რდისოთ სახარებათა შინა არა გამოუკრებელ არს. ანუ შაბათ კჯირიაკეთა ანუ თუᲩთა.

შემდეგ:

მეათორმეტესა შაბათსა ჯუარ აპყრობითგან სახარებაᲐ ლუკასი რიზ. თ-ქა ო-ნ იგავი ესე. მსგავს არს სოფელი ცათაᲐ მარცვალსა მდოგჯსასა.

შემდეგ:

სახარებანი საცისკრონი.

ბოლოში მინაწერი, ტექსტის ხელით:

ზეშთა უსაზღვრომ-ნ ყ-დ წ-ნ დდ-ფლმ-ნ ღ-ის მშობელმ-ნ . მეცა / ცდვლი ტიმოთე ღირსმყო აღწერვებად წ-ისა ამის / სხრბისა . მც-ხვრისა ლახუშტისა სამსახურებ-ლად / შემოსითცა თჯთ ჩ-მითა ჴ-ლითა : აწ ვინცა ჩ-ნსა შ-დ მწირველნი იყვნეთ. ღ-ისა მცნებისათ-ს ლ-ცვა / ყვ-თ ჩ-მთ-ს. და ო-ნ თ-ქნცა მოგანიჭენ მადლი ა- : / ოდეს ესე დაესრულა ახლად დაწყებ-ლი / ქრონიკონი იყო : ი- : ცხრაჲ წელი / წადი გარდასრ-ლ იყო : ქვემოდ : ვაჲ შ-ნ ეტრატო :.

9 ქორონიკონი უდრის 1321 წელს.

სხვათა შორის, ეს არის ერთად ერთი თვალ საჩინო მაგალითი, რომ ხელნაწერი თვით სვანეთშია გადაწერილი; ამ შემთხვევაში სოფელ ლახუშტში, სადაც გადამწერი ტიმოთე ყოფილა მღვდლად.

შემდეგ მოყვანილია ერთი მხედრული მინაწერი მე-14-15 საუკუნისა:

ქ . სახელითა ღთი-საითა მამისა ძისა და სულისა წმი-
დისაითა დავსწერეთ და დავდევით დაწერილი ესე ერ-
თობისა და გაუყრელობისა ჭუენ(sic) ლახუშდელთა
ლაჭიმრაშისა მუსკრთა ერთმანეთისა ნდომითა და და-
მოწმებითა და უქცეველი რაისა გინდა საქმისა და ჟამი-
სა შემოსრულობისათუის შეუცვალებელი მას ჟამსა
ოდეს მოგვინდა ჩ-ენ შიგან გაუყრელობაი და სიმტკი-
ცე ამა პირსა ზედა ვისცა დამჭიროს მისთა პირობისა
ჭირთა შეძლებითა გულმართლად უშველოს და საუარა-
ვი უჯობდეს გულმართლად საურავი მოვიჭირვოთ გინდა
ბარსა, გინდა სვანეთს ვისაც დაეჭიროს ვინცა დახუდეს
მისითა შეძლებითა გულმართლად ვუშველოთ, არაი
უცრუოთ და არაი უღალატოთ არცა მთასა, არცა შინა.
ვინც ჭვენ შიგან დამდურდეს გულმართლად სავრავი
მოვიჭირვოთ. ამისა გათავებისა თავსდებად მომიცემია
ნებითა ერთმანერთისა მაცხოვარი ლახუშტისა და მთა-
ვარანგელოზთა ნაწილისა. ვინცა ესე დაწერილი შეშა-
ლოს, შემცაიცვალების რჯულისაგან ქრისტიანეთასა.

ამა დაწერილსა საქმითა გავათავებთ: + +

(უზის ათი ჯვარი)

24. ლახუშტის ეკლესიის პაპმა, გიორგი ფირცხალაძემ, რომელიც ეხლა ეკლესიის მნათეს წოდებას ატარებს, მაგრამ ძველი პაპის მოვალეობას ასრულებს, მაჩვენა მისი საკუთარი სამი წიგნი. ერთია **კონდაკი,** ქაღალდზე ნაწერი, მოსხო ხუცურით. ხელნაწერის ბოლოს სწერია ტექსტის ხელით:

ღ-ო და უშვოდ მისო მშობელო დამიცევ ორსავე შინა
ცხორებასა ფ-დ ცოდვილი ამ კურთხევანის დამწერი
ინასარიძე მღვდელ-მონაზონი ევდემონ და ვინცა შენ-
დობა ბრძანოთ თქვენცა შეგინდოს ღ-ნ :.

შემდეგ მოყვანილია კინკლოსი პასექისა და სულ ბოლოს კალანდა, თქმული ეზრა წინასწარმეტყველისა.

25. მეორე ხელნაწერი პაპისა არის ჟამნი in 16, ეტრატზე ნაწერი, მაგრამ სულ გასვრილი და გაჭვარტლული; თავი და ბოლო აკლია; დაწერილია ნუსხა ხუცურით.

26. მესამე წიგნი ამ პაპისა არის **ქართული გრამატიკა დოდაევისა,** 1833 (?) წელს გამოცემული; ეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას შეიცავს და ჩვენი მნათე დიდათ აფასებს და კრძალვით ეპყრობა, იშვიათად თუ ვინმეს აჩვენებს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სვანეთის პაპები ყოველთვის დიდი მოწადინე იყვნენ ქართული ენის ჯეროვნად შესწავლისა. ჩვენი პაპი მაინცდამაინც კარგად არ უცქერის ახალ მღვდლებს; გვიამბო ჩვენ ანეკდოტი მათზე და წარმოსთქვა სახუმარო ლექსი მათ შესახებ ქართულად.

თანღები. ორი კილომეტრის მანძილზე სოფელ ლახუშტიდან, ფრიალო ტყიან მთაზე, **თანღებად** წოდებულზე, ხშირ ტყეში მოიპოება ერთი პატარა ძველი ეკლესია, ქვისაგან აშენებული. ეს ეკლესია გამონაკლისს შეადგენს სვანეთისათვის და დიდათ საყურადღებოა. სვანეთმა სხვა გეგმა ეკლესიისა, გარდა ბაზილიკურისა, უბრალო თუ რთული, არ იცის. აქ კი დასახულია მრგვალი ფორმა ეკლესიისა, მაგრამ არც სულ მრგვალი გამოდის, არც სრული წახნაგოვანი, საზოგადოთ კედლები მრუდეა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარ ეკლესიას უნდა ჰქონდეს გუმბათი, მაგრამ გუმბათის მაგიერად, ის გადახურულია თაღით, ხოლო ეს თაღიც უსწორ-მასწოროა, არც მრგვალია, არც ჯვარის სახისა, როგორც მოსალოდნელი იყო. ფანჯრების მაგიერ აქ მრგვალი სარკმელებია. შესავალი ერთი აქვს დასავლეთით. კანკელი ქვისაა, ერთის კარით.

კედლები შიგნით მოგლესილია და მოცული ფრესკებით. ფრესკები კარგი რიგისაა და ლამაზი. სხვათა შორის კარგად არის დაცული წ-ა გიორგის ფრესკა, ცხენით, რომელიც გმირავს არა ვეშაპს, არამედ გვირგვინოსანს. ეს ჩვეულებრივი იკონოგრაფიული სიუჟეტი, ფრიად ხშირი სვანეთში, აქ გადატანილია კედელზე. ასეთი მოვლენა სხვაგან იშვიათად შეგვხვედრია. კარგად მოსჩანს აგრეთვე ჯვარცმა, სული წმიდის მოფენა და ამაღლება. ეკლესია გაუქმებულია. ხატები აქედან გადატანილია ლახუშტის ეკლესიაში; დარჩენილია აქ მხოლოდ ერთი **პატარა, წ-ა ბასილის ხატი,** ვერცხლისა, მოოქრული, 13,5X9,5 სანტ. დაბალი ხელობისა.

ეკლესია ითვლება მონადირეთა მფარველად; მასში აუარებელი რქებია ჯიხვისა და შველისა **და მთელი გროვა ისრებისა,** სხვა და სხვა ფორმის და ჯურისა. ასეთი კოლექცია ისრებისა მე სვანეთის ეკლესიაში არ მინახავს. ეკლესია საგანგებოდ გავაზომინეთ ხუროთმოძღვარს ს. კლდიაშვილს, მაგრამ, როგორც მოხსენებული გვქონდა, მან თავის რვეული ამ გეგმათა დაჰკარგა. საჭიროა გაზომვა და სწორი გეგმის გადმოღება ამ ეკლესიისა, ვინაიდან ის ერთი უძველესთაგანი უნდა იყოს სვანეთში. აგრეთვე საჭიროა ფრესკების პირების გადმოღება ფერადებით.

სოფელი ლამი.

სოფელ ლამში, საწუხაროდ, ჩვენ არ ვყოფილვართ. ბერი ბაქრაძე სწერს: ს. ლამის წმიდის იოანე ნათლის მცემელის ეკლესია(ში), რომელიც 1862 წელს, ოქროსა და

ვერცხლის ხატები განუცარცვიათ, და დღეს აღარა იპოვების რა, მხოლოდ ერთი მცირე ვერცხლის ხატია წმიდის გიორგისა.

დ. ბაქრაძე ყოფილა ამ ეკლესიაში და ის აღნიშნავს სამს ნივთს: 1. მიქელ მთავარ ანგელოზის ხატს, ვერცხლისა, წარწერით (გვ. 87), 2. ვერცხლის აშიას, ხატისაგან მოგლეჯილს, წარწერით (იქვე, გვ. 67), 3. ღვთის მშობლის ხატს, რომელსაც პერანგის (ვერცხლის) ფურცლები მოცილებული ჰქონია და ერთზე წარწერა ყოფილა, რომელიც მას ხელით გადმოუღია (იხ. დამატება, №23). მოგვყავს აქ ორი პირველი წარწერა შეუმოკლებლად, ვინაიდან ჩვენ ზოგიერთ სიტყვას სხვანაირად ვკითხულობთ და გვესმის, ვიდრე ეს ბაქრაძის რუსული თარგმანიდან სჩანს.

მიქელ მთავარ ანგელოზის ხატის წარწერა:

წმიდაო მიქელ, შეიწყალე ივანე
ჯაყიანი და მეუღლე მისი თაბაი დ ძე მისი გიორგი
შეიწყალე სულით და ჯორცით. ამინ.

დ. ბაქრაძე „გიორგი“-ს მაგიერ „გეშე“-ს კითხულობს.

მეორე წარწერას ჩვენ ვკითხულობთ ასე:

ქრისტე ღუთისა დედაო, მოწყალე ექმენ
სულსა ჩემ უნდოსა ბერისა ᲂ-
ელისა მას დიდსა დღესა განკითხვისა.

დ. ბაქრაძეს თარგმანში სიტყვა „ᲂელისა“ გამოშვებული აქვს და სიტყვების მაგიერ: „მას დიდსა“, ის კითხულობს: „დედასა მისსა“.

მესამე წარწერას დ. ბაქრაძე წაუკითხავად სტოვებს. იმ სახით, როგორც ეს გადმოღებულია, სრული მისი წაკითხვა ძნელია, მეტადრე ბოლო მესამე სტრიქონისა და მთელად მეოთხე სტრიქონი; სხვა, ჩვენის აზრით, იკითხება ასე:

წ-ი ვედრებისა ღთის მშობელო, შემწ-
ე : მეყავ და მიხსენ სა-
ტანჯველისაგან მე. . .
. . . . . .

ნაწილი IV

სადადიშკელიანო ანუ სათავადო სვანეთი

სადადიშკელიანო სვანეთი შეადგენს გაგრძელებას თავისუფალი სვანეთისა, მოქცეულია იმავე ენგურის ხეობაში, ქვემოდ თავისუფალ სვანეთისა, ენგურის შუა წელზე. აქ მთავრობდენ თავადი დადიშკელიანები და ამიტომ დაერქვა სახელი სადადიშკელიანო სვანეთი. ამ ნაწილში სვანეთისა შედიან თემები: ჩუბი-ხევი, ფარი, ეწერი, ცხომარი და ბეჩო. სოფელ ბეჩოს საზოგადო სახე იხ. ფოტ. № 182.

ბეჩოს თემი

ბეჩოს თემში ცხრა სხვა და სხვა სოფელი შედის, მაგრამ მათში ძველი შენახული ეკლესიები თითქმის არაა. თვით ბეჩოში სულ ახალი ეკლესია არის, სწორს ადგილზე, დიდი ეზოთი, როგორც სამეგრელოს ეკლესიები. წინეთ, რასაკვირველია, აქ ყოფილა ძველი ეკლესია, მაგრამ 1830 წელს, როდესაც ოთარ დადიშკელიანს და მის ძმის წულს ქელეშბეგს მაჰმადიანობა მიუღიათ, ხატების ცარცვა დაუწყიათ; ადგილობრივ მაცხოვრებლებს გადარჩენილი ხატები გაუტანიათ და მახლობელ სოფლის დოლის კოშკში დაუმალავთ. დ. ბაქრაძემ და ა. სტოიანოვმა ეს ხატები აქ ნახეს (იხ. ბაქრაძე, გვ. 78, სტოიანოვი, გვ. 368). დოლის კოშკი, სტოიანოვის სიტყვით, ფრიად მაღალი ყოფილა, მაგრამ შემდეგ დანგრეულა და შიგ მოქცეული ხატებიც, რასაკვირველია, ერთობ დაზარალებულა. ბოლო დროს, როგორც ეტყობა, რაც დარჩენილა, ახალ ეკლესიაში გადაუტანიათ და ეხლა იქ ინახება. ამათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია და ძვირფასი:

1. **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, სიმაღლით 1 1/4 არშინი. ღვთის მშობელი ძითურთ წარმოდგენილი ყოფილა წელს ზევით, წამლით დახატული, რომელიც ეხლა სულ გამქრალია; დარჩენილია ნაწილი ოქროთი დაფერილი ვერცხლის პერანგისა მდიდრულის მოცულობისა, მაგრამ ისიც ეხლა მოცილებულია თავის ძელს და სამი მეოთხედი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, მაინც დაუკარგავს თავის ერთხელ ფრიად მდიდრული და ძვირფასი შემკობილებისა, რომელიც შესდგებოდა პატარა მინანქრიანი ხატებისაგან, ასეთივე მედალიონებისაგან, „დრობნიცებისაგან“, ძვირფასი ქვებისაგან და წმიდათა ნაწილებისაგან.

ეს ყოფილა ხატი კარედი, სამ-ნაწილედი; დარჩენილი ნაწილი შეადგენს შუა ნაწილის ნაშთს, ხოლო კარებიდან დარჩენილია მხოლოდ ძელები, რომელნიც თავის მხრით შემკობილნი ყოფილ არიან მინანქრიანი მედალიონებით და ასომთავრულის წარწერებით. ნაშთები აქა-იქ შერჩენილა. კარების ძელებზე მოსჩანს ნაფლეთები მოყვითლული ვერცხლისა, ასომთავრული წარწერებით. წარწერები უჩვენებენ სახელებს წინასწარმეტყველთა და წმიდათა, რომელნიც ამ კარებზე ყოფილ არიან წარმოდგენილნი მინანქრებით. და რომ აქ ასეთი მედალიონები ყოფილა, ამას გვიმოწმებს დ. ბაქრაძე (გვ. 79), რომელიც, სამწუხაროდ, გაკვრით იხსენიებს მათ. წარწერები რომელნიც ჩვენ ამოვიკითხეთ კარებზე დარჩენილ ნაფლეთებზე, შემდეგია: ოქროპირი, კარავი, საწამებელი, წ-წყალი ესაია, წწყ-ლი ელია, ბჭენი, წწყ-ლი გედეონ, წწყ-ლი დანიელ, წწ-ყლი იერემია, აჰარონ. ყველა ამ წარწერებს კავშირი აქვს ქვემოდ მოყვანილ დიდ წარწერასთან, ვინაიდან აქაც ჩამოთვლილია წინასწარმეტყველნი, რომლებმაც იწინასწარმეტყველეს ღვთის მშობლის შესახებ.

დარჩენილი ნაწილი ხატის, შუა ტანისა, ეხლა შეიცავს მარჯვნივ და მარცხნივ აშიებს. არა პრტყელს, შემკობილს ბროწეულის ყვავილებით, ნაზი ხელობისა. აშიების წინ, ირგვლივ, სამის მხრით დიდძალი ოთხკუთხედი უჯრედებია წმიდათა ნაწილთათვის და უჯრედების გამყოფ ზოლებზე ეხლაც აქა-იქ მოსჩანან წარწერები, რომელნიც გვამცნევენ, თუ რომელ წმიდანის ნაწილი იყო უჯრაში წარმოდგენილი (იხ. ფოტ. №17073 და № 17078). ნაწილები, რასაკვირველია, არც ერთი არ შენახულა, მაგრამ მათ შორის, როგორც წარწერებიდან სჩანს, ყოფილა ნაწილები: წ-ა გიორგისა, წ-ა რიფსიმესი, ელევთერისა. რიცხვი წმიდათა ნაწილების ყოფილა 50-ზე მეტი.

ნიმბები ღვთის მშობლისა და ყრმა ქრისტესი შემკობილი ყოფილა დიდძალი მინანქრიანი მედალიონებით და „დრობნიცებით“. წარწერები სახელებისა, ღვთის მშობლის და მისი ძისა, დიდრონი ნაჭედი ბერძნულის ასოებით არის შესრულებული. ღვთის მშობლის ნიმბის ზემოთი არე, როგორც ეტყობა, სჭერია ვედრების კომპოზიციას, ვინაიდან კუთხეებში, როგორც სახელების ბერძნული წარწერებიდან სჩანს, ყოფილა მარცხნივ ღვთის მშობელი, მარჯვნივ იოანე წინამორბედი ანუ ნათლის მცემელი, ამიტომ შუაში უნდა ყოფილ იყოს მაცხოვარი და ვინაიდან კიდევ ადგილი რჩება, ალბათ იქნებოდა „როზეტები“, ან მთავარ ანგელოზები.

ღვთის მშობლის ნიმბის ბოლოები მარცხნივ კუთხეში „როზეტებით“ თავდება. (იხ. №№ 17073, 17077).

მინანქრიან მედალიონთაგან გადარჩენილია მხოლოდ ორი, რომლებზედაც წარმოდგენილნი არიან საუცხოოდ მინანქრით შესრულებული მესვეტენი (იხ. ფოტ. №17078); სიგრძე თითოსი არის სამი სანტ. განი 1,3 სანტ. ფერადები მათი: წითელი, თეთრი და ცისფერი. „როზეტებიდან“ დარჩენილია 17; მათ შორის 7 მრგვალი, 2 ოთხკუთხედი, 4 სამკუთხედი და ერთი მოგრძო. ამას გარდა, სამი მოგრძო და ერთი პატარა მედალიონი შემკობილია თეთრ ფონზე მინანქრითვე შესრულებულის ასომთავრული ასოებით; პატარაზე: **ო-ო**; მეორეზე: **სათდიმადს**; მესამეზე : **მ-ნჭყ-დსა**, ხოლო მეოთხეზე, მესვეტეთა ქვემოდ: **ნ-დრთა.** ხატი შემკობილი ყოფილა ძვირფასი ქვებით. დარჩენილია მათი ბუდეები, რიცხვით 14. ამას გარდა, აუარებელი ნალურსმანი ადგილები ცხად ჰყოფენ, თუ რაოდენ მრავალი ყოფილა სხვა მედალიონები, „როზეტები“ და ორნამენტები. (იხ. ფოტ. №№ 17078 და 17077). ზემოთ აშია არ შენახულა, მაგრამ მოსჩანს ნაშთი ასომთავრული წარწერისა:

Ა წ-დაო : მრამ : მშობლო : ღთ-სო : მ-ოხ : მქმმენ :
მე : [მსა]სოებესა : შნსა[1] მ . . . და ქართ . . .

უქარაგმოდ:

Აი წმიდაო მარიამ, მშობელო ღმრთისა, მეოხ მექმენ მე
მსასოებელსა შენსა მე(ფეთ მეფესა აბხაზთა) და ქართ-
ველთა . . .

ქვემოდ ხატს ჰქონია ორ-სტრიქონიანი გრძელი წარწერა, მოოქრულ ვერცხლის გრძელ ნაჭერზე, წნულის ასომთავრულით, რომელიც არც ისე ადვილი გასარჩევია. ეს წარწერა ჩვენ ცალკე ვიპოვნეთ ხატის ბუდეში და თავის ადგილს მივაკარით (იხ. ფოტ. №№17072-17073). დ. ბაქრაძეს წარწერა არ უნახავს; უვაროვისა და ა. ხახანაშვილი არ ყოფილ არიან ამ ეკლესიაში. ყოველ შემთხვევაში არც ერთი მათგანი არც ხატს და არც წარწერას არ იხსენიებენ, თუმცა სოფელ ბეჩოში ყოფილან. წარწერას ჩვენ ვკითხულობთ ასე:

1. წ : რ-ი ეგე : დან-ლ : მთად გიხ-ლა : ესაია : დედად : ევმ-
ნოელსად : კ-დ : გედონ : ს- წმის-დ : დ-თ : კიდ-ბნდ :
ეზ-კლ : ბჭედ : მოსე : მ-ღთდ შ-ნვე : ზიასა : ერისთვთერ
2. ქაო : გ-ხნ :. მმიპვე : მ-დლი : წ-ე : ჩ-მ : და : ყ-თა . ღ-თსა :
დდფლო : ზს-კნლთა : და : ქ-ყნისო : ოღ-რსი : ბ-რი : მი-
ოხე : დ-თ მ-კპოსი : ხმბშსძე : ძმ-თ : ქვთრით თ-რთ : Ა :
სოათა სსოო .

უქარაგმოდ ჩვენ წარწერას ასე ვკითხულობთ:

რომელი ეგე დანიელ მთად გიხილა, ესაია დედად ევმანოელისად, კუალად გედეონ საწმისად, დავით კიდობნად, ეზეკიელ ბჭედ, მოსე მღრთად, შემინდვე ზიასა (ანუ ზვიადსა), ერისთავთა ერ(ისთავს)!

ქალწულო, გიხაროდენ (ანუ გვიოხენ)! მომიპოვე მადლი წინაშე ჩემ და ყოველთა ღმრთისა, დედოფალო ზესკნელთა და ქუეყანისაო, უღირსი ბერი მიოხე, დავით მთავარ ეპისკოპოსი ხამბაშიძე (ანუ ხემბაშიძე), ძმით ქავთარითურ, ჶი სუანთა სასოო!

ამ წარწერაში ო და უ ერთი გამოსახულების არის, არ განირჩევა. „ზიასა“ შემოკლებული გადმოცემაა „ზვიასა“ ანუ „ზვიადსა“. ერისთავი თუ ერისთავთ ერისთავი (ეს კარგად არ განირჩევა დედანში) ზვიადი ხშირად იხსენიება ქართულს წარწერებში სხვა და სხვა დროს. მთავარეპისკოპოსი დავით ხამბაშისძე ანუ ხემბაშისძე ცნობილი არ არის. აქედან უნდა მომდინარეობდეს ეხლანდელი გვარი ღამბაშიძე, რომელთა შორის მღვდლობა, ეტყობა, ძველთაგან ყოფილა.

თუ ჩვენი წაკითხვა „სუანთა სასოო“ სწორია, მაშინ ცხადია, ხატი სპეციალურად სვანეთის ეკლესიისათვის ყოფილა განჭედილი.

ეს ძვირფასი ხატი დიდათ მოგვაგონებს აწ მოსპობილს მინანქრიან ხატს ლეონ მეფისა, ხობში, თავისი მდიდრული მინანქრიანის შემკობილობით, რომელიც, ჩვენის აზრით, მე-13 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

2. **ჯვარი** კანკელის საწინავე, 100X46 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, საკმაო კარგი ხელობისა. ზემოდ წარმოდგენილია წ҃ჲ დ҃მრი და კიდევ ერთი მედალიონი უწარწეროდ. ქვემოდ კიდევ წარწერაა:

ივანე : ფათანს : და	ივანე ფათანს და
შვლ მისი შეიწყ	შვილი მისი შეიწყა-
ლე : მთვრ ანგ	ლე მთავარანგე-
ლო სამესრისაო (?)	ლოზო სამესრისაო (?)

ამას ქვემოდ რაღაც დაჯღაბნილია ფრიად უშნოდ და კარგად არ ირჩევა:

ო҃ი მიქაელო დიანს და შვილი

. . . კ შეწყ ე მთავარანგლზი

3. **ჯვარი, კანკელის საწინავე,** 84X49 სანტ. ისეთივე ხელობისა, როგორც წინა ჯვარი, ზემო ფირფიტაზე წარმოდგენილია მაცხოვარი მთელის ტანით; ქვემოდ წ҃ა გიორგი, მთელის ტანით, შუბით და ფარით; უფრო ქვემოდ უშნო ფირფიტებია მთავარ ანგელოზთა, წარწერით: წ҃ო მცხრო (?); მარჯვნივ და მარცხნივ: მთავარ ანგელოზნი, ღვთის მშობელი და წ҃ა იოანე. შუაში ამ ჯვარს ფირფიტა აკლდა და ჩვენ იქ დავდევით პატარა ხატი წ҃ა გიორგისა, 8X7 სანტ. და ისე გადმოვიღეთ მთელი ჯვარი (იხ. ფოტ. №17076).

4. ასეთივე **ჯვარი,** მაგრამ ცოტა უფრო მცირე, 69X52 სანტ. ამ ჯვარის ფირფიტები ბევრად უკეთესია, ვიდრე წინა ჯვარისა. ზემოდ წარმოდგენილია მიქელ მთავარ ანგელოზი ლაბარუმით, ბურთით და წარწერით: წ҃ჲ მიქ҃ლ. ქვემოდ: წ҃ჲ გ҃ი. სრულის ტანით, შუბით და ფარით; მის ქვემოდ წელსზევითი მაცხოვარი, ბერძნულის წარწერით სახელისა; იმის ქვემოდ ღვთის მშობელი: დდ҃ჲ ღ҃ჲ. მარჯვნივ და

მარცხნივ უმბოსაგან, რომელიც თითქო მზის სურათს წარმოადგენს, მთავარ ანგელოზნი, წ-ა გიორგი ცხენით, ვეშაპს გმირავს, და წ-ა იოანე (იხ. №17075).

5. **ხატი მთავარ ანგელოზთა,** ვერცხლისა, მოოქრული, ნაჭედი, 83X49,5 სანტ. კარგი ქართული ხელობისა, მე-12-13 საუკუნ. წარწერით: გბრლ ანგელოზი, მ-ქლ ანგელოზი. შუაში მაცხოვარი ტახტოსანი, ბერძნულის წარწერით სახელისა; აშიები დაცული არ არის.

6. **ხატი,** რომელიც შესდგება სხვა და სხვა ნაჭრებისაგან, ზოგი მათში მოოქრული ვერცხლისაა, ზოგი უბრალო ვერცხლის, ხელობაც სხვა და სხვაა, უმეტესად ტლანქი, სახელდობრ ორი ვერცხლის მედალიონი პეტრესი და თეოდორესი: წ-ი პ-ე, წ-ი თ-ე, 43X28 სანტ. ტლანქი ხელობისაა.

7. **ხატი წ-ის გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 31X23 სანტ, წარწერით: წ-ი გ-ი. წმიდანი სრულის ტანით არის წარმოდგენილი შუბით და ფარით; აშია მატერიისაგან არის შემოვლებული; საკმაო კარგი ხელობის არის.

8. **ხატი მირქმისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 17X17 სანტ. ტლანქი ხელობისა.

9. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 30,5X 23 სანტ. მაცხოვარი ტახტოსანია, ჩვეულებრივი რიგით. წარწერა: იꙁ ქ-ე. ტლანქია.

10. **კარედი ხატი,** შედგენილია სხვა და სხვა ნაჭრებისაგან, 58X38 სანტ. მარჯვნივ წარმოდგენილია: წ-ꙋ ეკტრნა და წ-ꙋ ტრონი (?) (=თეოდორე ტირონი); ზემოდ ღვთის მშობლის ნიმბია და წარწერა ხუცურით: „წ : აქა მანდილი დედისა, ღვთისაი :“; მარცხნივ მაცხოვარი და ღვთის მშობელი; ტლანქი ხელობისაა: შუაში ყოფილა ჯვარი, 26X17 სანტ. სამი მედალიონით, ტლანქი ხელობისა; კარებიც შემკობილია ნაჭრებით; ზოგი მოოქრულია და წარწერებიც აქვთ:

ꙋზმ . . . / რꙋსა / წ-ꙋ ბარბარე. და შემდეგ:

ღმერთო :	ღმერთო
მოწყლ	მოწყალე-
ეო : შეუნ	ო, შეუნ-
დვენ : ოქრ	დვენ ოქრო-
ომჭედე	მჭედე-
ლსა : ცოდვ	ლსა ცოდვა-
ნი : მისნი :	ნი მისნი,
იოვანეს თუ	იოვანეს თუ -
მანის ძესა	მანის ძესა.
ამნ .	ამინ.

ამ წარწერასთან ერთად დ. ბაქრაძე იხსენიებს კიდევ მომცრო ზარს, თათრულის წარწერით, რომელშიაც მოხსენებული ყოფილა ვიღაც ისმაილი (გვ. 78, დამატება 17). არ ვიცით, სად არის ეხლა ეს ზარი.

11. **ხატი ღვთის მშობლისა,** ჩჩვილედი, ვერცხლისა, ნაჭედი, 5,5X5,5 სანტ. ტლანქია.

12. **სასანთლე,** თითბერისა, სამი საფეხურით, ერთობ მძიმეა.

13. **ბარძიმი,** სპილენძისა, სახელურით, რომელიც ოქროთია შემკობილი; ქვემოდ ლათინურად აწერია: **MARIA** ; ზემოდ: **IESUS.**

ცხომარის თემი

ცხომარის თემს შეადგენენ შემდეგი სოფლები: – გაბალთი, სვიფი, ტვიბერი, ლეზგარი, მაგანდერი და ლაფსხალდი. დ. ბაქრაძის დროს ეს თემი ეკუთვნოდა თენგიზ დადიშკელიანს, შემდეგ იქ ცხოვრობდა ბექირ-ბეი დადიშკელიანი, რომელიც განთქმული იყო მთელს სვანეთში სტუმართ-მოყვარეობით; ჩვენ დაგვხვდენ მათი შვილები, ლევან და მურზაყან დადიშკელიანები, რომლებმაც დიდი თავაზიანი მასპინძლობა გაგვიწიეს და დაგვეხმარენ ჩვენი მუშაობის დროს.

სოფელი სვიფი.

სოფელ სვიფში პატარა მთავარ ანგელოზის ეკლესიაა და მთელი ცხომარის თემი ამ ეკლესიის შემავალად ითვლება. ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ჯვარი,** დიდი, კანკელის საწინავე, რომელიც თავის ადგილზეა ამართული, საკურთხეველში კარის წინ; სიმაღლე მისი არის სამი არშინი და განი ერთი არშინი და 11 ვერშოკი. შეძერწილია მხოლოდ პირველ გვერდზე ვერცხლის ფირფიტებით, მდარე ხელობისა, მაგრამ თავზე ქუდი ანუ გვირგვინი შერჩენილი აქვს, ორის წმიდანის სურათით (იხ. ფოტ. №17074). საუკეთესო ფირფიტები მოოქრული მოიპოება მარჯნივ უმბოსა; პირველ მათგანზე წარმოდგენილნი არიან მთელის ტანით: მაცხოვარი, პეტრე და პავლე, წარწერით:

ქ̇ე შ̇ე მ̇ქლ და . . . . .

სხვა ადგილებზე წარმოდგენილნი არიან: მაცხოვარი, ლუკა მახარობელი (ორჯერ) და 11 პატარა ფიგურა წ̄ა გიორგისა ცხენით, რომელიც ადამიანს გმირავს; სხვა ფიგურები ტლანქია.

2. **ხატი ღვთის მშობლისა** ჩჩვილედი, წელსზევითი, 16,5X13,5 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ მხატვრობა მოშლილია; მოცულობა ვერცხლისაა; ნიმბები და აშიები შენახულია; სურათები მოვლებული ყოფილა ირგვლივ მარგალიტის მძივებით; ნაწილი მარცხნივ დაცულია; ნიმბი ქრისტესი ჯვარის სახედ არის; ნიმბის აქეთ-იქით ორი სიმრგვალე არის; აშიები დაყოფილი ოთხკუთხედ უჯრედებად და შემკობილი ლამაზი სევადიანი ორნამენტებით; სევადით არის შემკობილი აგრეთვე ნიმბები (იხ. ფოტ. №17079). სამწუხაროდ, სევადის ორნამენტები

ფოტოგრაფიაზე არ არის გამოსული. ზურგზე, ჯვარის სახის ირგვლივ, ასომთავრული წარწერაა (იხ. ფოტ. №17080):

ქ ყოლად : წ-ო . ღ-თს : მ ყოვლად წმიდაო ღმრთის მშო
ბელო შეიწყალე ბელო, შეიწყალე
ფ რ ფრი-
იად : ცოდვილი : ევფ ად ცოდვილი ევფე-
ემიაის : მწირვლი მიაის მწირველი
დემეტრე და დაივწნ : დემეტრე და დაივიწყენ
შცოდებნი : მსნი : შეცოდებანი მისნი!

ხატი ჩადებულია კარედში, რომელიც გაფუჭებულია და ქვემოთ მოსჩანს ნაშთი ხუცური წარწერისა: . . . . იქმენ წჲნაშე ძისა შენისა. . . ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-13-14 საუკუნეს. (წარწერა მოყვანილი აქვს დ. ბაქრაძესაც, გვ. 70, მაგრამ რუსულ თარგმანში ერთ სახელად მიუღია ევფიმია-დემეტრე).

3. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 51X36,5 სანტ. სანახევროდ მოშლილია (იხ. ფოტ. №17087); მაცხოვარი ტახტზე მჯდომარეა; ეზო და აშიები შემკობილია ფოთლოვან-ბალახოვანის ორნამენტით, საუცხოო ხელობისა, მე-11-12 საუკუნისა. ზემო აშია არ შენახულა; აკლია ქვემოსაც. ზემოდ, სიმრგვალეში წარწერაა სახელისა, მაგრამ ასოები შებრუნებულია: ქ-ᲬᲨ Წ-Უ. მარცხნივ ტახტისა მუხლ-მოდრეკილი ფიგურაა მავედრებელის პოზით, რომლის ზემოდ ასომთავრული წარწერაა:

ქ . წ-მიდო : მცხ წმიდაო მაცხო-
ვრ : მეოხ : ეყ ვარ(ო), მეოხ ეყავ
ვ : მს : დღესა : მას დღესა
გნკჲთხვსას : განკითხვისას
წნშ : ღ-ს : შნისა წინაშე ღმრთისა შენისა
სღრს საღირს
სღი საღი-
რძე რიძე-
სა . სა.

წარწერა უცნობია; დ. ბაქრაძე არ უჩვენებს; უვაროვისა და ა. ხახანაშვილი აქ არ ყოფილ არიან. საღირისძეები თამარ მეფის გვირგვინის კურთხევის დროს არიან მოხსენებულნი (იხ. ქართ. ცხ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 400) და ხატიც ხელოვნების მიხედვით მე-12 საუკუნეს ეკუთვნის.

4. **ხატი ჯვარცმისა,** 28X21 სანტ. წამლით არის დახატული; თვით ჯვარცმული საკმაოდ კარგად არის შენახული, ხოლო წინამდგომთა სახეები, მარიამისა და ივანესი, დაზარალებულია (იხ. ფ. №17085). წარწერა სახელისა ზემოდ ბერძნულია. ანგელოზთა ფიგურები ზემოდ გამქრალა; ჩარჩო შემკობილია ხლართული ბალახოვანის ორნამენტით და სადა მედალიონებით. ზემო აშია მოძარცულია. ხატი არის არა უგვიანეს მე-16 საუკუნისა.

5. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 34X25 სანტ. მაცხოვარი ტახტოსანია, ჩვეულებრივი რიგით; ნიმბი ჯვარის სახისა აქვს, ზემოდ (№17086) დრობნიცებში უწერია სახელი ბერძნულად. აშია რომბ-ლურსმულია ორ ფოლაქოვან წრის შუა, სადა მედალიონებით; ქვემოდ ერთ სტრიქონიანი წარწერა ნაკლულევანად არის შენახული:

ქ : მცხრო . . . ჲ : ოთოღვანსა : მე მოჯ̓ედ : მოვ̓ედე გი. . .

დ. ბაქრაძეს გადმოუღია ეს წარწერა (იხ. დამატება №11) და შენიშნავს, წარწერა არ იკითხებაო, ხოლო მე მგონია, უკანასკნელი ორი სიტყვა ნიშნავს: გიორგი ლიპარის ძე-სო (გვ. 70). ეხლა უკანასკნელლი სიტყვა წარწერას აღარ აქვს. წარწერა უნდა ნიშნავდეს:

მაცხოვარო, [შეუნდვენ ცოდვანი]ჲ ოთოღვანსა, მე მოუ̓ედე. მოვ̓ედე გიორგი [ლიპარიტის ძემ].

წაკითხვა „ლიპარიტის ძემ“ ბაქრაძის გადმოღებულზედაც საეჭვოა ყოველ შემთხვევაში, გიორგი ლიპარტიანზე, დადიანი ლევან მეორის ბიძაზე, აქ ლაპარაკი არ შეიძლება. ლიპარიტის ძე აქ აღნიშნავს ოქრომჭედლის გვარს; ისე ხატი კი მე-16-17 საუკ. უნდა იყოს.

6. **სამი ჯვარი,** სრულიად ერთგვარი, 32X21 სანტ. თითო; შემერწილია მოოქრული ვერცხლით; ოთხივე ფრთის ბოლო თავდება დიდი მრგვალი მედალიონებით, რომლებზედაც ერთი და იგივე წყვილი წმიდანია წარმოდგენილი, სრულის ტანით და სახარებით ხელში. წარწერა არ აქვთ. (იხ. №17081). ხელობა დაბალია.

7. **ჯვარი გამოსასვენებელი,** ვერცხლისა, 19X17 სანტ. შუაში დიდი ქვა არის, ლალი; ბოლოში მედალიონებია; ქვემოდ ღვთის მშობელი ნიშოვანი ტახტით; მარცხნივ და მარჯვნივ მთავარ ანგელოზნი; ზემო მედალიონი დაკარგულია; სხვა ნაწილი ჯვარისა სადაა (იხ. №17083)..

8. **ხატი მაცხოვრისა,** სხვა და სხვა წმიდანებითურთ, 34X20 სანტ. სამ ნაწილად არის გაყოფილი; შუაში დიდ მრგვალ მედალიონში მაცხოვარია და ოთხივე კუთხეში ამ ნაწილისა თითო წმიდანი, ვგონებ, მთავარ ანგელოზები. ზემო ნაწილზე, შუაში, მაცხოვარი ორი წმიდანით, ერთი მთავარ ანგელოზია. ქვემოდაც, შუაში ქრისტე და აქეთ-იქით ღვთის მშობელი და იოანე, სრულის ტანით სამივე (იხ. №17082). შემკობილობა რომბ-ლურსმულია, აშია დაზარალებული, სხვა უკეთესი ხელობის ხატიდან უნდა იყოს.

9. **ვერცხლის ფირფიტა,** პეტრეს სურათით, რომელიც წარმოდგენილია კამარას ქვეშ, სახარებით ხელში და წარწერით: წ̄ჲ პ̄რე. ტლანქი ხელოლბისაა (იხ. ფოტ. №17084).

10. **სპილენძის ფირფიტა,** რომელზედაც წარმოდგენილია ორი წმიდანი, სახარებით ხელთა, სრულის ტანით; წარწერა არა აქვთ (იქვე, №17084). ხელობა უკეთესია, ვიდრე წინა ფირფიტასი.

11. **საცეცხლური,** ვერცხლისა, ლამაზი ხელობისა, რომლის კორპუსი დაყოფილია გრეხილიან თაღებად და თაღებში წარმოდგენილნი არიან ფიგურები, ასომთავრული წარწერებით:

წ-ჲ მრკზ, წ-ჲ ლ-კა, წ-ჲ თ-ე, წ-ჲ პ-ე, წ-ჲ პვლე.

თეოდორეს თაღის ზემოდ ბერძნული ასოებია: ბგდ (იხ. №17088).

12. **ხატის** ვერცხლის აშიის ნატეხი, რომელზედაც ასომთავრულით სწერია:

ქ-ე შ-ე კ-ე ჭშტ-რნი.

ეს ნატეხი წინა ნომრის საცეცხლურზეა დადებული და ისე გადმოღებული (იხ. №17088).

13. პატარა, ვერცხლის **ხატი პეტრესი,** ტლანქი.

14. **პატარა, წ-ა გიორგის ხატი,** ტლანქი.

სვიფის ზემოდ არის ეკლესიის ნანგრევები იმ ადგილზე, რომელსაც ჰქვია ფალა. მოსჩანს მხოლოდ ეკლესიის საფუძვლები და ქვები. ერთ ქვაზე არის ასომთავრული წარწერა (იხ. №17116) ცოტა წაბღალული:

ქ . წ-ო გ-ი
შ-ე ადა
მაშჯა
რ

მეორე ქვაზეც მოსჩანს რაღაც წარწერები (იხ. №17116).

სოფელი ლაფსხალდი.

საზოგადო სახე ლაფსხალდის სოფლისა და აქედან ენგურის ხეობისა იხილეთ ფოტ. №17450 და №17451. ლაფსხალდში მიმავალი გზიდან კარგად მოსჩანს მწვერვალი უჟბა. იხილეთ ფოტ. №17452. ამ სოფლის ჩვეულებრივი, ქვის, სვანური ეკლესია მთავარ ანგელოზთა სახელზეა აშენებული. ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ჯვარი,** დიდი, კანკელის საწინავე, სიმაღლით 4 არშინი, განით 24 ვერშოკი. ეს ჯვარი განირჩევა ყველა ასეთი რიგის ჯვარისაგან; აქ ხე ჯვარისა მრგვალია ყველა ნაწილში და არა ბრტყელი; ამასთან ერთობ მძიმეა, ამიტომ დიდი ცდა მოგვინდა, რომ გარედ გამოგვეტანა და ფოტოგრაფია გადმოგვეღო (იხ. №17115). შეძერწილია ირგვლივ ვერცხლის ნაჭრებით, წ¯თა სახეებით და სხვა შემკობილობანით. ჯვარს შერჩენია ქუდიც ანუ გვირგვინი, რომელიც მოგვაგონებს კონუსის მსგავს გუმბათს ქართული ეკლესიისა. ამას გარდა ადგილ-ადგილ ზოგი ნაჭრები შემკობილია

ძვირფასი ქვებით, ჯვარზე ჩამოკიდებულია ბევრი პატარა ბეჭდები, მძივები და მედალიონები, „დრობნიცები“. ყველა ეს მლოცველთა შემოწირულებაა. სხვათა შორის ჯვარზე ჩამოკიდებული იყო ხელის გამოსახულობა ვერცხლისა და პაპმა ამიხსნა, რომ ეს არის ნამდვილი ასლი (კოპიო) თამარ მეფის ხელისაო; ჯვარის შუა ნაწილი უჭირავს უმბოს, რომელიც შემკობილია ხუთი ქვით, ლალით; მის ზემოდ ჯვარია შედგენილი ძვირფასი ქვებით; ამ ჯვარის ზემოდ ხარებაა წარმოდგენილი; ქვემოდ მთავარ ანგელოზნი; კიდევ ქვემოდ ჯვარცმა ვერ არის ლამაზი ხელობისა, მაგრამ მის ქვემოდ მოქცეული მთავარ ანგელოზები და ვედრება უკეთესი ხელობის არის. მარცხენა და მარჯვენა ფრთებზე ჯვარისა უფრო შემკობილებანია, ვიდრე წმიდათა ფიგურები. ერთ ნაჭერზე ხუცური წარწერებია, არა დიდათ ძველი, და ძნელი გასარჩევი:

ქ-ე შ-ე ლანერა ონგასძე .
ქ-ე შ-ე გამკო ნუასძე (?)

2. მეორე კანკელის საწინავე **ჯვარს** ჰქონია ჩვეულებრივი სახე სვანური ჯვარებისა, მაგრამ მისი ვერტიკალური ნაწილი სულ მოძარცულია და დარჩენილია შიშველი ხე, ხოლო ჰორიზონტალური ნაწილი დარჩენილია ხელუხლებლად (იხ. №17102).

აქ შუაში უმბოა მზის სახით, რომელსაც ოთხივეს მხრით პატარა სიმრგვალეები ახლავს. მარჯვნივ და მარცხნივ ორ-ორი მთავარ ანგელოზია, დაბალი ხელობისაა; არე მოოქრული ვერცხლისა შემკობილია რომბ-ლურსმული ორნამენტით.

3. მესამე **ჯვარი** ამვე რიგისა უფრო პატარაა, 67X32 სანტ. შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზედაც არიან უმბოს მარჯვნივ და მარცხნივ: ღვთის მშობელი, წ-ა იოანე და მთავარ ანგელოზნი; ზემოდ: ერთი ფიგურა შიშველი ტანით თითქოს ჯვარცმულს წარმოადგენს, მაგრამ ჯვარი არ სჩანს. უმბოს ქვემოდ წ-ა გიორგი, სრულის ტანით, ანუ წ-ა თეოდორე (წარწერა არა აქვს); მის ქვემოდ ღვთის მშობელი; ხელობა დაბალია (იხ. №17090).

4. ფრიად დიდი და მძიმე **ჯვარი,** კანკელის საწინავე, რომელიც მიჯაჭვულია ეკლესიის კედელზე და ამიტომ ჩვენ ვერ გამოვიტანეთ გარეთ, რომ ფოტოგრაფია გადმოგვეღო, მაგრამ დიდათ საინტერესო არაა, ვინაიდან ქვემოდ სულ მოძარცულია; ზემო ნაწილი დაცულია და მათზე წარმოდგენილნი ორი წ-ა გიორგი და სხვა წმიდათა ფიგურები დაბალი ხელობის არის.

5. **ჯვარი** შუა ზომისა, 70,5X33 სანტ. ჯვარცმულის ფიგურით და სხვათა წმიდათა მედალიონებით, დაბალი ხელობისა არის.

6. **ჯვარი** ხისა, 38X28 სანტ. შეძერწილი ვერცხლის ფირფიტებით; შუაში უზის ოთხი ძვირფასი ქვა; ზემოდ და ქვემოდ ორი წმიდანია; მარჯვნივ და მარცხნივ მთავარ ანგელოზები; დაბალი ხელობისა არის.

7. ამგვარივე **ჯვარი,** 49X24 სანტ. კიდევ უფრო ტლანქია, ვიდრე წინა ორი ჯვარი.

8. **ჯვარი,** ზორბა, გამოსასვენებელი, ვერცხლიდან ჩამოსხმული, მოოქრული, 49X30 სანტ. ფრიად თავისებური სახისა არის, რომლის მსგავსი საქართველოს სხვა კუთხეებში არა გვხვდება (იხ. ფოტ. №№17108 და 17107, აგრეთვე უვაროვისა, გვ. 89-90, ტაბ. XXIII, №№ 39, 40). მარჯვენა და მარცხენა მკლავები ჯვარისა ჩამოღუნულია და ქვემო მკლავი მოღუნულია მარცხნივ, ასე რომ გამოდის არა სწორი ფორმა ჯვარისა, მაგრამ ეს კი არ აფუჭებს სილამაზის შთაბეჭდილებას და ამგვარად გამოდის სრული და მხატვრული ნაწარმოები.

შუაში ჯვარი ვიწროა, მკლავები გაფართოებულია თანდათანობით და თავებიან პალმეტებით, რომელნიც ცალკე არიან გაჭედილი და შემდეგ მიმაგრებული ბოლოებზე; შინაგანი წვერები ჯვარისა, პალმეტების წინ, შემკობილია სუმბულის გვარი ორნამენტით. წინა პირზე, შუაში, წარმოდგენილია ჯვარცმა, რვა-მკლავიან ჯვარზე წარწერით: ესე არს მ-ფჱ ჰ-რთ. ტანი ქრისტეს ერთობ გამხდარია, განწლეული, მაგრამ პირის სახე დაწყნარებული, უმტკივნო, თავი – გრძელის თმით, სახე – წვერით, თვალები მინაბული; ხელების გასწვრივ ქრისტესა მზე და მთვარეა; ჯვარის მკლავების მარჯვენა და მარცხენა ბოლოებში ღვთის მშობელი, რომელსაც ხელით კაბის წვერი აუწევია, რომ თვალები დაიფაროს, ან ცრემლები ამოიხოცოს, და მარჯვნივ იოანე ღვთის მეტყველი, ახალგაზრდა, მაგრამ წვერიანი, სახარებით მარცხენა ხელში, მარჯვენა კი პირზე მიუდვია მწუხარების ნიშნად. წარწერები ფიგურებისა ასომთავრულით: წ-ჲ მ-მ (მარიამ), წ-ჲ ივ-ნე. ზემოდ მთავარ ანგელოზია, სრულის ტანით, ხელებ აპყრობილი და წარწერით: წ-ჲ მ-ქლ. ქვემოდ ადამის თავია, წარწერით: ადამ. ჯვარს ქვემოდ წაწვეტიანებული სახელური აქვს ხეტარზე ჩამოსაცმელად.

მეორე პირზე ჯვარისა (იხ. №17107), შუაში წარმოდგენილია ღვთის მშობელი ჩჩვილედი, მთელის ტანით; მისი კორპუსი მარცხნით არის მოქცეული, წარწერა: წ-ჲ მ-მ (მარიამ), ჲ-ჯ ქ-ე, მარჯვნივ: მთავარ ანგელოზი გაბრიელ: წ-ჲ გ-ბ. ზემოდ წარმოდგენილია მთელის ტანით მაცხოვარი, უწვერო, მაკურთხეველის მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში, წარწერა: მ-ცხრი ყ-ლთა. ქვემოდ წარმოდგენილია წელსზევითი ფიგურა წ-ა ნიკოლოზისა, წარწერით: წ-ჲ ნკ-ლზ. გრ. უვაროვისას მიაჩნია ჯვარი რომაულის რიგის ჯვარად და მიაკუთვნებს მე-13 საუკუნეს (გვ. 89-90), მაგრამ წარწერების ხასიათი და მომდარე ხელობა ფიგურებისა უფრო მე-14 საუკუნეს უდნა უჩვენებდენ.

9. **ხატი მთავარ ანგელოზის მიქაელისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 84X46 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, საომარ ტანისამოსით და დიდის ფრთებით; მარჯვენა ხელში ამოწვდილი ხმალი აქვს, მხარზე შედებული; მარცხენა ხელში ხმლის ქარქაში უჭირავს; ხშირი თმა უვლის მთელს სახეს და ჩამოსდის ყელამდის კიკინებად; თავის წრე სანახევროდ მოსჩანს, ვინაიდან ნახევარი ფრთებით არის დაფარული. ფეხს ქვეშ ნოხი უგია; აშია ორია; ერთი შინაგანი ქვემო ნაწილში ფრთებამდის; მეორე გარეგანი; ორივე ბალახოვანი შემკობილობისაა და მოყვითლულია. მედალიონები აშიებისა პატარანია და მათში წარმოდგენილნი არიან წელსზევითნი ფიგურები: ზემოდ ქრისტესი, მთავარ ანგელოზებითურთ, ღვთის მშობლისა და იოანე ნათლის მცემელისა (მარცხნივ), პეტრე და პავლესი (მარჯვნივ). ზემოდ, დიდ „დრობნიცებში“ ასომთავრული წარწერაა: ქ წა თვრენგელოზი (sic):

მიქელ : ცჴემნრისა (იხ. №17106). ცჴემნი იგივეა რაც ცჴემნარი ანუ ცხემლნარი. დ. ბაქრაძე მართალია, რომ სახელწოდება თემისა ცხომარი აქედან უნდა წარმოსდგებოდესო (დ. ბაქრაძე, გვ. 72). ქვემოდ სამ-სტრიქონიანი წარწერაა. მესამე სტრიქონს აკლია, მაგრამ ერთი ორი ნატეხი ნაკლული წარწერისა მე ვიპოვე ზანდუკში სხვა ხურდამურდასთან არეული და თავის ადგილზე მივაჭედე, მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც ხატი უკვე გადმოღებული გვქონდა და ამიტომ ჩვენს ფოტოგრაფიაზე არა სჩანს. დ. ბაქრაძეს ეს წარწერა ხელით გადმოუღია (იხ. დამატება №16 ად გვ. 72):

ნიშნად ზოგჯერ იხმარება სამი და ოთხი ვერტიკალურად გაწყობილი წერტილი. ჩვენ ვტოვებთ მარტო ორ-ორ წერტილს.

ქ . წა : თვრენგელოზო (sic): მეჴ და : ფრველ : ექმე :
დადიანი : გურიელს : სვნთ : ერ
ისთეს (sic) : მანდატურთ : უჴუცესა : შამ¯დვლს : შ·ნ :
ღ·ნ : ა·ნ : თნა : მემცჴდრეს
მისა : დედო (ეს ორი სიტყვა მარცხენა აშიაზე სწერია)
ფლს : ა·ნს : შ·ნ : ღ·ნ : ძე [მათი : ლიპარი :] გაზ·რ-
დენი : ღმერთო : ოქრომჭედლსა : ყ
იზიასა შ·ნ ღ·ნ (ეს სამი სიტყვა მარჯვენა აშიაზე სწერია).

უქარაგმოდ და შესწორებით:

წმიდაო (მ)თავარ ანგელოზო, მეოჴ და (მ)ფარველ ექმე(ნ) დადიან-გურიელს, სვანთა ერისთავთა ერისთავს, მანდატურთუჴუცესსა შამანდავლეს, შეუნდვენ ღმერთმან, თანამეცხედრეს მისა, დედოფალს ანას. შეუნდვენ ღმერთმან, ძე [მათი ლიპარი] გაზარდენი ღმერთო. ოქრომჭედელსა ყიზისა შეუნდვენ ღმერთმან.

ამ წარწერაში მოხსენებული შამან-დავლე არის დადიანი შამან-დავლე პირველი, რომელიც დადიანობდა 1470-1474 წლებში. მისი შვილი და მემკვიდრე იყო ლიპარი. ტიტული დადიან-გურიელი, მანდატურთ-უხუცესი და სვანთა ერისთავთ ერისთავი მას ტრადიციით მიუთვისებია ამ წარწერაში, თავის წინაპრების მიხედვით, როგორც სამართლიანად განმარტავს დ. ბაქრაძე, თორემ ის არც გურიელი ყოფილა, არც სვანთა ერისთავი და არც მანდატურთ-უხუცესი; ის იყო მხოლოდ დადიანი; შამანდავლე თანამეცხედრით ანნათი მოხსენებულია კიდევ ილორის წარწერაში. ის დამარხულია ხოპში. (Brosset, Voyage, Rapp, VII, p. 95-86. Rapp. XII, p. 69-61, H. G. II, 1 livr.p. 259).

10. **ხატი მთავარ ანგელოზის მიქაელისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 63X46 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია საომარი ტანისამოსით და ამოწვდილი ხმალით მარჯვენა ხელში; მარცხენა ხელში უკავია ქარქაში; გრძელს თმას მოცული აქვს შუბლი, ლოყები და ჩამოსულია ყელამდის. საზოგადოთ, კომპოზიცია წინა ხატისა აქვს; თავზე ნახევარი წრე აქვს მოვლებული; ფონი ბალახოვანი ორნამენტით არის შემკობილი. ჩარჩო ხატისა უფრო ძველია, შემკობილი ფიჭვის კინკრიჟების მსგავსი ორნამენტით (იხ. №17103). ზემოდ ფრთების წარწერაა:

„ქ მთვრნგლზო“.

ქვემოდ აშიაზე ორ-სტრიქონიანი წარწერაა:

ქ : მთავარანგლზო : მმგიბო (sic) : აღშნ : მშნბლ : შნ : ხე
ვ ცხმრს : ა : მნ : ამსაი : მმჭდლს : მ-ხლ-ს : ხ-ბღს (?) :
შ-ნდ : ღმეთ . . .

უქარაგმოდ:

მთავარ ანგელოზო მომგიბო (მომგიბისაო?), აღაშენ(ე) მაშენებელ(ი) შენ(ი) ხევ(ი) ცხომარის(ა), ამინ. ამისაი მომჭედელს(ა) მიხაილს (ანუ მიხეილს) ხაბაღს (ანუ ყაბაღს?) შეუნდვენ ღმერთმ(მან).

ამ წარწერაში ხმოვანი ასოები სიტყვების ბოლოში ხშირად გამოშვებულია. ჯგუფი: „მმგიბო“ უნდა ნიშნავდეს ადგილის სახელს მომგებისაო (?) ან სხვას, რომელიც ჩვენ არ ვიცით.

ასო „ხ“ სამ სხვა და სხვა შემთხვევაში სხვა და სხვა ნაირად არის გამოხატული, ხან უკუღმა, ხან გადმობრუნებულად. ძნელი სათქმელია „ყაბაღს“ უნდა წავიკითხოთ, თუ „ხაბახს“. პირველი ასო თავშეკრულია და ამიტომ ყ-ს მოგვაგონებს, მაგრამ ქვემოდ მოკაუჭებული წრე აქვს, როგორც სხვა ასო „ხ“-ნს ამავე წარწერაში. და ამიტომ საფიქრბელია, აქ შებრუნებული „ხ"-ნია და იგიც დამახინჯებული. ფოტოგრაფიაზე წარწერა კარგად არის გამოსული და მკითხველი ადვილად შეადარებს. თქმა არ უნდა, წარწერა სვანის მიერ არის შესრულებული.

დ. ბაქრაძე ამბობს, ამ წარწერაში მარტო სამი სიტყვა გავარჩიეო (იხ. გვ. 72, დამატება №14, 15). მთავარ ანგელოზის ფეხებს ქვეშ არის კიდევ შემდეგი წარწერა:

ქ რმლმნ . მჭდ : ხ-ტ . ეს : ოქრომჭდლ
მნ : შუნდვ : ღმთო : დ : ო
რთ : შვლთ : მ-სთ : შუნდვნ : ღმრთ : ამნ .
რომელმან მოჭედა ხატი ესე ოქრომჭედელ.
მან შეუნდევ, ღმერთო, და ო-
რთა შვილთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან, ამინ.

ხატი, ჩვენი აზრით, იმავე მე-15 საუკუნეს ეკუთვნის, როგორც წინა ხატი.

11. **ხატი მიქაელ მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 53X46 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სამეფო ტანისამოსით, გრძელის ფრთებით, ლაბარუმით მარჯვენა ხელში და ბურთით მარცხენაში; ხშირი თმა ჰფარავს შუბლს და ჩამოდის ყელამდე კიკინებით; ზემოდ ორ წრეში წარწერაა: წ-ჲ მ-ქალ. ფონი სადაა (იხ. №17105). ჩარჩო ფართოა, რომბ-ლურსმული ორნამენტით შემკობილი, რვა მედალიონით, რომლებშიაც წარმოდგენილნი არიან ზემოდ: მაცხოვარი, მიქელ მთავარ ანგელოზი და წ-ა იოანე; ქვემოდ, შუაში წ¯ა გიორგი ცხენით, ადამიანს გმირავს; მარცხნივ წ-ა მარინე; მარჯვნივ: „წ-ჲ ჲოვნე“; მარცხენა აშიაზე: დ დჲ ღ-ჲ, ხელებ აპყრობილი სავედრებლად; მარჯვენა აშიაზე გაბრიელ მთავარ ანგელოზი წელმოხრილი და ხელებ გაშვერილი სავედრებლად; ქვემოდ წარწერაა, რომელშიაც ო და უ ერთნაირად ო-ნით არის გამოხატული:

წ-ო მთავარანგელოზო(sic) შ-ე მქ-ლ თუმანი ამ-ნ.

ხატი მე-16 საუკუნის უნდა იყოს, როგორც №10 სვიფის ხატის ერთის ნაწილისა.

12. **ხატი მიქაელ მთავარ ანგელოზისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 27,5X22 სანტ. მთავარ ანგელოზი კვარცხლბეკზეა დამდგარი, მდიდრულ სამეფო ტანისამოსით და გრძელის ფრთებით, ლაბარუმით და ბურთით; ხშირი თმა აქვს, რომელიც შუბლს ფარავს და ყელამდის ჩამოდის; თმიდან, ორივე მხარეს, თმაში გაყრილი ქინძის თავები გამოდის; თავის წრე დიდია; აქეთ-იქით წარწერაა: წ̄Ა მქ̄Ლ. ჩარჩო რომბ-ლურსმულია სადა მედალიონებით; ქვემოდ, მარცხნივ ძლივს შესამჩნევი ნაჯღაბნია: „წმდის აგლზის ხატი“. საზოგადოთ ხატი ლამაზი ხელობის არის, მე-15-16 საუკუნისა (№17091).

13. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 46X34 სანტ. წ̄ა გიორგი აქ ფეხოსანია, რომაულ საომარ ტანისამოსით; მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს; მარცხენა მოგრძო ფარზე აქვს დადებული; თმა ხუჭუჭა აქვს; წრე, თავის ირგვლივ, დიდი; ფონი ქსელოვანი, ჯვრებით; აშიები შემკობილი ხლართული რგოლებით ბალახითურთ; ქვემო აშია მოძარცულია, დარჩენილია ხუთი მედალიონი; ზემოდ ვედრებაა; მარჯვნივ და მარცხნივ თითო წმიდანი, უწარწეროდ. ხატს ზემოდ, ნიმბის ორივე მხარეს, რგოლებში აწერია: წ̄ი გ̄ი სუჯსᲐ (სუჯუნისაᲐ). ხატი მე-16 საუკ. უნდა იყოს (№17092).

14. **ხატი წ̄ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 41X34 სანტ. აქ წ̄ა გიორგი ცხენოსანია, მაგრამ ძლივს შესამჩნევი რელიეფით, გვირგვინოსანს გმირავს, რომელსაც უკვე დაუყრია თავის ფარ-ხმალი (№17104). ხატი ძალზე დაჭეჭყილია და ცვილის სარჩული აღარა აქვს. ზემოდ, „დრობნიცებში“ თითქო წარწერაა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არა ქართული. აშიები ბალახოვანის ორნამენტისა აქა-იქ გაფუჭებულია, ქვემოდ სხვა ნაჭრები აქვს დაკერებული; ზემოდ სამი მედალიონია: მაცხოვრისა, წ̄ა მხედრისა და მთავარ ანგელოზისა. ხელობა მდარეა, მე-17 – 18 საუკ.

15. **ხატი იოანე ნათლისმცემლისა,** კარედი, 42X31 სანტ. ფიგურები წამლით ყოფილა დახატული, მაგრამ ეხლა მოშლილია; თვით იოანეს ხატი შუაში ჩასმული, ბერძნულის წარწერით სახელისა; მის ქარტაზედაც ბერძნული წარწერაა. აშია ამ შუა ხატისა გრძელ უჯრებად დაყოფილი სევადით არის შემკობილი. სახე იოანესი სულ გაფუჭებულია (იხ. №17109), იოანეს მარცხნივ წარმოდგენილია ღვთის მშობელი, ბერძნულის წარწერით სახელისა. მარჯვნივ იოანე მახაროებელი, ასომთავრულის წარწერით, რომლისაგან დარჩენილია მხოლოდ: „მ̄ხრბელი“. ზემოდ იოანეს ხატისა კამარას ქვეშ მაცხოვარი ყოფილა, წელსზევითი, ბერძნულის წარწერით სახელისა, მაგრამ შებრუნებული ასოებით. ნიმბი ჯვარის სახისა არის; ქვემოდ მედალიონებში წარმოდგენილნი ყოფილან ასომთავრული წარწერებით: წ̄Ა ი̄რნ (ირინა) წ̄Ა ბ̄რა (ბარბარა), წ̄Ა ეკტრინა (ეკატერინა); ეზო ხატებისა და არა კამარის ირგვლივ შემკობილია ლამაზი ბალახოვანი ხლართულებით. ზურგზე კარედისა წარწერაა (იხ. №17089):

: ქ : წ̄ო : ი̄ნე : ნათლ	წმიდაო იოანე ნათლის
ის მცემ̄ლო : შეიწრე : მ	მცემელო, შეიწირე მცი-
ცირედი :ესე : მკობაი : ჩემ	რედი ესე მკობაი ჩემ

ფოლარიანისა : ცოლისა :	ფოლარიანისა ცოლისა
მარიამისაგან : და ჩემ	მარიამისაგან და ჩემი-
ისა : შვილსა : ჩარგალის	სა შვილისა ჩარგალის-
გან : ად მეჯხ	გან და მეუხ
გუექმენ :.	გუექმენ.

წარწერა დ. ბაქრაძესაც მოყვანილი აქვს (იხ. გვ. 71). ხატი მე-14-15 საუკუნის უნდა იყოს.

16. **ხატი მიქელ მთავარ ანგელოზისა,** 26X18 სანტ. ფიგურა ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ ეხლა დაზიანებულია; ნიმბი, აშიები და მოცულობა ოქროსი დაცულია (იხ. №17111). ნიმბი საუცხოოდ შემკობილია ბალახოვანი ორნამენტით; მის ორივე მხარეს ლამაზი ასომთავრულით აწერია:

წ¯ჲ : მქე მთვრნგლზი ლესკილდშისა.

ასო ს ორივეჯერ უკუღმა სწერია. ქვემოდ ერთ-სტრიქონიანი წარწერა ყოფილა, მაგრამ ბოლო აკლია:

[ქ. წ¯ო მი]ქელ მეოხ დ მფრვლ მყ¯ვ მსვს შნს . . . .
ასო ს აქაც ყოველთვის უკუღმა სწერია.
აშიები უჯრედად დაყოფილი, შეცვლით, სევადით და ბალახოვანის ორნამენტით არის შემკობილი. ხატი მე-12-13 საუკუნის უნდა იყოს.

17. **ხატი წ¯ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 26X18 სანტ. სულ მოშლილია; დარჩენილია თავი ნიმბით და ხუჭუჭა თმით, და წარწერით: წ¯ჲ გ¯ი. მარჯვნივ დარჩენილი ფონის ნაწილი შემკობილია ვენახოვანი ორნამენტით. აშიები, აგრეთვე შემკობილი ორ-ფლოქოვან ზოლებს შუა, დაცულია, გარდა ქემო ნაწილისა
და მარცხენა მხარის ქვემო კუთხისა (იხ. №17111). ალბათ ამ ხატს ეკუთვნის ხუცური წარწერის ნაწყვეტი, რომელიც მე სკივრში ვიპოვე:
. . . ველ ექმენ : ა . . . არ : კჯრ . . .

18. **ხატი წ¯ა ნიკოლოზისა,** 24X17 სანტ. ოქროსი; ფიგურა წამლით დახატული მოშლილია; ნიმბი ყოფილა შემკობილი სევადიანი ტალღისებური ორნამენტით. ფონი და აშიები საუცხოო ნაჭედი ორნამენტებით ბროწეულის ყვავილებისა სრულიად დაცულია. ნიმბის აქეთ-იქით, გრეხილოვან წრეებში, წარწერაა ერთობ ლამაზი ასომთავრულით: წ¯ი ნკ¯ზ (იხ. №17110). ხატი მე-12 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

19. **ხატი წ¯ა გიორგისა,** ოქროსი, 27X20 სანტ. წმიდანი ფეხოსანია, შუბით და ფარით; თავის წრე, წერტილოვანი, დიდია. წარწერა: წ¯ჲ გ¯ი. აშიები რელიეფური კრინკიჟებით შემკობილი დაცულია სამ მხარეს; ქვემოდ და მარჯვენა მხარეს აკლია. ფიგურა გიორგისა დაბალი ხელობისაა, მე-17-18 საუკუნისა (იხ. №17110).

20. **ხატი ორთა ეკლესიის მამათა,** ვერცხლის ფირფიტაზე, 17X15 სანტ. დაბალი ხელობისა (№17090).

21. **ხატი წ¯ა გიორგისა და წ¯ა დიმიტრისა,** სრულის ტანით, წარწერებით: წ¯ჲ გ¯ი, წ¯ჲ დ¯ი. ვერცხლისა, 11X9 სანტ. უფრო ახალი დროისაა (№17090).

22. **ხატი მთავარ ანგელოზ გაბრიელისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 43X34 სანტ. მთავარ ანგელოზი წარმოდგენილია სრულის ტანით, ლაბარუმით და შუბით. წარწერა: გბ¯ლ მგ¯ეი. გვარიანი ნახელავია, მაგრამ შვიდი მედალიონის ფიგურები აშიებზე წმიდათა ტლანქი ხელობისაა. ქვემოდ ხუცური წარწერაა:

ჯხს შევ¯ნდვ ¯ნ ღ¯ნ. ესე იგი „ჯავახს შეუნდვენ ღმერთმან“.

23. ორი გულის **ხატი მთავარ ანგელოზ გაბრიელისა,** 7,5X6 სანტ. თითო; ტლანქი ხელობის არის.

24. პატარა, მაგრამ ფრიად ლამაზი **სპილენძის ზარი,** 26 სანტ. სიმაღლით; უკვე გაბზარულია (იხ. №17093).

25. დიდი, თუჯის **ზარი,** ლათინურის წარწერით, რომელიც დ. ბაქრაძესაც აქვს მოყვანილი (გვ. 71):

AVE MARIA GRACIA PLENA DOMINUS (TECUM)

26. **სადაფი** (№17090).

27. **სახარება ეტრატზე,** 29,5X22 სანტ. ხის ყდით, რომელზედაც გადაკრული ყოფილა ფარჩა (ეხლა უკვე გამქრალი), ხოლო მის ზემოდ მოოქრული ვერცხლის ფურცელი, ნაჭედი სახეებით და შემკობილობით სოსანის ყვავილებისა.

წინა პირზე წარმოდგენილია მაცხოვარი, სკამის მსგავს ტახტზე მჯდომარე, სახარებით მარცხენა ხელში და მაკურთხევლის მარჯვენით. ნიმბი ჯვარის სახისა აქვს, ბერძნულის წარწერით სახელისა. ტახტი დაბალია, მუხლოვანად შემკობილი, მუთაქით ზემოდ. აშიები ისეთივე შემკობილობის არის, როგორც ოთხკუთხედი ქრისტეს ფიგურით და ოთხი მედალიონით მახარობელთა კუთხეებში. წარწერა ბერძნულია. მარცხენა აშია დაკარგულია და შემდეგ ამოუვსიათ ვერცხლის ზოლებით.

წინა პირზე მოიპოება კიდევ ვერცხლის პატარა „როზეტები“, სულ 13 როზეტია და სხვები აკლია. კუთხეებში, ამას გარდა, შუა ოთხკუთხედთან ყოფილა შემაერთებელი, ჩანგის მსგავსი ფიგურები, მაგრამ დარჩენილია ერთი მარცხენა მხარეს, დაბლა; და ორი ამ გვარივე, მაცხოვრის ოთხკუთხედში, დაბლა (იხ. ფოტ. №17112).

მეორე გვერდი ყდისა თავის შემკობილობით სრულიად იგივეა, რაც წინა პირი, მხოლოდ აქ შემკობილს ოთხკუთხედში ჯვარცმაა წარმოდგენილი, მაგრამ ქვემო ნაწილი ჯვარცმულისა სრულიად მოშლილია. ჯვარცმულის ხელების გასწვრივ

მედალიონებში ღვთის მშობელი და იოანე მახარობელია; ჯვარცმულის ზემო მედალიონში მთავარ ანგელოზია, ეხლა დაზიანებული. პატარა როზეტების რიცხვი აქ რვა არის, ხოლო ჩანგის მაგგვარი ორნამენტი სამია დარჩენილი, თითო მარცხენა კუთხეებში აშიისა, და ერთი ზემოდ, მარცხენა კუთხეში ოთხკუთხედისა. კვადრატის აშია აქ სამს ადგილას ისეთი ვერცხლის ზოლებით არის ამოვსებული, როგორც წინა პირის მარცხენა აშია. მარჯვენა კუთხეც ზემო დიდი აშიისა ცოტა მანძილზე ამგვარათვე არის შეკეთებული. ოთხი კუთხის მედალიონებიდან მახარობელთა დარჩენილია ერთი მთელი, დაბლა, მარჯვენა კუთხეში, და ნახევარი ზემოდ, მარცხენა კუთხეში (იხ. ფოტ. №17113).

ტექსტი სახარებისა ნაწერია ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად; სვეტზე 21 სტრიქონია; თავში მოყვანილია ევსების წერილი კარპიანესთან: ევსები : კარპიანეს : სყრ ̄ლსა : ძმასა : ო ̄ისა მიერ გიკითხავ. (ეს სინგურით სწერია).

ყველა სახარების წინ ნუსხაა თავებისა. შემდეგ ფერადოვანი სურათი მახარობელისა, მაგრამ ამათგან მხოლოდ ორია დაცული (ერთი მათესი, იხ. №17096); სხვა მოუპარავთ (უვაროვის დროს ყველა იყო დაცული). მოუპარავთ აგრეთვე ფერადებით შემკობილნი კანონებიც. გარდა ხუთისა (ამათგან სამი იხ. №№17094, 17097, 17098).

ყველა სახარებას აქვს თავის მეთაური ფერადოვანი მხატვრობა, „ზასტავკა“ (ამათგან ორი, ერთი მათეს თავისა, იხ №17099, მეორე მარკოზის თავისა იხ. №17095). მხატვრობა საზოგადოთ ხელოვნურად და ფრიად ლამაზად არის შესრულებული სხვა და სხვა ფერადებით.

სახარების ტექსტის ბოლო იხ. ფოტოგრაფია №17100. აქ არის მოქცეული იოანეს სახარების მე-21 თავის მე-21-25 სტიხები.

სახარების ტექსტის დასასრულს ტექსტის ხელით შემდეგი ბოლოსიტყვაობაა მოყვანილი (იხ. ფოტ. №17101 და 17114):

სახელითა ღ ̄თისაჲთა მ ̄მისა ძისა და ს ̄ლისა წ ̄ სჲთა :
მეოხებითა ყ ̄დ წ ̄ისა ღთსმშჳელისაჲთა ძალითა პატი-
ოსნისა და ცხოველის მყოფელისა ჯ ̄რისაჲთა, წმიდათა
მთავარანგელოზთა მიქაელისითა და გაბრიელისითა წ-ისა
წინასწარმეტყველისა წინამორბედისა და ნათლის მცე-
მელისა იოანესითა წ ̄თა მცქლთა წინასწარ მეტყუელთა
მღდელ მოძღუართა მოწამეთა მამათა მამათ მთავართა
და ყოველთა წ ̄თა ზეცისა და ქუეყენისაჲთა. რომელნი
საუკუნითგან სათნო ეყვნეს უფალსა ჩუენსა ი ̄ჴ ქე ̄სა.
ამათ ყოველთა წ ̄თა მადლითა და შეწევნითა დავწერე
ანდერძი ესე ამა წმიდასა სახარებისა შინა მეფისა მოძ-
ღუარმან ბერმან ილნრიონ(sic) სოფრომის ძემან მას
ჟამსა ოდეს პატრონმან დ ̄თ მეფემან ძემან რუსუდა-
ნისამან ოპიზით წამომიყანეს და გელათს ქედს წ ̄თა
მთავარანგელოზთა წ ̄ე მამყოფეს ესე წ ̄ჲ სახარებაჲ
მიბოძეს და ვითა მმართებდა მათად სადიდებლად და
სალოცავად ქედს წ ̄თა (აქამდის ამ ანდერძის ფოტო-
გრაფია იხ. № 17101). მთავარანგელოზთა შევსწირე და
მათსა ეკლესიასა დავდევ და რომელი ჩემგან ეგებოდა

მათითა ნაბოძვარითა რაჲცა აკლდა ესე სახარებაჲ შეჰ-
კაზმე და ბარძიმ ფეშხუმი ხჳრი და კოვზი ვერცხლისაჲ
სიწმიდის სამსახური სრული ლავრისაჲ ხატი წ-თა მთა-
ვარანგელოზთაჲ მომცროჲ დავახატვინე და მოვაჭედი-
ნე სამღდელოჲ ესე ყუჩლაჲ პატრონისა ნაბოძვარითა მა-
თად სადიდებოდ და სალოცავად ვქმენ და ესეცა გა-
ვაჩინე წ-თა მთავარანგელოზთა წ-ე ოთხნი სანთელნი
და ოთხნი კანდელნი სანთებად პატრონისათჳსვე ; აწ
ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან ამა წმიდისა სახარე-
ბისა და ესე რაჲცა ზემოჲთ დაგჳწერია ამათ წ-თა მთა-
ვარანგელოზთა ეკლესიისგან გამოღებად ანუ გამოჴუჩ-
ბად ანუ შეცვლად რაჲსაცა მიზეზისა მიღებითა ჴელ-
ყოს და დააკლოს ჰრისხავსმცა მამაჲ და ძე და სული
წ-ჲ და ყოვლად წმიდა ხახულისა ღ-თისმშობელი წ¯ნი
მთავარანგელოზნი მიქელ და გაბრიელ და ესე ზემო
წერილნი ყოველნი წ-ნი ღ-თისანი და კანონსამცა ქუჩ-
შე არს წ-თა მოციქულთა და მღდელთ მოძღრთასა :.
დაკრულამცა არს დაუსაბამოჲსა ღ-ის პირითა და ოდეს
ყ-ნი კრ-ლნი გაჴსნენ დღესა მას საშინელსა განკითხვი-
სასა იგიმცა ნუ განიჴსნების ყ¯თა ღ-თისა უვარის მყო-
ფელთა და შემცოდეთა თანამცა დაისაჯების სული მი-
სი[1] საუკუნოდ უ-კე და ვინცა მტკიცედ და უცვალებ-
ლად იპყრას ესე ყოველივე მადლი და კურთხევაჲ ღ-ჲ
და ამა წ-თა მთავარანგელოზთაჲ იყავნ მ-ს ზ-ა და საუ-
კუნომცა არს სჴსენებელი მისი. და ვინცა კაცი რაჲსაცა
მიზეზისთჳს ამის ანდერძისა შეშლასა და ანუ ამოკუჩ -
თასა ეცადოს კრულმცა არს ღ-თისა მადლითა და ამათ
ზემო დაწერილთა კანონთამცა ქუჩშე არს:. [2.]

შემდეგ მოყვანილია ცნობილი ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა. ჩვენ ეს ანდერძი, როგორც ჩვეულებრივი, არ მოგვყავს; დ. ბაქრაძეს (იხ. გვ. 74) და ა. ხახანაშვილს (გვ. 15) მოყვანილი აქვსთ.

ამით მტკიცდება, რომ ტექსტი ჩვენი სახარებისა გიორგის რედაქციის არის. გიორგის ანდერძის ბოლოს ტექსტის ხელით და კინოვარით, წვრილის ხელით სწერია:

წ-ნო ღ-თისანო ვინცა მიემთხჳნეთ წ-ა ამას სახარება-
სა ლოცვა ყავ მდაბალთა მონაზონთა ი-ნე და სჳმეო-
ნისთჳს :.

მათეს სახარების ბოლოს სწერია:

ქ ქ-ე შ-ე ს-ლი ჩემ ცდვლისა სტ-ფნესი :.

იქ, სადაც თავდება მათეს სახარების თავების ჩამოთვლა, მხედრულის ხელით მეცამეტე საუკუნისა სწერია:

ქ . სახელითა ღ-თისაითა ცაიშის ღ¯თის მშობლისაითა

თვესა სეკდბრსა ათხუთმეტსა მე ცაიშელი მთავარების-
კოპოსი დანიელი ლაბსაყელდასა მივ(ე)დი ვაკ(უ)რთხე
მთავარანგელოზი ლაბსაყელდაშისა დემეტრე მეფისა
მეფობასა შიგა ერისთავთ ერისთავისა დად(ი)ანისა ოზ-
ბ(ე)გისა ბრძანებითა და მოწმებითა და ცხ(ო)მ(ა)რისა

1 აქედან ანდერძის ბოლოს ფოტოგრაფია იხ. 1614.
2 შეადარე დ. ბაქრაძე, გვ. 74-65 და ა. ხახანაშვილი, გვ.15.

ჴევნმან დაუწერეთ მთავარანგელოზსა ლაბსყელდაშისა
საპ(ა)ტიჟუი ზ(ღ)უდესა შიგნით სამოც და ათასისა თეთ-
(რისა) საპ(ა)ტიჟუი მას გარე საპ(ა)ტიჟუი სადა სარ(ე)კ-
ლისა ჴმაი ისმის რვაი ათ(ა)სისა თეთრ(ი)სა მისი საპ(ა)-
ტიჟუი დაგვსა ჭიხუაშისა და ხანსისა. შვა ოთხი ათა-
სისა თეთრსა საპ(ა)ტ(ი)ჟუი დაგვ(ი)ცსა. მე ცაიშელ
მთავარებ(ი)სკ(ო)პ(ო)სმან დანიელ ვ(ა)მტკიცე და ჭ-ნ
(sic) ერთობილთა ჴევთა ცხრომისათა მეფეთ დადიანსა
ბრძანებ(ი)თა . ვინც გა(ა)მ(ა)გრესა კურთხეულიმც არსა
ვინც შესცვ(ა)ლოსა კურლმცა არს ღ-თისა მ(ა)დლითა.
მე კაკასატასა დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამა
სიგელისა .

პირველ გვერდზე ამას ემატება:

ქ . ვინც დამნ(ა)ხველი ჭ-ნ შოვა გამოჭნდესა (sic) ან
ღვშდა (= ხვაშიადი (?) გაგვმჟღონოსა ათ(ა)სისა თეთ-
რისა საპ(ა)ტიჟუი გარდავ(ა)ჴდევ(ი)ნოთ მთავარანგე-
ლოზსა გ(ა)ნმომსროლი იყოს[1].

როგორც სჩანს მონაწერებიდან, ლაფსხალდის სახარების ისტორია მოკლედ ასეთია: სახარება, უნდა ვიფიქროთ, გადაუწერიათ ორს ბერს, იოანეს და სჯმეონს, რომელნიც თავიანთ თავს იხსენიებენ ტექსტის ხელითვე მინაწერში იოანეს სახარების ბოლოს. მაგრამ სად და როდის არის დაწერილი სახარება, მოხსენებული არ არის სამწუხაროდ. ეს საძიებელია; სახარება ჰკუთვნებია მეფე დავით ნარინს, რუსუდანის ძეს, (1243-1293), რომელსაც ის უბოძებია თავის მოძღვრის, ბერის ილარიონ სოფრომისძისათვის. ეს ბერი მას გადმოუყვანია განთქმული კლარჯეთის მონასტრის ოპიზიდან და დაუდგენია ქედის მთავარ ანგელოზთა ეკლესიაში, რომელიც დღესაც არსებობს კლდოვან ქედზე, გელათის ზემოდ, აღმოსავლეთით, სულ ახლოს გელათის მონასტრისა. ეს უნდა მომხდარ იყოს მას შემდეგ, რაც დავით ნარინი გამეფდა იმერეთში, ესე იგი, 1258 წლის შემდეგ.

ილარიონ სოფრომის-ძეს, დავითის მიერვე ნაბოძვარით, ქედის ეკლესია გაუმდიდრებია წირვის იარაღით, სამღვდელო შესამოსლით, მთავარ ანგელოზთა ხატით და საწინასწარმეტყველო წიგნით და ეს სახარებაც, „რაჲცა აკლდა“,

შეუკაზმავს და ქედის ეკლესიაში დაუდვია. მის ანდერძში მოხსენებული არ არის, რაში გამოიხატებოდა ეს შეკაზმვა, რა აკლდა სახარებას? შეკაზმვა ხელნაწერისა საზოგადოთ გულისხმობს ყდის გაკეთებას და მხატვრობით გამშვენიერებას და გამდიდრებას. ცალკე ფურცლებზე მოქცეულნი მხატვრობანი, მაგალითად, მოციქულთა სურათები, ფერადოვანი კანონები და ცალკე სცენები სახარებისა ხშირად ცალკე მუშავდებოდა და შემდეგ უმატებდენ ხელნაწერს. ზოგჯერ ასეთი სურათები მზამზარეული ბიზანტიიდან მოდიოდა, მაგრამ როდესაც მხატვრობა ტექსტთან არის შეკავშირებული, როგორიც არის მეთაური მხატვრობანი

1 მთელი ეს მხედრული ხელით მინაწერები დ. ბაქრაძეს არ მოჰყავს. ა. ხახანაშვილს მოჰყავს, გარდა პირველ გვერდზე მინაწერისა (იხ. გვ. 16), მაგრამ ჩვენს და მის კითხვაში იმდენი განსხვავებაა, რომ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს; მკითხველმა თვით უნდა შეადაროს.

(„ზასტავკები“), შიგ ტექსტში მოქცეულნი ანუ აშიებზე მოთავსებულნი მხატვრობანი, ამათი ცალკე შემენა და ხელნაწერში ჩამატება შეუძლებელი იყო.

ჩვენს ხელნაწერში ყველა ფერადიანი მხატვრობა ერთი რიგის არის სახარებათა მეთაურ მხატვრობასთან, „ზასტავკებთან“, შედარებით. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ფერადოვანი მხატვრობა უკვე იყო სახარებაში, როდესაც ილარიონმა სახარება მიიღო მეფისაგან. მაშასადამე, მას ეკუთვნის ნაჭედი ვერცხლის ყდის გაკეთება. ამრიგად, ყდა მე-13 საუკუნის მეორე ნახევრის უნდა იყოს.

ხელნაწერის თარიღის გამოსარკვევად მარტო წერის ხასიათის და მხატვრობათა რიგის, სტილის მიხედვით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ერთიც და მეორეც, ჩვენის აზრით, მე-12-13 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, და არა მე-11-ს, როგორც დ. ბაქრაძეს (გვ. 77) და ა. ხახანაშვილს (გვ. 16) ჰგონიათ. უვაროვისა მე-13 საუკ. აკუთვნებს, მაგრამ მას ილარიონის მინაწერი ისე გაუგია, თითქოს ხელნაწერის გადაწერის დროს უჩვენებდეს (გვ. 152).

მეორე, მხედრული მინაწერიც ფრიად საყურადღებოა. თავდაპირველად ის უჩვენებს, რომ ლაფსხალდის ეკლესია მე-13 საუკუნეში აუშენებიათ და ის უკურთხებია 15 სექტემბერს ცაიშის მთავარ ეპისკოპოსს დანიელს, დავით ნარინისავე მეფობაში, რაც უნდა მომხდარ იყო 1258-1293 წლებს შუა; და რაკი მის ფურცელზე ლაფსხალდის ეკლესიისათვის განჩინება დაუწერიათ, ალბათ სახარებაც მის საკუთრებად დაუტოვებიათ. მაშასადამე, ის დიდ ხანს ქედის ეკლესიაში აღარ დარჩენილა. ამ დროს სადადიშკელიანო სვანეთის ეკლესიები, როგორც ირკვევა, ცაგერის ეპისკოპოსის სამწყოს არ შეადგენდენ, არამედ სამეგრელოზე ყოფილ არიან მიწერილნი. აგრეთვე ხელისუფლება აქ დადიანებს ჰკუთვნებიათ. თავის თავად ეს განაჩენი შეადგენს უძველეს კანონს სვანეთის ეკლესიისა, სადაც განმარტებულია, თუ რა ჯარიმა უნდა გაიღოს ეკლესიის სასარგებლოდ, ვინც მას უპატიობას მიაყენებს ეკლესიის ზღუდეს შიგნით, თუ გარედ, სანამდის სარეკლისა ხმაი ისმის. სარეკელი აქ ზარს კი არ ნიშნავს, როგორც ა. ხახანაშვილს ჰგონია, არამედ ფიცრის სარეკელს, რომელიც ზარის მაგიერ იხმარებოდა ძველს დროში.

ეს განაჩენი დანიელ ცაიშელს თავის ინიციატივით კი არ დაუდვია, არამედ მეფისა და დადიანის ბრძანებით. ესეც ფრიად საყურადღებო ფაქტია, რომელიც მოწმობს, რომ მეფეს უფლება არა ჰქონია დადიანის უდასტუროდ ასეთი განჩინება

დაედვა. ერთი ამ აქტის მსგავსი განჩინება ლარგვისის მონასტრისათვის ჩვენ უკვე გამოვეცით (იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 555-561). შესაძლოა, ილარიონ სოფრომის ძე სვანი იყო და ეს სახარება უანდერძა ლაფსხალდის ეკლესიას.

განჩინება ცხომარის ხევისა.

ცხომარის თემს ეკუთვნის ერთი ხელშეკრულების წერილი, რომელიც ჩვენ ვნახეთ დეკანოზის იოანნე მარგიანის სახლში, ხელშეკრულობა დაწერილია ეტრატზე, შეიცავს ორ ფურცელს; ეტყობა, ამოღებულია ტყავის წიგნიდან. მეორე ფურცელი დაუწერელია; პირველ გვერდზე მხედრულის ხელით მე-15 საუკუნისა, შემდეგი განჩინებაა მოთავსებული, რომელიც ჩვენ უცვლელად მოგვყავს:

ქ : სახელითა ღთისაითა დაშეწონითა და ბრძანებითა
მთავარანგელოზისა ლაგსაყელდაშისა შეწეონითა და-
ვოწერეთ და დაოდევით დაწერილი ესე მტკიცე და ოქ-
ცველი დროი დაოდებელი მიზეზი შემო(უ)დებელი რა-
სა გინდა ჟამსა შემოსროლობასათვისა შეოცვლებელი
ჩ-ენ ცხმრისა ჯე-ომან ქვანსა და ხანსარასა შოვა მსხდო-
მარეთა ცხმრასა მიწასა ზედა მსხდომარეთა ერთობ ყო-
ველთა დიდთა და მცირეთა ერთობლათა ერ(თ)მან
ერთისა ნდომითა და მოწმებითა მას ჟამსა ოდეს ღო-
ღელოჟგი მოსაგებლასა შემოგვ(ე)ცილნესა მერმე მო-
ვიგონეთა დავ(ი)მ(ა)გრეთ რაც ცხრმასა ამას იქითა მო-
საგებელი იქნასა და გ(ა)მოსჩნდესა ან გამოჩინებული
ჩანსა ყველი მთავ(ა)რანგელოზსადა დაგვ(ი)ცსა მთავარ-
ანგელოზისა იყოს . შვალად მთავარანგელოზი იყოს,
შვლადა მთავარ ანგელოზი დაგვისამსა ვინცა ამას შე-
მოგვეცილოს ან მთავარ ანგელოზსა ან ცხმრისა ჯე¯ოსა
და რაი მთავარნგელოზი არასა და ცხმრისა ჯევი გინდა
ვ¯ნ შემოგკვდესა გინდა ვინ გამოძ(ა)რცოთ გინდა ვისა
ალ(ა)ფი წ(ა)ოღოთა რაი გინდა ობ-ლოი საშ(ი)ნელი
საქმე მოჰყვესა რაგინდა გგრძლდესა და გაძნელდესა
ვინც მთავარ ანგელოზსა მოსაგებელსა არა ერთოსა
მთავარანგელოზსაგან გამოსროლი იყოს : ესე დაგვიმ-
ტკიცებია და გაგვიმაგრებია ვინცა ესე შესცვალოსა
მწერალი წყეულ შეჩვენებული არს სული მისი აქა და
მას საუკნოსა ურსავე ცხოვრებასა. (უზის 14 ბეჭედი).

ეწერის თემი

სოფელი ბარში.

სოფელ ბარშში არის ციხე-დარბაზი დადიშკელიანებისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, მათი კოშკი, ირგვლივ გაწყობილი სახლებით და შენობებითურთ. ეს კოშკი მთელს სვანეთში უდიდესი და უმაღლესია. სტოიანოვის დროს აქ ცხოვრობდა მთელი ოჯახობა თენგიზ დადიშკელიანისა და მას აწერილი აქვს, როგორც ეს კოშკი და სხვა შენობები, ისე ცხოვრება და ზნე-ჩვეულება მათში მცხოვრებ მთავრის თენგიზ დადიშკელიანის ოჯახისა (გვ. 302-309). გრ. უვაროვის დროს აქ ცხოვრობდა თათარხან დადიშკელიანი (იხ. უვაროვისა, გვ. 43-44), მაგრამ ჩვენს დროს თათარხანი უკვე აღარ იყო ცოცხალი, მისი ძმა ოთარი მუდამ აქ არ ცხოვრობდა, მხოლოდ საზაფხულოდ მოდიოდა; მეორე ძმა, ჯამსუყი სამსახურში იყო (ყარსის ღუბერნატორის თანაშემწე) და იშვიათად ესტუმრებოდა ხოლმე თავის სოფელს. კარგი ხანია ძველი შენობები მათ საცხოვრებელ ბინას აღარ შეადგენდნენ, არამედ ზღუდეს გარედ, გაშლილ ეზოში, ორი ჩვენებური, იმერული, ანუ მეგრული, კოპწია ოდა იყო გაშენებული; ერთი მათ საცხოვრებლად, მეორე სტუმართათვის.

საზოგადო სახე ბარშის სოფლისა, რომელიც ამ ძველ დადიშკელიანების კოშკის შენობებზეა მიკრული, საუცხოოდ მოსჩანს ფხოტერის ეკლესიის ეზოდან; იხილეთ ჩვენი ფოტოგრაფია №17456. კოშკის და ძველი შენობების სახე, იხ. №177, (ამ ფოტოგრაფიაზე მოსჩანს, მოშორებით კიდევ ძველი დადიშკელიანების სოფელი ყურაში). №178, №17453. ერთი ახალი, ხის სახლი და დადიშკელიანისა, იხ. №17454. ბალკონის ქვეშ მოსჩანს სპილენძის ქვაბები, რომლებიც მიწიდან ამოუღიათ გათხრის დროს და რომელნიც კუბოს მაგიერ ყოფილან ნახმარნი. საზოგადო სახე ეწერის მინდვრებისა და მთებისა, იხ. №17455.

ძველ შენობებში დადიშკელიანებისა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხის ბეღელი, სულ მოხარატებული და შემკობილი საუცხოო ჩუქრუთმებით. ოთარი დაგვპირდა მის მოცემას მუზეუმისათვის, თუ კი მის გადმოტანას მოვახერხებდით. ჩვენ დროს ეს არ მოხერხდა.

დადიშკელიანების ეზოს ამშვენებს შტოებ-გაშლილი დიდი ჭადარი, რომლის ქვეშ იკრიბებიან როგორც ოჯახობა დადიშკელიანთა, ისე სოფლელები; აქ არის სჯა-ბაასი საოზგადო საქმეებზე, სასამართლო, ფიცი, პირობების დადება, თუ სხვა თათბირი. სურათი იხილეთ, უვაროვისა, გვ. 44. ტაბ. XVII, სურ. 30.

დადიშკელიანების სახლში ჩვენ დროს იყო ორი ძველი საარქეოლოგიო ნივთი:

1. ერთი დიდი ვერცხლის **ჩარა,** მასსიური, 45 სანტიმეტრი დიამეტრით. ფსკერზე ამობურცული, დასრეტილი ვერცხლის შემკობილება აქვს (იხ. ფოტ. №17153). ამას ჰქონია ირგვლივ ხუთი მწვანე ძვირფასი ქვა, ჩასმული ამობურცულ ბუდეებში. დ. ბაქრაძის დროს ყველა იყო. ეხლა ორია დარჩენილი. მთელი შემკობილება, როგორც ეტყობა, წინეთ მოძრავი ყოფილა, ამოღება შეიძლებოდა და მერმე შიგ ჩადგმა, მაგრამ ეხლა მიმაგრებულია ფსკერზე თაფლის სანთელით და ვერცხლის ლურსმებით; ირგვლივ ჩარას აქვს სპირალური ჭდები. გარედან ფსკერზე მხედრული წარწერა მოიპოვება. ყოველი სიტყვა შეუმოკლებლად არის მოყვანილი. თითოეული სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი არის. ნიშნებს დედნისა ჩვენ არ ვიცავთ, მით უემტეს, რომ დ. ბაქრაძეს ეს დაცული აქვს (გვ. 67-68). ჩვენი წაკითხვა მცირედ განსხვავდება დ. ბაქრაძის წაკითხვისაგან:

ქ :. ეჰა ცისა და ქუეყანისა დამბადებელო, მამისა ჩუე-
ნისა ადამისა მამავო, ლატალისა მაცხოვარო, ჩუენ მი-
წამან შენმან და ბრძანებითა შენითა გამაღლებულმან,
მეფემ დადიანმა პატრონმა ვამეყ, და დედოფალთა
დედოფალმა პატრონმა ელენემ, ოდეს იმერეთს მეფენი
გარდაშენდენ და ძალითა და შეწევნითა შენითა ლისა[1]-
და შავს ჯიქეთს შუა მეფობა და დაიანობა ჩუენ და-
ვიჭირეთ, და მონდობილმან თქუენმან შემოგწირეთ
ჩარა თვალებიანსი (sic) ესე ჩუენსდა სადღეგრძელოდ
და საქმისა ჩუენისა წარსამართებლადა და გასამარჯვებ-
ლადა, სულისა ჩუენისა სახსრადა, საოხადა, შვილებისა
ჩუენისა გიორგის და ბაგრატისა და ასულისა ჩუენისა
დარეჯანის სადღეგრძელოდ. შენ მოწყალეო მაცხოვარო
ლატალისაო, შეიწირე მცირე შესაწირავი ესე.
ხელმოწერილია ხელჩართულად: მეფე ვამეყ მონა შენი.
ეს ჩართული გადმოღებული აქვს დ. ბაქრაძეს (დამატება, №10)

1 დ. ბაქრაძე კითხულობს: „ღისა". ჩვენის აზრით, აქ შეცდომაა. უნდა წერებულ იყო: „ლიხსა". რა კი წარწერაში ნათქვამია რომ ვამეყი იმერეთის მეფედაც გახდა, ამით ნაჩვენებია იმერეთის საზღვარი.

წარწერა ეკუთვნის ვამეყ მესამეს, დადიანს, გიორგი ლიპარტიანის ძეს, რომელიც მოკლულ იქმნა სვანეთში მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, დაახლოვებით 1660 ანუ 1661 წელს. (იხილეთ Brosset, H. G. II, 1 liv. pp 274-280).

2. მეორე საყურადღებო ნივთი არის **ვერცხლის კოლოფი,** მცირედ მოყვითლული, 31X18,6 სანტ. სიმაღლით 16 სანტიმეტრი, წონით 20 გირვანქა. არეები კოლიფისა დაყოფილია ექვს წახნაგოვან ფიგურად და შემკობილია ზარნიშით და კუბიკური წარწერებით, ფრიად ლამაზი და ნაზი ხელობისა. ზემო ნაწილს კიდევ სამყური ყვავილების აშია უვლის. წარწერები კოლოფის წაკითხული არ არის. ჩვენ მივიღეთ ზომები, რომ ყველა ნაწილი კოლოფისა გადმოგვეღო უკლებად ფოტოგრაფიულად და ჩვენი ხუთი ფოტოგრაფია სრულ წარმოდგენას გვაძლევს ამ კოლოფის შესახებ. წინა პირი სიგრძისა იხ. ფოტ. №17155, უკანა პირი სიგრძისა იხ. №17156; ზემო ნაწილი სახურავისა იხ. №17154; მარჯვენა მხარე განისა იხ. №17157; მარცხენა მხარე განისა იხ. №17158 გრ. უვაროვისას მარტო ერთი სურათი აქვს მოყვანილი ამ კოლოფისა (იხ. გვ. 142, 143, სურ. 70).

ეს კოლოფი უნახავთ ერთ-ერთ კოშკში ეწერის საზოგადოებისა და შიგ ყოფილა ჩადებული სარტყელი, რომელიც თამარ მეფის სახელით მოუნათლავთ. სარტყელი ბოლოს და ბოლოს გამხდარა საკუთრება სამეგრელოს თავადის ნიკო დადიანისა. ის გამოცემული აქვს გრ. უვაროვისას (იხ. გვ. 144, სურ. 71). უვაროვის გამოკვლევით, ეს არის გერმანული ხელობის ნივთი, მე-16 საუკუნისა.

აქ მეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ ეს ორი საყურადღებო ნივთი, ვერცხლის ჩარა და კოლოფი, ჩვენ უკვე ვიყიდეთ პატრონისაგან ჩვენი თავისუფლების დროს და გადავეცით ნაციონალურ მუზეუმს.

3. წინეთ კიდევ, დადიშკელიანის ოჯახში ყოფილა ვერცხლის შანდალის მსგავსი ნივთი, ლამაზი ევროპული ხელობისა, რომელიც ეხლა დაკარგულად ითვლება, მაგრამ მისი ფოტოგრაფია ერმაკოვის გადმოღებული დარჩენილა, იხ. №7815. როგორც ამბობენ, ეს საყრჩოლებელი უნდა ყოფილიყო, გერმანული ხელობისა.

4. დადიშკელიანის ოჯახში იყო კიდევ ხის სკივრი ანუ კოლოფი, სადაფებით შემკობილი, დამასკური რიგისა. ამ კოლოფის ფოტოგრაფიული სურათი ხელთ გვაქვს, მაგრამ ის სხვის მიერ არის გადაღებული და ნომერი არა აქვს; კოლოფზე ძევს, ორი, ზემოდ აღწერილი ნივთიც, ჩარა და ვერცხლის კოლოფი.

სოფელი ყურაში.

მახლობლად სოფელ ბარშისა არის სოფელი ყურაში, რომლის პატარა ეკლესია ყოფილა წინანდელი სასაფლაო დადიშკელიანებისა. ეს ეკლესია აღწერილი აქვს ალ. სტოიანოვს თავის მოგზაურობაში (გვ. 320-321), ხოლო მისი ტყავის სახარება ნაკლული, უნახავს ნიკო მარრს 1912 წელს. ამ სახარებას ჰქონია ორი მინაწერი ტექსტის ხელით; ერთი მარკოზის სახარების ბოლოს:

ამის წ̇ისა სახარებისა / დაწერა პ̇ლდ ინაჲ / ხეშტინის
ძემ̇ნ იურ(ვ)ა და დაიწერა მისი/თა საურავითა :
ო̇ო ღთო მოიჴს̇ნე / ინაჲ ხეშტინის ძე / მეუღლე და
ძენი / მისნი და შეუნდვენ / ყ̇ნი ც̇დვანი მ̇თნი ა̇ნ :.

ლუკას სახარების ბოლოს:

ქ̇ე ღ̇ე შ̇ე ს̇ლითა / ამის წიგნისა მწე/რალი ცდვ̇ლი გ̇ი :

მოჰყას რა ეს მინაწერები, ნ. მარრი სამართლიანად დასძენს, რომ ქართული ხელნაწერების არსებობა სვანეთში მარტო გარედან შეტანით კი არ აიხსნება, არამედ თვით განათლებულ სვანთა დაკვეთით (იხ. „ხრისტიანსკი ვოსტოკ“, ტ. II, გვ. 5-6).

ყურაშის სასაფლაოზე ა. სტოიანოვი აღნიშნავს უძველეს სასაფლაოს დიდ ქვას, რომლის ქვეშ რკინის ნაჭერი ემჩნევაო. ამ რკინის კუბოში, განაგრძობს სტოიანოვი, განისვენებს უძველესი დიდი ოთარი, მესამე მამამთავარი დადიშკელიანებისა, მაგრამ ხალხს უკე დაავიწყდა მისი სახელი და ჰგონია, აქ ვიღაც ძველი გოლიათი არის დამარხულიო.

როგორც გავიგეთ, ეს საფლავი შემდეგ გაუხსნიათ. მიცვალებული, კუბოს მაგიერ, ორ დიდ ქვაბში ყოფილა მოთავსებული. ქვაბის თავები ერთი ერთმანეთზე ყოფილა მიდებული: ეს ის ქვაბებია, რომელნიც ეხლა დადიშკელიანების ხის სახლის ბალკონის ქვეშ არის დაცული. მიცვალებული მდიდრულ ტანისამოსით და იარაღებით ყოფილა დასაფლავებული.

სოფელი ფხოტრერი.

ფხოტრერი თავი სოფელია ეწერის თემისა. მისი მთავარანგ. ეკლესია ითვლება შტატის ეკლესიად ეწერის თემისა. ეკლესია შედარებით დიდია; აშენებულია თლილის ქვისაგან და იმგვარი ბაზილიკური რიგის შენობაა, როგორც ლატალის საზოგადოების ეკელესიები ენაშისა, მაცხოვარიშისა და სხვა. ცენტრალურ ბაზილიკას სამი მხრიდან, სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ახლავს ეკვტერები, გაერთიანებული შიგნით. შესავალი აქვს სამხრეთიდან, ორ-კამაროვანი, სვეტით შუაზე, და შემდეგ ეკვტერიდან შუა ბაზილიკაში. აღმოსავლეთის მხარე შემკობილია ორის უბით და შუაში ზემოდ მორგვალებულის ფანჯრით და მისი ორმაგი ჩარჩოთი, ხოლო ეკვტერების ფანჯრების ჩარჩოები ოთხკუთხედია (იხ. ფოტ. №17620). შესავალი კარი, ურთხელის ხიდან გაკეთებული, მოხარატებულია და შემკობილი ექვსი წმიდათა ფიგურებით და სხვა საუცხოო ჩუქურთმებით, იხ. ჩვენი კარგად გამოსული ფოტ. №17144, და აგრეთვე უვაროვისა, ტაბ. XXXVIII, №66.

კედლები ეკლესიისა სულ მოხატული ყოფილა, მაგრამ ეხლა გაფუჭებულია. კანკელი გადაკეთებულია; აღსავალის კარის გარდა მარცხენა კამარაში მეორე კარი გაუკეთებიათ. ცუდ მდგომარეობაშია შენობა, ინგრევა. ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ჯვარი ხისა,** კანკელის საწინაო, სიმაღლით 3 არშინი და 10 ვერშოკი, განით 1 არშინი და 11,5 ვერშოკი (№17141); შეძერწილია ვერცხლის ფირფიტებით წმიდათა სახეებისა; ზემოდ მაცხოვარია ტახტოსანი; მის ქვემოდ ორი წელსზევითი წმიდანია და მთავარ ანგელოზი გაბრიელ, წარწერით: წ-ჲ გ-ლ. უმბოს ქვემოდ: მთავარ ანგელოზი მიქელ: წ-ჲ მ-ქლ. მის ქვემოდ: წ-ა გიორგი; კიდევ ქვემოდ: ორი მთავარ ანგელოზი; მარჯვენა და მარცხენა მკლავებზე აგრეთვე მთავარ ანგელოზები და წ-ა გიორგი ცხენით და ორი სხვა წმიდანი. საზოგადოთ ხელობა დაბალია; საუკეთესო ფირფიტები პირველ ორ მთავარ ანგელოზის არის და არა წ-ა გიორგისა, როგორც შენიშნავს გრ. უვაროვისა (გვ. 180).

2. **თავი ხატი ეკლესიისა მთავარ ანგელოზთა,** ფრიად დიდი, სიმაღლით 2 არშინი და 4 ვერშოკი, განით 1 არშინი და 6 ვერშოკი (იხ. ფოტ. №17143). ძლიერ ცუდათ არის დაცული: მთავარ ანგელოზ გაბრიელის ტანი თითქმის მთლად მოშლილია; მიქაელ, მარცხნივ, უკეთ არის შენახული; წარწერები ლამაზი ასომთავრულით: წ-ი მ-ქლ, წ-ი გბრლ. მთავარ ანგელოზთ მედალიონი მიაქვთ ქრისტე ემმანუელისა. მთავარ ანგელოზები წარმოდგენილნი ყოფილან მდიდრულ სამეფო ტანისამოსებით და საზომებით ხელთა. ეზო და ნიმბები ლამაზის ორნამენტით არის შემკობილი; აშიები, რომბ-ლურსმული, ეხლა შეიცავს რვა მედალიონს წმიდათა, ასომთავრულის წარწერებით: ქრისტე, იოანე ნათლის მცემელი, წ-ა ანდრია, (ღვთის მეტყველი), წ-ა პავლე, მათე, ლუკა. ხატი მე-14 საუკუნ. უნდა იყოს.

3. **ჩარდახი** ხატებისა. წინა ხატი მოქცეული ყოფილა ჩარდახში, კანკელის წინ, მაგრამ ეხლა ჩარდახი სულ დაშლილია; ის ისეთი ფორმის ყოფილა, როგორც ლახუშტის ეკლესიის ჩარდახი: თავი გუმბათის მსგავსი აქვს, სვეტები ლურსმული ორნამენტებით და წმიდათა მედალიონებით არის შემკობილი, რომელთა შორის დარჩენილნი არიან: მაცხოვარი მთავარ ანგელოზებითურთ, წ-ა გიორგი და კიდევ

მთავარ ანგელოზნი, სრულის ტანით და წარწერით: წ-ჲ გ-ი, მთავარ ანგელოზი. ამის ქვეშ წარწერაა:

წ-ო მთავარანგელოზო
შ-ე მ-ქალ თუმანი ა-მნ.

ჩარდახი მსხვილი მძივის მარცვლებით არის შემკობილი; ერთი მარცვალი დიდი მინისა შიგნით შემკობილია მხატვრობით.

აქ ყოფილა კიდევ მეორე ჩარდახი ამგვარივე სახისა. მაგრამ კიდევ უფრო დაშლილია და მისი სვეტები სასანთლეებად გადაუკეთებიათ.

4. **ხატი მთავარ ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისა,** ვერცხლისა, მოოქრული, ნაჭედი, 44X35,5 სანტ. მთავარ ანგელოზთა მოაქვთ მედალიონი ქრისტესი (იხ. №17135); ზემოდ მხედრულად სწერია; ქ : მიქაელ : და გაბრიელ : ეს ხატი გაკეთებულია წინა ხატის კომპოზიციის მიხედვით, მაგრამ ერთობ ტლანქი, როგორც ყველა ხატი ლევან II დადიანის დროისა და მისი ბრძანებით დამზადებული და შეწირული. ფიგურები, ჩაცმულობა, ფრთები, ყველაფერი ულაზათოა; ფონი, ბალახის მაგიერ, რაღაც ჯოხების მაგვარი ხაზებით არის უშნოდ შემკობილი. თანამედროვე აშია დაცულია მარჯვნივ და მარცხნივ მხვეველი მცენარის სახისა, ხოლო ზემო აშია შესდგება სხვა ხატების აშიის ფრაგმენტებისაგან და შუაში წარმოდგენილია საკმაოდ ლამაზი თავის ფიგურა წ¯ა ვლასესი, ასომთავრული წარწერით: წ-ჲ ვლასე. ქვემო აშიაც ფრაგმენტებისგანაა შემდგარი და ორი ნაჭერი რომბ-ლურსმული ორნამენტის არის, მათ შორის წარწერის ფრაგმენტი სხვა ხატისა:

. . . . ეფთმესი და წინ . . . .
. . . . ამანის ძე . . . .
. . . . ჯოხის [ძე] (=ჯოჯხისძე).

მეორე გვერდზე ხატისა მხედრული ვრცელი წარწერა ლევან II დადიანისა, რომელიც მოყვანილი აქვს დ. ბაქრაძეს (გვ. 61-54). და რომელიც ჩვენ ფოტოგრაფიულად გადმოვიღეთ (იხ. №17136). წარწერა შეიცავს 36 სტრიქონს; ყოველი სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილია, რომელსაც ჩვენ არ ვიცავთ (დ. ბაქრაძეს დაცული აქვს). როგორც ფოტოგრაფიაზე სჩანს, სამ ადგილას ვერცხლის ფურცელი ამოტეხილია ცოტ-ცოტად და ამათი წარწერა დაკარგული. სხვა იკითხება ასე:

ეტლნო ღთისანო, საყდარო საშინელო, ცეცხლნო, სუ-
ლად სიტყუითა კაცთა მეოხად შექმნილნო, ბრძანები-
თა საღთო ამის ყოფითა მორტყმულნო, მიხაილ ძა-
ლით, მთავარნო, გაბრიელ ქალწულისა ხარებითა კაც-
თა ღ-თისა, თქუენ, რომელნი წამისწოფითა ღთისა ბრძა-
ნებასა უხილავად ძლიერებითა უმჯობესსა განაგებთ,
რომელნი სცავთ ცასა და ქუეყანასა ფრთითა თქუენი-
თა, მხოლო აწ მეცა მაჩრდილეთ მეოხება თქუენი, მე
დადიანსა ლევანს, მთავარანგელოზო მიქაილ და გაბ-
რიელ! სახელითა ღთისათა და ძალითა და შეწევნითა
შენითა ჩუენ, ჴელმწიფემან დადიანმა პატრონმა ლე-
ვან, მოველაშაქრენით მეფესა ალექსანდრესა და მის ძმას
მამუკაზედა და მოვედით ქუთაის ციხის საბრძოლად,
თავად მეფე, სრულ იმერელნი და სვანი ლეტეხელნი

და საფარ-ფაშის მეთოფეები ბევრ ახლდა, და ციხესა
და ჯებირშიდან იდგენ. ჩუენ მივედით და სოფია წმი-
დის საყდარი მეთოფეებით აევსო და გაემაგრებინა.
უყავით ღამით იერიში და საყდარი წავართვით. რაცა
მეომარი მეთოფეები იდგა, ყველა გამოვასხით. ჯებირს
გარეთ ორი დიდი ქვის პალატი იყო ძველითგან ნაშე-
ნები და ის მეთოფეთა და მეომრის კაცით აევსო და
გაემაგრებინა. სოფია წმიდის საყდართანა დიდი ზარბა-
ზანი მივიტანეთ და იქიდაღმა დაუწყეთ სროლა და ცე-
მა იმ ქვის სახლებსა, და დავამტრიეთ ზარბაზნებითა,
და მრავალი კაცი შიგ მდგომნი დავხოცენით. მერე იე-
რიში უყავით და იქით მეფემ გამოაშველა ლაშქარი,
დაუშინეს ერთმანეთსა თოფითა სროლა და საკვირ-
ველი ომი შეიქნა, მრავალი კაცი დაიხოცა იქითაც და
აქეთაც. იქით მოკვდა თავადი და აზნაურიშვილი : გი-
ორგი ლორთქიფანიძე, ელიზბარ ლოლაძე, ორი ძმა
ახულედიანი . . . და კვირიკე, სხუა ზოგი დაიხოცა და
ზოგი დაიკოდა, და წავართვით ის ქვის პალატები . . .
(ც)იხეზედანს . . . (ზარ)ბაზნები ვერ მიუტანეთ, მისატა-
ნი ალაგი არა გვქონდა. წამოვედით დაბლა რიონის . . .
(პირ)სა დავდეგ(ით) . . . სასახლის ქვის სახლებს დაუწ-
ყეთ ზარბაზნებითა სროლა და ცემა. დავამტრიეთ ის
ახალ(ი) . . . ქვის პალატი, თუით ალექსანდრე მეფისაგან
აშენებული, გაუსივეთ ლაშქარი გაღმა ქუთაისის ქა-
ლაქსა, დავხწვით და მოვაოხრეთ, მრავალი იშოვეს, და
წამოვედით გამარჯვებული, მოვედით ოდიშს ძიგურს
და ერთი კვირე ა. . . ოსულა . . ე ვქენით ილღარი, ცხე-
ნის წყალს შემოვიღამეთ. ის ღამე ვიარეთ და გათენე-
ბის დროს . . . სასახლესა და ქალაქს, უწინდელისაგან ოთ-
ხი და ხუთი ზომა საშოვარი ალაფი და ტყვეები ვი-
შოეთ, რომ ლაშქარი ძლივ დაერივა, და წამოვედით
გამარჯვებული, შევასვენეთ ლაშქარი და ცხენი და კი-
დევ გავილაშქრენით იმერეთზედ თვესა თებერვალსა
და მივედ . . . ურიას აჯამეთს, დავსწვით და ავაოხრეთ,
მივედ(ით) . . . ჩხარის ქალაქსა და . . . . და იქ დავდეგით
და სოფლები და ნაშ . . . რულ დასწვეს და ააოხრეს სქან-
და მ. . . სასა . . . დავსწვით ვარდის-გორა და ჩიხორი ქა-
ლაქი და ესკა. . . დეთ არგვეთს რუთ ... ს ... ძისა .... აახლეს
დავდეგით და იქიდაღმა ჩუენმა ლაშქარმა სრულ არგ-
ვეთი და ჭალა-ტყეს (რაც) სასახლე და სოფლები იყო
დაუწვავი და აუოხრებელი არა დააგდეს რა. აქიდაღმან
ავიყარენით და თერჟოლს პათთაც და გოფანთოს მხე-
იძის სასახლეს დავდეგით, და იქიდაღმა, სადაც ლაშქა-
რი მიუწვევდა, დაუწვავი და აუოხრებელი არ დააგდეს

რა. წამოვედით გამარჯვებული და ნაშოვრით სავსე,
რომ ლაშქარი ვერ დაერივნეს, ბალახოვანზე რიონს გა-
მოვედით და ქუთაის ციხიდაღმა მეფე და სრულ იმე-
რელი ლაშქარი შეყრილი თვალით გვიმზერდენ, მისის
თემისა და ქვეყნის ამოწყვეტას ხედევდა, იმდენი სანა-
შოვარის ტყვეების ჟღივილი ყურით ესმოდა, მაგრამ
ციხიდაღმა თავი არ გამოყვეს და ვერცარა დაგვაკლეს,
ასე შევარცხვინეთ და წამოვედით ოდიშს გამარჯვებუ-
ლი მას ჟამსა, ოდეს მოვაჭედინეთ ხატი ესე, ოდეს იმე-
რეთიდაღმა მოვედით გამარჯვებული, გამოვგზავნეთ და
დავასვენეთ ტაძარსა შენსა ვხსტრელსა და ალაგსა და
თემსა ეცერსა ხატი ესე მთავარანგელოზისა, ქორონი-
კონსა სამას ოცდაათოთხმეტსა (= 1646).

5. **ხატი იესო ქრისტეს ნათლის ღებისა,** ვერცხლისა, მოოქრული, ნაჭედი, 63X41 სანტ. ისეთივე ტლანქი ხელობისაა, როგორც წინა ხატი; შეწირულია იმავე ლევან II დადიანის მიერ (იხ. №17133), მაგრამ კომპოზიცია ხატისა რთულია და ძველი. ზემოდ, ლენტის ქვეშ, რომელიც კამარის მსგავსად ხელთ უჭერიათ მთავარ ანგელოზებს, წარმოდგენილია მაცხოვარი წელსზევითი. მას მარცხენა ხელში სახარება უჭირავს, მარჯენა ხელით აკურთხებს; მაცხოვარს აწერია ასომთავრულით: იესო ქრისტე, ხოლო მთავარ ანგელოზებს: მიქელ და გაბრიელ მთავარ (sic) - ანგელოზნი. ქვემოდ წარმოდგენილია იორდანეს მდინარე, რომელშიაც მოსჩანან თევზები. იორდანეში სდგას ქრისტე და მცირედ მოხრილია იოანეს მიმართ, მარცხნივ, რომელიც ხელს სდებს მას თავზე. მარჯვნივ მას მსახურებს ორი ანგელოზი. ზემოდან, ქრისტეს თავზე ჩამოდის სული წმიდა ტრედის სახით. მთელს სცენას წარწერა აქვს:

ქ . აქა ნთალს (sic) იღო ქრისტე.

მარცხნივ იოანე ნათლისმცემელისა ასომთავრული წარწერაა:

მცხოვა	მაცხოვა-
რო :. შეწიე	რო[1], შეეწიე
ორსვე ყო	ორსავე ყო-

1 აქ აღარ ვიცავთ უმართებულო მართლწერას დედნისას.

ფას : ფარი	ფას ფრი-
ად (sic) ცოდვ	ად ცოდ-
ილს : ოქო	ვილს ოქ-
რო მაჭ	რო მჭე-
ედელს :.	დელს
ბეჟნ	ბეჟანს
ს : წიქრ	წიქ-

ის ძეს რის ძეს.

ზემოდ, მაცხოვრის და ნათლის ღების სურათების შუა, მხედრული წარწერაა:

ეჰა დაუსაბამო დაუსრულებელო ღ-თო ცისა და ქუეყ-
ნის დამწყებელ დამარსებელო მაცხოვარო წალენჯიხისა
ჩვენ ცვაფარვათა შენთა მონდობილმან და მოსავმან
სიწმინდისა შენისამან დადიანმან ლეონ დაგასვენეთ ეც-
ერს ჩვენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და
საოხად სულისა ჩუენისათჳს. ამინ.

აშიები ხატისა სხვა და სხვა გვარია და მრავალი მათი მედალიონი სხვა და სხვა დროის და ხელობის არის. საუკეთესო არის ორი მთავარ ანგელოზის ფიგურა, ზემოდ მარჯვენა და მარცხენა აშიებზე, წარწერებით: მიქელ ანგელოზი, გაბრიელ ანგელოზი, შემდეგ კიდევ ერთი ფიგურა მარცხენა აშიაზე, ქვემოდ, რომელსაც აწერია: „გ-ე საკურელთ მოქმედი“. სხვა მედალიონებზე წარმოდგენილნი არიან მაცხოვარი (სამჯერ), ღვთის მშობელი, წ-ა გიორგი წარწერით: წ-ჲ გ-ი ხღდრისა; და სხვა.

ხატი შემკობილია ძვირფასი ქვებით. ზემოდ ორი ქვა მინით არის დაფარული და ერთზე წარწერა მოსჩანს.

6. **ხატი მაცხოვრისა,** 72X54 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ მხატვრობა ეხლა მოშლილია; დარჩენილია ზემო ნაწილი პერანგისა, საუცხოოდ შემკობილი ნიმბი ჯვარის სახედ და ასეთივე ნაზად შემკობილი აშიები. ბალახ-ყვავილოვანი; ნიმბი კიდევ გამშვენიერებულია ცხრა ძვირფასი ქვით (იხც. ფოტ. №17131). წარწერა სახელისა ბერძნული ასოებითაა. ხელობა მე-12-13 საუკუნის არის. ქვემო აშიაზე სამ-სტრიქონიანი წარწერა მოიპოვება:

1. ქ : არსო : თჳითებით(sic) მყოფობისათჳის(sic) ღ-ო :
სჯჳლთა : შენთა : მტკიცედ : მპყრობლისა : მეფეთა : მე-
ფისა : დიმიტრის ა[1] : სჳლისა მ-ფისა : და მეფეთა : მიზ-
სა : გ-ი : დისა :
2. სულტანთა : სძლისა : რუსდნ დედოფლისა : სამსახჳრებ-
ლად : შენა : შემზადებჳლნი : ნივთნი : ვინათგ-ნ : ჟ-მნ :
არ დარ-სცნა : სრჳლებად : ჩემ : გაზრდილისა :
3. მათის : და : ლმობ-თ : მგნ-ბელის : გ-ის : ასჳლის : დე-
დოფლისა : რჳსდანისგ-ნ : სარჳლ (sic) : ქმნილნი : მით-
ჳალენ : მეოხ მ-ნ : მათმ-ნ : მკჳდრ (sic) ყჳფად (sic) :
სჳფევისა :.

1 აქ ორი წერტილი თავის ადგილზე არ არის; უნდა იყოს დიმიტრის: ასჳლისა :

მართლწერა სიტყვებისა წარწერაში ზოგჯერ სრულიად შეუსაბამოა: ასო ი-ნის ხმარება ჳ-ს შემდეგ პირველი სტრიქონის ორს სიტყვაში და მესამის ერთ სიტყვაში; „სარჳლ“ „სრულ“-ის მაგიერ მესამე სტრიქონში; „ყჳფად“ „ყოფად“ -ის მაგიერ იქვე.

რაც შეეხება ჯ-ს ხმარებას უ-ის მაგიერ, ეს ჩვეულებრივია, ვინაიდან აქ იგულისხმება გამოშვებულად ო-ნი. წარწერის დამწერი სვანი უნდა იყოს.

ეს წარწერა დ. ბაქარაძეს გადმოუღია ხელით (იხ. დამატება, №9) და მოჰყავს მისი სრული რუსული თარგმანი, არა ჯეროვანი. დ. ბაქრაძე თვით ამბობს, აზრის აღდგენა უკანასკნელი სამი სტრიქონისა ძნელიაო (იხ. გვ. 66). ბაქრაძის წინეთ წარწერა დეკანოზ ქუთათელაძის მიერ მიწვდილი ბროსემ დაბეჭდა შეცდომებით (Rapp. X, გვ. 61). ა. ხახანაშვილს აგრეთვე დაბეჭდილი აქვს ტექსტი წარწერისა, მაგრამ შეცდომებით და რუსული თარგმანი არ მოჰყავს (იხ. გვ. 39). სხოლასტიური სტილი წარწერისა მართლა აძნელებს აზრის გაგებას, მაგრამ ჩემთვის ერთი აშკარაა, რომ წარწერა თამარ მეფეს ეკუთვნის, თუმცა ის თავის სახელს არ იხსენიებს. აზრი ყოველ შემთხვევაში ასეთია: მეფეთ მეფის დიმიტრის (დიმიტრი I, დავით აღმაშენებლის ძე) ასულს და დას მეფისა და „მეფეთ მზისა“ გიორგისა (იგულისხმება გიორგი მესამე, თამარის მამა) სულტანთა სძალს, რუსუდან დედოფალს (ის იყო მეუღლე ხორასნის სულტანისა), შეუმზადებია ამ ხატის ნივთნი (მასალა), მაგრამ სიკვდილის გამო აღარ დასცალებია ხატის დამთავრება. ამის შემდეგ რუსუდანის მიერ აღზრდილს (ესე იგი თამარ მეფეს; თამარი მართლა მისი აღზრდილი იყო), და მის ლმობით მომგონებელს, გიორგის ასულს (თამარი ხომ გიორგი მესამის ასული იყო), სრულ უქმნია, თავის მამის დის, რუსუდან დედოფლის, დაწყებული საქმე: ხატი დაუმთავრებია, შეუწირავს ეკლესიისათვის და მაცხოვარს სთხოვს: „დედოფლის რუსუდანისაგან მიითვალე ეს შენ, მისმა მეოხმან, მკვიდრ ყოფად მისა სუფევისა“-ო. ეს საერთო აზრი ჩემთვის ცხადია და თუ ტექსტში ეს ნათელი არ არის, ეს მისი ბრალია, რომ სიტყვები გადასმულია: ორი სიტყვა მესამე სტრიქონისა: „დედოფლისა რუსუდანისაგან“ უნდა გადატანილ იქმნას სიტყვის შემდეგ „სრულ ქმნილნი“ და მაშინ აზრი ცხადი იქნება. და წარწერა უქარაგმოდ და ზოგიერთი შეუსაბამოდ ორთოგრაფიის გასწორებით ასე უდნა წავიკითხოთ:

არსო თჳთებით მყოფობისათჳს, ღმერთო, სჯულთა შენთა მტკიცედ მპყრობელისა, მეფეთ მეფისა დიმიტრის ასულისა, მეფისა და მეფეთ მზის გიორგის დისა, სულტანთა სძლისა, რუსუდან დედოფლისა, სამსახურებლად შენდა შემზადებულნი ნივთნი, ვინათგან ჟამმან არ დასრსცნა (ესე იგი: არ დააცალა) სრულებად, ჩემ გაზრდილისა მათის და ლმობით მგონებელის (მომგონებელის), გიორგის ასულის, სრულ ქმნილნი, დედოფლის რუსუდანისაგან მიითუალენ მეოხმან მათმან მკჳდრ ყოფად სუფევისა.

7. **ხატი ღვთის მშობლისა,** 69X48 სანტ. ყოფილა წამლით დახატული. მხატვრობა ეხლა სულ მოშლილია, დარჩენილია ზემო ნაწილი პერანგისა, ნიმბი და აშიები სრულიად ისეთივე საუცხოო ხელობისა, როგორც წინა ხატი, ამიტომ იმავე მე-12-13 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს. (იხ. №17132). წარწერა სახელისა: დ-დ̈ ღ-სა.

8. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 67X49 სანტ. ძლიერ დაზარალებულია; მაცხოვარი წელსზევითია. მაკურთხეველის მარჯვენით; მარცხენაში სახარება უნდა სჭეროდა, ეხლა მოშლილია. მოშლილია აგრეთე სრულად პირის სახე და აქ ცარიელ ადგილს ჩაუდგამთ პატარა ვერცხლის ხატი მაცხოვრისა ტახტოსანი (იხ. №17134). ნიმბი ჯვარის სახისა შემკობილია ორი ძვირფასი ქვით. ფონი ჭადრაკის მსგავსია ჯვრებითურთ, ხოლო ზემო ნაწილი ბალახოვანი

ხლართულებით არის შემკობილი, ფრიად კარგი ხელობისა, მე-12-13 საუკუნისა. ზემოდ, შუაში ტახტის შემზადებაა, კუთხეებში ლამაზი „დრობნიცები“. მარცხნივ და მარჯვნივ ნიმბისა, კუთხეებში, მედალიონები ყოფილა წმიდანებისა, ალბათ დედა ღვთისა და იოანე, მაგრამ ეხლა ცარიელია, წარწერა სახელისა ბერძნულია „დრობნიცებში“.

9. **დასაკეცი ხატი-სანაწილე,** 32X26 სანტ. მრავალის ნაწილებით და მინიატურული, ეტრატზე დახატული სურათებით, რომელნიც შუშებით არიან ზემოდან გადახლართულნი, ისე როგორც ენაშის ჯვარი, ჩვენ მიერ ზემოდ აღწერილი. შიგნით ხატი დაყოფილია მარმარილოს ნაჭრებით; უჯრედებში მინიატურებია, ეტრატის ნაჭრებზე დახატული ფერადებით; ხოლო ზოგიერთ უჯრედების კუთხეებში მოსჩანს ოქროს ბასმებზე ფიგურები თითო-თავიანი არწივებისა. მინიატურებიდან ეხლა დაცულია მხოლოდ: ხარება, იერუსალიმში შესვლა და იუდას ამბორი. სხვა დაკარგულია. ა. სტოიანოვის დროს აქ ყოფილა კიდევ ამაღლება და ჯვარცმა (გვ. 326); სხვა ფიგურები მას არ შეუნიშნავს. გარედან ეს ნაწილი შეძერწილი ყოფილა თხელი ოქროს ბასმით, ზედ გამოსახული ტახტოსანი მაცხოვრის სურათებით, არწივებით და გრიფონებით, მაგრამ ეხლა ყველა ეს გაფუჭებულია და აქა-იქ ნაფლეთებია დარჩენილი. სამწუხაროდ ფოტოგრაფიაზე არ გამოვიდა ისიც, რაც დარჩენილია ამ ერთს დროს შესანიშნავი ლამაზი ნივთებისაგან, უსათუოდ მე-11-12 საუკ. (იხ. №17140). სვანები ამ ხატს ეძახიან **მოჩქილ** (ესე იგი მოციქული). ჯვრები და ფიგურები უჯრედებისა ზოგჯერ მოცულია წვრილი მარგალიტებით და სხვა ქვებით. გრაფინია უვაროვისა ამ ხატს მოკლედ იხსენიებს და ბიზანტიურ ხელოვნების მე-11 საუკუნის ნაშთად ხადის (გვ. 181), მაგრამ ეს უფრო კათალიკური ხელოვნების რიგისა უნდა იყოს, რასაც მოწმობს სტოიანოვიც, რომელსაც ამ უჯრედებიდან ორი ეტრატის ფრაგმენტი გამოუძვრია, ლათინურის წარწერით, მაგრამ გადმოღება, სამწუხაროდ, ვეღარ მოუსწრია (გვ. 326).

10. **დასაკეცი ხატი-კარედი, ნაწილებითურთ,** რომელიც სულ მოშლილი და გაფუჭებულია. როგორც ეტყობა, შუა ნაწილში წარმოდგენილი ყოფილა ვედრება, და კარებზე მთავარ ანგელოზნი, ვინაიდან დარჩენილია ასომთავრული წარწერები: დ-დ ღ-თი, წ-ჲ მ-ქლ, გ-ბრლ მთავარანგელოზი. ხატი მოცული ყოფილა ოქროს თხელი და ლამაზი ბასმით მე-12 საუკუნისა, მაგრამ დარჩენილია მხოლოდ ნაკლული წარწერა ზურგზე და გარეგანი შეძერწილობა კარებისა, ოქროთი დაფერილის ვერცხლის ფურცლისა, ჯვრებით და სხვა ორნამენტებით შემკობილი (იხ. №17138).

ეს საყურადღებო წარწერა ხელით გადმოუღია დ. ბაქრაძეს (იხ. დამატება №8), მაგრამ არ გაურჩევია; შენიშნავს მხოლოდ, ვიღაც „გაბრდუხანი“ იხსენიებაო შიგ (გვ. 65). ა. ხახანაშვილი სრულიად არჩევს წარწერას, მაგრამ ბევრ სიტყვებს და ასოებს უმატებს, რომელნიც არ მოიპოებიან არც ჩვენამდის მოღწეულს ტექსტში, არც დ. ბაქრაძის მიერ გადმოღებულში და არც საკმაო ადგილი სჩანს მათთვის ფირფიტაზე და ტექსტის არეში. ამას გარდა, მიმატებულ სიტყვებს და ასოებს ფრჩხილებით არ აღნიშნავს. ამიტომ ჩვენ ჯერ მოვიყვანთ ჩვენამდის მოღწეულ ტექსტს, დამატებით იმ მცირე ასოებისა, რომელნიც დ. ბაქრაძის დროს ჯერ კიდევ დაცული ყოფილა და შემდეგ შევეცდებით ტექსტის აღდგენას აზრის მიხედვით:

1. .... ებრ ცოდვი
.... ელო ცთომილთა მოძიებად
.... ნად მოსრულო ნეფსთ ჯუარც
.... ლო[1] ქანანელისაებრ ...
5. ..... ებ მეძავისაებრ ვცრე .... [2]
.... რი მასმინე მე ჴმაი შ-ნი ....
.....დით კურთხეულნო მმი ....
ჩმისანო[3] დღესა დიდებით მოს
ლვისა შნისსა ფრიად ცდვლთა
10. ტაებდა ..... ბრდუხანს და
ძე ს გ ....
თა
13. მ

როგორც სჩანს, ჩვენი შენიშვნებიდან, დ. ბაქრაძის გადმოღებულ წარწერაში, ნამდვილთან შედარებით, შეცდომებია: ერთ ადგილას ლ-სის მაგიერ თ-ნია მოყვანილი; ორს შემთხვევაში თითო ასო გამოშვებულია. მე-11 სტრიქონში ასოები ს და გ ბაქრაძეს არ მოჰყას. ამ ასოების სანახევრო ნაშთებია დარჩენილი, მოშორებით ერთმანეთისაგან, რადგან აქ ჯვარის ფეხი, რომლის ირგვლივ წარწერაა ამოჭრილი, გაფართოებულია. მე-13 სტრიქონში დ. ბაქრაძეს მოჰყავს ე და ღ, მაგრამ ე-ნის ადგილას დარჩენილია ნაწილი ასო მ-ნის და ღ-ის ადგილზე ეხლა აღარაფერი მოსჩანს და არა ვგონებ, ეს ასოც სწორად იყოს ნაჩვენები.

აღსანიშნავია კიდევ, წარწერაში არც ერთხელ ასო ი არ იხმარება; მის ადგილას ყოველთვის ი არის. ჩვენი ცდა წარწერის აღდგენისა ასეთია:

[ᲐᲬ ჩემ]ებრ ცოდვი [ლთა მხ]-
[სნე]ლო, ცთომილთა მოძიებად
[ქუეყ]ნად მოსრულო, ნეფსით ჯუარც-
[მუ]ლო, ქანანელისაებრ[გიღარა]-
[დ]ებ, მეძავისაებრ ვცრე[მლი],
რაითა ა(ნუ რაითაი) მასმინე მე ჴმაი შენი : „მო-
ვედით კურთხეულნო მამი[სა]
ჩემისანო“, დღესა დიდებით მოს-
ლვისა შენისასა, ფრიად ცოდვილთა :
ტაებდა .... ბურდუხანს და
ძე ს[ა] ... გ[იორგის]?
თა
მ[არს?]

ა. ხახანაშვილი განმარტავს, და ჩვენც ვფიქრობთ, ამ წარწერაში იხსენიება ბურდუხან დედოფალი, გიორგი III მეუღლე, თამარ მეფის დედა, და ტექსტის ბოლოშიც შეიძლება თამარი იგულისხმებოდეს. ყოველ შემთხვევაში ხატი მე-12 საუკუნის არის.

---

1 დ. ბაქრაძის გადმოღებულში „თო" სწერ

2 დ. ბაქრაძე: ცრე
3 დ. ბაქრაძე: მ̇ესანო

11. **ხატი იონა წინასწარმეტყველისა.** ასე მესმის მე ამ ხატის წარწერა: წ̄ი ი̄ოა; ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 67X52 სანტ. ხელობა არა ურიგოა, მაგრამ ცუდათ არის დაცული (იხ. №17137). სახე მისი მხცოვანი კაცის არის; სამოსელი ძველი ებრაული; იონა წარმოდგენილია სრულის ტანით, ნოხით ფეხ ქვეშ; ფონი ბალახოვანია, მცირე რელიეფით; აშიები რომბ-ლურსმული, ზემოდ სულ მოცილებული აქვს, ნაწილობრივ მარცხნივ და ქვემოდანაც, ორ სანახევროდ შერჩენილ მედალიონში მარცხნივ წ̄ა გიორგია: წ̄ჲ გ̄ი; მარჯვნივ: წ̄ჲ დ̄ე; ქვემოდ მოსჩანს ასოები კე (ალბათ: კვირიკე). ამის ქვემოდ, მარცხნივ წინასწარმეტყველისა, წარმოდგენილია ფრიად დაზარალებული მავედრებელი ფიგურა; ძნელი გამოსაცნობია, მეფეა თუ დიდებული. ხატი მე-14-15 საუკუნის უნდა იყოს.

12. **ნარჩენი კარედი ხატისა,** რომელიც ყოფილა წამლით დახატული და რომელიც ეხლა სულ მოშლილია. წარწერებიდან სჩანს, რომ ზემოდ წარმოდგენილნი ყოფილა: წ̄ჲ ნკლზ, წ̄ჲ ბ̄სლი; მთავარ ანგელოზები: მიქ̄ლ, გ̄ბრლ. ეხლა ამ კარედზე მოთავსებულია ცხრა პატარა სხვა და სხვა ხატი. ეს ყველაფერი ერთად გადმოღებულია ფოტოგრაფიაზე. იხ. №17139. ზემოდ მაცხოვრის მრგვალი მედალიონია; ქვემოდ მთავარ ანგელოზ გაბრიელისა, მარცხნივ ღვთის მშობელი, ბერძნულის წარწერით სახელისა; კიდევ ქვემოდ: სამი პატარა ხატი წ̄ა გიორგისა, სრულის ტანით, ხმლით და ფარით, და ერთიც ამავე სახით წ̄ა დემეტრესი. შემდეგ კიდევ ხატი ღვთის მშობლისა ჩჩვილედი და მაცხოვრისა, წელსზევითი. ყველა ჩვეულებრივი რიგის არის, არა ულამაზო.

13. **ვერცხლის ფირფიტა,** მოოქრული, რომელზედაც წარმოდგენილია **წ̄ა გიორგი,** წელს ზევით, ჯვარით ხელში; თმა მსხვილ ხუჭუჭებად დაწყობილი აქვს; წარწერა სახელის ასომთავრულით: წ̄ჲ გ̄ი. ტლანქი ხელობის არის (იქვე, №17141).

14. **ფირფიტა ვერცხლისა**, რომელზედაც წარმოდგენილნი არიან: **მაცხოვარი** სრულის ტანით და **წ̄ა დიმიტრი,** წარწერით წ̄ჲ დ̄ი. ტლანქი ხელობის არის (იქვე, №17142).

15. **ჯვარი გამოსასვენებელი,** ვერცხლისა, ხეზედ დასარჭობ ტარითურთ. წინა პირზე წარმოდგენილია ჯვარცმა, ბოლოებში, მარჯვნივ და მარცხნივ, მედალიონებია: ღვთის მშობლისა და იოანესი. ზემოდ და ქვემოდ მთავარ ანგელოზთა. ჯვარი მე-17 საუკ. უნდა იყოს. (იქვე, №17142).

16. **ზარი,** პატარა, 15 სანტიმეტრი სიმაღლით, რომელსაც ლათინურად აწერია:

NICOLAUS

მეორე, უფროსი, ზარი, უწარწერო. გატეხილია.

17. **ნალბაქი ვერცხლისა,** 33 სანტიმეტრი დიამეტრით, რომეზედაც ხელჩართულად აწერია: „ლევან“. ეს ხელჩართული ლევან II დადიანის არის, მე-17 საუკუნისა. შემდეგ სხვა მხედრულით აწერია:

ქ : ესე : ნალბაქი :. წულუკიძის :. ქალის :. თეთრუასი :.
არის .
წინა პირზე კიდევ დაფხაჭნილი, ვულგარული მხედრულით აწერია:
ღმერთო : გურჯვეს (sic) : დადიან : ლევანის : ძის :
წყალობა : მე : მიბოძეს : სუვიმონის : ქანცხელიანის :
თავი ანგელოზი .

18. დ. ბაქრაძე აღნიშნავს კიდევ საყდარში, დიდ ორ-არშინიან **სპილენძის საყვირს,** რომელიც ჩვენ არ გვინახავს. ალ. სტოიანოვს აქ უნახავს კიდევ ორი ფურცელი, ლათინურად დაწერილი (გვ. 326); ეხლა აღარ ჩანს, ისე, როგორც მრავალი ეტრატის დაწერილი ფურცლები, რომელთაც დ. ბაქრაძე იხსენიებს (გვ. 64).

ფარის თემი

საზოგადო სახე ფარის თემისა იხ. ფოტ. №17457.

სოფელი სუფი.

ფარის თემის სოფელ სუფში ძველი ეკლესია არის, ქვისა, **წმიდის გიორგის** სახელზე, მაგრამ ისე დაძველებულია, რომ ყოველი მხრიდან ბოძები აქვს შეყენებული; წირვა-ლოცვა შიგ აღარ არის. ხატები და ჯვრები ჩვენს იქ ყოფნის დროს ერთ კუთხეში იყო მიყრილი მიწაზე და ირგვლივ ხეები ჰქონდა მიჯრილი, ვინიცობაა, თუ ეკლესია ჩამოინგრა, ხატები არ დაილეწოსო. ჩვენ თითოეულად კარში გამოვიტანეთ ნივთები, იქ გავშინჯეთ და გადმოვიღეთ ფოტოგრაფიით. ეკლესიის კედლები გარედ და შიგნით მოხატული ყოფილა, მხატვრობაც გაფუჭებულია. თაღზე, შიგნით, მოსჩანს მაცხოვარი. ჩრდილოეთის კედელზე ყოფილა წარმოდგენილი მაშენებელი ეკლესიისა, ქართულის ტანისამოსით. კანკელი ქვისაა, სამის კამარით და სვეტებით. გარე კედლების მხატვრობა სულ მოშლილია და ნაშთებიდან სჩანს, რომ აქაც ამირანის და სხვა ზღაპრული სიუჟეტები ყოფილა წარმოდგენილი; შესავალი კარი, დასავლეთით, ხარატოვანია, შემკობილი მრავალის საუცხოო ჩუქურთმებით (იხ. ჩვენი ფოტ. №17149 და უვაროვისა. ტაბ. XXXVIII, 65). სხვათა შორის, აქ ათ ჩუქურთმიანი რგოლია და ერთში ასომთავრული წარწერაა:

წ̄ ო გ̄ ი მ̄ ოხ წმიდაო გიორგი, მეოხ

ეყ⁻ ვ წ⁻ ე ღ⁻თი ეყავ წინაშე ღვთი-
სა სოჯლს სა სულს-
ა გაბისსო ა გაბისსო-
Ისა ან. Ისა, ამინ.

ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ:

1. **ჯვარი,** დიდი, კანკელის საწინავე; სიმაღლით 3 არშინი და 10 ვერშოკი, განით 1 არშინი და 8 ვერშოკი (იხ. №17151); შეძერწილია ვერცხლის მოოქრული ფირფიტებით წმიდათა სახეებითურთ, მაგრამ ქვემო ნაწილზე ჯვარისა ფირფიტები სულ მოძარცულია. საუკეთესო ფირფიტა არის ზემოდ, რომელზედაც წარმოდგენილია მაცხოვარი ტახტოსანი, წარწერით: ი⁻ ჯ ქ⁻ ე. დანარჩენი ფირფიტები პატარაა და მათზე წარმოდგენილნი არიან: მთავარ ანგელოზნი, ღვთის მშობელი, წ⁻ა გიორგი, წ⁻ა დიმიტრი. უმბოს შუაში დაცულია ერთი დიდი ძვირფასი ქვა. თავისებურ თვისებას ამ ჯვარისა წარმოადგენს მისი გვირგვინი ზემოდ, რომელიც სავსებით სვანურ ქეჩის ქუდს გამოსახავს, შეკეცილი კალთებით და ამ კალთებზე წარმოდგენილნი არიან წმიდათა სახეები, წელსზევითნი.

2. მეორე ასეთი **ჯვარი,** სიმაღლით 2 არშინი და 12 ვერშოკი, განით 1 არშინი და 3 ვერშოკი. ეს ჯვარი ეხლა თითქმის სულ მოძარცულია და შერჩენია მხოლოდ უმბოს ზემოდ ერთი ოქროთ დაფერილი ვერცხლის ფირფიტა, ღვთის მშობლის სურათით ვედრებისა და წარწერით: დ⁻Ი ღ⁻სᲘ. მის ქვემოდ, იმავე ფირფიტაზე მთავარ ანგელოზია, წარწერით: წ⁻Ი მ⁻ქლ. მარცხნივ უმბოსა არის „წ⁻Ი Ი⁻ე“, მარჯვნივ ფიგურაზე მოსჩანს მხოლოდ სიტყვა „წ⁻Ი“. უმბოს მარჯვენა კუთხეში სწერია: „ელენე“. სურათი აღარ არის. დარჩენილი ნაწილებიდან სჩანს, რომ ჯვარის ფირფიტები ლამაზი ხელობის ყოფილა (იხ. №17128).

3. **ჯვარი**, **კანკელის საწინავე.** მაღალი მაგრამ არა ისე ფართო მკლავებით, როგორც ჩვეულებრივი. სიმაღლე აქვს 3 არშინი და 5 1/2 ვერშოკი, განი ერთი არშინი და 2 1/2 ვერშოკი. ეს ჯვარი განირჩევა სხვა ასეთი ჯვარებისაგან კიდევ მით, რომ მისი მოოქრული ვერცხლის ფირფიტები ყველა ერთი დროის და ერთი და იმავე ოქრომჭედლის ნახელავი არის. მათზე წარმოდგენილნი არიან ნაჭედი ხატები წმიდათა ნახევარ-ნახევარ კამარების ქვეშ.

ვერტიკალურ ნაწილზე, ზემოდან ბოლომდის, ფიგურები სრულის ტანით არიან წარმოდგენილნი, შემდეგის რიგით და წარწერებით: Ი⁻ ე ქ⁻ ე, წ⁻ Ი პ⁻ ვლე, წ⁻ Ი გ⁻ი, წ⁻ Ი თ⁻ ე, წ⁻Ი მერკილე (sic მერკური უნდა იყოს), წ⁻Ი პანტელეიმონ, წ⁻ Ი პროკოპი, უმბოს მარჯვნივ და მარცხნივ: თითო მთავარ ანგელოზი, სრულის ტანით და მავედრებელის სახით, და სამი მოციქული. ამ უკანასკნელთა ფიგურები წელსზევითნია (იხ. №17150 და უვაროვისა, ტაბ. XXXII, №54, და გვ. 81, 185). ბოლოს, ქვემოდ ასომთავრული წარწერა აქვს (იხ. №17127)

: ქ : Ნ : მოწამეთ Ნ მოწამე-
ა : შორის : ღვწ თა შორის ღვაწ-
ლისა : მძილევ ლისა მძლევ(ო),
დიდო : მთავა დიდო მთავარ-

რ მოწამევო	მოწამეო,
წმიდაეო (sic) : გი ც	წმიდაო გიორგი
სუფისავ (sic) : მეოხ	ცსუფისავ (sic), მეოხ
და მფრიველ :	და მფარველ
ექმენ : ორითავე (sic)	ექმენ ორთავე
შინა : ცხორე	შინა ცხორე-
ბათ : მამკობ	ბათა მამკობ-
თა : შენთა : და მდ	თა შენთა და მადი-
იდებლთა : შე	დებელთა შენთა
ნთ : ხევთ : მა : ილ	ხევთ მაილე
ელით (sic) : ამნ .	ლთა, ამინ.

უკანონო წერა სიტყვებისა ამ ტექსტში ხშირია, მაგალითად, „მძილევ“, „მძლევ“-ს მაგიერ, „წმიდაეო“, „წმიდაო“-ს მაგიერ, „მოწამევო“, „მოწამეო“-ს მაგიერ, „ორითავე“, „ორთავეს“ მაგიერ, „ცხორებათ“, „ცხორებათა“-ს მაგიერ; აგრეთვე „შენთ“, „ხევთ“, „შენთა“ და „ხევთა“ მაგიერ. „მა : ილელითა“ ერთი სიტყვა უნდა იყოს, თუმცა გაყოფილია ორი წერტილით; შეიძლება მაილელთა იყოს, ალბათ წინეთ იყო მაილელთ ხევი. საკვირველია კიდევ, რომ „სუფი“ „ცხუფი“-ს ფორმით არის წარმოდგენილი. უქარაგმოდ წაკითხვაში ჩვენ დედნის მართლწერას არ ვიცავთ. დ. ბაქრაძეს ხელით გადმოუღია ეს წარწერა (იხ. დამატება №3. ჯვარი მე-16-17 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

4. **თავი ხატი** ეკლესიისა, **წ̄ ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა დიდია, 146X84 სანტ. საკმაოდ დაზარალებულია, ნამეტნავად ქვემო ნაწილში. წმიდანი წარმოდგენილია სრულის ტანით, მაგრამ მცირე რელიეფით, რომაულ საომარ ტანისამოში; მარჯვენა ხელში შუბი სჭერია, რომელიც ეხლა მოშლილია; მარცხენა დადებული აქვს მოგრძო, წაწვეტიანებულ ფარზე; ზურგის უკან ხმალი მოსჩანს; თმა ხუჭუჭად დაწყობილი და ზემოდ ლენტით გადასკვნილი ნიკაპამდის ჩამოდის; პირის სახე მრგვალი აქვს; თავის წრე დიდი; ფონი ჭადრაკის მსგავსი ჯვრებითურთ. წარწერა სახელისა: წ̄ ꙋ გ̄ ი სპꙋსა. ჩარჩო ხატისა შესანიშნავი ლამაზი ხელობისაა, მე-12-13 საუკუნისა და უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე თვით ხატი. ორნამენტი ბალახოვანია, საუცხოო ნახელავი, მრგვალის „დრობნიცებით“, ისეთის, როგორიც გელათიხ ხახულის ხატზეა – როგორც სამართლიანად შენიშნავს გრ. უვაროვისა (გვ. 110, ტაბ. XXXII, №54). მედალიონებში, ზემოდ, ვედრებაა, ბერძნულის წარწერებით მაცხოვრისა და ღვთის მშობლისათვის და ქართულით იოანესათვის: წ̄ი იო̄ე. მარჯვენა და მარცხენა აშიებზე წარმოდგენილნი არიან სრულის ტანით, მარცხნივ: წ̄ ი : დ̄ ე : , მარჯვნივ : წ̄ ი : თ̄ ე : ქვემო ნაწილი აშიისა და ხატისა მოშლილია ძალზე. მარჯვნივ, ქვემო ნაწილზე, გრ. უვაროვის რწმუნების წინააღმდეგ, დაცულია ის წარწერა, რომელიც დ. ბაქრაძესაც მოჰყავს (გვ. 58):

წ̄ ꙋ გ̄ ი მეოხ ეყავ ორთავე ცხორებათ : ი̄ ნე : ათრიანსა : ა̄ ნ.

ესე იგი: წმიდაო გიორგი, მეოხ ეყავს ორთავე ცხოვრებათ(ა) იოენა ათრიანსა, ამინ.

თვით ხატი მე-14-15 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც გრ. უვაროვისასაც აქვს განმარტებული; უფრო მე-15 საუკ. ვიდრე მე-14 ს. ხოლო, როგორც შევნიშნეთ, ჩარჩო უფრო ადრინდელი უნდა იყოს (იხ. №17148).

5. **ხატი, დიდი, წ᾽ ა გიორგისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 70,5X57სანტ. მთავარ მოწამე ცხენით არის წარმოდგენილი, გვირგვინოსანს გმირავს, რომელსაც დაუყრია თავის ფარხმალი (იხ. №17147). პირი წმიდანისა ახალგაზრდა კაცისაა; ჯავშანი აცვია და მას ზემოთ მოსასხამი გრძლად იშლება ჰაერში. ცხენი კარგი ჯიშის არის, მაგრამ მთელი სურათი მცირე რელიეფით არის წარმოდგენილი. მრგვალი თავის წრის ორივე მხარეს „დრობნიცებში“ ასომთავრულით სწერია: წ᾽ ჲ გ᾽ ი. აშიები ბალახოვანი ორნამენტით არის შემკობილი, მაგრამ სანახევროდ მოშლილია. მედალიონებიდან გადარჩენილია სამი წელსზევითი ფიგურებით, ერთს მარცხნივ უწერია: წ᾽ ჲ თ᾽ ე. ხატი მე-15-16 საუკუნის უნდა იყოს.

6. **ხატი წ᾽ ა გიორგისა,** ოქროთი დაწერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 85X56 სანტ. ერთობ პრტყელი რომბ-ლურსმული აშიებით (№17145). მხედარი ფეხოსანია, რომაულ საომარ ტანისამოსით, შუბით და ფარით, ხუჭუჭი თმით, რომელსაც შუბლი დაუფარავს, თავის წრე, წერტილოვანი, დიდია. წარწერა: წ᾽ ჲ გ᾽ ი სუ᾽ ფსაი. ზემოდ აშიაზე, შუაში ტახტის შემზადებაა, ღვთის მშობლით და იოანეთი; მარჯვენა და მარცხენა აშიებზე მთავარ ანგელოზებია, სრულის ტანით; ერთ ხელში ჯვარიანი ჯოხი აქვთ, მეორეში – ბურთი; წარწერები: წ᾽ ჲ მ᾽ ქლ, წ᾽ ჲ გ᾽ ბლ. წმიდა გიორგის ქვემოდ სამი მედალიონია, წელსზევითი ფიგურებით; შუაში დ᾽ დჲ ღ᾽ ჲ , მარჯვნივ: წ᾽ ჲ პ᾽ ტრ(ე); მარცხნივ : წ᾽ ჲ ლუკა უნდა იყოს, თუმცა აწერია: ლ᾽ უპ. ამ ფიგურების ზემოდ დაზიანებული წარწერაა:

წ᾽ ო გ᾽ ი შ᾽ ე რატ რატინიანი.

ქვემოდ სხვა წარწერაა:

წ᾽ ო გ᾽ ი მეოხ და მფარველ ექმენ მიქაელს რუბაგიანსა.

ქვემო აშიაზე წელსზევითი ფიგურებია წ᾽ ა ნიკოლოზისა: წ᾽ ჲ ნკ᾽ ზ, წ᾽ ა ანდრიასი: წ᾽ ჲ ადრია, და წ᾽ ა ბასილისა: წ᾽ ჲ ბა. . . ხატი მე-16 საუკუნის უნდა იყოს.

7. **ხატი მაცხოვრისა და მთავარ ანგელოზთა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 78X56 სანტ. ხატი შესდგება სხვა და სხვა განცალკევებული, მოოქრული ვერცხლის ფირფიტებისაგან, რომელნიც ერთს ფიცარზე არიან დაკრულნი და მოქცეულნი ერთ ჩარჩოში. (იხ. №17146). ზემო ფირფიტაზე წარმოდგენილია მაცხოვარი, წელსზევითი, მაკურთხეველის მარჯვენით, სახარებით მარცხენა ხელში, მთავარ ანგელოზებითურთ აქეთ-იქით. წარწერა სახელისა გადმობრუნებული ბერძნულის ასოებით არის ქვემოდ, მეორე ფირფიტაზე წარმოდგენილია ვედრება; მაცხოვარი აქ ტახტოსანია, ჩვეულებრივის სახით და ასომთავრული წარწერით: ᲲᲗ ᲥᲘ Ე. აქეთ-იქით წარმოდგენილნი არიან: ღვთის მშობელი და იოანე; და მათ გვერდით მთავარ ანგელოზნი. მთავარ ანგელოზთა ქვემოდ წ᾽ ჲ მარკზ. და წ᾽ ჲ ხლპრი (ხალამპრი). სულ ქვემო ფირფიტაზე მოსჩანან სრულის ტანით სამი მხედარი, შუბებით და ფარებით: წ᾽ ჲ დ᾽ ე წ᾽ ჲ თ᾽ ე წ᾽ ჲ გ᾽ ი. აშიებზე მარჯვნივ და მარცხნივ მთავარ ანგელოზნი: მ᾽ ქლ და გ᾽ ბრლ. აშიები, სადაც დაცულია ჭადრაკის მსგავსია; ფონი ფირფიტისა ბალახოვანია. ხატი მე-17 საუკუნის უნდა იყოს.

8. **ხატი მაცხოვრისა,** ვერცხლისა, ნაჭედი, 29X19 სანტ. აშიები წერტილოვანი ორნამენტის არის; მაცხოვარი წარმოდგენილია მღვდელ მთავრის ტანისამოსით, სრულის ტანით; მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში სახარება უჭირავს. სახე მცხოვანი კაცისა აქვს; ნიმბი ჯვარისებური, დიდი; ფონი სადაა; წარწერა: ი⁻ ო ქ⁻ ე (იხ. №17118). ხატი მე-16 საუკუნის უნდა იყოს.

9. **ხატი მთავარ ანგელოზ გაბრიელისა,** (№17124), ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ მხატვრობა სულ მოშლილია; დარჩენილია აშიები, ლამაზი ბალახოვანი ორნამენტით; ზემო აშია აღარ არის; დარჩენილია აგრეთვე ნიმბის ნაწილები და წარწერა: გ⁻ბრლ მთავარანგელოზი. მარჯვენა და მარცხენა აშიებზე წყვილი, ერთგვარი ფიგურა, ლაბარუმებით, უწარწეროდ.
ქვემო აშიაზე ასომთავრული წარწერაა:

ქ . წ⁻ ო :. გ⁻ ზ :. მოხ დ :. ფრველ ექმნ :. მკბნ :. შ

ენ :. ხევნ :. სუფსა :. შუდს :. ღთმნ :. აქადას

ამ, შეცდომებით სავსე წარწერაში, სიტყვა გ⁻ ოზ გაბრიელის მაგიერ აიხსნება ასომთავრულის ლ-ს და ზ-ს მსგავსებით. აგრეთვე სიტყვების მაგიერ: „მამკობს“, „შენს“, „ხევს“, სწერია „მამკონ,“ „შენ“, „ხევნ“. წარწერა უნდა გულისხმობდეს:

წმიდაო გაბრიელ მთავარ ანგელოზო, მეოხ და მფარველ ექმენ მამკობსა შენს ხევს სუფსა. შეუნდვეს ღმერთმან აქადას.

ხატი მე-13-14 საუკ. უნდა იყოს.

10. **ხატი წ⁻ ა გიორგისა,** 106X63 სანტ. (№ 17117); ყოფილა წამლით დახატული, მაგრამ მხატვრობა სულ მოშლილია; დარჩენილია ნიმბი, ზემო ნაწილი პერანგისა ვერცხლისა, მოოქრული და რომბ-ლურსმული აშიები მთელად; მედალიონები არ ახლავს, წმიდანი სრულის ტანით ყოფილა წარმოდგენილი, შუბით და ფარით. ხელობა ლამაზი სჩანს. ქვემოდ ასომთავრულით აწერია:

ქ . წ⁻ ო : გ⁻ ი : შემწე : ეყავნ : გ⁻ ის : საღირის : ძესა

ორთავე : შინა : ცხორებათა : ამ⁻ ნ .

უქარაგმოდ:

წმიდაო გიორგი, შემწე ეყავნ გიორგის საღირის ძესა ორთავე შინა ცხორებათა, ამინ.

11. **ხატი მაცხოვრისა,** 50X33 სანტ. ყოფილა წამლით დახატული, მხატვრობა უკვე გამქრალია. პერანგის ნაწილი და მარცხნივ ღვთის მშობლის ლამაზი ფიგურა წელსზევითი და ქვემოდ წარწერა დაცულია. წარწერა მაცხოვრისა სახელისა ბერძნულია; ღვთის მშობლისა – ასომთავრული: დ⁻ დ ღ⁻ ᲂ . ღვთის მშობლის ქვემოდ ორი ფიგურა ყოფილა, ალბათ მთავარ ანგელოზთა, მაგრამ ეხლა მარტო ნიმბები მოსჩანს. სულ ქვემოდ ასომთავრული წარწერაა:

ქ⁻ ე : შ⁻ ე მ⁻ ქალ	ქრისტე, შეიწყალე მიქაელ
რატიან : და : მ	რატიან(ი) და მე-
ეუღლე : მისი	უღლე მისი.

აშიები რომბ-ლურსმული დაცულია; ხელობა მე-14-15 საუკუნის უნდა იყოს (იხ. №17122).

12. **ხატი წ̄ ა ნიკოლოზისა,** 17X12 სანტ. ყოფილა ვერცხლით ნაჭედი, მაგრამ ხატი ეხლა მოძარცულია და დარჩენილია ზურგის ვერცხლის ფირფიტა, ასომთავრულის წარწერით (იხ. №17120):

ქ წ̄ ო : მღ
დელთ მოღჳა
რო : ნკზ მეოხ გუექმენ :
წ̄ ე ქესა : მოსავთა : შენთა :
ახალასა : და მისთა : შვილთა :
ჩხეტსა და დარჩის : და
შვილთა . . .
წმიდაო მღუ-
დელთ მოძღუა-
რო ნიკოლოზ, მეოხ გუექმენ
წინაშე ქრისტესა მოსავთა შენთა
ახალასა და მისთა შვილთა
ჩხეტსა და დარჩის და
შვილთა . . .

წარწერაში ო და უ ერთგვარად არის გამოსახული და ერთს შემთხვევაში 3-ს მაგიერ ნახმარია ჳ.

13. **ხატი წ̄ ა ბასილისა,** 22X17 სანტ. წინა პირი ოქროთი დაფერილი ვერცხლით ნაჭედი სულ მოშლილია; შუაში ჯვარი ყოფილა ხისა, მრავალის ნაწილებით; ბუდეები ნაწილების დაცულია, აგრეთვე ხის ჯვარი. დაცულია კიდევ ნაწილი რომბ-ლურსმული აშიებისა. ზურგის ვერცხლზე ჯვარია გამოსახული, ვაზოვანის ორნამენტით, ზემოდ და ქვემოდ, ჯვარის ორივე მხარეს, წარწერაა ასომთავრული (იხ. №17119):

წ̄ ო ბასილი მეოხ მცველ და
მფარველ ეყავ მონათა
შენთა ღოღელიანთა ფურ
თუხს ვეშაგს გვარანდუ
ხს და ძეთა მათთა ამენ
წმიდაო ბასილი, მეოხ, მცველ და
მფარველ ეყავ მონათა
შენთა ღოღელიანთა ფურ-
თუხს, ვეშაგს, გვარან-
დუხს და ძეთა მათთა, ამენ.

ვინაიდან წარწერაში ო დ უ არ განირჩევა, ამიტომ ძნელია თქმა, ფურთუხს უნდა წავიკითხოთ თუ ფორთოხს. სიტყვა „ამინ“ ძველი ფორმით არის „ამენ“. წარწერა მე-17 საუკ. უნდა ეკუთვნოდეს.

14. **ხატი მთავარ ანგელოზ მიქაელისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, ნაჭედი, 16X22 სანტ. ლამაზი ხელობისა (იხ. №17121). მთავარ ანგელოზი რომაულ საომარ ტანისამოსით არის წარმოდგენილი, მარჯვენა ხელში ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალი

უჭირავს, მარცხენაში ქარქაში; თმა შუბლს ჰფარავს და კიკინებად ჩამოდის ყელთამდის; ფრთები ზომიერი აქვს. აშიები მოგრძო უჯრედებად დაყოფილი, ბალახოვანი, ლამაზი ორნამენტით არის შემკობილი. ზემოდ სახელი ბერძნულად აწერია.

ზემო აშიაზე წარწერა ასომთავრულით: ჯ-მთისაჲ : მთ-ვრ აგლზი. ქვემოდ მეორე წარწერა ისეთივე ასოებით:

ჯ-მთისაჲ : მთვრაგ-ლზო :

მეოხ ექმენ ბერსა : კტრჲს ძესა :

ჯუმათისაჲ მთავარ ანგელოზო,

მეოხ ექმენ ბერსა კოტრისძესა.

შემოკლებით დაწერილ გვარს „კტრჲს ძესა“ ჩვენ ვკითხულობთ „კოტრის ძესა“, ვინაიდან გურიაში ასეთი გვარი ეხლაც არსებობს: კონტრიძენი ლეხოურის საზოგადოებაში სახლობენ; მათ შორის ყოველთვის სამღვდელო პირნი იყვნენ.

ცნობილი საეპისკოპოსო საყდარი ჯუმათისა გურიაშია, სუფსის პირზე[1]. ეს ხატი ცნობილი არ არის ლიტერატურაში. ის ჩვენ ვიპოვნეთ სხვა ნამტვრევებთან ნაგავში. სულ გაშავებული; გავრეცხეთ და კარგი ხატი აღმოჩნდა.

15. პატარა **ხატი ღვთის მშობლისა,** ვერცხლისა, 10X8 სანტ. წარწერით: დ-დჲ ღ-ჲ (იქვე 17121).

16. **ვერცხლის ფირფიტა,** რომელზედაც ზემოდ წარმოდგენილია ღვთის მშობელი, ვედრების სახით, წარწერით: დ-ჲ ღ-თსჲ, და ქვემოდ, სულ პატარა, მეორე

1 მისი სიძველენი, ოდესღაც მდიდარი, დ. ბაქრაძის მიერ იყო პირველად აღწერილი (იხ. მისი მოგზ. გურია-აჭარაში, გვ. 259-269, და მისიდა კონდაკოვის „ოპისი", გვ. 102-110).

ღვთის მშობლის ხატი, ჩჩვილედი და წ-ა გიორგი ცხენით. ალბათ ეს ფირფიტა კანკელის საწინავე ჯვარის იყო (იხ. იქვე, №17121).

17. **ზურგი გაძარცული ხატისა,** რომელზედაც გადაკრულია ლამაზი ძველი მატერია. სინამდვილეში ერთობ ლამაზია, მაგრამ სამწუხაროდ ფოტოგრაფიაზე ეს არა სჩანს (იხ. №17125).

18. **ჯვარი გამოსასვენებელი**, ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 51X13 სანტ. სულ გაფუჭებულია.

19. **ხატი წ-ა გიორგისა და წ-ა დიმიტრისა;** მათ შუა, ზემოდ მაცხოვარია წარმოდგენილი; ქვემოდ, ვგონებ, ღვთის მშობელი, ჩჩვილედი; გვერდის აშიებზე მთავარ ანგელოზნი, 21X17 სანტ. ხელობა ტლანქია, მე-18-19 საუკუნის. (იხ. №17123).

20. **დოქი სპილენძისა,** დასადგემლი საცრის მსგავსი აქვს, ყელი ვიწრო, მუცელი შემკობილია გეომეტრიული ფიგურებით, მოგრძო რომბებით და გრეხილებით; შუაში

პატარა ძაბრი აქვს და დასრეტილი შემკობილობა; როცა გააქანებთ, შიგნიდან კენჭის ხმა ისმის (იხ. №17126).

21. **ვერცხლის ფირფიტა,** 24X18,5 სანტ. რომელიც წინეთ კანკელის საწინავე ჯვარის შემკობილება ყოფილა და რომელზედაც წარმოდგენილია ფიგურები მაცხოვრისა, ბერძნულის წარწერით სახელისა, წ-ა გიორგისა, წ-ა დიმიტრესი და მთავარ ანგელოზთა; ტლანქი ხელობისაა.

22. მრავალი რკინის **ლახტი** და სხვა და სხვა სახის **ისრები.**

23. სახარებიდან ეტრატზე, რომელსაც იხსენიებს დ. ბაქრაძე (გვ. 58). აღარაფერი დარჩენილა.

24. ბერი დიმიტრი ბაქრაძე 1864 წ. აღწერილობაში სწერს ასე: აქ არს კამარა ჯვარისა და მოჭედილი ვერცხლით. აწერია ესრეთ:

ღმერთო და წმიდაო გიორგი (შეუნდვენ) რატიანს ჩიბურდანს.

სოფელი უგვალი

სოფელ უგვალში ჩვენ არ ვყოფილვართ. დიმიტრი ბაქრაძე (გვ. 58) აღნიშნავს აქ ეკლესიას წმიდა გიორგისა, ტლანქად ნაშენს. ეკლესიის მახლობლად მას უნახავს გატეხილი ზარი, მსგავსი სვანური ქუდისა, შემოკეცილი კალთებით. გარეთი ნაწილი ეკლესიის კარისა შეჭედილი ყოფილა რკინით, რომელზედაც მოქცეული ყოფილა გამობერვით განჭედილნი ფიგურები ადამიანთა, თევზთა და ჯვართა. შიგნით ნაწილი კარისა აგრეთვე რკინით ყოფილა შეჭედილი, მაგრამ უსახეებოდ. ეკლესია კვამლით ყოფილა შემურული, როგორც ყველა სვანური ეკლესია. ხატები ყოფილა პატარანი, ჩაკერილნი ტყავის ბუდეებში, ჩანჩხურებით და ეჟვნებით. წიგნებითგან აქ ყოფილა: ა) მარხვანი, ჩინებული ხელით დაწერილი, ბ) ლოცვანი და გ) სახარება, ქაღალდზე ნაწერი, დღიური საკითხავების რიგით. ა. ხახანაშვილი აკუთვნებს სახარებას მე-15 საუკუნის დასაწყისს და მოჰყავს მინაწერები: „ლოცვა ყავთ გლახაკისა გ̇ისთს რ̇ნ წ̇ჲ ესე სახარებაჲ ვთარგმნე“. მეორე მინაწერში იგივე გიორგი მთაწმინდელი სხვათა შორის სწერს:

. . . . „წ̇სა მამისა ეფთჳმის სანატრელისა სახარებისაგან ესე წ̄ნი
სახარებანი დავნუსხევით ვ̇ა ღ̇თნ ძალი მომეცა. ხოლო ესე
საცნაურ იყავ რამეთუ ბერძნულისაგან დაგვიწერია“ (გვ. 21).

გარდა ამისა დ. ბაქრაძეს უგვალის ეკლესიაში უნახავს:

1. **ხატი წმიდა გიორგისა,** წარწერით: წ̇ი გ̇ი ილორისა. მხედარი ცხენოსანი ყოფილა, ადამიანის მგმირავი, ვეშაპის მაგიერ.

2. **ხატი წმიდა გიორგისა,** ასომთავრული წარწერით:
ქ : წო : გი ხლმისაო (ხვამლისაო) :
მეოხ და მფარველ : მე

ქმენ : წე : ღთსა მამკობ
სა : ხატისა : შენისასა : ქედი
ლაძესა : ნეს და შვილ
თა : ჩემთა :
რუსულ თარგმანში სახელს „ნეს“ დ. ბაქრაძე „ნენედ“ კითხულობს (გვ. 69).

სოფელი ლახამულა.

სადადიშკელიანო სვანეთში, სოფელ ლახამულაში, ა. ხახანაშვილს უნახავს ტყავზე დაწერილი უთავბოლო სახარება, წვრილი ხუცურის ხელით ნაწერი. ამას ჰქონებია ხუცური მინაწერი: ... „ქეშე გრიგოლ შქერებიძე და სტეფანე დიაკონ ა-ნ“. მეორე მინაწერი მხედრულად: „ღ-ო და წ-ნო შეიწყალეთ ორთავე შინა ცხორებასა მონა და მადიდებელი ამ ოთხთავისა მომგებელი აფაქიძე მოსათი დ თანამეცხედრე მათი ქაშაგთა მეფის ძე მათი ჭუბიმი და მარშუები და რომე ადღეგრძელენ და მშვიდობით ახმარე სიმრავლეთ შინა ჟამთა, ა- ნ. აქა და მას საუკუნოსა სულსა აფაქიძესა თუალიას შეუნდნეს ღნ და ვინც (შენდობა) ბრძანოთ, თქვენც შეგინდონ ღ-ნ“. (იხ. ა. ხახანაშვილი, გვ. 17). ქაშაგნი (რუსული კასოგი) ჩერქეზთა ტომია.

სოფელი ფარი.

ფარი პატარა სოფელია. აქ ეხლა ახალი ხის ეკლესია არის. ძველი ნივთები შიგ ნაკლებია და რაც არის, ის შესდგება ფრაგმენტებისაგან სხვა და სხვა ხატებისა. აქ ჩვენ ვნახეთ:

1. **ხატი მაცხოვრისა,** ოქროთი დაფერილი ვერცხლისა, 44X26 სანტ. სახე მაცხოვრისა წამლით არის დახატული; ნიმბი დიდი აქვს, ჯვარის სახედ, ორნამენტებით შემკობილი. ხატის ვერცხლის სამოსელი და შემკობილობა სხვა და სხვა ფრაგმენტებისაგან შესდგება (იხ. №17129). ამ ფრაგმენტებზე არიან წარმოდგენილნი: ღვთის მშობელი, ვედრების სახით, მთავარ ანგელოზნი და წ-ა გიორგი; შემკობილობა უმეტესად რომბ-ლურსმულია.

2. **კარი** რომელიღაც კარედი ხატისა, რომბ-ლურსმული შემკობილობით და მედალიონებით წმიდათა, მაცხოვრისა, წ-ა გიორგისა და წ-ა იოანესი. ყველა ესენი სხვა და სხვა ფრაგმენტებს შეიცავენ (იხ. №17130).

3. **ვერცხლის ფირფიტა,** რომელზედაც წარმოდგენილია ღვთის მშობელი, ვედრების პოზით და წარწერით: დ-ი ღ-ი; გვარიანი ნახელავია (იხ. იქვე. №17130).

4. ორი პატარა **ხატი წ-ა გიორგისა,** ერთი 13X10,5 სანტ. მეორე 6,5X5 სანტ. გვარიანი ხელობისა.

შენიშვნა: დ. ბაქრაძის დროს აქ ყოფილა პატარა ქვის, ეკლესია. ერთად ერთ საგანს ამ ეკლესიისა და დ. ბაქრაძე ასე აღნიშნავს: – პატარა ვერცხლის ხატი, რომელზედაც მიკრულია ორი სხვა ხატის მინანქრიანი ნაჭრები, ბერძნულის წარწერებით (სახელებისა). (იხ. დ. ბაქრაძე, გვ. 58, დამატება №1). ეხლა ეს ხატი აქ აღარ მოიპოება.

სოფელ ღეშტერის ხატი კეიშის მთავარ ანგელოზთა. სოფელ ფარის მღვდელმა გადმოგვცა, რომ სოფელ ღეშტერში, ფარის საზოგადოებისა, არის აგებული ნიში ძველი, ქვის ნაეკლესიარზე და ამ ნიშში ინახება ხატი, რომელიც გადმოუტანიათ ნასოფლარ **კეიშიდამ.** ეს ნასოფლარი მაღალ მთაზე არის. ხატი ჩვენ მოგვიტანეს ეწერში და იქ გავშინჯეთ და ფოტოგრაფია გადმოვიღეთ (იხ. №17152),

ხატი მთავარ ანგელოზთა, ოქროთი დაფერილი ვერცხლისაა, ნაჭედი, 27X21 სანტ. მთავარ ანგელოზნი წარმოდგენილნი არიან სრულის ტანით და ლაბარუმებით; მათ მოაქვთ მედალიონი ქრისტეს ემმანუელისა. ფონი სადაა; აშიები არა აქვს; ზემოდ ასომთავრულით აწერია: წ :. წ̇ა :. კეიშის :. მთავარ ანგელოზი.

ხატი მე-16-17 საუკუნის უნდა იყოს.

სვანეთის სულთა მატიანე.

ამ წიგნის ბოლოს ჩვენ უნდა დაგვესტამბა „სვანეთის სულთა მატიანე“, მაგრამ მისი ტექსტი ეხლა ხელთ არა გვაქვს. ამ სათაურით ჩვენ ვგულისხმობთ დიდ ტყავის გრაგნილს, რომელზედაც ნუსხა ხუცურით დაწერილია განჩინებანი სვანეთის ხევთა წარმომადგენლებისა, სასულიეროსი და საეროსი, ამა თუ იმ პირთა აღაპების შესახებ, რომელთაც გაუღიათ შესაწირავი ეკლესიებისათვის. მატიანეში აღნიშნულია სოფლების სახელები, სადაც კრებები გაუმართავთ, და შემდეგ სახელი და გვარი მათი, ვისაც ცოდვა შეუნანებია და სული შეუვედრებია ღვთისათვის. აღნიშნულია, ვინ რა და რამდენი შესწირა. ეს ძეგლი გამზადებული დასაბეჭდად, განმარტებით და წინასიტყვაობით, ჩვენ გადავეცით პროფესორ ა. შანიძეს „უნივერსიტეტის მოამბე“-ში მოსათავსებლად ან ცალკე გამოსაცემად, მაგრამ არ გამოსულა, არც უკან მიგვიღია ჩვენი წამოსვლის გამო. თარიღი გრაგნილს არ ჰქონებია, მაგრამ დადიანების მოხსენების მიხედვით დრო დაახლოვებით განმარტებული იყო, როგორც მახსოვს არა უგვიანეს მე-16 საუკუნისა. ეს „სულთა მატიანე“ ერთგვარი სტატისტიკური ცნობების კრებულია. რამდენიც უფრო მრავალრიცხოვანია სოფელი, იმდენად მეტი პირებია მოხსენებული ამ სოფლის კრებაში. ეს ერთად ერთი ძეგლია ჩვენამდის მოღწეული შედარებით ძველი დროიდან, რომელშიაც ასე მრავალ-რიცხოვანად დაცულია სვანთა გვარები და სახელები. აქედან ცხადდება, თუ რა და რა გვარებია გამოსული სვანეთიდან და დასახლებული საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, ნამეტნავად იმერეთში და სამეგრელოში. რასაკვირველია, ქართული გავლენაც აშკარაა ზოგიერთ სახელებში. სხვათა შორის, როგორც მახსოვს, ვეფხის ტყაოსნის გმირის ტარიელის სახელიც გვხვდება.

ეს ძეგლი შეეძინა განსვენებულს რაჟდენ დათეშიძეს და გადაეცა ქუთაისის მუზეუმისათვის. მუზეუმის გამგეს, ბ-ნ ტრიფონ ჯაფარიძეს ჩვენ დროებით გამოვართვით და დავტოვეთ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში.

სხვა ნივთები.

ნივთების სია, რომელიც ჩვენ შევიძინეთ მუზეუმისათვის, ეხლა ხელთ არა გვაქვს. ამათ შორის იყო ბრინჯაოს ცულები კელტის რიგისა, საცეცხლურები ბრინჯაოსი, სირიული რიგისა, თმის ქინძისთავები ბრინჯაოსი, ცხოველების სურათებით, ყურსაკიდები, პატარა ქვაბები, ჯვრები და სხვა. ამ სხვებთა შორის აღვნიშნავთ ორ ნივთს, რომელთ ფოტოგრაფია ხელთა გვაქვს:

1. **სპილენძის სამფეხი,** ფრიად უცხო და ძვირფასი, შემკობილი მინანქრით სპილენძზე, სასანიდების დროისა, რაც ასე იშვიათია. ეს არის მომრგვალო სამ ფეხზე მდგარი ძირი ანუ კვარცხლბეკი საღრჩობელისა ან ლამპარისა.

მთელი არე მოცულია მინანქრიანი ჩუქურთმებით და ამას გარდა სამს დიდ მედალიონში მინანქრითვე წარმოდგენილია სამი ფიგურა ფრთოსანი ლომისა. სამის მხრით, ზემოდ, მარჯვნივ და მარცხნივ, კიდევ ემჩნევა შეჭრილი სამი მეოთხედი სიმრგვალეები, რომლებშიაც, როგორც ეტყობა, საზოგადო კონტურებით წარმოდგენილი უნდა იყოს აღუ-რამაზდა. შუაში ამ სამფეხისა ოთხკუთხედი ნახვრეტია, საიდანაც ამართული უნდა ყოფილ იყოს სპილენძისავე ღერი, რომელზედაც ალბათ ჩამოკიდებული იქნებოდა ფიალები ანუ საჭრაქო ანუ საღრჩოლებელი სულნელებისა. როდესაც ეს ნივთი ერთ გერმანელ მეცნიერს ვაჩვენეთ მუზეუმში, ის აღტაცებაში მოვიდა და განაცხადა, თუმცა თქვენს მუზეუმში ბევრი იშვიათი და ძვირფასი ნივთია, მაგრამ ამაზე უძვირაფსესი არაფერი არისო, ეს მთელ მუზეუმად ღირსო.

2. **მრგვალი ფლიაგა,** წყლის ჭურჭელი ჯარისკაცისა, რომელიც გურულ მათარას უდრის; წითელი თიხისა არის, კარგად გამომწვარი; ყელი ვიწრო აქვს; წინა პირზე გამოყვანილია ორთავიანი არწივი გვირგვინით, ერთობ ლამაზად და მშვენივრად შესრულებული. რუსული ხელობისა უნდა იყოს მე-17 საუკუნისა.

3. **ქისა ტილოსი,** რომელიც ბესარიონ ნიჟარაძემ შემოსწირა მუზეუმს. ამაზე ამოქარგულია ლომის ფიგურა მხედრულის წარწერით, მაგრამ წარწერა კარგად არ იკითხება, ნამეტნავად უკანასკნელი სტრიქონი საეჭვოდ მიგვაჩნია:

ქ ვეფხებ ლომგულმა / ზომითა
ბარს ჩანს / რილი(sic) ვარდი ბადა.
ვარდი ჭელობის ლომს ეძებს,
გაჭრილა ვინ ვარდი ბადა (?)

ბერი ბაქრაძის ორი რვეული ზოგიერთი სვანეთის ეკლესიების ჯვარ-ხატების და ნივთების მოკლე აღწერილობით.

ბერი ალექსი ბაქრაძე შესანიშნავი სათნოიანი პიროვნება იყო, უზომო თავმდაბალი, კეთილი, ღვთისნიერი, წყნარი, უაღრესად მორწმუნე და მუშაკი, მასთან მწიგნობარი, კალიგრაფი და მხატვარი. მას დიდის ქებით იხსენიებენ გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოზი და განსაკუთრებით ალ. სტოიანოვი (იხ. მისი „მოგზაურობა სვანეთში“, გვ. 373-374). ღრმად მოხუცებული ის დადიოდა ჩემთან ტფილისში და მოქონდა წიგნები, მის მიერ გადმოღებული წარწერები (მაგალითად, მომიტანა დადიშკელიანის კოლოფის არაბული წარწერები) და სურათები. შემდეგ ათონის მთაზე წავიდა და იქიდან მიგზავნიდა მის მიერ გადმოწერილს სტატიებს ივერიის მონასტრის ძველი ხელნაწერებიდან; ესენი ეხლა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაშია. ეს ღირსეული ადამიანი იქ, ათონის მთაზე გარდაიცვალა. ერთი მის მიერ გადმოცემული პატარა რვეული in 16, შეიცავს ცხრა ფურცელს, ერთი ფურცელი აკლია. ამას აწერია: **მოგზაურობა სვანეთში.** იწყება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ გადმოცემული ლეგენდით, რომ სეტის ეკლესიაში გახიზნული იყო მცხეთის ტაძრის განძეულობა და კანკელი ძვირფასი თვლებისა, ვახტანგ გორგასლანის მიერ ინდოეთიდან მოტანილი (იხ. ზემოდ, გვ. 269, შენიშვნა 1) და შემდეგ მოჰყვება მოკლე ცნობები მცირე რიცხოვან ნივთებზე ლატალის, ლენჯერის, მესტიის, მულაყის, მუჟალის და ფარის (სუფის ეკლესია) თემებისა. ეს აღწერილობა შედგენილია 1864 წელს. მეორე რვეული შეიცავს სულ 7 დაწერილ ფურცელს ასეთის სათაურით: „1874 წელსა, მაისის 29 დღესა კომისია დანიშნული სვანეთის ეკლესიებთა ქონების ცნობაში მოყვანისათვის შეუდგა უშკულის სამრევლოსა შინა გამოკვლევასა მოძრავთა კუთვნილებათა მისთა და აღმოჩნდა შემდგომი“. სულ ორი ხატია აღწერილი უშკულის თემისა. პირველის შესახებ სწერია: „უშკულის ძეგლის მაცხოვრის ეკლესიაში არის ხატი წმიდის გიორგისა, სიმაღლით 4 ვერშოკი, განით 3 ვერშოკი, ვერცხლით მოჭედილი უკანით და მოოქვრილი, რომელსაც აწერია შემდეგი: „წმიდაო გიორგი ზღუდისაო, მეოხ და მფარველ ექმენ აბესალომს ყიფიანს, და ძეთა მისთა, ამინ“.

ეს ხატი ამ წარწერით არც ჩვენ გვინახავს, არც დ. ბაქრაძეს და არც გრაფინია უვაროვისას.

მეორედ აღწერილია ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიის ღვთის მშობლის ხატი ვახტანგ წახენელიძის წარწერით (იხ. ზემოდ). შემდეგ აღნიშნულია: კალას თემის წმიდა კვირიკეს და ივლიტას ეკლესიაში ბიზანტიური მინანქრიანი სანაწილე და გარდამოხსნის ხატი (იხ. ზემოდ). უკანასკნელის წარწერა არ არის ნახსენები, მაგრამ ნათქვამია, ზურგზე ხატისა თოთხმეტი ნაწილების ადგილია და აწ ერთის მეტი აღარ სჩანსო; ადიშის ეკლესიაში აღნიშნულია მხოლოდ ალექსანდრე მეფის ზარი; იფარის (ნაკიფარის) ეკლესიაში ნაჩვენებია მარტო ვერცხლის ჭურჭელი, რომლის სია ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ. წვირმის და ელის ეკლესიებში თითო ხატია აღნიშნული; მუჟალისაში – ერთი; მულაყისაში მარტო ვერცხლის სურა ბაგრატ მეფისა, სამი გირვანქა; მესტიის ეკლესიაში აღნიშნულია ვერცხლეულობა გირვანქობით (იხ. ზ.). და სახარება საკმაოდ ვრცლად; ლენჯერის ეკლესიაში აღნიშნულია ღვთის მშობლის ხატი (იხ. ზემოდ). ლაშთხვერის ეკლესიაში ნაჩვენებია ზარი ალექსანდრე მეფის და

იოანე მახარობლის ხატი (იხ. ზემოდ). ქაშვეთის ეკლესიაში ჯვარცმის ხატი (იხ. ზემოდ). წარწერები ჯეროვანად არ არის წაკითხული, ლატალის ეკლესიაში აღნიშნულია ღვთის მშობლის ხატი მამუკა ვაჩნაძის წარწერით (იხ. ზემოდ) და მინანქრიანი ბიზანტიური ჯვარი (იხ. ზემოდ). იონაშის ეკლესიაში იოანე წინასწარმეტველის ხატი მამია გურიელისაგან შეწირული (იხ. ზემოდ). ზარი ალექსანდრე მეფისა და სახარება სტეფანე (sic) კათალიკოზისა (იხ. ზემოდ). ბოლოს აღნიშნულია ცხუმურის ეკლესიაში მარტო სახარება, არა სრულის წარწერებით. ამით თავდება რვეული. აღსანიშნავია საოცარი სიმცირე დასახელებული ნივთებისა. ვინ იყვნენ კომისიაში, ნაჩვენები არ არის, მაგრამ რომ ამ კომისიაში ბერი ბაქრაძეც უნდა ყოფილ იყოს, ეს იქიდან სჩანს, რომ ხელით გადმოღებულია ბერძნული წარწერა კალას სანაწილესი და ლატალის ჯვარისა; გარდა ბაქრაძე ბერისა სვანეთის მღვდლებმა ბერძნული არ იცოდენ. წარწერებში ზოგჯერ შეცდომებია. მნიშვნელობა ამ რვეულებისა იმაშია, რომ მათში ნაჩვენებია ზოგი ნივთი, რომელიც ჩვენს დრომდე არ შენახულა. ყველა ესენი თავის ადგილზე მოყვანილია ამ გამოცემაში. აგრეთვე ნაჩვენებია სხვა არქეოლოგიური ლიტერატურა სვანეთისა, რომელიც ჩვენს ექსპედიციამდის იყო გამოცემული.

შენიშვნა

ჩვენს მიერ ამ წიგნში განხილული ნივთები უმეტეს შემთხვევაში ეკუთვნიან ქრისტიანული კულტურის ნაშთებს. ქრისტიანობა სვანეთში ეჭვს გარეშე შემოსულია ბიზანტიიდან, ალბათ იმ დროს, როდესაც ლაზებმა და აფხაზებმა მიიღეს ქრისტიანობა. ბიზანტიის დიდი გავლენა აღნიშნულია როგორც სვანურ ენაში, ისე წირვის წესში და სვანთა ერისთავთა მიერ ბიზანტიურ საკარისკაცო პატივის ტარებაში (იხ. ზემოდ, გვ. 26). სვანეთი ჯერ შეადგენდა კოლხეთის ავტონომიურს ნაწილს, შემდეგ ლაზთა სამეფოს ნაწილს და ბოლოს შედიოდა აფხაზეთის სახელმწიფოში. როდესაც აფხაზეთი და საქართველო გაერთიანდა ბაგრატ მესამის უფლების ქვეშ 980 წელს, სვანეთიც საქართველოს ნაწილი გახდა. აქედან იწყება მჭიდრო კაშირი სვანეთისა მთლიან საქართველოსთან. ეტყობა, საქართველოს მეფენი დიდ ყურადღებას აქცევდენ სვანეთს. იფრარის ეკლესია დავით აღმაშენებელის მხატვრის მიერ არის ფრესკებით მოხატული, ალბათ მეფისავე ბრძანებით (იხ. ზემოდ, გვ. 208), ამავე ეკლესიის ღვთის მშობლის ხატზე წარმოდგენილია მეფე დავით მეხუთე, გიორგი ლაშას ძე, და მოხსენებულია მისი მეუღლე გუანცა. ლატალის მაცხოვარიშის ეკლესია დიმიტრი პირველის დროს არის დახატული 1142 წელს და აქ ფრესკით წარმოდგენილია დიმიტრის გვირგვინის კურთხევა და მისი ერისთაები (გვ. 350-351). თამარ მეფე, რუსუდან დედოფალი და სხვები ძვირფასი ხატებით ამკობენ სვანეთის ეკლესიებს. თვით სვანთა ხევების მიერ შემკობილ ხატებზე გამოსჭვივის მჭიდრო ერთობა მთელ საქართველოსთან; მუხერის მთავარ ანგელოზის ხატის წარწერაში ვკითხულობთ: „ადიდენ მეფენი ბაგრატონიანნი, დადიანნი და დიდებულნნი და ერთობილი საქართველო და ერთობილნი სანნი“ (იხ. ზემოდ).

წინათ ფიქრობდენ, სიმრავლე ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა, რომელნიც სვანეთში იყო და დღესაც არის (უმეტეს შემთხვევაში ძალზე დაზიანებული მოუვლელობით და მტაცებლობით), აიხსნებოდა იმით, რომ სვანეთში ეზიდებოდნენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ამ ნივთებს შესანახად და გადასარჩენად განადგურებისაგან მტერთა შემოსევის დროს. ეჭვი არ არის, ამასაც ადგილი ჰქონდა, მაგრამ ჩვენის დაკვირვებით, ცხრა მეათედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას მოწმობს სვანიზმები წარწერებისა, გვარები შემკვეთელებისა და ოქრომჭედელთა. საზოგადოთ ოქრომჭედლობა სვანეთში დიდათ განვითარებული ყოფილა. არაფერი ისე არ ახასიათებს საზოგადო, კულტურის აყვავებას თუ დაცემას, როგოროც ოქრომჭედლობის ევოლუცია. კლასიკური დროის შემდეგ ეს ხელობა თანდათან ეცემა სვანეთში, ისე როგორც საქართველოში, მაგრამ უაღრესად მისი დაცემა ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნეს და მეცხრამეტის დასაწყისს. ეს ერთგვარად ახასიათებს როგორც სვანეთს, ისე ლეჩხუმსაც.

სვანეთში, რამდენადაც ცნობილია, არქეოლოგიურ გათხრებს ჯერ ადგილი არ ჰქონია და არაფერი ვიცით, თუ რა დონეზე იყო აქ ქრისტიანობის წინადროის კულტურა, მაგრამ რამდენადაც ეს სჩანს იმ მცირე ნაშთებისაგან, რომელნიც ეკლესიაშია დაცული და რომელნიც ეჭვს გარეშე ძველი სასაფლაოებიდან არის ამოღებულნი, ეს კულტურა იგივეა, რაც კობანის კულტურა ოსეთში; ამას გარდა სვანეთში დიდძალ ოქროს ფულებს პოულობენ, რაც მოწმობს მის მჭიდრო სააღებ-მიცემო კავშირს წინა აზიის და საბერძნეთის ხალხებთან. სხვათა შორის 1906 წელს ტფილისის მუზეუმში გასასყიდათ მოიტანეს 18 ოქროს ფული, რომელნიც ვნახეთ სოფელ ჩობერში რკინის წაკეტებთან და სხვა ფერადოვან მძივებთან (ბუსებთან) ერთად. ამათ შორის სამი ლიზიმახოსის იყო, დანარჩენი ალექსანდრე მაკედონელის, მაგრამ სხვა და სხვა დროს მოჭრილი. ადვილად შესაძლებელია, ის ოქროს ფულები, რომელნიც ხშირად გვხვდება საქართველოს სასაფლაოებში და რომელნიც ლიზიმახის ოქროს ფულის მიბაძვით არის დამზადებული, სვანეთში იჭრებოდა სვანეთშივე ნაპოვნი და დამუშავებული ოქროთი. არქეოლოგიურმა გათხრამ სვანეთში დიდი შედეგები უნდა მოგვცეს.

*

* *

ავტორი წინამდებარე წიგნისა თავის ზნეობრივ მოვალეობად რაცხს უგულითადესი მადლობა გამოუცხადოს ბატონს ვიქტორ ნოზაძეს, რომელმაც თავისი უანგარო ენერგიული დახმარებით შესაძლებელი გახადა ამ წიგნის გამოცემა, ბატონს ნესტორ კალანდაძეს, რომელმაც დახატა სათაური წიგნისა და ბატონთ სამსონ ფირცხალავას და სოსო გოგოლაშვილს, რომლებიც დაგვეხმარენ კორექტურის შესწორებაში.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გზა და გზა, სხვათა შორის

ზოგს უკვირდა, ისე ინტენსიურად რომ ვმუშაობდი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების, საეკლესიო ნივთების და ხელნაწერების შესწავლაზე და მეკითხებოდნენ ხოლმე, პეტერბურგის უნივერსიტეტში დასპეციალდი მაგ საკითხებზეო? სრულიადაც არა! იქ მე პედაგოგად ვემზადებოდი და თბილისში რომ ჩამოვედი, სწორედ მასწავლებლობით დავიწყე საქმიანობა. ხელოვნებისა და სხვა ძეგლებს კი მას მერე მოვკიდე ხელი, როდესაც დავაკვირდი, რომ ისინი ნელ-ნელა ხელიდან გვეცლებოდნენ და შემსწავლელი კი აღარავინ ჩანდა.

* * *

კონსტანტინე გამსახურდია, რომ ევროპიდან ჩამოვიდა, უნივერსიტეტში მომაკითხა და მთხოვა, არქეოლოგიის კათედრაზე ამეყვანა სამუშაოდ. მაგრამ მაშინ მე მალე წავედი კიდევაც ევროპაში და აღარ მოეწყო ეს საქმე. თორემ ავიყვანდი. მუშაობა უყვარს და ნაკითხი კაციცაა. ამიტომაა, რომ ასეთი ნაყოფიერი მწერალი დამდგარა.

* * *

მთაწმინდის თხემიდან გადმოხედვას არაფერი შეედრება! არსად მსოფლიოში ასეთი ლამაზი ქალაქი არ მოიძებნება. პარიზში არაფერი ამის მსგავსი არაა. მთაწმინდის პარკი ხომ წინათ ჩემი ცოლოურის, პოლტორაცკების საკუთრება (გაბაშვილის ქალის ნამზითვი) იყო და იმ მამულ-ადგილებში ხშირად მივლია.

* * *

კოლა-ოლთისში რომ ვმოგზაურობდი, სოლომონისის მღვიმე-ეკლესიაზე ძალიან ძნელი ასასვლელი იყო და მესხებმა ამიყვანეს ხელით ეს კოჭლი კაცი. . . ჩემს შემდეგ (ალბათ ჩემი გასაჭირი რომ გაიგო), ოლთისის მაზრის უფროსს საფეხურები ამოუჭრევინებია იმ კლდეში და თავის დროზე სწორედ მიუდგომელ ადგილას მოწყობილი ეკლესია უკვე ყველასათვის მისაწვდომი გამხდარა; ბრალიანსა და უბრალოს დაუწყია იქ სიარული და ბევრი რამე გაუფუჭებიათ კიდევაც. ასე რომ გზის გაადვილება ხშირად ვნებს კიდვაც საქმეს.

* * *

იშხანში იმ ფრესკულ წარწერას ალბათ ვერც მე შევამჩნევდი, ჩემი წინამორბედივით, მაშინ რომ ძალიან მჭრელი თვალი არა მქონოდა. სანამ ზედ არ

მივიყვანე და თითებით არ მოვუხაზე ასოები, ექსპედიციის სხვა წევრები ვერც კი ხედავდნენ წარწერას! ისიც უნდა ითქვას, რომ წვიმა არ წამოსულიყო და მერე მზეს ალმაცერად არ შემოეხედა ტაძარში, მეც გამიჭირდებოდა დანახვა.

* * *

მიხ. ჭიაურელი რომ წავიყვანე მხატვრად 1917 წელს ექსპედიციაში, ძალიან ყოჩაღად ირჯებოდა, ყველაფერი ეხერხებოდა და თან აცოცხლებდა და ამხიარულებდა მთელ ექსპედიციას. ის ხომ მრავალმხრივ ნიჭიერი კაცია და სხვათა შორის, იმიტაციაც ძალიან ემარჯვებოდა. ერთხელ აიპარა მინარეთზე და ისე მიბაძა მოლას ძახილს, რომ იქაური მაჰმადიანები შეცდომაში შეიყვანა. სხვა დროს იშხანში მაჰმადიანებს ფერხული დაებათ და თან დაიმღეროდნენ, ჩადგა ისიც მათ შორის და ისე ცეკვავდა და მღეროდა რომ ნამდვილი თათარი გეგონებოდათ.

* * *

ათონის ივერთა მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების ბედის შესახებ ამ ბოლო დროს აღარა ვიცით-რა. იქაური ბერძენი ბერები საერთოდ ძალიან აგრესიულად იყვნენ ჩვენს მიმართ განწყობილი და ეგებ ის ხელნაწერებიც განიავებულია?!

* * *

საერთოდ, რამდენ ხანს დარჩა რუსეთის მფლობელობაში არტაანი და სხვა ძველი ქართული ოლქები, სავსებით მისაწვდომი იყო სპეციალისტებისათვის, მაგრამ ვერავინ მოიფიქრა იქაური ძეგლების რიგიანად აღწერა.

* * *

იშხანის ტაძრის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაში იხსენიება ქართლის პირველი ქრისტიანი დედოფალი ნანა.

* * *

ამ ბოლო დროს რომ გავარდა ხმა, თითქოს ამერიკელებს აღმოუჩენიათ პალესტინის რომელიღაც გამოქვაბულში ქართული, სომხური და კოპტური ხელნაწერები, თუ მოჭორილი არ გამოდგა, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, კერძოდ ჩვენთვის. თუ იქ მართლა არის ქართული ხელნაწერები, უთუოდ ძველი იქნება. ასეთი რამეღა გვიშველის, თორემ პირდაპირ სამარცხვინო საქმე გვჭირს: ხომ რამდენ ხანს იყო ჩვენი დამწერლობა ხან-მეტი, XI საუკუნეში გიორგი

მთაწმინდელმაც იცოდა, რომ გვქონდა ასეთი და ჯერ კი არც ერთი ხან-მეტურად დაწერილი სახარება არ ჩაგვვარდნია ხელთ! საოცარია, როგორ უნდა მოსპობილიყო ასე პირწმინდად ის ძველი ხელნაწერები?... თუმცა, მეორე მხრივ, ეს რაღად უნდა გვიკვირდეს, როცა ჩვენ მეზობელ ალბანელებს X საუკუნეში ჯერ კიდევ თავიანთ ენაზე ჰქონდათ მღვდელთმსახურება და დღემდე არაა ნაპოვნი თუნდაც ერთი ნამცეცი ხელნაწერი. მხოლოდ ამ ბოლო დროს მიაკვლია ილია აბულაძემ, ალბანურ ანბანს ეჩმიაძინის ერთ ხელნაწერში. ახლა თითო-ოროლა ქვაზე დაწერილიც იპოვნეს აზერბაიჯანელმა არქეოლოგებმა, მაგრამ რა გამოვიდა, რომ ვერ კითხულობენ? ისე კი ზოგი ასო ქართულსა ჰგავს, ზოგი – სომხურს, ეტყობა ორივეთაგან ნასესხები და ნარევია. ალბათ სამივე ერთად წარმოიშვა, IV საუკუნეში.

* * *

ვცდილობ, ახლავე მოვაწესრიგო ჩემი ნაწერების ბიბლიოგრაფია, თორემ ისეთი რთული შესადგენია, რომ უჩემოდ ყველას ძალიან გაუძნელდება.

* * *

ევროპის სიძველეთსაცავებში და ანტიქვარებთან რომ საქართველოდან გატანილი და გაყიდული სიძველეები ვნახე, მათ შორის რამდენიმე ხატი გიორგი ორბელიანის ოჯახიდა იყო იქ მოხვედრილი, მისი ცოლის წყალობით.

* * *

იქ ვნახე კიდევ ნიკო ჭავჭავაძის ნაქონი ნივთებიც. ნიკო თავის დროზე გამოჩენილი პატრიოტი იყო. ერთხანს დაღისტანს მმართველობდა მერე აქ გარდაიცვალა, ოპერაციის შედეგად. იური ჭავჭავაძე მისი ძმისწული იყო. ილიას ნათესავები არ ყოფილან, სხვა შტოს ეკუთვნოდნენ. ნიკო უცოლოდ მოკვდა, მაგრამ ისე კი ძალიან უყვარდა ლამაზი ქალები.

* * *

ტარონელები ბაგრატიონები იყვნენ, ტარონში მერე გადასახლებული და გასომხებული. ტარონელი იყო ჩვენი თორნიკე ბერიც, ბარდა სკლიაროსი რომ დაამარცხა. იმათში ბევრს ერქვა სახელად თორნიკე, მთელი დინასტია იყო.

* * *

იკორთის ტაძრის აშენება ნამდვილად ღირდა თავმოწონებად! ისეთი მშვენიერი ნაგებობა, თამარის დროისა, ქართველებს სხვა არც მოგვეპოვება.

* * *

ნ. ადონცი რომ ამბობს თავის ნაშრომში თორნიკე ერისთავი სომეხი იყოო, რა თქმა უნად აჭარბებს. ფაქტიურად ხომ ისინი ქართველები იყვნენ და ჟამთა ვითარებაში ენობრივ გასომხდნენ. რაკი ასე იყო, როგორც კი ისევ იმძლავრა იმ მხარეში ქართულმა პოლიტიკურმა მფლობელობამ და ელემენტებმა, ისინიც კვლავ გაქართველდნენ და მერე რა თავგადამკვდარი ქართველი პატრიოტები გახდნენ! მარტო გრიგოლ ბაკურიანი რად ღირს, ბულგარეთში რომ ქართული მონასტერი დაარსა, პეტრიწონს?! რა ფანატიკოსია საქართველოსი?

ამ ქვეთავის მასალები მოამზადა **სიმონ ბალახაძემ**

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა

ნაწილი I. ლეჩხუმი

სოფელი ლაბეჭინა
საირმე
ლაჯანა
ორბელი
ლატორია
მცხეთა
ქალაქი ცაგერი
სოფელი ზუმბი
სოფელი ოყურეში
სოფელი ნაყურალეში
სოფელი ქვემო აღვი
სოფელი ნასპერი
ხვამლის ეკლესიის წარწერა

ნაწილი II. ქვემო სვანეთი

ლ ე ნ ტ ე ხ ი ს თ ე მ ი

სოფელი ლენტეხი
სოფელი ფაყი
ლექსურა
გულიდა

ჩ ო ლ ო ურ ი ს თ ე მ ი

სოფელი საყდარი
სოფელი ზემო ჭველიერი
სოფელი მამი
სოფელი თეკალი

ლაშხეთის თემი

სოფელი სასაში
სოფელი ჯახუნდერი
სოფელი ჩუკული
სოფელი ჩიხარეში
სოფელი მახაში
სოფელი დაბიში
სოფელი ახაშენი
სოფელი მელე
სოფელი ნაცული
სოფელი ხერია
სოფელი შგედი
სოფელი მარგვიში
სოფელი ღობი
სოფელი ლამზაგორი

ნაწილი III. თავისუფალი სვანეთი

უ შ გ უ ლ ი ს თ ე მ ი

სოფელი ჟიბიანი
სოფელი ჩვიბიანი
სოფელი ჩაჟაში
სოფელი მურყმერი

კ ა ლ ა ს თ ე მ ი

კალას ეკლესია
სოფელი ჭე
სოფელი იფრარი
სოფელი ხალდე

ი ფ ა რ ი ს თ ე მ ი

სოფელი ზეგანი
სოფელი წვირმი
სოფელი იელი
სოფელი ადიში

სოფელი ნაკიფარი

მ უ ჟ ა ლ ი ს თ ე მ ი

სოფელი ჩვაბიანი
სოფელი ჟაბეში
სოფელი ჩალდაში

მ უ ლ ა ყ ი ს თ ე მ ი

სოფელი ღობრი და ზარდლაში
სოფელი მუშკიერი
სოფელი ჟამუში
სოფელი ლახირი
სოფელი ჩოლაში

მ ე ს ტ ი ი ს თ ე მ ი

სოფელი სეტი
სოფელი ლაღამი
მარგიანი, მთავარანგელოზის ეკლესია
მეორე მთავარანგელოზის ეკლესია
სხვა ეკლესიები
მესტიაში გაშინჯული ხელნაწერები

ლ ე ნ ჯ ე რ ი ს თ ე მ ი

სოფელი ნესგუნი
სოფელი ლემსი
სოფელი ქაშვეთი
სოფელი კაერი
სოფელი სოლი
სოფელი ლაშტხვერი
სოფელი მუხელი

ლ ა ტ ა ლ ი ს თ ე მ ი

სოფელი ენაში ანუ იონაში
სოფელი მაცხოვარიში
სოფელი ლაჰილი

სოფელი ლახუშტი
სოფელი ლამი

ნაწილი IV. სადადიშქელიანო ანუ სათავადო სვანეთი

ბ ე ჩ ო ს თ ე მ ი

სოფელი ბეჩო
ცხომარის თემი
სოფელი სვიფი
სოფელი ლაფსხალდი

ე წ ე რ ი ს თ ე მ ი

სოფელი ბარში
სოფელი ყურაში
სოფელი ფხოტრერი

ფ ა რ ი ს თ ე მ ი

სოფელი სუფი
სოფელი უგვალი
სოფელი ლახამულა
სოფელი ფარი
სოფელი ლეშტერის ხატი კეიშის მთავარანგელოზთა
სვანეთის სულთა მატიანე და სხვა ნივთები
ბერი ბაქრაძის ორი რვეული ზოგიერთი სვანეთის ეკლესიების
ჯვარ-ხატების და ნივთების მოკლე აღწერილობით
შენიშვნა ქრისტიანული დროის და ქრისტიანულ წინა
დროის კულტურის გამო სვანეთში
ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გზა და გზა, სხვათა შორის